გამოცემაზე მუშაობდნენ: **გიორგი სუმბაძე**
ზურაბ ფოცხიშვილი
ივანე ჯაფარიძე

დაიბეჭდა შპს „სი-ჯი-ეს”-ში

ISBN 978-9941-0-1905-0

ვახტანგ ჯობაძე

ჩემი თავგადასავალი

თბილისი
2009

სარჩევი

წინათქმა - - -

ზაფხულობა არესში - 114
ამერიკაში გადასახლების გადაწყვეტილების მიზეზი - - - - - - - - - 116

ნაწილი მეხუთე
ამერიკა

შეერთებულ შტატებში გადასახლება - - - - - - - - - - - - - - - - - 118
ნიუ-იორკის ქართველები - 119
კოლეჯ პოინტში გადასვლა - 123
ვაშინგტონში გადაადგილება და იქაური ავან-ხლება - - - - - - - - - 125
Dumbarton Oaks-ში სტუმრად მოსული ზოგიერთი მეცნიერის მოკლე
აღწერა -დახასიათება - 127
სოლტ ლეიკ სიტის უნივერსიტეტში მიწვევა და იუტაში გადასახლება - 130

ნაწილი მეექვსე
აზია

ფულბრაიტის სტიპენდია და საველე სამუშაოებისათვის ანტიოქიაში
გამგზავრება - 134
Dura-Europos-ის მონახულება - 135
ტურ-აბდინისაკენ (ღმერთის მსახურთა მთა) - - - - - - - - - - - - - 137
დავუბრუნდეთ ანტიოქიას - 141
ლაფონტენ დოსოგნისა და გრაბარის გაიძვერობა - - - - - - - - - - 149
ქართული კათოლიკური მონასტერი სტამბულში - - - - - - - - - - - 149
ჩრდილო სირიის ექსპედიცია - 155
მოგზაურობა ლიბანში - 157

ნაწილი მეშვიდე
ისევ ამერიკა

სოლტ ლეიკში დაბრუნება - 158
თინას სტუმრობა - 161
კალიფორნიაში გადასახლება და კალიფორნიის სახელმწიფო
უნივერსიტეტში მიწვევა - 163
ვაშინგტონის შტატის სიეტლის უნივერსიტეტში მიწვევა - - - - - 165
ლოს-ანჯელესში დაბრუნება და ტაო-კლარჯეთ-შავშეთში არსებული
ქართველთა ეკლესია-მონასტრების შესწავლის განახლება - - - - - 166
ართვინში ჩასვლა და იქაური მიდამოების მიმოხილვა - - - - - - - 168
თურქების საიდუმლო პოლიციის ხრიკი - - - - - - - - - - - - - - 173
მოგზაურობა მანასკერტში და ბიტლისში - - - - - - - - - - - - - - 175
ტაო-კლარჯეთში დაბრუნება ერთი წლით და საკვირველმოქმედი
თავგადასავალი - 176
კალიფორნიაში დაბრუნება და ჩვენი ურთიერთობა ნაცნობ-მეგობრებთან
ბევერლი ჰილსში დასახლების შემდეგ - - - - - - - - - - - - - - - 178
ყურუმსაღი როლფის მეტიჩრობანი - - - - - - - - - - - - - - - - 182
ჰავაის კუნძულ კავაიზე გამგზავრება - - - - - - - - - - - - - - - 182
მგზავრობა კარლსბადიდან გერმანიისაკენ საშუალო საუკუნეების
ხუროთმოძღვრების გამოფენის მოწყობის მიზნით - - - - - - - - - 185
შვეიცარიაში ეთერისთან სტუმრობა - - - - - - - - - - - - - - - - 186
დაკვირვება ჩემს დასთან - თინასთან მიმოწერის თემაზე - - - - - - 190
რეზოს წერილი - 193
ჩვენი ვაჟიშვილი და მისი ოჯახი - - - - - - - - - - - - - - - - - - 193

წინათქმა

ჩემი თავგადასავალის მკითხველმა მინდა იცოდეს, რომ ეს ბიოგრაფიული თხრობა არ არის მეცნიერული ხასიათის ნაწარმოები. მისი მიზანი მოკრძალებულია და მოკლედ ასახავს ჩემი ცხოვრების გზაზე განცდილ მოვლენებს. ის გამიზნულია უმთავრესად ჩემი ოჯახის წევრებისა და ჩვენი ნათესავებისათვის. ამისდა მიუხედავად მკითხველი ხშირად წააწყდება ისეთ ამბებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის და მის შემდეგ მომხდარს გადმოსცემს, რაც შეიძლება საქართველოს ახალი ისტორიის მკვლევარებისთვისაც იყოს გამოსადეგი.

რადგან მე არ ვეკუთვნოდი პარტიულ დაჯგუფებებს და ჩემი პროფესია მიუდგომლობას მავალებს, ნათხრობი ობიექტური და ვგონებ – ნდობის ღირსია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ნაშრომს წონასწორობა აკლია: ზოგი მოვლენა უფრო დეტალურად არის განხილული, ზოგი კი პერიფერიულად, ან საერთოდ გამოტოვებული. ამის მიზეზი ჩემი მეხსიერების სისუსტეა... არც წერის სტილია გამართული... მაგრამ ვიმედოვნებ, დაინტერესებული მკითხველი მაინც გაიკვლევს გზას. თავგადასავალის გასამდიდრებლად სურათებიც მაქვს, რომელთაც თუ დამცალდა ამ ტექსტს დავურთავ, როდესაც სუფთად გადავწერ, სათაურებს და ქვესათაურებს მივუსადაგებ.

ტექსტშიც მაქვს ნათქვამი, რომ ჩემი მეცნიერული მოღვაწეობის – უფრო საველე სამუშაოების და გათხრების შესახებ – ბევრი არ თქმულა, რადგან ეს მკითხველს ამაოდ შეაწუხებდა, ხოლო მათ რომელთაც ამის ცოდნა სურთ, შეუძლიათ ჩემ გამოქვეყნებულ შრომებს გაეცნონ. თავგადასავალის მოკლე რედაქციას ჩემი ნაშიერებისათვის ინგლისურ ენაზე ვთარგმნი, თუმც მათ ჩემი ისტორია ისევე აინტერესებთ, როგორც მე შარშანდელი თოვლი. ამისი მიზეზი ის არის, რომ ამერიკაში წინაპრების პატივისცემა „მოდაში“ არ არის.

ნაწილი პირველი

ბავშვობის ხანა

ჯობაძეები

ერთადერთი ტოპოგრაფიული ადგილი, სადაც ოდითგანვე ჯობაძეების შტო დამკვიდრდა და დღემდე განაგრძობს არსებობას, არის დაბა სურამი, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ფიზიკური და კლიმატური გამყოფი - ლიხის მთის აღმოსავლეთით მდებარეობს. ჩვენი დიდებული ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი სურამს ახასიათებს, როგორც: ჰავით მშვენიერსა და მხიარულ მცირე ქალაქს. მართლაც, სურამს ზომიერი ჰავის, მშვენიერი ლანდშაფტის, საამო ცივი წყლებისა და მშვიდი გარემოცვის მხრივ, საქართველოს სხვა დაბებს შორის, განსაკუთრებული, საპატიო ადგილი ეთმობა და სანაქებო საკურორტო ადგილადაც არის ცნობილი. ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, სურამი გამორჩეული იყო მალარიით დაავადებულთათვის, რომელნიც დასასვენებელ სახლებში ინკურნებოდნენ. იქ მყოფ გაყვითლებულ სნეულებს მოსავდნენ სპეციალური შარვლებითა და ბლუზებით, რომლებიც თეთრი და ლურჯი პარალელური ვერტიკალური ზოლების გამო, ადამიანს აშკარად თვალში ეცემოდა და უფრო ციხიდან გამოქცეულებს მოაგონებდა, ვიდრე დაძაბუნებულ დამსვენებლებს.

სურამში მისვლა შეიძლებოდა თბილისიდან დასავლეთ საქართველოში მიმავალი რკინიგზის ოთხი კილომეტრის სიგრძის განშტოებით, რომელიც იწყებოდა ხაშურიდან და მთავრდებოდა სურამში. სხვათა შორის, სურამს სტრატეგიული მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან იქ იწყებოდა ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა, რომლის საშუალებითაც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შემაერთებელი ხაზის გადაკეტვის შემთხვევაში (რაც მოსალოდნელი იყო ლიხის მთის გვირაბის დახშვით), შესაძლებელი იქნებოდა თვით ლიხის გამყოფ მთაზე გადასვლა (სურამიდან წიფამდის). ფიგურალურად ეს შეიძლება ასე ითქვას – რკინიგზის მთავარი ხაზი იყო საქართველოს შემაკავშირებელი არტერია, ხოლო სურამიდან წიფამდის მიმავალი ხაზი, ამჟამად, გამოუსადეგარი კაპილარია, რადგან უყურადღებობის გამო, წვიმებმა ამ ვიწრო ლიანდაგს ძირი გამოუთხარა, ბუჩქებითა და ხეებით დაფარა.

ავადმყოფებს გარდა სურამში მრავალი დამსვენებელი და მოაგარაკე იყრიდა თავს. მათ დასვენების გარდა ამ იდეალურ კუთხეში, მრავალი გასართობიც ჰქონდათ; უფრო კი ბავშვებს. მეც მათ შორის: თუმცა თბილისში დავიბადე 1917 წლის 18 მარტს, სადაც ბინაც გვქონდა, მაგრამ სკოლამდელი უზრუნველი და სიხარულით აღსავსე ბავშვობის ხანა და ზაფხულობა სურამში გავატარე.

სურამში ვცხოვრობდით პაპაჩემის მიერ აშენებულ ქვითკირიანი სახლის მეორე სართულზე. იგი შედგებოდა სამი დიდი ოთახის, ერთი სამზარეულოს და L-ს ფორმის ფართო აივანისაგან, რომლის კიბეებიც იატაკის დონეზე იხურებოდა დარაბით, ხოლო პირველ სართულზე ბინადრობდა პაპაჩემ დიმიტრის უფროსი ვაჟი ზაქარია, საკმაოდ დიდი ოჯახით: მეუღლე ივლიანე (კაპანაძე), შვილები: დიმიტრი (მიტუშა), ანტონი (ტუშა), ვარვარა (ვარიჩკა), უფროსი ქალიშვილი მარიამი იმ დროს უკვე გათხოვილი იყო აფთიაქარ, უაღრესად სათნო და მოკრძალებულ მეგრელზე ლადი არჩაიაზე და ცხოვრობდა სენაკში, ხოლო მათი ვაჟი ჟუტუ (ვენე) ჩემი ხნისა იყო, როდესაც მშობლებთან სურამში ჩამოდიოდა ერთად ვთამაშობდით ხოლმე. ზაქარიას უფროსი ვაჟი დიმიტრიც (მიტუშა) ადრე დაქორწინდა და მისი მშვენიერი მეუღლის - ელეონორა გიგიბერიას ძმა, ათწლედის დამთავრებამდის მრავალი წლის განმავლობაში ჩემი კარგი მეგობარი იყო. შემდეგ, როდესაც ის მოსკოვში გადავიდა სწავლის გასაგრძელებლად, ჩვენი გზები სამუდამოდ გაიყარა; უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დამკვიდრდა თბილისში, გახდა კომუნისტური პარტიის წევრი და საქართველოს მთავრობაში მეორე თუ მესამე ადგილს მიაღწია. სამწუხაროდ მისი ცხოვრება ხანმოკლე იყო, ის გარდაიცვალა 1974 წელს მეორე მსოფლიო ომში მიღებული ჭრილობების გამო. პაპაჩემის შესახებ არაფერი ვიცი და არც მინახავს, არ მოვსწრებივარ. პაპაჩემი დიმიტრი ჯობაძე ყოფილა შვილი ადამ ჯობაძისა და მისი მეუღლე სოფიო ტაბატაძისა, პაპა დიმიტრის და მის მეუღლე ნინო ბლიაძეს ჰყავდა რვა შვილი: ოთხი ვაჟი და ოთხი ქალი: ზაქარია, მართა, ლუბა, დათიკო, ვასო, ნინო, მამაჩემი ნიკოლოზი და ანიჩკა. პაპაჩემ დიმიტრის, მისი მეუღლე ნინო ბლიაძის, პაპაჩემის მამის და მისი მეუღლე სოფიო ტაბატაძის შესახებ არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რაც ჩემი ბავშვობის დროს, ჩვენი ოჯახის კარის ეკლესიის სასაფლაოზე, საფლავის უზარმაზარი ქვების წარწერებიდან ამოვკენკე, როდესაც იქ სხვა ბავშვებთან ერთად ვთამაშობდი, ან როდესაც ბიძაჩემი ზაქარია საფლავის სკულპტურებს აქანდაკებდა. ახლა, მგონი ეს საფლავის ქვები წაუხდენიათ, თუ გაუტაცნიათ, ჩვენი კარის ეკლესიაც ვიღაც მღვდლად ქცეულ ავანტიურისტ მძღოლს მიუთვისებია და იქვე საკუთარი სახლიც კი აუშენებია. ჩემთვის ცნობილი უადრესი წინაპარი ჩვენი გვარისა ყოფილა აზნაური შიო ჯობაძე, რომელიც იხსენიება, როგორც ვახტანგ VI-ს (1730) ამალის წევრი რუსეთში. მამაჩემის წინაპრები ხუროები ყოფილან. მათი აშენებულია არა მხოლოდ ჩვენი ზემოხსენებული საგვარეულო ეკლესია, არამედ სურამის მიდამოებში აშენებული ეკლესიებიც. მათ შორის ეკლესია ხაშურის მახლობელ სოფელ თაგვეთში. მისი სურათები და შესავალში გაკეთებული წარწერები, 2003 წლის ზამთარში ჩემმა დამ თინამ გამომიგზავნა. მას ქაშვეთის ეკლესია რქმევია. აი ეკლესიის შესავლის წარწერაც: „ესე ეკლესია ააშენეს სურამში მცხოვრებ ზაქარია, მიტრო, სინო ჯობაძეებმა.

მამა განათლებით ეკონომისტი იყო, ხოლო პოლიტიკური რწმენით სოციალ-დემოკრატი ე.წ. მენშევიკი. 1915 წლიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის ჩახშობამდის და 1921 წ. ბოლშევიკური რუსის ჯარების საქართველოში შემოსევამდის, მამა იყო ერის მიერ პატივცემული, სურამის ქალაქის თავის მოადგილე (ქალაქის თავი იყო შაქრო ხიდირბეგიშვილი). საუკუნის დასაწყისში ქალაქის თავი იყო ბაბუაჩემი დედის მხრიდან - ნიკოლოზ გრიგოლის ძე ჯობაძე, რომელიც ჯობაძეების სხვა შტოს ეკუთვნოდა.

მამაჩემის პიროვნული ღირსებები იქიდანაც ჩანს, რომ 50-ან წლებში, პა-

რიზში, ქალბატონმა თაქთაქიშვილმა მითხრა: „მამათქვენი ადამიანი არ არის“. მეუცნაურა და მაშინვე ვკითხე:„რატომ?“ „იმიტომ რომ ის ანგელოზია, ჩემი ქმრის გარდაცვალების შემდეგ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მიგზავნიდა ფულს იმ მიზეზით, ვითომც ჩემი ქმრის ვალს იხდიდა. მაგრამ შევიტყვე, რომ მამათქვენს ჩემი ქმრის ვალი არ ჰქონია, არამედ მეხმარებოდა ამგვარად იმ მიზეზის გამო, რომ უხერხულად არ მეგრძნო თავი“. მამის კეთილ ნამოქმედართა შორის მახსოვს შემდეგი: სურამის რკინიგზის სადგურის სამხრეთით, გორის მიღმა ოციოდ დესეტინა ფართობზე, ჩემი დის თინას ნათლიასთან მიხეილ მურმანიშვილთან ერთად დარგო ათასობით წიწვიანი ხე, რომლებიც ჩემი სტუდენტობის დროს ხშირ ტყედ იყო ქცეული. ამ ტყით, დიახაც, რომ უაღრესად ვამაყობდი. სურამში ყოფნის დროს, ფიქრებში გართული ხშირად ვესტუმრებოდი ხოლმე და ვხარობდი. მამამ გააკეთა აგრეთვე ფეხბურთის მოედანი, რომელიც მდებარეობდა რკინიგზის ბოლოს, დასავლეთით. ფეხბურთის მოედნის შექმნა თუმც ტექნიკურად რთული არ იყო, მაგრამ მოითხოვდა მძიმე და ხანგრძლივ შრომას, რაც მდგომარეობდა ჩრდილოეთისაკენ დამრეცი ფერდობის ჩამოჭრასა და დავაკებაში. მაყურებლები ისხდნენ მოედნის სამხრეთით ამაღლებულ ფერდობზე ხეების ჩრდილში. ფეხბურთის მოედნის დასავლეთით ააშენა ხის საზაფხულო თეატრი, რომელსაც სიგრილისათვის ჰქონდა ცხაური კედლები. თეატრის სცენის წინ ორივე მხარეზე ჰქონდა თითო ლოჟა; ერთი მამაჩემისა და მეორე კი შაქრო ხიდირბეგიშვილისათვის. ამ ლოჟაში მჯდარი, მე თვითონ, დავესწარი ორიოდ წარმოდგენას, რომლისგანაც მხოლოდ ის მახსოვს, რომ მსახიობები მეტყველების გარდა, ზოგჯერ მღეროდენ. სამწუხაროდ ამ თეატრს დიდი ხნის ცხოვრება არ ეწერა, რამდენიმე წლის შემდეგ, ის საფუძვლამდის დაიწვა ან განგებ დაწვეს.

საზოგადოების კულტურული და აკადემიური მომსახურების მხრივ, ფეხბურთის მოედანს და საზაფხულო თეატრსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სურამის მოსახლეობისა და დამსვენებლებისთვის, რადგან მანამდის ერთადერთი შესაკრები და გასართობი იყო აკაციის ხეებით დაფარული რკინიგზის პარკი, რომელიც ლიანდაგის გასწვრივ აღმოსავლეთით უშუალოდ რკინიგზის სადგურს ესაზღვრებოდა. ამ პარკში ყოველ საღამოს სასეირნოდ და სალაყბოდ ახალგაზრდები გამოეფინებოდნენ ხოლმე. ადგილები, სადაც ისედაც სუსტი ელექტრონის ნათურების მბჟუტავი ნათება მკრთალად წვდებოდა, მოჩურჩულე შეყვარებულებით იყო დაკავებული. მოსეირნეებში ახლად წამოჩეკილი სტუდენტობა სჭარბობდა, ზოგი თეატრალური გამომეტყველების, მძიმედ მოსიარულე, უაღრესად სერიოზული სახით, ფილოსოფიით დამძიმებული, თითქოს მსოფლიო ჭირ-ვარამს მხრებით ატარებსო. ზოგი უცნაური ქოჩრითა და წვერულვაშით, ან ეგზოტიკური სამოსელით იწონებდა თავს. ზოგს უადგილოდ ესპანური კაპოტე ჰქონდა მხარზე გადაგდებული, ზოგი გამოირჩეოდა მოხევური კილო-კავით, მაგრამ მთელი ამ თეატრალურ-დრამატული გამოფენის მიზანი იყო მოსეირნე, კეკლუცი გოგონების ყურადღების მოპყრობა და ეგზოტიკური საშუალებებით მათი მოხიბვლა. ეს მამლაყინწა რომანსეროები თუმც ერთმანეთს ესაუბრებოდნენ ან ცხარედ კამათობდნენ, მაგრამ თვალი მოუშორებლად ვითომ მოკრძალებით თავდაღუნული „ბარიშნებისაკენ'' ეჭირათ. ამ სურათს არღვევდნენ პატარა ბიჭუნები, რომლებიც დამსვენებლებს „ტიანუშკას“ სთავაზობდნენ და ნამცხვრების გამყიდველები, რომელთაც შუშით დაფარული ბრტყელი ყუთები ტყავის ქამრებით კისერზე ჰქონდათ დაკიდებული. ათი საათისათვის

კი, სადგურზე – რკინის წვრილ აჟურულ ბოძებზე დაყრდნობილი სახურავების ქვეშ – თავს იყრიდა ხალხი, რომ აღტაცებით, ან ცხარე ცრემლების დენით უკანასკნელი მატარებლით მოსულ მეგობრებს დახვედროდენ ან გაეცილებინათ. ათი საათის მატარებლის წასვლით პარკი და თვით რკინიგზის სადგური ცარიელდებოდა, სინათლეები ქრებოდა და იდუმალი სიჩუმე მყარდებოდა.

ამ აკაციების პარკისა და რკინიგზის გადაღმა ცხოვრობდა მწერალი და ჩვენი ოჯახის ახლობელი დავით სულიაშვილი, ადგილობრივი Celebrity, რადგან მწერლობის გარდა ერთხანს უცხოვრია შვეიცარიაში და ლენინსაც კი იცნობდა, თუ მასთან თანამშრომლობდა. სულიაშვილი იყო წითური ფიზიონომიის ოქროსფერი თმით, რომელიც თავზე უხვად არ შერჩენოდა და მომრგვლო, თუ ბურთისებრი თავისა. ბუნებით კეთილი, დამხმარე და ყოვლად წესიერი ადამიანი. მას სახლის უკან ჰქონდა პატარა ვენახი ორსართულიანი ღია ფანჩატურით, სადაც ის თავის მოგონებებსაც სწერდა და თავის სანაქებო ვენახს ყარაულობდა. მასი ორი ცქრიალა გოგონა პარკში მოსეირნე ყმაწვილებისათვის ყურადღების საგანს წარმოადგენდა.

ჩემი ბავშვობა სურამში მეტად სასიამოვნო და მრავალფეროვანი იყო. ამხანაგებთან ერთად დაჟანგული თოფით (რომელიც არ ისროდა) და მშვილდ-ისრებით შეიარაღებული ხშირად დავდიოდით პაპაჩემის კუდა ტყეში, დარწმუნებული იმაში, რომ რაღაც ფანტასტიურ უზარმაზარ მხეცს წავაწყდებოდით, მაგრამ კურდღლისა და ჩხიკვების გარდა იქ არაფერი არ შეგვხვედრია. სამაგიეროდ ქამა და ნიყვი სოკოები, მოცვი, ზღმარტლი და პანტა თავსაყარი იყო, რასაც დიდი სიხარულითა და ჟივილ-ხივილით ვკრეფავდით და სახლში მიგვქონდა. ამაყად დედას ან ნათესავებს გადავცემდით და მათგან ქებასა და ხვევნა-კოცნას ვიმსახურებდით. ზოგჯერ სურამულა მდინარეში საცურაოდ იტრიისკენ მივდიოდით, რადგან იქ წყალი უაღრესად სუფთა იყო და დიდი ღრმა გუბურებიც იყო აშენებული კამეჩების ნებივრობისათვის. ჩვენ მომთმენი კამეჩების ზურგზე ავფოფხდებოდით წყალში ჩასახტომად („პერევალთან" პატარა ხიდია სურამში. დაღმართი ღელემდე, დახლოებით დავით სულიაშვილის სახლიდან იწყება, შემდეგ კი ციცაბო აღმართია შუკაკიძის სახლამდე. აქ ხშირად მინახავს შეშით ან სხვა მძიმე მასალით დატვირთული კამეჩშებმული ურემი, აღმართში მძიმე ტვირთს ჭაპანწყვეტითა და მონდომებით რომ ეწევიან წელში რკალივით მოხრილები. საცოდავები ისეთი ერთგული ცხოველები არიან, წინა ფეხებით რომ წაიჩოქებენ, მაინც ამოათრევენ ხოლმე ამ აღმართზე უაღრესად დატვირთულ ურემს. მეურმე უწყალოდ უტყლაშუნებდა ხოლმე შინდის სახრეს. ამ დალოცვილს, უკეთ რომ მოევლო და უფრო მეტი ნობათი მიეცა საქონლისათვის, უმოწყალო ტყლაშა-ტყლუში და შემზარავი სახრეც ხომ აღარ იქნებოდა საჭირო. ქართლიც ხომ ამ კამეჩების მუხლითაა აშენებული და ნუთუ მეტი პატივის ღირსი არ არის ეს ცხოველი-მეთქი, ვფიქრობდი მაშინ და მგონია, გლეხობა ახლა უფრო მეტი პატივით ეკიდება ამ მუშა ცხოველს), უფრო გამბედავები კი ხეების კენწეროებზე ავცოცდებოდით და იქიდან ვხტებოდით წყალში ყირამალა. მდინარეში მრავალი დიდი ზომის თევზი ცურავდა, მაგრამ მათი დაჭერა ჩვენ შესაძლებლობას აღემატებოდა. სამაგიეროდ, თვით სურამში, ბაზართან, სადაც სურამულას მარჯვენა მხარეს ტირიფები იყო დარგული, ვყვინთავდი და ტირიფების წითელი ფერის აურაცხელ წვრილ ფესვებში მობინადრე მოზრდილ თევზებს ხელით ვიჭერდი. თევზაობის დროს წყალში თვალები ღია უნდა გვქონოდა, რომ დასაჭერად

განწირული თევზი ამოგვერჩია; ფრთხილად ხელს მოვუცაცუნებდით თავზე და ბოლოში კუდთან, სწრაფად ხელებს მოვუჭერდით, მოვღუნავდით, რომ თევზის ფართხალი თავიდან აგვეცილებინა და ასაკრეფად ბალახებში გადმოვაგდებდით ხოლმე. ბევრი თევზი დამიჭერია აგრეთვე, ოჩხებისა და წყლის გადაგდებით. პატარა გემრიელ თევზებს გველანასა და მურწას კი სიპი ქვების ქვეშ ვიჭერდით, ვხარშავდით და პიკნიკზე შევექცეოდით.

ზოგჯერ სურამში მოჰქონდათ და აჩვენებდნენ კინოფილმებს; ჰეროლდ ლოიდის კომედიებს ან ტარზანის ფილმებს დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით; ფილმის ჩვენების თარიღს აცხადებდნენ და აჩვენებდნენ ძველ შენობაში, დანჯღრეული, აშლილი ფორტეპიანოს თანხლებით, ან ქუჩაში, რკინის წყალთან, სადაც ხალხი იყრიდა თავს. დასაჯდომად თავისი სკამები მოჰქონდათ და დიდ მხიარულებაში ატარებდნენ დროს. ყოველ ოც წუთში თუ ნახევარ საათში საჭირო იყო ფილმის უკან გადახვევა. ამ დროს სინათლეს იძლეოდა ავტომობილის ფარები. თვით „პროექტორი“ საშინლად რახრახებდა და ზოგჯერ ფილმს წყვეტდა. მხიარული მაყურებლები თვალწარმტაცი ეპიზოდის შეწყვეტის გამო იწყებდნენ სიცილს, სტვენას, ყვირილს: „ოპერატორ ნა გარშოკ, ოპერატორ ნა გარშოკ“. ამასობაში, საბრალო, შეძრწუნებული ოპერატორი რის ვაი ვაგლახით ფირს წებოთი აწებებდა, რათა კინოს ჩვენება განეგრძო და მაყურებელი დაეშოშმინებინა.

ჩვენი სახლი აშენებული იყო დიდი ხეხილის ბაღის სამხრეთ კუთხეში ქუჩის პირას. ეზოს სიგანე 70-80 მეტრს უდრიდა, სიგრძე კი ორას მეტრს აჭარბებდა. ეზო სავსე იყო ნაირგვარი ხილის ხეებით, მათ შორის, სულ ცოტა სამი დიდი კაკლის ხე ორგვარი – მრგვალი და წაგრძელებული – კაკლით, სამი ხეჭეჭურის ხე, ორი თუ სამი კალოს მსხალი, ოთხი გულაბის ხე (ერთზე, ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, საქათმის გვერდით, ღამე ქათმები ისხდნენ და ისე აბინძურებდნენ იქაურობას, რომ ამ გულაბის ხეს არავინ ეკარებოდა), ოთხი კომშის ხე, სამი სხვადასხვა ჯიშის ვაშლის ხე, ხუთიოდე მომჟავო ალუბლის ხე, რამდენიმე ქლიავის ხე (ღოღნაშო, ჭანჭური, ბოყბოყა და ტყემალი) და სხვა მრავალი ხეები. ჩემთვის ყველაზე მიმზიდველი იყო ეზოს ბოლოში ნაკადულთან დარგული ხე, რომელზედაც ხუთი ნაირგვარი მსხალი იყო დამყნილი, ისე რომ მისი ნაყოფით სიამოვნება შესაძლებელი იყო ზაფხულის დასაწყისიდან გვიან შემოდგომამდის. ამ ხის ერთი შტო ისხამდა რუხი ფერის მსხალს, რომელიც მხოლოდ მოკრეფის შემდეგ ზამთარში მწიფდებოდა. ადვილი მისახვედრია, რომ ჩემთვის და ჩემი მეგობრებისათვის ეს ხე ყველაზე უფრო მიმზიდველი იყო და ისე ხშირად ვისხედით ხოლმე ამ ხეზე, რომ განვიზრახე მასზე ბაქანის გაკეთება, მით უფრო, რომ ამ ხიდან ადამიანს თვალწინ ეშლებოდა საუცხოო გადასახედი ყვავილებით სავსე მინდვრებისა და ვენახებისაკენ ე.წ. კუდა ტყისაკენ, რომელიც პაპაჩემს ეკუთვნოდა. ამ ბაქანის გაკეთება იოლი საქმე არ ყოფილა, რადგან იმ ხანაში, საბჭოთა მთავრობის ყოველგვარი სახსარი მძიმე ინდუსტრიის შექმნას ხმარდებოდა, მოსახლეობა თითქმის შიმშილობდა და ყოველდღიური საჭიროების საგნების შოვნაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. ამიტომაც ჩემი ბაქნისათვის საჭირო ნახევრად დამწვარ-დამპალი ფიცრები, მეზობელი მღვდლის დამწვარი სახლიდან ამოვქექეთ და იქვე ვიპოვე ნახევრად დაჟანგებული მოღრეცილი ლურსმნები, რომლებსაც დიდი ვაი ვაგლახით, სიპი ქვის საშუალებით ვასწორებდით და ვაჭედებდით. ვისაც ამგვარი საქმე არ განუცდია, მისთვის ძნელი წარმოსადგენია თუ რატომ მქონდა თითები და ფრჩხილები

დასისხლიანებული და გალურჯებული. იქ განცდილი ტექნიკური სიძნელეები და უხმარი ლურსმნების შოვნის სურვილი ისე ღრმად აღიბეჭდა ჩემს გონებაში, რომ დაძინების დროს ღმერთსა ვთხოვდი ჩემთვის ორიოდ უხმარი ლურსმანი და ჩაქუჩი ეძღვნა. ეს განცდები შემდეგაც თან მდევდა. 50 წლის შემდეგ, ლოს-ანჟელესში სეირნობის დროს თუ სადმე დაკარგულ ლურსმანს დავინახავდი, მაშინვე ავიღებდი და სახლში წამოვიღებდი ხოლმე. ერთხელ მე და ჩემი მეუღლე ირინე, ველოსიპედით ქალაქგარეთ ვსეირნობდით. მოულოდნელად, გზის პირზე გაბნეული ახალთახალი ლურსმნები შევნიშნე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ნატვრა შემისრულდა. დავივიწყე სეირნობა, გადმოვედი ველოსიპედიდან და ქათმის მსგავსად დავიწყე ამ ლურსმნების კენკვა-მოგროვება და ჯიბეში ტენა. ირინე გაოცებით მიყურებდა და ვერ მიმხვდარიყო თუ რატომ ვანიავებდი ამაოდ ძვირფას დროსა და ენერგიას. მის პროტესტს ყურადღებას არ ვაქცევდი და სანატრელი ლურსმნების კრეფას განვაგრძობდი, სანამ ყველა ლურსმანი არ ავკრიფე არ გავჩერებულვარ. ლურსმნების აკრეფის შემდეგ განვაგრძეთ ველოსიპედით სეირნობა. მაგრამ ვაი ამ სეირნობას, რომელიც ჩემთვის აუწერელი ტანჯვა იყო, რადგან ფეხების მოძრაობის დროს წვეტიანი ლურსმნები ჯიბეებს ხვრეტდნენ და ისე მჩხვლეტდნენ, რომ ბარძაყები მთლად დასისხლიანებული მქონდა. დავბრუნდით სახლში. მე სისხლიანი ბაყვებით და ირინე ცინიკური ღიმილით. მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო და ირინე დღესაც ვერ მიმხვდარა ჩემს საქციელს. ამ ეპიზოდის მოგონების დროს გაოცებით თავს გააქნევს და მეუბნება ხოლმე: „უცნაური ხალხი ხართ ქართველები“-ო.

ეს კიდევ არაფერი. გასაოცარი ის არის, რომ როდესაც კალიფორნიაში ბინებს ვიცვლიდით, ამ ლურსმნებს ერთგულად ძველი მეგობრის მსგავსად თან მივათრევდი ხოლმე და ახლა, როდესაც ცხოვრების მე-80-ე წელს მივუახლოვდი, ყავის კოლოფში შენახული ლურსმნები აქ, კარლსბადში, სახლის გარაჟში მაქვს შენახული, იმისდა მიუხედავად, რომ ეს ლურსმნები მოკლეა და ფართო თავიანი, მხოლოდ სახურავზე ლინოლეუმის (თუ შიფერის?) დასაკრავად იხმარება და ჩემთვის სავსებით გამოუსადეგარია.

მსგავსი შემთხვევები მქონდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში, სადაც „მრავალი ღირსებების“ გამო პოპულარულ ილუსტრირებულ ჟურნალებს და ღილებსაც ვაგროვებდი. არა მგონია, რომ მე ვიყავი – და შეიძლება ეხლაც ვარ – არაჩვეულებრივი გამონაკლისი. შეიძლება მსგავსი შემთხვევები, სხვა ემიგრანტებსაც ჰქონდათ, თუმც მათთან ამის შესახებ არ მისაუბრია. რაც არ უნდა იყოს, ეს ანომალური საქციელი ტიპიურია საბჭოთა „სამოთხიდან“ დასავლეთში გადმოხვეწილთათვის და საინტერესო კვლევა-ძიების მასალაა ფსოქოლოგებისა და სოციალური მეცნიერებისათვის. ლურსმნებზე თხრობამ შორს გამიტაცა. ახლა ისევ ჩვენი ხეხილის ბაღს უნდა დავუბრუნდე.

ეზოს ბოლოში მოჩუხჩუხებდა პატარა ნაკადული, რომელიც არა მხოლოდ თევზებით იყო სავსე (გველანა და მურწა), მას ვაგუბებდით და შიგ ვტოპავდით, ან სხვადასხვა სახის წისქვილებს ვაშენებდით. ეს იყო ნამდვილი სწავლის პროცესი. სამწუხაროდ, ამ წისქვილების არსებობის ხანა მოკლე იყო, რადგან ხშირად ღელეში წყლის დონე იმდენად მატულობდა, რომ წყალი ჩვენს წისქვილებს დაანგრევდა და ძნელად ნაშოვნ ფიცრებს წალეკავდა ხოლმე.

ხეებითა და ბუჩქებით სავსე ჩვენი ბაღი, ჩინებული ადგილი იყო აგრეთვე ყაჩაღობანას სათამაშოდ. ხმლებს, ხანჯლებს და ცხენებს სულ

ადვილად ვთლიდით დიდი ჯოხებიდან ან ყავრებიდან. ასე იქცეოდა ყველა ბავშვი, რადგან სათამაშოების ყიდვაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. იმ დუხჭირ ხანაში, სათამაშოების საწარმოებლად არავის ეცალა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სათამაშოები საკმაოდ რუდიმენტული იყო და ფეხბურთის ბურთსაც კი ცხვრის საშარდე ბუშტიდან ან დაჭმუჭნული გაზეთებიდან ვაკეთებდით, მაინც განუსაზღვრელი მხიარულებითა და ხალისით ვთამაშობდი დღეს კი ჩვენი შვილიშვილებისათვის ძვირფას სათამაშოებს ვყიდულობთ, რომელსაც მხოლოდ ცოტა ხნით მიაპყრობენ ყურადღებას, შემდეგ გვერდზე გადააგდებენ და ხელს აღარასოდეს ჰკიდებენ. მგონია არ ვაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ეკონომიური სიძნელეების ხანაში, ბავშვები უფრო მეტად იყვნენ დაჯილდოებული შემოქმედებითი ღირსებებით, ვიდრე ახლა. განსაკუთრებით აშშ-ში. სიძნელეების ხანაში ან საჭიროების დროს, გამოსავალს ჩვენ თვითონ ვპოულობდით. დღეს კი ეს ბავშვებს არ სჭირდებათ, რადგან ამ გამოსავალს ბავშვებისათვის, თვით მშობლები პოულობენ ძვირადღირებული სათამაშოების ყიდვით. ბავშვობის ადრეული ხანიდან მახსოვს ერთი მოვლენა, რომელიც ღრმად აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. ერთ დღეს, ატყდა ტყვიამფრქვევებისა და თოფების ხშირი სროლა. დედაჩემმა და ჩემმა ნათესავებმა შეშინებული და ცრემლიანი გამომეტყველებით ყველა ბავშვები მარანში შეგვრეკა, თვითონაც მარანში ჩამოვიდნენ და მარნის მძიმე კარი გადაკეტეს. ეს სროლა საღამოსაც განმეორდა და მთელი ღამის განმავლობაში კანტი კუნტად ისმოდა. როგორც ჩანს, ეს იყო ეროვნული, ქართული რაზმების გამოსვლები შემოსეული რუსის ჯარის წინააღმდეგ. სხვათა შორის, მშვიდობის ჩამოვარდნის შემდეგ, რუსმა კავალერისტებმა თავისი ცხენები ჩვენი ბაღის ბოლოში დააბინავეს...

კომუნისტური დიქტატურის გარდამავალ სისხლიან ხანას დაერთო ოსების შემოსევა ქართლში, რომლის ერთი ეპიზოდი მეც განვიცადე ქვიშხეთში, ჩემს ამხანაგ ოთარ („ჭია“) ჭიაურელთან სტუმრობის დროს. მისი სახლის მახლობლად იდგა გარეული ბლის ნაყოფით დახუნძლული ხე. გარეული ბალი უაღრესად მწარეა და მისი უგემურობა პირში დიდხანს რჩება; მხოლოდ გვიან შემოდგომაზე, როდესაც ეს პაწაწინა ბალი დაჭკნება, მართლაც საამო საჭმელია. ,,ჭია”, რომელიც უაღრესად ჯიუტი ბავშვი იყო, გვარწმუნებდა, რომ ბალი უკვე დამტკბარია და მის საჭმელად ხეზე ავიდეთო. ჩვენთვის აშკარა იყო, რომ ბალი არ დამჭკნარა და ამაოდ ხეზე ახოხება არ ვისურვეთ. ,,ჭია” კი ჩვენს შესაცდენად ავიდა ხეზე, მჟავე ბლის ჭამა დაიწყო და თანაც გვიტყუებდა, ამოდით ბალი ტკბილიაო. მწარე ბლის ამაოდ ყლაპვით ვერ შეგვაცდინა და ვერც მისმა სირინოზის ხმამ მოგვხიბლა. ხეზე ასკუპებულმა ,,ჭიამ” უეცრად ყვირილი მორთო: „ვაიმე დედა ოვსებიია, ვაიმე დედა ოვსებიიი“, თანაც სწრაფად ჩამოცოცდა ხიდან და სახლისაკენ მოუსვა, ჩვენ კი გაოგნებული და გაშტერებულები დავრჩით, არ ვიცოდით რა ხდებოდა. ვიგრძენით, რომ ,,ჭიას” ბღავილი ხუმრობა არ იყო და ჩვენც მისებრ სახლისაკენ მოვქუსლეთ. ამ შიშიანობას ქვიშხეთში ცუდი შედეგი არ მოჰყოლია. ამბობდნენ ალბათ მხედრებს სხვა გეგმა ჰქონდათო. მაგრამ ორი თვის წინათ ქვიშხეთსაც დასცემიან ოსები და ხალხი აუწიოკებიათ. ამიტომ იყო, რომ ,,ჭია” დედამ დააშინა: „დაინახავ თუ არა მხედრებს, სახლში უნდა მოხვიდე და დაიმალოო...“

სურამში ხშირად გვესტუმრებოდნენ ჩვენი მშობლების მეგობრები თავისი შვილებით და აგრეთვე ჩვენი ნათესავები, ამიტომ მეგობრები არასოდეს მკლებია. მათთან თამაშს, გართობასა და მხიარულებას მართლაც საზღვარი

არ ჰქონდა. მთელი დღე თამაშში ვიყავით გართული, საღამობით კი ხშირად სოფლის მეხრეს მივუსხდებოდით, დიდი გულისყურითა და მონდომებით ვუსმენდით მის მიერ ნახირში განცდილ არაჩვეულებრივ მოვლენებს და ზღაპრებს. ამიტომაც ნახირის დაბრუნებას მოუთმენლად ველოდით ხოლმე და ზოგჯერ ხეზე ავცოცდებოდით, რომ მისი დაბრუნება დაგვენახა. ხეებზე ასვლაში გაწაფული ვიყავი და ერთხელ ჩვენი ჭადრის ხეზე ისე მაღლა ავცოცდი, რომ კენწეროს მივაღწიე. როდესაც ქარმა ჭადარს შემოუბერა, კენწერო ჩემთან ერთად გადაიხარა, გადატყდა და მეც თან ჩამიყოლა. შეშინებულს ტოტისათვის ხელი არ გამიშვია, პირიქით, მთელი ძალ-ღონით ვეჭიდებოდი, თითქოს ეს ტოტი იყო ჩემი ერთადერთი საშველი. მართლაც, ვარდნისას, ეს ტოტი ხან ერთ ღეროს ჩამოეკიდებოდა ხან მეორეს, რითაც ვარდნის ძალა ნელდებოდა. ამის შემყურე შეშინებული ჩვენი ნათესავები და დედაჩემი ტირილ-კივილით ხან რას შემძახოდნენ ხან რას. მათმა ყვირილმა დახმარების მაგიერ უფრო შემაშინა და უვნებლად პარაშუტივით მიწაზე რომ დავეშვი, შიშით ბღავილი დავიწყე და ნუგეშისათვის ჩვენი ძალუას სახლს მივაშურე...

საძოვრებიდან ნახირის დაბრუნება მართლაც განსაკუთრებული მოვლენა იყო. ყოველ საღამოს, თხების, ძროხების და ხარებისაგან შემდგარი ნახირი ბღავილით და მენახირის კიჟინით სოფლის მწუხრის მყუდროებას არღვევდა. გაოცებული შევცქეროდი ხოლმე ამ სანახაობას და გაოცებული ვიყავი ცხოველების მეხსიერებით, რომ ბინდის მიუხედავად, ყოველი ცხოველი შეუმცდარად აგნებდა თავის სახლს, მიუახლოვდებოდა თუ არა, სწრაფად გამოხტებოდა ჯოგიდან და კუნტრუშ-ბღავილით მიაშურებდა ხოლმე თავის ბინას... ბავშვების გატაცება გამოიხატებოდა აგრეთვე ჯვრის ამაღლების დღესასწარულის დროს - 16 სექტემბერს, რომელშიც დიდი ენთუზიაზმით ვმონაწილეობდით ხოლმე ცურვაში გაწვრთნილი ყმაწვილები. მდინარე სურამულას ხიდთან, საიდანაც იწყება იტრიაში მიმავალი გზა, მდინარის ამაღლებულ ნაპირზე, ერთადერთ წისქვილთან, მღვდელი დაიწყებდა წირვას და ბოლოს ოქროს დიდ ჯვარს გადააგდებდა ხოლმე მდინარის მორევში. თითქმის თანადროულად, ტიტლიკანა, სიცივისაგან მთრთოლვარე ბავშვები, მათთან ერთად მეც, ჩავხტებოდით ხოლმე მორებში ჯვრის საპოვნელად და ამოსაღებად, რასაც დამსწრენი ტაშისცემითა და გამამხნევებელი შეძახილებით ხვდებოდნენ ხოლმე. ეს დღესასწაული, რომელიც 13 თუ 15 სექტემბერს იზეიმებოდა, მთავრობის უწყებებმა აკრძალეს და დროთა ვითარებაში დავიწყებას მიეცა. კომუნისტური დიქტატურის დამყარებას შეეწირა არა მხოლოდ ჯვართ-ამაღლება, არამედ მთელი სამღვდელოება. ანტირელიგიური რწმენით გატაცებული ერთი კომუნისტი, ჩვენს პატარა ეკლესიაშიც შესულა, ამოუღია რევოლვერი და აფსიდაში მოხატული ქრისტესა და სხვა წმინდანებისათვის ტყვიის სროლა დაუწყია შეძახილით: „აბა თუ თქვენს ღმერთს ძალა აქვს დამსაჯოს“-ო. ამის შემყურე ერთ ჩიფჩიფა უკბილო დედაკაცს რეგვენისათვის უპასუხნია: „შვილო, ღმერთმა უკვე დაგსაჯა, გონება წაგართვა“-ო...

ჩვენ, სოფლის გარეთ, ხაშურის რკინიგზის ჩრდილოეთით ვენახი გვქონდა. ვენახში სხვადასხვა ჯიშის ყურძენი ქარვის ფერი „თხელკანა“, და წაგრძელებული „თითა“, ან დიდრონი „ხარისთვალა“ თავსაყარი გვქონდა, მაგრამ გული მაინც სხვათა ვენახებისაკენ გვიზიდავდა, რადგან ყურძნის მოპარვა და ყარაულის გაღიზიანება გვიტაცებდა. სექტემბრის დამდეგს კარგა მომწიფებული იყო ყურძენი. ერთხელ მეზობლის ვენახში, რომელსაც მჟავე

გიგო ყარაულობდა, შევიპარეთ, მტევნების კრეფა და ხარხარი რომ დავიწყეთ, გიგომ დაგვინახა და გაშმაგებით კომბლით გამოექანა. ჩვენ ეკლიან ღობეს გადავახტით და თავს ვუშველეთ, გარდა ჩემი ბიძაშვილიშვილისა, რომელსაც ჟუტუ ერქვა. ალიაქოთში საბრალო ისე დაიბნა, რომ ღობეზე გადმოხტომა ვერ შესძლო და იქვე წაწოლილ უზარმაზარ ჭურში შეძვრა დასამალავად. ეს გიგოს არ გამოპარვია. მივიდა ჭურთან, მაგრამ თავისი სხეულის სისქის გამო ვერ იქნა და ვერ შეძვრა შიგ, რომ ჟუტუ გამოეთრია. მაშინ იმედგაცრუებულმა მჟავე გიგომ გრძელი ჯოხის ძებნა დაიწყო, იპოვა ერთი სარი და ამით ჭურში მოკალათებული ჟუტუს ცემა მოინდომა, მაგრამ სარი მოკლე გამოდგა და ჟუტუს ვერ მიწვდა. გიგო ჭურს მოსცილდა უფრო გრძელი სარის საძებნელად. ამასობაში ორიოდ ბავშვი ვენახის სამხრეთით ეკლიან ღობეზე გადავხტით, რომ გიგო ჩვენსკენ გაგვეტყუებინა. ხრიკი გამოდგა; გიგო ღრიალითა და მუქარით გამოექანა, მაგრამ ჩვენ შევძელით უკან გადახტომა. ამასობაში ჟუტუმ დრო იხელთა და ღობეზე გადმოხტა, სამშვიდობოს გამოვიდა. ვხარობდით, რომ საბრალო, ჩუმი და სუსტი აგებულების ჟუტუ ვიხსენით...

ახლო ნათესავები

მიუხედავად იმისა, ბავშვები მხიარულებას მოკლებულნი არ იყვნენ, ჩვენი მშობლებისათვის ეს იყო კაეშანითა და მწუხარებით მოცული ხანა, როდესაც კომუნისტური დიქტატურის მიერ თანდათანობით ფეხმოკიდებას თან სდევდა საზოგადოების ტრაგიკული ტრანსფორმაცია, რაც გამოიხატებოდა ძველი ეროვნული კულტურისა და ტრადიციის უხეშად აღმოფხვრაში, ჩვენთვის უჩვეულო ინტერნაციონალიზმისა და ახალი სოციალური პრაქტიკის დანერგვაში. ეს ტრანსფორმაცია რა თქმა უნდა ხდებოდა ძალადობითა და სისხლის ღვრით. რეპრესიები ჩვენს ოჯახსაც არ ასცდა. რადგან მამა ქალაქის თავის მოადგილე იყო, ჩამოგვართვეს ქონება და დედას საყვარელი არაბული შავი ცხენი – რომლისგანაც დაგვრჩა მათრახი, რბილი ყვითელი უნაგირი და ცხენის მოსართავი. ამ უნაგირს მარცხენა მხარეზე ღერო ჰქონდა ფეხის გადმოსადებად, ისე რომ მხედრობის დროს ორივე ფეხი მარცხენა მხარეზე იყო გადადებული. ამ ხანაში დააპატიმრეს აგრეთვე საბრალო მამა, რის გამოც ნუგეშისათვის მთელი ჩვენი ოჯახი დედაჩემის დედა ანტანინასთან ვატარებდით. დიდედაჩემი ფიზიკურად დიდი, წარმოსადეგი და ჰარმონიულად აგებული ქალი იყო (დიდედაჩემს, სლავურის გარდა, ბერძნული სისხლიც ერია. დედამისი წარჩინებული ბერძნული ოჯახიდან იყო, რაც არაერთხელ მსმენია ჩემს ბავშვობაში და თბილისში ყოფნისას, ჩემმა დეიდაშვილმა თამრომ დამიდასტურა). პაპაჩემი ნიკოლოზ გიორგის ძე ჯობაძე 1900 წლიდან იყო მამასახლისი, სახალხო მსაჯული (Статский советник). დიდედაჩემს და პაპაჩემ ნიკოლოზს, რომელიც დიდედაჩემისაგან განსხვავებით იყო მომცრო ტანისა და ჩუმი კაცი - ჯერ კიდევ ჰქონდათ საკონდიტრო და ლიმონათის ქარხანა, რომელიც დაარსდა 1890 წელს. დიდედას ჰყავდა ექვსი შვილი: დედაჩემის გარდა სამი ქალი (ლიდა, ჟენია და ადრე გარდაცვლილი ანიჩკა) და ორი ვაჟი - ბორია და შურა, რომლებიც ქალებზე უფრო ახალგაზრდები იყვნენ. ჩემი ბავშვობის დროს, ქალები უკვე გათხოვილები იყვნენ: ლიდას ქმარი სამსონ ნუცუბიძე ტექნიკუმის დირექტორი იყო, რომელიც 1938 (?) წელს დააპატიმრეს და გააციმბირეს, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. ჟენიას ქმარი სოსო ზვიადაძე

იყო კავალერიის დივიზიის უფროსი პოლკოვნიკის ხარისხით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის დროს თურქებთან ბრძოლაში ფეხში დაიჭრა და კოჭლობდა, თავისი თანამდებობა დიდხანს არ მიუტოვებია. ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა. ვაჟები გვიან დაქორწინდნენ - პირველი იყო ქართული ლიტერატურის მასწავლებელი, მეორე – აგროკულტურის ინჟინერი და ჩაის ქარხნის დირექტორი. ბებიაჩემი და პაპაჩემი შეძლებული მოქალაქეები იყვნენ: მათ ჰქონდათ დიდი, კარგად მოვლილი შუშაბანდიანი ორსართულიანი სახლი, რომლის პირველ სართულზე იყო საკონდიტრო, სადაც არა მხოლოდ ნაცხვრები იყიდებოდა, არამედ შესაძლებელი იყო აგრეთვე ნაყინის, მაწვნისა და კისელის მირთმევა ან ჩაის დალევა. საკონდიტროს უკან ლიმონათისა და ნაყინის ქარხანა იყო. ამ მთავარი ბინის გარდა, სამხრეთით, ერთმანეთის პირდაპირ იდგა კიდევ ორი სახლი - ერთი ერთსართულიანი, ერთმანეთზე მიყოლებული ხუთი ოთახით, მეორე კი ორსართულიანი და მომცრო. მათ შორის სახნავ-სათესი მიწა, ჩრდილოეთით კი მშვენიერი ყვავილნარი ბაღი იყო. უფრო სამხრეთით გულდასმით მოვლილი ვენახი და ნახევრად დანგრეული სახლი. ვენახის ჩრდილოეთით ბოსელი იყო, რომელშიც ორი-სამი ძროხა ბინადრობდა, ხოლო ბოსლის სხვენზე თივის და სიმინდის ზვინები იდგა. ერთხელ, ბავშვობაში, ამ სხვენზე ავცოცდი, სიმინდის ფუჩეჩისაგან დავახვიე სიგარის ზომის პაპიროსი და დავიწყე მისი მოწევა. სქელ ბოლს ვუშვებდი, რამაც საშინელი ხველება დამაწყებინა. ამის დანახვაზე, მოსამსახურე ქალებმა დაიწყეს წივილ-კივილი, ამან შემაშინა და დავიწყე ძირს ჩამოხოხება. კარს რომ ზემოდან მოვექეცი, ფეხის დასადგმელი ადგილი არ იყო და აღარც მე შემეძლო ხანგრძლივად კედელზე დაკიდება, მაგრამ ამ დროს, ბოსლიდან გამოდიოდა ძროხა, რომელსაც ზედ ისე დავეცი, რომ დაბნეულობის გამო, სიგარა პირიდან არ გამომიღია. ვიჯექი აუჩქარებლად მიმავალ ძროხაზე ჩაბღაუჭებული, სრულიად დაბნეული და არ ვიცოდი როგორ დემეხსნა თავი ამ გასაჭირიდან.

დიდედაჩემს განსაკუთრებით ვუყვარდი. ალბათ იმიტომ, რომ მის შვილიშვილებში მაშინ ერთადერთი ბიჭი მე ვიყავი. ფეხბურთის თამაშიდან ან ჭიდაობიდან დასისხლიანებული ან დაგლეჯილი რომ მოვიდოდი ხოლმე, დიდედაჩემი ისე მომეფერებოდა, დამბანდა, მომივლიდა, რომ დედაჩემს არ ენახა. ბაზარში როცა საყიდლებზე წავიდოდა, მეც თან გამიყოლიებდა ხოლმე. კარგად ჰქონდა დაგეგმილი თუ რა უნდა ეყიდა და ამაო ხეტიალში დროს არ კარგავდა. ჩუსტებს ყიდულობდა შუკაკიძესთან, ხორცს კი გამხდარ, ხმელი სახის მქონე კეჩხუაშვილთან. კარგად მახსოვს, დიდედა მალ-მალე ეუბნებოდა კეჩხუაშვილს: „ერთი ქონიც მიაყოლე გენაცვა, ერთი ქონის ნაჭერიც მიაყოლე გენაცვა“ და ვერ გამეგო თუ რად უნდოდა ამდენი საქონლის ქონი. ბაზრობის დღეს, დიდედა დიდი რაოდენობით ყიდულობდა აგრეთვე ჭყინტ ყველსა და ნაადრევ ბალს, რადგან ბალი ბავშვებს ძალიან გვიზიდავდა. ჭყინტი ყველი, ხილეული, ქათმები და მსხვილი ოთხფეხიც წიფიდან და მიმდებარე სოფლებიდან შემოჰქონდათ. დაღლილი, მაგრამ მშვენიერი იერსახის იმერლები, ზურგზე მოკიდებული უზარმაზარი კალათებით და მკლავებზე ჩემოკიდებული გასაყიდი საქონლით, დახეულ-დაგლეჯილი სამოსით, ავტომობილის თვალის რეზინიდან გაკეთებული პრიმიტიული სანდლებით ფეხშიშველზე, ოფლში გაწურულნი, ფეხით მოდიოდნენ 20-30 კილომეტრის მანძილზე, გადმოივლიდნენ რიკოთის უღელტეხილს, სურამში რომ გაეყიდათ თავისი მცირე ნაწარმი, მოეგოთ ორიოდ გროში და ამით შეეძინათ ოჯახისათვის საჭირო საგნები. მათი დაღლილი,

ოფლიანი, სასოწარკვეთილი გამომეტყველება და მათდამი შეცოდების გრძნობა დღემდის ღრმათა მაქვს გულში შენახული.

დიდედაჩემი ნამდვილი „ოთარაანთ ქვრივი“ იყო. გაჭირვებულ-დაძაბუნებულს ჯერ პილპილმოყრილ ,,ქადაგებას” წაუკითხავდა და შემდეგ უხვად ასაჩუქრებდა ხოლმე. ის ღვთის რისხვა იყო კომუნისტებისათვის. როდესაც საკონდიტრო დაუკეტეს და მიითვისეს, სცადეს მისი სახლის წართმევაც. ერთხელ ჩემი თვალით ვნახე, სამი პარტიული კიბეებზე ამოვიდა და სახლში შემოსვლა სცადეს. დიდედაჩემი მშვიდი განმარტებით რომ ვერა-ფერს გახდა, მოძალადეებს დაეჭიდა და კონფისკაციისათვის მოსული სამივე კაცი კიბეებზე დააგორა. ამის შემყურეს შემეშინდა, რომ ბებიას დააპატიმრე-ბდნენ და გააციმბირებდნენ, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ეს არ მოხდა და ამის შემდეგ, სახლიც არ წაურთმევიათ...

ჩვენი ოჯახის გასაჭირი და მამაჩემის დაპატიმრება

მას შემდეგ, რაც ჩვენი ეროვნული დამოუკედებელი მთავრობა, შემო-სულმა კომუნისტმა დამპყრობლებმა მიწასთან გაასწორა და საქართველოდან განდევნა, დაიწყო მოსახლეობის უმოწყალო დევნა-შევიწროება და მასიური დახვრეტები, რომელიც გაძლიერდა 1924 წლის აჯანყების შემდეგ. ამ დროს სურამში დააპატიმრეს საბრალო მამა, რადგან ის – ჩემი დის თინას თქმით – მონაწილეობდა კომუნისტების საწინააღმდეგო შეთქმულებაში, რომელიც ვიღაც გარეწარმა გასცა.

პატიმრებს და მათ შორის მამაჩემს, რამდენიმე კვირაში გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი და დასახვრეტთა სიები ხაშურის ქუჩებში ბოძებზე გამოაკრეს.

ეს არ გვაკმარეს, ჩეკისტები, ნებისმიერ დროს შემოვარდებოდნენ ხოლ-მე ჩვენს ოთახში, ფხრეწდნენ ბალიშებს და ბუმბულს, ტანსაცმელთან ერთად, აქეთ-იქით ფანტავდნენ, აცარიელებდნენ უჯრებს და თავდაყირა აყენებდნენ ავეჯს. ამგვარი ჩხრეკები იშვიათი არ ყოფილა. მიზეზი, ვითომც იარაღისა და პროკლამაციების ძებნა იყო. ეს ბოროტებით აღსავსე, თავაშვებული ჩხრეკები დედაჩემს საშინელ მწუხარებას, ნერვიულ შეტევებს და „გულის ფრიალს“ ჰგვრიდა. ამგვარი შეტევების დროს დედას თვალები ცრემლებით ევსებოდა, მკერდი უწითლდებოდა, ცახცახებდა და გული უფანცქალებდა. ამ დროს, ჩემს დას - თინას, რომელიც ჩემზე სამი წლით უმცროსი იყო, ტირილის მეტი არა შეეძლო რა. მეგობრებს ეშინოდათ ჩვენი დახმარება, რადგან ე.წ. შავ სიაში ანუ „ხალხის მტრები“-ს სიაში ვეწერეთ და ამრიგად, გულის შეტევების დროსაც სავსებით მარტონი ვიყავით. ამ დროს, დედას დახმარება მე მევალებოდა და დედის დარიგებისამებრ, მას მკერდზე ვადებდი ცივი წყლის კომპრესებს, ვუზელდი გაყინულ ფეხებს და ნერვების დასამშვიდებლად ვასმევდი „ვალერიანკის“ წვეთებს, რომლის მკვეთრი სუნიც დღემდე ჩამრჩა მეხსიერე-ბაში, თუმცა „გულის ფრიალის“ დროს დედის დახმარება შედარებით იოლი იყო, მაგრამ შიში, რომ დედის ავადმყოფობა შეიძლება გაუარესებულიყო, რისთვი-საც მე უძლური და მოუმზადებელი ვიყავი, გაცილებით დიდი და მტკივნეული გახლდათ.

სიკვდილმისჯილი პატიმრები დასახვრეტად გაიყვანეს ტყეში, პატარა ქოხში, საიდანაც თითოეულს სიით იძახებდნენ და ხვრეტდნენ. გამოიძახეს

მამა – გავარდა თოფი, ამ დროს ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარმა, იურისტმა (რომლის გვარიც არ მახსოვს, უკეთ არ ვიცი, ვინაიდან მშობლები ამას არ გვიმხელდნენ), რომელსაც ევალებოდა ამ ოპერაციის ზედამხედველობა, უდიდესი რისკის ფასად მამა ტყიდან გამოაპარა. დედამ კი შეშინებული და განცდებით განერვიულებული, სახეზე შალმოხვეული, ღამის მატარებლით თბილისში ჩამოიყვანა.

მწუხარება ცრემლნარევმა სიხარულმა შეცვალა. დადგა ოჯახისათვის უმძიმესი პერიოდი. მამა არ მუშაობდა მთელი წლის განმავლობაში. სურამშიც ვერ ჩადიოდა. დედა დიდედაჩემთან დატოვებული ნივთების ნაწილს ყიდდა, დიდედაც როგორც შეეძლო გვეხმარებოდა. მამა გამუდმებით სახლში იჯდა და რადგან ბუნებით დაჯილდოებულს ხელოვნება ეხერხებოდა და იტაცებდა, ფანქრით თავისი ძმებისა და ჩვენი მეფეების პორტრეტებს ხატავდა. ზოგჯერ მოჰქონდა ფიცრის ნარჩენები და გახურებული შანთით სხვადასხვა კომპოზიციებს ჰქმნიდა. ხშირად ვაშტერდებოდი მამაჩემის მწუხარე თვალებს და გული მტკიოდა, რომ არაფრით შემეძლო მისი დახმარება. მთელი სხეულით ვგრძნობდი, რომ კომუნისტურმა წეს-წყობილებამ კეთილშობილი, კაცთმოყვარე, სავსებით უმანკო მორალის მქონე, უდანაშაულო მამაჩემი გააუბედურა. საბჭოთა მთავრობის ეს ბოროტი დანაშაული, სამუდამოდ დამრჩა მეხსიერებაში არა მხოლოდ მე, არამედ მრავალ, ჩვენს მდგომარეობაში მყოფ მეგობრებსაც. მას შემდეგ 70 წელზე მეტი გავიდა, გამოვცადე ხუთიოდე ქვეყნის სახელმწიფო წყობა, გავეცანი სახელმწიფოს მართვის თეორიულ მხარეს და ვრწმუნდები, რომ თეორიულად უაღრესად მიმზიდველი კომუნიზმისათვის, არც ბარბაროსული რუსეთი და არც საქართველო მომზადებული არ იყო. კაცთმოყვარეობის, თანასწორობის, მეგობრობის იდეალები სულ მალე, ირან-არაბ-თურქეთის მიერ ჩათესლილმა რუსი ხალხისათვის დამახასიათებელმა სიმუხთლემ, ბოროტებამ, დევნა-შევიწროებამ, გაციმბირებამ და მასობრივმა დახვრეტებმა შეცვალა. ამ ძალმომრეობის, თავაშვებული ბოროტებისა და სისხლის წვიმების ხანამ, როდესაც ადამიანის სიცოცხლე ერთი პურის ფასზე ნაკლები ღირდა, მრავალი საუკეთესო, დამსახურებული, ღვაწლმოსილი, პატიოსანი ქართველი მამულიშვილი იმსხვერპლა. ისე რომ, ამგვარი საქციელით მთავრობამ მოყვარეების მაგიერ მტრები შეიძინა. იმ პერიოდში ხშირად გვესტუმრებოდა ხოლმე მამას მეგობარი შაქრო ხიდირბეგაშვილი. ის იყო მაღალი, თხელი ტანის, ყოველთვის მომღიმარი გამომეტყველებით, მაგრამ ხმა კი უცნაური ჰქონდა, ხმამაღლა, ცხვირში ლაპარაკობდა, ალბათ ხმის იოგების დაზიანების გამო.

მთავრობის განუწყვეტელ რეპრესიებს მთელი საქართველო განიცდიდა, ან მის მოლოდინში იყო. ამ დროს, ჩვენს ოჯახს კიდევ ერთი უბედურება დაატყდა თავს - მატერიალური კატასტროფა. როგორც შემდეგ შევიტყვე, ჩემს მშობლებს სურამში შემონახული ჰქონდათ ფული, ოქრო და დედაჩემის ძვირფასი სამკაული, რომლის თბილისში ჩამოტანაც განიზრახეს; ამისთვის დედაჩემი მატარებლით გაემგზავრა სურამში და ეს განძი თბილისში ჩამოიტანა. ჩვეულებისამებრ, თბილისის სადგურზე მას დახვდნენ ნათესავ-მეგობრები და მათ შორის მეც. ამ შეხვედრით გამოწვეული მხიარულებისა და ხვევნა-კოცნის პროცესში დედას მოპარეს დიდი „ლაქიროვანი“ ჩანთა, რომელშიც ჩვენი ოჯახის განძი იყო მოთავსებული. ამ უკანასკნელი ფინანსური იმედის დაკარგვამ დედაზე ისე იმოქმედა, რომ გული წაუვიდა, გაწითლდა და ცახცახი დაეწყო. ნათესავებმა დედა მოასულიერეს და სახლშიც წამოიყვანეს, მაგრამ ამ დანაკა-

რგმა ისე ძლიერად იმოქმედა დედაზე, რომ მრავალი ხნის შემდეგაც წუხდა და ვერ იქნა და ვერ „გამოიტირა“ ეს ტრაგიკული დანაკარგი.

ოჯახის მომარაგება საკვებითა და საწვავი მასალით, უაღრესად ძნელი საქმე იყო და ყოველთვის წარმატებით არ გვირგვინდებოდა. ხორცი არა მხოლოდ ძნელად მისაგნები იყო, არამედ მაღალი ფასიც ჰქონდა. მახსენდება ერთი ეპიზოდი: საბრალო დედამ ტანისამოსის სარეცხისათვის, რის ვაი ვაგლახით ყველა საჭირო ელემენტი შეაგროვა, ლურჯ ვენებიანი თეთრი საპონი მამლის ბეჭედით „პეტუხ“, რაც ყველაზე მაღალი ხარისხის სამრეცხაო საპნად ითვლებოდა, იშოვა კაი სასმელ-საჭმელი და ხორციც, აგრეთვე ორიოდ „გუდურა“ შეშა (,,გუდურა” იყო პარალელურად დაწყობილი და შეკონილი ფიჩხი, რომელსაც ვირს ორივე მხარეს თანაბრად გადაჰკიდებდნენ ხოლმე მახლობელი სოფლის გლეხები (ან ჩარჩები), მოჰქონდათ ქალაქში, ქუჩა-ქუჩა გასაყიდად დაატარებდნენ თანმხლები შეძახილით: ,,გუდურაااა”... სხვათა შორის, ეს ტერმინი იხმარებოდა აგრეთვე კაცის დასამცირებლად: ,,შენ კაცი კი არა, გუდურა ხარ”-ო ეტყოდნენ). ამის შემდეგ, დიდი ხნის წინათ დაპირებული მრეცხავი ქალი, რომელიც თუ მოისურვებდა მოვიდოდა მხოლოდ მაშინ, თუ შრომას გულუხვად აუნაზღაურებდი და საუკეთესო საზრდოთიც დაანაყრებდი. რადგან დედამ ბოლოს და ბოლოს ყველა ამ პირობის შესრულება შეძლო, რა თქმა უნდა გახარებული იყო, მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან, როდესაც მოჩუხჩუხე „ბორშჩის“ ქვაბს სახურავი ახადა, ქვაბიდან ისეთი ცხელი ბუღი ამოვარდა, რომ უცაბედად ხელიდან „პეტუშოკი“-ს საპონი გაუსხლტა და ქვაბში ჩავარდა. ყველა უმალ მწუხარებამ მოიცვა, მაგრამ არ დაბნეულან, ჯოხებით თუ კოვზებით სწრაფად მდნობი „პეტუშოკი“ საპონი ქვაბიდან ამოიღეს, ხორცი გარეცხეს და ქვაბმაც ძველებური ჩუხ-ჩუხი წამოიწყო. სადილობისას ეს შელანძღული ბორშჩი ყველამ დიდი სიამოვნებით მიირთვა.

ოთახის გათბობის ერთადერთი საშუალება იყო ე.წ. „კეროსინკა“, რომელიც არა მხოლოდ ათბობდა ოთახს, არამედ მასზედ შეიძლებოდა ხარშვაც. „კეროსინკა”- ს სჭირდებოდა ნავთი, რისი შოვნაც ბევრ სიძნელეებთან და ნერვიულობასთან იყო დაკავშირებული. ნავთის შოვნა მე მევალებოდა; ამისათვის საღამოს უნდა წავსულიყავი და ნავთის რიგში ჩავმდგარიყავი, იმედით, რომ მეორე დილას ნავთს მოიტანდნენ დასარიგებლად. სანავთით ხელში მთელი ღამე რიგში დგომა, ან კედელთან ჩაცუცქება და სულელური ამბების სმენა მართლაც მომაკვდინებელი იყო, უფრო კი ზამთრის სუსხში ან თოვლ-ჭყაპში. ჩხუბიც ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რადგან თავმობეზრებულ ხალხს იქ დგომის მაგიერ მოჰქონდათ დიდი ლოდები, რომლებზედაც რიგის ნომრებს აწერდნენ, თვითონ კი დილამდის დასაძინებლად სახლში მიბრძანდებოდნენ, ზოგს მეზობლებისთვისაც მიჰქონდა ქვები. ამგვარი მოქმედება ღამის მთეველებისათვის გამაღიზიანებელი იყო. ისინი ამ დანომრილ ქვებს ქუჩაში ისროდნენ და როდესაც დილაზე მისი პატრონები მოვიდოდნენ, დაინახავდნენ, რომ მათი ქვები იქ აღარ იყო სადაც დატოვეს, იწყებოდა ნამდვილი მუშტიკრივი. დილით ნავთის რიგი ახალ-ახალი მოსულებით გრძელდებოდა ან უკეთ მსხვილდებოდა, რადგან ახალ მოსულთა უმრავლესობა რიგგარეშე ცდილობდა შეძრომას და ნავთის მიღებას. ის, ვისაც არ გამოუცდია მშიერ-მწყურვალი მთელი ღამე სუსხიანი ზამთრის რიგში დგომა, რომ დილაზე ვიღაც სალახანებმა გაგრიყონ, რათა ურიგოდ და უწესოდ თვითონ მიიღონ ნავთი, ვერ წარმოიდგენს, როგორ მძაფრ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ტკივილს განიცდის ადამიანი.

ხშირად რიგში იმდენი უწესო შეეჩხირებოდა, პოლიციელი, არმიელი, მეეზოვე ან ვიღაც ჯანდაბა, რომლებიც თვითონ ქმნიდნენ ზეპირ კანონებს საკუთარი უწესობის დასაცავად და პატიოსანი, რიგში მომლოდინე ხალხი კი, ხშირად სახლში უნავთოდ, ხელცარიელი და ბოღმით სავსენი ბრუნდებოდნენ. რადგან ჩვენთვის განკუთვნილი ნავთი გაიძვერებს მიჰქონდათ, ანდა ნავთი საერთოდ არ მოდიოდა, ან ძალზე ცოტა, მთელი ღამის ნავთის რიგში გათენება ნავთის მიღების გარანტიას არ იძლეოდა.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა თუ ქაოსი მძვინვარებდა ფელიპეს (თუ ფილიპე?) პურის დუქანთან, რომელიც ნავთის წერტის მახლობლად მდებარეობდა. რუსული „რჟანოი“ პურის შოვნა გაცილებით ადვილი იყო, მაგრამ ხელს რომ მოუჭერდი, პურს წვენი გასდიოდა. ამიტომ თუ ამ პურს იყიდდი, საჭირო იყო მისი დაჭრა და „კეროსინკაზე“ გამოცხობა. საბრალო მამა ამ პურს ვერ მიირთმევდა, მაგრამ მისგან მშვენიერ სკულპტურებს ძერწავდა.

მწვანილეულობისა და ხილეულის შეძენა ყოველგვარი რიგის გარეშე შეიძლებოდა. ამას ყიდნენ კინტოები თაბახზე ახროვილ ხილეულით, რომელთაც ეს თაბახები თავზე ჰქონდათ შემოდებული, სასწორი კი მხარზე გადაკიდებული. კინტოებს ეცვათ წელზე შემოტკეცილი სატინის ბლუზები, ვერცხლის ზიზილ-პიპილოებით დამშვენებული, შარვალი კი ფართო, ფართხუნა. ეს კინტოები ნაირ-ნაირი შეძახილებით და პრანჭვა-გრეხით ცდილობდნენ მუშტრის მოზიდვას. მედუქნე ყარაჩოღლები უფრო შეძლებულები იყვნენ და უფრო სერიოზულ შთაბეჭდილებასაც ტოვებდნენ, მეტი სამკაულით იყვნენ დამშვენებულნი, ვერცხლის ქამრით, გვერდზე გადაწეული შავი კონუსური ქუდით და ჩაკეცილი ჩექმებით, მთელი სამოსი ერთფეროვანი, შავი ან ლურჯი ფერისა იყო. ისინი გამოირჩეოდნენ მათთვის ჩვეული ხუმრობის ვრცელი რეპერტუარით... მათი ცხოვრების იდეალი იყო ნადიმები, სადღეგრძელოებში შეჯიბრება და სასიამოვნო დროსტარება, „სმა-ჭამა დიდად შესარგი“ (ეს იდეალები, რომლებიც მე-XIX საუკუნის პოეზიაში აისახა დამღუპველი იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის; ამგვარი ყარაჩიღელ-კინტოები, დავით კურაპალატის, ბაგრატ მეოთხის და დავით აღმაშენებლის საზოგადოების წევრად არ ჩაითვლებიან. ,,განახლებული ივერია”-ს მე-4-ე ნომერში (2000 წ.), გვ.13, თეიმურაზ ბერიძე, თავისი ფორმით მშვენიერ წერილში, მისტირის ამ კინტო-ყარაჩოღელების ეპოქას და ვერ გაუგია, რა ზიანი მოუტანეს მათ საქართველოს).

თათრის ბაზარი, რომელსაც ეკვროდა დახურული ბაზარი, იწყებოდა ვირის ხიდთან და მთავრდებოდა სიონთან. ბაზრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ერთ ვიწრო ჩიხში ნახევრად მონგრეულ ფარდულში მუშაობდა ერთი კუზიანი ფეხსამოსის შემკეთებელი, მაგრამ მისი მთავარი მოღვაწეობა (და შემოსავალიც) იყო ყოჩების და მამლების ბრძოლა, რასაც მრავალი მაყურებელი არალეგალურად ესწრებოდა და ბევრ ფულსაც ხარჯავდა. ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი: ამ ბაზართან მშვენიერი არაბული ცხენით მოდიოდა ხოლმე ერთი სპარსი, ცხენს იქვე აბამდა და თვითონ საქმეზე მიდიოდა. მეტეხი ამ დროს ციხედ იყო ქცეული, ციხიდან ერთმა მეგრელმა თვალი კრა ამ ცხენს და ისე მოეწონა, ციხიდან გამოიპარა, სპარსს ეს ჩინებული ცხენი მოპარა და ისე გადაიკარგა, რომ ვერავინ მიაგნო.

სამოცდაათ წელზე მეტმა გაიარა, რის გამოც არ ძალმიძს ადრეულ ბავშვობაში განცდილი მოვლენები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღვწერო.

ეს არის მიზეზი, რომ აქ განმხოლოებულად „სტაკატტო“-ს სახით ვწერ იმ ეპიზოდებს, რაც ჩემს მეხსიერებაში უფრო მკვეთრად აღიბეჭდა;

ერთ-ერთი ყველაზე მწუხარე შემთხვევა განვიცადე საზაფხულოდ სურამში ყოფნის დროს. დედამ თბილისიდან სასიხარულო ცნობა ჩამოიტანა - მამა ხუთ დღეში სურამში ჩამოვაო. მამას ჩამოსვლის დღეს დედას ვკითხე, თუ რით შემეძლო მამის გახარება. დედამ მომიგო: აიღე ეს დოქი და საღამოს ჩვენი წყაროდან მამას ცივი წყალი მოუტანეო. ეს წინადადება უაღრესი სერიოზულობით მივიღე, რადგან ცივი წყაროს წყლის მოტანით მეძლეოდა პირველი შესაძლებლობა მამისათვის დახმარებისა და მისი გახარებისა. მამის ჩამოსვლას საღამოთი მოველოდით, ამ დროისათვის ავიღე დოქი და წყაროსაკენ გავსწიე. რომ მივედი, თუმც ეს წყარო ჯობაძეებს ეკუთვნოდა, აუარებელი ხალხი ეხვია და რათა სხვებისათვის დაესწროთ, ყველა მუჯლუგუნის ცემით უწესოდ ცდილობდა წყაროსთან ახლოს მისვლას. რადგან პატარა და უძლური ვიყავი, ვერ იქნა და ვერ მივაღწიე წყაროს. მხოლოდ ხანგრძლივი მუჯლუგუნის ხმარებ-ხმარებით მივედი წყაროსთან, ჩემი დოქი ავავსე სანატრელი წყლით და როდესაც ხროვიდან გარეთ გასვლას ვცდილობდი, ვიღაცამ ჩემს დოქს სპილენძის თუნგი გაჰკრა და დოქი დაიმსხვრა. ამასთან დაიმსხვრა ჩემი ერთადერთი შესაძლებლობა, იმედი და დიდი სურვილი მამაჩემის გახარებისა. დოქისაგან ხელში შემრჩა მხოლოდ სახელური. ცივი წყლის გარეშე და გულამოსკვნილი ტირილით დავბრუნდი სახლში. უაღრესი მწუხარებით ვუამბე დედას რაც თავს გადამხდა. დედაც შეწუხდა და თანაც მამშვიდებდა, რომ მამას მატარებლის ბილეთი ვერ უშოვია და მხოლოდ ზეგ შესძლებს ჩამოსვლასო. მე მაინც გულდაწყვეტილი დავრჩი და დღესაც ტკივილით ვიგონებ ამ თითქოს უბრალო, მაგრამ ჩემთვის შემზარავ ეპიზოდს...

მამას ძალიან უყვარდა ლეღვი, ამიტომაც ორიოდეჯერ ზესტაფონში ვესტუმრეთ მამას უფროს დას მართას, რომელსაც გემრიელი ლეღვის ხეები ჰქონდა. ჩვენი საძილე ოთახის ფანჯრიდან ყოველ დილას ხელს გადავყოფდით და ტოტებზე დახუნძლულ დამსკდარ დიდ ლეღვებს გეახლებოდით... ეს ლეღვები ისე გამიტკბა, რომ დედაჩემის თხოვნით ჩვენმა მეზობელმა პეტრე ურთქმელიძემ, თავის „პარავოზზე“ დამსვა და სამტრედიაში მიმავალმა ზესტაფონში ჩამომსვა. მითხრა ორ დღეში დავბრუნდები და უკან წაგიყვანო. ამ ორ დღეს მამიდაჩემის ლეღვებს მივაძეხი და უკან დაბრუნებამდის აღარ მოვეშვი. დიდულვაშებიანი და ღიპიანი პეტრე კარგი ხასიათის კაცი და დიდი ხნის ნაცადი „მაშინისტი“იყო, „ტუჟურკის“ ქვეშ ჟილეტის პატარა ჯიბეში, ჯაჭვზე ჩამოკიდებული დიდი საათი ჰქონდა და მოგზაურობის დროს ხშირ-ხშირად დასცქეროდა, ალბათ განრიგის შესამოწმებლად.

ხარფუხი

დავსახლდით თბილისის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელსაც ხარფუხი ეწოდება. ეს არე უფრო სომხებით, თათრებითა და „ხალხის მტრებით“ იყო დასახლებული. მოსახლეობა ღარიბი იყო, რაც ქურდობას და ხშირ აყალ-მაყალს იწვევდა. მეორე მხრივ, ხარფუხში ცხოვრობდა სახელმოხვეჭილი, ხალხის საყვარელი ლირიკოსი იოსებ გრიშაშვილი, რომელიც კომუნისტების საქართველოში შემოსევას მტრულად შეხვდა, რაც აშკარად გამოსჭვივის მის ადრეულ ლექსებში: „ .... ჩვენი დედაქალაქი ძაბრის ქუდით აივსო“, ან „ვინც კი

დაიწყებს ლექსების წერას, აქებს ან ზაგესს ან მუშის წერაქვს, ოჰ ეს ზაგესი იმ-დენი აქეს, რომ ამდენ ქებით ის ილაქება“ (ზაჰესი იყო საბჭოთა ხელისუფლების უნივერსალური მიღწევების სიმბოლო და სიამაყე. ამ ელექტროსადგურს, რომელიც მცხეთაში მდებარეობს, თავდაცვის მიზნით მრავალმა ქართველმა პოეტმა სახოტბო ლექსი უძღვნა); მაგრამ დროთა სრბოლაში, მას მთავრობამ „ჭკუა ასწავლა“ ანუ „მოათვინიერა“, კომუნიზმის დიდების ჰანგები ააჟღერებინა და ბოლოს სოციალიზმისა და საბჭოთა წეს-წყობილების გმირადაც კი მონათლა.

დავუბრუნდეთ ჩვენი ერთოთახიანი ბინის, თვით სახლის, მისი სანახების დახასიათებას და იქ მომხდარი ორიოდ ეპიზოდის აღწერას, რადგან მან ღრმად დადაღა ჩვენი ოჯახის ხანგრძლივი მწუხარე ცხოვრება, თუ მას ცხოვრება შეი-ძლება ერქვას. სახლი, რომლის ერთ ოთახში ჩვენ ვბინადრობდით, იყო უბრალო ორსართულიანი შენობა; ზემო სართულზე იყო ხუთი სტანდარტული ოთახი, თითო თვრამეტი კვადრატული მეტრისა, გარდა უკანასკნელი ორი ოთახისა, რომელიც გაცილებით უფრო მოზრდილი იყო და სხვებისაგან ფიზიკურად განმხოლოებული. სახლი ფართლეულით მოვაჭრე სტეფანე ხარაზოვს ეკუთვნო-და. იზოლირებული ოთახები ერთმანეთთან მიჯრით იყო მიწყობილი და აღმოსავლეთით საერთო გრძელი აივნით შეერთებული. ამ ოთახებს ყოფდა თხელი აგურის კედელი და სამზარეულო, რომელსაც გააჩნდა მიშენებული ბუხარი თუ კერა და მართლაც დაუჯერებელი რამ – ერთადერთი პაწაწკინა საერთო საპირფარეშო, რომლითაც პრივილეგირებული სახლის პატრონი სტეფანე ხარაზოვი და მისი მეუღლე სარგებლობდა. ადვილი გასაგებია, რომ ექვსი ოჯახის წევრისათვის ერთი საპირფარეშო საკმარისი არ იქნებოდა, ამიტომ ყოველი ოჯახი აღჭურვილი იყო ე.წ. „გარშოკი“-თ. დილაადრიანად იწყებოდა ტრაგი-კომედიური სანახაობა: ნაირფერი გარშოკებით საპირფარეშოსაკენ მა-ვალი მოსახლეების ცერემონიალი. ზოგჯერ ამ პროცედურის დროს საჭირო იყო ცდა, რაც მეზობლებში ბაასის გაბმის სასაშუალებას იძლეოდა. ყოველი მოსაუბრე ფრთხილობდა არ წამოცდენოდა ანტიკომუნისტური აზრი ან რეჟიმისადმი უკმაყოფილების გრძნობა, რადგან მიამიტად შემყურე მეზობელი შეიძლება მოსყიდული ჯაშუში ყოფილიყო, რომლის დასმენაც კაცს „საბჭოთა სამოთხიდან“ სამუდამოდ გაისტუმრებდა გაყინულ ციმბირში.

რაც შეეხება სამზარეულოს, მას იყენებდა მხოლოდ სამიოდ ოჯახი, რად-გან მის მიმდებარე ოთახში მცხოვრებმა გეოლოგმა ლავროვმა ამ სამზარეულოს ნაწილი მიითვისა, გადატიხრა და მხოლოდ თავისთვის იყენებდა; სახლის პატრონმა ხარაზოვმა და გვერდით მცხოვრებმა მისმა ქალიშვილმა მარგომაც აივნის ბოლო ჩრდილოეთი ნაწილი გადატიხრეს და სამზარეულოდ იყენებდ-ნენ. ჩვენს გვერდით მცხოვრები ხაბაზის გაბრაზებული ცოლი უმეტეს დროს დედასთან ატარებდა, ხოლო თვით მუდამ დაღვრემილი მეპურე კი თავის სათონეში სადილობდა. გეოლოგი ლავროვი გამხდარი, აყლაყუდა, სათვალეებიანი, მოსაწყენი რუსი, თავისი გეოლოგიური ექსპედიციებით ისე ინტენსიურად იყო გატაცებული, რომ ვერ ხედავდა მისი უახლოესი მეგობარი მსტისლავ ევგენიჩი როგორ უთხრიდა ძირს და როგორ „ასიამოვნებდა” მის მოკურკურე–მოჭიკჭიკე ჩაპუტკუნებულ ცოლს. მსტისლავ ევგენიჩი გაწკე-პილი სამოსით, გაპუდრული სახით, გვერდზე გადახრილი შლაპით, აწეული წარბებით, მოკუმული ტუჩებით, არაჩვეულებრივი პრანჭვა-გრეხით და ყვავილების თაიგულით თითქმის ყოველდღე სტუმრობდა თავის მეგობრის მოხარხარე, ხან კი მკვნესავ ცოლს. მათი ოთახის ფანჯარა მუდამ დახშული

იყო, მაგრამ ოთახიდან გამომდინარე არაჩვეულებრივი ხმები, ადამიანს ადვილად მიახვედრებდა თუ რა საქმეში იყვნენ გართულნი გეოლოგის სიამოვნებით აღსავსე ცოლი და მსტისლავი. სახლის პატრონი ხარაზოვი – აყალყული თმებით, ჰორიზონტულად შეკრეჭილი ე.წ. „იოჟიკით“, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ჰაეროდრომი ყოფილიყოს. სხეული სავსებით ვერტიკალური და გახევებული, თითქოს სარი გადაუყლაპიაო, მეზობლებმა დაარქვეს „ფიცრის კაცი“. ასევე მისი სიარული გაყინული ზედა ტანით. ხარაზოვი არასოდეს იღიმებოდა, გამუდმებით მოღუშული სახე და მწუხარე გამომეტყველება ჰქონდა, რომელშიც გამოკრთოდა მისი ტრაგიკული მდგომარეობა, გამოწვეული ახალი სოციალისტური კანონებით, რომელსაც წარსულში უცვლელად დამკვიდრებული მისი შეხედულებები არ ეგუებოდა. „ბოროტი“ ენები ამბობდნენ, რომ ხარაზოვი საკმაოდ მდიდარი ვაჭარი ყოფილა და კომუნისტების მთავრობის დამკვიდრებით თავისი ქონება დაუკარგავს. ხარაზოვის მოფამფალებულ-მოდუნებული ცოლი, მოკანკალე ყბითა და ცხვირზე ჩამოწეული პენსნეთი, თავისი ქმრის გამომეტყველების ანარეკლს ყოველმხრივ ესატყვისებოდა. ამ ოჯახმა ქონება დაკარგა, მაგრამ თავისი იმპერიული საქციელი კი შეინარჩუნა. ხარაზოვი იშვიათად, მაგრამ მისი გაბოროტებული ცოლი, ხშირად, დილდილაობით აივანზე გადმოდგებოდა საყვედურებით აღსავსე, „გუდას” გახსნიდა და იწყებდა მდგმურების ტუქსვას, ხან მიზეზით, ხან კი სრულიად უმიზეზოდ. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ეს ქალბატონი მთავრობის ლანძღვას შიშობდა და ჯავრს ისედაც გაუ-ბედურებულ მდგმურებზე იყრიდა. მდგმურების თითქმის ყოველდღიური გაკიცხვები იწყებოდა შედარებით ხმადაბლა, თანდათან ძლიერდებოდა, გაურკვეველ ღრიალს უფრო წააგავდა და თანაც ფეხების ბრახუნით გვი-რგვინდებოდა. მას მოფარფატე სქელი სხეული, უმეტესად კი ნიკაპი უკრთოდა და ცალ მხარეზე გადაღრეჯილი პენსნე შესატყვისად უცახცახებდა. ერთხელ ეს ქალი მსმენელთა მიერ უგულებელყოფის გამო იმდენად აღელდა, რომ ,,კრუჟავიანი” ნიფხავი ჩამოუვარდა, რამაც მისი აღგზნებული ტემპერამენტი სრულებითაც არ შეანელა და ნიფხავი მხოლოდ მაშინ აიღო, როდესაც თავისი წყელვა-კრულვის ლიტანია დაამთავრა და უკმაყოფილო ბუტ-ბუტით თავისი ოთახისაკენ გასწია. მეც ხშირად ვყოფილვარ მისი მრისხანების მსხვერპლი; უმეტესად იმიტომ, რომ ზაფხულობით ხარაზოვების ბაღის მოსარწყავად აშენებულ აუზში ვბანაობდი ან მათ ბაღში ხილს ვიპარავდი.

ხარაზოვების მამულში, დიდი ხეხილის ბაღისა და ბოსტნის გარდა, ერთსართულიანი დიდი ბოსელი და „კარავან სარაი“ იდგა, რომელიც ბრტყე-ლი ჭერით გადახურული და ნახევარმეტრიანი სისქის მიწით იყო დაფარული, სადაც ბალახი და ნაირნაირი მშვენიერი ყვავილები იზრდებოდა. ამ შენობას თავისი პირვანდელი ფუნქცია, როგორც ჩანს, დაკარგული ჰქონდა და სხვადასხვა საქმისათვის იხმარებოდა: იქ ბინადრობდნენ მემაწვნეები თავიანთი ვირებით, ნედლი ტყავის დამამზადებლები, რომლებიც ქიმიური სითხით სავსე აუზებში ბეწვებს აცლიდნენ ტყავს, აშრობდნენ და ბოლოს აპრიალებდნენ ე.წ. „ციკლოვკის“ საშუალებით.

კარგად მახსოვს 1924 წელს ლენინის სიკვდილი, რაც მთავრობამ დიდი მწუხარებით გამოიტირა. ფაბრიკების საყვირები განუწყვეტლივ გუგუნებდნენ. გარშემო დიდი ფუსფუსი იყო. ლენინის სიკვდილის გამო ბავშვებისათვის გამოაცხადეს სიმღერა: „მოკვდა ლენინი, სტირის ქვეყანა, ამისთანა ვაჟკაცი

იშვება განა, მაშ წინ, წინ კომუნიზმისთვის, დე ბრძოლაში მოვკვდეთ ლენინიზმისთვის...“. ცინდლიანი ბავშვები მღეროდნენ ამას და გრძნობდნენ რაღაც ენით აუწერელ ტრაგედიასა და უბედურებას.

ჩემი განათლების საწყისი

ჩემი განათლება ხარფუხში დაიწყო. 23-ე შრომის სკოლა, სადაც მიმაბარეს, ჩვენს სახლთან სულ ახლოს, სამასიოდე მეტრის მანძილზე იყო. ორსართულიანი აგურის შენობის პირველ სართულზე სწავლობდნენ აზერბაიჯანელები, ხოლო მეორე სართული ქართველი ბავშვებისათვის იყო დათმობილი. სკოლას ჰქონდა აგრეთვე მცირე მოედანი, სადაც ჩვენ „ლახტს“, „დვა უდარას“, „კოჭობანას“, „ჩილკაჯოხს“ და „ჯორიღლიტეს“ ვთამაშობდით. იქვე მოდიოდა მოკლე ფეხებიანი მიღრანჯული „ჩუფჩიკა“ თავისი დანჯღრეული ველოსიპედებით, რომლებსაც ბავშვებთან აქირავებდა; ე.წ. თითო კრუგის დარტყმა, ანუ წრის ველოსიპედით შემოვლა ერთი შაური ღირდა. ჯერ ფული უნდა გადაგეხადა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებდი ველოსიპედს, რადგან ბავშვები ხშირად „კრუგებს არტყამდნენ“ და შაურსაც არ იხდიდნენ. ამისდა მიუხედავად, ბავშვები შაურს იხდიდნენ, ველოსიპედზე წამოსკუპდებოდნენ და ერთი წრის მაგიერ გაიტაცებდნენ, რიხინ რიხინით გორაზე დაეშვებოდნენ და ქუჩას მიაშურებდნენ ხოლმე. ამის შემყურე განრისხებული, მოკლე ფეხებიანი ,,ჩუფჩიკა” ღრიალ-გინებით გამოეკიდებოდა ხოლმე, მაგრამ ამაოდ.

ჩვენი სკოლის მოწაფეების უმეტესობა მებაღე- მებოსტნეების შვილები იყვნენ, ცოტაძეები, რუხაძეები, გალდავები, საქართველოს უძველესი და სახელოვანი გვარის აბუსერიძეების შვილები. ყოველდღე მოდიოდნენ სკოლაში 6-8 კილომეტრით დაშორებული კრწნისიდან და ორთაჭალიდან. კრწანისის და ორთაჭალის ბაღ-ბოსტნები, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო თბილისის მოსახლეობისათვის, რადგან მის დიდ ნაწილს ისინი ამარაგებდნენ ბოსტნეულით და ნაწილობრივ ხილითაც. ყოველდღე, საღამოობით, ორთვალა „ტაჩკით“, რომელშიც თითო ჯორი იყო შებმული, ჩემი კლასის ამხანაგები მიაჭენებდნენ ბოსტნეულს თათრის მოედნის დუქნებში. ჩვენ, რადგან არც ბოსტანი და არც ხილი გაგვაჩნდა, ამხანაგებს ვუხვდებოდით გზაში, ჟივილ-ხივილით წამოვსკუპდებოდით „ტაჩკის“ კოფოზე და „ტაჩკების“ დოღით და ჩინებული ხილეულის ჭამით ვხარობდით. 50 წლის შემდეგ, თბილისში ყოფნისას, მივაშურე ქუჩას, სადაც ექვსი ნომერი ტრამვაი დადიოდა და სადაც მე და ჩემი მოგობრები „ტაჩკების“ დოღით ვხარობდით. სამწუხაროდ, იქ სურათი სრულიად შეცვლილა. ვერც ბაღები და მებაღეები, ვერც სურსათის „ტაჩკები“ ვეღარ ვნახე. ვიმწუხარე, რომ ჩემი ბავშვობა ვერ განვიცადე და კრწანისის და ორთაჭალის ნოყიერ მიწებზე, ბოსტნეულის მაგიერ, ყაზარმების მსგავსი სახლები აუშენებიათ.

მებაღეების შვილების გარდა, ჩვენთან სწავლობდა მელიქიშვილი, რომელიც სკოლის მახლობლად ცხოვრობდა. მას ჰყავდა უაღრესად კეთილ-შობილი, მზრუნავი და პატივცემული დედა; ერთობ დაბალი და მხრის დაზიანების გამო გვერდზე გადახრილი. გიორგისთან ჩემი ნაცნობ-მეგობრობა გაგრძელდა უნივერსიტეტში, სადაც დიდი მეცნიერის სახელი დაიმკვიდრა და მთავრობის მიერაც პატივცემული იყო. ის ცნობილია, როგორც ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი. მის შესახებ

შემდეგაც ვიტყვი ორიოდ სიტყვას.

რაც შეეხება სკოლის აკადემიურ მხარეს, არც ეს იყო დასაძრახი. გვყავდა ძალიან კარგი და მონდომებული მასწავლებლები და გვქონდა მტკიცე დისციპლინა – უწესრიგობისათვის ბავშვებს ფიზიკურადაც სჯიდნენ. ეს სასჯელი შეიცავდა ხელებზე სახაზავის ორიოდ დარტყმას, ყურის აწევას და კუთხეში დაყენებას ან დაჩოქებას. დიდი დანაშაულისათვის სკოლიდან გარიცხვასაც არ ერიდებოდნენ. ჩვენი სკოლის დირექტორი იყო მამალაძე, გამხდარი, შედარებით მაღალი, ქერათმიანი და მრისხანედ გამომზირალი, მაგრამ მეტად სათუთი ხასიათის ადამიანი. დასჯიდა ხოლმე ბავშვებს, მერე ეცოდებოდა და ელოლიავებოდა. მეხსიერებაში ჩამრჩა მათემატიკის ახალგაზრდა და გვარიანი გამომეტყველების კაცი. დაფაზე რომ ფორმულებს წერდა, მეორე ხელი ყოველთვის ჯიბეში ჰქონდა, აშკარად რაღაცას ეთამაშებოდა, თუ ეძებდა. გეოგრაფიის მასწავლებელი ქერათმიანი იყო, გადაშენებულ ფრინველს - დოდოს მომაგონებდა. ყველაზე საყვარელი იყო ქართული ენის მასწავლებელი, რომელიც ბატონ ილია ჭავჭავაძეს გამომეტყველებითა და მოქმედებითაც ესატყვისებოდა. მას და მეორე მათემატიკის მასწავლებელ ზაქარიაძეს, რომელიც მუდამ „უძიროებით“ დადიოდა, სახლში ნაქსოვი ნაცრისფერი მატყლის ბლუზები ეცვათ. ზაქარიაძე თუმცა იყო გამხდარი და მომცრო ტანისა, მაგრამ მოქნილი, სხარტი და ვაჟკაცური იერის. რატომღაც შთაბეჭდილება მქონდა ბატონ ზაქარიაძეზე შექმნილი, რომ ის იყო ქართული ჯარის მხედარი, იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ და ჩვენი ჯარის დამარცხების შემდეგ, ჩვენს მყუდრო პროვინციულ სკოლაში აფარებდა თავს. გალობის მასწავლებელი იყო პოლიკარპე ფალიაშვილი, ძმა ივანე და ლეო ფალიაშვილებისა. ჩვენს კლასში იყო 25-მდე მოწაფე, ყველა ხასიათდებოდა ბავშვური სიცელქით, რის გამოც მასწავლებლები ხშირად გვსჯიდნენ, კუთხეში დაყენებით, მარილზე დაჩოქებით ანდა სახაზავის ხელებზე დარტყმით. განსაკუთრებული ცუდი საქციელისათვის, რაც ერთმანეთის ცემა-ტყეპაში გამოიხატებოდა, კლასის დამრიგებელისათვის უნდა მოგვეხმო ჩვენი მშობლები.

აკადემიური მომზადების მხრივ, ჩვენი კლასი და მგონია, მთელი ჩვენი შვიდწლიანი სკოლა, მაღალ საფეხურზე იდგა. პირადად მე, მათემატიკას თუ არ ჩავთვლით, დაწინაურებულ მოწაფეებს შორის ვითვლებოდი. ჩემი და თინაც იმავე სკოლის მოწაფე იყო და ჩინებულ მოწაფედ ითვლებოდა. მასწავლებლები დავალებებს გვაძლევდნენ, რაც სახლში უნდა შეგვესრულებინა, ამიტომ სათამაშოდ დიდი დრო არ გვრჩებოდა. სწავლის მეთოდი ნაწილობრივ სქოლასტიკური იყო, რის გამოც სკოლაში გაზუთხული ლექსები დღესაც კარგად მახსოვს. ზოოლოგიისა და ბოტანიკის სასწავლებლად (რაც ბუნებისმეტყველების კლასში შედიოდა) ჩვენ ხშირად ვესტუმრებოდით ხოლმე ზოოპარკს და მთაველებს, არა ავტომობილით, არამედ ფეხით, რის გამოც, „ექსკურსიის“ შედეგად ისე ვიყავით დაღლილები რომ ხმის ამოღებაც კი გვეზარებოდა.

23-ე შრომის სკოლაში რომ ვსწავლობდი, ჩემს კლასში იყო ჩემზე გაცილებით უფროსი მოწაფე გრიშა მიქაძე. საცოდავი კარგი ყმაწვილი იყო და თანაც მათემეტიკა ეხერხებოდა, მაგრამ ისე ღვთის წინაშე ცოტა ჩლუნგი. საბრალოს რისხვა დაატყდა თავზე – მამა გარდაეცვალა და ამიტომაც სკოლას მიანება თავი და დაიწყო შოფრობა. შოფრობა კი მაშინ ხელობად ითვლებოდა და თანაც საპატიოდ. გახდა თუ არა გრიშა შოფერი, ყველას თითით საჩვენებელი

შეიქნა. ისიც, რასაკვირველია, შესაფერად „იბერებოდა“, თავმომწონობდა, მძიმე მძიმედ ლაპარაკობდა და შეარქვეს „კიტაისკი ბუგდიხან“. ყველას უნდოდა გრიშას საბარგო ავტომობილით გასეირნება და მათ შორის, მეც. გრიშა ჩემი „დოსტი“ იყო და მეტყოდა ხოლმე „სამკერვალო ქარხანასთან დამელოდე საღამო ჟამსა და ადილხანოვის ფაბრიკამდე გაგაკატავებო.“ მეც ავიტუზებოდი დანიშნულ ადგილას. დიდი ლოდინის შემდეგ ინდაურივით გაფხორილი გრიშა გამოჩნდებოდა და გააჩერებდა თავის ჯახჯახა ავტომობილს და დიდკაცური ღიმილით მიმიპატიჟებდა ხოლმე. მერე თავის უნარს გამოამჟღავნებდა, სწრაფად წარმართავდა ამ ბრახუნა საბარგო ავტომობილს და ორიოდ წუთში ადილხანოვის ფაბრიკასთან ვიყავით. აქ კი უნდა ჩამოვბრძანებულიყავი და ჩანჩალ ჩანჩალით სახლში უკან დავბრუნებულიყავი. „სასიამოვნო გასეირნების“ შემდეგ უკან დასაბრუნებელი აღმართიანი გზა ნამდვილად გოლგოთად მეჩვენებოდა, მაგრამ მომავალი გასეირნების შესაძლებლობა მამხნევებდა... რა სწრაფად იცვლება ყველაფერი ჩვენს საუკუნეში...

ჩემი მოწაფეობის ხანიდან, სხვა მოგონებებიც დამრჩა: საზეიმო დღესასწაულები, რომლებიც არა რელიგიური ან ეროვნული, არამედ კომუნისტური პარტიისა და რევოლუციის ეპიზოდების აღსანიშნავად, ხოტბის შესხმით აღინიშნებოდა ხოლმე. დემონსტრაციების მსვლელობის დროს კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადების საქებარი შინაარსის ლოზუნგ-პლაკატები გვეპყრა და ზოგჯერ რევოლუციურ სიმღერებსაც შემოვძახებდით ხოლმე. ამ შემთხვევებისათვის ჩვენი ვარჯიშის ახალგაზრდა მასწავლებელი ფანცულაია გვირიგებდა პიონერის ფორმას, რისთვისაც გადასახადი იყო დაწესებული. ერთხელ პირველი მაისის აღსანიშნავად აღლუმ-დემონსტრაციისათვის მოიტანა ფორმები და რატომღაც ჩამაბარა მე, რომ მოწაფეებისათვის დამერიგებინა და მათგან გადასახადი ფული ამეღო. ამგვარი თანამდებობა მე არასოდეს მქონია და არც ფინანსებისა გამეგებოდა რა. მაგრამ ფანცულაიას დავალება დიდ კაცობად მივიჩნიე და ,,მოვალეობის შესრულებას” შევუდექი. აღებული ფულით ჩემს მეგობრებს ვპატიჟებდი ტკბილეულზე და ნამცხვრებზე. ფულის ფლანგვა ისე გაგვიტკბა, რომ „წვეულებები“ გახშირდა. როდესაც მასწავლებლისათვის ფორმების გაყიდვით აღებული ფულის ჩაბარების დრო დადგა, მხოლოდ მაშინ მოვედი გონზე და შევშინდი: გადარჩენილი ფული მასწავლებელს მივეცი, თან ვუხსნიდი, რომ ეს თანხა ნაკლულია და რომ მისი ნაწილი ,,პონჩიკებში” და ტკბილეულში გამეფლანგა. მაგრამ შიშისაგან ისე მქონდა გონება არეულ-დარეული, რომ ფანცულიამ ვერაფერი გაიგო, ფული გამომართვა, მადლობაც გამომიცხადა და არც შემდეგ შევუწუხებივარ...

მოწაფეებს სკოლის გარდა სხვა გასართობებიც გვქონდა; ერთი მათგანი იყო საცირკო წარმოდგენები. მოჰქონდათ კარვები, რომელშიც ბინადრობდნენ და იწყებოდა ჯამბაზობისათვის მზადება. დაახლოებით 20-30 მეტრის დაშორებით ჩაარჭობდნენ ღრმა სოლებს, რომლებზეც გამოაბამდნენ მსხვილ თოკებს. შემდეგ ამ თოკებს ორ მხარეზე შეუყენებდნენ გადაჯვარედინებულ მაღალ ხეებს, რომელთა ამართვით იჭიმებოდა თოკი. ამ უბრალო საქმეს, რასაც ბავშვები და მრავალი მაყურებელი დიდი გულისყურით შესცქეროდა, თითქმის ნახევარი დღე უნდებოდნენ. მეჯამბაზეები საქმეს ძალიან დიდი სერიოზულობითა და სიფრთხილით ასრულებდნენ, რომ ხალხში ჩაენერგათ მისტიური გრძნობა არაჩვეულებრივი და მნიშვნელოვანი მოვლენისა. მთავარი მეჯამბაზე დაკაპიწებული შარვლით, ბანჯგვლიანი და ძეხვების მსგავსი

გასივებული ფეხის თითებით წამდაუწუმ შეეხებოდა ხოლმე ღვედებსა და თოკებს, თითქოს სინჯავდა გაჭიმული თოკის გამძლეობას. იქვე, ჯამბაზობაში მონაწილე ერთ გახრეკილ მაიმუნსა და დამშეულ წაბლისფერ პატარა დათვსაც ავარჯიშებდნენ. მეზურნე-მედოლეებიც თავის ინსტრუმენტებს წმენდდნენ, რის შემდეგაც იწყებოდა წარმოდგენა. ოთხი მეტრის სიმაღლეზე გაჭიმულ თოკზე აირბენდა ზიზილ-პიპილოებში გამოწყობილი ჯამბაზი. წონასწორობის დასაცავად ხელში ეჭირა გრძელი კეტი, გაივლ-გამოივლიდა თოკზე გამართულ-ი, ხან დაღუნული და ყოველი ილეთის შესრულების შემდეგ ამაყად გაიშვერდა ხოლმე ხელებს მაყურებლისაკენ, თითქოს ეუბნებოდა: ამისთანა ილეთს სხვა ვერავინ გააკეთებსო. შემდეგ დაიწყებოდა მაიმუნის თამაში. ერთი ჯამბაზი ხალხს ჩამოუვლიდა გაწვდილი ქუდით და მაყურებლებში ფულს აგროვებდა. ამას მოჰყვებოდა დათვის თამაში, რომელიც ბოთლს მოიყუდებდა, გამოსცლიდა და შემდეგ მთვრალს ბაძავდა. შემდეგ ,,ჯამბაზობას" ე.წ. ტაკი-მასხრები ანუ „კლოუნები" იწყებდნენ, რომლებიც თოკის ქვეშ მასხრობდნენ. მათი ცქერით დაქანცულნი და მეჯამბაზეთა მოქმედებით გაოცებულნი, გვიან საღამოს, ლასლასით ვბრუნდებოდით სახლებში.

ჩვენი საბრალო დედა ყოველ მხრივ ცდილობდა ჩემთვის და ჩემი დისათვის მძიმე ხანა რითიმე გაეადვილებინა და ჩვენი განათლება, ცოდნა გაეუმჯობესებინა; გვიკითხავდა საინტერესო წიგნებს, გვიყვებოდა თავის თავგადასავალს ცხენოსნობისა და ციგურებით სრიალში შეჯიბრებების დროს განცდილისა და თავის ბავშვობის ხანაში ნამოქმედარი ხუმრობების შესახებ. დავყავდით აგრეთვე მუზეუმში, ჩვენ მახლობლად მდებარე ბოტანიკურ ბაღში, სადაც სხვადასხვა მცენარეების განსაკუთრებულ თვისებებს გვიხსნიდა. ვსეირნობდით აგრეთვე შავნაბადას ფერდობებზე, რომლის სახელიც მკვეთრად აღიბეჭდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ბრძოლების ისტორიაში.

ერთხელ ფრანცისკ ასიზელს საფრანგეთიდან ცნობილი ფრანგი თეოლოგი ესტუმრა და ერთხანს მასთან დაჰყო. როდესაც ფრანგი სამშობლოში დაბრუნდა, მეგობრებმა ჰკითხეს - რაზე ელაპარაკეო... მისი ენა არ ვიცოდი და ვერა ვუთხარი, მაგრამ მის თვალებში იმდენი რამ ამოვიკითხე, რომ წლობით ლაპარაკით ვერ მომითხრობდაო.

ნიცაში როცა ვიყავი, ერთ მიუსაფარ, მარტოხელა ქართველს ვესტუმრე. წინათაც ვიცოდი, რომ ქართველი იყო, მაგრამ მშობლიურ ენაზე ვერ ლაპარაკობდა... კარზე მივადექი, დავუკაკუნე რამდენიმეჯერ, პასუხი არ იყო, კარი შევაღე და მართლაც დაუჯერებელი რამ ვნახე: ეს განდეგილი, ჭაღარა კაცი, კუთხეში დაყუდებული სურათის წინ იყო დამხობილი და ქართულად ბუტბუტებდა. ერთხანს მეც გარინდებული ვიდექი და არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი, არ მინდოდა მისი მყუდროების დარღვევა და ვეღარც გარეთ გასვლა მოვახერხე... მალე მასპინძელი მომიბრუნდა, მომაცქერდა ბავშვური უანგარო, დიდი თვალებით, რაღაც წაილუღღუღა, თითქოს გამოფხიზლდაო, მოიბოდიშა, მომიახლოვდა და ორივე ხელი გამომიწოდა, მომეგება და ცოტა არ იყოს დაბნეულად სურათზე მიმითითებდა და ამბობდა: „და ეტა მაია მატ, ნეზაბვენნაია"... მე მოკრძალებით შევაქე და დავძინე – სასიამოვნოა, რომ ქართულსაც ფლობთ მეთქი. არაო – მომიგო, დედას ბავშვობაში მოვწყდი, მაგრამ მისი ნასაუბრები და ნათქვამი გულზე დამედაღა და სიყვარული დედისა, რომელსაც მრავალი წლის წინათ მოვწყდი, გაუგონარი ძალით აჯეჯილდა

ჩემშიო. არ მინდა შევბღალო სხვა ერები, მაგრამ მათ მშობლის სიყვარული საბერველივით თუ არ უქშუტუნე, მალე გადაავიწყდებათ, ჩვენ კი რამდენადაც შორსა ვართ ერთმანეთისაგან და რამდენადაც მეტი დრო გადის, მშობლის სიყვარული უფრო ძალუმად გვიღვივდებაო. აი ეს სურათი – მიმითითა დედის სურათზე – ჩემი ერთადერთი სარჩო-საბადებელია, საოცარია, ქართული არ ვიცი და დედის სურათს კი მხოლოდ ქართულად ველაპარაკები, სხვა ენაზე ვერ ვახერხებო.

რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, იმდენად გასაგები ხდებოდა ჩემი მისტიური ნაცნობის უცნაური საქციელი და თქმული.

კრწანისი და წარმართობის ნაშთი

დედასთან, ჩვენს მეზობელ ნინოსთან და მის ბავშვებთან ერთად, რამდენჯერმე ვიყავით კრწანისის მისადგომებთან, სადაც გემრიელ მოჩუხჩუ-ხე წყაროსთან ერთად უზარმაზარი მუხა იდგა. მისი ძარღვიანი ფესვები მიწის ზემოთ ნახევარწრიულად იყვნენ გადახრილები. აი ეს მუხა, მისი სხვადასხვა ფერის ჭინჭებითა და „ბანტებით“ შემკობილი ყლორტები და ფესვები იყო მორწმუნეთათვის მიმზიდველი - არა მხოლოდ ქრისტიანების, არამედ სხვა რელიგიის მიმდევრებისთვისაც. მგონია, ხის პატივსაცემად მისულთათვის რე-ლიგიის სხვადასხვაობას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ღმერთი მოწყალეა და ყველას თანაბრად იცავს საშიშროებებისაგან, განსაკუთრებით, ეკონომიკური სიძნელეებისა და პოლიტიკური დევნა-შევიწროების ხანაში. (იმ წლებში სიონის ეკლესია, სადაც მე მოვინათლე, სავსე იყო ხოლმე მორწმუნეებით, მიუხედავად კომკავშირელი და პარტიული ენატანია ჯაშუშების სიმრავლისა, რომელთაც აღრიცხვაზე აჰყავდათ ეკლესიაში მავალნი). ჩვენ კრწანისისაკენ მივდიოდით არა გზატკეცილის გაყოლებით, არამედ უფრო მოკლე საცალფეხო გზით, რომელიც ადილხანოვის ფეხსაცმელების ქარხნის აღმოსავლეთით, 6 ნომერი ტრამვაის ხაზის მარჯვნივ, ე.ი. სამხრეთით იწყებოდა და მუხის ხემდე მიღწევას ერთი საათი უნდებოდა. დაღლილ-დაქანცულები მივდიოდით მუხის ხიდან გამომდინარე ცივ წყარომდე და მინერალებით შენელებულ გემრიელ წყალს დავეწაფებოდით, დავისვენებდით, ვისაუზმებდით და ამის შემდეგ იწყებოდა რელიგიური ტრადიციული გრძნობების გამოხატვა; ნაირ-ნაირი ფერის (უმეტესად წითელი) ნაქსოვებს, „ბანტებს“ და ჭინჭებს ხის ტოტებს შევაბამდით, მუხის ხეს სამჯერ გარს შემოვუვლიდით, მის ამოწეულ-გადაგრეხილი ფესვების ქვეშ აგრეთვე სამჯერ გავძვრებოდით (როგორც ჩანს, ამ წარმართულ რელიგიურ სარწმუნოებაში, ქრისტიანული ელემენტებიც შეწოვილი იყო, მაგრამ ფესვის ქვეშ გაძრომა ვერ ამიხსნია), თან, წაღებულ მამალს შევწირავდით ჩიფჩიფით გამოთქმულ რაღაც ლოცვის აკომპონიმენტით და მამლის სისხლის ხის გარშემო მოსხურებით. მე, ჩემი და თინა და ნინოს შვილები მცირეწლოვანები ვიყავით, არ გვესმოდა თუ რა ხდებოდა, მაგრამ ჩვენი მშობლების სერიოზული გამომეტყველებისა და ცე-რემონიული მოქმედების შემყურეებს, თამაში გვავიწყდებოდა და გახევებული ფიზიონომიით უფროსების მოქმედებას ვბაძავდით. ამ რელიგიური რწმენით გაჟღენთილ გარემოცვას ხანდახან ანცი ბავშვების ხითხითი არღვევდა; ერთხელ, როდესაც ხის ფესვის ქვეშ ყველა ცერემონიულად გავძვერით, ნინო თავისი სხეულის დიდი მოცულობის გამო შიგ გაიჭედა; ვერც წინ გაძვრა და

ვერც უკან დაიხია, რის გამოც ბავშვებმა სიცილ-ხარხარი მორთეს და ჩუმი მყუდროება დაარღვიეს... მრავალი წლის შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში პროფ. ვახტანგ კოტეტიშვილი საქართველოს ადრინდელ სარწმუნოებებს, კერძოდ, ხისა და მცენარეთა თაყვანისცემას შეეხო (წიფა, ცხრამუხა, სოჭი...), შემდეგაც, ევროპის უნივერსიტეტებში და ჩემი კვლევა-ძიების პროცესშიც, ხის თაყვანისცემის საკითხი უფრო ღრმად შევისწავლე და გაოცებული ვიყავი, რომ ამ თემების შესასწავლად, მეცნიერები ერთმანეთს ცხარედ ეკამათებიან და თავპირს ამტვრევენ... კრწანისის მუხის გარშემო ანთებული სანთლებით მავალი მორწმუნეების ლოცვების შინაარსი არც მაშინ მესმოდა და 70 წლის შემდეგ, ის რაც მესმოდა (ან მეგონა, რომ მესმოდა) დავიწყებას მიეცა, მაგრამ ერთი რამ კი მეხსიერებაში მკვეთრად აღიბეჭდა. ეს ეხებოდა ჩემი და ჩემი დის (თუ მთელი ჩვენი ოჯახის) ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და მავნე სენისაგან დაზღვევას. მგონია, ეს იმიტომ დამამახსოვრდა, რომ მაშინ წითელა მქონდა მოხდილი და დაავადების ან სენის გადადების შიშით ბავშვები არ მეკარებოდნენ.

ძველი რელიგიური რწმენის მეორე გადმონაშთი სურამში ვნახე. მზის დაბნელების დროს, სოფლელებს გარეთ გამოჰქონდათ ტაშტები, ქვაბები ან ლითონის სხვა საგნები, რომლებზეც გაცხარებით ჯოხებს უბრაგუნებდნენ, რათა მზის გადამყლაპავი გველეშაპი დაეფრთხოთ. ხალხის რწმენით, ეკლიპსს ანუ მზის დაბნელებას იწვევს გველეშაპი, რომელიც ცდილობს მზის შთანთქმას და ამრიგად მზის დაბნელებას და თვით სიცოცხლის მოსპობას. ეს მითოლოგიური რწმენა, ახლო აღმოსავლეთისა და ბიზანტიის ხელოვნებაში ხშირად არის წარმოდგენილი. საქართველოში ამის საუკეთესო მაგალითი შემორჩენილია იმ ხანის კათედრალის სამხრეთ ფანჯრის ქვემო ნაწილში, სადაც გველეშაპი ებრძვის მზის სიმბოლოს - ლომს. ჭიდილის ანუ ბრძოლის გამოსახულება რეალისტურად არის მოცემული და გველეშაპის სხეულის ნაწილები წითელი საღებავითაა შეღებილი. ესაა ნიშანი სისხლისა და გველეშაპის წამგებიანი ბრძოლისა. გასაგები მიზეზების გამო ეს კომპოზიცია, ფანჯრის სხვენზეა მოთავსებული, სწორედ იქ, საიდანაც ტაძარში სინათლე შედის. ჩვენს წინაპრებს, 1032 წელსაც კარგად უნდა სცოდნოდათ ამ კომპოზიციის მითოლოგიური მნიშვნელობა.

არდადეგები და ბავშვების მხიარულება

მიუხედავად დუხჭირი ცხოვრებისა, ზაფხულს მხიარულად ვატარებდით, რაც საზაფხულო არდადეგების დროს ჩვენს ნათესავებთან სტუმრობაში გამოიხატებოდა. უმეტეს შემთხვევაში ვესტუმრებოდით ხოლმე მამიდაჩემ ნინოს. მას პაპაჩემ დიმიტრის რვა შვილთა შორის, მამაჩემთან ყველაზე უფრო ღრმა სიყვარული და მეგობრობა აკავშირებდა. ფიზიონომიურად და საერთო აგებულების მხრივაც ერთმანეთს უაღრესად გავდნენ. მამიდაჩემი ნინა გათხოვილი იყო სათნო და კეთილ, მშვიდ და სასიამოვნო მოსაუბრე მიხეილ სარალიძეზე. ძია მიშა გამოირჩეოდა თავისი წვერით, რომელიც ნიკაპის ქვევით თანდათან ვიწროვდებოდა. მისი ხმაც ჩვეულებრივზე წვრილი იყო. რკინიგზის ბაღში, ხიდისა და პარკისაკენ მიმავალი გზის პირზე, მას ჰქონდა იქაურ არემარეში სახელმოხვეჭილი და გარეგნობითაც ლამაზი საკონდიტრო მაღაზია – ყოველთვის ხელმისაწვდომი ბავშვებისათვის. საკონდიტროს მეორე სართულზე საცხოვრებელი ბინები იყო განთავსებული, ბინებს ეკვროდა დიდი აივანი, რომლის იატაკზეც ყველა ბავშვს ერთად გვეძინა, თუ ამას ძილი შეიძლება ეწო-

დოს - მთელი ღამე წივილ-კივილი ან ტირილი აყრუებდა არე-მარეს, საბანს ხან ერთი გადაწევდა თავის მხარეზე, ხან მეორე და იყო გაცხარებული ტლინკების სროლა. ზოგჯერ, როდესაც ბავშვებს გვეძინა, რომელიმე მღვიძარე ყველა ბავშვის ფეხის ცერა თითებს ბაწრებით ერთმანეთს გადააბამდა ხოლმე. რომელიმე ბავშვი გვერდზე რომ გადაბრუნდებოდა და თოკს მოზიდავდა, მანამ გონს მოვიდოდნენ იწყებოდა წივილ-კივილი. ამისდა მიუხედავად, ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა და ჩხუბის შედეგებსაც ადვილად ვივიწყებდით; ყოველ დილას, საუზმის შემდეგ მივდიოდით პარკში, წიწვიან მშვენიერ ტყეში სათამაშოდ და ე.წ. ბორჯომის მინერალური წყლის დასალევად. იქვე ვხვდებოდით თბილისიდან ჩამოსულ სკოლის ამხანაგებს და მათთან ერთად ვერთობოდით, საღამოს კი პარკის შემოზღუდულ ნაწილში გადავძვრებოდით ხოლმე გასტროლებზე ჩამოსული მსახიობების მოსასმენად. მრავლად ჩამოდიოდნენ იუმორისტები, ოპერის მომღერლები და ინსტრუმენტალისტები. მსმენელთა შორის იყვნენ გამოწკეპილი დამსვენებელი ქალბატონები და მამლაყინწა ბატონები, მაგრამ მცირე რიცხვი ახალგაზრდა სალახანებისა, რომლებიც ზოგ, მდარე ხარისხის შემსრულებლებს უკიოდნენ და დამამცირებელი შეძახილებით აღიზიანებდნენ.

მამიდაჩემს ჰყავდა ოთხი შვილი: უფროსი ზინა, როგორც ყველა მისი შვილი, გამოირჩეოდა დიდი სილამაზით და წლოვანებითაც, მაგრამ დანარჩენები: თინა და შოთა ჩემი ხნისა იყვნენ, გივი კი ჩემი დის თანატოლი. ჩვენ სხვა ნათესავებთან ერთად ვთამაშობდით ხოლმე. ცოტა გვერდზე გამდგარი იყო მოწითალო სახის, ალვის ხის მსგავსად ატყორცნილი გივი, რადგან მას თავისი ამქარ დოსტებიცა ჰყავდა. გივი მართლაც მრავალი ღირსებით, ყოველმხრივ ჰარმონიულად იყო შემკული. ლამაზი, ანცი ბავშვის გამომეტყველებით, მაგრამ ზრდილი და მოკრძალებული, არასოდეს მინახავს მწუხარე, ყოველთვის უზრუნველი და მომღიმარი იყო. ღიმილის დროს გამოაჩენდა ხოლმე ირიბად გადატეხილ წინა კბილს, რაც უფრო ამშვენებდა მის საინტერესო გამომეტყველებას. გატაცებული იყო მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლ ყაჩაღ ფორია-თი, რომლის შესახებაც მრავალ საგმირო საქმეებს გვიყვებოდა ხოლმე. დრო და ჟამმა უმართებულოდ ადრე დასუსხა მამიდაჩემის ოჯახი: მთავრობამ სახლიც ჩამოართვა და საკონდიტროც, რასაც გადაჰყვა მამიდაჩემი და ბიძაჩემი მიხეილი, ომში დაიღუპა მშვენიერი, ჩუმი და მამის მსგავსი შოთა, შემდეგ გარდაიცვალა უფროსი და ზინა და მისი ქმარი ვახტანგ გოგუაძე. თინა, ამ ხუთიოდე წლის წინათ მოგვშორდა და დაგვრჩა მხოლოდ გულდათუთქული გივი - ჩინებული ექიმი, მამულიშვილი და არაჩვეულებრივი პოეტი. ბორჯომში მართლაც სასიამოვნო დროს ვატარებდით და ახლაც ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თავმოყრილი ნათესავები გაჭირვების ხანაშიც სიამოვნებით ვივსებოდით. ბორჯომს, მე და ჩემი და თინა, იშვიათად ზამთრობითაც ვესტუმრებოდით ხოლმე, როდესაც სათხილამურო ბაკურიანში მივდიოდით, რათა იქიდან წაღვერამდის სრიალ-სრიალით ჩამოვსულიყავით. წაღვერში გვეძლეოდა ერთი ჭიქა კაკაო, მოვითბობდით სხეულს და საღამოს „კუკუშკით“ ისევ ბაკურიანში ავდიოდით. ბაკურიანთან დაკავშირებით ვიგონებ ერთ საინტერესო ეპიზოდს, რაც გვიან, ჩემი სტუდენტობის ხანაში გადამხდა: მე და ჩემი მეგობრები ხშირად ვოცნებობდით ბაკურიანში ასვლასა და იქიდან ცხრაწყაროზე ღამისთევაზე, სისხამ დილას მზის ამოსვლის თანმხვედრი მშვენიერი წუთები რომ განგვეცადა. ხშირი მსჯელობის შემდეგ, დავგეგმეთ ჩვენი

მიზანი და მეგობრებთან ერთად, სხვადასხვა სიძნელის გადალახვით გავწიეთ ცხრა წყაროსაკენ. ჯგუფში, ჩემს გარდა იყვნენ კახა და ლალი ჯავახიშვილები, ოთარ შენგელაია და გივი დეკანოზიშვილი. მივაღწიეთ ბორჯომს, სადაც სასტუმროში ღამის გათევა გადავწყვიტეთ, მაგრამ ამაოდ, ამბობენ: ,,კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო", ჩვენი იმედები გაცრუვდა იმით, რომ ერთ დროს საუკეთესო ოტელში ოთახი ვერ ვიშოვეთ; ოტელის ზედამხედველმა შემოგვთავაზა, თუ ვისურვებდით, მოსაცდელ დარბაზში სკამებზე დაგვაძინებდა. ეს იყო მართლაც ფუფუნების უზარმაზარი სკამები, რომელიც საზურგის ზემოთ, ირმის უზარმაზარი რქებით იყო მორთული. წავწექით ამ სანატრელ სკამებზე, მაგრამ რული არავის ეკარებოდა თვალზე, რამეთუ ოტელის დახურვის შემდეგ სიცივემ ისე სწრაფად იმატა, რომ ყველანი ცახცახმა აგვიტანა. ამ უბედურებიდან გამოსავალი კახამ იპოვა; მოდი კრივი დავიწყოთ და ყველა გავხურდებითო. მართლაც, დავიწყეთ ერთმანეთის ცემა-ტყეპა, რაც თანდათანობით ნამდვილ კრივში გადაიზარდა. კახა, რომელიც ჩვენზე სამიოდ წლით უფროსი და უფრო ძლიერი იყო, მუშტებს ისე მარდად იქნევდა თავისი გრძელი ხელებით, რომ ყველანი მიგვბეგვა და დაგვასისხლიანა. ამას მოჰყვა აყალმაყალი, უთანხმოება. თანაც დასისხლიანებული პირისახით და დაგლეჯილი სამოსელით ცხრაწყაროზე ასვლამ აზრი დაკარგა, რასაც გადაჰყვა ჩვენი ვაი ვაგლახით შეკონილი გეგმები არაჩვეულებრივი კოსმიური ფენომენის განცდისა. თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, მე დავიწყე წმ. ბარლაამის მონასტრის გათხრები ანტიკური სირიის პროვინციის „კოელე სირიის" დედაქალაქის ანტიოქიის მახლობლად კასიუსის მთაზე, საიდანაც შუა ღამის შემდეგ შეიძლება დღისა და ღამის თანადროულად განცდა, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ...

ზაფხულის ბოლოს და შემოდგომის დასაწყისში, დედას დასასვენებლად მივყავდით ციხისძირში და ყოველთვის ვქირაობდით ბინას ერთ მშვენიერ ცისფერ სახლში, რომელიც წამოდგმული იყო მთის კორტოხზე. თვით ფერდობი, არსებითად თხილის ტყე იყო, რომელიც აურაცხელ, თხელკანა, ბრტყელ და წაგრძელებულ თხილს ისხამდა. გაოცებული ვიყავი, რომ მაღალი ხარისხის მიუხედავად, ამ თხილს, - ყოველ შემთხვევაში ჩვენი იქ ყოფნის დროს – არავინ კრეფდა. ციხისძირში სახლები ერთიმეორისაგან დიდი მანძილით იყო დაცილებული, რის გამოც ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს, იქ ჩვენი სახლის გარდა არავინ ბინადრობდა. ციხისძირში განუწყვეტელ მდუმარებასა და სიმშვიდეს მხოლოდ შორეული მოსახლეების წივილ-კივილი არღვევდა, რაც ტურების მიერ ქათმების პარვით იყო გამოწვეული... ციხისძირში ორი რამ იყო აღსანიშნავი: დიდი, მდიდრულად ნაგები მისტერიული სახლი, იმჟამად პოლიციელი ბობოლების დასასვენებელი და ჩემი ოცნების საგანი, - ციხესიმაგრე პეტრა, რომელიც ზედ ზღვის პირსა და რკინიგზის ლიანდაგს შორის იყო ნაშენი, და მისტიური მოთხრობების საგნად იყო ქცეული. სამწუხაროდ, ციხისძირს არა აქვს „პლიაჟი" და ორიოდ დამსვენებელი დიდ ქვებს შორის ცდილობდა ხოლმე მოკალათებას. იქვე პოლიციელები ნიშანში ისროდნენ ე.წ. გეკოს, რომლის გილზებს ბავშვები დიდი მონდომებით ვაგროვებდით. პოლიციელებს შორის იყო ლავრენტი ბერია, - ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიციის უფროსი, რომელსაც ვეთამაშებოდით და ზურგზე ვახტებოდით. მხოლოდ შემდეგ შევიტყვე თუ ვინ იყო ეს პიროვნება და ელდა მეცა.

მუსიკალური განათლების ეპიზოდები

ალბათ ცუდი არ იქნება, აქვე ჩავჩხირო ჩემი ადრეული მუსიკალური განათლების რამდენიმე ეპიზოდი. თორმეტ წელს რომ მივაღწიე, ჩემმა მშობლებმა მიყიდეს ¾ ვიოლინო, რომელიც ისეთი მაღალი ღირსებისა იყო რომ, ბევრს სურდა მისი საამო ჟღერის გასინჯვა; ყველანი მეუბნებოდნენ, ეს რომ მთელი ვიოლინო იყოს, დიდი ფასი ექნებოდაო. მიმაბარეს მუსიკალურ ტექნიკუმში, რომელიც მტკვრის მარცხენა მხარეს პლეხანოვის გამზირის ბოლოს გადამჭრელ პატარა ქუჩაზე იყო. სკოლის შემდეგ, საღამოობით ამ ტექნიკუმში ჩვენ გვასწავლიდნენ სოლფეჯიოს, მუსიკის თეორიას, ხოლო თვით მუსიკის მასწავლებლად მიმიჩინეს ერთი მაღალ-მაღალი ხანში შესული მარტოხელა ვიოლინისტი გიორგი ონიაშვილი, რომელიც ჩინებული გვარიშვილი ყოფილა, რადგან მისი ძმა უაღრესად სახელგანთქმული იყო, ხოლო ძმის შვილი, მგონია, ბუნებისმეტყველების დარგებს გაჰყვა და მართებულად დიდი სახელიც მოიხვეჭა. ჩემი მასწავლებელი გიორგი ცხოვრობდა თავისი ძმის სახლში ერთ ოთახში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, მეთერთმეტე ნომერში. ეს ქუჩა დაახლოებით ოპერის თეატრის პირდაპირ, ზევით ადიოდა და თუ არ ვცდები მე-13-ე ნომრით მთავრდებოდა, სადაც ლეო ქიაჩელი და მისი შვილი, ჩემი ამხანაგი ოთარ შენგელაია (და სხვათა შორის აგრეთვე მათთან შეკედლებული შოთა მესხია) ცხოვრობდნენ. მე და მგონია მის სხვა მოწაფეებსაც მუსიკის გაკვეთილები არა ტექნიკუმში, არამედ თვით ბატონ გიორგის ბინაზე უნდა მიმეღო. რადგან ფუტლიარს ვერ იქნა და ვერ ვეღირსე, მე ჩემი პატარა ვიოლინოთი და მისი ქამანჩით, რომლებსაც შავ ტომარაში ვათავსებდი, კვირაში ორჯერ ხარფუხიდან (სუფსარქისის ქ.47) ჭავჭავაძის ქ.11–მდე უნდა მევლო. ხანდახან დედაჩემს შეეძლო ტრამვაისათვის საჭირო გროშების მოცემა, მაგრამ მე ამ ტრანსპორტს რამდენიმე მიზეზის გამო ვერიდებოდი: ამითი გზა, რაც აქეთ იქით 7-8 კილომეტრს მაინც აღემატებოდა, უფრო გრძელდებოდა, ტრამვაი ხშირად იგვიანებდა ან ხალხით ისე იყო გაჭედილი, რომ მე ჩემს ვიოლინოსთან ერთად მიმჭყლიტავდნენ. როდესაც რის ვაი ვაგლახით მივაღწევდი ჩემი მასწავლებლის ბინას, ის ხშირად სახლში არ მხვდებოდა და დიდი ხნით ცდის შემდეგ სახლში უკან ვბრუნდებოდი. ზოგჯერ დამიტოვებდა ცნობას რომ: „რუსთაველის თეატრში, სადაც ის ორკესტრში უკრავდა, რეპეტიცია მაქვს და ნახევარი საათით დამაგვიანდება“-ო, ზოგჯერ ეს ნახევარი ერთ საათად იქცეოდა, ანდა საერთოდ არ მართლდებოდა. მოვალეობის ამგვარი უგულებელყოფა მაშინ არ მადარდებდა, მაგრამ ახლა ჩემთვის აშკარაა, რომ ბატონმა გიორგიმ, მისთვის დაკისრებული მოვალეობის აუსრულებლობით, ბევრ მოწაფეს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა. როგორც ჩანს, ასეთი უდიერი უგულებელყოფა სამსახურეობრივი მოვალეობისა, მას სრულებით არ ქენჯნიდა. ვინ მოთვლის, რამდენი დაუბრუნებელი დრო დავკარგე და რამდენი ძნელად საშოვი სანატრელი ფეხსამოსი ვიმსხვერპლე ამაო ცდასა და თოვლ-ჭყაპში უმიზნოდ ძუნძულში. რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ვიღაცამ დანჯღრეული, კუბოს მსგავსი ფუტლიარი ანუ ვიოლინოს ბუდე მოგვყიდა, მუსიკოსობა და ზამთარში ბატონ გიორგისთან სიარული უფრო გამიტკბა, რადგან მისი სახლის ზემოთ ქუჩის ბოლოს იყო წყალსადენის მილი, რომლის ონკანი ყოველთვის მოშლილი იყო და წყალი განუწყვეტლივ დიოდა. ზამთრობით ეს წყალი იყინებოდა და ჭავჭავაძის მთელი ქუჩა ბავშვებისათვის იდეალურ სასრიალოდ იქცეოდა.

არც მე ვიყავი გამონაკლისი; ჩემი მუსიკის მასწავლებლის ამაო ცდის ან თვით გაკვეთილის შემდეგ, სახლიდან გამოსვლისთანავე ამ საცურაოს მივაშურებდი, წამოვაჯდებოდი ჩემს დანჯღრეულ ხის ფუტლიარს და რიხინ-რიხინით რუსთაველის გამზირამდის ვაღწევდი. საოცარია, მაგრამ ეს ბარბა-როსული საქციელი ჩემს რბილად შეხვეულ ვიოლინოს არ ვნებდა.

მუსიკა უაღრესად მიზიდავდა, განსაკუთრებით კლასიკური ინსტრუ-მენტული მუსიკა. აგრეთვე პურ-მარილის დროს მეგობრებთან სიმღერა. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ამჯერადაც ვაღიარო, რომ ვერც ერთ მუსიკის დარგში ვერ გამოვდექი. უფრო მეტიც: სავსებით ჩავფლავდი. ეს ეხება უმეტესად სიმღერას, რადგან შევუერთდებოდი თუ არა ჩემს მომღერალ მეგობრებს, მაშინვე გამაჩუმებდნენ ხოლმე. დღემდე დარდად ჩამყვა, რომ ვერ იქნა და ჩვენი დიდებული წინაპრების ხალხური, სუფრული სიმღერის ცოდნით ვერ დავტკბი. ეს ეხება ვიოლინოსაც. მიზეზი შეიძლება იყოს ჩემი უნიჭობა (თუ ამგვარი რამ შეიძლება იყოს), მაგრამ ახლა მე უფრო იქითა ვარ მიდრეკილი ვი-ფიქრო, რომ ჩემი გატაცება მუსიკით არ ემთხვეოდა ამ მუსიკის შესრულების კანონებს და სავსებით უგულებელვყოფდი მის ჰარმონიას ე.ი. მე ვუკრავდი არა ისე, როგორც ნოტების მაჩვენებლები მომიწოდებდნენ, არამედ როგორც მეგონა რომ სწორი იყო, ანუ როგორც მეპრიანებოდა. ასე მუსიკის შექმნა შეუძლებელია და ვერც მე გამოვდექი. მაგრამ მაინც არც ისე ცუდად უნდა ყოფილიყო ჩემი მდგომარეობა, რადგან როდესაც ონიაშვილიდან ნოიმანის კლასში გადავედი, დამაკმაყოფილებლად შევასრულე ბახის A-mol, მოცარტის კონცერტი და მენდელსონიც დავიწყე. სამწუხაროდ, ეს გაბოროტებული ბერი ნოიმანი თავის მოწაფეებს ცემდა. გვეტყოდა: მოიტანე კეროსინი თუ არა? თუ არა, თავში გითაქებდა და „სმიჩოკით“ (ხემით) თითებში გვირტყამდა. მაშინ სიცივეები იყო და ოდნავ გათბობა შეიძლებოდა მხოლოდ „კეროსინკით” ან პრიმუსით, ამას კი ნავთი ჭირდებოდა, რაც მართლაც ძნელი, - უკეთ, ძალიან ძნელი – საშოვნელი იყო... ამასთანავე ვუკრავდი კონსერვატორიის სიმფონიურ ორკესტრში. ჩვენი დირიჟორი იყო ჯერ შალვა აზმაიფარაშვილი, ხოლო შემდეგ მიშა ბორჩხაძე, რომელიც ალბათ სოფელ ბორჩხიდან იყო. ბორჩხა ახლა თურქეთშია, ყვე-ლა ქართულად მეტყველებს. ურიგო არ იქნება, თუ ზემოთ მოთხრობილ ამ-ბავს მივუმატებთ მომცრო დანართს, რომელიც ეხება ჩემს „იტენარიუმს“, სახელდობრ, გზას, რომელიც მე უნდა გამევლო ჩემი მუსიკის მასწავლებლამდე მისაღწევად. ამისათვის ორი შესაძლებლობა იყო: ექვსი ნომერი ტრამვაით და ფეხით. თუ ტრამვაით წასვლას ვინებებდი, ჩვენი ბინიდან უნდა ჩამევლო 400-500 მეტრიანი, წვიმების გამო ოღრო-ჩოღროდ ქცეული დაღმართი და ჭრა-კერვის მე–2–ე ქარხანასთან მეცადა ორთაჭალიდან მომავალ ტრამვაისათვის, რომელიც დიდი რეგულარობით არ გამოირჩეოდა, ანდა თუ მგზავრებით იყო გადატვირთული, საერთოდ არ ჩერდებოდა, რაც ნიშნავდა კიდევ ½ ან ერთი საათით მოთმინებით ცდას. ტრამვაი დახურული არ იყო, არამედ ღია. წინა ბაქანზე მძღოლი იყო და მცირე რიცხვი მგზავრებისა. პაწაწკინა მრგვალ სკამზე წამოსკუპებულ მძღოლს მარჯვენა ხელთათმანიანი ხელით სიჩქარის სახელური ეჭირა, მარცხენათი მუხრუჭი, რომელსაც ერთფეროვანი საქმისაგან თავის დასაღწევად, მხიარულად „ტრელებით“ წრიულად ატრიალებდა ხოლმე. უკანა ბაქანი იყო ადგილი, სადაც განუსაზღვრელი რაოდენობა მგზავრებისა მოთმინებით იჭყლიტებოდა. ტრამვაის მთავარ, შუა არეში პარალელურად ერთმანეთის უკან განლაგებული იყო ხის მერხები, ანუ ფართო სკამები. თითო

სკამზე დაახლოებით 6 მგზავრი იჯდა. ტრამვაით მგზავრობა მშრალ დღეებში ასატანი იყო, მაგრამ წვიმიან დღეში ილუმპებოდი. გასაგები მიზეზების გამო იქ ასვლას ქალები ერიდებოდნენ. ეს ტრამვაი მიგვიყვანდა მხოლოდ „ერევნის მოედნამდის“, იქიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე კი ფეხით უნდა მევლო.

თუმც დამღალავი, მაგრამ უფრო საინტერესო იყო ფეხით სიარული. ამ შემთხვევაში ჩვენ ქუჩაზე უნდა მევლო ჩრდილოეთით. მარჯვნივ ჭრა-კერვის ტექნიკუმი, გერმანელის (მისი ქალიშვილი შალვა ამირანაშვილმა შეირთო) ავტოსახელოსნო, მარცხნივ „ვადაკაჩკა“, მარჯვნივ სუფსარქისის აგურის გუმბათიანი ეკლესია, რომელიც შემდეგ კომუნისტებმა დაანგრიეს. აქედან ქვევით ეშვებოდა გრძელი ციცაბო დაღმართი, რომლის მარცხნივ ჩამწკრივებული იყო გოგირდის აბანოები, მარჯვნივ კი ნავთისა და პურის მაღაზიები, სადაც პურის ან ნავთის შეძენისათვის ღამეები მითევია. ამ დაღმართს ჭრიდა ქუჩა (მარცხნივ ორბელიანის აბანო) ვიწრო ოღროჩოღრო გზით. მისი მსგავსი სახლუკელებით გაჭრილი იყო უხიფათო ქუჩა, რომელიც ჩემს გზას ამოკლებდა. ამის გამო, ამ ქუჩაზე გავლას ვამჯობინებდი, აგრეთვე იმიტომ, რომ იქ შემორჩენილი იყო საბჭოთა კავშირში აკრძალული ძველი აღმოსავლური ტრადიციის ორიოდ ელემენტი: მამლების ბრძოლა და ყოჩების ჭიდილი.

ნაწილი მეორე

ახალგაზრდობა

დაახლოებით ერთი საუკუნის წინათ, ანდრე ჟიდი ამბობდა, რომ ადამიანის ცხოვრება პალიმფსესტს წააგავს. პერგამენტს რომ სინათლეზე განსჭვრეტ ახალი ნაწერის ფონზე, ძველ აფხეკილ ნაწერებს დაინახავ. თითქოს პირველყოფილმა მოთხრობამ თავისი მნიშვნელობა დაკარგა, რის გამოც აფხიკეს, რომ პერგამენტზე ახალი მოთხრობა დაეწერათო. აი ასეთ პალიმფსესტს წააგავს ჩემი ბავშვობის თავგადასავალი, პალიმფსესტის მსგავსად, ზოგ ადგილებში ძველი ტექსტი ისე გულდაგულ არის ამოფხეკილი, რომ ძველი ნაწერის აღდგენა აღარ ხერხდება. აი, ამიტომ არის პირველ თავში ჩემი სიყრმის თავგადასავლის თხრობა უხერხემლო, ხელოვნურად შეკოწიწებული ეპიზოდებისაგან შემდგარი და არა ორგანულად შერწყმული განუწყვეტელი ჯაჭვი თხრობისა, როგორც სირიელი ბერების ცხოვრების დაუკავშირებელი მოვლენების შემცველი, იოანე მოსხის „ლიმონარი“. ახლა ვშიშობ, რომ ჩემი სიჭაბუკის და მიმყოლი ხანის თხრობაც, იმავე სენით იქნება დაავადებული. თანაც ქრონოლოგიის მიუხედავად, ზოგი ძველი თავგადასავალი უფრო მკვეთრად აღიბეჭდა ჩემს ცხოვრებაში, ხოლო ახალი ხანისა კი დავიწყებისათვის მიმიცია. ამიტომ, იმედგაცრუებული, მხოლოდ ახლა ვხედავ, რომ თავდაპირველად მშვენივრად ჩაფიქრებული გეგმის განხორციელება ვერ შევძელი და ჩემს ნათხრობში ნაკლი სჭარბობს უნაკლოს. თანაც, ნახევარ საუკუნეზე მეტია რაც ჩემს სამშობლოს მოვწყდი და მას შემდეგ თითქმის განუწყვეტლივ, განდეგილად, სულ მარტო ვცხოვრობდი. მიუხედავად ჩემი მცდელობისა მევლო უნივერსიტეტში თუ სხვაგან, გიჟივით ქართულ ლექსებს ხმამაღლა ვამბობდი (ბევრი ლექსი მახსოვს ზეპირად), ქართული ენა მაინც დამავიწყდა, რის გამოც სათქმელს მკვეთრ ფოკუსში ვერ ვაქცევ, მაგრამ ჩემი წინაპრები ბრძანებდნენ, რომ ყოველი მახინჯი შვილი დედას გულითადად უყვარსო. მეც ამ ცრუ იმედით ვგონებ (ვიმშვიდებ თავს): ეგებ ჩემ თავგადასავალში დიდი დროის მქონე, მოთმინებით აღვსილი მკითხველი რაღაც სარგოსაც წააწყდეს და ჩემს მიმართ ორიოდ საქებარი სიტყვაც გამოიმეტოს, თუმცა, ეს მაშინ ჩემს ყურს აღარ მისწვდება, რამეთუ ნაცარ ქმნილი ვიქნები. მსგავსად ჩინებული დალაქისა, რომელიც ოსტატური შეკრეჭით უშნოს შეაკოხტავებს, ჩემი ნათხრობის შეკვეცითა და კონდენსაციით ტექსტი ბევრად გაუმჯობესდება, ხოლო თუ ჩემს ნათხრობს სათაურებით და ქვესათაურებით დაანაწილებს, კითხვაც გაადვილდება.

ჩვენი მძიმე ცხოვრების გაწამაწიას და ყოველდღიური წვრილმანისათვის ზრუნვას ბოლო არ უჩანდა. სამოსელის თუ საზრდოს მორეწვაში გაუხარელად იხარჯებოდა ადამიანური არსებობისათვის მოძღვნილი დროის დიდი ნაწილი. ჩემი სამოსელის შოვნისათვის არა მგონია დიდი საზრუნავი გვქონოდეს, რადგან ჩემი ტოლებისაგან განსხვავებით, უნივერსიტეტში შესვლამდის მოკლე შარვლით დავდიოდი, მაგრამ ჩემი ფეხსამოსის შოვნაში დიდი დრო იხარჯებოდა. ეს იყო ე.წ. ადელხანოვის ჩუსტები, რომლებიც მზადდებოდა ორთაჭალისკენ მიმავალ გზაზე მტკვარის მარცხენა სანაპიროზე. ჩუსტები რომ ცვდებოდა, ცერი თავს გამოყოფდა. ჩუსტში უნდა ჩაგვედო მუყაოს ლანჩა, რადგან დასაკერებელი ტყავი ე.წ. „პადოში“ ძნელი საშოვარი იყო. ჩუსტის ხანგრძლივობის გასაჭიმი ეს მეთოდი, ზაფხულობით, მშრალ დღეებში არც თუ საწუნარი იყო, მაგრამ თოვლ-

ჭყაპის ხანაში ღმერთმა დაგიფაროს: შეწოვილი ჭყაპი, ფეხის ყოველ გადადგმაზე ხროტინით გარეთ გამოასხამდა ხოლმე.

შვიდწლედის დამთავრება და მომდევნო ცვლილებები

1932 წლიდან ჩვენი ოჯახის ცხოვრება, რამდენიმე მიზეზის გამო უფრო ადვილად ასატანი გახდა. ამ წელს დავამთავრე 23-ე შრომის სკოლა, სადაც შვიდი წელიწადი ვსწავლობდი და გადავედი რკინიგზის მე-8-ე სკოლაში, რომელიც პლეხანოვის გამზირზე, ე.წ. ,,ზიფსის" ინსტიტუტის გვერდით, კინოდარბაზის პირდაპირ მდებარეობდა. ამ სკოლაში ერთხანს დეიდაჩემი ლიდაც ასწავლიდა. ჩვენი ოჯახის ცხოვრების გაუმჯობესება გამოიხატა აგრეთვე ჩეკისტების მიერ ჩვენი ოჯახის თვალყურის დევნა-დარბევის შეწყვეტაში და ახალი ბინის შეძენაში. ეს სამოთახიანი ბინა, ფართო, ლამაზი ასასვლელით და ქუჩისაკენ გადამხედი აივანით, მდებარეობდა ელისაბედის ქუჩა 66–ში, რომელიც „ნიკალაევსკაიას" სამხრეთ პარალელი იყო (მას შემდეგ უწოდებდნენ კლარა ცეტკინის ქუჩას). ამ ახალი ბინის შეძენით, ჩვენ შეგვექმნა არა მხოლოდ საკუთარი ავტონომია, გაცილებით უკეთესი სოციალური გარემოცვა. რაც მთავარია, მამას აღარ სჭირდებოდა სამსახურში წასასვლელად ღამე ადგომა, რათა ქალაქის აღმოსავლეთ ბოლოდან დასავლეთ ბოლოში გასულიყო. საბრალო მამას ეს უადვილებდა არა მხოლოდ ჯაფას, არამედ უფრო მეტი დრო რჩებოდა ჩვენთან ურთიერთობისათვის.

ჩემთვის ადვილი მისაწვდომი იყო ახალი სკოლა და აგრეთვე ჩემი ამხანაგი ლალი ჯავახიშვილი, რომელიც „კატის ნახტომის" სიშორეზე ცხოვრობდა. ახლა რომ ვფიქრობ ჩვენი სკოლის აღნაგობის შესახებ, ეჭვი მეპარება, რომ ეს შენობა თავდაპირველად სკოლისათვის იყო განკუთვნილი, შეიძლება ეს იყო კერძო დიდი ბინა, რომელიც შემდეგ მის პატრონს ჩამოართვეს და სკოლად გადააკეთეს. შენობასა და პლეხანოვის გამზირს შორის, სკოლას ჰქონდა მდიდრულად დაგეგმილი ყვავილების ბაღი, სასეირნო გზა და შუაში კი მშვენიერი ბაროკალური აუზი, რომლის წინ წამოდგმული ორსართულიანი მდიდრულად მორთული აივანი სკულპტურული პედიმენტით გვირგვინდებოდა. ეს ელემენტები და თვით სტილი შენობისა, სოციალისტური რეალიზმის მოთხოვნილებებს სრულებითაც არ ეგუებოდა. ჩვენი სკოლის დირექტორი იყო პატარა ზომის ქალი, გაჩეჩილი თმებით, გვერდით გადაღრანჯული ფეხსაცმელებით და მუდმივ პაპიროსით პირში. ეს უაღრესად ფიცხი, მოძრავი ქალბატონი იყო ძველი, დამსახურებული რევოლუციონერი - ანეტა სულაქველიძე. მისი ნათესავი ვახტანგ (ჩარლი) სულაქველიძე ჩემ კლასში იყო და შემდეგ მარჯანიშვილის თეატრში მსახიობობას გაჰყვა. სხვათა შორის, ჩემ კლასში იყო აგრეთვე აჩიკო ჩიმაკაძე, რომელიც გამოირჩეოდა მათემატიკის სიყვარულით. მან უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა მათემატიკის ფაკულტეტზე, ამასთანავე, ის წერდა მუსიკას და მართლაც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულმა, ამ დარგში უფრო მეტი სახელი მოიპოვა, ვიდრე მათემატიკით; ომის შემდეგ ის ერთ ხანს თბილისის ოპერის თეატრის დირექტორიც ყოფილა. ჩემ კლასში იყო აგრეთვე კოლია ბარნოვი, რომელმაც სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, ომის დროს გენერლის ხარისხი მოიპოვა და შემდეგ ტუსაღების ჰოსპიტლის დირექტორობა უბოძებიათ. მას დალევა უყვარდა და ერთხელ, როდესაც ღვინით გაბრუჟული საავადმყოფოში „ობხოდს" აკეთებდა, ერთ ავადმყოფს

შეუჩივლია, განუწყვეტლივ თავი მტკივა, მიშველე რამეო. კოლიას ავადმყოფის მაჯაზე მოუკიდია ხელი და უთქვამს: ნორმალური პულსი გაქვს, აბებს მოგცემ და თავის ტკივილი გაგივლისო. ელდანაკრავ ავადმყოფს მიუგია: ბატონო ექიმო, ეს ხელი მოჭრილი მაქვს, პროტეზით არის შეცვლილი, პულსი მეორე ხელზე გამისინჯეო.

ორიოდ სიტყვით იმასაც ვიტყვი, რომ ჩვენს სკოლაში სწავლობდა საბჭოთა კავშირის მძიმე ინდუსტრიის მინისტრ სერგო ორჯონიკიძის ძმის - პაპულია ორჯონიკიძის შვილი თენგიზი, რომელსაც ბავშვები ისე ამასხარავებდნენ, რომ ის სხვა სკოლაში გადაიყვანეს.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ აკადემიური ღირსების მხრივ, მე ჩვეულებრივზე უკეთეს მოწაფედ ვითვლებოდი. ცუდი ნიშნები მხოლოდ ზოგიერთ საგანში მქონდა, განსაკუთრებით მათემატიკაში, რომლის ინჩი ბინჩი არ მესმოდა და არა მხოლოდ მე, არამედ კლასის ერთ მესამედს მაინც. ჩვენი მათემატიკის მასწავლებელი იყო ვინმე ბახტაძე, მუდამ მოღუშული, რომელსაც ყველა უფრთხოდა. გამოგვიყვანდა ხოლმე და დაგვავალებდა დაფაზე ფორმულები ამოგვეხსნა. უმეცრებით და შიშით ჩვენ ყოველთვის ცუდ ნიშნებს ვიღებდით, ამიტომ გადავწყვიტეთ დაფის მახლობლად მდებარე კარადაში ნახვრეტები გაგვეკეთებინა, შიგ მათემატიკის კარგი მცოდნე ჩაგვესვა, რომ მისი კარნახით ფორმულები ამოგვეხსნა და კარგი ნიშნები მიგვეღო. ასეც მოვიქეცით, მაგრამ რადგან ჩვენი მეგობრის კარნახი გარკვევით არ გვესმოდა, პრობლემის გადაწყვეტის პროცესში შეცდომებს ვუშვებდით, ხოლო საბოლოო შედეგი სწორი იყო, რაც მასწავლებელმაც შეამჩნია, არადა ვერ მიმხვდარიყო მიზეზს. ამბობდა: თქვენ ფორმულებს მექანიკურად „იმახსოვრებთ“ და იმის ბრალიაო. ბოლოს და ბოლოს მიხვდა, ჩვენი სუფლიორი თუ მოკარნახე კარადიდან გამოათრია და ყველა მკაცრად დაგვტუქსა. ამის შემდეგ ჩვენი დამაკმაყოფილებელი ნიშნები მათემატიკაში ოფლის დენით და გულდასმითი მეცადინეობით უნდა მოგვეპოვებინა.

გეოგრაფიაში, ისტორიაში და ლიტერატურის ისტორიაში ერთ–ერთ საუკეთესო მოწაფედ ვითვლებოდი, შეიძლება ყველაზე უკეთეს მოწაფედაც. ჩვენი მასწავლებელი ლიტერატურის ისტორიაში იყო ცნობილი მწერალი, ლიტერატორი, ფიზიკურად დიდი, მაგრამ მშვიდი, ჰარმონიული და კეთილი გულის კაცი ვარლამ ხურომე. კლასში ბატონი ვარლამი გვაკითხებდა ქართველი მწერლების ნაწარმოებებს. ერთი მოწაფე იწყებდა კითხვას, შემდეგ ბატონ ვარლამის მითითებით უნდა გაეგრძელებინა მეორეს, მესამეს.... როდესაც ბატონი ვარლამი მე მომანიშნებდა მოთხრობის კითხვის გაგრძელებას, ბრინჯივით ვიბნეოდი და იმ ადგილს, საიდანაც მოთხრობის კითხვა უნდა გამეგრძელებინა, ვერ ვპოულობდი. ამ დაბნეულობის მიზეზი იყო ჩემი გატაცება მოთხრობით. განსაკუთრებით თუ ეს ალექსანდრე ყაზბეგის რომელიმე მოთხრობა იყო. არ შემეძლო სხვა მოწაფეების ტაატით კითხვის ტემპს გავყოლოდი; აღელვებითა და გატაცებით ვისწრაფოდი მოთხრობის ბოლოში გასვლას, რის გამოც არა თანადროულად, არამედ სხვა მოწაფეებზე ჩქარა ვკითხულობდი. ამის გამო მასწავლებელმა ერთხელ დამიბარა და მკითხა მიზეზი იმისა თუ რატომ არ ძალმიძს მოთხრობის კითხვის გაგრძელება. ამ შეკითხვამ ისე შემარცხვინა, რომ პასუხის გაცემა ვერ მოვახერხე, მაგრამ სურვილი პასუხისგებისა თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე თან მსდევდა და როდესაც პირველად უცხოეთიდან თბილისს ვესტუმრე და აეროდრომზე

დამხვდურთა შორის ბატონ ვარლამის შვილს გლობუსას (ადოლფს) მოვკარი თვალი, მივედი და ვთხოვე მამასთან პაემანი დაენიშნა, რომ ჩემი დაბნეულობის მიზეზი გამეზიარებინა. მან მწუხარებით მომიგო, რომ მამამისი ორი წლის წინათ გარდაიცვალა და თანაც დასძინა:„გლობუსას (მისი ზედმეტი სახელი) ნუ მეძახი, ყველა ადოლფს მეძახის და თანაც საქართველოს ეკონომიკის მინისტრი ვარო“. სხვათა შორის, თბილისში ყოფნის დროს, გლობუსამ თავის სახლში ვახშმად დამპატიჟა. ასეთი ვახშამი, სტუმართმოყვარეობა, სადღეგრძელოები, სიტყვა-პასუხი, ეშხი, მისი ცოლშვილისა და რძლების მშვენიერი სიმღერები, აუწერელი სულიერი განცდა, რომელიც მთელ საღამოს სუფევდა, მე არასოდეს განმიცდია და ვერც წარმოვიდგენდი, რომ ამგვარი რამ არსებობდა. თუმც აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მე მოქეიფე არ ვყოფილვარ და არც ტრადიციულ დიდ ქეიფებს დავსწრებივარ. გლობუსასთან ვახშამზე განვიცადე თუ რა არის ქართული სტუმართმოყვარეობა და ქართული სუფრა. აქ მაგონდება კლასიკური ხანის ბერძნული თეატრი, რომლის სრული წარმოდგენა შეუძლებელია, რადგან ამ ხანის თეატრალური ნაწარმოებები ან სავსებით დაკარგულია, ან ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი, დანაკლისი ივსება თეატრის ნაგებობებით, ვაზების მხატვრობაში ზოგიერთი თეატრალური ეპიზოდის წარმოდგენებში, მაგრამ სულიერი გრძნობა და განცდა, რომელიც ბატონობდა თეატრალური წარმოდგენების დროს ჩვენთვის დღემდე შეუცნობელია.

ქიმიის მასწავლებელი კაჭკაჭიშვილი, მოწაფეებთან უფრო ახლო იყო, ვიდრე სხვა მასწავლებლები. ის იყო არაჩვეულებრივი არა მხოლოდ ამ მხრივ, არამედ თავისი მართლაც უზარმაზარი სქელი ულვაშებით და თმებით, რაც მის სხეულს სქლად ფარავდა. ბატონი კაჭკაჭიშვილი ჩინებული მოცურავე იყო და ზაფხულობით მოწაფეებთან ერთად ხალისით და მისთვის ჩვეული ხუმრობით, კუს ტბას ესტუმრებოდა ხოლმე. იმერული კილოთი იტყოდა ხოლმე: „წევიდ-ეთ კუს ტბაზე საცურაოდ და დავბრუნდეთ კუებით“.

რუსულის მასწავლებელი იყო ანჩხლი და ჭინჭყლი ქალბატონი, რომლის გვარი ენის წვერზე მადგას, მაგრამ ვერ გადმომიგორებია (მგონი ფხაკაძე), ყოველთვის კამათით და საყვედურების გამოთქმით იყო დაკავებული. კლასში ყვირილს რომ წამოიწყებდა ყელის ძარღვები და სისხლის მილები ეჭიმებოდა და ჩიყვიც უფრო ებერებოდა. მოწაფეებიც რატომღაც, ალბათ მისი აუტანელი ხასიათის გამო, მას უფრო აჯავრებდნენ ვიდრე სხვა მასწავლებლებს. ჩვენი კლასიდან ფანჯარა და ფანჯრიანი კარები ზემოხსენებულ აივანზე გადიოდა. აივანზე იყო შემოდგმული თვითმფრინავის მაკეტი, რომელიც დღესასწაულების დროს დემონსტრაციებზე გაგვქონდა. ჩვენი დირექტორის ნათესავი – ჩარლიკა – რომელიც მსახიობის ნიჭით იყო დაჯილდოებული, გაკვეთილის დროს კლასიდან გაიპარებოდა, ჩაჯდებოდა ამ თვითმფინავში, თითქოს პილოტი ყოფილიყოს გამომეტყველებას იცვლიდა, მაიმუნობდა და მთელ კლასს აცინებდა. მასწავლებელი, რადგან დაფასთან იდგა, ამ მასხრობის მიზეზს ვერ ხედავდა და ბრაზობდა. ერთხელ მეც ვიყავი მიზეზი ცუდი საქციელისა. სადღაც დავიჭირე ერთი ინდაური და როდესაც ჩვენი რუსულის მასწავლებელი - კატო ლექციას გვიკითხავდა, ეს ინდაური ავაფრინე. ამ ეპიზოდს, ყვირილ-ჩხავილის გარდა, მოჰყვა ჩემი დროებით სკოლიდან გარიცხვა – აღმადგენდნენ მხოლოდ მშობლების მოყვანის შემდეგ, მაგრამ როგორ უნდა გამემხილა ეს უბედურება ისედაც მწუხარე და განაწამები მშობლებისთვის. ამის ფიქრში ვიყავი სკოლის ბაღჩის აუზზე მჯდომი და გაჭირვებიდან გამოსავალს ვერ

ვხედავდი. ამ ძნელ წუთებში მომიახლოვდა ერთი ბერიკაცი, რომელსაც დაფლეთილი ტომარა ჰქონდა ზურგზე მოკიდებული, რამეთუ იყო ძველი სამოსელის მყიდველი ე.წ. „სტარიადიოჟდ“. მკითხა მიზეზი ჩემი დაღონებისა. მეც მოვუყევი ჩემი გაჭირვების მიზეზი, გამამხნევა და მითხრა ნუ დარდობ, მე მივალ დირექტორთან და მოველაპარაკები, როგორც შენი მშობელიო. ნახევრად ძონძებით სავსე ტომარა იქვე დამიგდო და გასწია სკოლის დირექტორთან მოსალაპარაკებლად. ერთ საათის შემდეგ დაბრუნდა და მხიარულად მითხრა, რომ ყველაფერი წესრიგშია და სკოლაში ვარ აღდგენილი. მართლაც ასე მოხდა, მაგრამ კაჭკაჭიშვილმა გამაფრთხილა, რომ დირექტორს ეჭვი ეპარება შენი მოყვანილი მშობლის ვინაობაში და შენი ეშმაკობის გამო შეიძლება უარესი უბედურება მოგევლინოსო. საბედნიეროდ, ეს საქმე თანდათან ჩაჩუმდა და მეც სკოლაში სიარული განვაგრძე, მაგრამ ჩემი გვარი წითელი დაფის მაგიერ შავ დაფაზე იყო დაწერილი, რაც იმას ნიშნავდა, რომ დამოკლეს მახვილი ჯერ კიდევ ჩემს ზევით ეკიდა. აქაც კაჭკაჭიშვილმა გამომინახა საშველი, მითხრა: ვახტანგ, ბიძაშენი კარგი მონადირეა, უთხარი ერთი დათვის ბელი, ან ნუკრი დაიჭიროს, მოიყვანე ეს ბელი ჩვენი სკოლის „ცოცხალ კუთხე“-ში და ამგვარად შეგეძლება შავ დაფას თავი დააღწიო“. მართლაც, ეს აზრი მომეწონა, დაუყონებლივ მივედი ბიძაჩემ დავითთან და სათხოვარი განვუმარტე: მხოლოდ შენ შეგიძლია ჩემი ხსნა გაჭირვებიდან, წადი წაინადირე და ეგებ ცოცხალი ბელი ან ნუკრი მომიყვანო ჩვენი ცოცხალი კუთხისათვის. ბიძაჩემმა მწუხარებით შემომხედა და მითხრა: ვახტანგ! შენთვის არაფერს დავიშურებ, მაგრამ დავბერდი, მხედველობაც დამაკლდა და ნადირობა აღარ ძალმიძსო. გავოცდი და მივუგე, მაშ დედაჩემისათვის რომ გარეული ცხოველების ხორცი მოგაქვს მეთქი? გენაცვალე არ გამთქვა, ამ ხორცს მე ბაზარში ვყიდულობო... ერთ დღეს, სკოლის საპირფარეშოს სახურავზე ვიჯექი და გადავყურებდი ჩვენი სკოლის გვერდით საავადმყოფოს ბაღს. ვხედავ თეთრხალათიან ექიმებს, რომლებსაც კურდღლები და მტრედები აქეთ-იქით მიაქვთ. მივაკვლიე მათ გალიებსაც და ერთხელ, როდესაც გარეთ არავინ დადიოდა, გადავხტი ღობეზე, გალიიდან ორიოდ ბაჭია და მტრედი გამოვიღე და ამით ჩვენი ცოცხალი კუთხე გავამდიდრე. ჩემი საქციელით ყველა მასწავლებელი აღფრთოვანებული იყო. თითქოს თვალის დახამხამებაში ჩემი გვარი შავი დაფიდან წარჩინებულთა წითელ დაფაზე გადაასკუპეს. მაგრამ ჩემი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან ჩემს საქციელს სხვა ბავშვებმაც მიბაძეს, რაც ჰოსპიტალის ექიმებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, მიაკვლიეს ჩვენ ცოცხალ კუთხეს და გატაცებული, ექსპერიმენტისთვის განკუთვნილი ცხოველები და ფრინველები აღმოაჩინეს. ამის გამო რაც მე თავს დამატყდა, ღმერთმა დაიფაროს ყოველი ყმაწვილი, მაგრ-ამ ამაზე ლაპარაკს აღარ გავაგრძელებ და თავს არ მოგაწყენთ.

სხვათა შორის, მაინც უნდა ავღნიშნო, რომ სკოლაში ჩვენ გვქონდა კიდევ ერთი უაღრესად გამოსადეგი კლასი, რომლის სახელი არ მახსოვს, მაგრამ ამ კლასში, რომელსაც განაგებდა ერთი მართლაც თავდადებული ენთუზიასტი ახალგაზრდა მასწავლებელი გვარად სამსონიძე, პრაქტიკულად ვსწავლობდით დურგლობას და ნაწილობრივ ზეინკლობასაც. სამსონიძე ტუჩზე გადმოკიდებული მოღუნული ჩიბუხით ერთი მოწაფიდან მეორისკენ გარბოდა და დიდი მონდომებით უხსნიდა თუ რა ილეთით უფრო გამოსადეგი იყო ამა თუ იმ საქმის ბოლომდე მიყვანა. სამსონიძესთან შეძენილი ცოდნა შემდეგ პრაქტიკულ ცხოვრებაში ძალიან გამომადგა. ხელსაქმეს ბავშვობაში 23-ე შრო-

მის სკოლაშიც გვასწავლიდნენ. ეს ხელსაქმე არსებითად ჭრა-კერვა და ქარგვა იყო. მახსოვს მე ვქარგავდი ძაღლებს, ჩემი და თინა კი კატებს. ეს ქარგვა არსებითად იყო ძაფით ხატვა.

უნივერსიტეტის წლები

1935 წელს დავამთავრე მერვე რკინიგზის ათწლედი და შევუდექი უნივერსიტეტში შესასვლელი გამოცდებისათვის მზადებას. უნივერსიტეტი, სრულებითაც არ იყო ჩემთვის უცნობი, მაგრამ არა აკადემიური მხრით. მისი – უფრო მოტიტვლებული ვიდრე მცენარეებით დამშვენებული – ეზო, ფიქრის გორა და მისი სანახები ბავშვებისათვის დიახაც რომ მიმზიდველი ადგილი იყო. ჩემი ბავშვობის დროს ფიქრის გორის ქვემოთ, მდინარე ვერეს გასწვრივ, თათრებს ბაღები ჰქონდათ გაშენებული. მათში, გარდა სხვადასხვა ხილისა, იყო ალუჩით დახუნძლული ხეები, ბავშვებისათვის დიახაც რომ მიმზიდველი. იქვე, მდინარის ორივე მხარეზე, დიდი ლოდების ხროვა იყო, მათზე ხშირად დაინახავდით მზეზე მიფიცხებულ, გარინდებით მწოლარე ჯოჯოებს. მე დახელოვნებული ვიყავი ამ ჯოჯოების დაჭერაში. „ლასტოჩკით“ დავაცხრებოდი ხოლმე ვიდრე ჯოჯო გონზე მოვიდოდა. ამ ჯოჯოებზე დიდ მოთხოვნილება იყო საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერის ბერიტაშვილის კაბინეტში, ფიზიოლოგიური ცდებისათვის. მე ვიყავი ჯოჯოებით ერთადერთი მომმარაგებელი, რომელსაც თითო ჯოჯოში ათი შაურიდან ერთ მანეთამდის მეძლეოდა. ბატონ ბერიტაშვილისა ყველას ერიდებოდა და ეშინოდა კიდეც. მუდმივ მოღუშული გამომეტყველებით დადიოდა – მხოლოდ მე, ჩემი უმეცრების გამო, არაფრად ვაგდებდი ამ დიდ მეცნიერს, რამეთუ მას უფრო ვჭირდებოდი ვიდრე პირუკუ. ბატონი ბერიტაშვილი მაგონდებოდა მხოლოდ იმ დროს, როდესაც ბავშვები კინოში წასვლას მოვინდომებდით, უცხოეთის ფილმები რომ გვენახა: ჰეროლდ ლოიდის ან ავანტიურისტ დუგლას ფერნბექსის კომედიები, ანდა ნატო ვაჩნაძის ფილმები, ბილეთი, თუ არ ვცდები, 25 კაპიკი ანუ ხუთი შაური ღირდა. უნივერსიტეტის მახლობლად ცხოვრობდა ჩემი ამხანაგი ოთარ ჭიაურელი (ჭია). ცოტა არ იყოს უცნაური ყმაწვილი; დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგ მივაკითხე იმ არემარეს, რომელიც ისეა მცენარეებითა და ტოპოგრაფიულადაც შეცვლილი, რომ ვეღარ ვიცანი; წამლად ერთი ჯოჯოც კი ვეღარ ვნახე. უნივერსიტეტის ბაღი, სადაც მოტვლეპილ მინდორში ღორები დარბოდნენ, დეკორატიული ხეებით, ბუჩქებით და ყვავილებით არის გამშვენებული.

ეს მოკლე და მნიშვნელობას მოკლებული შესავალი, ჩემი უნივერსიტეტთან კავშირის მხოლოდ „პრეისტორიული“ პერიოდია. ნამდვილი აკადემიური ურთიერთობა დაიწყო 1935 წელს, როდესაც უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე გამოცდების ჩაბარება დავიწყე, ეს მართლაც ფსიქიური და გონებრივი გარდატეხა იყო. მას ახლდა ორი მთავარი ფაქტორი: გამოცდებში ჩაჭრის შიში და მოწიწებისა და მოკრძალების ღმად განცდილი გრძნობა მეცნიერების ტაძრის მიმართ, რომელიც ჩემი სულიერი მშობელი გახდებოდა. გამაოცა ერთმა ფაქტმა, რასაც სრულებითაც არ მოველოდი: გამოცდების ჩასაბარებლად მოსულ ბავშვებს, თან ახლდა მზრუნველობით გამომეტყველი, ფაცი-ფუცში გაბმული რიგი ნათესავ-მეგობრებისა, რომლებიც როგორც შევიტყვე, მომავალი სტუდენტის წარმატების უზრუნველყოფისათვის

იყვნენ მოსულნი. მოხდა ერთი საინტერესო ამბავი: გამოცდების ჩასაბარებლად მოსულ ერთ ყმაწვილ გაბუნიას პროტექტორების მართლაც ჯოგი მოჰყვა, ყოველი გამოცდის წინ გამომცდელ პროფესორთან (მაგ. ლიტერატურის პროფესორთან) მივიდოდნენ და არწმუნებდნენ, რომ ეს ყმაწვილი ლიტერატურაში ცოტა წაიკოჭლებს, თორემ სხვა საგნებში ბრწყინვალე ცოდნა აქვსო. ასევე საზოგადოებათა მეცნიერების გამომცდელთან: „ბატონო, ჩვენი შვილი საზოგადოებათა მეცნიერებაში წაიკოჭლებს თორემ სხვა საგნებში ჩენებულია და ამიტომ ლმობიერად გამოსცადეთო". ასეთი მხარდაჭერის მიუხედავად გაბუნია საგნებში იჭრებოდა. ბოლოს საქმე მიმდგარა მათემატიკაზე. გამომცდელი იყო დაბალ-დაბალი ღიპიანი პროფესორი სულაქველიძე. სხვათა შორის, ის იყო ძმა ჩემი სკოლის დირექტორის, ანეტა სულაქველიძის და ამავე დროს ნათესავი თვით გაბუნიასი. გამოცდებზე ოთხი ხუთი ბავშვი შედიოდა. დადგა დრო ღუტუ გაბუნიას გამოცდის. სულაქველიძის შეკითხვებზე ყველას დადებითი პასუხი გაუცია გარდა ღუტუსი. სულაქველიძე თურმე იოლ შეკითხვებს აძლევდა, რომ თავისი ნათესავი ჩაჭრისგან ეხსნა, მაგრამ აშკარად ხედავდა, ნათესავს მათემატიკისა ბევრი არაფერი გაეგებოდა. ბოლოს და ბოლოს, იმედგაცრუებულმა, გაწითლებული სახით და თითქმის მთრთოლვარემ შეჰღაღადა გაბუნიას: „ბიჭო ღუტუ მითხარი გენაცვალე რა იცი?" ღუტუმ დაუყონებლივ და გამხიარებულმა უზრუნველად მიუგო: „ცეკვა ბატონო". მგონია გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ გამოცდების დროს, ორიოდ მსგავს მოვლენას ექნებოდა ადგილი... დიდი ოფლის ღვრისა და მღელვარების შედეგად ჩავაბარე გამოცდები ლიტერატურის ფაკულტეტზე და თანდათანობით ჩემს თვალწინ გადაიშალა მიმზიდველი მოზაიკა ნაირ-ნაირი მეცნიერებებისა. თითქოს, პატარა ბავშვი მრავალნაირი სათამაშოებით სავსე ოთახში შეიყვანეს, რითაც ბავშვი ისე იბნევა, რომ არ იცის რომელ სათამაშოს მოავლოს ხელი.

დიდი ბატონი ივანე, რომელიც ყოველ მხრივ აღემატებოდა თანამემამულე ყველა მეცნიერს და ჭეშმარიტად იყო „კაცი ზეცისა და ანგელოზი ქუეყნისა", იმ ხანებში ავადმყოფობის გამო ლექციებს თითქმის აღარ კითხულობდა, მაგრამ სწავლას დაწაფებული ყმაწვილებისათვის მართლაც მომაჯადოებელ მოაზროვნეთა დიდი არჩევანი იყო. სხვათაგან, თავისი ჯადოქრული ცეცხლოვანი ლექციებით გამოირჩეოდა შალვა ნუცუბიძე, რომელიც ევროპის ლიტერატურის ისტორიას გვასწავლიდა; ან არაჩვეულებრივი ალექსანდრე ნამორაძე თავისი ნაწილობრივ დავიწყებული ქართულით და უცნაური მანერებით, რომელიც ევროპის ისტორიას კითხულობდა და მისი უცნაური სტილი კი სტუდენტებში ანეკდოტების საბადოს წარმოადგენდა. საბრალო გივი ქიქოძე თავისი ლექციების დროს, დასავლეთ გოთების აღწერაში ნამორაძეს ბაძავდა და მეგობრებს ამხიარულებდა. თვითონ ბატონი ნამორაძე, გოთების მსგავსად მომცრო ტანისა იყო, მაღალ ქუსლებიან ფეხსაცმელებს იცვამდა და თავისი ჯერ კიდევ შერჩენილი ევროპული ტანისამოსით სხვა სწავლულებისაგან გამოირჩეოდა. უაღრესად საინტერესო იყო ვახტანგ კოტეტიშვილის ლექციებიც, კორნელი კეკელიძე, ზემორე ბატონებს თავისი მელოდრამატიული თეატრალობით ვერ გაუტოლდებოდა, რადგან ის იყო მშვიდი, ტკბილად მოსაუბრე და ღრმა ცოდნის მქონე. უნდა ითქვას, რომ ბატონი სერგი დანელია, რომელიც გამჭრიახი გონების ფილოსოფოსი გახლდათ, რატომღაც რუსული ლიტერატურის ისტორიას კითხულობდა თავისი მშრალი, მაგრამ უაღრესად ინფორმატიული ლექციებითა და ორიგინალური ანალიტიკური აზრებით.

თავისი შეხედულებით და პიროვნულადაც მეტად შთამბეჭდავი, ყველასაგან გამორჩეული იყო ბატონი გრიგოლ წერეთელი, ძველი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, რომელიც ქართულის უკმარისობის გამო ბერძნული ლიტერატურის ისტორიას რუსულად გვიკითხავდა. თხელი, ღრმად შთამბეჭდავი ცხვირი, მოგრძო არისტოკრატიული ხმელი სახე, თეთრი თმები. ყოველთვის ერთსა და იმავე, ჩვენთვის არაჩვეულებრივ ტანისამოსს ატარებდა: შავი გრძელი სერთუკი შავ ბლუზაზე და მკერდზე ჩამოკიდებული ოქროს მოზრდილი ჯვარი. არასოდეს მქონია პატივი მასთან გამოლაპარაკების თუ საუბრის, მაგრამ განვიცადე მისი შენიშვნა: ლექციის დროს პირველ რიგში ჩემს გვერდით მჯდომ სტუდენტს ჩაეძინა, მე მუჯლუგუნი ვკარი, რომ გამეღვიძებინა. ამას თვალი მოკრა ბატონმა გრიგოლმა და მითხრა ნუ ანჯღრევ ეძინოს, ალბათ ძალიან დაღალულიაო. საქართველოში და საქართველოს გარეთ მე ვიცნობდი ოთხ სწავლულ წერეთელს, რომელნიც გამომეტყველებით, ნიჭით და განსწავლით ერთმანეთს მეტისმეტად უახლოვდებოდნენ. ესენი ბრძანდებიან: გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი, გიორგი წერეთელი, მიხაკო წერეთელი და კოტე წერეთელი. კოტე წერეთლის გარდა ყველა აქ ნახსენები წერეთლები ხილულ სამყაროში აღარ არიან.

არ შეიძლება არ მოვიხსენიო ძველი საბერძნეთის ლიტერატურისა და ბიზანტიის ისტორიის პროფესორი სიმონ ყაუხჩიშვილი, რწმენით კათოლიკი, ფიზიკურად ოდნავ გამხდარი სახის, გვერდზე გადავარცხნილი სქელი შავი თმით და ხშირი ულვაშით. ეს ჩუმი, მშრომელი მეცნიერი საქართველოს დიდად ნაყოფიერად ემსახურა. სხვა თუ არა, ბევრი ქართველი მეცნიერისათვის მიუწვდომელი, ბიზანტიელი ისტორიკოსების მიერ საქართველოს შესახებ ნაშრომების თარგმნით და ქართლის ცხოვრების რედაქციით. აგრეთვე მისი ღვაწლმოსილი ქალიშვილი ჩვენი თაობის სტუდენტი იყო. ოთარ ჯინორიას მითხოვდა. მას გავუგზავნე წიგნები და ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი წერილი, რომელიც ამას წინათ რომში გათხრების შედეგად გამოვლენილ ლათინურ ვრცელ წარწერას ეხებოდა საქართველოს (იბერიის) შესახებ. 1995 წელს, თბილისში ყოფნისას ვკითხე რას ფიქრობდა ამ წარწერის შესახებ. არ მიმიღია არც წერილი და არც წიგნებიო – ცივად მომიგო.

საქართველოს ისტორიას კითხულობდა დიდი ქართველი პატრიოტი იესე ცინცაძე, ახალი XIX ს. ხანის ლიტერატურის ისტორიას - ალექსანდრე ბარამიძე და მიხეილ ზანდუკელი, სპარსულ ენას - იუსტინე აბულაძე, ლათინურს - ბერიძე და ბერძნულს ჯვარშეიშვილი? რუსულ გრამატიკას გვასწავლიდა მართლაც ყარაჩოღელი სიკო ვაჩნაძე. კაცი უაღრესად სასიამოვნო და ინტელექტუალურადაც სათანადო საფეხურზე მდგომი, მაგრამ მას რუსული გრამატიკა ისე აინტერესებდა როგორც ჩვენ ჩინური. ეტყობოდა ეს სასიამოვნო თავადიშვილი სხვა საზოგადოების კაცი იყო და რუსული გრამატიკა, დროის უკუღმართობამ მოახვია თავზე. თითქმის ყოველთვის ბახუსის გავლენის ქვეშ იყო და ჩვენს თანაკურსელ სტუდენტ კატო ღვინიაშვილს ეკურკურებოდა. ჩვენს კურსზე სტუდენტების ერთი მესამედი მაინც, პროვინციიდან ჩამოსულები იყვნენ, რომლებიც თავისი კუთხური ყოფაქცევით ადგილობრივ სტუდენტებისაგან გამოირჩეოდნენ. ეს სხვაობა ხშირად პატარა კონფლიქტებსაც კი იწვევდა. ერთი ამგვარი სტუდენტი იყო აკაკი ძიძავა. სამეგრელოდან ახლად ჩამოსული და თანაც კომკავშირის კომიტეტის მდივანი; ყოველთვის დაძაბული, უაღრესად სერიოზული და დიდაქტიკური, ჩვეულებრივზე უფრო მოკლე

ნიკაპით. პარტკომის მდივანი იყო ვასო გერსამია, მაღალი, მშვენიერი შესახედი. ზამთარში გამოწკეპილი იყო ხოლმე საგანგებოდ მისთვის შეკერილი მაზარით და აგრეთვე სამხედრო ქუდით, რაც მას მართლაც უაღრესად შვენოდა და დიდი სამხედრო ბობოლას შთაბეჭდილებას ქმნიდა. გერსამიამ ითხოვა ქეთო ფულარია, რომელიც აგრეთვე ჩვენთან სწავლობდა. შემდეგ გაყრილან და გერსამია პატარა მუზეუმის დირექტორად დაუნიშნავთ. გერსამია და ძიძავაც კეთილი ბუნების ადამიანები იყვნენ, მაგრამ პარტიის იდეოლოგიის განმტკიცებაში განუხრელნი. თითქმის ყველა სტუდენტს ჩემი ჩათვლით ეძლეოდა სტიპენდია, რაც ორი წლის შემდეგ მომიხსნეს მამაჩემის წარსულისა და იმის გამო, რომ „ამხანაგოს“ მაგიერ, თითქმის ყველას, „ბატონო“-თი მივმართავდი. მრავალჯერ გამაფრთხილეს რომ ეს საშინელი სოციალური უთანასწორობის გამომხატველი ნაშთი აღარ მეხმარა, მაგრამ ვერ გადავეჩვიე, რამაც ჩემი სტიპენდია იმსხვერპლა. ორმოცი წლის შემდეგ, როდესაც თბილისს ვესტუმრე, უმეცარი საქართველოში მომხდარი ცვლილებებისა და ძველი ჩვევებისკენ შემობრუნებისა ყველას „ამხანაგო“-თი მივმართავდი, დარწმუნებული იმაში, რომ ამ სანაქებო ქცევით ყველას გავახარებდი. ერთ შემთხვევაში, როდესაც თავმოყრილ ხალხს „ამხანაგო“-თი მივმართავდი, ერთი ჭკუის კოლოფი მომიახლოვდა და ინტიმური დიდაქტური ტონით მითხრა: ბატონო, ჩვენ საქართველოში ზრდილობას დიდ ყურადღებას ვაქცევთ და ერთმანეთს „ბატონო“-თი მივმართავთ -ო. შევხედე ამ ახლად გამომცხვარ ზრდილობის მასწავლებელს და გულიანი სიცილის მეტი ვერაფერი მოვახერხე. ჩვენ ჯგუფში იყო ორიოდ შესანიშნავი სტუდენტი, ერთი მათგანი, როსტომ ყიფიანი – რომელიც შემდეგ მისმა მეგობარმა გოგი ციციშვილმა გადაიბირა და ქიმიურ ფაკულტეტზე გადაიყვანა, ირა არეშიძე, წითელთმიანი ჩაპუტკუნებული მშვენიერი და კარგი საამხანაგო გოგონა, ცნობილი აგრეთვე თავისი მშვენიერი სტვენით. მე ვამხანაგობდი ქართული და ევროპული ლიტერატურისა და ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებთან, რომელთაგან ზოგი ჩემი ბავშვობის ან სკოლის მეგობარი იყო, ყველანი თბილისელები, რის გამოც მათთან საერთო ენის მონახვა არ მიჭირდა. ჩვენი უნივერსიტეტის ხანა, შეიძლება ითქვას, იყო სისხლის წვიმების ხანა, როდესაც ლავრენტი ბერიას მიერ დაიწყო მოსახლეობის არა მხოლოდ დევნა შევიწროებები, არამედ თავაშვებული დაპატიმრებები და უამრავი დახვრეტა-გადასახლება. უნივერსიტეტში იმართებოდა მიტინგები, სადაც სტუდენტებს აიძულებდნენ პოდიუმზე გამოსულიყვნენ და თავისი საკუთარი მშობლები დაეგმოთ ე.წ. ანტისაბჭოური მოქმედებისათვის. სხვათა შორის, ერთი ჩვენი მეგობარი, – სახელმოხვეჭილი იარაღებზე მოვარჯიშე – აიძულეს თავისი მშობლები საჯაროდ დაეგმო, გამოვიდა პოდიუმზე, დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ უეცრად ისტერიული ტირილი მორთო, რის გამოც გაწბილებულმა ჩეკისტებმა პოდიუმიდან ჩამოიყვანეს. მსგავსი მოვლენები იშვიათობა არ იყო. ყოველ დღე დახვრეტილთა და დაპატიმრებულთა სიები ქვეყნდებოდა და მოსახლეობა შიშით ისე იყო მოცული, რომ ურთიერთთან დალაპარაკებისაც კი ეშინოდა. ამის მიუხედავად, სტუდენტები ოხუნჯობდნენ და მასხრობდნენ. ერთხელ გივი ქიქოძემ გააბრიყვა როდამ ამირაჯიბი. აბა იმ უზარმაზარ ღორს მზეს რომ ეფიცხება წამოწოლილი, თუ გადააბიჯებო. როდამი დათანხმდა და გადააბიჯა, გივიმ ღორს წიხლი კრა, ღორი წამოხტა, როდამმა წონასწორობა დაკარგა და ღორის ზურგზე მოექცა. მიჭენაობს ღორი და ზედ მჯდარ მყვირალა შეშფოთებულ როდამს მიაქანებს. ამ დროს, უნივერსიტეტის ალაყაფის კარიდან

შემოდის უნივერსიტეტის რექტორი მალაქია ტოროშელიძე, ჩვენი მეგობრის სუზანა ტოროშელიძის მამა, რომელიც იმავე წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს. ღორზე მოჯირითე როდამის შეხედვაზე კინაღამ გული წაუვიდა: ჩემ თვალებს არ ვუჯერებ რა ხდებაო? ტოროშელიძე როდამს და მის ოჯახს იცნობდა.

მეორე საინტერესო ეპიზოდი, რომელმაც იმსხვერპლა ჩვენი კარგი მეგობარი გივი ქიქოძე, ეხება ერთ კომუნისტურ დემონსტრაციას. ოქტომბრის რევოლუციის, ქალების განთავისუფლების, მშრომელების დღე და მრავალი სხვა, კომუნისტების მიერ შექმნილი დღესასწაული ტარდებოდა წარმოების მუშა-მოსამსახურეების, სტუდენტებისა და მოსწავლეთა ჯგუფური მარშით ქალაქებში; მათ ახლდათ მომღერლები და მემუსიკენი, ხალხი, პარტიის სანაქებო ლოზუნგებით და კომპარტიის ლიდერთა სურათ–პლაკატებით ხელში. ამ დამღალავ და უსიამოვნო დემონსტრაციაში მონაწილეობა აუცილებელი იყო. ყოველი დემონსტრაციის დაწყებამდე, ჩვენი ფაკულტეტის პარტკომი ამოწმებდა თუ ვინ აკლდა დემონსტრაციას და მათ გვარებს შემდგომი რეპრესიებისათვის თავის დავთარში იწერდა. ამიტომაც, ჩვენ დემონსტრაციაში ვმონაწილეობდით, მაგრამ მხოლოდ დასაწყისში. მონაწილეთა აღრიცხვა გათავდებოდა თუ არა და დარაზმული ჯგუფები მარშს დაიწყებდნენ, იწყებოდა მონაწილეთა დემონსტრაციიდან გაპარვა. ერთი დემონსტრაციის დროს პარტკომმა გივი ქიქოძეს მიაჩეჩა ლოზუნგი ბერიას სურათით, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ წვიმიან დღეს გივი დემონსტრაციიდან ვერ გაიპარებოდა, ამიტომ ეს ბერიას სურათი სხვას მიაჩეჩა, მან არ ინება სურათის მიღება და კამათის დროს ბერიას სურათი წუმპეში ჩავარდა, რასაც მოჰყვა გივის დაპატიმრება და მისი ფიზიკური წამება. მალე გივი გაანთავისუფლეს და ერთ დღეს, როდესაც გივი, ლალი ჯავახიშვილი და მე აბანოში წავედით, ვნახეთ ცემისაგან დასერილი გივის ზურგი. გივისთვის შინსახკომში უთქვამთ, რომ თუ ამ ცემის კვალს ანახვებ ვინმეს ან იტყვი, რომ გცემეთ, ისევ ციხეში ჩაგაგდებთო. გივის სხვადასხვა ხალხისათვის შეუჩივლია, რომ გალახეს. ამ ხმამ, ვიღაცის საშუალებით შინსახკომამდე მიაღწია, გივი მეორედ დააპატიმრეს, საიდანაც ის აღარ გამოსულა. ამბობდნენ ციმბირში გადაასახლეს და იქ გარდაიცვალაო. მაშინ როდესაც სამართალზე ლაპარაკს ყველა ერიდებოდა და გივი ქიქოძის შესახებ საუბარს ყველა უფრთხოდა, ლალი ჯავახიშვილმა გაზეთში გამოაქვეყნა გივის მოსაგონარი თავგადასავალი და სამარცხვინო ბოძზე გააკრა ის ორგანოები, რომლებმაც ამ უაღრესად ნიჭიერ და დიდი იმედების მომცემ ახალგაზრდას ვერაგულად და სრულიად უდანაშაულოდ ჩაუქრეს სიცოცხლე. საერთოდ, ლალი ჯავახიშვილი უაღრესად განათლებული პიროვნება, თავმდაბალი, მოკრძალებით მოუბარი, სრულებით არ სტოვებს ვაჟკაცის და გაბედული პიროვნების შთაბეჭდილებას, მაგრამ სინამდვილეში კი, არა მხოლოდ გივის მიმართ, არამედ სხვა სახიფათო შემთხვევებშიც, როდესაც სამშობლოს ბედი განსაცდელში იყო, გამოიჩინა ნამდვილი კეთილსინდისიერი, უშიშარი და უაღრესად გონიერი, შემმართებელი ბუნება, მრისხანე და „ყოვლის შემძლე“ კომუნისტ ქვეყნის მმართველებთან კამათით. ეს ეხება განსაკუთრებით ოთხმოციან წლებს, როდესაც სამშობლოს განმკითხავი ჭირდებოდა.

ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა ლალის მახლობლად, რის გამოც მე მასთან ვმეგობრობდი, ხშირად ვესტუმრებოდი ხოლმე და თამამად ვამბობ, რომ თუ მე რაიმე კეთილი თვისებები მაქვს, მისი დიდი ნაწილი, ლალისთან ურთიერთობას მიეწერება. მართლაც უაღრესად კეთილშობილი პიროვნება - ლალი

ცხოვრობდა ორსართულიან დიდ სახლში, თავის მართლაც ანგელოზისებრ მშობლებთან. ბატონი ივანე მაშინ ავადმყოფობდა, მისი ბებია ნათლიკო, რომელიც ფრანგულს მასწავლიდა სრულიად უსასყიდლოდ, არა მხოლოდ ფრანგულ ენას, არამედ ზრდილობას, ეტიკეტს, რაც მე დიახაც რომ ძალიან მჭირდებოდა. ფრანგულად მიყვებოდა თავის თავგადასავალის ეპიზოდებს. მაგალითად, როგორ იმგზავრა ფაიტონით პეტერბურგიდან თბილისამდის, რასაც ორი თვე დასჭირდა. ზოგჯერ ერთსა და იმავე ეპიზოდს ორჯერ, სამჯერ იმეორებდა გულმავიწყობის გამო. მწერდა ფრანგულად დაწერილ წერილებს, რასაც მე ფრანგულად ვპასუხობდი, შეცდომებს მისწორებდა და ჩემ წერილს მიბრუნებდა. უკვე უაღრესად მოხუცებული, ბატონ ივანეს ძმა გიორგი ჯავახიშვილი, რომელიც აგრეთვე მათთან ცხოვრობდა, მგონია პრაქტიკულ საქმეებში გამოუსადეგარი, ისე რომ ამ დიდი პატრიარქალური ოჯახის მთელი სიმძიმე, ლალის დაუღალავ, მუდმივ მშრომელ დედას სტასიას (ე.ი. ანასტასიას) აწვა. ამ დიდ სახლში ცხოვრობდნენ აგრეთვე ჯავახიშვილების, უკეთ ლალის დედის ნათესავები: აბაშიძეები და რჩეულიშვილები. თვით ლალის დიდი ოთახი პირველ სართულზე იყო, იქვე ცხოვრობდა ლალის ბიძა საშა (ალექსანდრე), მუყაითი, მშრომელი დაკოჟრილი და მუდამ სუფთა ხელებით, (ალექსანდრე იყო ლალის დედის ძმა), მხიარული და ხუმარაც. ხანდახან გვიკითხავდა ფრანგულ, ცოტა არ იყოს პორნოგრაფიულ წიგნს „Les amour du dragon“, რომლის ყოველ სიტყვას დიდი ნდომით ვეწაფებოდით. ლალის მეორე ბიძა მამის მხრივ - გიორგი – დაბალი ჩასუქებული, დაზიანებული თვალით, მაგრამ დიდი სწავლული, რომელმაც განათლება გერმანიაში მიიღო და იქვე გამოაქვეყნა შრომა თუ შრომები ზოოლოგიაში. მგონი, მისი სანაქებო ნაშრომები ქართულ ენაზე არ უთარგმნიათ. ბატონი გიორგი საქციელითაც არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. ერთხელ მე და ლალი უნივერსიტეტიდან მოვდიოდით სახლში, გზაში შხაპუნა წვიმამ მოგვისწრო, მანამდის ე.წ. პლეხანოვის ქუჩას მივუახლოვდებოდით, იქვე ბაიერის აფთიაქის კარებთან შევაფარეთ თავი. იმავე მიზეზით წვიმით გალუმპული ბატონი გიორგიც იდგა თავისი პორტფელით და გაზეთის კონუსური პარკიდან მადიანად პანტას შეექცეოდა. „ჭამეთ ჭამეთ ბარაქიანია“ გვითხრა და ჭამის შეუჩერებლად პანტა შემოგვთავაზა.

ჩემი ამხანაგ-მეგობრები უნივერსიტეტში

აქ მოკლედ ჩამოვთვლი და დავახასიათებ უნივერსიტეტის იმ ამხანაგ-მეგობრებს, რომელთა სახელ-გვარები და მოქმედებები, მეხსიერებაში აღიბეჭდა. ზოგიერთ მათგანთან განცდილი ეპიზოდები ამ თავგადასავალის ტექსტშია აქა იქ მოთხრობილი, რის გამოც აქ ამომწურავად არაფერს ვიტყვი. 1935 წელს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ დარგებზე გამოცდების ჩაბარების შედეგად მიღებულთა დიდი ნაწილი, თბილისელები იყვნენ, უფრო კი ვაჟთა პირველი გიმნაზიის ანუ პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლის ყოფილი მოწაფეები, რომელნიც არა მხოლოდ საუკეთესო ოჯახებიდან იყვნენ, არამედ მათი მასწავლებლებიც ჩინებულნი (როგორც მაგალითად მიხეილ ზანდუკელი - „შეხტიმიხო“, რომელმაც უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობა მიიღო), ამიტომაც, მათთან დაახლოებამ და მეგობრობამ ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში დადებითი გავლენა იქონია. აი მათი გვარ-სახელებიც: ჯუნა ახმეტელი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდა გერმანიაში,

შემდეგ ნიუ-იორკში ხანდაზმულობით მხაზველად მუშაობდა, მოგვიანებით დაბრუნდა თავის სამშობლოში - ახმეტაში, სადაც ბავშვებს ინგლისურს ასწავლის. საუკეთესო მოჭადრაკე და კარლ მარქსის ნაწარმოებთა ჩინებული მცოდნე – ოთარ შენგელაია (ლეო ქიაჩელის შვილი, მასთან აღიზარდა აგრეთვე პროფ. შოთა მესხია, ჩვენზე ორიოდ წლით უფროსი), უნივერსიტეტში სწავლობდა მათემატიკის ფაკულტეტზე, ომის დროს იყო არტილერიის ოფიცერი, ქერჩში დაიღუპა. ბიბი ქარცივაძე, სახელმოხვეჭილი მოვარჯიშე და ერთხანს ეთერ ცაგარლის განუყრელი ესკორტი; გარდაცვალებამდე იყო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი - მშვენიერი შესახედავი და კარგი საამხანაგო. გოგონებს შორის - სუსანა ტოროშელიძე, რომლის მამაც ჩვენ დროს, უნივერსიტეტის რექტორი იყო. ეთერ ცაგარელი, ქეთო მიქელაძე და დები ციტაიშვილები, რომელთა მამაც ჩვენი დამოუკიდებლობის დროს იყო ოფიცერი კომუნისტების შემოსევის შემდეგ, „წმენდებს“ გადაურჩა და უნივერსიტეტში გვასწავლიდა სამხედრო საქმეს. ყველაზე თვალსაჩინო და წარმატებული იყო ელო მეტრეველი, უკვე სტუდენტობის დროს მეცნიერებაში ღრმად ჩახედული, საქმიანი, სერიოზული, მაგრამ ხუმრობაში და კარგ კამპანიაში ენთუზიასტი მონაწილე. კაცებსა და ქალებს შორის, ელო, ყველაზე მეტად ემსახურა საქართველოს და ქართულ მეცნიერებას, რამეთუ შემკული იყო აგრეთვე ორგანიზატორული ნიჭით. ზემორეთა ჯგუფს ეკუთვნოდა აგრეთვე გივი ქიქოძე, გიგო ბოკერია, თინა შარაძენიძე, რუსიკო გაგუა, ნინო ღოღობერიძე, ეთერი ჩხიკვაძე, რუსიკო დოდაშვილი, ქეთო ყავრიშვილი, როდამ ამირეჯიბი, თინა ბოლქვაძე და რასაკვირველია ლალი ჯავახიშვილი.

უნივერსიტეტში, ლიტერატურის ფაკულტეტზე არსებობდა არაოფიციალური ე.წ. „ახალგაზრდა მწერლების ჯგუფი“. ძირითადად, მასში შედიოდნენ უნივერსიტეტში 1935-1936 წლებში ჩარიცხული სტუდენტები, რომლებიც მათ წინა ან მომდევნო კურსელებს თავიანთი აქტიურობით ჩრდილავდნენ: კოტე ხიმშიაშვილი - რომელიც უკვე ცნობილი იყო თავისი ადრეული მომცრო ნოველით: „თავთავი მწიფეა“, რეზო მარგიანი - თავისი ლექსებით სახელმოხვეჭილი, ალექსანდრე საჯაია - აგრეთვე პოეტი, რომელიც მგონი ადრე გარდაცვლილა, გიორგი ძიგვაშვილი - რომელსაც, თუ არა ვცდები, მაშინ არაფერი ჰქონდა გამოქვეყნებული, მაგრამ ნიჭიერი და ენამახვილი ყმაწვილი იყო, გივი კაჭახიძე. ნაწილობრივ გივი თარგამაძე – უფრო ენათმეცნიერი ვიდრე ლიტერატორი და სხვები, რომელთა გვარები არ მაგონდება, უფრო იმიტომ, რომ მათთან მხოლოდ ნაცნობობა მქონდა და არ ვიყავი დაახლოებული. (მე უფრო პირველი ვაჟთა გიმნაზიისა და მე -14-ე შრომის სკოლის ყოფილ მოწაფეებთან ვიყავი დაკავშირებული: გივი ქიქოძესთან, ზურა ღამბაშიძესთან, გიგო ბოკერიასთან, ელო მეტრეველთან, ნინო ღოღობერიძესთან, ნატო კანდელაკთან, დებთან ციტაიშვილებთან, ოთარ (თარი) გიგინეიშვილთან, გიორგი მელიქიშვილთან, ლალი და კახა ჯავახიშვილებთან, ვასო ცისკარიშვილთან. რადგან ვიოლინოსაც ვსწავლობდი, ახლო ვიყავი სანდრიკა ჩიჯავაძესთან, ბიჭიკო ბარნაბიშვილთან, ფარნაოზ სულხანიშვილთან, იურა და მიკა ყარალაშვილებთან, ლალიკა ცინცაძესთან, ბორია ჭიაურელთან და შურა ნავროზაშვილთან). ამის მიუხედავად, კრებულ „ალმანახში“, რომელიც უნივერსიტეტში ამ ჯგუფმა გამოსცა (მგონი მხოლოდ ორი ტომი), მეც გამოვაქვეყნე მომცრო წერილი - „ფსიქოლოგიური ასპექტი დოსტოევსკისა და ანდრე ჟიდის რომანებში“- ეს გამოწვეული იყო ანდრე ჟიდის დიდი პოპულარობით მთელ საბჭოთა კავშირში,

მით უფრო, რომ მაშინ ჟიდი სოციალისტურ იდეოლოგიას ,,ეკურკურებოდა". ჟიდი მოხიბლული იყო საქართველოთი და ქართველი მწერლებით. მგონი თბილისს ორჯერ ესტუმრა და გერონტი ქიქოძის ბინაზე ცხოვრობდა. რადგან გივი თავისი ბიძის – გერონტის გვერდით ცხოვრობდა, ორიოდეჯერ ჩვენც შევხვდით ჟიდს, რომელიც იქ თავმოყრილ მწერლებს უმტკიცებდა, რომ „კახეთი თავისი ბუნებით, გომბორის დათოვლილი მთებით და სანაქებო ღვინით თუმც ჩემთვის დაუვიწყარია, მაგრამ ჩემ მეხსიერებაში უფრო მკვეთ-რად დარჩება ის დიდი კაკლები, რომლებიც ჩვენი სეირნობის დროს ხეებიდან ცვიოდა და ჩემ მოტვლეპილ თავზე ბაგა ბუგი გაუდიოდაო". გივის მამა მაშინ დაპატიმრებული იყო, ხოლო დედა – ლიზა – მუშაობდა, რის გამოც მათი ბინა დღის განმავლობაში თავისუფალი იყო და ახალგაზრდებისათვის საცელქოდ სახარბიელო თავმოსაყარი. იყო ხუმრობა, მუთაქებით „ბრძოლა", ისმოდა გივის დის - ნათელას გაუთავებელი ჭყივილი და ალიაქოთი, იქვე ცხოვრობდნენ გერონტის ქალიშვილი თინა, რომელიც გათხოვილი იყო თუ თხოვდებოდა ვიღაც კარგ ოჯახისშვლზე, მაგრამ უცნაურ ყმაწვილზე და მშვენიერი მანანა, რომელიც მამის გზას გაჰყვა და ქართული ლიტერატურის მოღვაწეა. გერონტი ქიქოძე, საფრანგეთში ნამყოფი და თვალსაჩინო განათლების მქონე მოღვაწე იყო. მის კრიტიკულ წერილებს ქართველ მწერლებში დიდი წონა ჰქონდა. გერონტი ცხოვრობდა მყუდრო სოლოლაკში, სადაც სიჩუმე ერთი ლავაშის გამყიდველის შეძახილებით:„ლავაშიიიიი" და მერე მოკლედ: „ლავაში"... ირღვეოდა. ორი სახლის მოცილებით ცხოვრობდა მწერალი კონსტანტინე გამსახურდია. სხვათა შორის, გერონტისთან ხშირად იკრიბებოდნენ მწერლები ლიტერატურის საკითხებზე საკამათოდ და დროს გასატარებლად. ღვინოსაც არ იწუნებდნენ, რადგან გამომშვიდობების შემდეგ, ქუჩიდან სალაღობოდ გერონტის საზრახ სიტყვებს უკიოდნენ: "შეგირცხვეს თავი დამჟავებული ღვინო რომ გვასვი"... რასაც ხარხარი მოჰყვებოდა ხოლმე.

მაგრამ დავუბრუნდეთ ლიტერატურის ფაკულტეტის შემოქმედ სტუდენტებს, რომელთა ენამახვილობითა და თაღლითობით მწერლები ისე იყვნენ მოხიბლულნი, რომ მათ, მწერალთა კავშირში შეუქმნეს „ახალგაზრდა (თუ დამწყებ) მწერალთა კავშირი". სტუდენტებისათვის სანატრელი ეს კავშირი მისწრება იყო, რადგან კავშირის წევრობა, მათ, უფლებას აძლევდა მწერალთა კავშირის კაფეტერიაში, კარაქიანი პურით, თაფლით, ნამცხვრებისა და კაკაოს დიდი რაოდენობით კუჭი ამოევსოთ. არც მწერლებისათვის იყო სტუდენტ მწერალთა კავშირი უსარგებლო, რადგან ისინი საოხუნჯოდ (ან სერიოზული მიზნების გამო) გეშავდნენ ამ ახალგაზრდა თუ დამწყებ მწერლებს, რომ ლიტერატურული საღამოების ან პაექრობის დროს, ეს დამწყები მწერლები, რომელიმე სახელოვანი მწერლისათვის მიესიათ „კივილით" და წუნკალი შეძახილებით, რათა ეს მწერალი მოთმინებიდან გამოეყვანათ და „გაეგიჟები-ნათ", ამ გაროზგვის მსხვერპლი არაერთხელ თვით კონსტანტინე გამსახურდიაც ყოფილა. ამ დამწყებ მწერლებს, მათი საძრახი მოქმედების გამო „ფუნაგორიებს" უწოდებდნენ. მათზე ან მათ მიერ შეიქმნა ,,საინტერესო" პოეზია: აი ორიოდ ნიმუში:

„ალიომ (ალიო მაშაშვილი) უთხრა ილოსა (ილო მოსაშვილი)
საქმეს ვიქმ სასაცილოსა
დაგიმშევ ფუნაგორისტებს
დავკეტავ სასადილოსა".

ან:

„შენ რომ პოემებსა წერ
რატომ აჭკნობ ოხვრაში,
ძველი პ.....ი ხარ (უკაცრავად)
და ნაცადი ოღრაში“.

ფუნაგორისტები თავის მოძმეებსაც არ ინდობდნენ სარკასტული პოეზიით. მაგალითად, რეზო მარგიანის სვანების სადიდებელი ლექსი სულ გაამასხარავეს:

„ჩამჯდარა და ყარს ფუნაში,
შენი გმირი ხაზბულათი,
მიმქრალა და მინაბულა
ჩიყვიანი მირანგულა
შენ რომ ეძებ შერვაშიძეს,
აგერ ნიკოს შარვალში ძევს“.

ფუნაგორისტების პასიური წევრი გივი კაჭახიძე, თავისი ხმელი, წაგრძელებული ცხვირის გამო მართლაც სიგიჟემდე მიიყვანეს. ერთხელ, როდესაც უნივერსიტეტის სარდაფში მოთავსებულ სასადილოში ხარჩოს გეახლებოდით, გივი იმ ზომამდის ააღელვეს, რომ მან ღრიალი და სადილისთვის განკუთვნილი ჩანგლის ისტერიული ქნევა დაიწყო, რომლის დროსაც ჩანგალი ცხვირში მოხვდა და ჭრილობიდან სისხლმა იდინა. აი, ამ არაჩვეულებრივი ცხვირის გამო, ფუნაგორისტებმა გივის შემდეგი ლექსი მიუძღვნეს:

„ცხვირი მოდის, ოხ რა ცხვირი,
ცხვირი ნიფხვის ზონარია
ცხვირი მოდის ბობოქარი,
ცხვირი პასიონარია“

(პასიონარია იყო ფრანკოს წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო ომის გმირი ესპანეთში, შემდეგ რუსეთში ცხოვრობდა).

მახსოვს ფუნაგორისტების მიერ შეთხზული რამდენიმე ჩინებული ლექსი, რომლის წინაშეც ლუკა მუდიშჩევიც კი ქედს იხრიდა, მაგრამ ამათ აქ წერას სირცხვილით მოვერიდები...

ჩვენ ფაკულტეტზე ყოველი ყმაწვილი, რომელიმე სტუდენტ ბარიშნას ეარშიყებოდა და „ეფრონცქებოდა“: რეზო მარგიანი ჭინკას ანუ ეთერი ჩხიკვაძეს (მწერალ ნოე ჩხიკვაძის ქალიშვილი), კოტე ხიმშიაშვილი მერი იანქოშვილს (კოტეს მსგავსად, მერიც ინგლისური ენისა და ლიტერატურის სექციაში სწავლობდა და ბოლოს ამ სექციის კათედრის გამგეობისათვის მიუღწევია). მე თვითონ ქეთო მიქელაძეს ვეტრფოდი, მაგრამ ყველა ეს ,,ტრფობა” იყო მხოლოდ „შორით კვდომა შორით ნდომა“, მართლაც უნაყოფო დაგვა. ამის მკაფიო მაგალითი თვით ქეთო მიქელაძესთან ჩემი ურთიერთობაა: ლექციების დამთავრების შემდეგ, ქეთოს სახლამდის ვაცილებდი და ზოგჯერ იმ დონემდის ვიყავი აღელვებული, რომ ლაპარაკიც კი არ შემეძლო. ერთადერთი ხსნა, დაზეპირებული ლექსების დეკლარაცია იყო, რაც ქეთოს დიდ სიამოვნებას არ გვრიდა. ერთხელ, ზაფხულში, არდადეგებზე, როცა ქეთოს უნივერსიტეტში ნახვა აღარ შეიძლებოდა, მე კი (და მგონი ისიც) ნახვის სურვილით ვიწვოდი, დავურეკე ტელეფონით და ვუთხარი, რომ ხვალ ნაშუადღევს მოვალ შენს სახლთან (ბელეტაჟზე ცხოვრობდნენ), შენს გასაგონად დავუსტვენ, გააღე ფანჯარა და გადმოდექი, თუ შენი მშობლები გკითხავენ თუ რასა იქმ, უთხარი,

რომ ჩემთვის წიგნის მოცემას აპირებ - სავსებით გულუბრყვილო საქციელი და გონივრული მონაფიქრი. მეორე დღეს, მხარდასაჭერად მოვიხმე კოტე ხიმშიაშვილი, რეზო მარგიანი და გავსწიეთ ქეთოს სახლისაკენ. რეზო გზაში სულ იმას იძახოდა, რომ არ სურს ხათაბალაში გაეხვიოს, მაგრამ რის ვაი ვაგლახით დავამშვიდე და დავარწმუნე, რომ ქეთუნის ნახვა არავითარ სახათაბალოს არ უქადდა. ამ საკითხზე მსჯელობით, თრთოლვით მივუახლოვდით ქეთუნის სახლს. გავჩერდით, წამოვიწყე სირინოზის სტვენა, ფანჯარა მართლაც გაიღო და ველოდები, რომ სანატრელი ქეთუნი გადმომანათებს. ამის მაგიერ დავინახე ქეთუნის მამის - კოწიას მრისხანე სახე, რომელმაც სამივეს კასრით ცივი წყალი გადმოგვასხა. ჩვენ ამ მოულოდნელი სურათის გამო ისე დავიბენით, რომ ვეღარ მივხვდით როგორ მოვქცეულიყავით, მაგრამ სულ მალე ავტომატურად დოღის ცხენების მსგავსად მკვირცხლად მოვწყდით ადგილიდან და ისე მოვუსვით, ფეხსაცმელებიდან ალბათ ნაპერწკლები ცვიოდა. ამ დამამცირებელი თავგადასავლის შემდეგ, ქეთუნისთან კავშირის ერთადერთი საშუალება, ჩვენი მეგობარი და ჩემი ერთგული ,,ფოსტალიონი" ნინო ღოღობერიძე იყო, რომელსაც უშეცდომოდ და ერთგულად ჩემი წერილები და ამბები მიჰქონდა ქეთუნისთან და მისგან პასუხსაც არ მაკლებდა.

აი, ასეა. მიუხედავად ამ გავარვარებული სიყვარულისა, არცერთ ჩვენთაგანს ბედმა არ გაუღიმა, არ შეგვრჩა სანატრელი ,,ბარიშნები", რომლებიც სხვებმა წაგვლიჯეს თუ სხვებს ხვდათ წილად. ვფიქრობდი, ნეტა ვის უნდა ასეთი მრისხანე ტრადიცია, რაც უამრავი დროის დაკარგვას და „ტანჯვა წამებას" მოითხოვს ბერწი შედეგით.

28 თებერვალი და მტკვარში ცურვა

მოგითხრობთ მეორე, ჩემთვის მნიშვნელოვან ეპიზოდს. 1938-39 წ. საბჭოთა კავშირის მთავრობამ გადაწყვიტა, კავკასიის მთების გარშემოვლით ფრენის მოსკოვი–მახაჩკალა–თბილისის მაგივრად, მოსკოვსა და თბილისს შორის პირდაპირი საჰაერო კავშირი დაემყარებინა. ამ მიზნით, დაიწყო კავკასიონზე გადაფრენის ცდები, რომლის დროსაც ერთი (თუ ორი) თვითმფრინავი ყინულიან მთებში ჩამოვარდა. მის მოსაძებნად გაიგზავნა მთამსვლელების ექსპედიციები: ერთი მათგანი ჩვენი უნივერსიტეტიდან, ოთარ გიგინეიშვილის მეთაურობით. რადგან მე თარისთან ერთად, ერთ დროს მყინვარწვერზე (5043 მეტრი) და მის მომცრო მაგრამ ტექნიკურად უფრო ძნელად მისაღწევ კაპარჭინაზე ავედი, მან თავის ექსპედიციაში ჩამრიცხა. გავუდექით გზას. ჩვენმა ძიებამ ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო, რის გამოც ექსპედიციის წევრები დაბრუნდნენ თბილისში, მე კი შევრჩი ხევის ერთ პატარა სოფელში, სადაც ქორწილში მოვხვდი, ქორწილის შემდეგ კი მთვრალი მექორწილის ძებნა მომიხდა, რომელიც მდინარეს დაეხრჩო. ეს იყო ჩემთვის სავსებით უჩვეულო, ღრმად განცდილი მოვლენა, რომლის მსგავსიც ალექსანდრე ყაზბეგის რომანებში თუ შეგხვდება.

თბილისში დაბრუნების შემდეგ, გადავწყვიტე ნანახისა და განცდილის აღწერა. ჩემმა ამხანაგებმა რომ წაიკითხეს, მოიწონეს და მირჩიეს მისი გამოქვეყნება, რაც ჩემთვის მართლაც წარმოუდგენელი იყო, რადგან ავტორები ნახევრად ღმერთებად წარმომედგინა და ეს იქნებოდა უზენაესის ნაადრევი მიღწევა. გამოითქვა აზრი სპორტული ჟურნალის რედაქტორისათვის მიმე-

მართა. ასეც მოვიქეცი. რედაქტორმა დაიწყო ჩემი ნაწერის კითხვა და მეორე დღეს დამიბარა. დარწმუნებული ვიყავი, რომ რედაქტორი ჩემს ნაცოდვილარს სანაგვე ყუთში გადააგდებდა, მე კი პანღურის კვრით გარეთ გამომისტუმრებდა. მეორე დღეს, მოკრძალებითა და თითქმის შიშით მივუახლოვდი რედაქტორს, რომელსაც ჩემი ხელნაწერი უკვე ხელში ეჭირა და პირდაპირ მითხრა: „თანახმა ხართ, რომ ეს მასალა გაგრძელებებით, ნაწილ-ნაწილ გამოვაქვეყნოთ?“ ამის გამგონე კინაღამ წავიქეცი და ლუღლუღით ვუპასუხე: „როგორც გენებოთ ბატონო“ და მანამ გონზე მოვიდოდი, გარეთ გამოვედი, ურწმუნო იმისა, რომ გაგონილი არა რეალობა, არამედ სიზმარი თუ მოჩვენება იყო. ეს მასალა, არა თუ გამოაქვეყნეს, არამედ ჰონორარიც მიბოძეს, რაც ჩემთვის არა მხოლოდ დიდი თანხა იყო, არამედ ჩემს მიერ პირველად მონაგები ფული, რომლითაც დედაჩემს ყვავილები ვუყიდე, ჩემი ათამდე ამხანაგი, გივი ქიქოძის ჩათვლით, რომელთანაც გაბუტული ვიყავი (რამდენიმე ხნით ადრე შემომელახა), მუხრანის ხიდთან მეღვინეების სარდაფში წავიყვანე, სადაც დაკლეს ცხვარი და ცვრიანი მწვადებისა და ღვინის სმით მშვენიერი დრო გავატარეთ (ეს იყო ჩემთვის უჩვეულო და ერთადერთი შემთხვევა ,,ყარაჩოღელობისა” და მასშტაბური ქეიფის მოწყობისა, რადგან დიდი მსმელი და დარდიმანდი არასოდეს ვყოფილვარ). ქეიფში, რომელიც დილაადრიან გავათავეთ, მონაწილეობდნენ აგრეთვე რეზო მარგიანი და კოტე ხიმშიაშვილი. წამოსულები, მუხრანის ხიდზე შუაში გავჩერდით და გადავყურებთ მტკვარს, რომელსაც ყინულის დიდი ნაფლეთები მოჰქონდა. დავიწყეთ კამათი თუ ვინ იყო ისეთი გამბედავი, ხიდიდან რომ წყალში ჩახტომას არ შეუშინდებოდა. ხან ერთმა გაიწია გადასახტომად, ხან მეორემ. სხვათა შორის, გივი ქიქოძემ, რომელმაც ცურვაც კი არ იცოდა, შესძლო მოაჯირის მეორე მხარეზე გადახოხება და მართლაც გადავარდებოდა, აქეთ რომ არ გადმოგვეთრია. ამ გაწამაწიაში გავიხადე სულ ახალთ-ახალი, ე.წ. ,,ბობრიკის” პალტო, გადავეცი ჩემს მეინახეებს და არც მაცია არც მაცხელა, მტკვარში გადავხტი. ცივ წყალში რომ ჩავეშვი მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ სავსებით მთვრალი ვიყავი და სისულელე ჩავიდინე. რა უნდა მექნა, მოვუსვი მკლავური და ბაყაყური, ცურვა ძნელდება ხორკლიანი ყინულების გამო, რომლებიც ხელის გულებს მიგლეჯენ. რის ვაი ვაგლახით მივაღწიე ცემენტის კედელს, შევძელი წყლის ქვეშ ჩამავალი კიბის უკანასკნელი საფეხურისათვის ხელი მომეჭიდა და ზევით ავფოფხებულიყავი. ეს იყო მართლაც სიკვდილისაგან ჩემი სასწაულებრივი გადარჩენა, რომლის მოგონება ახლაც ჟრუანტელს მგვრის. სანაპიროზე გამოვედი თუ არა, მრისხანე თვალებით მომიახლოვდა პროვინციიდან ახალი ჩამოსული ოსი პოლიციელი და მითხრა: „დაპატიმრებული ხარ აი“. თურმე ეს ყოფილა 28 თებერვალი სერგო ორჯონიკიძის გარდაცვალების თუ დასაფლავების დღე, რომლის დროსაც მხიარულობა აკრძალული ყოფილა (ორჯონიკიძე იყო სტალინის თანამშრომელი, ყოვლის შემძლე ,,პოლიტბიუროს” წევრი და მძიმე ინდუსტრიის მინისტრი). ხანმოკლე კამათის შემდეგ ეს პოლიციელი შემომელახა, წავართვი რევოლვერიც. საბრალომ შემომტირა, რომ თუ რევოლვერს არ დავუბრუნებდი მკაცრად დასჯიდნენ. ტყვიები გამოვიღე და რევოლვერი მას შემდეგ დავუბრუნე. დავპირდი რომ ტყვიებს სანაპიროზე მდგარ სტალინის ძეგლის კვარცხლბეკზე დავტოვებდი. ამასობაში ჩემი ამქარიც შემომიერთდა, ნახევრად შემშრალ ტანზე ჩამაცვეს ჩემი ბობრიკის ,,მაზარა” და წამოვედით მერი იანქოშვილის სახლისაკენ, რადგან კოტეს მასთან „გამოლაპარაკება“ სურდა. მივაღწიეთ მერის სახლს. ამ სისხამ დილას კოტე რე-

კავს, მაგრამ კარს არავინ აღებს, ალბათ შეგვატყვეს, რომ ღვინისაგან „გახეთქილები“ ვიყავით და კარი განგებ არ გააღეს. ამასობაში კოტეს და ერთ მეინახეს მერის სადარბაზოში ჩაეძინათ და ჩვენ გავსწიეთ რუსთველის გამზირისაკენ. აქ შემხვდნენ აგრეთვე „ნასვამი“ ჩეკისტები, რომელთაგან ორი (რომლებიც ჩვენ ბინას ხშირად ჩხრეკდნენ, გვაშინებდნენ და ოჯახს გვინგრევდნენ) ვიცანი და ესენიც შემომელახენ. ამასობაში პოლიციამ მახლობელი პოლიციის სადგურში წამიყვანა (ეს არის ერთადერთი, მაგრამ დიდად სამარცხვინო შემთხვევა ჩემი პოლიციაში წაყვანისა). იმ ყინულივით ცივ პოლიციაში საინტერესო ამბავი მოხდა: სამი დაპატიმრებული ქურდიდან ერთი გაანთავისუფლეს პირობით, რომ თუ შეშას მოიტანდა, მეგობარ ქურდებსაც გაანთავისუფლებდნენ მოკლე ხანში, ამ განთავისუფლებულმა ქურდმა მოიტანა არა შეშა, არამედ ორი ახალთახალი კარი (ალბათ მოპარული). ეს კარი დაამსხვრიეს და „ფეჩი“ ააგუგუნეს ყველას სასიხარულოდ. პოლიციელმა ქურდებს პირობა აუსრულა და ისინი გაანთავისუფლა, მაგრამ მათ პოლიციიდან წასვლა არ ინებეს: „ამაზე თბილ ადგილს სად მოვნახავთო“. მოვიდა პოლიციის უფროსი - თომა ფიცხელაურის ძმა, რომელიც მიცნობდა თომას საშუალებით. ამასობაში ჩემმა ბიძამაც დარეკა პოლიციაში და მაშინვე გამათავისუფლეს. მაგრამ სახლში წასვლის მაგიერ დარცხვენილი დეიდაჩემთან წავედი, გავსუფთავდი და მხოლოდ შემდეგ მივაკითხე დედას. აქ მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩემ ცხოვრებაში ზემორე ეპიზოდი იყო ყველაზე ირაციონალური და სამარცხვინო, რომელიც ხანდაზმულობის მიუხედავად დღესაც კი მაწუხებს, მაგრამ მისი აქ მიჩქმალვა აზრადაც არ მომსვლია. აი კიდევ ორი უფრო შესაწყნარებელი საქციელი, რომლის მონაწილეც გახლდით: თარი გიგინეიშვილმა გვითხრა, რომ ძნელაძის ქუჩაზე (ოპერის თეატრის უკან) გახსნეს უმომსახურებო სასადილო, წავიდეთ ვნახოთ რა არისო. წავედით, თეფშებზე დასხმული საჭმელები უკვე დამზადებული „ვიტრინაზე“ ელაგა და ზედ ფასებიც ეწერა. უნდა აგეღო სადილი და მისი საფასური იქვე უყურადღებოდ და უმოლაროდ მიტოვებულ ყუთში ჩაგეგდო და თუ საჭირო იყო ხურდაც აგეღო. ჩავაგდეთ ხუთი მანეთი და ავიღეთ ექვსი მანეთი „ხურდა“, თანაც გაოცებული ვიყავით, როდესაც მეორე დღეს გაზეთში წავიკითხეთ, რომ სასადილოს საქმეები ჩინებულად მიდის და ფულადი შემოსავალი უფრო მეტია ვიდრე მოველოდითო. შეგვრცხვა და ვიფიქრეთ, რომ მადლობა ღმერთს ჩვენზე პატიოსანი ადამიანებიც მოიპოვება, რომელნიც სადილში უფრო მეტ ფულს იხდიან ვიდრე საჭიროა.მეორე მსგავსი საქციელის (უკეთ უსაქციელობის) ავტორია დღეს დიდად პატივცემული, მართლაც უაღრესად თვალსაჩინო სწავლული და პატიოსანი აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი, რომელსაც მე ბავშვობიდან ვიცნობდი (პირველი კლასიდან) და უნივერსიტეტშიც ერთად შევედით. მან ერთხელ დაგვარწმუნა რომ ლენინმა სთქვა, სწავლის მოწყურებულთათვის წიგნის მოპარვა ქურდობად არ ჩაითვლებაო. გავსწიეთ რუსთველის გამზირისაკენ, ლაღიძის წყლებთან სადაც წიგნის ბაზრობა იყო და აუარებელი წიგნები მაგიდებზე გასაყიდად ელაგა. დავდეთ ჩვენი საკუთარი წიგნები გამოფენილ წიგნებზე და როცა ავიღეთ ერთი გასაყიდი წიგნიც ავიყოლიეთ. მე შემხვდა ვაჟა ფშაველას მეოთხე ტომი, რომელიც მის პოემებს შეიცავდა, რაც უკან დავაბრუნე რადგან ვაჟას ლექსები და მოთხრობები უფრო მიზიდავდა, ხოლო პოემები გრძლად და მოსაწყენად მეჩვენებოდა ან მისი ღირსებისა არა გამეგებოდა რა...

კიდევ ერთი უარყოფითი (ან შეიძლება არც თუ ძაან უარყოფითი) საქციელი: როგორღაც მოხდა ისე, რომ უნივერსიტეტში, თარისთან და სხვა ამხანაგებთან ერთად სომხეთში თხილამურებით გადარბენის მონაწილე გავხდი. ჯგუფის უფროსად დანიშნეს თარი (ოთარ გიგინეიშვილი შემდგომ საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი) ჩვენ თბილისიდან ერევნამდის თხილამურებით უნდა გაგვერბინა, მაგრამ ზოგ ადგილებში თოვლი უკვე გამდნარი იყო და უფრო ტლაპოში სრიალი გვიხდებოდა. სომხეთს როდესაც მივუახლოვდით თოვლმა და სიცივემ საგრძნობლად იმატა. ერთ საღამოს გზაკვალი აგვებნა, რადგან ჩვენი რუკების მიხედვით იმ ადგილზე, რომელზედაც გავჩერდით, სომხების სოფელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერ იქნა და იმ სოფელს ვერ მივაკვლიეთ; მეტი გზა არ იყო, დაღლილებმა და მშივრებმა გადავწყვიტეთ თოვლი გაგვეთხარა და შიგ ჩვენი საძილე ტომრებით ჩავწოლილიყავით ღამის გასათევად. სისხამ დილით, როდესაც სიცივით შეწუხებულებმა გავიღვიძეთ და მიმოვიხედეთ, გავოცდით – ჩვენს გარშემო თოვლიდან ბოლი ამოდიოდა. თურმე ჩვენ თოვლით დაფარულ სოფელში ვყოვილვართ, მაგრამ სოფელს ვერა ვხედავდით, რადგან სპარსეთის უდაბნოდან მქროლავი სუსხიანი ქარის გამო, ბინები, მიწის ქვეშ იყო და ამიტომ შეუმჩნეველი. გეგმით გათვალისწინებული იყო ამ სოფელში ერთი ღამის გატარება, დასაძინებლად წაგვიყვანეს ერთადერთ, მიწის ზემოთ ნაშენ ნახევრად მინგრეულ შენობაში, რომელიც სკოლა ყოფილა. გამოვიღეთ ჩვენი საძილე ტომრები, დავაპირეთ ძილი, მაგრამ იატაკის ფიცრები ერთმანეთისაგან დაშორებული იყო და არც ქვევითა სართულს გააჩნდა ჭერი. ქვევიდან ცივზე ცივი ქარი გვიბერავდა და სიცივე ისე ატანდა საძილე ტომრებში, რომ ძილი შეუძლებელი შეიქნა. მეტი გზა არ იყო, დაღლილ-დაქანცულებმა დავამტვრიეთ ისედაც მოფამფალე მაგიდები და სკამები, შევუკეთეთ ,,ფეჩს", ავაგიზგიზეთ ცეცხლი, დავყარეთ იატაკზე ძროხებისათვის განკუთვნილი თივა და რის ვაი ვაგლახით ძილს მივეცით თავი.

უნივერსიტეტში განცდილი მოვლენების შესახებ საუბრის დროს არ უნდა უგულებელვყო 1996 წლის მარტში, ჩემ მეგობარ რუსუდან გაგუას მიერ ჩემთვის ნაბოძები პატარა წიგნაკი ,,დაწყევლილი თაობა/1942 წლის შეთქმულება/" (წიგნის ავტორია როსტომ ჩხეიძე. ,,ნაკადული". თბილისი. 1992 წ. 174 გვ. ბრალდებულთა ფოტოსურათებით), რომელიც ჩემ თანაკლასელების ტრაგედიას აღწერს. გაოცებული ვარ, ამ ე.წ. შეთქმულების შესახებ არც ჯარში ყოფნის (გორში ქართულ დივიზიაში) და არც ომში მონაწილეობის დროს (ბაქსანის მიდამოებში) არაფერი ვიცოდი. ეს ხანა ემთხვევა 1941-1942 წლებში ე.წ. შეთქმულთა დაპატიმრებას და მათი უმეტესობის (17 კაცი) დახვრეტას (1941 წლის დეკემბრიდან 1942 წლის მარტამდე). არც საქართველოში ჩემი სტუმრობის დროს უთქვამს ვინმეს რამე ამ მოვლენების შესახებ. ისე რომ, ეს უბედურება შევიტყვე მხოლოდ 55 წლის შემდეგ. საზღვარი არა აქვს ჩემს გაოცებას და აღშფოთებასაც. 30 თუ 40-ოდე შეთქმულთაგან, ვიცნობდი ან ვმეგობრობდი კოტე ხიმშიაშვილს, გიორგი ძიგვაშვილს, გივი თარგამაძეს, გიორგი ახობაძეს (ფილოსოფოსს), მიხეილ კაციტაძეს (ყველა დაუხვრეტიათ) და აბო ფარეშიშვილს (გადასახლებაში გარდაიცვალა). ყველანი ავჭალის სამხედრო ბანაკში ყოფილან ჩემგან მოწყვეტილნი (მე გორში ვიდექი) და თანაც 1940 წ. ჩვენი გზები გაიყარა უნივერსიტეტის დამთავრებისა და იმის გამოც, რომ 1940

წლიდან მე უკვე მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი ვიყავი, სავსებით ახალ გარემოცვაში. გამოძიების შედეგად გამოჩნდა, რომ ე.წ. შეთქმულებს არც იარაღი აღმოაჩნდათ, არც რაიმე სახის პროკლამაციები და ანტისაბჭოთა ლიტერატურა ან სხვა საბუთი, რომლის საფუძველზედაც შესაძლებელი იქნებოდა მათთვის საბჭოთა წყობის დამხობის ბრალდების წაყენება და ამის საფუძველზე მათი დასჯა. ნეტა გამაგებინა სინამდვილე საქმის ვითარებისა. ამ შემაძრწუნებელი ტრაგედიის შესახებ, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ მოხდა, მე არავითარი საბუთი არ გამაჩნია აზრის გამოთქმისათვის. მაგრამ ძველი ნაცნობ-მეგობრების ფონზე შემიძლია ზოგადად მაინც ვთქვა, რომ არცერთი მათგანი თავგამოდებული რევოლუციონერი, ან სახელმწიფოს დამამხობელი არ ყოფილა. ამგვარი საქმიანობა მათ ბუნებას სრულებითაც არ ესატყვისება და დიდი იმედების მომცემი ყმაწვილების დახვრეტა, უშიშროებისა და საგამომძიებლო უწყებების ისტერიის ბრალია. რადგან ეს ამბავი მოხდა მაშინ, როდესაც გერმანელები საქართველოს კარზე იყვნენ მომდგარნი, საბჭოთა არმიის ჯარისკაცები ასიათასობით ბარდებოდნენ ტყვედ და „სტრატეგიულად“ უკან იხევდნენ, საბჭოთა კავშირის ბედ–იღბალი მართლაც ბეწვზე ეკიდა. ამ დროს, შეიძლება უნივერსიტეტის გერმანული ენის პროფესორმა ერთ ამ შეთქმულთაგანს მართლაც მისცა რაღაც საბუთი თუ წერილი, რომელიც მას უნდა გადაეცა შემოსული გერმანელებისათვის, მაგრამ ე.წ. შეთქმულები ამის შესახებ უფრო მეტს ლაპარაკობდნენ და ბჭობდნენ ვიდრე საქმიანობდნენ. ეს იყო სწორედ ფუნაგორისტების ბუნება და არა რევოლუციის მოწყობა. მოკლედ, ისინი რევოლუციონერის ყალიბისანი არ იყვნენ. ამავე დროს, უშიშროების ორგანოებს პანიკური შიში ჰქონდათ შექმნილ მდგომარეობაში, „სიფხიზლის“ ნაკლულობის გამო, თვით არ აღმოჩენილიყვნენ მსხვერპლის როლში. ამაზე მეტის თქმა არ შემიძლია, რადგან ამ საქმეში სრულებითაც არა ვარ ჩახედული. ერთადერთი რაშიც დარწმუნებული ვარ ის არის, რომ ეს განწირული ყმაწვილები დიდი ნიჭისა და აკადემიური ღირსებების პატრონნი იყვნენ. ადამიანის ბედისწერა კი მართლაც საოცარია; კომუნისტებმა, რომლებმაც შეთქმულები სიცოცხლეს გამოასალმეს საბჭოთა კავშირის დამხობის ზრახვისათვის, - თვითონ, საკუთარი ხელით დაანგრიეს საბჭოთა წყობა ოთხმოციან წლებში და ახლა ისე დასეირნობენ, ვითომ აქ არაფერი. პირიქით, ცენტრალური კომიტეტის ყოვლის შემძლე წევრები რომლებმაც ახლა თავის დანგრეულ ქვეყნებზე მოკალათებულან და „დემოკრატიზაციას“ გაჰყვირიან, ასი ათასობით მოქალაქეს ხვრეტდნენ და აციმბირებდნენ, შემდეგ კი თვითონ გამოუთხარეს ძირი საბჭოთა წყობას.

ორიოდ სიტყვა ამხანაგების მეორე ჯგუფის შესახებ

რადგან მე ცოტაოდენ მუსიკას მივდევდი, ბავშვობაში დავუახლოვდი სანდრიკა ჩიჯავაძეს (ინდიუშკას), უფრო კი ბიჭიკო ბარნაბიშვილს, ბორია ჭიაურელსა და ფარნაოზ სულხანიშვილს (კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილის შვილს), რომელიც აგრეთვე ვიოლინოზე უკრავდა და სახელი გაითქვა იმით, რომ ორკესტრის თანხლებით, ბახის არია (ბასოკზე) შეასრულა. მათ მიეკედლენ აგრეთვე ლალიკა ცინცაძე (ჩუმზე ჩუმი ყმაწვილი), შურა ნავროზაშვილი და იურა ყარალაშვილი, რომელიც იყო ჩვენი პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის შვილიშვილი. უწმინდეს კალისტრატეს ორი ქალიშვილი ჰყავდა: ერთი გათხოვილი იყო ყარალაშვილზე, მეორე კი ქართველიშვილზე. ორივე

ოჯახი ქაშვეთის ეკლესიის ეზოში, ერთ გრძელ ორბინიან სახლში ცხოვრობდა. ყარალაშვილი ადრე გარდაიცვალა (ჭლექით) და მისი მშვენიერი ცოლყოფილი, გერმანიიდან ახლად ჩამოსულ ბაქტერიოლოგ(?) გიორგი ელიავასთან ცხოვრობდა, ხოლო მისი შვილები იურა და მიკა კი ქაშვეთის სახლში, სადაც ხშირად ვიკრიბებოდით, რადგან იქ მოდიოდა ხოლმე იურას მშვენიერი საცოლე ნორა ჩაკერტი(?) გერმანელი, რომლის მამა თბილისის გერმანულ სკოლაში (კირკაზე) მასწავლებლობდა. ნორას ჰყავდა ორი ძმა, რომელთაგან უმცროსს ლუსტიგი ერქვა. იურამ ბოლოს და ბოლოს შეირთო ნორა და ეყოლათ შვილი, რომელიც მისდევდა გერმანულ ფილოლოგიას. იყო უნივერსიტეტის პროფესორი, - სახელმოხვეჭილიც – გულის შეტევის გამო გარდაიცვალა ქუჩაში, ქალაქ ვაიმარში ოთხმოციანი წლის ბოლოს. საბრალო დედამისი ნორა კი სხვა გერმანელებთან ერთად გადაასახლეს შუა აზიაში და მგონი დღესაც იქ განისვენებს.

ერთხელ მისმა უწმინდესობა კალისტრატემ, რომელიც დიდხანს თავის რეზიდენციაში ქაშვეთში ცხოვრობდა, ყმაწვილები სადილად დაგვპატიჟა, იქვე იჯდა იმერელი მღვდელი მამა ივანე გაპრიალებული ჩექმებით. სადილობის დროს საყარაულოდ დაგეშილი ძაღლი (როგორც ყოველთვის) მამა ივანეს მიადგა და (რადგან ჩვენ საჭმელს არ ვაძლევდით) თათით ფეხზე უცაცუნა, ანიშნებდა რომ საჭმელი მიეცა. მამამ ეს არ ინება და ყოველი ცაცუნის შემდეგ წიხლს ურტყამდა თქმით:„მომეშვი ბოშო, მომეშვი ბოშო“. ძაღლი მოთმინებიდან გამოვიდა და როდესაც წიხლი მამამ კიდევ ერთხელ უთაქა, ძაღლი მივარდა ბარძაყში და მამა ივანე საბრალოდ ააღრიალა... ქაშვეთის პირდაპირ, ჯორჯაძის ქუჩაზე , წიგნის მაღაზიები იყო, სადაც საათობით ვიჯექით და ვკითხულობდ-ით. უწინარეს ყოვლისა მერკვილაძის მაღაზიაში. ეს ღვთისნიერი ადამიანი ხელს გვიწყობდა ხოლმე, რომ იქვე კუთხეში ჩავმჯდარიყავით და წიგნები გვეკითხა. მერკვილაძესთან დაკავშირებით კარგი მოგონებები მაქვს, მის დუქანში ცოდნა შევიძინეთ... ხანდახან ბარნაბიშვილებთან ვსტუმრობდით, სადაც ჩვენზე უფროსი ახალგაზრდები, ლიზიკოს და მისი ქმრის გოგი ვაჩნაძის (ფსიშკა) მეგობრები (უფრო მენაბდეები) მოდიოდნენ ხოლმე. ბიჭიკოს მამა კიაზო (ექიმი) უაღრესად სასიამოვნო, მხიარული, სიმპათიური კაცი იყო, მაგრამ როცა თავს მოვაბეზრებდით, ფულს მოგვცემდა და გვეტყოდა: „ აბა სალახანებო კინოში წადით, რამე ნახეთ“. მას შემდეგ თითქმის სამოცმა წელმა განვლო; ბიჭიკოს დედა და მამა ჩემი თბილისში ყოფნის დროს გარდაიცვალნენ, ბიჭიკო და მისი და ნინო, რომელიც ჩემ დასთან - თინასთან ერთად სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა, ამ ათიოდე წლის წინათ გარდაიცვალნენ. ლიზიკოს ქმარი გოგი ვაჩნაძე, მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდა, ომის შემდეგ სხვა მრავალ ქართველთან ერთად მიუნხენში ცხოვრობდა, არაყს აკეთებდა, შიგ ჩაის ფერს ურევდა, შვიდ ვარსკვლავიან „იარლიკს“ აკრავდა და უვიც ამერიკელ ჯარისკაცებში (უმეტესად ზანგებში, რომელთაც სასმელების ხარისხზე წარმოდგენა არა აქვთ) ყიდდა როგორც ფრანგულ კონიაკს და ამითი მართლაც უამრავ ფულს შოულობდა. კარტოფილიდან ან შაქრიდან ე.წ. საუკეთესო, შვიდვარსკვლავიანი „კონიაკის“ დამზადება და მიუნხენსა და მის მიდამოებში გაყიდვა ქართველ ყოფილ ტყვეთა უმეტესობის საქმიანობა იყო. მაგრამ ამ ამბებზე შემდეგ ვილაპარაკოთ... ბოლოს და ბოლოს გოგი გადმოსახლდა ამერიკაში, დამკვიდრდა ნიუ იორკში, იშოვა სამსახურიც და მალე ცოლიც კი ითხოვა: ერთი ბებრუხანა პატარა ტანის გამხმარი რუსის ქალი.

ჩემი ასპირანტობა

ჩემი სიჭაბუკის ხანიდან, ხელოვნების ისტორია და საერთოდ, სიძველეთმცოდნეობა ყოველთვის მიტაცებდა, მაგრამ ჩემი სტუდენტობის ხანაშიც კი, თვით უნივერსიტეტში ამ საგნებს არ ასწავლიდნენ და რასაკვირველია, არც ხელოვნებათმცოდნეობის კათედრა არსებობდა. მაგრამ ვიცოდი, რომ 1940 წელს უნივერსიტეტში და მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მარის სახელობის ინსტიტუტში ეს საგნები აღორძინებას იწყებდა ასპირანტურის დაარსებით. ამიტომაც 1940 წელს დავამთავრე თუ არა უნივერსიტეტი, მაშინვე შევუდექი მარის სახელობის ენისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (ლერმონტოვის ქ.18?) საკონკურსო გამოცდებისათვის მზადებას. ხელოვნების ისტორიის დარგში, ასპირანტურაში ერთადერთი ადგილი იყო, ხოლო კონკურსში მონაწილეთა რიცხვი შვიდი. მდგომარეობა თითქმის უიმედო იყო, მაგრამ მე მაინც დავიწყე ენერგიული მზადება; ცხელი ზაფხული იყო, თავზე სველი პირსახოცი და ფეხები ცივ წყალში, შრომას მიმსუბუქებდა და ჩემი საბრალო დედაც მზრუნველობას არ მაკლებდა. დაიწყო გამოცდები, რასაც წარმატებით ვაბარებდი, მაგრამ ბოლოს, ჩავიჭერი ფილოსოფიის ისტორიაში, რადგან ვერ შევძელი მწიფე კაპიტალიზმის სიმპტომების ამომწურავად და ზუსტად ჩამოთვლა. ამით ასპირანტურაში შესვლის იმედი დავკარგე. მაგრამ თქმულა: "კაი კაცს რომ ეშმაკი კარებს დაუხშობს, ანგელოზი ფანჯარას გაუღებს"-ო. და მართლაც მაცნობეს, რომ ფილოსოფიაში ჩაჭრის მიუხედავად, ჩემი ქულები სხვა კანდიტატების ქულებზე მეტი იყო, ამიტომ დამინიშნეს მეორე გამოცდა. მცდიდა პროფესორი მოსე გოგიბერიძე, რომელიც ჰეგელის ფილოსოფიის სისტემისა და მეთოდის შესახებ მეკითხებოდა. ამჯერად ბედმა გამიღიმა, მივიღე ოთხიანი და ასპირანტურაში მოვხვდი. ამგვარად მე გავხდი ბატონ გიორგი ჩუბინაშვილის პირველი ასპირანტი. ბატონ შალვა ამირანაშვილის პირველი ასპირანტები კი გახდნენ ისინი, ვინც უნივერსიტეტში აბარებდნენ,. ესენი იყვნენ: ლალი ჯავახიშვილი, კოლია ჩუბინიშვილი, ოთარ ფირალიშვილი და ანელი ვოლსკაია (?). ლექციები კი ყველას ერთად გვქონდა ჯერ მეტეხში, რომელიც მაშინ უკვე საპატიმროდ აღარ იყო გამოყენებული და იქ საქართველოს ხელოვნების საგნძური ინახებოდა, რომელსაც ირადიონ სონღულაშვილი – უაღრესად პატიოსანი, ქართულ სიძველეთა ერთგული დამცველი და დიდი პატრიოტი კაცი განაგებდა... უნდა აღინიშნოს ზოგიერთი დაბრკოლება, რომელიც ჩვენი ასპირანტურის პროგრამას ახლდა; მთავარი ნაკლი იყო ის, რომ არცერთ ჩვენთაგანს არა ჰქონდა წარმოდგენა ხელოვნების ისტორიის შესახებ, რადგან ეს საგანი მაშინ არსად არ იკითხებოდა, ლექციების მაგიერ გვქონდა სემინარების მსგავსი რამ, და ბოლოს, არ გაგვაჩნდა ხელოვნების ისტორიის შესაფერისი ბიბლიოთეკა, ხელოვნების ძეგლების რეპროდუქციები. გასაგები მიზეზების გამო შეუძლებელი იყო უცხოეთის ძეგლებისა და მუზეუმების ნახვა და იქ მუშაობა, ყველა ამ ნაკლს ერთვოდა ისიც, რომ თუ ორიოდ ფრანგულის მცოდნეს არ ჩავთვლით, ევროპული ენების უმეცრები ვიყავით. ერთადერთი დამხმარე ბატონ გიორგისა იყო ასპირანტების დიდი სურვილი და დაუღალავი შრომა, რომ ზემორე ნაკლი, ნაწილობრივ მაინც გამოგვესწორებინა. ამ საქმეში უაღრესად გვეხმარებოდა Heinrich Wolflin-ის „Grundbegriffe der Kunstgeschichte", რომელიც რუსულად იყო ნათარგმნი და ყოველ ჩვენთაგანს სახარებასავით ჰქონდა გაზუთხული. ბატონი გიორგი გვაცნობდა იტალიის რენესანსის

მხატვრობას, ბატონი შალვა კი ქართულ ხელოვნებას, თუმცა გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მთელი ორი საათი ის ჩვენთან არასოდეს ყოფილა; ხშირად საერთოდ არ მოდიოდა ლექციებზე და თუ მოვიდოდა, რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ სადღაც, მგონი „ცეკაში“ (ცენტრალური კომიტეტი) გამოიძახებდნენ ხოლმე. დიდი წამოსასხამით („პლაშჩით”, რომლის ნაწილს მიწაზე მიათრევდა) და უზარმაზარი პორტფელით, თავისი ახალთახალი საბარგო ავტომობილის - მწვანე ფერის ფორდის მარკის ე.წ. „პალტარა ტონკა“- საკენ მიისწრაფოდა, სადაც მას სომეხი შოფერი უცდიდა. თანაც ამხელა კაცს ბავშვის მოჩიფჩიფე ხმა ჰქონდა. ისე, რომ მისგან თითქმის არავითარი ცოდნა არ შეგვიძენია. პიროვნულად კი ბატონი შალვა იყო უაღრესად კეთილი და გულთბილი ადამიანი, თუმც პარტიულ საქმეებში იმდენად იყო გახლართული, რომ მას სხვა საქმისათვის დრო არ რჩებოდა. რახან ბატონ შალვაზე ჩამოვარდა სიტყვა, მაგონდება – ოციან წლებში – ერთი გერმანელის ოჯახი, რომელსაც ჩვენი სახლის პირდაპირ მდებარე საფეიქრო თუ ქსოვილების ტექნიკუმის გვერდით ჰქონდა საკუთარი სახლი. მამა და ორი შვილი (ქალ-ვაჟი) მართლაც ბრგენი და დიდი ზომისანი, მაგრამ ჰარმონიულად ნაგებნი იყვნენ, გამუდმებით შრომობდნენ. მამა და ვაჟიშვილი მათი საკუთარი ორი ავტობუსის შეკეთებასა და აღდგენაში აღამებდნენ. სხვათა შორის, მეორე ავტობუსი ხუთი-შვიდი წლის შრომით თვითონ ააწყეს დანგრეული ნაწილების გამოყენებით. ისინი ამ ავტობუსებს ამუშავებდნენ თბილისსა და მის სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებულ გერმანელების კოლონიებს შორის. ყველა ეს გერმანელი სასიამოვნო შესახედი იყო და ჯანმრთელად გამოიყურებოდა... აი, ამ ავტობუსის პატრონის უზარმაზარი, მაგრამ მშვენიერი ქალიშვილი, რომელიც სახლიდან იშვიათად გამოდიოდა, შეირთო ბატონმა შალვამ. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ყველა ეს გერმანელი, კომუნისტებმა შუა აზიაში გადაასახლა. ამან თბილისს შეუმცირა ეკონომიკური ძლიერება.

დავუბრუნდეთ ჩვენ მთავარ თემას: ბატონ შალვასაგან განსხვავებით, ბატონი გიორგი გამოირჩეოდა უაღრესი სიზუსტითა და პასუხისმგებლობის გამახვილებული გრძნობით. მას კლასი არასოდეს გაუცდენია (ჯერ მეტეხში, შემდეგ საქ. მუზეუმის შენობაში). ჩვენი სემინარების მუშაობა შემდეგნაირად იყო აგებული: ბატონი გიორგი გვიჩვენებდა იტალიელი რენესანსის მხატვრის რომელიმე სურათს და ჩვენი მოვალეობა იყო ამ სურათის ანალიზი ვოლფლინის წიგნის გამოყენებით. მკითხველისათვის ძნელი წარმოსადგენი იქნება იმ შიშისა და ძრწოლის შემეცნება, რასაც ამ დროს ჩვენ – უვიცები – ბატონ ჩუბინაშვილის მიმართ განვიცდიდით. ბატონ გიორგის განათლება ჯერ პეტერბურგში, შემდეგ კი გერმანიაში ჰქონდა მიღებული, ამიტომ მისი აკადემიური ძლევამოსილებისა და პიროვნული ღირსებების მიმართ ჩვენ მართლაც ვცახცახებდით ხოლმე. ბატონი გიორგი დაბრძანდებოდა სავარძელში, ჩვენი პასუხის მოლოდინში დაიწყებდა ღრუტუნის მსგავსი ხმის გამოცემას და ულვაშის გრეხას, თანაც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა თითქოს სავარძელში უფრო და უფრო ღრმად იძირებოდა. ეს იყო ბატონ გიორგის უკმაყოფილების გამომჟღავნების ნიშანი, რაც ჩვენ შიშს აძლიერებდა. ვცდილობდით როგორმე მის თვალებს ავრიდებოდით, მაგრამ ამაოდ. ორიოდ დამფრთხალ ასპირანტებში ეს შეუძლებელი იყო. ბატონი გიორგი რატომღაც ოთარ ფირალიშვილს დააფრინდებოდა ხოლმე. გვეგონა, რომ ამის მიზეზი თვით ოთარი იყო, რომელიც ტანისამოსს, გარეგნობასა და კოპწიაობას უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა ვიდრე ვოლფლინის „სახარებას“.

ბატონი გიორგი რომ შეკითხვას მისცემდა ოთარს ავტომატიურად დავთრები აერეოდა ხოლმე, სახე გაუწითლდებოდა, თხელი ცხვირი კიდევ უფრო წაუგრძელდებოდა და მისი ვიწრო ტუჩები უცნაურ ცქმუტვას თუ კანკალს იწყებდა. მე, ლალი და კოლია უკეთეს მდგომარეობაში ვიყავით, მხოლოდ იმიტომ რომ ფრანგული მაინც გვეხერხებოდა, უმეტესად ლალის, რომელიც დაუზარებლად გვეხმარებოდა, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, როდესაც დავიწყეთ Gabriel Millet-ის L'ecole grecque dans l'arehitecture Byzantine-ის კითხვა. განუწყვეტლივ ვგრძნობდი, რომ ბატონ გიორგის უაღრესად ღრმა განათლება ჰქონდა მიღებული, ჩვენ კი იმდენად უმეცრები ვიყავით, რომ ხშირად არც კი ვიცოდით ბატონი გიორგი რაზე ლაპარაკობდა... სემინარების დროს ჩვენი ერთადერთ მხსნელი იყო კოლია ჩუბინიშვილი, რომელიც მოურიდებლად ეკამათებოდა ხოლმე ბატონ გიორგის, განსაკუთრებით როდესაც ლაპარაკის საგანი იყო იტალიელი რენესანსის უმნიშვნელო მხატვარი Benedetta di Maiano. წამოიწყებდა თუ არა კოლია თავისი წვრილი ხმით: „А почему вы думаете..“ „Откуда это видно?...“ ჩვენ მაშინვე გულზე მოგვეშვებოდა ხოლმე (ადრე ვთქვი, რომ არც ერთ ასპირანტს არ ჰქონდა ცოდნა ხელოვნების ისტორიაში... ახლა კი მაგონდება, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ბატონმა გიორგიმ მირჩია, რომ ქართული ხელოვნების ძეგლებს გავცნობოდი და ექსკურსიამძღოლად მომაწყო საქართველოს მუზეუმში. მუზეუმი ჩემთვის იყო არა მხოლოდ ცოდნის მომცემი, არამედ რუსული ენისა და მეტყველების გაუმჯობესების საშუალება. ხშირად გვესტუმრებოდნენ ხოლმე რუსი ტურისტები. ერთხელ, ჩემი ,,ლექციის" შემდეგ, ერთი მატრონა არ მომეშვა, შენთან დროს გატარება მინდაო. ღმერთო ჩემო! ესღა მაკლდა ამ დამშეულ ბიჭს. ფეხით წავიყვანე მამადავითის მთაზე და მანამ რესტორანს მივუახლოვდებოდით, იქვე, ბუჩქებში შევცოდე და სიამოვნებით ხელი მოვითბე. ამის შესახებ ცალკე ვისაუბრებ, საინტერესოა)

ორიოდე სიტყვა კოლია ჩუბინიშვილის შესახებ, რომელიც, სამწუხაროდ, ამ ორიოდე წლის წინათ გარდაიცვალა. ის იყო ჩინებული ფოტოგრაფი და ტოპოგრაფი (ამზომველი), ყველა ხელოვნების ისტორიკოსებისაგან მკვეთრად გამოირჩეოდა თავისი ორიგინალური კვლევითი მეთოდებით. არ დადიოდა სტანდარტულ, დატკეპნილ გზაზე, არაჩვეულებრივ შედეგებს აღწევდა. ჩემთვის ძნელია მისი თვისებების მკვეთრ ფოკუსში მოქცევა, – უბრალოდ ვიტყვი – სხვები რომ ცნობილის და დაღეჭილის სესხებით სარგებლობდნენ, კოლია ყამირ მიწას ხნავდა. ჩვენ ვცხოვრობდით და ვმოღვაწეობდით ხანაში, როდესაც არსებული კულტურული და პოლიტიკური ყოფა, ადამიანებს ერთგვაროვანი აზროვნებისაკენ იზიდავდა. კოლიამ კი შესძლო თავისი პიროვნული სტილის შენარჩუნება. ის იყო აგრეთვე პირდაპირი უმანკო და კეთილი. ლალის მსგავსად ის არასდროს ცდილა თავისი სახელმოხვეჭილი მამის ხარჯზე რაიმე წარმატების მიღწევას. ყავდა ორიოდ ცოლი, სულ ბოლოს ლალის და - ნათელა, მშვენიერი და კარგი საამხანაგო. სამწუხაროდ ეს დიდებული ქალბატონიც მოშორდა წუთისოფელს.

1940 წლის შემოდგომის ერთ დღეს, მე და ლალის ჩვენმა მეგობარმა ვასო ცისკარიშვილმა გვითხრა, რომ მიდის ალვანში ცოლის შესართავად. ზაფხულში ერთი გოგონა უნახავს და მოსწონებია. გამოიპრანჭა და წავიდა ჩვენი ,,ლოცვაკურთხევით". მესამე დღეს დამირეკა ალვანიდან და მეუბნება „ჟესტი მომაბეს ვახტანგ, ჟესტი, მოვდივარ". ჩამოვიდა და გვიამბო: მისულა სასიმამროსთან, მას სუფრაზე მიუწვევია, სიმხნევისათვის ერთი ორი ჭიქა რომ დაულევია

ვასილს, გაუმჟღავნებია თავისი მიზანი. სასიმამროს უკითხავს „კი მაგრამ ბასილა, რამდენი ცხორი გყავსო“. ვასილს უპასუხია „ცხვარი არა მყავს, მაგრამ ვმსახურობ თბილისის მუზეუმში მეცნიერ მუშაკად, ხელფასი მაქვს და ხარისხს რომ დავიცავ ხელფასსაც მომიმატებენო“. მასპინძელს უთქვამს „ღატაკს მე ქალიშვილს არ გავატან, დაივიწყე, მშვიდობითო“, ასე იმედგაცრუებული დაბრუნდა ჩვენი ვასილი.

როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოში კომუნისტური წყობის დამყარებამ ჩვენს ოჯახს დიდი ზიანი მიაყენა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მისი დადებითი მხარეც. სახელდობრ, უფასო საექიმო მომსახურეობა და უფასო სწავლა-განათლება. ასპირანტი რომ გავხდი, მივიღე არა მხოლოდ უფასო განათლება, არამედ ავტომატურად დამინიშნეს სტიპენდია. სხვათა შორის, ჩვენი პრივილეგია მდგომარეობდა აგრეთვე მეცნიერებათა აკადემიის კაფეტერიით სარგებლობაში; სადაც კუჭს ვივსებდით კაკაოთი, შვედური კარაქით, პურით, ნამცხვრებითა და საკონდიტრო ნაწარმით. მეორეს მხრივ, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს პრივილეგია ფართო მასებისათვის არ იყო ხელმისაწვდომი. ასპირანტებს პრივილეგიები მოგვანიჭეს აგრეთვე საჯარო ბიბლიოთეკაში, სადაც ჩემი ბავშვობის დიდი დრო გავატარე, მაგრამ ახლა ვიჯექი არა საჯარო დარბაზში, მრავალ მკითხველთა შორის, არამედ გამოგვიყვეს სპეციალური მდიდრულად მოპირკეთებული ოთახი, რომლის ლამაზი აივანიც კეცხოველის ქუჩას და ბიბლიოთეკაში შემოსასვლელ კიბეს გადაჰყურებდა. ყოველ ჩვენთაგანს ჰქონდა თითო მოზრდილი მაგიდა, რბილი სკამი და ელექტრონის ლამფა. ღიმილსა მგვრის ჩვენი მაშინდელი საქციელი; ერთ მხრივ ჩვენ ავხოხდით უფრო მაღალ აკადემიურ დონეზე, რაც მოითხოვდა ამ მაღალ აკადემიურ სტატუსთან შეფერებას და სათანადო სერიოზულობას, მეორეს მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ გვახლდა ქარაფშუტული ახალგაზრდული ჭაბუკური ანცური საქციელი და თავქარიანობა. როგორღაც ეს იყო გარდამავალი ხანა, ფუნაგორისტულიდან სერიოზული აკადემიური მუყაითობისაკენ. ეს მუყაითობა და პასუხისმგებლობის გრძნობა უფრო ბიბლიოთეკაში მჟღავნდებოდა, ალბათ ამაში თვით ბიბლიოთეკის გარემოცვა გვეხმარებოდა. ჩვენ გულდაგულ ვმეცადინეობდით ასპირანტთა ოთახში. შემდეგ გამოვიდოდით აივანზე მძიმე, ნელი ნაბიჯებით, ბოლთას ვცემდით, პაპიროსს ვაბოლებდით, სერიოზული გამომეტყველებით ერთმანეთს ვესაუბრებოდით, თითქოს მსოფლიოს ბედიღბალი ჩვენს მხრებზე ეკიდა, მაგრამ გაიძვერულად ცალი თვალი ბიბლიოთეკიდან შემავალ-გამომავალ ბარიშნებზე გვეჭირა. ასპირანტების ოთახით ყველაზე უფრო ხშირად სარგებლობდა თარი გიგინეიშვილი, გიორგი მელიქიშვილი. პირადად მე დიდად დავალებული და მადლობელი ვარ საჯარო ბიბლიოთეკისა, რომელიც სიჭაბუკიდან ასპირანტობამდის ერთგულად, დაუზარებლად მეხმარებოდა ჩემი ცოდნის შეძენა-გაღრმავებაში... ბიბლიოთეკის დირექტორი იყო საყოველთაოდ ცნობილი, ცხარე რევოლუციონერი და გოდრის პროპაგანდისტი ალექსანდრე ქურიძე, დაბალი და მიღრეჯილი ფეხით. მეტიჩარა, ყველგან ეჩხირებოდა. ბატონ ივანე ჯავახიშვილის საპატივცემულოდ ასეთი სიტყვა წარმოსთქვა: „ბატონი ივანე, ჩვენ, ყველას პატივს გვცემდა და ის იყო ჩვენი ნამდვილი ზონტიკი“-ო (ვითომ გვმფარველობდაო). ქურიძე აგრეთვე უნიჭო პოეტი იყო. მას ჰყავდა ძმა ასევე პოეტი, მაგრამ უფრო ნაცადი. თუმც დიდი არაფერი.

ნაწილი მესამე

ომი

სამხედრო წვრთნა უნივერსიტეტში, საომრად მზადება გორში

ჩვენი უნივერსიტეტი გასამხედროებული იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყველა სტუდენტი ვაჟი სამხედრო მეცნიერებასაც ითვისებდა, ხოლო თეორიულად შეძენილ სამხედრო ცოდნას პრაქტიკულად ორი ზაფხულის განმავლობაში სამხედრო ბანაკებში, ველზე აღრმავებდა. ისტორიისა და ფილოლოგიის დარგების სტუდენტები, ფეხოსან ნაწილში ირიცხებოდნენ, ხოლო მათემატიკოსები კი არტილერისტები იყვენენ. ჩვენი „სამხედროს“ მასწავლებლები(იშხნელი, გაბაშვილი) ნამდვილი ქართველი არისტოკრატები იყვნენ, აგრეთვე ჩინებულნი თავისი განათლებით, ყოფაქცევით და სრულებით არ ახასიათებდათ უხეში, მბრძანებლური მოქმედება, რაც იმ დროს სამხედროების დამახასიათებელი თვისება იყო. ჩვენ, მათგან სიმკაცრე არც ველზე გვიგრძვნია; პირიქით, - ერთხელ, როდესაც მიზანში სროლაში დაჯილდოვებულებს (ჩვენ დანაყოფში და შემდეგ მთელ ქართულ დივიზიაში, მე ერთ-ერთ საუკეთესო მიზანში მსროლელად ვითვლებოდი ხუთსა თუ სამს შორის, თუმცა ამ შესაძლებლობის გაუმჯობესება არასოდეს მიცდია) სამ-სამი დღის შვებულება მოგვცეს, ხუთიოდე ამხანაგი წავედით სახლში - თბილისში. ვესტუმრეთ მუშტაიდის კულტურისა და დასვენების ბაღის რესტორანს. როდესაც ცოტა წავიქეიფეთ, მოვიდა პოლიციელი და მოისურვა ერთი ჩვენთაგანის დაპატიმრება, იმ ჩვენთვის გაუგებარი მიზეზის გამო, რომ იგი რესტორანში მოსვლამდის მოძრავი ტრამვაიდან ჩამოხტა. მოვიდენ სხვა პოლიციელებიც. ჩვენ არ დავემორჩილეთ მათ ყალბ ბრალდებებს და ისინი, ცოტა არ იყოს შევაჯანჯღარეთ. შვებულება რომ გაგვითავდა და დანაყოფში (გორში თუ ავჭალაში) დავბრუნდით, ჩვენმა მეთაურმა ჩვენი ასეული ჩაამწკრივა, სროლაში წარმატებულები გამოგვიძახა და გამოგვიცხადა, რომ მუშტაიდის კულტურისა და დასვენების პარკში უწესო საქციელის გამო გვაპატიმრებს ერთი კვირით (ე.ი. „ცხელ“ კარავში უნდა ვყოფილიყავით ერთი კვირა). მაგრამ, რადგან თქვენ წითელი არმიის წესდებულებანი კარგად გქონიათ შეთვისებული და პოლიციელებს არ დაემორჩილეთ, პატიმრობას გიხსნითო... პატიმრობა, საერთოდ, სასაცილოზე სასაცილო სასჯელი იყო, ჩაგსვამდნენ ე.წ. „ ცხელ პალატკაში“ იმ აზრით, რომ სიცხე შეგვაწუხებდა, მაგრამ მეორეს მხრივ, პატიმრები ველზე სავარჯიშოთ არ გაჰყავდათ, რის გამოც თითქმის ყველა სათადარიგოები პატიმრობის დიდი მოსურნეები ვიყავით. არც ველზე ვარჯიშით ვიკლავდით თავს, ბანაკიდან სამიოდ კილომეტრის მოშორებით ვიპოვიდით ლამაზ დაჩრდილულ მოლს, დავნიშნავდით მოთვალთვალეს და ვარჯიშის ან პოლიტიკური სწავლების მაგიერ განცხრომით ვთაღლითობდით და ვხუმრობდით. როდესაც უნივერსიტეტი დავასრულეთ, ყველა სამხედრო სწავლებაში მონაწილეს უმცროსი ლეიტენანტის ჩინი გვიბოძეს.

მეორე მსოფლიო ომის დაწყება, ჩემი გაწვევა წითელ არმიაში, ფრონტზე

ბატონმა გიორგიმ, საკანდიდატო თემად დამისახა „სამცხის ათაბაგების პორტრეტული გამოსახულებები ზარზმაში, ჭულესა და საფარაში“. მაგრამ

ამ თემის ხეირიანად წამოწყებაც არ დამცალდა, რომ მოულოდნელად ჯარში გამიწვიეს. ეს მოხდა იმისდა მიუხედავად, რომ მე კანონით, როგორც ასპირანტი და თანაც დედისერთა ვაჟი, ჯარისაგან დაზღვეული ვიყავი, მაგრამ იმ ხანებში, როდესაც „ჩაწყობები“ „პროტექციები“ და ყოველგვარი გაიძვერობა მეფობდა, ეს კანონი ჩემს მიმართ სავსებით უგულებელყოფილი იყო. პროტესტს ამ საქმეში არა მხოლოდ არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია, არამედ „გამწვევ პუნქტში“ დამემუქრნენ კიდეც, რომ თუ ჯარში გამწვევი პუნქტის კრიტიკას არ შევწყვეტდი, უარესი მომელოდა. გამგზავნეს თელავში მეთაურთა გადამზადების ექვსთვიან კურსებზე, რომელიც შეამცირეს სამი თვით, გვიბოძეს ლეიტენანტის ჩინი და გამოგვიშვეს. ამის შემდეგ ორიოდ დღესაც არ გაუვლია და ავადმყოფი ბატკანის მსგავსად გამკრიჭეს და გამაგზავნეს სომხეთში. ჯარის ნაწილები, ერევნის სამხრეთ-აღმოსავლეთით 18 კილომეტრით დაცილებულ სოფელ მაგუბის მახლობლად იყო განთავსებული. ეს მოხდა 1941 წლის ზამთარში, რაც დამოწმებულია ერთ-ერთ ფოტოზე წარწერით, რომელიც მე და სამმა ჩემმა თანამემამულე ლეიტენანტმა, ერევანში გადავიღეთ. სურათს აწერია: „საშინელი სუსხიანი ზამთარი, გაყინულები ვართ, არც რაიმე გვახარებს“. ჩვენი დანაყოფი, სოფლის გარეთ, სახელდახელოდ აშენებულ ბარაკებში ცხოვრობდა. თვით ჩემი ასეული კი ერთ უზარმაზარ დარბაზში, რომლის ორივე მხარეზე, სიგრძეზე, სამსართულიანი ხის საწოლები იყო აშენებული. აქ დავბინავდით მე და არა მხოლოდ ჩემი ასეულის ჯარისკაცები, არამედ ყოველგვარი პრივილეგიის გარეშე, ათეულისა და ოცეულის მეთაურებიც. მაგუბში მართლაც აუტანელი სიცივე იყო. მით უფრო, რომ ეს ადგილი ველზე იყო გაშლილი და სუსხიან ქარბუქს რაიმე ბუნებრივი დაბრკოლება – მთები ან ტყეები – არ გააჩნდა. დარბაზში გათბობა არ გვქონდა, რის გამოც, თუმცა უაღრესად დაღლილ-დაქანცულები ვიყავით, სიცივისაგან ძილი არ გვეკარებოდა. შეიძლება ითქვას, გათბობის ერთადერთი საშუალება, ტურტლიანი და ტილიანი ჯარისკაცების სხეული იყო. გავიცანი რამოდენიმე ქართველი ოფიცერი და სამიოდ ქართველი ექიმი, რომელთაც საქმე არ აკლდათ, რადგან აზერბაიჯანელი და სომეხი ჯარისკაცები არავითარ ხრიკს არ ერიდებოდნენ ჯარიდან გასათავისუფლებლად: ჭამდნენ საპონს, თვალებში იყრიდნენ თამბაქოს და სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდნენ სხეულის დათრგუნვას. ერთმა აზერბაიჯანელმა ჯარისკაცმა, მისი საგამოძიებო კომისიაში გაგზავნა მთხოვა, რადგან მარჯვენა სალოკი თითი მოღრეცილი ჰქონდა, რის გამოც ჩახმახის გამოწევა და თოფის სროლა არ შეეძლო. შევამოწმე მისი ხელი, მართლაც საშინლად დაღრეჯილი თითები ვიხილე, სალოკი თითი კი საბრალოდ იყო გადაგრეხილი.

-რა მოგივიდა ამ თითზე? – შევკითხე.

-ცხენმა დამადგა ფეხი – მიპასუხა ჯარისკაცმა.

-მანამ ცხენი ფეხს დაგადგამდა როგორ იყო შენი თითი? კვლავ შევეკითხე. მან ანაზდეულად თითი ნორმალურად გაშალა და მითხრა:

- აი ასე იყოო.

მისი ჯარიდან განთავისუფლების სურვილი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მისი გამჭრიახობა, ბევრი ვიცინე. ჯარისკაცი მიხვდა რომ შეცდა, შეიშმუშნა და სიტყვის უთქმელად მომცილდა. ეს შემთხვევა ქართველ ექიმებს ვუამბე, ბევრი იცინეს და მითხრეს, რომ მათაც უამრავი ტრაგი-კომიკური მეთოდები იციან, რომლითაც ჯარისკაცები ჯარიდან თავის დაღწევას ცდილობენ. ჯარისთვის თავის არიდებას მაღალი რანგის ოფიცრები - მეთაურებიც კი ცდილობდნენ,

მაგრამ ისინი პრიმიტიულ მეთოდებს დათრობას ამჯობინებდნენ, რათა თავისი უბედურება დაევიწყებინათ. ასე იქცეოდა ცარისტული ჯარის ჩამოქვეითებული არისტოკრატი გორჩაკოვიც. საკვები მცირე და უგემური იყო და ერთხელ, როდესაც მანევრების დროს ქარბუქში შეცდომით სპარსეთის სოფელში შევედით, გაგვიკვირდა, რომ იქ ვირებსაც კი ქიშმიშით კვებავდნენ. მაგუბში დიდხანს არ დავრჩენილვართ, მალე გადაგვიყვანეს გორში, სადაც „ქართულ დივიზიას“ ავსებდნენ. იქ, რომელიღაც პოლკისა თუ ბატალიონის მეშვიდე ასეულის მეთაურად დამნიშნეს. მერვე ასეულის მეთაური იყო სპარტაკ მამაცაშვილი, განათლებით აგრონომი, მეცხრე ასეულის მეთაური კი ილო (გვარი აღარ მახსოვს). ამ სამი ასეულის მეთაურებიდან, მე ვწუხდი, არა მხოლოდ იმის გამო, რომ რუსი დამპყრობლების დასახმარებლად თავის განწირვის სურვილი არ მქონდა, არამედ უფრო იმის გამო, რომ არსებული კანონების თანახმად, მე ჯარში არ უნდა გავეწვიეთ. კანონი განგებ იყო დარღვეული და მე მოტყუებით, თვითნებურად გამიწვიეს (როგორც შემდეგ დავინახე, ეს კანონი მრავლის მიმართ აშკარად დარღვეული იყო, რადგან საჭირო იყო ომში გასაწვევ პირთა რიცხობრივი ნორმის შესრულება. კანონით ომში გასაწვევთა, მაგრამ პროტექციით განთავისუფლებულთა რიცხვი, უნდა შევსებულიყო ომში გაწვევისგან დაზღვეულთა, მაგრამ უკანონოდ გაწვეულთა რიცხვით). სპარტაკ მამაცაშვილი, სოლიდური, ჩაფსკვნილი, სერიოზული აგრონომიც, უაღრესად მწუხარე და დაღვრემილი იყო ცოლშვილისაგან დაშორების გამო. იგი, ერთხელაც არ მინახავს მომღიმარი. სრულებით საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას ტოვებდა ქუთათელი ყმაწვილი – ილო. ის მუდამ მხიარული, ენთუზიასტური და ყოყლოჩინაც კი იყო. ილოს ქმედებიდან აშკარად ჩანდა, რომ მან თავისი ,,საქმე” იპოვა, თითქოს ოფიცრობა იყო მისი იდეალი და დიდი ხნის ნანატრის ასრულება. ეს აშკარად ჩანდა თვით სამხედრო სამოსელშიც: მე და სპარტაკს გვეცვა ნახმარი ფეხსაცმელი, „პარტიანკები“, მოურგებელი ხალათები (ხალათის გრძელი სახელოები აკეცილი მქონდა), გვეკეთა ჩვეულებრივი ქამრები. მოკლედ, ამ მოურგებელი სამოსის გამოც და დაღვრემილი სახეებით, ნამდვილ ჩანჩურებს ვგავდით. ილო კი წამდაუწუმ დალაქთან იყო, უაღრესად ზრუნავდა თავის ვიწრო ულვაშების და მოწითალო ქოჩრისათვის. ტანისამოსი სპეციალურად შეკერილი და მორგებული, „აზიატსკური“ ჩექმები, ფართო ქამარი „პორტუპეით“ და რევოლვერიც კი ჰქონდა. მოკლედ, ილო იყო სამხედრო მოდის უკანასკნელი სიტყვის სადარად იდეალურად გამოწკეპილი ყმაწვილი, რომელიც ორიოდ თვეში არარაობიდან დიდკაცობამდის აფოფხდა, მაგრამ აქვე მსურს დავსძინო, რომ ილო არ ყოფილა სიამაყისგან ცხვირაწეული, არამედ მუდმივ მომღიმარ-მოცინარი, გამოპრანჭული კარგი ამხანაგი, თითქოს ბედნიერი ბავშვი, რომელმაც სასურველი სათამაშოები იშოვა. ჩემი ასეულის „პოლიტრუკი“ იყო მშვიდი, კეთილი ბუნების კაცი, ტრადიციის მიმდევარი გურული გლეხი, რომელიც მოგების მიზნით, ვიდრე რწმენით, როგორღაც კომუნისტურ პარტიას შეერწყა, თუმცა, მან არც კომუნისზმის, არც ლენინიზმისა და არც სხვა იზმების ინჩი-ბინჩიც არ იცოდა. იგი, გვარად მახარაძე, ჩემი ჯარისკაცების მშობლიური მრჩეველი უფრო იყო, ვიდრე „პოლიტრუკი“. ბატალიონის უფროსი იყო ქუთაისის პოლიციის უფროსი, სახელად ლევანი (გვარი არ მახსოვს), ბუნებით კვაჭი, ბრძოლაში მხდალი. ცდილობდა ყველასთან კარგი განწყობილებაში ყოფნას და თავის მოქონვასაც არ ერიდებოდა. იყო ,,კეთილი მედროვე” („ვრემენშჩიკი“). დივიზიის უფროსი თუ არ ვცდები, იყო სოხაძე, ხოლო მისი „პოლიტრუკი“გვარად მანაგაძე. მუდმივად მოგანგაშე,

ბრძანებებისა და მის მიერ შეთხზული კანონების მკაცრი დამნერგავი. მის მრისხანებას ჩემი ჩათვლით, ყველა ერიდებოდა. იგი კარგად მახსოვს, რადგან გადამემტერა, ჩემთვის გაუგებარი მიზეზისა და ჩემი ველოსიპედის გამო, რის შესახებაც აქ მცირე ექსკურსი უნდა გავაკეთო. უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, მამაჩემმა, დიდი ხნის ნანატრი ზინგერის ველოსიპედით დამასაჩუქრა. ამ ძვირფას ძღვენს თავს დავსტრიალებდი და ვუვლიდი; ვშლიდი, ვწმენდდი, ვზეთავდი, ვაუმჯობესებდი. კახა ჯავახიშვილთან ერთად, რომელსაც ამგვარი ველოსიპედი ჰქონდა – დავდიოდი მცხეთაში და თბილისის სანახებში. ერთ დღეს ეს სანატრელი ველოსიპედი სახლიდან მომპარეს. ქურდს დავედევნე, მაგრამ ჩემი ველოსიპედით მოკურცხლა და ვერ დავეწიე. ამ ცუდმა ამბავმა უაღრესად დამაღონა, არა მხოლოდ ველოსიპედის დაკარგვის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ამ სასურველი საგნის შოვნა ადვილი არ იყო. მამაჩემს დიდი თხოვნები და სახსარი დასჭირდა მისი შოვნისა და ჩემთვის მოძღვნისათვის. მშობლის გაჭირვებით ნაშოვნი სიკეთე ვერ შევიშნოვე, ვერ შევიფერე.

ჯარში ყოფნის დროს, ერთ დღეს დავინახე ჯარისკაცი, რომელიც ველოსიპედს მიაქროლებდა. გავაჩერე, დავათვალიერე მისი აღნაგობა და ადვილად შევნიშნე ორ ადგილზე გადატეხილი ლულის შენადუღი, სხვა დეტალები, შეუცდომლად ვიცანი ჩემი საყვარელი ველოსიპედი. ჯარისკაცმა მითხრა, რომ ის არის დივიზიის შიკრიკი. მიუხედავად ამისა, მე გამოვართვი ველოსიპედი შიკრიკს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ეს „უპატრონო“ ველოსიპედი პოლიციას ჩამოურთმევია ქურდისათვის და ჩემს მაგიერ, გადაუცია სამხედრო უწყებისთვის... ჩემი ველოსიპედი დაუბრუნეს შიკრიკებს, რომლებიც ჩემს კოპწია, გაპრიალებულ ველოსიპედს წუმპეში, მტვერში და ოღრო-ჩოღროში დაარბენინებდნენ. კანონის დარღვევა და ამის ყურება ძნელი მოსანელებელი გახდა ჩემთვის, რაც დამატებითი მიზეზი იყო მანაგაძესთან უთანხმოებისა.

დივიზიაში უწესრიგობა და არეულობა ბატონობდა, ხმამაღალი ლაპარაკი ყიჟინით გაცემული ბრძანებები, მაგრამ ნაკლები საქმე; მარჯვენა ხელმა არ იცოდა მარცხენა რას აკეთებდა. ეს თითქოს ბუნებრივიც იყო, რადგან ჩვენი დივიზია სახელდახელოდ და საჩქაროდ ყალიბდებოდა. ასეულის მეთაურების მოვალეობა არსებითად ტაქტიკურ ვარჯიშში მდგომარეობდა. ხშირი იყო აგრეთვე „მარშები“ მოკლე მანძილებზე, იარაღის სწრაფად დაშლა-აწყობა, თუმცა იარაღი ყველას არ ჰქონდა; მე, პირადად – ლეიტენანტსა და ასეულის მეთაურს – არავითარი იარაღი არ მებადა, არც გორში სამზადისის დროს და არც ფრონტზე. ზოგი ჯარისკაცი, სავარჯიშოდ მაინც, ხისაგან გამოთლილი თოფებით კმაყოფილდებოდა. ასე და ამგვარად, ზოგი დაფლეთილი ფეხსამოსით, ზოგი ხის თოფებით და ზოგი უთოფოდ, ყოველ დილით, ომახიანი სიმღერით მივდიოდით ველზე სავარჯიშოდ. ვვარჯიშობით და სხვა გაკვეთილებით რომ მოვიქანცებოდით, „პოლიტრუკი“ მახარაძე თავისი ჩანთიდან ამოიღებდა ხოლმე ,,ლენინურ დედაენას” და რის ვაი ვაგლახით შეუდგებოდა ჯარისკაცების პოლიტიკურ განათლებას, მაგრამ ეს მშვენიერი, ზრდილი გურული გლეხი, რომელიც ჯარის მაგიერ თავისი ჩიბუხით მოლზე წამოწოლილი ან შვილიშვილებთან განცხრომაში უნდა ყოფილიყო, თავისი ,,ლექციის კითხვის” პროცესში, უცოდინარობის გამო ხშირად გამოუვალ ჩიხში ექცეოდა. ჩემი ჯარისკაცების უმეტესობა ხნიერები, ანაზდეულად ჯარში ისე წამოყვანილი იყვნენ, რომ მშობლებთან ან ოჯახის წევრებთან გამომშვიდობებაც კი ვერ მოასწრეს. ამის და საერთო მდგომარეობის გამო ყველანი სხვადასხვაგვარად იყვნენ დამწუხრებულები, ზოგი ჯარიდან გარბოდა. დივიზიას ღობე შემო-

ავლეს და ყოველდღე, ვარჯიშიდან დაბრუნების შემდეგ, ჯარისკაცები მიდიოდნენ ღობესთან, რომლის მეორე მხარეს მათი მშობლები, შვილები და ნათესავები ელოდებოდნენ. იწყებოდა ხანგრძლივი ქვითინი, ცრემლების დენა, თითქოს ჯარისკაცების გამოტირება ყოფილიყოს. ეს მართლაც შემზარავი სურათი იყო, რაც ზოგჯერ ჯარიდან გაქცევით გვირგვინდებოდა. ამიტომაც ჩვენ გვიბრძანეს, რომ ჯარისკაცები შვებულებაში ან ღობის გარეთ არ გაგვეშვა. ეს უაღრესად მწუხარე მოვლენები ჭეშმარიტად ამაზრზენი იყო ჩემთვის, რის გამოც გადავწყვიტე ჩემი ჯარისკაცების მდგომარეობის შემსუბუქება. მთელ დივიზიაში, მგონი მე ვიყავი ერთადერთი ოფიცერი, რომელსაც დედა დაედევნა ჯარში. მე და დედა – რომელიც არა მხოლოდ ჩემი მშობელი, არამედ ჩემი მეგობარიც იყო, ვცხოვრობდით იმ ქუჩაზე და იმ სახლის პირდაპირ, სადაც ერთ დროს სტალინი და მისი ოჯახი ცხოვრობდა. მაშინ ეს მოძველებული ერთსართულიანი სახლი მუზეუმად იყო ქცეული. მე და დედას გვქონდა ოროთახნახევარი. ერთ მშვენიერ დღეს, ველზე გასულ ჯარისკაცებს განვუცხადე, თუ პატიოსან სიტყვას მომცემენ, რომ ჯარიდან არ გაიქცევიან, მათ და მათ სანახავად ჩამოსულ ნათესავებს რიგ რიგობით ერთ ოთახს დავუთმობ. ყოველ საღამოს, ორიოდ ჯარისკაცი გამყავდა დივიზიის ტერიტორიიდან ჩემს სახლში ნათესავებთან შესახვედრად და ღამის გასათევად. ამის გამო, მათ მოცემული პირობა თუ სიტყვა არ გაუტეხიათ. ისინი, ჩემი და დედაჩემის უაღრესი მადლიერნიც იყვნენ და მეც დიდი მწუხარება მომცილდა, რადგან საბრალო ხალხის გულამოსკვნილი ტირილი არ მასვენებდა.

ეს პატარა ორსართულიანი სახლი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით, ეკუთვნოდა ერთ ქვრივს (სახელი და გვარი არ მახსოვს), რომელიც იქვე თავის დიდ და უკეთ ნაშენ სახლში თავის ქალიშვილთან და რძალ ვალიასთან ცხოვრობდა. მისი ვაჟიშვილი კი, რომელსაც ვალია ლენინგრადში ეთხოვა, შავი ზღვის ფლოტის მთავარსარდალი იყო. ვალიას, როგორც ჩანს, არც თავისი ომში წასული ქმარი და არც მისი ნათესაობა ეპრიანებოდა. უმეტესად კი, თითქმის მტრულად იყო განწყობილი დედამთილისა და მისი გაუთხოვარი ქალიშვილის მიმართ, რომელნიც ქორისებრ უთვალთვალებდნენ, რომ მათ გაუხედნავ თვითნება რძალს ფეხი არ წასცდენოდა. მაგრამ, ბუნებამ მაინც თავისი გაიტანა. რადგან არავითარი მყუდრო თავშესაფარი არ გაგვაჩნდა, წავედით „სასეირნოდ“, გავედით ქალაქგარეთ, მაგრამ ვერც იქ ვიპოვეთ მყუდროება, რის გამოც, შევტოპეთ ყანაში ეგზოტიკური ყვავილის საძებნელად, აი, აი ვიპოვეთ კიდეც, დავიღუნეთ მის მოსაწყვეტად და... კარგა ხანი აღარ ავმდგარვართ. გამხმარი ბალახის და მწიფე ხორკლიანი თავთავების ჩხვლეტა სანატრელ რბილ ლოგინად გვეჩვენებოდა. ასე „ხელის მოთბობით“ შევცოდე ერი ჩემი. ვალიას დედამთილი უაღრესად მდაბიო ქალი იყო და არც რუსული ეხერხებოდა, ამიტომ ვალია უფრო ხშირად დედაჩემთან იყო. ,,გაჭირვებულ” ვახტანგსაც მეტი რა უნდოდა. ბოლოს და ბოლოს ვალენტინა ისე შემოგვეჩვია, რომ სახლიდან გაქცევა და ჩვენთან თბილისში დაბინავება მოისურვა, „ვახტანგიც ჯარიდან მალე დაბრუნდება და ბედნიერად ვიცხოვრებთო“. მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს სამხედრო დანაყოფს, სადაც დისციპლინა უფრო და უფრო მრისხანე ფორმებს იღებდა. ყველა ძრწოდა, რომ ჯარისკაცები არ გაქცეულიყვნენ, დეზერტირობას მასობრივი ხასიათი არ მისცემოდა, მაგრამ ჩემ დანაყოფში, ეს საშიშროება არ არსებობდა ზემორე გადაწყვეტილების გამო, ყველა ბედნიერი იყო და ერთმა ჯარისკაცმა მადლობის ნიშნად კარვის მასალისა და თავისი ტყავის გამოყენებით, მშვენიერი ,,აზიატსკი” ჩექმებიც კი შემიკერა. ჩემი ჯარისკაცები იკვებებოდნენ საერთო

სასადილოში, რაც მათი გაღიზიანების დამატებითი დანართი იყო, რადგან საკვების ხარისხი მართლაც ძალზე დაბალი იყო: წიწიბურა („გრეჩიხა") და წყალწყალა წვენი („შჩი და კაშაო, პიშჩა ნაშაო") უცვლელად. თუმცა, ზოგჯერ, სავსებით უგემურ, მაგრად დამარილებულ გამხმარ თევზსაც უმატებდნენ. ამ თევზს გაუმკლავდებოდა მაგარ კბილებიანი, მაგრამ ვაი მას, ვისაც კბილების ნაკლებობა ჰქონდა და ასეთები დიახაც რომ იპოვებოდნენ: ერთ მათგანს - გაბუნიას, - რომელიც დახვეწილი ეთიკით, განათლებით და ასაკით (50 წლის მაინც იქნებოდა) სხვებისაგან გამოირჩეოდა, მხოლოდ ორად-ორი გრძელი და ღოჯების მსგავსად გადმოწეული კბილიღა ჰქონდა შერჩენილი. ღრძილების ავადმყოფობის გამო კბილები დასცვენოდა. სამწუხაროდ ეს კბილები მიჯრით კი არ იყვნენ მიწყობილი, არამედ განმხოლოებულნი. ერთადაც რომ ყოფილიყვნენ აბა იმ მზეზე გამხმარ მარილიან თევზს რას დააკლებდნენ? აი ასე იტანჯებოდნენ ეს უკბილო ბერიკაცი და მისი მსგავსნი, შეუფერებელი საზრდოთი და თავისი ბუნებრივი ნაკლით. ამისთანა ვაი-ვაგლახით კვების შემდეგ, ჯარისკაცები საკუთარი ქვაბუნების (ე.წ. „კატილოკები") გასარეცხად და გასახეხად მირბოდნენ გაფუჭებული წყალსადენისაკენ რომლის ონკანი წყალს თვითნებურად აქეთ-იქით ასხამდა. თავისი ქვაბუნის გარეცხვას და იქვე აზელილი ტლაპოთი გახეხვას, ყველა ცდილობდა, ნაკლები ზარალითა და სწრაფად, რაც უმუჯლუგუნოდ და ხშირად ცემა-ტყეპის გარეშე არ მთავრდებოდა. ამას მოსდევდა სამოსის მზეზე გაშრობა და ტლაპოიანი ფეხსაცმლის წმენდა.

კარგად მახსოვს ერთი ეპიზოდი, რამაც ჩემზე ამაზრზენი შთაბეჭდილება მოახდინა და ჩემს მეხსიერებაში მრავალი წლის განმავლობაში დიდი შიშითა და მწუხარებით აირეკლებოდა ხოლმე. გორის მთავარ ქუჩაზე, რომელიც გადაჭიმული იყო სტალინის სახლის ქუჩის პარალელურად სამხრეთ-ჩრდილოეთის ღერძზე, ჩვენი პოლკის ოფიცრების სასადილო მდებარეობდა. ამ სასადილოში ხშირად ვხვდებოდი და ვესაუბრებოდი ერთ ლამაზ, მოკრძალებულ ზრდილ ლეიტენანტს, რომლის მაგიდა ჩემი მაგიდის გვერდით იდგა. ის ჩემზე კაცთმოყვარე, სამართლიანი და სანდო კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ერთ მშვიდ შუა ღამეს გაისმა განგაშის ხმა. ჩვენ გვეგონა რომ ეს იყო სავარჯიშოდ გათვალისწინებული განგაში. სასწრაფოდ ავდექით, მოვემზადეთ, გარეთ გავედით, ნახევარი საათის შემდეგ მიგვიყვანეს ერთ ველზე და დაგვამწკრივეს „პაი"-ს ფორმაციით ასიოდ მეტრის მოშორებით. წყვდიადში გაურკვევლად ჩანდა სამი ტომარაჩამოცმული ბოძი. მაშინვე ვიგრძენი, რომ რაღაც საშინელის მოლოდინში ვიყავით და ჟრუანტელმა დამიარა ტანში. მართლაც, დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, კომისარმა მანაგაძემ გამოაცხადა გვარი სამი მთიული ყმაწვილისა, რომელთაც მონატრების გამო დატოვეს თავისი დანაყოფი და წავიდნენ სახლში. ისინი დააპატიმრეს და როგორც დეზერტირებს დახვრეტა მიუსაჯეს. ბოძებზე მიბმულ მთიელ ყმაწვილებს ტომრები გადააძრეს, გამოვიდა შეიარაღებული ოცეული და მათი ლეიტენანტი, რომელსაც ოფიცერთა სასადილოდან ვიცნობდი, როგორც კაცთმოყვარე, პატიოსან ქართველს, რომელიც მეგონა კაცს არც კი აწყენინებდა. მან მისცა ბრძანება თავის ოცეულს. გაისმა სროლა და განწირულთა ღრიალი. ეს საბრალო, გულუბრყვილო მთიელები ასე შეეწირნენ საბჭოთა კანონმდებლობას, რომლისა მათ არაფერი გაეგებოდათ. ამან მართლაც ამაზრზენი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რასაც მრავალი წლის განმავლობაში არ მიუტოვებივარ. ამ შთაბეჭდილებით შეძრწუნებულებს, გაზაფხულის ბოლოს გამოგვიცხადეს, რომ მივდივართ ბრძოლის ველზე, გერმანელთა წინსვლის შესაჩერებლად. ნასადილევს წაგვასხეს გორის სადგურზე

და მხოლოდ მეორე დილას დაიძრა ჩვენი მატარებელი აღმოსავლეთით. ხვევნა-კოცნით და ცრემლების ღვრით გამოვეთხოვე დედაჩემს, ჩემს დას, ვალენტინას (რომლებიც ჩვენს გამგზავრებას სადგურზე მთელი ღამე ელოდნენ) მამაჩემი, რომელიც უნდა გამომმშვიდობებოდა თბილისის სადგურზე, ვერ ვნახე ჩვენი მატარებლის 18 საათით დაგვიანების გამო, მამა გარდაიცვალა ჩემს უნახავად 1946 წ. დედამ 1962 წ. დატოვა ეს ქვეყანა გაუხარებლად. მე კი გასაგები მიზეზების გამო, მათი დახმარება ვერ შევძელი, რაც ჩემთვის განუწყვეტელი მწუხარების საგნად იქცა.

ომში ჩაბმის ხანა

ფრონტზე განცდილმა წუთებმა, ჩემი გონება კიდევ უფრო მეტად აღრია და დაძაბა, არ ვიცი ნორმალურობასა და სიგიჟეს შორის ზღვარი სად გადის, მაგრამ ეს იყო ხანა აღრევისა, უწესრიგობისა და ტერორისა. ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა და ვერც პატრონი ძაღლს, ან პატრონი პატრონს.

ცრურწმენასა და ყალბ დაპირებებზე აგებული იმპერიის ხუხულამ სწრაფად დაიწყო ნგრევა. ეს იყო პროცესი, რომელიც რუსეთის სასწაულებრივმა სამხედრო გამარჯვებამ ვერ შეაჩერა. იმპერია დაინგრა და მის ნანგრევებზე უკეთესი სახელმწიფოებრივი წყობის აშენება ვერ მოხერხდა. მაგრამ ყველასათვის ცნობილი ამ ზოგადი განცხადების განვრცობის მაგიერ, საჭიროა კონკრეტული მაგალითების მოტანა, რათა სურათი მკვეთრ ფოკუსში მოექცეს: ფრონტზე მოსვლისთანავე, მდინარე ბაქსანის ერთი, თითქმის დამშრალი შენაკადის მარცხენა ფერდობზე მიგვიჩინეს თავდაცვის ხაზი. დავიწყე ჩემი ასეულის უკვე არსებულ „აკოპებში“ (სანგრებში) განლაგება და ახალი აკოპების თხრა, რადგან ჩემი ასეულისათვის მიჩნეული თავდაცვის ხაზი გაცილებით უფრო ფართო იყო (ხუთ კილომეტრს აღემატებოდა). შეიარაღების მხრივ, სხვებთან შედარებით, ჩვენ უკეთეს მდგომარეობაში ვიყავით იმ მხრივ, რომ გვქონდა ორი ტყვიამფრქვევი ბორბლებზე ე.წ. ,,ტაჩანკა”, მაგრამ ჩემი ჯარისკაცების დიდ ნაწილს თოფები არ გააჩნდათ და არც მე მქონდა რაიმე იარაღი; რევოლვერიც კი არ მინახავს თვალით. ჩვენი თხოვნა, რომ იარაღით და ტყვია-წამლით მოვემარაგებინეთ, მუქარით უკუგდებული იყო: „დახოცეთ გერმანელი მტარვალები და იარაღსაც და ტყვია-წამალსაც იშოვითო“. სრულებით არ გვეძლეოდა საკვები, თუმცა, ფრონტზე ჩასვლის პირველ ხანებში, ჩვენი ჯარისკაცები „უპატრონო“ საქონელს იჭერდნენ და ხორცი მაინც ხელმისაწვდომი იყო. ხანდახან ბიჭებს ხილი მაინც მოჰქონდათ, ერთხელ თაფლიც კი მოიტანეს, მაგრამ ორიოდ კვირაში ეს წყაროც დაიშრიტა. თანდათანობით მთელი ჩვენი ასეული იზოლირებული ხდებოდა. არც კავშირგაბმულობა მოქმედებდა და ზემდგომმა მეთაურობამაც სავსებით დაგვივიწყა. ბრძოლები კი თანდათანობით ძლიერდებოდა. ჩვენ სამი ბიჭი მოგვიკლეს და თექვსმეტიოდე დაიჭრა, მეც მათ შორის; ნაღმის ყუმბარის ნაგლეჯმა მარცხენა ბარძაყი გამიფლითა, თუმცა ამის გამო ასეული არ მიმიტოვებია და ჩემი ჯარისკაცების მზრუნველობით თანდათან მომიშუშდა კიდეც. ორი კვირის შემდეგ, იმავე ბარძაყის უკანა მხარეს და მარჯვენა ხელშიც ნაღმის პატარა ნაფლეთები მომხვდა. ეს ლითონის ნაჭრები ადვილად ამომიღეს, მაგრამ ხელში შესულ ნაფლეთს ვერ მიაკვლიეს. ამ ნაფლეთმა იმოგზაურა და თითქმის 30 წლის შემდეგ თვითონ გამოვიდა ცერიდან. ჩვენი მოწინააღმდეგე გერმანელების ნაწილი, როგორც ჩანს,

მცირერიცხოვანი იყო. ამიტომ ძლიერ შეტევებს ერიდებოდნენ, მით უფრო, რომ ჩვენ განლაგებული ვიყავით მდინარე ბაქსანის მარცხენა შემაღლებულ ფერდობზე, რაც სტრატეგიულად უფრო ხელსაყრელი იყო. მაგრამ მეორეს მხრივ, მათი ნაღმმტყორცნელები ტყიდან ცეცხლს ხშირად გვიშენდნენ, ხოლო თვითმფრინავები, ნელა მფრენი ორკუდა ,,მესსერშმიდტები" მხოლოდ მაშინ გვბომბავდა თუ ცეცხლს გავუხსნიდით. ეს თვითმფრინავები დიახაც, რომ ძალზე დაბლა ფრენდნენ, რის გამოც მათ რუსი ჯარისკაცები ,,კუკურუზნიკს" უწოდებდნენ.

ჩვენსა და გერმანელებს შორის თანდათანობით ხელმოუწერელი თანაცხოვრების მდგომარეობა დამყარდა: ჩვენ აღარ ვუტევდით, რადგან ამის შეძლება არ გაგვაჩნდა, ხოლო გერმანელები არ გვერჩოდნენ, რადგან მათ ჩვენთვის არ ეცალათ - უფრო სერიოზული და საჭირო მიზნები ჰქონდათ განსახორციელებელი; სახელდობრ, ნავთობის საბადოების დაპყრობა. ჩვენი თავდაცვისათვის საჭირო იყო გერმანელების ფრონტის დადგენა. ამ მიზნით საზღვაო - სანაპირო დაცვის დანაყოფის შტაბის უფროსის გენკოს ბრძანებით წავიყვანე შვიდი ჯარისკაცი და წავედით ამოცანის შესასრულებლად. გავჩერდით ერთ სოფელში, საიდანაც დაზვერვა უნდა გვეწარმოებინა, მაგრამ მანამ დაქანცულები სულს მოვითქვამდით, მოგვადგნენ შინსახკომის თანამშრომლები და დაგვაპატიმრეს. მათ დაპატიმრების მიზეზი არ უთქვამთ, მაგრამ შემდეგ, გლეხებმა, რომლებმაც ჩუმად, ჩვენ, ტყვეობიდან გამოხსნას დაგვპირდნენ, გვითხრეს, რომ კომისრებს და ენკავედის ხალხს თუ გერმანელები ხელში ჩაუვარდათ დახვრეტენო. ამიტომ, გერმანელები როდესაც მოვლენ, მათი გულის მოსაგებად და საკუთარი თავის გადასარჩენად თქვენ გერმანელებს გადაგცემენო. რადგან სოფელში საპატიმრო არ იყო, შეგვყარეს გომურში სადაც მთელი დღე გავატარეთ. არც გორში, არც ომში, არავითარი იარაღი არ მქონია, მაგრამ მქონდა აირწინაღის ცარიელი ჩანთა, რომელშიც ნიღბისა და გამწმენდი ქიმიური ნივთიერების მაგიერ ხელყუმბარები ჩავაწყე. ამ ძნელად მოპოვებულ ხელყუმბარებს ყოველთვის თან ვატარებდი, რათა, მძიმედ დაჭრის შემთხვევაში, საკუთარი თავი ამეფეთქებინა, რადგანაც სამედიცინო პუნქტი შორს, ძნელად მისაღწევ ადგილზე და თანაც მკვნესარე დაჭრილებით გადატვირთული იყო. შუაღამისას, აი, ამ ყუმბარებით ავაფეთქეთ გომურის ერთი კუთხე და გაქცევით თავს ვუშველეთ. როდესაც დავბრუნდით ადრინდელზე უარესი უბედურება დაგვატყდა თავს; გენკო, რომ ავუხსენით მიზეზი მისი ბრძანების შეუსრულებლობისა, ისტერიულად აყვირდა და განიზრახა ჩვენი საველე სასამართლოზე გადაცემა, მაგრამ ამჯერადაც ბედმა გაგვიღიმა: ფრონტი, თუ მას კაცმა შეიძლება ფრონტი უწოდოს, ისე არეულ და ქაოტიურ მდგომარეობაში იყო, რომ თავისი მუქარის განხორციელება ვერ შეძლო. არც ერთი სამხედრო უწყება არ მოქმედებდა. ბრძანებები ყველას ფეხზე ეკიდა, ალკოჰოლით გამობრუჟული მაღალჩინოსანი რუსი სამხედროები თავის დანაყოფებს სტოვებდნენ და უკან მიდიოდნენ. ერთადერთი, რაც მოქმედებდა პერვომაისკოეს ალკოჰოლის მიტოვებული ქარხანა იყო, სადაც დენატურატით და სპირტით სავსე აუზები ხელუხლებლად იდგა, საიდანაც ჯარისკაცები იჭყიპებოდნენ და სასმელი „კატილოკებით" თავის ამხანაგებისათვისაც მიჰქონდათ. ზოგი თურმე ისე თვრებოდა, რომ გონდაკარგული სპირტიან აუზში ვარდებოდა და იხრჩობოდა. როგორც ჩანს, ეს, ჯარისკაცებს არ აბრკოლებდა ამ აუზებიდან უზომოდ დაელიათ... აქ მონათხრობი ამბავი მას შემდეგ მოხდა, რაც ჩვენი

ქართული დივიზია, დიდი დანაკარგის გამო, შესავსებად ზურგში გაიწვიეს. მაგრამ ჩემი ბატალიონი, ზურგში მიმავალი მარშის დროს, მოულოდნელად უკან, ფრონტზე დააბრუნეს იმ მონაკვეთის გასამაგრებლად, სადაც წინა ღამეს, გერმანელებს, სანაპირო დაცვის („ბერეგავაია ოხრანა") ნაწილი სულ ერთიანად ამოეხოცათ. ჩვენ დაახლოებით იმავე მიდამოში დავბრუნდით, სადაც თავდაპირველად ვიდექით, ჩვენი დივიზია კი შესავსებად უკან (საქართველოში?) წავიდა. როდესაც თითქმის განახევრებული ბატალიონი, ჩვენთვის განკუთვნილ პერიმეტრში მივიდა, ჩემს ასეულს 6 კილომეტრიანი თავდაცვის ფრონტი შეხვდა, რაც ჩვენს საომარ შესაძლებლობას ფანტასტიკურად აღემატებოდა: ხუთი კაცი მოგვიკლეს, 27 დაიჭრა, ზოგიც აქეთ-იქით მიმოიფანტა ანუ გაქრა, როგორც ქვიშაში წყალი და შემრჩა მხოლოდ 37 ჯარისკაცი, რომლებსაც ექვსი კილომეტრის მანძილზე, უიარაღოდ, საკვების გარეშე და საერთო მდგომარეობის გამო ისედაც დაძაბუნებულებს, უნდა შეგვეჩერებინა კბილებამდის შეიარაღებული გერმანელების მოტორიზებული დანაყოფი. ჩვენ გვქონდა ორი ტყვიამფრქვევი და ცოტაოდენი ტყვიაწამალი. ფრონტზე მისვლის წინ, ბატალიონის უფროსი – კაპიტანის ჩინით, მაგრამ არსებითად შემოდგომის კვაჭი აზნაური – ლევანი, დაგვპირდა, რომ იარაღით მოგვამარაგებდა, პირადად მე მომცემდა ტანკსაწინააღმდეგო ორ ბატარეას. ეს ბატარეები არ იქნა და არ გვაღირსეს, კიდეც რომ გვქონოდა, ჩვენს სავალალო მდგომარეობას ვერ გამოაკეთებდა, რადგან იმ ტანკებს და სამხედრო ტექნოლოგიას, თვალსაჩინოდ, ჩრდილოეთით დაუბრკოლებლად, მდინარის მსგავსად რომ მიედინებოდა, ვერაფერს დავაკლებდით, მათი საპასუხო ცეცხლი კი სავსებით ამოგვბუგავდა. თანაც, ჩვენი ამოცანა თავდაცვითი იყო.

ერთ მშვენიერ დღეს, მოგვიტანეს თერთმეტი, ვიოლინოს მსგავსად გაპრიალებული ინგლისური თოფი და ინგლისური ფეხსაცმელები, რომლებიც ჯარისკაცებმა ხელდახელ დაიტაცეს, მაგრამ სულ მალე მისი ნაწილი უკანვე დააბრუნეს, რადგან ისინი იმდენად ვიწრო აღმოჩნდა, რომ მათ ფეხზე ვერ მოირგეს და ვინც რის ვაივაგლახით ჩაიცვა, წინდების უქონლობის და ფეხსაცმელების მოუდრეკლობის გამო, ფეხები დაუსისხლიანდათ. სულ მალე ისიც შევიტყვეთ, რომ ფეხსამოსის ძირები ტყავისა კი არა, დაწნეხილი მუყაოსი იყო და წყალში სიარულის დროს ძირები გალღვა თუ გადნა. რაც შეეხება თოფებს, სულ არარაობის მაგიერ გვეხმარებოდა, მაგრამ მცირე ჭუჭყის ან მიწით გაბინძურების გამო გვაბრკოლებდა. ამ პერიოდში, ე.ი. ივლისში, გერმანელებთან ორი მცირე შეტაკება გვქონდა. თუ არ ვცდები ესენი იყვნენ დასაზვერად მომავალი „შპეტრუბი"-ის მხედრები. ამ შეტაკებებში ჩვენ, გარდა დიდი შიშისა, დანაკლისი არ განგვიცდია, შიში კი გამოწვეული იყო გერმანელების მიერ შორს მტყორცნი არტილერიისა და თვითმფრინავების დაბომბვით, მაგრამ ეს ბომბები იქვე ჭაობიან არეში ცვიოდა და ჩვენ არაფერი დაგვკლებია... მდგომარეობა თანდათან ისე განვითარდა, რომ ჩვენი დანაყოფი ყველა ზემდგომმა მხედრობამ დაივიწყა. კვირეები ისე გადიოდა, რომ ზემდგომ სამხედროებთან არავითარი კავშირი არ გვქონდა და ჩვენი ბატალიონის მეთაურიც სადღაც გადაიკარგა. ამ ხნის განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ შემოძვრა შეშინებული და გაყვითლებული „აკოპების" საშუალებით. იმ ხანის შესაფერისად ხარისხის მაჩვენებელი ეპოლეტები ამძვრალი ქონდა, უბრალო ქუდიც როგორღაც უხეიროდ ეხურა, იმ სიცხეში შინელი ანუ კოფი აგლეჯილი მაზარა ეცვა (თითქოს ტყვეობისათვის ემზადებაო) და შეშინებული ხმით

მითხრა: „შენ ნამდვილი მებრძოლი ყოფილხარ, აფერუმ შენ ვაჟკაცობას. იცოდე შენი იმედითა ვართ“-ო. იმ ხანებში არავითარი ბრძოლები არა გვქონია და არც მე მივაჟკაცია. აშკარა იყო, რომ ლევანა სადღაც განმარტოებით იმალებოდა და წარმოდგენა არ ჰქონდა ფრონტზე რა ხდებოდა. მაშინ ჩვენი ერთადერთი სამხედრო მოქმედება იმის დადგენაში გამოიხატებოდა, თუ სად იყო მტერი განლაგებული. ამ მიზნით, ორიოდეჯერ დასაზვერადაც გავედით. ერთხელ, როდესაც კვახებით დაფარული მინდვრიდან ტყეში შესვლა განვიზრახეთ, გერმანელებმა ცეცხლი გაგვიხსნეს. თავი შევაფარეთ სადაც კი შეგვეძლო. მე ყველაზე სასაცილო მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რადგან ჩემი უკან დასახევი გზა გადიოდა დამშრალი მდინარის მოტიტვლებულ არეზე და თავი ვდურთე ნაცრისფერი უზარმაზარი კვახის უკან, სადაც დაბინდებამდის ვიმალებოდი... ორიოდე დღის შემდეგ, ჩრდილოეთით, საკუთარი თვალით ვიხილეთ არა მხოლოდ გერმანელები, არამედ ,,კატილოკების” ჩხარუნით მავალი საბჭოთა ჯარისკაცები, რომლებიც გერმანელი ჯარისკაცების ქვაბიდან საკვებს იღებდნენ. სულ მალე ცხადი გახდა, რომ ჩვენ არა მხოლოდ ჩვენს მეთაურობას დავა-ვიწყდით, არამედ თვით გერმანელებსაც, რომლებიც ჩვენს გარშემო იყვნენ და მივიწყებულ „კუნძულს“ ყურადღებასაც კი არ აქცევდნენ. არავითარი ბრძოლა ან დაძაბულობა, არამედ ილუზია ომის დამთავრებისა. ერთ შუა დღეს, მომადგა გერმანელების ჯავშნიანი ავტომობილი (ე.წ. „პანცერშპეევაგენ“), რომელიც ჩემ ბუნკერთან ჩემმა ჯარისკაცმა მოიყვანა. ეს ჯარისკაცი იდგა ამ მავალი ავტომობილის კიბეზე. ავტომობილი ბუნკერთან გაჩერდა და ერთმა გერმანელმა მასთან მიმიხმო. მივედი და დავდექი ავტომობილის კიბეზე. მან გერმანულად მითხრა, თუ სად უნდა მიმეტანა ჩვენი იარაღი და სად უნდა მიგვეყვანა ჩვენი დაჭრილი მხედრები. ეს იყო და ეს. ამ ეპიზოდს ადგილი ჰქონდა ისეთ გარემოცვაში და მდგომარეობაში, რომ ჩვენ ფაქტიურად ტყვეები ვიყავით: ჯარისკაცები აქეთ-იქით მიმოიფანტნენ, უფროსებთან კავშირი თავიდანვე თითქმის არ გვქონდა, მაგრამ ახლა სავსებით შეწყდა. გერმანელები უკვე საკმაოდ ღრმად იყვნენ ჩვენს ზურგში, დამშეული და დაძაბუნებული ჯარისკაცები კი მორალურ კრიზისში, ჩვენი მთავარი იარაღი - ძველთაძველი „ტაჩანკა“ ტყვიამფრქვევი გერმანელების არტილერიას შეეწირა. ბრძოლის საშუალებები არ გვქონდა და კიდეც რომ გვქონოდა, ბრძოლას აზრი არ ქონდა. ყველა პასიურ მელანქოლიას ან მომავლის შიშს განიცდიდა. თვით გერმანელე-ბიც კი ჩვენს დანაყოფებში უშიშრად დადიოდნენ. ამ მდგომარეობაში მყოფმა გადავწყვიტე, ჩვენი ორიოდ გაპრიალებული, მაგრამ სხვაფრივ უმაქნისი შაშხა-ნა გერმანელებისათვის ჩაგვებარებინა და ფეხში იოლად დაჭრილი ჯარისკაცი გრიგოლია გერმანელების ქსენონში მიგვეყვანა (აქ საჭიროა მხედველობაში მივიღოთ გარემოცვა, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით. მეთაურობასთან კა-ვშირი კარგა ხანია შეწყვეტილი იყო. მეთაურებიც და კომისრებიც სადღაც გაუჩინარდნენ, ჩვენ სავსებით უპატრონოდ ვიყავით მიტოვებულნი. აღარც ცეცხლი გვქონდა, არც საკვები, მაგრამ თავზე საყრელად გვყავდა ტილები. ჩვენი დანაყოფი დღითიდღე დნებოდა, ყველას გაქცევასა და საკუთარი თავის შველა-ზე ეჭირა თვალი, გამკითხავი არავინ იყო, არც მესერშმიტების დაბომბვისაგან თავდაცვის საშუალება გაგვაჩნდა, თანაც რუსებისათვის თავის შეწირვაც არავის სურდა. ამ გარემოცვაში მყოფნი, ზოგჯერ გერმანელებთან გადასვლაზე ვსაუბრობდით, მითუმეტეს, მათი ქართულენოვანი რადიო და ქართულად ნაბეჭდი პროკლამაციები მათთან გადასვლას გვთავაზობდა. ასეულის მეთა-

ურმა ბახტაძემ - უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა- გვითხრა, რომ სვანეთში გადავსულიყავით. მას ცოლი სვანი ჰყავდა და ისინი შეგვინახავენო. ამას აზრი არ ჰქონდა, რადგან ჩვენ მაინც დევნის საგანი ვიქნებოდით და სვანებსაც საშიშროებას შევუქმნიდით. ჩემს უნივერსიტეტის ამხანაგს, ბრგე და პატიოსან თუშს - ბასილ ცისკარიშვილს ჩვენი არცერთი გეგმა არ მოსწონდა და მხოლოდ ალვანში დაბრუნებაზე ოცნებობდა. სამწუხაროდ, ბასილი მაინც ჩავარდნილა ტყვედ და ტყვეობიდან „სამშობლოში"დაბრუნების შემდეგ ათი წლით გაციმბირეს. ასე დაახარჯინეს თავისი ცხოვრების ათი საუკეთესო წელი ამ ჩინებულ მეცნიერსა და პატიოსან კაცს). გერმანელი მხედრები ძალიან კარგად გვექცეოდნენ, ხშირად არა მხოლოდ თავის საკუთარ ულუფას, არამედ სახლიდან მიღებული ნამცხვრებითაც გვიმასპინძლდებოდნენ, თუცა, ჩვენც მათგვარად ჯარისკაცის ულუფას ვიღებდით. ეს იყო ტყვეობის დასაწყისი ხანა, რითაც მოგვშორდა საბჭოთა კომისრების ტერორის ხიფათი და შიში. ბოლო დროს, არა მხოლოდ მეთაურებმა, არამედ ყოვლის შემძლე პოლიტრუკებმაც თავიანთი დანაყოფები მიატოვეს და სხვადასხვაგვარად თავს უშველეს.

ნამდვილ ტყვეთა ბანაკში

გერმანელ ჯარისკაცებთან ჩვენი უზრუნველი ცხოვრება ხანმოკლე აღმოჩნდა; ხუთიოდე დღის შემდეგ გადაგვიყვანეს ახლად დაარსებულ ტყვეთა ბანაკში, სადაც ეკლიანი მავთულხლართით შემოღობილ მცირე ფართობზე ხუთიათასამდე ტყვე იყო თავმოყრილი, უმეტესობა ღია ცის ქვეშ, ზოგი კარვებში, ზოგი კი კოლექტივის ნახევრად დანგრეულ საწყობში. აი, ამ ბანაკში დაიწყო ტყვეობის ნამდვილი კოშმარი, რად დღითი დღე უარესდებოდა: ბანაკს იმდენი ტყვეები ემატებოდა, რომ კაცი დასაჯდომ ადგილსაც კი ძნელად იპოვნიდა. საზრდო თითქმის არ გვქონდა, რადგან გერმანელები ამდენ ტყვეებს არ მოელოდნენ, მალე დაიწყო ნამდვილი შიმშილობა, სანიტარული შესაძლებლობების უქონლობა, დაავადებები და სიკვდილიანობის გახშირება. ზოგჯერ სამარისაკენ ნახევრად ცოცხალსაც კი მიათრევდნენ. შიმშილობას ოდნავ გვიმსუბუქებდნენ მედგარი ჩეჩენი და რუსი ქალები, რომელთაც მოჰქონდათ სხვადასხვა – უმეტესად ღომის მსგავსი – საკვები, რასაც მავთულხლართებიდან ტყვეებისაკენ ისროდნენ, მაგრამ ამ საკვების მოპოვება მხოლოდ ძლიერ და მუშტი-კრივში ნაცადებს შეეძლოთ, რომლებიც მტვერსა და მიწაში არეულ საზრდოს ხარბად იტენიდნენ პირში. ამ ხანაში ჩემმა ჯარისკაცებმა მომიხარშეს და მაჭამეს ჩემი ტყავის ქამრის წვრილად დაჭრილი ნაწილი. მდგომარეობამ კოშმარულ დონეს მიაღწია, როდესაც ჯარისკაცები მკვდარი ამხანაგის ხორცის ჭამასაც არ ერიდებოდნენ, თუმცა ეს მე ჩემი თვალით არ მინახავს და არც განმიცდია.

აი, ამ საბედისწერო ტრაგიკულ პერიოდში გვეღირსა შვება, რადგან მე გერმანულს სხვაზე უკეთ ვფლობდი, გერმანელმა მეთაურებმა დამიბარეს და მთხოვეს ტყვეებში მომენახა ხუროთმოძღვარი, რომელიც შესძლებდა ე.წ. „სამზარეულოს" და ისეთი დიდი ქურის აშენებას, რომელსაც ექვსი უზარმაზარი ქვაბის ტვირთვა შეეძლებოდა. მივუგე, რომ თვითონ შემეძლო სამზარეულოს აშენება. გერმანელები დამთანხმდნენ. ქართველებში ვიპოვე კალატოზები, გავაკეთე სამზარეულოს და ყოვლისშემძლე ქურის დაახლოებითი გეგმა–ნახაზები, რაც გერმანელებმა მოიწონეს. დაბომბილი შენობის მასალების

გამოყენებით დავიწყეთ გეგმის განხორციელება, რაც ორ კვირაში წარმატებით დავამთავრეთ და გერმანელების ქებაც დავიმსახურეთ. საჭირო მზარეულებიც ქართველ მხედრებში შევარჩიეთ, რითაც ქართველებმა სული მოვითქვით. აი, ამ პერიოდში გვქონდა ჩვენ „ლაგერიდან“ გასვლის შესაძლებლობა, საწვავი ან საშენი მასალის საშოვნელად. ეს საშუალებას გვაძლევდა მახლობელ ტყეში რკო დაგვეკრიფა, შეგვეწვა და სიამოვნებით გვეჭამა. მაგრამ არც ეს იყო იოლი საქმე, რადგან რკოს ჭამა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც რკო ცხელია, თორემ ისეთი მწკლარტე გემო აქვს, რომ ვერ გადაყლაპავ. ცხელი რკოს ჭამით ტუჩები ისე გვქონდა გასივებული და დასისხლიანებული, რომ ლაპარაკიც კი გვიმძიმდა. ყოველგვარი სიძნელეების მიუხედავად, ჩვენი მზარეულების წყალობით (თუმცა დიდი მზარეულობა მათ არ სჭირდებოდათ, რადგან ერთადერთი, რასაც ისინი ხარშავდნენ იყო წყალწყალა წვრილყვითელმარცვლიანი შვრია) სხვებზე უკეთეს მდგომარეობაში ვიყავით. მაგრამ მძვინვარე დაავადებები, უმეტესად, დიზინტერია და შიმშილობა, ჩვენ დღეებს თითებზე ითვლიდა.

ტყვეთა ბანაკიდან გამოსვლა და გერმანიაში გამგზავრება

ამ სასოწარკვეთილ ხანაში, ჩვენს ბანაკში გამოცხადნენ ძველი ქართველი ემიგრანტები, რომელთა უმრავლესობამ სამშობლო მიატოვა და უცხო ქვეყნებში ლტოლვა ირჩია, რადგან საქართველომ 1921 წ. თავისუფლება დაკარგა და კომუნისტების მიერ დაიწყო ჟორდანიას მთავრობის მიმდევართა და არაკომუნისტების დევნა-შევიწროება, ან უბრალოდ დახვრეტა-გადასახლებები. ქართველი ემიგრანტები სხვადასხვა საშუალებებით ესწრაფოდნენ ქართველი ტყვეების სიკვდილის ბანაკებიდან დახსნას; მაგალითად, გლეხები ან სოფლის მეურნეობის მცოდნენი მიჰყავდათ გერმანიაში ფერმებში სამუშაოდ, ზოგნი ქარხნებში იგზავნებოდნენ, სხვანი გერმანიის ჯარში: მეწაღეებად, მკერავებად და ჯარისკაცებად. ჩვენს ბანაკში, რომელიც ნალჩიკთან მდებარეობდა, სადაც ტილებით გავსილი ტყვეები ბუზებივით იხოცებოდნენ, ყველა თავგანწირვით ცდილობდა თავის დაღწევას. მიზნის მიღწევა სრულებითაც არ იყო ადვილი, რადგან გერმანელები მხოლოდ ახალგაზრდა და ჯანსაღ ტყვეებს არჩევდნენ. იმათ, რომლებიც ბანაკიდან გამოჰყავდათ, უცვლიდნენ გვარებს, რომ მათი ნათესავების დევნა-შევიწროება აეცილებინათ. პირადად მე, ბანაკიდან გამომიყვანეს, როგორც პავლე ციციშვილის ნათესავი, მომცეს მისი გვარი და გამამწესეს ბრანდენბურგის მონადირეთა მოტორიზებულ დივიზიაში, როგორც შოფერი. შემდეგ შევიტყვე, რომ ეს დივიზია სამი ლეგიონისაგან შედგებოდა: ერთი იდგა თვით ბრანდენბურგში, რაც თვით დივიზიის შტაბის სადგომი იყო, მეორე ლეგიონი იდგა ვენაში (ავსტრიაში) და მესამე, სადაც მე გამამწესეს, იდგა მშვენიერ ძალზე სუფთა პატარა საუნივერსიტეტო ქალაქ ფრაიბურგში (ბრეიზგაუ) შვეიცარიის მახლობლად. როდესაც გერმანელების კანცელარიამ ჩვენი დოკუმენტების შედგენა დაამთავრა, სხვადასხვა ადგილებში და თანამდებობებზე გასაგზავნი ტყვეები გამოგვიძახა, საგზალი დაგვირიგა და მატარებლით დასავლეთისაკენ გაგვამწესა. ეს საგზალი, რომელიც ჩვენ თითქმის ერთი კვირა უნდა გვყოფნოდა, შიმშილის გამო თვალის დახამხამებაში გადავსანსლე. დავრჩი უსაგზლოდ. ერთადერთი, რაც თავსაყარი მქონდა იყო მოუსვენარი ტილები. ფრონტზე წასვლამდის საბრალო დედამ რამდენიმე წყვილი აბრეშუმის ნიფხავ-პერანგი შემიკერა რწმენით, რომ აბრეშუმის გამო,

ტილები არ დამესეოდა. მაგრამ სინამდვილეში პირუკუ მოხდა. სისხამ დილით, ჩვენი მატარებელი პრაღაში გაჩერდა. ნამძინარევი ვიყურებით გარეთ და ბურუსში ვხედავთ ნამცხვრებით დატვირთულ ყუთებჩამოკიდებულ მამაკაცებს, რომლებიც ოხშივარიანი ცხელ-ცხელი ნამცხვრების გაყიდვას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ, რადგან არცერთ ჩვენთაგანს ფული არ გააჩნია. დაბომბვების გამო სხვადასხვა დროით შეჩერების შემდეგ, ჩამოვედით ფრაიბურგში სულ რაღაც ორმოციოდე კაცი: ორი „ზაპოჟნიკი“, სამი“პარტნოი“, შვიდი „შოფერი“ (მე მათ შორის) და დანარჩენი ჯარისკაცებად აღრიცხულნი. ,,საპოჟნიკები” სომხები იყვნენ (თბილისელები), ,,პარტნოები” კი ჩამომხმარი აზერბაიჯანელები, რომლებიც შერჩევის კანონების მიხედვით არ უნდა წამოეყვანათ.

პირველი ორი კვირა, ერთი განსაწმენდელი „სადეზინფექციო კამერიდან“, ყველანი ქიმიური ნივთიერებებით საშინლად ვყარდით. ეს ტილები დაიხოცნენ და მოგვცილდნენ, მაგრამ კინაღამ ჩვენც თან წაგვიყოლიეს, რადგან ქიმიური ნივთიერებები უაღრესად ძლიერი იყო. მადლობა ღმერთს, ჩვენი განწმენდის შემდეგ სანიმუშოდ ერთი ტილიც აღარ გვინახავს. გერმანელებს ტილების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი წარმატება ჰქონდათ. დაგვირიგეს ორ-ორი წყვილი ჯარისკაცის სამოსი, ერთი მატყლისა, მეორე კი ბამბის, შედარებით თხელი, სამუშაოდ, აგრეთვე საცვლები და წინდები, ფეხსაცმელები, ქუდები, ჩაჩქანები, აირწინაღები და თოფები, მოკლედ, ჯარისკაცის სრული საჭურველი. საზრდო ნოყიერი და საკმაო იყო, მაგრამ ჩვენ მაინც რატომღაც გამუდმებით გვშიოდა. ამ შიმშილს კარტოფილის მოპარვით ვიკლავდით. კარტოფილის ქურდობა შემდეგნაირად ხდებოდა: გერმანელებს საბარგო მანქანებით მოჰქონდათ უამრავი კარტოფილი, რასაც პირდაპირ საწყობის სარდაფში ყრიდნენ ოთხკუთხა ფანჯრების მეშვეობით, რომლებიც ტროტუარის დონეზე იყო გაჭრილი. ღამ-ღამობით ბიჭები ჩაძვრებოდნენ ამ ფანჯარაში და ამოჰქონდათ კარტოფილი, რომლებსაც ღუმელში წვავდნენ და მიირთმევდნენ. ერთხელ კარტოფილის მოპარვა დაევალა ერთ გორელ, მაღალ და შემძლე ბიჭს (მოჭიდავე იყო), რომელსაც „გლეხო“-ს ეძახდნენ. გლეხო კი ჩაეშვა ფანჯარიდან სარდაფში, უბეები გაიტენა კარტოფილით, მაგრამ ზევით ამოსვლა კი ვეღარ მოახერხა, რადგან კარტოფილის ,,ბორცვი” იმდენად იყო დადაბლებული, რომ ვერ იქნა და გლეხო ფანჯრის ზღურბლს ხელით ვერ მისწვდა, რის გამოც მთელი ღამე ცივ სარდაფში, კარტოფილში ეძინა და მხოლოდ დილით, დაგრეხილი ზეწრის საშუალებით შესძლეს მისი ამოყვანა. განთავისუფლებული გლეხო რომ დავინახე, სიცილი წამსკდა. ეს აყლაყუდა ბიჭი ისე მწუხარედ გამოიყურებოდა, რომ შეგეცოდებოდა. თანაც გასაჭირის მიუხედავად კარტოფილი არ დავიწყნია; უბე და ჯიბეები მიწიანი კარტოფილებით ჰქონდა გატენილი.

შვიდ ყმაწვილთან ერთად, დღის ნახევარს მოტორების მოქმედების სწავლაში და ავტომობილების რეცხვაში ვატარებდი. მეორე ნახევარს კი სამხედრო ვარჯიშში. ჩვენი უფროსები იყვნენ ეთნიკური გერმანელები, მაგრამ არა გერმანიაში, არამედ მის საზღვრებს გარეთ - რიგაში მცხოვრებნი. მათი გამომეტყველება, ყოფა-ქცევა, მეტყველების დროს აღბეჭდილი იერი უაღრესად საინტერესო იყო, რის გამოც მათი სრული არსი მეხსიერებაში მკვეთრად აღმებეჭდა. ისინი ათეულის მეთაურები იყვნენ და მათი ერთ-ერთი მოვალეობა იყო დილის აღრიცხვაზე თავიანთი ათეულები წესრიგიანად გამოეყვანათ, რასაც დიდი გულისხმიერებით ასრულებდნენ. ეს იყო ერთი მთავარი მომენტი,

რომლის დროსაც შეეძლოთ თავიანთი „ზეკაცობრივი“ ბუნების ჩვენება. ისინი მთელი საჭურველით ჩაგვამწკრივებდნენ, რის შემდეგაც ოცეულის მეთაურის მოლოდინში ერთად მოგროვდებოდნენ და იწყებდნენ კერძო საუბარს, რასაც თან სდევდა ხუმრობები. აი, ამ საზოგადოებრივი ურთიერთობის დროს, გულისხმიერებით ვაკვირდებოდი მათ ყოფა-ქცევას, რომ შეძლებისდაგვარად მათი არსი გამეგო. მათ სჯაბაას-ხუმრობაში, სრული ჰარმონია და ნათქვამის ადვილად გაგება გამოსჭვიოდა, ალბათ ეს იყო ნიშანი იმისა, რომ გეოგრაფიულად და სოციალურადაც ერთსა და იმავე წიაღს ეკუთვნოდნენ. ერთი მათგანი ისეთი მჭლე (გამხდარი) იყო, რომ ბიჭები მას „ჩიხოტკიანს“ უწოდენდნენ, ვიწრო, გრძელი და მოკუმული ტუჩები ჰქონდა, რითაც იგი ახლად გამოჩეკილ შოშიის ბარტყს მოგაგონებდა, მით უმეტეს, როდესაც განიერ პირს გააღებდა ხოლმე. მეორე იყო როზე, მოწითალო სახისა და მომცრო ტანის, მაგრამ კბილები ჰქონდა დაღრეჯილი, რაც მის მეტყველებას აფერხებდა და სასაცილოდ აქცევდა. მესამე იყო სასაცილოზე სასაცილო. ისეთი დაბალი და სწრაფი, რომ სხვებისაგან აშკარად გამოირჩეოდა. გამომეტყველება ჰქონდა ცივი და უემოციო, თავი მუდამ ჩაღუნული, თითქოს რაღაც დანაშაული აწუხებსო. მათი უმეტესობა დიდკაცობას იფერებდა, მაგრამ კაცი ადვილად მიხვდებოდა, რომ ეს იყო დაუმსახურებელი ზერელე და მითვისებული. იპრანჭებოდნენ და ხელოვნურად ინაზებოდნენ, თითქოს მაღალ სოციალურ დონეს ებღაუჭებიანო. მათ შორის იყო ერთი, - თომას დილი - ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი, უზარმაზარი კეხიანი ცხვირით, შავი თვალ-წარბითა და თმებით. ეშმაკს ან ასირიელ მკაცრ დიქტატორს მოგაგონებდა, მაგრამ სინამდვილეში იყო საკმაოდ განსწავლული, გულკეთილი და ერთადერთი ნორმალური ყოფა-ქცევისა, რომელსაც „ზეადამიანური“ იდეები არ ეპიტნავებოდა (ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით ხოლმე და ერთხელ ვოლფლინის „გრუნდბეგრიფე”-ც კი მაჩუქა. ეს წიგნი დღემდე შემორჩა ჩემს ბიბლიოთეკას). გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ქართველი ბიჭები (ალბათ ის დაღრანჯული „პარტნოი“ იოლდაშიც), ბანაკში განაწამებნი, სამშობლოს მიერ მიტოვებულ-მივიწყებულნი, რომელნიც ცდილობდნენ მსოფლიო ომისაგან თავის დაღწევას და თანაც გერმანიის გარემოცვას შეუჩვეველნი, მათ არაფრით ჩამოუვარდებოდნენ. დღის ნაწილს მოტორების შესწავლას და ავტომობილების მართვას ვანდომებდი, მაგრამ უფრო მეტი დრო მიჰქონდა ავტომობილების რეცხვას და მოვლას. როდესაც ასეული მარშზე მიდიოდა, მაშინ მეც უნდა გავყოლოდი. ერთდღიან მარშზე უნდა დაგვეფარა 48 კილომეტრი, რაც დასაწყისში გაგვიძნელდა, მაგრამ თანდათანობით იოლი ასატანი გახდა.

ფრაიბურგში გავიცანი და რამდენჯერმე ვესტუმრე პრელატ იოზეფ ზაუერს, რომელიც ერთ დროს ამ უნივერსიტეტის რექტორი იყო. საქართველოს კარგად იცნობდა და მისადმი დიდი სიმპათიებით იყო განწყობილი. ისევე, როგორც მისი მოწაფე ალფონს მარია შნაიდერი. ბატალიონის მეთაურის ფონ ფოლკერზამის ნებართვით, ბატონ ზაუერის ორიოდ ლექციასაც დავესწარი და ერთხელ ბინაში (რემპარტ შტრასსე 12), სადაც ის დასთან ერთად ცხოვრობდა, სადილადაც კი დამპატიჟა. კეთილმოუბარი და გულკეთილი კაცი იყო, მძიმე წონისა და ღიპიანი. ამის შესახებ შემდეგაც მოგითხრობთ. ზაუერის ლექციის საგანი იყო: Tafelmalerei im Bohmen und Mahren. ანუ ფიცარზე მხატვრობა ბოჰემიასა და მერეში. მისი მთავარი ნაშრომი Symbolik des Kirchengebaudes und Seine Ausstattung in der Auffassung des Mittelalalters, რომელიც თვით ფრაიბურგში გამოიცა 1924 წ. ეს წიგნი, რომელითაც მე დიდხანს ვსარგებლობდი

ხელოვნებათმცოდნეებისათვის – განსაკუთრებით ხუროთმოძღვრების ისტორიკოსებისათვის, ნამდვილი ბიბლიაა. მაგრამ სავალალოდ, ჩვენი ხელოვნების მოძღვართათვის, დღემდის შეუმჩნეველი.

დავუბრუნდეთ ჯარის ამბებს: ჩვენი სამხედრო სამზადის-სწავლება ფრაიბურგში, დაძაბული არ ყოფილა (შეიძლება იმის გამო, რომ დივიზიის სარდლობა ჩვენი დანაყოფის გადახალისებას აპირებდა, რაც დიდხანს გაჭიანურდა და მხოლოდ ჩემი იქ არყოფნის დროს მომხდარა. საქმე ისაა, რომ „ნამდვილი„ გერმანელები ჩვენ „ფოლკსდოიჩე“-ს არ ენდობოდნენ). ამიტომ ჩვენ ქალაქში სეირნობისა და მისი თვალსაჩინო ადგილების დათვალიერების საშუალება გვქონდა, რაც მართლაც გვაკვირვებდა. მე რომ პირველად ქალაქში გავედი, დავინახე სუფთად ჩაცმულ-გაწკეპილი, კოსტუმით, ჰალსტუხით, ცილინდრით და გაპრიალებული ფეხსაცმელებით ერთი გერმანელი, რომელსაც ცალ ხელში ცოცხი ეჭირა, მეორეში კი აქანდაზი და გაკრიალებულ, სუფთა, შუა ქუჩაში ცხენის ნაკელს ხვეტავდა, პრეზიდენტის მსგავსი ამ დარბაისელი კაცის საქციელმა მეტისმეტად გამაკვირვა. მაშინვე მივხვდი, რომ მე სულ სხვაგვარ საზოგადოებაში ვიყავი, მაგრამ მაინც ვერ გამეგო იმ დარბაისელი კაცის საქციელი. ათეულის მეთაურ გერმანელ თომას დილს ვკითხე და იმ კაცის საქციელის განმარტება ვთხოვე. მან ჩემი გაოცება ვერ გაიგო და უბრალოდ მითხრა: „თავის საქციელით, ის კაცი სისუფთავეს არაფერს მოაკლებს და თავისი ბოსტანში განსაკუთრებით კარგ მოსავალსაც მოიწევს“-ო. ჩემი გაოცება გავუზიარე მურად ნიჟარაძეს, რომელიც ჩემსავით გაკვირვებულია ამ საოცარი ხალხის საქციელით და ბევრი რამ მისთვისაც სრულებით გაუგებარია. უაღრესი სისუფთავე, წესრიგი და საქმიანობა ამ „ადამიან-ფუტკრებისა“, ჩვენთვის მართლაც თავბრუდამხვევი იყო. რახან სიტყვა მურადზე ჩამოვარდა, ურიგო არ იქნება მისი პიროვნების შესახებ ორიოდ სიტყვა ითქვას. მურადი ბათუმელია და იქაური სასახელო ოჯახის – ნიჟარაძეების გვარიშვილი. ომის დროს, იგი, ქართული დივიზიის კომკავშირის „პოლიტრუკი“ იყო (რა თქმა უნდა, გერმანელებმა ეს არ იცოდნენ, თორემ ცუდად წაუვიდოდა საქმე) და ჩვენს მსგავსად ისიც ტყვედ ჩავარდა, მძიმე პერიოდი გადაიტანა და ბოლოს გერმანიის ჯარში, ფრაიბურგში ამოყო თავი. ის უაღრესად პატიოსანი და ყოველმხრივ წესიერი კაცი იყო, როგორც დარბაისელ ოჯახიშვილს შეშვენის. არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი და აყალ-მაყალსაც ერიდებოდა. ჯარისკაცის ყოველგვარ მოვალეობას სანიმუშოდ ასრულებდა, ერთის გამოკლებით: თუ არ ვცდები მურადს ფეხები აწუხებდა და ამის გამო მარშის ანუ ლაშქრობის მძიმე ტვირთს ვერ იტანდა. მოვლენებს მიჰყვებოდა და დიდი სიყვარულით ოცნებობდა თავისი ძვირფას ოჯახზე. მან შეძლო გაჭირვების ჟამს გადაერჩინა თავისი ქისა და ოჯახის სურათები, რომელსაც ქისიდან დიდი სიფრთხილით და სიყვარულით ამოიღებდა ხოლმე, გადაშლიდა და ოჯახში განცდილ ამბებს მიყვებოდა ისეთი ტონით, რომელიც მხოლოდ ერთგულ მეოჯახეს შეუძლია. როდესაც ამ გერმანულ ჯარს მოვცილდი, მურად ბატონის გზა-კვალი დავკარგე; მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ მომაწვდინა ხმა და წერილობით მითხრა, რომ ომის შემდეგ „სამშობლოში“ დაბრუნებულა, მაგრამ სამშობლოს მაგიერ რვა თუ ათი წლით გაუციმბირებიათ და სახლში, თავის ბათუმში მხოლოდ ხანში შესული, მოტეხილი დაბრუნებულა და იქ დასახლებულა. ჩემთან ჩიოდა: სასჯელი მოვიხადე და დღესაც, სიბერის დროს, სამშობლოს მოღალატის დამამცირებელი სტატუსი მაინც არ მომაცილესო. უსინდისო კომუნისტები, რომლებიც გამუდმებით სამართალზე საუბრობენ, სამართალს ისე ხსნიან, რომ ყოველთვის სხვაა დამნაშავე და თვითონ კი მუდამ მამა აბრამის ბატკნები არიან.

ახლა, როცა თითონ დაანგრიეს კომუნისტური წესწყობილება, რა სინდისი აძლევთ ნებას, რომ სასჯელმოხდილ კაცს „სამშობლოს მოღალატე“ უწოდონ. მურადი კი არა, თვითონ არიან აშკარა მოღალატეები და სინდისგარეცხილები.

ფრაიბურგში ორიოდეჯერ გვესტუმრენ ძველი ქართველი ემიგრანტები და ხანმოკლედ გვესაუბრნენ. მათი სტუმრობის ნამდვილი მიზეზი დღემდის ვერ გამიგია. ერთ დღეს გვესტუმრა და მე პირადად თავის ოტელში დამპატიჟა გენერალმა ლეო კერესელიძემ. იმ დროს, ზოგიერთი ქართველი ყალბისმქმნელობით თავს ,,ღენერლად” ასაღებდა (დღესაც საქართველოში, ქართული პრესა მათ გენერლებს უწოდებს და მაღალფარდოვანი თხრობით ფანტასტიკურ ამბებს მიაწერენ ხოლმე), მაგრამ ლეო კერესელიძე მართლაც ნამდვილი გენერალი იყო, კეთილმოსაუბრე, პირდაპირი და მგონია, კარგი განათლებისაც. როდესაც მის ოტელში მივედი, ყავას სვამდა, ადგა გადამეხვია და მიმიპატიჟა. მომართვეს ყავა და ნამცხვრები, რაც უსირცხვილოდ თვალის დახამხამებაში გადავსანსლე და კიდევ მეტი მოვითხოვე, როდესაც ბატონმა ლეომ შემომთავაზა. ბატონ ლეოსთან საათნახევარი მაინც დავყავი. გამომკითხა ჩემი თავგადასავალი, მესაუბრა ისტორიის შესახებ, შევეხეთ პოლიტიკური დოქტრინების ავ-კარგს. ბატონ ლეოსთან საუბარში გამოსჭვიოდა, რომ მან უკვე იცოდა ზოგიერთი რამ ჩემს შესახებ. მესაუბრა აგრეთვე თავის ქალიშვილ მარიამის შესახებ, რომელიც ჩინებული ცხენოსანი ყოფილა, ისევე როგორც თავის დროზე ბატონი ლეო, რომელსაც ცხენიდან ჩამოვარდნის გამო კუზი ჰქონდა. ჩვენ საუბარს და მეორე შეხვედრასაც არავითარი კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ჩანდა რომ იგი აპირებდა ჩემ ჩაბმას რაღაც საქმეში. ამის შემდეგ ბატონი ლეო აღარ მინახავს. როგორც ამბობენ ის დაბომბვის დროს ბერლინში დაიღუპა. ჩემი შეხედულებით და სხვათაგან განაგონით, შეიძლება კაცმა დაასკვნას, რომ ბატონი ლეო იყო უაღრესად პატიოსანი, სხვებზე უფრო განათლებული უთუოდ დიდი მამულიშვილი ...

ქალაქში უფრო და უფრო მოვუხშირე სიარულს, რადგან ქალაქის ყოველი კუნჭული ყოველი საგანი, ქუჩები, დუქნები, ეკლესიები და თვით ხალხი, მათი მოქმედება, ჩაცმა-დახურვა, საუბარი და საქმე, ჩემში დიდ გაოცებას იწვევდა და უამრავ ცოდნასაც მძენდა, რადგან გერმანიის ქალაქს, მის მოსახლეობას, მის ხელოვნებას, სინამდვილეს მე კომუნისტური პროპაგანდით კი არა, საკუთარი თვალით ვხედავდი. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ლიტერატურას და ევროპის რეალობას საქართველოში ალბათ სხვაზე უკეთ ვიცნობდი, მაინც ნანახ-განცდილმა, გერმანიის ერის კულტურამ და ღირსებებმა ჩემზე უაღრესად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ვფიქრობდი, ქართველებმა რომ გერმანელების ზოგიერთი წეს-ჩვეულება მაინც აითვისონ, ძალიან სასარგებლო იქნება-მეთქი. წესრიგი, პასუხისმგებლობის გრძნობა, შრომისმოყვარეობა, აი, ეს ელემენტარული თვისებები მაინც. ხშირად დავდიოდი ქალაქგარეთ, წიგნების მაღაზიებში, მშვენივრად მოვლილ-მოკაზმულ ეკლესიებში და ვფიქრობდი, როგორ გადმომენერგა ყველა ეს სიკეთე ჩემს საბრალო სამშობლოში.

ავსტრიაში გამგზავრება

1943 წლის ზაფხულში, ჩვენი ასეული გადაიყვანეს ავსტრიის პატარა სოფელ Unterwaltersdorf-ში და დაგვაბინავეს ერთ საოცარ მონასტერში, სადაც რამდენიმე ბერმონაზონი კიდევ ცხოვრობდა, თუმცა ჩვენ მათ იშვიათად ვხვდებოდით. ამ მონასტერს უკან ჰქონდა კარგად მოვლილი ვენახი, რომელიც 50

მ. სიგრძისა და 40 მ. სიგანის შეიძლება ყოფილიყო. თვით მონასტერი, რომელიც ჩემთვის გაუგებარი მიზეზის გამო, შიგ შუა სოფელში იდგა და თითქმის სულ ახალი აშენებული იყო, მონასტრის შთაბეჭდილებას სრულებითაც არ ტოვებდა. ეს იყო ცემენტით შელესილი სამსართულიანი სრულიად უბრალო შენობა, ყოველგვარი არქიტექტურული სამკაულის გარეშე. ბიჭები საშხაპეებში, აბაზანებში და საპირფარეშოებში, არც თუ იშვიათად, პრეზერვატივებს პოულობდნენ, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ეს ბერ-მონაზვნები, ქრისტეს მოძღვრების სწავლებისათვის თავს მაინც და მაინც არ იკლავდნენ.

უნტერვალტერსდორფში ჩვენ თითქმის არაფერს ვაკეთებდით, მხოლოდ სოფლის ბარიშნებში ვერთობოდით, ამ გართობა-ქელეხობაში, გორელმა გრუზათმიანმა, მშვენიერი შესახედაობის ტანწერწეტა ბიჭმა - გიორგიმ ერთი გერმანელი გოგონა ისე მოხიბლა, რომ მან გადაწყვიტა გიორგისთან შეუღლება, რაც გერმანული კანონმდებლობით აკრძალული იყო. გერმანელ ქალებს (ალბათ კაცებსაც) უფლება არ ჰქონდათ უცხოელზე დაქორწინებულიყვნენ, მაგრამ გიორგის სილამაზემ თვით ბურგერმაისტერიც მოხიბლა, ეკითხებოდა ხოლმე: ეგებ შენ მართლა გერმანელი ხარ და არ იციო. მალე Rathanse-ში, გიორგიმ და გერმანელმა გოგონამ, ადგილობრივი ბობოლების დასწრებითა და ჩემი თარჯიმნობით ხელი მოაწერეს, რითაც ყველანი აღფრთოვანებული დარჩნენ. ამ ცერემონიის დროს, მოღრანჯული ,,პორტნოი" ბურგერმაისტერს მიუახლოვდა სასაუბროდ. ბურგერმაისტერმა შეხედა ამ ჭიან ,,პორტნოის" და კითხა:

- რა გინდა?

- მეც მყავს გოგო და მსურს ცოლად შევირთო. ბურგერმაისტერი აღრიალდა და უყვირა მიღრანჯულ ,,პორტნოის":

- შე ვირო! ნუთუ არ იცი გერმანიის კანონები? და გამოაგდო. შტაბი კი გაფაციცებით მუშაობდა. ამის გამო, ყველას ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ გერმანელები ჩვენი ბრძოლის ველზე გაყვანას ამზადებდნენ. ერთ მშვენიერ დღეს შეგვკრიბეს ამ სოფლის მდიდარი გლეხის სასადილო დარბაზში და მოკლე ცერემონიის შემდეგ, დაიწყეს ფარის ფორმის პატარა ნაჭრის მწვანე ფონზე აღბეჭდილი თეთრი ყვავილის Edelwies-ის დარიგება, რაც ჩვენ მარცხენა მკლავზე უნდა დაგვეკრა. ამით გვეძლეოდა ე.წ. ,,ობერ-ჯარისკაცის" წოდება სამთო დანაყოფის ნიშნით. ჩემი ჯერი რომ დადგა და „ხელდასხმისათვის" გამომიძახეს, მეთაურის მიერ გამოწოდებული ედელვაისის ნიშანი მისსავე მაგიდაზე დავდე და განვუცხადე, რომ მე არც ედელვაისი და არც ,,ობერსალდათობა" არ მაინტერესებს, არამედ მსურს, - როგორც ადრევე ვიყავით შეთანხმებული – ჩემი შოფრობის სტატუსი შევინარჩუნო. ამ უკმეხი საქციელის გამო უფროსებმა არაფერი მითხრეს, მაგრამ მესამე დღეს ჩაამწკრივეს ასეული და გამოიძახეს სამი კაცი: ერთი თბილისელი სომეხი - ფეხის ტერფებ გარეთ გაშვერილი და ბატივით მავალი, რომელიც კარტის თამაშის მეტს არაფერს აკეთებდა და მეორე - გამხდარი ფოთელი მეზღვაური, რომლის ჩაშავებული სხეული „ნაკოლკებით" იყო დაფარული და ისიც დაუოკებელი „კარტოჟნიკი". მესამე მე ვიყავი. გვიბრძანეს, რომ გამოგვეტანა ჩვენი ბარგი და დაგვეცადა მითითებულ ადგილზე. ასეც მოვიქეცით. მივხვდი, რომ რაღაც უსიამოვნო გველოდა. მე მართლაც მძიმე დანაშაული მქონდა, მაგრამ ის სომეხი და ფოთელი კარტოჟნიკობისათვის (თუ ეს იყო მართლა მათი დანაშაული) დიდად არ უნდა დასჯილიყვნენ, თანაც ჩვენი ხარახურის გამოტანა იმისი მაჩვენებელი იყო, რომ დასახვრეტად არ ვიყავით განწირულნი. სულ მოკლე ხანში მოაგორეს

ავტომობილი და წაგვიყვანეს. მე ცალკე და ის ორი ერთად. დღემდე არ ვიცი რა ბედი ეწიათ მათ. მე კი თავი ამოვყავი ილმე ზეეზე, ბელორუსიაში, ჭაობებში გაჩხირული ბრანდენბურგის ფეხოსანი დივიზიის ერთ ნაწილში, რომელიც პირველი შეეჯახა ლენინგრადში გამაგრებულ რუსული ჯარის ნაწილებს და ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ დაღლილ-დაქანცულ-დაცხრილული, ჭაობიან ტყე-ღრეში იდგა თავდაცვის ხაზზე და საყარაულო სამსახურს ასრულებდა. როგორც ჩანს, საჯარიმო ბატალიონში მოვხვდი. ჩემი მოვალეობა, ისევე, როგორც სხვების – რუსების თავდაცვის ხაზისათვის თვალყურის დევნება იყო, რომ ისინი მოულოდნელად თავს არ დაგვხსმოდენ. ვუთვალთვალებდი, მაგრამ ჩემზე მომაგრებული ჯარისკაცი მე მიყურებდა. ალბათ ეშინოდა რაიმე მტრული საქმე არ ჩამედინა. ვარწმუნებდი მოთვალთვალეს, რომ ჩემი თვალთვალი საჭირო არ იყო და დასაძინებლად წასულიყო, ან თვითონ დარჩენილიყო და მე დავიძინებდი, მაგრამ ვერ დავიყოლიე. ბრძანება უნდა შესრულდესო - მეუბნებოდა. დამაბინავეს ერთ ბუნკერში, რომელიც ნახევრად წყლით იყო სავსე. გალუმპულს მეძინა მცირე მორებისაგან შეკრულ სველ საწოლზე. ეს დაუჯერებული ყოფა ორ დღეს ავიტანე, მაგრამ მესამე დღეს ძალიან მაღალი სიცხე მომცა. მოიყვანეს სამხედრო ექიმი, რომელმაც გამსინჯა და მოითხოვა ჩემი საავადმყოფოში გაგზავნა. ამისათვის გამოიძახეს ე.წ. Panzerschpee ვაგონი, რაც არსებითად ჯავშნიანი ავტომობილია, რომლითაც გავსწიე რიგის საავადმყოფოსაკენ. იმის მიუხედავად, რომ უაღრესად მაღალი სიცხე მქონდა და მთელი სხეულით ვცახცახებდი, მახსოვს ეს ჯოჯოხეთური მგზავრობა პარალელურად, მიჯრით მიწყობილ მორებზე, რაც თითქმის განუწყვეტელ რახრახს იწვევდა, რადგან იმ ჭაობიან მხარეში სხვაგვარი გზები არ არის. რიგის ჰოსპიტალში მიყვანა, იქ განცდილი დღეები, ან თვით წამლობის პროცესი, სრულებით არ მახსოვს. არც ის ვიცი თუ რა დაავადება მქონდა, თუმცა, თვით ავადმყოფობის სიმპტომების გამო დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ჩემი ბავშვობისდროინდელი მალარიის გამოღვიძება თუ განმეორება იყო. გამოჯანსაღებისთანავე, ექიმებმა მომცეს ჩემი საბუთები ე.წ. ,,სოლდბუხის" ჩართვით („სალდათის წიგნი") და საავადმყოფოდან გამოწერის მოწმობა. თანაც დასძინეს, რომ განმანაწილებელ პუნქტში უნდა წავსულიყავი და იქიდან ჩემს დანაყოფს დავბრუნებოდი. დანაყოფში და იმ ჭაობებში დაბრუნება ჩემთვის სიკვდილი იქნებოდა. მივდივარ განმანაწილებელი პუნქტისაკენ და ვფიქრობ, რატომ უნდა ჩავყარო ჩემი საბრალო ძვლები ბელორუსიის ჭაობებში. ეს კი ავადმყოფობის განმეორების გამო მართლაც არ ამცდებოდა, რუსის ტყვიის თუ შრაპნელის თავში მოხვედრის გამო. იმ დროს, იქ ბრძოლა მაინც არ ყოფილა. მარტოხელა ქართველი მივდივარ ამ მიუსაფარში და თანაც ვფიქრობ თუ რა საშუალებით ვუშველო ჩემ საბრალო თავს. მივადექი ერთ დიდი (ფართო) მდინარის ხიდს, რამაც გამახარა, რადგან მისი აღნაგობა თუ სტრუქტურა, მტკვარზე გადებულ მუხრანის ხიდს წააგავდა. მასაც, ზემოთ მორკალული თუ ნახევრად წრიული რკინის თაღი ჰქონდა. მტკვართან ასოციაციამ, სამშობლოსა და ნათესავ-მეგობრების გახსენებამ, მწუხარება და დარდი გამიფანტა; გავჩერდი შუა ხიდზე და დავიწყე ოცნება. რომლის დროსაც თავში გამიელვა აზრმა, რომ ცუდი არ იქნებოდა ჩემი დოკუმენტები ამ მდინარეში გადამეყრა. თუმცა ამის შედეგი ვერ წარმომედგინა, მაგრამ მწამდა, ჭაობებში ფეხების გაფშეკაზე უარესი არ იქნებოდა. საავადმყოფოდან გამოწერის ქაღალდების გარდა, მდინარეში გადავყარე ჩემი დოკუმენტები და მივადექი ე.წ. განმანაწილებელ პუნქტს,

სადაც აუარებელი დაჭრილ-დასახიჩრებული ჯარისკაცი იცდიდა. ჩემზე მოდგა ჯერი და უნტერ-ოფიცერი მთხოვს დოკუმენტებს. მივაწოდე საავადმყოფოდან წამოღებული ქაღალდები.

- სხვა დოკუმენტები სად არის?

- სოლდბუხი? არ ვიცი, დიდხანს ვიყავი ავად და მხოლოდ ეს მაქვს. მერე მკითხა რომელ დანაყოფში ვიყავი და ამჟამად სად არის ეს დანაყოფი. მოვიტყუე (ვაიმე დედაა, შეგცოდე, მაგრამ სხვა გზა თვითმკვლელობა იქნებოდა, ჩემი ტყუილით კი არავის ვავნებდი) და ბრანდენბურგის ფეხოსანი დივიზიისა და იმ ჭაობებიანი არემარის მაგიერ ჩემი ძველი დანაყოფის კოორდინატები ვუთხარი და დავამატე, რომ ჩემი დანაყოფი ახლა ვენაშია. ვშიშობდი არ ეკითხა ვენის მაგიერ როგორ მოვხვდი რიგაში, მაგრამ ამის მაგიერ დაიწყო ტელეფონების წკარუნი და დადგინდა, რომ ჩემი დანაყოფი ვენაში იყო. ორიოდ წუთის შემდეგ მომცეს ,,პუტიოვკა" ბილეთით, ხუთი ე.წ. ,,კომის ბროდ" ანუ სალდათის ბუხანკები და სამი სქელი, მოზრდილი ძეხვი. მითხრეს, რომ ეს ხუთი დღის საკვები იყო, ყავას და წვენს კი მატარებელში მივიღებდი. კეთილი მგზავრობის სურვილით თუ ლოცვა კურთხევით, რიგიდან ვენისაკენ გამომისტუმრეს. არ ვიცოდი ვენაში რა მომელოდა, მაგრამ ის კი აშკარა იყო, რომ ილმენის ჭაობებზე უარესი არ იქნებოდა. თანაც ყოველი დღე ნაჩუქარი იყო და მანამდის ან ვირი მოკვდებოდა, ან ვირის პატრონი. მოკლედ, როგორც მოლა ნასრედინის მოთხრობებშია თქმული, ეს აღმოსავლური ფილოსოფია მართლაც არ იყო სიმართლისაგან შორს. მგზავრობა ჩრდილოეთიდან (რიგა) სამხრეთისაკენ (ვენა), უეჭველად, ჩემი ცხოვრების ერთ ერთ საუკეთესო ხანად უნდა ჩაითვალოს. ასეთი ბედნიერი სიზარმაცე და უზრუნველობა მართლაც არაჩვეულებრივი და იშვიათია. ეს იყო ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევა, რაც სულ უბრალო, მაგრამ დასაძრახი (თუმც გასაგები) მეთოდის გამოყენებით - სიცრუის თქმით მოხდა. ახლაც რომ ვფიქრობ ჩემ საქციელზე, სინდისი მაწუხებს, რადგან გერმანელებმა ღირსეულ პიროვნებად ჩამთვალეს და ჩემი ნათქვამი ირწმუნეს, მე კი.... მაგრამ ჩემი საძრახი საქციელით არავისთვის ზიანი არ მიმიყენებია და თანაც იმ ახლად გამომცხვარ ხელოვნურად განდიდებულ პრანჭია ფრაიბურგელ ,,ფოლკსდოიჩებსაც" მიუძღვით ბრალი, რომ მათ თვითნებურად ჩამომართვეს შოფრობის სტატუსი და ჩემი ჯარისკაცად გამწესება ინებეს. ვენამდის მიღწევას თერთმეტი დღე მოვუნდი, რადგან რკინიგზის ხაზები ან დაბომბილი იყო, ან ჯარების გადაყვან-გადმოყვანას პრიორიტეტი ეძლეოდა. ეს დაგვიანება-შეფერხებები კი არ მაწუხებდა, არამედ, სიამოვნებას მმატებდა ჩემი თავის პატრონობის ყოველი დღე. მაგრამ ყველაფერს (მართლაც, ჩვენს წუთისოფელში) აქვს დასაწყისი და დასასრული; თერთმეტდღიანი განცხრომის შემდეგ მივაღწიე ვენას, სადაც დამატებითი სიამოვნება მელოდა. მივედი ბრანდენბურგის მოტორიზებული დივიზიის ვენის ლეგიონის შტაბში, რომელიც სამსართულიან, სკულპტურული ორნამენტებით, ყვითელი და თეთრის საღებავებით მდიდრულად მოპირკეთებულ, მაგრამ მოუვლელობის გამო წამხდარ შენობაში ბინადრობდა. ეს შენობა, რომელიც ერთ დროს მდიდარი კაცის კუთვნილება უნდა ყოფილიყო, გაუქმებული აუზებითა და ჩანჩქერით დამშვენებულ ხეივანში იდგა. ეს დიდი, გემოვნებით ნაგები შენობა, მისი წალკოტი და შენობის ფასადი - ნახევარწრიული ორი, ფართო, ერთმანეთის პირისპირ მდგარი კიბეებით, ალბათ მხოლოდ მდიდრული ეტლებისა და ცხენოსნებისათვის იყო გამიზნული. ახლა კი ვარდების მაგიერ, ბენზინით

ამყრალებული მიდამო, ჯავშნოსანი ავტომობილებითა და ტანკებით იყო გავსებულ-გაბინძურებული.

შტაბის მორიგე ოფიცრის ოთახში შევედი, გავუწოდე ჩემი ორიოდ საბუთი და დანაყოფში დაბრუნების შესახებ მოვახსენე. მან მითხრა, რომ ჩემი დანაყოფი საბერძნეთშია წაყვანილი, მაგრამ იქ გამგზავრებას აზრი არა აქვს, რადგან ორიოდ კვირაში ვენაში დაბრუნდებიანო. გადავიწერე პირჯვარი, რომ მოწყალე ღმერთმა, ჩემი არსებობის გასახანგრძლივებლად კიდევ ორი კვირა მიბოძა. ამასობაში ფიზიკურად მოვმჯობინდი და მორალურადაც წელში გავიმართე. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მე ჯარს აღარ ვეკუთვნი და ღვთის მიერ ,,ნაბოძები ბაირამობა“ უსასრულოდ გაგრძლდება. არავითარი მოვალეობა არ მქონდა, გარდა ჩემი ოთახის მოვლისა, სადაც ექვსი გაწკეპილი საწოლი იყო და ჩემს გარდა არავინ ცხოვრობდა. შეიძლება ითქვას, რომ არა მხოლოდ ჩემი ოთახი, არამედ მთელი ეს უზარმაზარი შენობა დაცარიელებული იყო. „უპატრონობა“ გამიტკბა და დავიწყე ქალაქისა და მისი ღირშესანიშნაობების დათვალიერება. რიგიდან ვენისაკენ მგზავრობის დროს კარტში მოგებული ფული (დამავიწყდა მეთქვა, რომ რიგიდან ავსტრიისაკენ მგზავრობისას, გერმანელებს ბანქო /კარტი/ ვეთამაშე და მოვუგე. მართალია, ბანქო სრულებითაც არ მიტაცებდა და ამ საქმეში გაწაფულიც არ ვიყავი, მაგრამ, როგორც გაირკვა, გერმანელებთან პაექრობაში საკმარისი იყო) რესტორანში სადილობისათვის საკმარისი იყო. ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი სართულის დერეფანში, დავინახე ჩემზე შვიდიოდე წლით უფროსი ერთი ყმაწვილი ჩექმებს წმენდდა. გამოველაპარაკე და ქართველი აღმოჩნდა, შოთა თარხნიშვილი, მომღერალ თარხნიშვილთა ახლო ნათესავი. საკმაოდ წარმოსადეგი, მაღალი, ზრდილი და კარგი შესახედი. მითხრა, რომ ვენიდან, ქართველების ჩათვლით, ყველანი საბერძნეთში წაიყვანეს, თვითონ კი ავადმყოფობის გამო, ვენაში დარჩა. ორივეს გაგვიხარდა ერთმანეთის გაცნობა. ამან ჩემი ვენაში ცხოვრება კიდევ უფრო მეტად დაატკბო, რადგან თარხნიშვილი ამ ქალაქში რამოდენიმე ოჯახს იცნობდა, მათთან ხშირი მიმოსვლა ჰქონდა და რა თქმა უნდა მეც მისი მეინახე გავხდი. ,,ბარიშნებიც” მისი წყალობით ისე გვესეოდნენ, როგორც ფუტკარი თაფლს. არც ,,სმა-ჭამა დიდად შესარგი” მოგვკლებია და ზაფხულის მიწურულს თუ შემოდგომის დამდეგს მოულოდნელ განცხრომაში ვატარებდით. მით უფრო, რომ ჩვენი დანაყოფის საბერძნეთიდან ჩამოსვლა რატომღაც ჭიანურდებოდა. ,,ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო” - ეს გაჭიანურება ჩვენ დიახაც რომ გვახარებდა, მე მისი ფიზიკური სილამაზით ვსარგებლობდი, ის კი ჩემი გერმანული ენის ცოდნით, თუმცა ვენელ ,,ბარიშნებთან” ბევრი ლაპარაკი საჭირო არ ყოფილა.

ჩვენი დანაყოფის დაბრუნების დღე მოახლოვდა. ვიფიქრე, ახლა განცხრომის დღეებს ბოლო მოეღება და სიამოვნებას განკითხვის დღე შეცვლისმეთქი. ამ ფიქრში გართულმა კიდევ ერთხელ მივაკითხე კომენდანტის ბიუროს, რომ ჩემი დანაყოფის საბერძნეთიდან დაბრუნების თარიღი დამედგინა. მივედი, ველაპარაკე უსაქმოდ მოსიარულე ოფიცერს თუ კომენდანტს, რომელმაც მწუხარებით მომიგო, რომ ისინი არ დაბრუნდებიან ვენაში, არამედ დანაყოფი დაიშლება და ქართველებს მგონი საფრანგეთში გზავნიანო. პირადად თქვენ კი, ჯერ-ჯერობით, სადმე სამუშაოდ გაგამწესებენო. ამ გადაწყვეტილებას რამდენიმე დღე ვუცადე. ბოლოს გამომიცხადეს, რომ დივიზიის მთავარ შტაბში - ბრანდენბურგში უნდა გაემგზავროთ და ისინი გადაწყვეტენ თქვენს ბედიღბალსო. ასეც მოხდა და სიტყვა რომ არ გავაგრძელო, ბრანდენბურგის შტაბმა

მახლობელ მამულში მიწაზე სამუშაოდ გამამწესა. გამოვეცხადე მემამულეს, რომელიც ორტონიანი მრისხანე მატრონა იყო მათრახით ხელში. შეკითხვების მთელი ჯაჭვი გამიბა, რაზეც ამომწურავად ვუპასუხე. საუბარში, ეს დევივით ქალბატონი ოდნავ მოლბვა და მითხრა: „თქვენ იქნებით ჩემი თარჯიმანი, მაშინ ეს მათრახი აღარ დამჭირდება“-ო. იმ ადგილში, რომელიც მემამულემ - ფრაუ გერტრუდამ მიმიჩინა, იყო სატაცურების მამული. ჩვენი მოვალეობა იყო, მიწიდან თავამოყოფილი სატაცურის მიწით დაფარვა, რომ მისი მერქანი მზის სინათლეზე არ გახევებულიყო. ეს თითქოს ადვილი სამუშაოა, მაგრამ სინამდვილეში მტკივნეული ზურგის კუნთებისათვის, რადგან მოხრილ შრომას მოითხოვს, რასაც მიჩვევა სჭირდება. გერტრუდას მამულში მომუშავე ტყვეთა უმეტესობა რუსები, აზერბაიჯანელები თუ ყირგიზ–კალმიკ–თათრები იყვნენ. გავიგე, რომ იქ მრავალი მუშა-ტყვეები ყოფილან, თუმცა მათ, ჩემი ხანმოკლე ყოფნის დროს არ შევხვედრივარ. ათიოდე დღის შემდეგ, გერტრუდამ დამიბარა და მითხრა, რომ ამ ტყვეებს შორის, ახლო-მახლო არიან დაჭრილ-დაავადებული ქართველები, რომელთაც მოვლა-პატრონობა სჭირდებათ და შრომაც არ ძალუძთ. შენ უნდა წახვიდე ბერლინში, სადაც ქართველ-კავკასიელეთა ,,ფერბინდუგს შტაბი” (ე.ი. გერმანელებთან დამაკავშირებელი შტაბი) ბინადრობს და მოახსენო მათ ამ სასომიხდილი ტყვეების მდგომარეობაზე, რათა უმწეოთა დასახმარებლად რაიმე იღონონ, თანაც მომცა იმ მემამულეების მისამართები, სადაც დაჭრილი ავადმყოფები იმყოფებოდნენ. ადგილობრივმა ხელისუფლებმა და ფრაუ გერტრუდამ მომცეს გზის ფული, ძველი მეგობრის სიმპათიებით და კეთილი მგზავრობის სურვილებით გამომისტუმრეს ბერლინისაკენ, რომელიც აქედან ოციოდე კილომეტრით იყო დაშორებული (ჩრდილო-აღმოსავლეთით). გავჩერდი ერთ პატარა სასტუმროში, რომელსაც ჩემი ჩასვლის დრო და მიზანი უკვე შეტყობინებული ჰქონდა. იმ დღეს – უკეთ საღამოს – კარგად ვისადილე „კლოზუ უნდ შვაინე ბრატენ“-ით და მეორე დილით გავედი ქუჩაში სასეირნოდ ბერლინის ახლო-მახლო ადგილების დასათვალიერებლად, რადგან გერმანიის ეს დიდად განთქმული დედაქალაქი არასოდეს მენახა. გაოცებული ვიყავი, რომ დაბომბვის მიუხედავად ქალაქის მოსახლეობა დაძაბუნებული არ ყოფილა და როგორც ვნახე, გართობასაც არ იკლებდნენ. დაკვირვებებში და ოცნებებში გართული მივადექი ერთ პარკს, სადაც ხალხი დასეირნობდა, თითქოს, ომი არც ყოფილიყოს. გავიარ-გამოვიარე და დავინახე რუსული დიდი ტანკი, რომელიც მგონია გერმანელებს ტყვედ ჩაეგდოთ და ნადავლის სახით, მოსახლეობის მორალის განსამტკიცებლად ამ პარკში მოეტანათ. ჩამოვჯექი მახლობელ მერხზე, ვაშტერდები ამ უზარმაზარ რკინის სიმაგრეს და ვფიქრობ, რომ თუ ასეთი ტანკის პატრონმა ვერ შესძლო გერმანელების შეჩერება და თავისი ტანკით ტყვედ ჩავარდა, მე უიარაღოს, მშიერ-მწყურვალს, როგორ უნდა გამეჩერებინა კბილებამდე შეიარაღებული დიდი გონებისა და ტექნოლოგიის მქონე გერმანელები. აი, ამ წარმოდგენებში ვარ გართული და უეცრად, მომადგა ერთი გერმანელი ,,ბარიშნა”. მეკითხება:

- „შეიძლება ამ მერხზე დავჯდე?“
- „დიდათ მასიამოვნებთ“ – მივუგე და გავუღიმე. არც მას დაუკარგავს დრო და ღიმილი შემომაფრქვია. ვიფიქრე რომ საჭირო იყო ჩემი პოეტურ-რომანტიული საბერველის ამოქმედება (გამორჩეული მოარშიყე არასოდეს ვყოფილვარ და ამისათვის მოთმინებაც არ მყოფნიდა, მაგრამ თუ ვინმეს რომანტიკული წერილის გაგზავნა სურდა თავისი დულსინეასათვის, კალამი

მიჭრიდა და ისეთ მომხიბვლელ წერილებს ვთხზავდი, რომ მათი რომანი ხშირად ,,ხვევნა-კოცნა-მტლაშამტლუშით" და საბოლოო წარმატებით მთავრდებოდა ხოლმე, ე.ი. სიტყვა საქმედ იქცეოდა, მე კი ხახამშრალი ვრჩებოდი. იშვიათად გამიღიმებდა ხოლმე ბედი).დიდი დრო არ გასულა და ამ ბარიშნამ დამიწყო ხვევნა-კოცნა. მე კი პატარა ბავშვივით სირცხვილისაგან ვიწვი, რადგან ბაღში აუარებელი ხალხი მიდი-მოდის თუმცა საღამოა. ბინდდება, ორიოდ ბუჩქიც იპოება, არც პარკია ძალიან განათებული, პირიქით, სინათლეები მიბჟუტულია, იდუმალი ხმაც ჩამჩიფჩიფებს: აბა, ახლა დროა და ივარგე ვახტანგ. მაგრამ ხალხი რომ მიდი-მოდის? ამ გასაჭირისაგან გამოსავალზე ვფიქრობ და უცებ მომაგონდა პარკში მოტანილი რუსული ტანკი. ეს იყო მართლაც ღვთიური შვება. ვეუბნები ჩემს მოსიყვარულე ,,ფრაულაინს": „თუ გსურს შევიდეთ იმ ტანკში, და მე გასწავლი ტანკის ტარებას", რაზეც დაუყოვნებლივ დამთანხმდა. ჩავედით თუ არა ტანკში, მაშინვე დაიწყო ორომტრიალი: გაშმაგებული ხვევნა-კოცნა და შეცოდებანი. წარმოსადგენია, თუ რარიგ გაჭირვებული უნდა ვყოფილიყავით ორივენი, რომ შეუფერებელ, ვიწრო, რკინით მოპირკეთებულ სივრცეში თავი ისე გვეგრძნო, თითქოს ლუდვიგ XIV-ეს პალასში ვყოფილიყავით. ჩვენი სიყვარული თავზე კოპებით და გასისხლიანებული ყურით დამთავრდა, წავლასლასდით ოტელში. მეორე დილით მივადექი ფერბინდუნგ შტაბს, რომელიც დაკეტილი იყო. უკეთ, ღია იყო, მაგრამ გარდა ორიოდ ყმაწვილისა, რომლებსაც სოფაზე ეძინათ არავინ იყო მოსული. ისევ ქუჩაში გავედი და ბოლთის ცემა დავიწყე. ათი საათისათვის მივაკითხე და შტაბი ამჯერად მოქმედებდა. იყვნენ არა მხოლოდ სამხედრო, არამედ უფრო მეტი სამოქალაქო სამოსელში გამოწყობილნი. ზოგნი ჩემოდნებითაც კი, რაც ჩემი გონებისათვის მიუწვდომელი დარჩა. შემდეგ გავიგე, რომ იქ ყოფილან ჩემი თბილისელი ამხანაგები: გივი გაბლიანი, დათა ჩხატარაშვილი და გედე ასათიანი, რომელნიც ჩემი იქ ყოფნის დროს არც კი დამინახავს. შევედი ერთ ოთახში, გამოვეცნაურე იქ მყოფ ქართველებს და ავუხსენი ჩემი შტაბში მისვლის მიზეზი. არავის გაკვირვებია ჩემი შტაბში მისვლა და მითხრეს, რომ ჩემი „გულის დარდი" მიხეილ ალშიბაიას მოვახსენო. მივედი მის კაბინეტთან, კარზე დაუკაკუნე, შევედი, მითხრეს, გარეთ დამეცადა, რადგან მას მართლაც ყავდა სამი სამხედრო ფორმაში გამოწყობილი კაცი და ერთი მშვენიერი ოქროსთმიანი ქალბატონი. გარეთ გავედი მოსაცდელად. მის კაბინეტში ხალხი შედიოდა და გამოდიოდა, მაგრამ მე არავის გამოვუძახებივარ. დიდი (ალბათ საათნახევარი) ხნის ცდის შემდეგ ვიფიქრე, რომ მას დავავიწყდი, ისევ შევედი მიშა ალშიბაიას კაბინეტში (მიხეილ ალშიბაია, ფიზიკური ფორმის, გამომეტყველებისა და მოქმედების მხრივ არაჩვეულებრივი კაცი იყო: დაბალი, ღიპიანი, მშვენივრად ჩაცმული, ამაყი, ხელოვნური ილეთებისა და ჟესტიკულაციის პატრონი, მელოდრამატული, არ ჰქონდა სათვალეები, მაგრამ ხმარობდა მონოკლს, რომელსაც ხანდახან ცალ თვალში გაირჭობდა ხოლმე). მან იქ მყოფებთან საუბარი შეაჩერა და მომმართა კითხვით: რა გნებავთ? მე მოვუყევი ჩემი ბერლინში ჩასვლის მიზეზი და გადავეცი საბუთები, ადგილობრივი ხელისუფლების წერილები, სიები, მისამართები და მამულში მომუშავე დაჭრილ-დაავადებული ტყვეებისა. თანაც ენერგიულად დავძინე, რომ საჭიროა მათი სასწრაფო დახმარება. ეს უკმეხობა არ მოეწონა ალშიბაიას და დამიყვირა: ვინ მოგცათ უფლება აქ მოხვიდეთ და შეგვაწუხოთ საქმით, რაც ჩვენ არ გვეხება. მეც ხმამაღლა მივუგე, რომ სწორედ ეს არის თქვენი საქმე და უნდა გააკეთოთ. ალშიბაია ამას არ მოელოდა და დამიყვირა - გაეთრიეთ! წინ

წამოვიდა, ხელი კარისკენ გაიშვირა და გაიმეორა - გაეთრიეთ! მე პასუხის მაგიერ ხელის ზურგით გავუქანე და სახეში გავარტყი. მას მონოკლი ჩამოუვარდა და უსიტყვოდ ხელები სახეზე მიიფარა. იქ მყოფებმა გარეთ გამომიყვანეს და ეს ინციდენტი მიაფუჩეჩეს. ფიზიკური ძალის ხმარებას ყოველთვის ვერიდებოდი, მაგრამ ცხვირაწეულ ავტოკრატს და წვრილფეხა ფეოდალს, ჟინის მიმდევარს, ქედმაღალს, რომელსაც, საუბრიდან შევატყვე, თავისი სამშობლო და მისი შვილების დახმარება მაინც და მაინც არ აინტერესებდა, გავუსწორდი. ჩემგან, როგორც ჩანს, უფრო ფეხქვეშ გაგებას ელოდა ვიდრე ენერგიულ საუბარს. ჩემი უწესო, მაგრამ მართებული საქციელის შემდეგ, მიშა არ მინახავს და არც მისგან მსმენია რამე. მაგრამ ალშიბაიას საქციელის შესახებ ბევრი დაწერილა და ბევრი თქმულა სხვების მიერ. ჩემი საქციელი, რაგინდ დასაძრახი უნდა ყოფილიყო – უნაყოფოდ არ დარჩენილა, სამი დღის შემდეგ ფერბინდუგ შტაბმა მოავლინა კომისია, რომელიც მუშა ტყვეების დასახმარებლად იყო გამოგზავნილი. არც მე დავუტოვებივარ განუკითხავად; მოულოდნელად გამგზავნეს ობერფალცის მაზრაში, სოფელ Schwarzenfeld-ში, სადაც ბატონ ალექსანდრე ნიკურაძეს თავისი ინსტიტუტი გადმოეტანა, ბერლინის დაბომბვის შემდეგ. ამ ინსტიტუტის სახელი იყო Institute fur lonen und ELektronen Forschung. ეს ინსტიტუტი დაბინავებული იყო სოფლის განაპირას, ერთ მაღალ, კონუსის მსგავს გორაზე, სადაც კაპუცინების სექტის ბერებს საშუალო ზომის ორსართულიანი მონასტერი აეშენებინათ.

მე მიმიჩინეს ერთი ოთახი, რომელიც განმეორება იყო სხვა ოთახებისა, რადგან ისინი თავდაპირველად ბერების საკნებად იყვნენ განკუთვნილი. გამონაკლისი იყო მხოლოდ ბატონ ალექსანდრეს უფრო დიდი ზომის ბინა მეორე სართულზე, რომელიც ალბათ მონასტრის ზემდგომისათვის იყო განკუთვნილი. მეორე დიდი ოთახი იყო სასადილო, რომელიც ინსტიტუტისათვისაც იმავე ფუნქციას ასრულებდა, რასაც მონასტრისათვის. როგორც ჩანს, ბერები ამერიკელები იყვნენ და ვგონებ მონასტერიც ამერიკის კუთვნილება იყო. მონასტრის უფროსები, ზოგიერთი საჭირბოროტო საქმის მოსაგვარებლად ესტუმრებოდნენ ხოლმე ბატონ ალექსანდრეს, რომელიც მათ დიდი პატივით იღებდა და მათთან ჰარმონიულ განწყობილებაში იყო. ბერებიც პატივს არ აკლებდნენ, რაც ომის შემდეგ, როდესაც ბატონი ალექსანდრე ცოტა ხნით დააპატიმრეს – აშკარად გამომჟღავნდა. მიზეზი ჩემი ბატონ ალექსანდრესთან გამწესებისა, თუ არ ვცდები, ჩემი ჯარიდან განთავისუფლება იყო. ძველმა ემიგრანტებმა, განსაკუთრებით „თეთრი გიორგი“-ს ერთ-ერთმა მეთაურმა ბატონმა ლეო კერესელიძემ და მიშა (?) კარგად იცოდნენ ჩემი წარსული ცხოვრება და აკადემიური ღირსებები და ისიც, რომ მე თეთრი გიორგის იდეას და პროგრამას ვიზიარებდი, თუმცა მისი წევრი არასოდეს ვყოფილვარ. ჩემი ჯარიდან განთავისუფლების ოფიციალური მიზეზი კი იყო ბატონ ალექსანდრეს ბიბლიოთეკის მოწესრიგება და ბიბლიოთეკარობა. მართლაც, როდესაც წარვუდგინე ჩემი პიროვნება ბატონ ალექსანდრეს, ძალზე გულთბილად მიმიღო. მაჩვენა თავისი ბიბლიოთეკა, რომელიც ასორმოციოდე წიგნს შეიცავდა და მითხრა, რომ ამ წიგნებიდან, რომლებიც უფრო ნეოლითის და ბრინჯაოს ხანას ეხებოდნენ, ამომეკრიფა საბუთები, რომლებიც საქართველოსა და ევროპის (უკეთ, ცენტრალური ევროპის) ურთიერთობას ეხებოდა. ეს იყო ჰორნესის და მენგინის, შუხარტისა და ებერტის ნაშრომები. უფრო მეტად ებერტის ექვსტომიანი Reallexikon der Alferfum, სადაც საკმაო მასალა ვიპოვე ე. წ. „კემ კერამიკ“ და „ბანდ კერამიკის“ შესახებ. მე ბეჯითად შევუდექი ამ მასალების მოგროვებას და ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტე, ჩემს მიერ მოგროვებული

მასალა ბატონ სანდროსათვის წარმედგინა. დავნიშნეთ პაემანი და ვეახელი ამ მასალებით. გულდასმით, მოისმინა ჩემი მოხსენება და მერე ღიმილით მითხრა: „მე გითხარი ცოტა წაგემუშავებინა და არ მითხოვია თავი დააკლა ამ მასალას“. შემდეგაც ხშირად მპატიჟებდა თავისთან მეორე სართულზე. ჰქონდა ერთი გიტარა და შეეძლო რამდენიმე აკორდის ჩამოკვრა, ცოტაოდენი წაღიღინება. მეუბნებოდა - აბა ვახტანგ, ამიწყე! მეც ავყვებოდი: „ჩიტოოოო, გვრიტოოოო მარგალიტოოოო“ ან, „ტურფავ მოოოდი, ნუ ხარ მტრუუულად, შემოვძახოთ მეგობრუუულად, ცრემლი ვღვაროთ...“ „ვახტანგ დაანებე თავი იმ კამკერამიკას და ბანდკერამიკას და სიმღერაში მომეხმარე“. მოვიბოდიშე და ვუთხარი, რომ სიმღერები უაღრესად მომწონს, მაგრამ სიმღერის ნიჭი არა მაქვს. მერე ხუმრობით დავძინე: „ჩვენ რომ მუშაობის მაგიერ აქ ჩიტო გვრიტოს გავიძახით, თქვენმა უფროსმა რომ გაიგოს, დაკეტავენ თქვენს ინსტიტუტს და ჩვენც უსაქმოდ დავრჩებით?“. „ნუ გეშინია, მე უფროსი არა მყავს“ – მიპასუხებდა ხოლმე. ზოგჯერ საქართველოს ბედ-იღბალზედაც ვსაუბრობდით. მაშინ ბატონი ალექსანდრე ფიზიკის მაგიერ, ამიერკავკასიის ეკონომიკაზე მუშაობდა, ჰქონდა მართლაც უზარმაზარი გლობუსი, რომელზედაც გრძელ ელასტიურ სახაზავს დაადებდა ხოლმე, რომ ერთი ადგილიდან მეორეზე საჰაერო ხაზი გაეყვანა. საქმე ისაა, რომ გერმანელი ეკონომისტები და პოლიტიკოსები, აგრეთვე აღმოსავლეთის ეკონომიკური ინსტიტუტის დირექტორი ახმეტელი, დარწმუნებული იყვნენ, რომ მომავალ საუკუნეში, დასავლეთის ეკონომიკური გრავიტაცია შორეულ აღმოსავლეთში გადაინაცვლებდა და, საქართველოს, როგორც ავანპოსტს უაღრესად დიდი მნიშვნელობა მიენიჭებოდა, რადგან საქართველო ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე ცივილიზებული ქრისტიანული ქვეყანაა, ზამთარ-ზაფხულ ზღვის მისადგომით. ბატონმა ალექსანდრემ გამოაქვეყნა რამდენიმე პოლიტიკური ხასიათის წიგნი: Um die Gestaltung Europas, Um das Erbe Grosstriraniens, Osteuropa და Kaukasien (ამ წიგნის მეორე გამოცემა გამოვიდა 1944 წ.). ამ ნაშრომში და თავის მოღვაწეობაში საერთოდ, ბატონი ალექსანდრეს მიზანი იყო საქართველოს ხსნა ჰიტლერის რასიული თეორიიდან. ლინგვისტურად, ჩვენ, არიელებს არ ვეკუთვნით, მაგრამ ვითომ ისე სხვა მხრივ ჩვენ ევროპიელები ვართ. ამის წარმატებით განხორციელებას იგი ცდილობდა არქეოლოგიური მასალებით, სოციალური წყობით, სახელმწიფოებრივი სისტემით, ხუროთმოძღვრებისა და ლიტერატურის საშუალებით. ამისათვის მას ჰყავდა ქართველების, გერმანელების, კავკასიელების მეცნიერთა და პოლიტიკოსთა ჯგუფი. ქართველებიდან იყვნენ მარკოზ ტუღუში, მიხაკო წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი (რომელიც, სხვათა შორის, ჩვენს მონასტერში ცხოვრობდა. იგი უაღრესად განათლებული პიროვნება იყო, ფლობდა ბერძნულ-ლათინურ ენებს, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ზემო ეშელონების პოლიტიკაში იყო ჩაბმული და ,,დუმა”-ს წევრი იყო. პარიზში მან გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი წიგნი თეიმურაზ პირველსა და ქეთევან დედოფალზე, ვეფხისტყაოსანზე და 1924 წელს ,,საქართველოს დამოუკიდებლობა”. ჰქონდა წერის მშვენიერი სტილი, მეცნიერული კვლევის მეთოდი და ანალიტიკური გონება. Bizantion-ში ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი წერილი ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობის შესახებ მე-X-XI საუკუნეებში. ტყუილია, თითქოს, ზურაბ ავალიშვილი დაბომბვის შედეგად გარდაიცვალა. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მონასტერში და დაკრძალულია Schwandorf-ში ობერ-პფალფის სასაფლაოზე) და თბილისელი გერმანელი Dr. Emil Walker, ძალიან

კარგი ხასიათის გაქართველებული კაცი, რომელიც ბატონი ზურაბის გარდაცვალების შემდეგ მუცლის ღრუს რაღაც ავადმყოფობამ იმსხვერპლა. ჩრდილო კავკასიელებიდან სანდროსთან თანამშრომლობდნენ ჟურნალისტები ჯაბაგი (ყაბარდოელი), თავისი მოღუნული ჩიბუხით (რომელიც მუდამ პირში ჰქონდა გარჭობილი), ჭადრაკის ოსტატ ლასკერს ჰგავდა. ჩერქეზებიდან აიტეკ ნამიტოკი, წარმოშობით და ყოფა-ქცევით ნამდვილი არისტოკრატი, თხელი, ტანწერწეტი, კეთილად ზრდილი. ეწაფებოდა ენათმეცნიერებას, განსაკუთრებით გატაცებული იყო შედარებითი ენათმეცნიერებით (კავკასიური ენები) და თანამშრომლობდა გამოჩენილ ფრანგ ენათმეცნიერ დიუმეზილთან. სხვების მსგავსად, დროგამოშვებით ცხოვრობდა მონასტერში. აზერბაიჯანის წარმომადგენელი იყო მძიმე წონის და ყოველთვის ჩინებულად ჩაცმული რასულ ზადე. სანდროს, მრავალი გერმანელი თანამშრომელი ჰყავდა. მათი სათითაოდ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და არცაა საჭირო. ვიტყვი, მხოლოდ, რომ ჰყავდა გრაფიკაში გაწვრთნილი ჩინებული მხაზველ-მხატვრები, რომლებიც სანდროს უამრავ დიაგრამებს, რუკებს და სხვა მშვენიერ ნახაზებს უკეთებდნენ. ერთი მათგანი იყო როზმარი ბალდერმანი, მართლაც მშვენიერი ქალი, რომელიც ჩემი საყვარელი იყო. აქ საინტერესოა ითქვას, რომ გერმანელები იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი ომის მოგებასა და საქართველოში ჩასვლაში, რომ ბატონ სანდროს ერთმა მოუთმენელმა ხუროთმოძღვარმა, გერმანიის საელჩოს, სამინისტროს გეგმები და განივჭრილებიც კი გააკეთა. ეს თვითონ მაჩვენა. სანდროს ყველაზე ახლობელი თანამშრომელი თუ მდივანი და ყურმოჭრილი მონა იყო ერთი მართლაც მაზალო, სასაცილოზე სასაცილო Dr.Bayer. ფიზიკურად ისეთი მიღრანჯული, რომ მხოლოდ დედას თუ ეყვარებოდა. გაწაფულ-განსწავლული ფინია უკანა ფეხებზე რომ დგას ჩამოშვებული თათებით და თავის მწვრთნელს შეჰყურებს, ისე უყურებდა და იწერდა სანდროს დავალებებს, სმენაზე მდგარი ზევით აწეული წარბებით და მთრთოლვარე მოკუმული ტუჩებით. სანდროს დავალებებს მარდად იწერდა თავის წიგნაკში და წამდაუწუმ გაიძახოდა „ია ვოლ, ია ვოლ ჰერ პროფესორ“. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წააგავდა მექანიკურ სათამაშოს, რომელსაც დაქოქავ და განსაკუთრებულ მოძრაობებს შეასრულებინებ. ასეთი გამგონე და მოვალეობის ზუსტად აღმსრულებელი ადამიანი არასოდეს მინახავს.

სანდროსთან მოდიოდნენ აგრეთვე გერმანიის მთავრობის ზემდგომი პირები, როგორც Dr. Schimdt-ი, რომელსაც ცალ ფეხზე პროტეზი ჰქონდა და ერთ დროს Volkische Beobachter-ის რედაქტორი იყო. თვით საგარეო საქმეთა მინისტრი როზენბერგი, რომელიც სტუდენტობის დროს სანდროს მეგობარი იყო. ის იყო ბალტიური წარმოშობის გერმანელი და რასიული თეორიის მტკიცე მიმდევარი (რის გამოც გერმანელებმა ომი წააგეს. უკეთ ეს იყო ერთი მნიშვნელოვანი მიზეზთაგანი), თვითონ სანდროსაც ხშირად იძახებდნენ რაიხსტაგში, უზენაეს სახელმწიფო მოხელეებთან კონფერენციაზე.

ბატონი სანდრო, ისე როგორც მისი ძმა, გოტინგენის უნივერსიტეტის ჰიდრავლიკის მართლაც ცნობილი პროფესორი – ჩვენ დამოუკიდებლობის დროს 1921 ? წ. სხვა სამას ქართველ სტუდენტთან ერთად გამოგზავნილი იყო დასავლეთში სასწავლებლად. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დარჩა უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე ასისტენტად, მიიღო პრივატ დოცენტობა და ბოლოს პროფესორობა. ჩააბარეს იონებისა და ელექტრონების კვლევის ინსტიტუტი ბერლინში. ამ დროს ის უკვე იყო გერმანიის ქვეშევრდომი

და ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრიც (ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მეორე ქართველი წევრი იყო ახმეტელი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის ეკონომიკის ყველაზე თვალსაჩინო მცოდნე და აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი იყო). ვანო, რომელიც სანდროზე უფროსი იყო, პარტიაში არ შესულა. სანდრო იყო მომცრო ტანის, რის გამოც საუბრის დროს ფეხის წვერებზე დგებოდა ხოლმე, ცოტა არ იყოს ღიპიანი, მოშავო კანი ჰქონდა და უკან გადავარცხნილი ოდნავ შეთეთრებული ხშირი თმა. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა და მეტყველებას სმენას ამჯობინებდა, ხოლო როდესაც ლაპარაკობდა, უაღრესად სერიოზულ გამომეტყველებას იღებდა და ყოველთვის ცდილობდა გასაგები სიტყვები გამოენახა და ნათქვამი მკვეთრ ფოკუსში მოექცია, რომ მოსაუბრე ნათქვამში დაეჯერებინა. მას ცოლ-შვილი არ ებადა, მაგრამ სამტრედიის მახლობელ სოფელში, საიდანაც იყო წარმოშობით, მრავალი ნათესავი ჰყოლია (სოფლის სახელი დამავიწყდა). ჰყავდა ერთი ნორმალური სიმაღლის, მაგრამ გამხდარი მდივანი, რომელიც ბერლინში ინსტიტუტის დაბომბვისა და შვარცენფელდში გადასვლის შემდეგ, თან წამოიყვანა. თუმცა მდივნის თანამდებობას სხვები ასრულებდნენ. ოფიციალური მდივანი - ფრაულაინ ზიგელი კი მეორე სართულზე, თავის ბინაში ხასად ჰყავდა. ჭორებისა და ხუმრობის მოყვარული ფრაულაინ ზიგელი, ყოველ დილას ჩამოვიდოდა ხოლმე და ყველას სიცილ-ხარხარით გვიყვებოდა სანდროსთან ლოგინში განცდილ ღამის ეპიზოდებს. როგორცა ჩანს, ამ მხრივ, სანდრო მართლაც გაუმაძღარი ყოფილა, რასაც ფრაულაინ ზიგელის ჩავარდნილი, ჩაშავებული თვალები და დაღლილი გამომეტყველებაც ადასტურებდა. ამ ინტიმური თავგადასავლების ბერლინური კილოკავით მოყოლა, არავის ეჩოთირებოდა და ყველას ამხიარულებდა. მიუხედავად თანამეცხედრეობისა, ფრაულაინ ზიგელი სანდროს ყოველთვის იხსენიებდა, როგორც Herr Professor-ს, რაც გერმანელთა ზნე-ჩვეულებისათვის დამახასიათებელია.

ჩემს გვერდით ოთახში ცხოვრობდა იოზეფ ვიტი, გერმანიაში სელის ნაწარმის მაგნატის შვილი. იოზეფი ომში სამსახურს გაურბოდა და თავი შეაფარა სანდროს, როგორც ეკონომიკის ექსპერტმა. თუმცა, არაფერს აკეთებდა გარდა საუკეთესო ღვინის სმისა და ბარიშნებთან არშიყობისა. ზორბა, საუკეთესოდ ჩაცმული, დაბანილ-დავარცხნილი, ზრდილი და უაღრესად დაბალი ხმით მოუბარი 30 წლის მამაკაცი იყო. რადგან ნიკურაძე პოლიტიკურ ვითარებაში ღრმად იყო ჩახედული და მასში ხელიც ერია, იოზეფის მამასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა და მისი ეკონომიკის თუ პოლიტიკის მრჩეველი იყო. ვიტის ოჯახთან ნიკურაძის ახლო ურთიერთობა რომ ცხადი იყოს, საჭიროა ითქვას, რომ ნიკურაძის მეგობარი გოგი მაღალაშვილი ვიტის სიძე იყო და მიუნხენის მახლობლად, თავის დიდ მამულში ცხოვრობდა... სხვათა შორის დამავიწყდა მეთქვა, რომ ნიკურაძე გერმანელების სამსახურში იყო და არავითარი ურთიერთობა ფერბინდუნგ შტაბთან არ ჰქონია, თუმცა, შეიძლება არაოფიციალურად ფერბინდუნგ შტაბის მოღვაწეებს რჩევასაც აძლევდა. ისევ იოზეფ ვიტს რომ დავუბრუნდეთ, ის მეპატიჟებოდა ხოლმე თავის მშვენივრად მოწყობილ ოთახში ღვინის სასმელადაც და საარშიყოდაც, რადგან მას ბევრი ბარიშნა – მატრონები ეხვია თავს. ისიც უნდა ითქვას, რომ იოზეფი ჰიტლერს მტრობდა და ხშირად მეუბნებოდა, რომ გერმანია ომს წააგებს. მონასტერში წელიწადნახევარი მაინც დავრჩი. უსაქმობის გამო ვკითხულობდი გერმანულ

წიგნებს. ცოდნა გავიღრმავე, მითუმეტეს საზრუნავი არაფერი მქონდა. საუზმეს და სამხარსაც ჩვენ სასადილოში გეახლებოდით, ხოლო ვახშმისათვის ქვევით სოფელში ჩავდიოდით, სადაც ერთ მემამულეს პატარა სასტუმრო და სასადილოც ჰქონდა. ამ სასტუმროში ბევრჯერ არ მივახშმია, რადგან ერთ დღეს, როდესაც შევედი, მარჯვენა ხელი წინ არ წამიწევია ფიურერის მისასალმებლად: ჰაილ ჰიტლერ. ოტელის პატრონმა ამის გამო ლექცია წამიკითხა და მითხრა, რომ გარეთ გავსულიყავი და ისევ შემოვსულიყავი მისალმებით. გავჯიუტდი: გარეთ კი გავედი, მაგრამ შიგ აღარ შევსულვარ. ამგვარი მისალმება სოფლის პატარა სასადილოში საჭირო არ იყო, მაგრამ ის უხიაკი ბებერი ფეოდალი, რატომღაც მე ჩამაცივდა. მადლობა ღმერთს, იქ სხვა სასადილოც იყო და როზმარიც არ ყოფილა დასაძრახი მზარეული. სხვათა შორის სანდროსთან თანამშრომლობდა ერთი დაშინებული და ქედმოხრილი უკრაინელი მოხუცებული, რომელიც უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი იყო. მისი გვარი არ მაგონდება, მაგრამ იგი მართლაც უნიკუმი იყო, ჯანმრთელი, მაგრამ მეტისმეტად მოკლე ნაბიჯებით მავალი და რაც მთავარია, აუტანლად ყარდა. ტანს არ იბანდა, სამოსელს არ იცვლიდა, არც რეცხავდა და ჭამის დროს ხელებს ზედ იწმენდდა. მისი პიჯაკი ქონით იყო გაპრიალებული, თანაც შარდს ვერ იჭერდა და ის არემარე შარდის გამო გაყვითლებულ-გახამებული ჰქონდა. ეს უგემური მაგალითი იმიტომ მოვიტანე, რომ სანდროს მისი ცოდნა სჭირდებოდა, მაგრამ მის სიმყრალეს ვეღარ გაუძლო. „რა ვუყოთ ამ სტარიკს?“ მითხრა და ერთ მშვენიერ დღეს, მისავით ამყრალებულ გლეხთან უშოვა ოთახი. ამის შემდეგ მონასტერში იშვიათად მოდიოდა.

აქ უნდა ჩავრთო ერთი ეპიზოდი, რაც მნიშვნელობას მოკლებული არ არის. ბატონმა სანდრომ მითხრა – კარგი იქნება ბერლინში წახვიდეო, იქ ჩვენი დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ხალხი იყრის თავს და საინტერესო პიროვნებებსაც გაიცნობო, თან, მგონი შენთან ლაპარაკიც სურთო. წავედი და იმ საღამოს გავიცანი რამდენიმე საინტერესო პიროვნება, მათ შორის მიხეილ წერეთელი, ბალარჯიშვილი, ვიქტორ ნოზაძე, გიორგი კერესელიძე, რომელიც თავისი გამოწკეპილი სამოსით, გაპუდრულ-მოპირკეთებული სახით, თეთრი ღორის ტყავის ხელთათმანებით და ვერცხლისთავიანი ტროსტით ყველას თვალში ხვდებოდა. ვნახე აგრეთვე მისი ძმა ლეო კერესელიძე, საქმიანი და სერიოზული, სასიამოვნო ქართველი, ცხომელიძე – მომცრო ტანის გერმანიის ქვეშევრდომი, ბატონ სანდრო ნიკურაძის თანამოაზრე და განათლებით მისებრ ფიზიკოსი, სასიამოვნო და საქმიანი. სხვათა შორის, იქ გაირჩა ერთი საკითხი, რომელიც თეთრი გიორგის პარტიის მიერ იყო დაგეგმილი. მათ სურდათ გერმანელების დახმარებით ივირონის მონასტერს დასცემოდნენ და მისი ხელნაწერები გაეტაცებინათ, რომ ომის შემდეგ სამშობლოში დაებრუნებინათ.

ახალი თაობიდან მხოლოდ მე ვიყავი. მკითხეს აზრი, რაზედაც უარყოფითად ვუპასუხე, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ არეულობის, ომიანობისა და ხშირი დაბომბვის პირობებში, ჩვენ, ხელნაწერები დახსნის მაგიერ შეიძლება სულ გაგვენადგურებინა. ბოლოს და ბოლოს ეს გეგმა თანდათან ჩაიფუშა... კონფერენციის დამთავრების შემდეგ დასაძინებლად წავედი ჩემს ოთახში; ავანთე მბჟუტავი ლამფა (დაბომბვისაგან თავის დასაზღვევად), დავიბანე, ჩავწექი ერთ ლოგინში და ვფიქრობდი, რომ მეორე თავისუფალ ლოგინში სხვა ვინმე ჩაწვებოდა თუ არა. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ, შემოვიდა ერთი კაცი, რომელიც მბჟუტავი სინათლის გამო ვერ ვიცანი და ვერც მან დაინახა, რომ ერთი ლოგინი ჩემს მიერ იყო დაკავებული. დაიბანა ხელ-პირი, მოიძრო ხელოვნური

თმა, დაიწყო სამოსელის გახდა ჩემ საწოლთან, მაგრამ შეიტყო რომ ეს საწოლი დაკავებული იყო. შემკრთალმა მაღალი ხმით მკითხა - ვინ ხართ თქვენ? რას აკეთებთ აქ? მე გამოვეცნაურე და ვუთხარი, რომ ძილს ვაპირებ, ეს არის ჩემი ოთახი. დაიწყო ხმამაღლა ლაპარაკი. ვინ შემოგიშვათ აქ? ამ საუბრის (თუ შეიძლება მას საუბარი ეწოდოს) დროს ვიცანი, რომ ეს იყო გრიგოლ რობაქიძე, რომელიც ქვევით ოტელის ოფისს ურეკავდა, რომ მის ოთახში ვიღაც უცნობი შემოიპარა. ვეუბნები: „ ნუ ღელავთ ბატონო მე აქედან გავალ და ბრძანდებოდეთ მარტო, მაგრამ მე შემოპარული არა ვარ“. ამასობაში ოტელის გამგებელი შემოვიდა და ბატონ გრიგოლს აუხსნა, რომ ნაწილი ოტელისა დანგრეულია და ოთახების სიმცირის გამო, თითო ოთახში ორი ან სამი კაცი უნდა ბინადრობდეს. მან მაინც არ ისურვა ამ ოთახში დარჩენა და მანამ მე გავიდოდი თვითონ გამასწრო. შემდეგშიც ორიოდეჯერ შევხვდი ბატონ გრიგოლს, მაგრამ ამ შეხვედრებს არავითარი საუბარი არ მოჰყოლია. ძნელია ქართველების მიერ გაღმერთებული პიროვნების შესახებ სინამდვილის თქმა, მაგრამ მან ჩემზე უაღრესად ქედმაღალი და ხელოვნური, ანუ მელოდრამატული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. რაც შეეხება მის ლიტერატურულ მოღვაწეობას და მის კუთრ წონას ამ დარგში, ეს მეცნიერებმა განსაჯონ, მაგრამ ვიტყვი ერთს: 1996 წელს ჩემი თბილისში ყოფნის დროს, ჩემს ძვირფას და დიდ მეცნიერ ელო მეტრეველს ვეკამათებოდი დოსტოევსკისა და ლევ ტოლსტოის შემოქმედების შესახებ. მათი ნაწერები ნახევარი საუკუნის წინათ მქონდა წაკითხული და დავიწყებული, მაგრამ ზოგადად ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ დოსტოევსკი არ იყო სისტემატური ფილოსოფიის მიმდევარი, არამედ მისტიკოსი და მისი „ფილოსოფია“ რუსი მუჟიკის ცრუმორწმუნეობაზე იყო აგებული, რაშიც ელო არ მეთანხმებოდა და არც მე მებადა კონკრეტული მაგალითები მის დასარწმუნებლად. ამერიკაში რომ დავბრუნდი, ჩემი მეხსიერების გასაღვივებლად დავიწყე ტოლსტოის შრომების კითხვა და როდესაც მისი ჰაჯი მურატი გადავიკითხე, გაოცებული დავრჩი ამ ნაშრომის სიახლოვით რობაქიძის Kaukasische Novellen-თან.

გერმანიაში ხუმრობით ამბობდნენ ხოლმე, „თუ ნებისმიერ ქალაქში ათი ქართველი შეგროვდება, თხუთმეტ პარტიას დააარსებენო.“ ისე, ეს გადაჭარბებული დახასიათება სიმართლესთან ახლოსაა. ომის დროს და ომის შემდეგაც, ევროპის დიდ ქალაქებში მცხოვრები თითქმის ყველა ჩვენი თანამემამულე პარტიულ პოლიტიკურ საქმიანობაში იყო აქტიურად ჩაბმული. ბეჭდავდნენ მრავალ ჟურნალ–გაზეთს, წიგნებს და გაცხარებული კამათიც არ იყო გამონაკლისი. ზოგ მათგანს პოლიტიკური დოქტრინებისა ბევრი არაფერი ესმოდა და უფრო კამათის მოყვარულნი იყვნენ, თითქოს ფუყე პაექრობა მათ ღირსებას აუმჯობესებდა, მაგრამ იყვნენ აგრეთვე სერიოზული, მცოდნე მძიმე წონის პოლიტიკური პიროვნებები, ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნებები და პარიზში თავმოყრილი ჟორდანიას მთავრობის წევრები, რომლებიც ევროპის საქვეყნო საქმეებში მონაწილეობდნენ და კარგი რეპუტაციითაც სარგებლობდნენ.

მაშინ, როდესაც რუსეთთან ძალმომრეობით იყო შეერთებული, საქართველოს თავისი მეობა არ გააჩნდა და თუ შეიძლება ითქვას, იურიდიულად და პოლიტიკურად არ არსებობდა, ემიგრანტები, თავისუფალი საქართველოს სახელით ხმამაღლა მეტყველებდნენ. მის ღირსებებს ხმამაღლა ავრცელებდნენ, მისი დამოუკიდებლობისა და ევროპის წიაღში მოქცევისათვის წარმატებით, დაუღალავად იბრძოდნენ და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებით ნანატრ შედეგს მიაღწიეს. ახლა კი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობაში

მოკალათებული ოპორტუნისტები და ქურდბაცაცები, რიმელთაც სამშობლოს რუსეთიდან მოცილებაში და მის დამოუკიდებლობაში არავითარი წვლილი არ გაუღიათ, ძველი თაობის მოღვაწეებს, მათ ღვაწლს არც კი იხსენიებენ, პარპაშობენ, სამშობლოს ძარცვავენ, ხოლო ერი კი შიმშილით სულს ღაფავს. ამით, არა თუ ძველი ემიგრანტების მიერ შექმნილი რაინდული ცივილიზებული საქართველოს სახელს ბღალავენ, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობასაც ძირს უთხრიან. ვერ შექმნეს ვერც ძლიერი სამხედრო ძალა და ვერც ძლიერი ეკონომიკა, ურომლისოდაც დამოუკიდებლობა ფიქტიურია.

დასასრულის დასაწყისი

1944 წლის ბოლო თვეებში, ყველასათვის აშკარა გახდა, რომ გერმანია ომს აგებდა. სახელმწიფო უწყებები, ტრანსპორტი და სხვადასხვა დაწესებულებები უსისტემოდ ან საერთოდ აღარ მუშაობდნენ. შეუცნობელი წარღვნის მოლოდინში, ხალხს საგრძნობი შიში დაეტყო. მუნიციპალიტეტის თუ კერძო წარმოების, თუნდაც კოლექტიური ან ადამიანების დაჯგუფებების საქმიანობა სავსებით შეწყდა. კოლექტიური შეცვალა ინდივიდუალურმა. ყოველი მოქალაქე თავისებურად ცდილობდა მოსალოდნელი კატასტროფისაგან თავის დახსნას. დიდ ხანს არ გაუვლია და გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა, რითაც მთელ ერს დამბლა დაეცა. სამხრეთ გერმანიის დიდ ქალაქებში ამერიკელების სატანკო დანაყოფები შემოვიდენ. ყოფილმა აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის ტყვეებმა, რომლებიც გერმანიის ქალაქებსა და სოფლის მეურნეობებში მუშაობდნენ, დაიწყეს მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა და ყაჩაღობა. გამკითხველი არ იყო. ერთადერთი ღირსება ძალმომრეობაში გამოიხატებოდა. ბატონ სანდროს თავბრუ არ დახვევია, მან მშვენივრად შეინარჩუნა თავისი ღირსება. ერთ დღეს, ბერლინიდან ჩამოვიდა ავტომობილების ქარავანი, რომლებშიც ისხდენ ფერბიდუნგშტაბისა და სხვა უწყებების პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებსაც შვეიცარიაში გადასვლა სურდათ. ბატონ სანდროსაც შესთავაზეს მათ შეერთებოდა, რაზეც სანდრომ უარი განუცხადა და თავის ადგილზე დარჩა. მე, მათ, პირადად არ გამოვლაპარაკებივარ და ახლა არც მათი სახეები მახსოვს, მით უფრო, რომ მათ შორის ნაცნობი არ ერია გარდა კალისტრატე სალიასი და ამაშიც არ ვარ სავსებით დარწმუნებული. სანდროსთან შეხვედრის შემდეგ შვეიცარიისკენ დაიძრენ, ხოლო მიაღწიეს თუ არა მიზანს არ ვიცი. სანდრო შიშობდა, რომ მას ამერიკელები დააპატიმრებდნენ და საამისოდ მომზადებულიც იყო. მან, რომ შემენახა, გადმომცა საბუთების დიდი დასტა და უზენაესი უწყებებიდან გამოგზავნილი ოქროს ასოებით ნაწერი მოვარაყებული წერილები. ამასობაში ამერიკელები თვით შვარცენფელდშიც მოდიოდენ. ეს არაფერი, მათ ნება მისცეს რუსის მხედრობას, რომ ამერიკულ ზონაში ემოქმედათ და საბჭოთა მოქალაქეების ე.წ. რეპატრიაცია ეწარმოებინათ. რუსები სოფლებში და ქალაქებში სახლიდან სახლში დადიოდენ და წივილ-კივილით მიათრევდნენ საბჭოთა მოქალაქეებს. სტალინის ბრძანებების მიხედვით, ტყვეებს სიკვდილით დასჯა მოელოდა და მხსნელი კი არ ჩანდა. ამერიკელებს ვერ გაეგოთ, რატომ არ სურდათ რუსებს ან მისი რესპუბლიკების მოქალაქეებს უკან დაბრუნება. გაიძახოდენ: აი, ნახეთ რა სიხარულით ბრუნდებიან ფრანგი, ინგლისელი და სხვა ევროპელი ტყვეებიო. ამიტომაც რუსებს მათი მოქალაქეების რეპატრიაციაში ეხმარებოდნენ კიდეც. ასეთი გულუბრყვილონი იყვნენ არა მხოლოდ ამერიკელი მხედრები, არამედ თვით ამერიკის სანაქებო პრეზიდენტი რუზველტი. აუტანელი მდგომარეობა

შეიქმნა და მეც დიდმა შიშმა შემიპყრო. ზოგი ტყვე, რომელმაც თავისი ნებით გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება და რუს სამხედროებთან მივიდა, რათა მათი უკან დაბრუნება უზრუნველეყოთ, გზიდან დაბრუნდნენ. ამბობდნენ, რომ საბარგო მატარებლით წაგვიყვანეს, მატარებელი ტყესთან გააჩერეს, გადმოგვსხეს და ტყვიამფრქვევები დაგვიშინესო. ზოგმა ბინდის გამო თავის დახსნა შესძლო და აქა-იქ იმალებოდენ. ეს იყო ამაზრზენი ცნობა. ამიტომ, მე და როზმარიმ გადავწყვიტეთ ტყეში დამალვა. მთელ დღეებს და ზოგჯერ ღამეებსაც ტყეში ვატარებდი. გარეული ხილით და უმეტესად გემრიელი სოკოებით (პფეფე-ერლინგე) ვიკვებებოდით. ცუდი ამინდის დროს, მახლობელ ნაცნობ გლეხთან მივდიოდით, რომელიც რძეს, პურს და შებოლილი ხორცის დიდ ნაჭერს გვა-ძლევდა და ბოსლის სხვენზე თივაში გვაძინებდა. ამ მდგომარეობაში მყოფმა ვეღარ შევძელი ბატონ სანდროს და ჩემი საბუთების რუკზაკებით და ჩანთებით თრევა. თანაც მეშინოდა, რომ თუ დამიჭირეს და ეს საბუთები აღმომიჩინეს საქმე უთუოდ ცუდად წამივიდოდა, რის გამოც ეს დოკუმენტები ჩვენი მფარველი გლეხის ეზოში დავმარხე.

ძალიან გული მტკიოდა, რომ ჩემს გამო როზმარიც იზიარებდა ასეთ ძნელ და სახიფათო ცხოვრებას, მაგრამ განშორება არ უნდოდა. სიცივეში ტყეში ცხოვრება იდეალური, მაგრამ ძნელი ასატანი იყო, რის გამოც თავი შევაფარეთ როზმარის დედ-მამას, რომელნიც თვითონ აფარებდნენ თავს ერთ კეთილშობილ მემამულეს რეგენსბურგის მახლობლად. ეს საბრალო დედაბერი, რომელსაც ქმარი არ ჰყავდა და ორი ვაჟიშვილი ომში დაეღუპა, ცხოვრობდა უზარმაზარ, სამ თუ ოთხსართულიან XV თუ XVI საუკუნის კასტელში თუ ციხე-სიმაგრეში, ძველი ავეჯით, ღირსეული სურათებითა და სკულპტურებით დამშვენებულ დარბაზებში. მას შევეკედლეთ არა მხოლოდ მე და როზმარი, არამედ უფრო ადრე როზმარის მშობლები და და, თავისი სავსებით მოტეხილი ქმრით. ამის მიუხედავად, ეს ბებერი ქალბატონი, რომელსაც თხუთმეტ-ოცამდე მოჯამაგირე და მოსამსახურე ჰყავდა, საჭმელ-სასმელსა და ყურადღებასაც არ გვაკლებდა. თვითონაც გამუდმებით შრომობდა, ჩვენ კი არ გვამუშავებდა. ჩემთვის ამ მდგო-მარეობაში პასიურად ცხოვრება და მათხოვრობა აუტანელი გახდა, რის გამოც როზმარი თავის მშობლებთან დავტოვე და მივაშურე სტუდენტების ქალაქ ერლანგენს, სადაც კარლ ბუდდა შედარებითი ენათმეცნიერების პროფესორი იყო. მე მას კარგად ვიცნობდი, რადგან ქართულის სწავლას ეტანებოდა, ქართველური და ბასკური ენების ნათესაობის შესწავლა სურდა და ბატონ სა-ნდროსთან მოდიოდა ხოლმე.

მარად მოსაგონარმა მამაჩემმა, ოთხკუთხედი საათი მაჩუქა დიდი ხნის წინათ. ომიანობის დროს ერთ ოჯახს მივაბარე. ვიფიქრე ამ აურზაურში უბე-დურებაში ვაი თუ დამეკარგოს მეთქი. ერთ დღეს მივაკითხე ოჯახს, რომ დაებრუნებინათ საათი (რომელიც სხვათა შორის გაფუჭებული იყო და არ მუშაობდა), სახლის მაგიერ ნანგრევები დამხვდა, ახლო-მახლო კაცის ჭაჭანებაც არ იყო. ბომბებს დაენგრია სახლი. მოვიხმე ნაცნობები და დავიწყე თხრა, რომ ჩემი საათი მეპოვნა სადმე. მოვიდა პოლიცია და მეუბნება – რატომ თხრით ბატონო, ეს ხომ თქვენი ნანგრევები არ არის? მე ვუთხარი – ნანგრევები არ არის ჩემი, მაგრამ ნანგრევებში ჩემი საათია უთუოდ და იმას ვეძებ მეთქი. არ დაიჯერეს: გაფუჭებული და ალბათ დამწვარი საათისთვის ამდენ ჯაფას როგორ სწევთო. ავუხსენი – ეს არის მამაჩემის ნაჩუქარი და ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს-მეთქი. არ დამიჯერეს, მიმატოვეს იმ რწმენით, რომ მე უთუოდ ვეძებდი საუნჯეს თუ ოქრო-ვერცხლს, ვერ მიხვდენ რა მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის მამის ნაჩუქარი საათი.

ნაწილი მეოთხე

ევროპა

სტუდენტობა ერლანგენში

დიდი ცრემლთა დენით გამოვეთხოვე ჩემს როზმარის, მის მშობლებს და ჩემს მოწყალე მოხუცს, რომლის სახელი და გვარი აღარ მახსოვს და საბარგო ავტომობილებით გამოვწიე ერლანგენისკენ. ერლანგენში თავი შევაფარე თეატინების ეკლესიას. მივაკვლიე კარლ ბუდდას, რომელმაც გამაცნო უნივერსიტეტი, წარმადგინა ხელოვნების ისტორიის პროფესორ კომშტეტთან, რომელიც სხვათა შორის ვოლფლინის მოწაფე იყო, კლასიკური ბერძნული არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის პროფესორ გეორგ ლიპპოლდთან, მის ასისტენტ გრუნჰაგენთან, რომელიც შემდეგ გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის ცენტრალურ სამმართველოს დირექტორი გახდა და სხვა მნიშვნელოვან აკადემიურ პირებთან. რადგან არავითარი საბუთი ჩემი განათლებისა არ მებადა, ჩავაბარე უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები და მარტში თუ აპრილში ჩავირიცხე როგორც ხელოვნების ისტორიისა და არქეოლოგიის სტუდენტი. უნივერსიტეტის რექტორმა ბაუმგარტნერმა, რომელიც სემიტური ისტორიის პროფესორი იყო, მიშოვა ოთახი. დავიწყე მუშაობა (ამაზე შემდეგ). ბუდდასთან ვუკრავდი დუეტებს და ვასწავლიდი ქართულ ენას. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა ბუდდას ცოლის გამო, ფიზიკურად ულამაზო, მარად უკმაყოფილო გამომეტყველებით, ხოლო პოლიტიკური რწმენით სუპერ ფაშისტი. მას არ მოსწონდა არც ჩვენი მუსიკოსობა, არც ქართულის სწავლება. არა მხოლოდ ამის გამო, არამედ ჩემთვის უცნობი სხვა მიზეზების თუ უმიზეზობის გამო, ეს ქალბატონი თავის მშვიდ ქმართან განუწყვეტლივ ბრძოლაში იყო გართული. ეგებ ამიტომაც, ბუდდა გადასახლდა თვით უნივერსიტეტის შენობაში, სადაც მას სამი ოთახი ჰქონდა: ერთი - საკუთარი კაბინეტი, მეორე – თავისი დიდი ბიბლიოთეკისა და სემინარებისათვის, მესამე მოსასვენებლად. მას ჰყავდა ჩეხოსლოვაკიიდან გამოქცეული ერთი მუდმივ მომღიმარი ასისტენტი გოგონა, რომელიც ლინგვისტიკას ეტანებოდა და ცნობილი იყო როგორც ექვსთითა, რადგან ხელზე ექვსი თითი ჰქონდა, რაც მე თვითონ მინახავს. ცოლისაგან მობეზრებული პროფ. ბუდდა, ამ გოგონასთან თურმე წლების განმავლობაში ახლო კავშირში იყო, რამაც ისეთი უსიამოვნება გამოიწვია, რომ ბუდდა ნაადრევ პენსიაში გავიდა. ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არა მაქვს, რადგან ეს მოხდა ორმოცდაათიან წლებში, როდესაც სადოქტორო შრომა უკვე დაცული მქონდა და ესპანეთში ვცხოვრობდი. უნივერსიტეტში სწავლის დროს გამოაშკარავდა ჩემი უცოდინარობა; მიუხედავად იმისა, რომ თბილისში უნივერსიტეტი მქონდა დამთავრებული და მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტიც ვიყავი, გერმანიაში პირველი კურსის სტუდენტის მოთხოვნილებებიც კი გადაულახავ სიძნელეებს მიქმნიდა. საქმე ის არის, რომ დარგები რაც საქართველოსაც შეეხებოდა (ისტორია, ლიტერატურა...) გერმანიის უნივერსიტეტების პროგრამებში არ შედიოდა, ხოლო რასაც გერმანიის უნივერსიტეტები გვთავაზობდა, საქართველოში არ გვისწავლია (მაგ. რელიგიის ისტორია, იკონოგრაფია, მითოლოგია...). გერმანელებს, ყველაფერი

ეს სკოლაში ჰქონდათ ნასწავლი. ხსნა შეიძლებოდა მხოლოდ ცოდნის სათანადო შევსებით, რასაც ჩემი ლექციების მომზადების თანადროულად ვაკეთებდი, ეს კი მოითხოვდა დღე და ღამე შრომას, რაც ადვილი ასატანი არ იყო სიცივის, შიმშილის ან გერმანული ენის უცოდინრობის გამო. თუმცა გერმანულად თავისუფლად ვლაპარაკობდი, ეს იყო ყოველდღიური უბრალო მეტყველება, მე კი მჭირდებოდა დახვეწილი აკადემიური ენა და მართლწერა. ყველაფერი ეს დიდი ვაივაგლახით დავძლიე. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ერთ შემთხვევაში, ხუთი დღე და ხუთი ღამე ვეჭიდებოდი გერმანულ მეცნიერებას სავსებით უჭმელი, ჩემი საზრდო იყო მხოლოდ უშაქრო ჩაი. უჭმელობა რა თქმა უნდა ძნელია, მაგრამ ასატანი იყო. მაგრამ სამი დღის შემდეგ დამეწყო თავის ტკივილი, რამაც სავსებით გამაბრუა. ერთი წლის შემდეგ ჩავაბარე სიბეჯითის გამოცდებიც (Fleisbrüfung) და დავიმსახურე სტიპენდია, რაც მცირე იყო, მაგრამ თქმულა - ნაჩუქარ ცხენს კბილები არ გაესინჯებაო. თანაც გერმანიის სხვა უნივერსიტეტების მსგავსად, ფაკულტეტი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან სესხულობს საჭირო წიგნებს, რითაც ქმნის თავის ბიბლიოთეკას. წიგნები უმთავრესად სემინარის დიდ ოთახშია დალაგებული თაროებზე. მთავარი დარგის მიმდევარ სტუდენტს, მისთვის საჭირო წიგნები სემინარის დიდ მაგიდაზე აქვს დალაგებული და ჩაბარებული აქვს სემინარის გასაღები, რათა, როცა კი მოისურვებს შეძლოს შიგ შესვლა და მუშაობა. პროფესორს ჰყავს ერთიდან სამ ასისტენტამდე და ერთი ფოტოგრაფი, რომელიც პროფესორს ყოველი ლექციისათვის უმზადებს მისთვის საჭირო დიაპოზიტივებს ანუ სლაიდებს. ასისტენტები უზიდავენ საჭირო ლიტერატურას და ინფორმაციას, პროფესორი ამზადებს ლექციას და კითხულობს კათედრიდან. ასეთი ლექციის ხარისხი უაღრესად მაღალია და ჩვენი წინაპრების ენით რომ ვთქვათ, სტუდენტები პროფესორის ლექციას იწერენ გულზე არა მელნით, არამედ სისხლით.

ამიტომ გული მწყდება ჩემს წარსულ სტუდენტობაზე თბილისში. როდესაც გავეცანი ჩემი ძველი, ღვაწლმოსილი კოლეგის ნაპო ზაქარიას სემინარს, კინაღამ ვიტირე; არც წიგნები, არც სლაიდები, არც ფოტოსურათები, არამედ პატარა ოთახის გაბინძურებული კედლები და დიდი დატვირთვა, რაც პროფესორებს თავისი ლექციების ღირსეულად მომზადების ან თავისი ცოდნის ახალი მასალით გაღრმავების საშუალებას არ აძლევს. ეს არის ჩვენი სამშობლოს სიდუხჭირეში ყოფნის შედეგი. სტუდენტებიც, უმიზნოდ მზესუმზირას აკნატუნებენ, უწიგნოდ, უფანქროდ, ურვეულოდ მიიზლაზნებიან და გამუდმებით ჭორიკნობენ ან ლაქლაქებენ. საქართველოში ხელოვნების ისტორიის შესწავლის საქმე ყირაზეა დაყენებული. თბილისის სამხატვრო აკადემიაში, მართლაც თავზესაყრელია ხელოვნების ისტორიის „სპეცები“, მრავალნაირნაირ ლექციებს კითხულობენ და ხელოვნების ისტორიის დოქტორებსაც კი ამზადებენ. უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც ხელოვნების ისტორიაში ახალი კადრი უნდა მზადდებოდეს, ერთი თუ ორი მძიმე წონის სწავლულია. თანაც, ლექციების სიმრავლის გამო, სამხატვრო აკადემიაში ცოდნის შეძენის მეტს არაფერს არ აკეთებენ, უნივერსიტეტში კი მხოლოდ ცოდნის მიცემის. ასეთი მომავალი ვერ იხსნის სამშობლოს. როგორც ხშირად მითქვამს, ახლაც ღრმად მწამს, საქართველოს გამოჯანსაღებისა და მისი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ერთ-ერთი მთავარი წამალია ზოგიერთი გერმანული ზნე-ჩვეულების ათვისება და თავის ყოფაში მტკიცედ ჩაქსოვა, როგორიცაა შრომისმოყვარეობა, წესრიგი, პასუხისმგებლობის გრძნობა,

სიზუსტე... არ უნდა გვეშინოდეს ამ ღირსებების ჩვენს ყმაწვილებში ჩანერგვის, არ უნდა გვეგონოს რომ გადავგვარდებით და არ უნდა ვთქვათ „მაშინ ხომ ქართველები აღარ ვიქნებით“, როგორც ერთმა პატივცემულმა ქართველმა მომიგო ლოს-ანჯელესში. გარწმუნებთ, უკეთესი ქართველები ვიქნებით. XIII საუკუნიდან მოყოლებული, სპარსულ-არაბულ უზნეობებს ღრუბელის მსგავსად ვიწოვდით და ჰეგელის, გოეთეს, ბეთჰოვენის ღირსებებით რატომ არ უნდა გვსურდეს ჩვენი, თითქმის ჩასაძირად განწირული ნავის შეკეთება? გერმანელები ვაჟკაცები არიან, ჩვენც მრავალმხრივ გვეგუებიან ისტორიულადაც პატივს გვცემენ და მიუხედავად დამანგრეველი სულელური მოქმედებებისა, მაინც მხარში გვიდგანან. გლახა ჭრიაშვილის მსგავსად გამიგრძელდა სათქმელი, მაგრამ ზემოთ ნათქვამის განმეორებით არ უნდა დავიღალოთ.

დავუბრუნდეთ ჩემს სტუდენტურ ცხოვრებას ერლანგენში. ბინა: ერლანგენში ჩამოსვლისთანავე შევძელი ადგილობრივ ეკლესიას შევკედლებოდი; იქ, სხვებთან ერთად, ერთ დარბაზში შემეძლო არა მხოლოდ ძილი, არამედ მჭლე საზრდოს – უმეტესად, წვენის მიღება. იქ გავიცანი სხვათა შორის, ჩემი კარგი მეგობარი Storch-ი, რაც წეროს თუ ყანჩას ნიშნავს. წარმოშობით სილეზიელი გერმანელი იყო, რომელსაც მეორე მსოფლიო ომში ლეიტენანტის ხარისხი ჰქონდა, რამდენჯერმე დაიჭრა და რადგან სამხედრო უწყებას ერლანგენში ჰოსპიტალი არ გააჩნდა, შტორხს კი სწავლის გაგრძელება ერლანგენის უნივერსიტეტში სურდა, მანაც ამ ეკლესიას შეაფარა თავი და შემდეგ ჩემთან ერთად სწავლობდა. ეკლესიის კაცთმოყვარეობა გაგვიტკბა, მაგრამ მისი დრო განსაზღვრული იყო; ერთი ორჯერ ვადის გაგრძელების შემდეგ, უნდა მოგვენახა სხვა თავშესაფარი. აი, ამ დროს მოხდა ერთი ეპიზოდი, რასაც ჩემთვის სასარგებლო შედეგი მოჰყვა; იმ უპატრონობის ხანაში, ბანაკებიდან (ლაგერებიდან) თუ იძულებითი სამუშაოებიდან გამოსულები, რომლებიც „უნრას“ დახმარებით კარგათ მოსუქებულ-გაძლიერებულნი იყვნენ, მოსახლეობას თავდასხმებითა და ძარცვა-გლეჯით აწიოკებდნენ. ერთხელ მათ მოინდომეს ჩვენი კლასიკური არქეოლოგიის ფაკულტეტის მუზეუმის გაძარცვა. ლექციის დროს შემოვარდა ერთი ხროვა და მუზეუმის კარების მტვრევა დაიწყეს. გაოცებული ვიყავი გერმანელების ტოტალური დაძაბუნებით. ამის შემხედვარემ, ერთი ორი თავდამსხმელი მივბეგვე (თბილისში ლევან ღუდუშაურთან კრივს ვსწავლობდი. გერმანიაში რამდენჯერმე ვიჩხუბე და ფულიც ვიშოვე, მაგრამ კრივს თავი დავანებე, რადგან ნორმალური ვარჯიშის საშუალება არ მქონდა, მოგებული ფულით სტუდენტებს სადილზე ვპატიჟებდი ხოლმე და ეს ფულიც სწრაფად იხარჯებოდა. მყავდა ერთი სილეზიელი ამხანაგი - მარვიცი, რომელსაც თუ სადილზე დავპატიჟებდი, მყისვე მთანხმდებოდა, ხოლო უფულობის დროს თუ ვთხოვდი - ,,ხუთი მანეთი მასესხე”-თქო, ხელს ყურზე მიიდებდა, თვალებს მილულავდა და მპასუხობდა: ,,რაო, რაო, რაო? არ მესმის”), მერე რუსულად (და პოლონურად ?!) მივმართე და ვუთხარი, რომ მე „უნრას“ წარმომადგენელი ვარ, შემიძლია მათი დაპატიმრება და „სამშობლოში“ გაგზავნა. ამ ფუყე მუქარამ გასჭრა და ეს ქურდ-ბაცაცები ჩვენი ინსტიტუტიდან კუდამოძუებულები წავიდნენ. ამის შემხედვარე ჩემმა პროფესორმა ლიპპოლდმა, სტუდენტებმაც თვალები დაჭყიტეს და ისე შემომხედეს, თითქოს ყარამან ყანთელი ვყოფილიყავი. ამ, ე.წ. ,,ჰეროიზმით” გაბრუებულმა ჩემმა პროფესორმა, თავისი სახლიდან ლოგინი მოატანინა და მუზეუმში ძილის ნება დამრთო, მაგრამ არც ეს იყო პრაქტიკული გადაწყვეტი-

ლება. ბოლოს, უნივერსიტეტმა მომცა ერთი ოთახი ქალაქის აღმოსავლეთ რაიონში, სადაც ერთმანეთის მსგავსი ორსართულიანი სახლები იყო ბაღებით. მშვენიერი სუფთა ოთახი მქონდა მეორე სართულზე. მალე გამოირკვა, რომ ჩვენი რექტორი ფრიდრიხ ბაუმგარტნერი, ჩემს გვერდზე მეორე ოთახში ცხოვრობდა. ის იყო თეოლოგი, კერძოდ, ძველი აღთქმის საკითხებზე მუშაობდა. მას თურმე დაბომბვის გამო დაეკარგა ოჯახი და სარჩო-საბადებელი და უსახლკაროდ იქცა. ხშირად შემოდიოდა ჩემს ოთახში სასაუბროდ და სამუშაოდ. საქმე ისაა, რომ მას ნახშირი ჰქონდა, მე კი არა, მაგრამ მქონდა ღუმელი. მას მოჰქონდა თავისი ნახშირი და ჩემს ღუმელში ცეცხლს აგიზგიზებდა, რითაც ორივენი კმაყოფილე-ბი ვიყავით. გამაოცა მისმა თავმდაბლობამ და კაცთმოყვარეობამ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ომში დამარცხების გამო, გერმანელები ისე დაძაბუნდნენ და იმდენად მოიხარეს ქედი, რომ მართლა შეგეცოდებოდათ. ჩვენი მეზობლობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგამ ბატონმა ბაუმგარტნერმა უკეთესი თბი-ლი ბინა იშოვა. მალე მეც დავტოვე ჩემი ოთახი, რადგან მეორე სართულის პატრონი, რომელიც ამერიკელებს დაეპატიმრებინათ, გაანთავისუფლეს და მან თავისი ბინა დაიბრუნა. ბოლოს და ბოლოს, მეც ვიშოვე ბინა, საიდანც აღარსად გადავსულვარ. ეს იყო ბინა Schelling Strasse 27-ზე, მესამე სართულზე ქალბატონ კიტლერთან, რომელიც 84 წლის გამხდარი, დამჭკნარი, მაგრამ მაინც ენერგიული ქალი იყო და მისი უსიტყვო ქმარი, რომელიც წვერ-ულვაშს ისე იკრეჭდა, რომ პირწავარდნილ ჰინდერბურგს ჰგავდა. იგი პენსიონერი იყო და არაფერს აკეთებდა, გარდა კარის სახელურების გაპრიალებისა. საღამოობით, ზოგჯერ სადღაც მიდიოდა დასათრობად და როდესაც სახლში ბრუნდებოდა, ქუჩიდან თავის ცოლს უყვიროდა „ჩამოდი კარები გააღე“-ო; ცოლი მიუგებდა: „გასაღები ხომ ქამარზედ გაქვს დაკიდებული, შენ თვითონ გააღე“-ო; მერე ქმარი ამოსძახებდა: „ნახვრეტს ვერა ვპოულობ“, მერე ისევ ცოლი: „ბანჯგვლები მიაკარი და იპოვი“-ო. ასეთი დუეტი მეორდებოდა ხოლმე კვირაში ორ-სამჯერ. უკვე პენსიაში გასული ქმარი, 47 წლის განმავლობაში ქალაქის მუნიციპალიტეტის მოსამსახურე იყო. მათი ერთადერთი შვილი - ვილი ასევე მუნიციპალიტეტში მსახურობდა. ბერიკაცის დათრობას და კარის სახელურების გაპრიალებას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მაკვირვებდა მათი ერთფეროვანი, უბრალო და სტანდარტული ცხოვრება. მათი ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება თითქოს საათივით იყო აწყობილი. ამის გამო არავითარი შეცდომები და წინააღმდეგო-ბები, არავითარი შფოთვა და მღელვარება, უსიამოვნება ან სიხარული. ნებისმიერ დროს ჩემთვის რომ ვისმეს ეკითხა ეს ხალხი რას აკეთებდა, ვეტყოდი ზუსტად და შეუცდომლად. მიკვირდა, ასეთმა გამგონე და წესების მიმდევარმა ხალხმა ომი როგორ წააგო. ამ დედაბერს შვილივით ვუყვარდი და მარიგებდა ხოლმე; თითქოს მაჭანკალი ყოფილიყო უფრო იმას მასწავლიდა, თუ საცოლედ როგორი გოგო უნდა მეთხოვა. თუმცა ჩემთან ქალები მოდიოდნენ, მაგრამ არავის მთხოვნელი არ ვიყავი. ჩემი ოთახის მაქსიმალური სიდიდე იყო 5 x 3 მ. ჰქონდა ერთი კარი და ერთი ფანჯარა, ერთი დიდი ხის ძველებური საწოლი, ერთი მაგიდა, ერთი სკამი და ერთი ღუმელი. რადგან სკამები მეტი არ მქონდა და კიდეც რომ მქონოდა ჩემს პაწაწინა ოთახში არ დაეტეოდა. ამიტომ, ჩემი სტუმრები ლოგინზე იყვნენ ჩამომსხდარნი გაბუზული ჩიორებივით. მით უფრო, რომ უზარმაზარ ღუმელს, რომელიც ამაოდ ადგილს იჭერდა, საწვავის უქონლობის გამო არ ვანთებდი, გარდა იმ ორიოდე შემთხვევისა, როდესაც მართლად თვალწარმტაცი, მშვენიერი მართა ალშიბაია ჩემთან მოდიოდა

ქართულის სასწავლებლად და თან ნახშირიც მოჰქონდა. მართა სწავლობდა ჩემივე უნივერსიტეტში, მაგრამ არა ჰუმანიტარულ საგნებს, არამედ მედიცინას. ოთხ დას შორის, მართა, აშკარად ყველაზე კეკლუცი იყო, მაგრამ ოჯახიდან განდგომილი დღესაც არ ელაპარაკება თავის ნათესავებს. მართას უფროსი დები მისთხოვდნენ: ქეთი – დათა ჩხატარაშვილს, რომელიც ქეთის მამის მსგავსად ექიმი იყო; რუსუდანი – გივი გაბლიანს, რომელიც აგრეთვე ექიმი იყო (და არის), თინა, ექიმი, რომელსაც ჩიტის გამომეტყველება ჰქონდა და უნდა გაჰყოლოდა ჩემი ბავშვობის ამხანაგ გედე ასათიანს, აგრეთვე ექიმს, მაგრამ ეს გეგმა ვერ განხორციელდა და ვერც მართა გათხოვდა ქართველზე, გაჰყვა თანაკლასელს, პოლონელ სტაშეკ გერსტკას.

ვიქტორ ნოზაძის სტუმრობა

ერთხელ, ჩემს პატარა ოთახში მეწვია დიდად პატივცემული სტუმარი ვიქტორ ნოზაძე, რომელსაც წინათაც ვიცნობდი. ჩამოვიდა პარიზიდან, რომ ვეფხისტყაოსნის საკითხები დაემუშავებინა და ამისათვის ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით ესარგებლა, თუმცა, სხვაგან უკეთესი ბიბლიოთეკები იყო, მაგრამ მას გერმანული ლიტერატურა უფრო სჭირდებოდა, რომლითაც უხვად ვამარაგებდი. სტუმარს ჩემი საწოლი დავუთმე და იატაკზე გადავინაცვლე. ვიქტორი ჩემთან თითქმის რვა თვე დარჩა. ამ ხნის განმავლობაში კარგად გავიცანი, დავმეგობრდით და დავრწმუნდი, რომ ის მეტად ღირსეული თვისებებით იყო შემკული: პატიოსანი, მეტისმეტად შრომის მოყვარე, უაღრესად ნაკითხი და განათლებული, მაგრამ მწარე ენის მქონე, რასაც იყენებდა ცუღლუტ-მლიქვნელ-ყალბისმქმნელების წინააღმდეგ და იმათ მიმართ, რომელნიც რუსთაველს თავისი უვიცობით ვნებდნენ. საჭმელი იშვიათად მქონდა, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩემი ერთგული მეგობარი – ბოგდან ფედენკო – „უნრას“ საკვებ ულუფას მომიტანდა ხოლმე, რაც მას თავზესაყრელად ჰქონდა უკრაინული ორგანიზაციებიდან და თვით „უნრა“-დან. თანაც, მამამისი - პანას ფედენკო - იურისპრუდენციის მინისტრი იყო უცხოეთში შექმნილ დროებით მთავრობაში... უმეტესად, მე და ვიქტორი, ჩაით (ზოგჯერ დაშაქრულით) იოლად გავდიოდით. ეს მშიერი კაცი, ზამთარში ადგებოდა, საბანს მოიხურავდა, თითებ მოჭრილ ხელთათმანებს ჩაიცვამდა და მთელი დღე მუშაობდა. შეიძლება ითქვას, რომ მან რუსთაველს ცხოვრება შესწირა. პარიზში სათავეში ედგა ქართული ბეჭდვის საქმეს. ის იყო მოაზროვნე მწერალი-რედაქტორი (ბეჭდვის აქტიურ საქმეს გერმანიაში მეტრეველი განაგებდა), დიდად ღვაწლმოსილი კაცი, რომელიც საქართველოს პატიოსნების სადარაჯოზე ფხიზლად იდგა და მის კეთილდღეობას მთელი თავისი სიცოცხლე შეალია. სხვათა შორის, ვიქტორმა, ყოველგვარი ინსტიტუტისა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის გარეშე, გამოსცა ვეფხისტყაოსნის საკითხების განმარტების შვიდი ტომი. მხარში ედგა მხოლოდ ორიოდ ქართველი - ძმა გიორგი, რომელიც პარიზში ტაქსის მძღოლად მუშაობდა, აგრეთვე ბელეტრისტი იყო და თავისი მშვენიერი რძალი, ქალბატონი ლიდა, რომელსაც სილამაზის სალონი ჰქონდა. მას, შედარებით მოხუც კაცს, რაღაც ჭაბუკური ჟინი თუ ტემპერამენტი ჰქონდა. ერთხელ სამხრეთ ბავარიაში (ახლა აღარ მაგონდება როდის და რატომ ვიყავი სამხრეთ ბავარიაში, ან ვიქტორს რა უნდოდა იქ. ომის შემდეგ მრავალი ქართველი იყო რუპოლდინგში და შესაძლოა, ვიქტორიც იქ იყო. ჩემი ადრეული სტუდენტობის დროს მიუნხენში ვიყავი და იქაური ამბების მოყოლა დამავიწყდა, მაგრამ ორიოდე განცდილი

ეპიზოდისა და ქართველების საქმიანობის შესახებ აქ სადმე გიამბობთ) ტყეში სეირნობის დროს დავინახე მშვენიერი მაღალი ხე. რადგან ბავშვობიდან ხეებზე ცოცვა მიტაცებდა, ხუმრობით ვკითხე: „აბა ვიქტორ! თუ ვაჟკაცი ხარ, ამ ხეზე ახოხდი“. ვიქტორმა არც აცია, არც აცხელა, მიირბინა და ამ ტიტველ ხეზე კატასავით აცოცდა, რამაც მეტისმეტად გამაკვირვა. მაგრამ დავუბრუნდეთ ერლანგენს.

ჭიდაობა ამერიკელთან

უნივერსიტეტში მყავდნენ ამხანაგები, რომლებიც ჩემთან მოდიოდნენ. ერთი მათგანი იყო შმიტლიბი, ხელობით მხატვარი (შემდეგ სახელგანთქმული), რომელსაც ხელოვნების ისტორია და არქეოლოგია იტაცებდა და ამის გამო, უნივერსიტეტში ამ საგნების სწავლა დაიწყო. სემინარებისათვის ზოგჯერ ერთად ვმეცადინეობდით. ერთხელ, ჩემი სახლის პატარა ბაღში ვმეცადინეობდით, რომელიც პირველ სართულზე მცხოვრებ ლატვიელს ვარდებით და სხვა ყვავილებით აევსო. ზაფხული იყო და მზეზე გარუჯვის სურვილის გამო ზედა ტანი გახდილი გვქონდა. მოულოდნელად, მეზობლის ახლად ნაშენი სახლის ბაღიდან, სადაც სახლის გერმანელი პატრონი დაეპატიმრებინათ და იქ ამერიკელი მხედრები ჩაესახლებინათ, ჩვენს ბაღში ბურთი გადმოვარდა. ავიღე, მივედი ღობესთან, რომ უკვე ღობესთან მომდგარი მაძიებლისათვის ბურთი მიმეცა. ეს ბურთი მივეცი, მან მადლობა გადამიხადა და დამტვრეული გერმანულით გამომელაპარაკა. ჩემი კუნთების დამნახავმა მითხრა, რომ თუ ჭიდაობა გსურს, ჩვენ ხვალ ამ ბაღში ჭიდაობა გვექნება და მონაწილეობა მიიღეო. დავეთანხმე, თუმცა ჭიდაობისა ბევრი არაფერი გამეგებოდა. მიუხედავად ამისა, მეორე დღეს მე და შმიტლიბი ვესტუმრეთ ამერიკელებს. არა ჭიდაობის, არამედ, უფრო მათ გასაცნობად და ცნობისმოყვარეობის გამო. ხელ-ფეხით მეტყველებამ შორს ვერ წაგვიყვანა. დაიწყო ჭიდაობა, შევყურებ და ვფიქრობ, რომ მათ ჭიდაობის ილეთებისა არაფერი გაეგებათ და ბავშვურად ღლაბუცობენ. ახლა მეკითხება ამერიკელი ოფიცერი: „აბა ახლა შენი ჯერია, გსურს იჭიდაო?“ დავეთანხმე. მეკითხება: „ფული გაქვს?“ ვპასუხობ: „არა“. „ პაპიროსი გაქვს?“ „არა“. რადგან ჭიდაობა ფულიანი იყო, რაც მე არ გამაჩნდა, შემიბრალეს და ფულის ნაცვლად, თვითონ დასდეს ჩემთვის პაპიროსები. დამაჭიდეს ერთ ჯარისკაცთან, რომელიც შუაკაურ-მოგვერდის გამოყენებით დავამარცხე. მერე მეორე, რომელიც ჩემდა გასაოცრად, ჭიდაობის უცოდინარობის გამო აგრეთვე დავამარცხე. არანაკლებ გაოცებულმა ამერიკელებმა მითხრეს: ახლა ჭიდაობა გვეყოფა და თუ მომავალ კვირას მოხვალ, ჩვენს მზარეულ მოჭიდავეს გამოვიყვანთ და იმას დაეჭიდეო. წარმატებით წახალისებული და გაკვირებული დავეთანხმე, ავხვეტე მოგებული სიგარეტები და წამოვედი. მეორე კვირას ვესტუმრე. გამოიყვანეს მსუქანზე მსუქანი მზარეული, რომელთანაც ვერაფერი ვიღონე, რადგან ქონი გასდიოდა, ხელი ცურავდა და ვერ მოვავლე. ბოლოს ისიც მივასვენე, რის შემდეგ ამერიკელებთან ურთიერთობამ ჭირი მოგჭამა აღარ დავუპატიჟებივარ. ისინი უთუოდ გულუბრყვილო მოჭიდავეები იყვნენ და მეც ღმერთმა მოწყალების თვალით გადმომხედა, თორემ როგორ გავიმარჯვებდი. აი, ამაზე უთქვამს მეათე საუკუნეში ჩემს წინაპარ მწიგნობარ ბერს: „მედგარო ემსგავსე ჭინჭველსა და შეები უძლიერეს შენსა, რამეთუ ღმერთი არს მომცემელი ძალისა“.

ჩემი შემოსავალი

შემოსავლის მიხედვით, უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ვიყავი. ვერც საერთაშორისო დახმარების ცენტრში, ე.წ. „უნრა“-ში მივდიოდი დახმარების ან საკვების მისაღებად, რადგან მეშინოდა, რომ რუსები ხელს ჩამავლებდნენ და სამშობლოს მაგიერ საიქიოს გამისტუმრებდნენ. სტალინმა ხომ თქვა, რომ „მე ტყვეები არა მყავს“-ო. ვისაც კომერციის შნო გააჩნდა ისინი ვაჭრობით, გაცვლა-გამოცვლით თუ არალეგალური მოქმედებით მართლაც ბევრ ფულს შოულუბდნენ. მე კი ვერ ვივარგე. მითხრეს, რომ კრივით შემეძლო ფულის მოპოვება. სიჭაბუკეში პირველ ვაჟთა გიმნაზიაში (პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლა) ტანვარჯიშს მივსდევდი და მწვრთნელ არჩილ ბაქრაძისაგან (ბაქრაძეების ოჯახში სამნი იყვნენ ძმები. სამივე დიდებული ქართველი. არჩილი პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი იყო. მან გაზარდა ჩემპიონი ტანმოვარჯიშეები: გულო რცხილაძე, ჯორჯაძე, რომანიშვილი და სხვები. კოტე ბაქრაძე ფილოსოფიის პროფესორი იყო, მესამე ძმა გიგო კი ფსიქოლოგიის პროფესორი - ჩემი მხსნელი), რომელმაც ბევრი ჩინებული მამულიშვილი გამოზარდა, არა მხოლოდ ტანვარჯიში, არამედ მრავალი კეთილი რამ შევისწავლე. იმავე დროს, ლევან ღუდუშაურთან კრივსაც ვსწავლობდი, მაგრამ წვრთნას დროის უქონლობის გამო მალე დავანებე თავი.

უნივერსიტეტის სტუდენტთა დამხმარე უწყებამ მიშოვა სამსახური. შეშის დამპობად უნდა მემუშავა ყრუ კბილის ექიმთან. მივედი მასთან მესამე სართულზე, დავუკაკუნე, გაიღო კარის პატარა ნახვრეტი და ვიღაც მეკითხება, რატომ მივედი მასთან. მივუგე, რომ შეშის დასაპობად „ასტამ“ გამომგზავნა და მოვედი. ამ ქალმა ჩემი ნათქვამი არ ირწმუნა და დაუძახა ქმარს, რომელსაც სიყრუის გამო, ყურში ძაბრისებრი თუ ყანწისებრი მეტალი ჰქონდა გარჭობილი. მე მისი არ მესმოდა, მას ჩემი, მაგრამ ბოლოს მოიყვანა ცოლი, რომელმაც სარდაფში ჩამიყვანა, უამრავი შეშა მაჩვენა, დამტოვა იქ და წავიდა. შევუდექი მუშაობას. ნაშუადღევს, მომიტანეს ერთი პატარა ჭიქა ყავა და მურაბიანი პური, რაც მშიერმა მაშინვე გადავსანსლე. გაოცებისგან ქალმა პირი დააღო და მითხრა: ნელ-ნელა უნდა მიირთვაო. შემდეგ შემაქო, მომცა მთელი დღის გასამრჯელო და მეც მადლობით გამოვეთხოვე. ამის შემდეგ, ამერიკელებთან მომცეს სამუშაო, რომელთაც ახალგაზრდა წიწვიანი ტყის საჩქაროდ გაჩეხვა სურდათ, პატარა აეროდრომის ასაშენებლად. ეს სასურველი სამუშაო იყო, რადგან ფულის გარდა საკვებსაც იძლეოდნენ, უფრო ხშირად შემწვარ ხელოვნურ კვერცხს და თანაც ღამე ვმუშაობდით.

ჩემი უკრაინელი მეგობარი ფედენკო ასწავლიდა რუსულს. ვკითხე: „როგორ ასწავლი რუსულს, როდესაც შენ თვითონ არ იცი ეს ენა?“ მომიგო: „აი, სწორედ იმიტომ ვასწავლი, რომ მე თვითონ ვისწავლო“-ო. ამის შემხედვარემ, დავიწყე ჩემი ჩიქორთული ფრანგულით ფრანგულის სწავლება. ჩვენ ვცხოვრობდით თუ ვსულდგმულობდით გარდამავალ ხანაში, როდესაც მდგომარეობა დღითი დღე იცვლებოდა, რის გამოც ჩვენი სამსახურიც მის შესატყვისად მოკლე ხნიანი იყო და უნივერსიტეტის მოვალეობის გამო, არც დიდი დროის ხარჯვა შეგვეძლო. ჩემმა მეგობარმა ფედენკომ, რომელიც საკვებით პატივს მცემდა ხოლმე, ერთხელ შემომჩივლა, რომ ქალთან დაწოლა სურს, მაგრამ ვერავინ დაიყოლია; შენ უნდა მიშველოო. ყველაფერზე დაპატიჟება გამიგია, მაგრამ ქალზე როგორ დაგპატიჟო-მეთქი, მივუგე. მაინც შემეცოდა,

მოვიფიქრე ერთი ხრიკი. მეზობელ სახლში ცხოვრობდა სამედიცინო ინსტუ-ტის ერთი სტუდენტი გოგო, რომელიც როგორღაც მეთამაშებოდა. ერთხელ მოვახერხე მასთან დაწოლა, მან დაიწყო ქშინვა-ხვნეშა და მომხიბლავი ლაპა-რაკი. ვუთხარი, ახლა საპირფარეშოში წავალ და ისევ დავბრუნდები, მაგრამ მე არ დაგელაპარაკები, შენმა დიასახლისმა (რომელიც აშარი ,,სტარაია დევა" იყო) არ გაიგოს, თორემ ორივეს გარეთ გაგვყრის-მეთქი. გავედი საპირფარეშოში, სადაც ტიტლიკანა ფედენკო მელოდებოდა და ჩემს მაგიერ შევგზავნე. ის შევიდა, ერთ ხანს ისიამოვნა მაგრამ იმ ბარიშნამ შეიტყო, რომ ჩემს მაგიერ სხვა ეწვა ლოგინში და მორთო ყვირილი. ამის გამო, შემოვარდა ანჩხლი სახლის პატრონი და მანაც ისტერიული ყვირილი მორთო. ჩვენ დავაშოშმინეთ ეს კაპასი ქალი და ავუხსენით, რომ გოგონას ლოგინში თაგვი შეძვრა. იგი ისე შეშინდა, რომ ისტერიულად იკივლა. ამ განმარტებამაც არ დააკმაყოფილა, რადგან თავისი სტა-ნდარტული გულისწყრომის გადმოლაგების მიზეზი მიეცა და გახსნა თავისი საყვედურების გუდა: – თქვენ ბევრ წყალს ხარჯავთ, ბევრ ელექტრო ენერგიას მოიხმართ, საღამოს ადრე დაიძინეთ და სისხამ დილით ადექით, რომ დენი არ დაიხარჯოსო. გერმანელები ბუნებით მომჭირნეები არიან, რაც ყველასთვის მისაბაძი უნდა იყოს. ამერიკელები პირუკუ -ერთხელ ჩაკბეჩენ გემრიელ ვაშლს და გადააგდებენ; დასწერენ ერთ სიტყვას მშვენიერ ქაღალდზე, არ მოეწონე-ბათ, დაჭმუჭნიან და სანაგვეში გადაუძახებენ. ბუნების პატივისცემის საქმეში მართლაც ძალიან მოიკოჭლებენ.

მიუნხენში მყოფი ქართველი ახალი ემიგრანტები, რომლებსაც ერთ-ხანს იქ ცხოვრების გამო კარგად ვიცნობდი, ყალბი კონიაკების კეთებით გამდი-დრდნენ, სხვები, როგორც ექიმი ვეფხვაძე, აბორტების კეთებით. ვიფიქრე, ჩავალ მიუნხენში, ეგებ მეც რაიმე ვიშოვო. ჩავედი და გავჩერდი ბავშვობის მეგობარ გედე ასათიანთან, სადაც გოგი ვაჩნაძეც ცხოვრობდა. ერთხელ წავყევი გერმანელი ქალის კაფეში, სადაც ქართველები იყრიდნენ თავს. კარტს თამაშობდნენ. მე დავუწყე თვალთვალი და შევატყვე, რომ „საქმოსანი" გოგი ღოღობერიძე ძველ ემიგრანტ არჩილ მეტრეველს კარტში ატყუებდა. არჩილმა წააგო მთელი თავისი ფული და ბოლოს მაგიდის ქვეშიდან ამოიღო ერთი ბატი, რომელიც ცოლ-შვილის საკვებად ეშოვა და სთქვა: აი, ამ ბატს დავდებ ფულის მაგიერო. გოგიამ აქაც ჩაუწყო და ბატი წააგებინა. გულამოსკვნილ არჩილს ცრემლები ჩამოსცვივდა. ჯიბიდან ამოიღო მოლურჯო ხილაბანდი მოტვლეპილ ოფლიან თავზე გადაისვა და კვნესა-ამოხვნეშით თქვა: „ვაიმე ცოლო და შვილო". მე ვიცოდი რომ არჩილს ჰყავდა უცხოელი (ფინელი ?) ავადმყოფი ცოლი და ჭლექით დაავადებული ჩვენი ხნის ქალიშვილი. ამის შემხედვარე გავბრაზდი, გოგიას მივვარდი, შევანჯღრიე და წაგებული ფული და ბატი უკან მივაცემინე. ახლა რომ ვუფიქრდები, არა მგონია, რომ გოგია მართლა წაიღებდა ამ მონაგებს. საბრალო არჩილმა დამლოცა და კაფე დასტოვა. გოგია ფულიანი და ფხიანი კაცი იყო, რის გამოც ფულის სესხება ვთხოვე. მან მითხრა, რომ ფულის მაგიერ მომ-ცემს ათ ბოთლ კონიაკს (ეს ე.წ. კონიაკი კარტოფილიდან, ქერიდან თუ შაქრიდან გამოხდილი ,,სამაგონკა" იყო, რომელშიც ფერის მისაცემად ჩაის ასხამდნენ. ბოთლს შვიდვარსკვლავიანი ფრანგული კონიაკის იარლიყს მიაკრავდნენ და ძვირადაც ყიდდნენ. მყიდველები, ძირითადად, სამხედროები იყვნენ), რომელიც მე უნდა გავყიდო, მოგების ნახევარი მას უნდა მივცე, ნახევარი კი მე დავიტოვო. ავიღე ეს ათი ბოთლი, ე.წ. კონიაკი და მატარებლით წამოვედი ერლანგენისაკენ. ეს ისეთი დრო იყო, რომ ამერიკის სამხედრო პოლიცია მატარებლის მგზავრე-

ბსა და მათ ბარგი-ბარხანას აკონტროლებდა. პირველ ყოვლისა, ეძებდნენ ე.წ. არაყს – მომწამვლელი მეთილის სპირტისგან დამზადებულ არაყს, რომელსაც ამერიკელი სამხედროები წყალივით სვამდნენ და იწამლებოდნენ. ვზივარ მოძრავ მატარებელში და ვკითხულობ კარლ იასპერსის ნაშრომს, რომელსაც „უნივერსიტეტის იდეა“ ეწოდება. ვარ ამ დიდი ფილოსოფოსის წიგნის კითხვით გატაცებული და მოულოდნელად მომადგა ამერიკის ჯარის ორი პოლიციელი; გამისინჯეს საბუთები, რითაც დაკმაყოფილდნენ. მეკითხებიან ჩემი ბარგის შესახებ, რომელიც სულ ზედა თაროზე იყო შემოდგმული. ვაჩვენე. მეკითხებიან რა არის შიგ? მე იასპერსის პატიოსნების ფილოსოფიით ისე ვიყავი გაჟღენთილი, რომ მექანიკურად მივუგე: „ათი ბოთლი კონიაკი“. პოლიციელებს ჩემი პასუხი ხუმრობა ეგონათ, იცინეს, ჩემთვის გაუგებარი რამ მითხრეს ხუმრობით და წავიდნენ, უცბათ თავში დამკრა, გონზე მოვედი, რომ ჩემი პასუხის გამო შეიძლება ეს კონიაკი ჩამოერთმიათ, მე კი ვირის აბანოში ჩავესვით. მაგრამ, როგორც იასპერსი ბრძანებს, სიმართლე ბოლოს და ბოლოს ბოროტსა ძლევს; მაგრამ თურმე არა ყოველთვის, რამეთუ ბოროტსაც გააჩნია თავისი ძალა, რაც ზოგჯერ მაინც წარმატებულია. ეს გამოაშკარავდა ჩემი კონიაკის საქმიდან, რაზეც მოკლედ ასე ითქმის: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“. რის ვაივაგლახით ჩამოვიტანე „კონიაკები“ ერლანგენში, ამით თურმე მხოლოდ ერთი დაბრკოლება გადავლახე, მეორე დაბრკოლება ამ კონიაკების გაყიდვაში მდგომარეობს. არასოდეს არაფერი გამიყიდია. ახლა კი ბედისწერამ თავზე მომახვია ვაჭრის ფუნქცია: როგორ გავყიდო ეს აკვიატებული კონიაკები? ქუჩაში გავაჩერო ამერიკელი ზანგი ჯარისკაცი და ვკითხო კონიაკის ყიდვა და დათრობა თუ სურს? ეს არ გამოდგება, რადგან ჯარისკაცს შეუძლია „კონიაკი“ წამართვას და მე პანღური ამომკრას. მაშ რა? ქუჩაში რომ გამოვიტანო გასაყიდად, არც ეს მეთოდი გამოდგება. უკვე ორიოდ კვირაა მიყრია ჩემს ოთახში ეს მწველი კონიაკები და თავს ვიმტვრევ იმაზე ფიქრით თუ როგორ ვაქციო ეს არალეგალური საქონელი ფულად. ერთ დღეს, ერთი ნაცნობი ბარიშნა გამახსენდა, რომელიც ამერიკელ ოფიცრებს ეკურკურებოდა. მოვნახე და გავუზიარე ჩემი გეგმა. ვუთხარი, რომ თუ ამ კონიაკების გაყიდვას შესძლებდა, მას მივცემდი ჩემი მონაგების ნახევარს, რაზეც სიამოვნებით დამთანხმდა და წაიღო ათივე ბოთლი. მის შემდეგ, არც ეს ბარიშნა და არც ჩემი კონიაკები აღარ მინახავს. ამით ახალი სადარდებელი გამიჩნდა: რა უნდა ვუთხრა ,,სოვდაგარ” გოგი ღოღობერიძეს? ვუთხარი სიმართლე, პირობით, რომ ფულს ვიშოვიდი თუ არა, ვალს ჩავასესხებდი. ეს უსიამოვნება ჩემი შერისხვით დამთავრდა. გავიდა წლები. ამერიკაში – კოლეჯ პოინტში ჩამოვედი, ვიქირავე ერთი ირლანდიელის სახლის მეორე სართული და ჩავისახლე ალექსანდრე სულხანიშვილი, რომელიც ცნობილი იყო, როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილის მარჯვენა ხელი. გავიდა ერთი, ორი, სამი თვე და ვთხოვე ეგებ ქირა მოეცა, მით უფრო, რომ თავის ხელოსნობაში (გემებს აშენებდა) კარგ ფულს იღებდა. შუშუს (ეს ალექსანდრეს ზედმეტი სახელია) ჩემი თხოვნა გაუკვირდა და მითხრა, რომ გოგია ღოღობერიძისათვის გითქვამს, ბინის ქირას არ გადამახდევინებ, რადგან შენ მისი კონიაკის ფული გმართებსო. მივიჭერი საყვედურით გოგიასთან, რომელმაც სამართლიანად ძველი დაპირება გამახსენა, მაგრამ ყალბი კონიაკის (რაც სინამდვილეში იყო მყრალი სამაგონი) პირველი ხარისხის ფრანგული კონიაკის საფასური (ე.ი.ათჯერ მეტი) და კიდევ მეტი მიითვალა ვალის დაგვიანებისათვის. ეს მოხდა იმის მიუხედავად, რომ გოგიას ამერიკაში ფეხი კარგად ჰქონდა მოკიდებული და ფულით სავსე ხურჯინებზედაც იჯდა.

მოფარიკავეთა კლუბი

უნივერსიტეტში ყოფნის დროს ჩავირიცხე მოფარიკავეთა კლუბში, რაც მაშინ არა მხოლოდ მოდაში, არამედ გერმანიის ტრადიციის მიხედვითა და სათანადო ღირსებით აღზრდილი ყმაწვილებისათვის, რაინდული ბუნების აუცილებელი ნიშანი იყო. თუ მოფარიკავე იყავი, ყველას დასანახად ხომ უნდა გქონოდა ამ ვაჟკაცობის ნიშანი? აი ამიტომ, ის, ვისაც სახეზე რაპირით მიყენებული ჭრილობის დაღი ჰქონდა, საყოველთაო მოწონებას იმსახურებდა, მით უმეტეს ბარიშნებში. ეს დადაღულები სხვებზე ერთი საფეხურით უფრო მაღლა გრძნობდნენ თავს და მამლაყინწური თავმომწონებითა და გამანადგურებელი მზერით დასცქეროდნენ ყველას. ეს გადაჭარბებული ამაყი ქცევა, ხშირად კომიკურს ესაზღვრებოდა, მაგრამ დასაწუნი არ იყო, უფრო ბარიშნებისთვის. თქმა არ უნდა, რომ ფარიკაობის დროს ყველა არ იჭრებოდა; ამ შემთხვევაში, ზოგი ჭრილობის მაძებარი, მიმართავდა საპარს დანას, რომლითაც, უფრო ხშირად, ტუჩის ქვემოთ, ნიკაპზე, კანს დაიკოდავდნენ ხოლმე. მე პირადად ფარიკაობაში ერთი-ორი გაკვეთილის მეტი არ მქონია, მაგრამ სახის დაკოდვა არ დამჭირვებია, მარცხენა ტუჩის მხარეს უკვე მქონდა ჭრილობა, თუმც არა ფარიკაობისაგან, არამედ ბავშვობაში ცემა-ტყეპის შედეგად მიღებული. ჭრილობის გამო მამლაყინწობას არც ვეტანებოდი, რადგან ეს არა მხოლოდ არ მიტაცებდა, არამედ ყოველდღიურად კუჭის ამოვსებაზე და აკადემიური სისუსტის გამოსწორებაზე იწურებოდა დრო, თანაც ომის შედეგად გაუკაცურებულ გერმანიაში, ბარიშნები თავსაყარზე მეტი იყო.

ერთხელ ამერიკის სამხედრო პოლიციამ ჩვენი ფარიკაობის კლუბი დაარბია და მისი კარები დალუქა, რადგან ამერიკელების აზრით, ფარიკაობა მილიტარიზმის გამოცოცხლების მომასწავებელი იყო. ჩვენ დემონსტრაციით ვუპასუხეთ, რაც აგრეთვე აკრძალული იყო. როდესაც არ გავიფანტეთ, პოლიციამ შემოგვიტია, ჩვენ მათ წინაღმდეგობას ვერ გავუძელით და უნივერსიტეტის შენობაში შევაფარეთ თავი. იქიდან ორი დღის განმავლობაში ფანჯრებიდან უშვერ სიტყვებს ვუკიოდით, როგორც ამერიკელ, ასევე გერმანიის სახელდახელოდ შექმნილ სამოქალაქო პოლიციას. გაოცებული ვიყავი, როდესაც გავიგე, რომ მათი გაღიზიანების მიუხედავად, პოლიცია უნივერსიტეტის შენობაში ჩვენს დასასჯელად არ შემოსულა. თურმე უნივერსიტეტს, ეკლესია-მონასტრების მსგავსად, ავტონომია აქვს და პოლიციას იქ შესვლის უფლება არა აქვს. აი მაშინ გამახსენდა ჩემი ბავშვობა და თავაშვებული, გათავხედებული ჩეკისტები, რომლებიც ჩვენს ისედაც დაკნინებულ-გაუბედურებულ ოჯახს ნებისმიერ დროს არბევდნენ, ბალიშებს ფხრეწდნენ და ბატის ბუმბული „ველად გაჰქონდა ნიავსა“. ეს იყო სავსებით ნებადართული ე.წ. „ჩხრეკა“. აცრემლებული, ათრთოლებული მიუსაფარი საბრალო დედა, მტირალი ჩემი და თინა...

გერმანიაში ეს ამბები ხდებოდა ნახევარი საუკუნის წინათ, როდესაც სტუდენტის პროფესორთან საუბარი ითვლებოდა პრივილეგიად. მაგალითად უნივერსიტეტის შენობიდან ე.წ. ორანჟერეაში (უნივერსიტეტის ზოგიერთი შენობა და მამული, პარკი და ყვავილების სახლი, სადაც ჩვენ ხელოვნების ისტორიის ლექციები გვეკითხებოდა, ერთ დროს გერმანელი თავადიშვილის საკუთრება იყო). მოსეირნე პროფესორთან საუბარი დიდ პრივილეგიად ითვლებოდა. არა მხოლოდ მოკრძალება, არამედ განსაკუთრებული ეტიკეტის დაცვაც იყო საჭირო, მაგალითად, პროფესორს რომ მიუახლოვდებოდი და

საუბრის უფლებას სთხოვდი, მის მარცხენა ე.წ. ცოდვილთა მხარეზე უნდა ყოფილიყავი. ეს ფორმალობა დაცული უნდა ყოფილიყო. მაგალითად, ჩვენი ხელოვნების ისტორიის პროფესორ რუდოლფ კომშტეტთან, რომელიც განსაკუთრებული პრესტიჟით სარგებლობდა, თუნდაც იმიტომ, რომ ის იყო ჰეინრიხ ვოლფლინის მოწაფე. ამ მხრივ გამონაკლისი იყო ალფონს მარია შნაიდერი, რომელიც გოტინგენის უნივერსიტეტში ბიზანტოლოგიის საგნებს გვიკითხავდა და ჩემი დიდი ქომაგიც იყო. ის რომ კუჭის კიბოთი ადრე არ გარდაცვლილიყო, ჩემი აკადემიური მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ვიდრე ახლა არის და მეც გერმანიაში დავრჩებოდი.

ესპანეთში გამგზავრება

დამანგრეველი მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომი წლები, მიწასთან გასწორებულ გერმანიაში, უაღრესად ძნელი ასატანი იყო; ყველას უჭირდა, გარდა სპეკულანტებისა და ყალბი „ფრანგული კონიაკის“ მოვაჭრეებისა. შნაიდერი და მისი და მაიმედებდნენ, რომ როგორმე გამეძლო და ქვეყნის ეკონიმიკური მდგომარეობის გამოსწორების შემდეგ მიუნხენში ბიზანტიური ინსტიტუტის გახსნას ვაპირებთ და იქ უსათუოდ მიგიღებთო, მაგრამ ამასობაში, თავად ერეკლე ბაგრატიონმა მომწერა, რომ მადრიდში ჩავსულიყავი და იქ Consego Superior Investigaciones Sientificas-ის არქეოლოგიურ ინსტიტუტში, უფროს მეცნიერ მუშაკად დამეწყო მუშაობა. ასეც მოვიქეცი. ვფიქრობდი, რომ ესპანეთში ერთ წელს დავყოფდი, ენას და აქაურ ძეგლებს შევისწავლიდი და შემდეგ ისევ გერმანიაში დავბრუნდებოდი; მაგრამ თქმულა: „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“. ავიკრიფე გუდა ნაბადი და გავსწიე პარიზისაკენ, იქიდან რომ მადრიდში ჩავსულიყავი. ვესტუმრე პროფ. ანდრე გრაბარს, რომელმაც თბილად მიმიღო, მითხრა, რომ აქ გვყავს ერთი სომეხი მეცნიერი არმენ ხაჩატურიანი და კარგი იქნება შენც აქ დარჩეო. მაგრამ ეს იყო ზოგადი წინადადება და არ ვისურვე ესპანეთისათვის ზურგის შექცევა. პარიზში არმენ ხაჩატურიანი არ მინახავს, მაგრამ ხშირი მიმოწერა კი გავაბით. ხელობით არმენი ხუროთმოძღვარი იყო და ასაკით ჩემი ტოლი, მაგრამ ეს კაი კაცი, სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა. გრაბართანაც ხშირი მიმოწერა მქონდა, კარგი ურთიერთობაც, მაგრამ ეს შეწყდა მისი ქვეგამხედვარე საქციელისა და ჩემთან მტრობის გამო, რის შესახებაც შემდეგ მოგახსენებთ.

ჩავედი მადრიდში, კარგად მიმიღეს ბატომა ერეკლემ და იქაურმა ქართველებმა. შემახვედრეს დიეგო ველასკესის ხელოვნების ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის პროფესორებთან და დირექტორებთან, აგრეთვე კულტურის მინისტრ მარკეზ დე ლოცოასთან, რომელიც ცოლის მხრიდან ერეკლეს ახლობელი იყო. ბოლოს და ბოლოს დამაბინავეს მეცნიერებათა აკადემიის საერთო საცხოვრებელში. მადრიდში ჩასვლისთანავე დავიწყე ჩემი მდგომარეობის ლეგალიზაციის მოგვარება, რათა, რაც შეიძლება მოკლე ხანში, ჩემს აკადემიურ საქმიანობას შევდგომოდი. ყველა ის უწყება, რომლებისთვისაც უნდა მიმემართა, ერთი მეორისაგან ძალიან დიდი მანძილით არიან დაშორებულნი და მე, ტაქსისა და ავტობუსის მაგიერ ფეხით სიარულს ვარჩევდი, მით უმეტეს, ამ მშვენიერი და მეტად თავისებური ქალაქის დათვალიერებაც მეხალისებოდა. ჩემი რუდიმენტული ესპანური ენით, ხან ერთ, ხან მეორე უწყებას მივადგებოდი ხოლმე, სადაც ზრდილობიანად და დიდი მოწიწებითაც

კი მექცეოდნენ, მაგრამ მალე შევატყვე, რომ ამ უწყებებში მოღვაწეებს, ჩემი საქმეების მოგვარება არ ეჩქარებოდათ; დაყოვნების გასამართლებლად ყოველ-თვის რაღაც მიზეზს იშველიებდნენ ხოლმე. თანაც ამ უწყებების დირექტორებს, სამი-ოთხი სამსახური ჰქონდათ ისე, რომ მათი მიგნება ადვილი არ იყო, მით უმეტეს, რომ ხანდახან სამსახურშიც არ დადიოდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ამ დირექტორებს მივაგნებდი, მეტისმეტად ზრდილობიანად მომესალმებოდნენ და შემდეგ, ჩემს პირად საქმეზე კი არა, ზოგად საკითხებზე დაიწყებდნენ ბაასს და ბოლოს დასძენდენ, რომ ჩემი საქმეები სულ მოკლე ხანში დაუბრკოლებლად მოგვარდება. მე მოთმინებიდან გამოვდიოდი, რომ ამგვარი უსაგნო ლაქლაქით ჩემი მდგომარეობა გაურკვევლად რჩებოდა. ესპანელებს საქმეში საოცარი მოთმინება ჰქონიათ, საქმეებს ყოველთვის აუღელვებლად, დაუსრულებლად ხვალისთვის გადადებდნენ ხოლმე - „maniana". გერმანულ დისციპლინას და საქმიანობას შეჩვეულისათვის, ეს ესპანური - ეროვნული, არაბების მიერ ჩათესლილი „დაავადება", მართლაც გაუგებარი იყო. „ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის ან ფერსა"-ო ნათქვამია და არც მე ვიყავი გამონაკლისი. ამ „მანიანა"-ს შევეჩვიე.

ამ იქით-აქეთ სიარულში მრავალი საინტერესო პიროვნება გავიცანი, მათ შორის კულტურის მინისტრი მარკეზ დე ლოცოა, რომელიც ხელოვნების ისტორიკოსი და მრავალტომეულის ავტორი იყო, აგრეთვე მარტინ არტახო – საგარეო საქმეთა მინისტრი. მაღალი წრის პერსონებთან ნაცნობობა და დაახლოება, შესაძლებელი იყო ერეკლე ბაგრატიონის საშუალებით. ერეკლე საქართველოს ტახტის მემკვიდრედ თვლიდა თავს და ამიტომაც მას მიმართავდნენ - „ბატონიშვილო". ერეკლე ესპანეთში დიდი სახელით სარგებლობდა, არა მხოლოდ თავადობის გამო, არამედ უფრო იმიტომ, რომ მისი მეუღლე – მერსედეს დე ბურბონი – ესპანეთის მეფის - ალფონს მეცამეტის ძმისშვილი იყო. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მიუხედავად ფრანკოს მეთაურობისა და მონარქიის გაუქმებისა, არისტოკრატია და კათოლიკური ეკლესია ტრადაციულად უაღრესად მაღალ საფეხურზე იდგნენ, რასაც თვით ფრანცისკო ფრანკო უწყობდა ხელს. მადრიდში ცხოვრობდა აგრეთვე „ გრანდ დუკ ვლადიმირ", რომელსაც რუსები „ველიკი კნიაზ"-ს უწოდებდნენ, რამეთუ იგი რუსეთის ტახტის მემკვიდრედ იყო აღიარებული. ამ ვლადიმირს ცოლად ჰყავდა ერეკლეს და ლიდა, რომელსაც უწოდებდნენ „ველიკაია კნიაგინა ლეონიდა"-ს. ფრანკო ორივეში ხედავდა რუსეთისა და საქართველოს მონარქიის განახლების გარანტიას და ამიტომაც მათ ყოველმხრივ მხარს უჭერდა (და მგონი ფულად სტიპენდიასაც აძლევდა). გრანდ დუკ ვლადიმირი არსებითად უსახსრო იყო (გარდა სტიპენდიისა) და ცხოვრობდა შვიდოთახიან ბინაში, ლეონიდასთან და მის მშობლებთან ერთად Claudio Cuellio-ს ქუჩაზე, მგონი მეოთხე სართულზე. ვლადიმერი მძიმე წონის, პროპორციულად დიდი, მართლაც წარმოსადეგი, ლამაზი კაცი იყო. უყვარდა სმა და ერთხელ, ჩემი და ირინეს დასწრებით იმ ზომამდის გამოიბრუჟა, რომ აივანზე დარგული ყვავილების ქუჩაში სროლა დაიწყო. მოკლედ, დიდი თუ პატარა მთავარი იყო, იყო ნამდვილი რუსი. ამის მიუხედავად, მას და ერეკლეს ფრანკო იმდენად დიდ პატივს სცემდა, რომ მათ ყოველ პარასკევს თავისთან ეპატიჟებოდა და სადილობის დროს ფრანკოს გვერდით ისხდნენ.

არც ერეკლე იყო მდიდარი და არც მისი მეუღლე, რადგან ფრანკოს მიერ მონარქიის გაუქმების შედეგად, ესპანეთის მეფეს ავტომატურად ჩამოერთვა

მთელი მისი ქონება, თუმცა, თავადაზნაურობას არაფრით უზარალია. ერეკლე ცხოვრობდა სერანოს ქუჩაზე (Calle Serano 154), თავისივე სახლში, მომცრო ბაღით, რომელსაც რკინის ღობე ერტყა. ჰქონდა ერთი ახალთახალი ავტომობილი Nash-ი, ჰყავდა ერთი მძღოლი და ორი მოსამსახურე. ერეკლე იყო მშვენიერი გამომეტყველების, მოგრძო სახით, შავი თვალწარბით და ჩვეულებრივზე ვიწრო პირით, მაღალი, პროპორციულად აგებული, არისტოკრატული შესახედაობის კეთილშობილი პიროვნება. წვრილი ხმისა და თუ შეიძლება ითქვას, უფრო ნაზი, ვიდრე ვაჟკაცური გამომეტყველების მქონე. მისი მეუღლე მერსედესი კი მომცრო ტანის, უაღრესად გამხდარი, ცხენის გამომეტყველებით – როგორც ყოველი ბურბონი, წაგრძელებული ნიკაპით და არაჩვეულებრივი ყბით – (ნახეთ ველასკესის მიერ დახატული ბურბონთა პორტრეტები), მაგრამ პირადად ნამდვილი ანგელოზი, დაბალი ხმით მეტყველი, ტკბილმოუბარი, უაღრესად გულკეთილი და თავმდაბალი. ერეკლეს ოჯახს კარგად ვიცნობდი, რადგან მის უფროს შვილს გიორგის, რომელსაც პაპის სახელი შეარქვეს, ქართულს ვასწავლიდი, თუ შეიძლება ამას სწავლა დაერქვას, რადგან გიორგი (Jorje) იყო ცელქი, ანცზე ანცი, დაუდეგარი, გამუდმებით გაქცევაზე და თამაშზე ეჭირა თვალი. გამისხლტებოდა და დაიმალებოდა ხოლმე ან კარადაში, ანდა ეზოში დარგულ მრავალ ბუჩქებში. რის შედეგად იწყებოდა ხორხეს ძებნა. სხვათა შორის, გიორგი შვილი იყო არა მერსედესის, არამედ პირველი, გარდაცვლილი იტალიელი ცოლის - მარია ანტუანეტა პასკვინის, რომელიც, თავის მხრივ, იტალიის ერთ-ერთი უმდიდრესი კაცის, ხელოვნებისა და კულტურის დიდი მეცენატის, სიცილიის რკინიგზების პატრონის შვილი იყო. ერეკლეს მეორე ცოლი - მარია ანტუანეტა პასკვინი (პირველი იყო მარია ბელიაევა) გარდაიცვალა 1944 წ. მერსედეს დე ბურბონთან ერეკლეს შეეძინა ბაგრატი 1949 წელს (ახლა ექიმი), უფრო ადრე, 1947 წ. მარია.

რომში გამგზავრება და კატაკომბების დათვალიერება ვია აპიაში

1950 წლის ზაფხულში, ესპანეთის მთავრობის სურვილით, ესპანეთის სამეცნიერო დაწესებულებებში მოღვაწე და იქ შეხიზნული უცხოელები, წაგვიყვანეს რომში იქაური კათოლიკური ეკლესია-მონასტრების დასათვალიერებლად. ამ სასიამოვნო მოვლენასთან დაკავშირებით, ერეკლე ბაგრატიონმა მითხრა, რომ მისი მეორე ცოლის – პასკვინის ნათესავებს ვწვეოდი და მისი წერილიც გადამეცა.

მეორე მსოფლიო ომისა და მისი შემდგომი სიძნელეების გამო, ჩემმა აფორიაქებულმა გონებამ ვერ გაითვალისწინა პასკვინებთან შეხვედრის მნიშვნელობა. მეგონა რომ ისინი ცხოვრობდნენ უბრალო ბინაში თუ სახლში, მაგრამ რომ მივუახლოვდი, დავინახე მაღალი და თვალუწვდენელი სიგრძის ქვითკირის ღობე, მშვენიერი ორნამენტებით მორთული ალაყაფის კარი და მის მიღმა თვალწარმტაცი, სუფთა, მრავალგვარი ყვავილ-ბუჩქნარით გამდიდრებული ბაღი. დეკორატიული ხეების მიღმა კი რამდენიმე შენობა. მივაკითხე მოხუც მეკარეს ეჭვით, რომ მისამართი შემეშალა. მან კი გაიღიმა და მხიარულად მომაძახა : „Avanti senior Vaktango, avanti“. როგორც მერე შევიტყვე, ერეკლეს თავისი გარდაცვალილი ცოლის ნათესავები გაეფრთხილებინა, რომ მე მათ ვესტუმრებოდი. მეკარემ ტელეფონით რაღაც წაილაპარაკა და გამიძღვა მშვენიერი კარიბჭით დამშვენებული, რენესანს-ბაროკოს სტილის უზარმაზარი

შენობისაკენ, რომლის დიდ, ღია კარში მელოდნენ ხელებაწეული, მომღიმარი და მშვენივრად ჩაცმული უფრო ხნიერი, ვიდრე ახალგაზრდა ბარიშნები და ორი შუახნის კაცი. ჟივილ-ხივილით შემომეგებნენ, გადამეხვივნენ როგორც ძველ მეგობარს, მხიარული შეძახილებით შემიძღვნენ სახლში, ჩემთვის გამზადებულ ოთახში. ამის შემხედვარეს, კინაღამ გული წამივიდა და პირი ისე გამიშრა, რომ არც კი ვიცოდი რას ვლუღლუღებდი. ჩემი ლათინურ-ესპანური და ორიოდე მინჯღრეული იტალიური სიტყვა, რომელიც, როგორც ჩანს ნაწილობრივ მაინც ესმოდათ – მათ მეტად ამხიარულებდა (პორტუგალიურის მსგავსად, იტალიური ენა უაღრესად ჰარმონიული, მრავალფეროვანი და მიმზიდველია. მისი ღირსება უფრო ძლიერდება მიმიკითა და ხელ-ფეხის მოძრაობით. ეს ჟესტიკულაცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით თხრობა. გერმანელების ან ინგლისელების მსგავსად, თუ ამ ჟესტიკულაციის გარეშე - მშრალად ანუ სპარტანულად იმეტყველეთ, თქვენი ნათქვამი ძნელად გასაგები იქნება, მაგრამ თუ ჟესტიკულაციას დაურთავთ, გრამატიკული და სტილისტური შეცდომებიც რომ გქონდეთ, თქვენს ნათქვამს ადვილად გაიგებენ). ჩემი ლექსიკურ-გრამატიკული შეცდომები, მათთან შედარებით ჩემი ჩამოძონძილ-გახეხილი სამოსელი, სხეულს ცეცხლის ალს უკიდებდა, რაც გაძლიერდა სადილობის დროს, როდესაც „pasta“ - გრძელი მაკარონის მსგავსი რამ მომართვეს, მას ,,შთანთქმის" განსაკუთრებული ცოდნა სჭირდება, რაც მე არ მქონდა და ყველაფერი ეს მათ მეგობრულ სიცილ-ხარხარს იწვევდა, მე კი ოფლში ვიღვრებოდი. ყველა ამ სიძნელეებს ემატებოდა ჩემი უმეცრება ამ საზოგადოების ეთიკეტისა. საუბარში, ყველაზე აქტიური იყო დიასახლისი, „major dome“, შუახანს ოდნავ გადაცილებული მშვენიერი, რუბენსის ტიპის ჩაპუტკუნებული ქალბატონი, ერეკლეს სიდედრი, რომელიც ჩემ სისუსტეს რომ ხედავდა ყურადღებას არ მაკლებდა.

ახლა ვხედავ, რომ ეს იყო მაღალ საფეხურებზე მდგარი არისტოკრატული საზოგადოება, უაღრესად მეგობრული, მეტად ხელგაშლილი და მრავალი ღირსებით შემკული, მაგრამ ფიზიკურად და გონებრივად გარემოსაგან განმხოლოებული, რომელსაც მსოფლიოს ვაგლახი მდგომარეობა არ ეკარებოდა და ცხოვრების არსს თუ მიზეზს - ბედნიერებას - სიამოვნებაში ჰპოვებდნენ.

დიასახლისმა დამათვალიერებინა თავის წინაპრების მიერ შეგროვილი, ღირსეულ ხელოვანთა მიერ შექმნილი მართლაც აუარებელი სკულპტურა, ნახატი და საუცხოო ნუმიზმატური კოლექცია. ვუთხარი: „თქვენ ბედნიერები ხართ, რომ მუზეუმში სიარული არ გჭირდებათ, რადგან მუზეუმში ცხოვრობთ“. „Vero, vero“ მომიგო და დასძინა, რომ სახლის ქვეშ არის ვია აპიას კატაკომბების განშტოება და თავისი მამულიდან შეიძლება შიგ ჩასვლა.

ერთხელ, ბატონმა გიორგი ჩუბინიშვილმა იკონოგრაფიის შესახებ საუბრის დროს ახსენა კატაკომბები. არცერთ ჩვენთაგანს სრული წარმოდგენა არ გააჩნდა ამ არაჩვეულებრივი ძეგლის შესახებ. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ფრაიბურგის უნივერსიტეტში, იოსებ ზაუერის ლექციას „Tafel malerei in Bohmen und Hähren“ ვისმენდი, შესაძლებლობა მომეცა, იმავე უნივერსიტეტის განსვენებული პროფესორის ვილპერტის მონუმენტური შრომები შემესწავლა კატაკომბების შესახებ. ახლა კი მოულოდნელად ფრიად სასიამოვნო შემთხვევა მომეცა, Via Appia-ს მიდამოებში განლაგებული კატაკომბები, მათი აღნაგობა და მხატვრობა in city-ში ე.ი. ადგილზე შემესწავლა.

სამწუხაროდ, კაცმა არ იცის ეს ტოპოგრაფიული ტერმინი დანამდვილე-

ბით რას ნიშნავს. მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია კატაკომბების არსი. შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ კატაკომბები, ქრისტიანების (და ნაწილობრივ ებრაელების) სასაფლაოა: სართულებად განლაგებული მიწისქვეშა დერეფნები, რომელთა ორივე მხარეს გაჭრილია ჰორიზონტული თახჩები, რომლებშიც ქრისტიანი მიცვალებულები საბოლოო ბინას პოულობდნენ. ამ თახჩების ზომები ერთგვარია: სიგრძე 2 მეტრი, სიგანე 0.40(?) და სიღრმე 0.60 მეტრი. მიცვალებულის ჩასვენების შემდეგ თახჩა იხურებოდა მონოლითური მარმარილოს ან კირქვის ფილით მოკლე წარწერით: მიცვალებულის სახელი, მისი ხელობა ან თანამდებობა, გზის დალოცვის ფორმულით მაგ. Faustina ibas in pace ე.ი. ღმერთმა გაუკვლიოს გზა სამშვიდობოში, ფაუსტინა მიდის მარადიულ სამშვიდობოშო. ზოგჯერ წარწერას ერთვის მარმარილოზე ამოკაწრული მცენარე, ან ქრისტიანული რელიგიის რაიმე სიმბოლო: ალფა და ომეგა, ან ღუზა. მიცვალებულს ჩატანებული აქვს თიხის უბრალო ლამფა (საიქიოში გზის გასაკვლევად) ფული, საიქიოს მდინარეზე გადასვლის გადასახადი. ამ ფულის ნაწილი მეორე საუკუნისაა, რაც საშუალებას იძლევა კატაკომბების დათარიღებისათვის. გარდა ამ თახჩებისა (loculus), გვირაბის განშტოებებში გაჭრილია ოთხკუთხედი ოთახებიც (cubucula), სამ გვერდზე გაჭრილი და ნახევარწრიული თაღებიანი თახჩები მიცვალებულის დასასვენებლად. ეს კუბიკულები ზოგჯერ ერთი ოჯახის წევრთა საკუთრება იყო, ხოლო მისი კედლები ქრისტიანული თემებით მოხატული. აშკარაა, კუბიკულები ქონებრივად უფრო შემძლე პიროვნებებს ეკუთვნოდა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ ზოგიერთ თახჩაში (arcosolium) სარკოფაგებიც კი იყო ჩადგმული. ყველა კატაკომბა (და სასაფლაო) პროფილაქტიკური დაცვის გამო, ქალაქის ზღუდის გარეთ იყო განლაგებული. მათი რიცხვი 50-ს აღწევს და კატაკომბების გვირაბების საერთო სიგრძე, ზოგი მოუთმენელი მეცნიერის გამოანგარიშებით, 1600 კილომეტრია.

კატაკომბების საჭიროება, მრავალი მიზეზით დასტურდება: სასაფლაო მიწების ფასი რომში ძვირი იყო, ქრისტიანთა ჯგუფები კი ღარიბი, ამიტომ მათთვის კატაკომბებში დასაფლავება ფინანსურად ხელსაყრელი იქნებოდა. კატაკომბებში მათ შეეძლოთ უშიშრად ლოცვა და ქრისტიანული სულისკვეთების გამომჟღავნება. რაც მთავარია, რომის სასაფლაოები წარმართული ღმერთებისადმი იყო მიძღვნილი და მიცვალებულისათვის წარმართული ღმერთის საკურთხეველზე მსხვერპლის შეწირვა აუცილებელი იყო, რაც ქრისტიანების რწმენას ეწინააღმდეგებოდა. წარმართები მიცვალებულებს წვავდნენ, ქრისტიანები კი ასაფლავებდნენ, რადგან ქრისტეს მეორედ მოსვლის და მკვდრეთით აღდგომისათვის საჭირო იყო ჩონჩხი, რომელსაც ხორცი შეესხმებოდა. მეორე-მეოთხე საუკუნეებში, კატაკომბებში ასაფლავებდნენ უმეტესად, ქრისტიანული რწმენისთვის წამებულებს, მაგრამ კონსტანტინე დიდის მიერ ქრისტიანული რელიგიის ლეგალიზაციის მიუხედავად, კატაკომბებში დასაფლავება გრძელდებოდა თითქმის მეცხრე საუკუნემდე, რადგან ქრისტიანები ცდილობდნენ პირველ წამებულთა სიახლოვეს დასაფლავებას, რადგან პირველწამებულნი სამოთხეში შესვლისთვის საუკეთესო მეოხად ითვლებოდნენ.

გამაკვირვა ხატვის სტილის ნაირგვარობამ, რაც სკულპტურის მსგავსად წარმართულიდან ქრისტიანულ ხანაში გარდამავალი საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანი უნდა იყოს. ქრისტიანობას ქრისტიანი მხატვრობის სტილი არ გაუჩენია. კატაკომბების მხატვრები შეიძლება ყოფილიყვნენ

წარმართები, რომლებიც წარმართებისა და ქრისტიანებისათვისაც მუშაობდნენ. წარმართი თუ ქრისტიანი, რასაც ეტყვი, დაგიხატავს. მსგავსად მეწაღისა, რომელსაც არ აინტერესებს შენი რწმენა, შეგიკერავს შენთვის სასურველ წაღებს. როგორც ჩანს, ადრე ქრისტიანულ ხანაში, ქრისტიანული შინაარსის თემები და მხატვრობის სტილი ჯერ არ იყო შემუშავებული.

მეოთხე საუკუნით დათარიღებულ მხატვრობაში, ანტიკური მხატვრობის სიცხოველე ჯერ კიდევ არ დაკარგულა, მაგრამ ეს სიცხოველე მიღმა სამყაროს შუქით არის განათებული და მშვენიერება არა ხორციელი, არამედ უფრო სულიერი ხასიათისაა. მსგავსად კონსტანტინე დიდის ტრიუმფალური თაღის რელიეფისა რომში და წმინდა კონსტანცას ეკლესიის მოზაიკებისა, ადამიანთა გამოსახულებები კარგავენ პიროვნულ ნიშნებს და უფრო სტანდარტული ანუ ერთგვაროვანი ხდებიან. აქ უმეტესად დახატულია ლაზარეს აღდგინება, დანიელი რომის ხაროში, ფარშავანგები, იონას შთანთქმა ვეშაპის მიერ და მისი გამოსვლა ვეშაპის მუცლიდან, მოსე კვერთხის კლდეზე ცემით წყალს ამოაფრქვევს. ღმერთი გამოსახული არ არის, მაგრამ ყველა ამ თემის შინაარსია ღმრთის მიერ ადამიანთა ხსნა. ეს იყო მთავარი ელემენტი ქრისტეს რელიგიისა, რომელიც მის მიმდევრებს სიკვდილიდან იხსნის. მაგრამ კატაკომბების მხატვრობაში ვხვდებით აგრეთვე ქრისტიანულად გააზრებულ წარმართულ თემებსაც: ერეკლე პესპერიდების ბაღში იპარავს ოქროს ვაშლებს. ერეკლეს ქვესკნელიდან ამოჰყავს ალსესტე.

აი, ამ სურათებით არიან შემკული კატაკომბებში ჩასვენებული ათასები: ღარიბები და მდიდრები, წამებულნი და მოქალაქეები, მატრონები და ქალწულები, ბავშვები და მოხუცები. სურათები, რომელთა შინაარსიც ყოველი ადამიანისათვის ადვილი გასაგებია: რომ ყოველი მიცვალებულისათვის ზეცა და მისი ანგელოზები ღიაა და მათ მიღებას ესალმებიან. ეს არის საიქიო, რომლისაკენაც ხელებაწეული მავედრებელი მიცვალებულნი ისწრაფიან შიგ რომ შევიდნენ, რათა დაუოკებელი ვედრებით ზეცის შემყურენი, ანგელოზების სამყაროში მარადიული ცხოვრების ღირსნი იქნებიან.

სათქმელი გამიგრძელდა. რომში ორი კვირით ყოფნის დროს მოვიარეთ ეკლესია-მონასტრები, მუზეუმები და რა თქმა უნდა, თვით წმინდა პეტრეს ტაძარი მიქელანჯელოს მიერ მოხატული Stanza della Signotura-თი. გამაოცა აგრეთვე მიქელანჯელოს ბიბლიური მოსეს სკულპტურამ, რომელიც რომის პაპის იულიუს მეორის სასაფლაოს დაუმთავრებელი ძეგლის ნაწილია და San Petro de Vincoli-სში ინახება. ეს ძეგლი სარწმუნო დასტურია იმისა, რომ მიქელანჯელო, მიუხედავად მისი სწორუპოვარი მხატვრობისა, უფრო სკულპტორია, ვიდრე მხატვარი. დიდხანს ვაკვირდებოდი მიქელანჯელოს "Pieta"-ს წმინდა პეტრეს ტაძარში და გაოცებული ვიყავი ქრისტეს და დედამისის - მარიამის დაუძაბავი ორგანული შერწყმით და ღვთიური გრძნობით, რაც ამ ძეგლიდან გამოსჭვივის. მომაგონდა ვაზარის თქმა, რომ მიქელანჯელო, თავისი სკულპტურების დამთავრებისთანავე, მოიწვევდა მისი ბავშვობის ამხანაგ უბრალო გლეხებს და ეკითხებოდა როგორ მოეწონათ ესა თუ ის სკულპტურა. როდესაც მიქელანჯელომ Pieta დაამთავრა, მოიწვია იგივე ბავშობის ამხანაგ-ები და ჩვეულებისამებრ სთხოვა თავისი ნაშრომის შეფასება. ერთმა მათგანმა ახედ-დახედა მარმარილოს სკულპტურას და მიქელანჯელოს მიუგო: „დიდი არაფერი, ამისთანა სკულპტურას მეც გავაკეთებდიო". მიქელანჯელომ ამის გაგონებაზე გაიხარა: - ჩემი სკულპტურა იმდენად თვითმყოფადი, სრულქმნილი და დამაჯერებელია, რომ მას ყოველი ადამიანი ძერწავსო.

უადგილო არ იქნება, აქ ორიოდ სიტყვით მადრიდის ქართველთა კოლონიის წევრები დავახასიათო. მადრიდში ოცდახუთამდე ქართველი იყო, შეიძლება მეტიც. მათი დიდი ნაწილი ერთმანეთს ეკლესიაში, სამაწვნეში, ან უფრო იშვიათად, ერეკლე ბაგრატიონთან ხვდებოდა. ჩვენ გვქონდა ქართველების ეკლესია, რომლის მრევლი ქართველთა გარდა იყვნენ რუსები, სერბიელები და რუმინელები, აღსანიშნავია, რუმინეთიდან გამოძევებული მეფე სჯმეონი დედით და ამალით. ჩვენი მღვდელი იყო ჩასუქებული და ლამაზი გამომეტყველების პიროვნება, გვარად ინგილო, რომელმაც ღვთისმეტყველების განათლება რომში მიიღო. ინგილო იყო პოლიტიკურ საქმეებში ჩაბმული, კალამიც უჭრიდა და ორატორული ნიჭიც ჰქონდა. აღარ მახსოვს თუ რომელ პარტიას ეკუთვნოდა (ეროვნულ-დემოკრატიულს?). ჩვენი ეკლესია ერთსართულიან სახლში, კერძო იყო. ერთსა და იმავე ლიტურგიის დროს, ის სწირავდა რუსულად, ბერძნულად და ქართულად. ხშირად, რუსულ ან ბერძნულზე წირვის დროს, ქართველების მიმართ ქართულ ენაზე საყვედურებსაც ჩაურევდა ხოლმე: „რა ყურუმსაღები ხართ ეს ქართველები, რომ ჩვენს ეკლესიაშიც კი არ დადიხართ, Боже помилуй, Боже помилуй“. ხშირად თანამემამულეების გასაკიცხად უშვერ სიტყვებსაც არ ერიდებოდა. ლიტურგიის პროცესში დიაკვნის თანამშრომლობა მაინც საჭიროა. და აი, ივანიცკი-ინგილო ბერლინში მოღვაწე საღირაშვილს იცნობდა, რომლის შვილი – შოთა, მადრიდში იყო და ეკლესიაშიც დადიოდა. ინგილომ გადაწყვიტა შოთას დიაკვნად კურთხევა, იმისდა მიუხედავად, რომ შოთა ბერლინში დაიბადა და მხოლოდ მიღრეჯ-მოღრეჯილი ქართულით შეეძლო მეტყველება. მას დიაკვნობა დააკისრა ალბათ იმიტომაც, რომ სხვას არავის სურდა ამ ფუნქციის შესრულება. გალობს გულდამწვარი ინგილო: „ .....“და ამას შოთამ თავისი სქელი ტუჩებით უნდა მიაყოლოს ავერექსები „ .....“ გაწითლებული სახით და ნერვებადუღებული ინგილო ყურს უწევს შოთას და ამბობს: “შე ტრიკიანოოოო შეგვეციიიე კი არა, შეგვეწიე, ღმერთო შეგვიწყალე, Господи помилуй, Господи помилуй“. შოთას დავთრები ერევა, ინგილო კი ლოცვას ისე განაგრძობს, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოს. ყველანი კმაყოფილნი არიან, ყურაწითლებული შოთას ჩათვლით... ამგვარი კომედიები იშვიათი არ ყოფილა და ყველანი თავისებურად კმაყოფილნი იყვნენ...

ამ საბრალო ეკლესიას დიდხანს ცხოვრება არ ეწერა, რადგან იგი დაფინანსებული იყო ერეკლე ბატონიშვილის მიერ იმ პირობით, რომ ივანიცკი-ინგილო ერეკლე ბატონიშვილს მოიხსენიებდა ხოლმე ლიტურგიაში. ინგილომ მისი მოხსენება ლიტურგიაში, როგორც საქართველოს ტახტის მემკვიდრისა, არ ინება. ერეკლემ ეკლესიას სახსარი გაუუქმა და ქართული პოლიგლოტური ეკლესია დაიკეტა.

ეკლესიაში დადიოდნენ საინტერესო პირები, თავის სამშობლოდან გამოძევებული რუმინეთის და იუგოსლავიის მეფეები ოჯახობით, რომლებიც ერეკლეს მეგობრობდნენ, ქართველებიც; ყველას სახელი არ მახსოვს, მაგრამ მათი გამომეტყველება და მოქმედება მეხსიერებაში ჩამებეჭდა. ერთი მათგანი იყო გამხდარი და მთელი ცხოვრების განმავლობაში განდეგილი, უკარება. იგი დიდი ხანია ესპანეთის არმიაში მსახურობდა, მიაღწია მაიორის ჩინამდე და ერთადერთი სიამოვნება მისთვის შაბათ-კვირას თუ პარასკევ-კვირას ვიღაც მატრონასთან სიარული და ხვევნა-კოცნა მტლაშა-მტლუში იყო. პარასკევ

საღამოს, საპარადო ტანსაცმელში გამოიწკიპებოდა, წვერს გაიპარსავდა, ბლომად „პუდრს“ დაიყრიდა (რაც მადრიდში მაშინ მოდაში იყო), რაღაც სუნამოს მოისხურებდა, იღლიაში ნახევარწრიულად ამოჭრილ ფიცარს ამოიდებდა და თავის დულსინეასთან თუ კახპასთან გასწევდა ხოლმე. ერთხელ ვერ მოვითმინე და ვკითხე, რატომ მიათრევდა იღლიაში ამოჩრილ ფიცარს. მან სერიოზულად შემომხედა და მიპასუხა: „თქვენ განათლებული ყმაწვილი ბრძანდებით და როგორ არ იცით, რომ ეს ხელსაწყოა და არა ფიცარი, ჩექმების გასახდელია, ნუთუ თქვენთან არ ხმარობენ ამ ხელსაწყოს?“ მე მივუგე: „არა ბატონო, ასეთი რთული ხელსაწყოსი ჩვენთან არა გაეგებათ რა, ამიტომ ლოგინში ჩექმების გაუხდელად წვებიან“. „მეც ასე მეგონა“, დაცინვით მიპასუხა და დასძინა: „თქვენ საბჭოელები (ე.ი. საბჭოთა კავშირის მოქალაქეები) ჩამორჩენილი ხართ“. მშვენივრად გამოჭრილ-შეკერილი სამხედრო ფორმა მართლაც შთამბეჭდავი იყო, თუმცა, ვერც ფორმა და ვერც ჩექმები მის მომცრო სხეულს და მაკარონისებრ წვრილ ფეხებს, რაინდობის ელფერს ვერ მატებდა. მაინც მამაცურად ნიკაპი მაღლა ასწია და თეატრალური სიამაყით ფიცარამოჩრილმა თავის „ნაშასთან“ გასწია. სხვათა შორის ამ მაიორის ასავალ-დასავალი არცერთმა ქართველმა არ იცოდა, გარდა იმისა, რომ იყო ყველა ქართველზე ძველი ემიგრანტი და არცერთ ქართველთან არ მეგობრობდა. საინტერესო და ინფორმაციულია ითქვას ისიც, რომ ჩემი ესპანეთში ყოფნის დროს, ესპანეთის მხედრების ჯამაგირი უაღრესად დაბალი იყო, ამიტომ მათ (მსგავსად ჰუმანისტებისა) „შეთავსებით“ ორი-სამი სხვა სამსახურიც ჰქონდათ; ზოგნი ტაქსის მძღოლებად მუშაობდნენ, ზოგნი ფეხსამოსს კერავდნენ.

პოლიტიკური საქმიანობის მხრივ ყველაზე საინტერესო და მძიმე წონის პიროვნება იყო გამჭრიახი გონებისა და პირადად მართლაც უმწიკვლო ალექსანდრე ასათიანი, რომელიც მამა რაფაელ ინგილოს მსგავსად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენელი და მგონი, ერთ დროს მისი ლიდერიც კი იყო. ბატონი ალექსანდრე უაღრესად პატიოსანი იყო, რაც მან განსაცდელში და მძიმე დღეებშიც კი უმანკოდ შეინარჩუნა. ის იყო აგრეთვე სავსებით უსახსრო, ერთი ნაცრისფერი ნაწილობრივ გაქონილი კოსტუმის მეტი არფერი გააჩნდა; სისუფთავის დიდი მოყვარული იყო და ამ კოსტუმს ხელის გადასმით წამდაუწუმ წმენდდა, რაც ცხიმიან ადგილებს კიდევ უფრო აპრიალებდა. ხშირად ფიქრებში იყო გართული, სიარულით და მოქმედებით ნელი, ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა და კარგი მსმენელი იყო. ყველაზედ ხშირად ხმარობდა გამოთქმას: „ასეთი არის ჩვენი ცხოვრება“. სასადილოდ დადიოდა მამა რაფაელ ინგილოსთან, რომელიც არა მხოლოდ მისი თანამოაზრე, არამედ ჩინებული მზარეული და გემრიელი, შემარგი სმა-ჭამის შემძლე. ბატონი ალექსანდრე ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე პავლე ციციშვილს, რომელსაც სამაწვნე ჰქონდა. ეს სამაწვნე, რომლის გვერდით პავლეს ბინა იყო, ნამდვილ სასტუმროდ და სამასლაათოდ იყო ქცეული. პავლე, რომლის სახელითაც, როგორც მისი ნათესავი, მე ტყვეობიდან გამომიყვანეს, საფრანგეთიდან (პარიზიდან) თავისი საყვარლებით მადრიდში ჩამოვიდა. ტიპიური ქართლელი თავადიშვილი იყო, ერთ დროს, საფრანგეთსა და ინგლისში მაღალ არისტოკრატულ წრეებში ტრიალებდა. ფიზიკურად მეტისმეტად სუფთა, ტანს დღეში ორჯერ იბანდა, რის გამოც ვაბრაზებდით: „ნუთუ ისეთი ბინძური ხარ, რომ ტანის დღეში ორჯერ დაბანა ძლივს გყოფნის?“ რაზედაც გვპასუხობდა: „თქვენ საბჭოთა ბარბაროსები ხართ და სისუფთავეზე წარმოდგენა არა გაქვთ“-ო. რაც ნაწილობრივ მაინც,

მართალი იყო. პავლეს ჰქონდა ჩინებული გემოვნება და თავშეკავებულად თუ კონსერვატიულად, მართლად გემოვნებით და სუფთად იმოსებოდა. ისევ ბატონ ალექსანდრეს რომ დავუბრუნდეთ, უნდა ითქვას, რომ მადრიდში თავზესაყრელადაა საროსკიპოები; უმეტესად ოთხი-ექვსი კახპა დაიქირავებს ერთ პატარა სახლს და თავის საქმეს იწყებენ. საღამოზე გაიპრანჭებოდნენ, შეიპუდრებოდნენ, შეიღებებოდნენ, სუნამოს შეისხურებდნენ, მოჭიკჭიკენი გამოვიდოდნენ აივნებზე, გამოალაგებდნენ თითქმის გაღიავებულ ჯიქნებს აივნების მოაჯირებზე და გამვლელ-გამომვლელებს თავისთან ეპატიჟებოდნენ. ალექსანდრემ ერთხელ მითხრა: "ვახტანგ, ვერ წარმოიდგენ როგორ პატივს მცემენ ჩემი მეზობლები; სახლიდან ეკლესიაში რომ მოვდივარ ეს მშვენიერი მეზობლები ფანჯრებიდან და აივნებიდან გულითადად მეგებებიან და თავისთან მეპატიჟებიან; აგრეთვე ჩემი მდგომარეობაც აინტერესებთ, მკითხავენ „Como estas Senior Professor", „Buenos tardes Senior Professor"...

ისევ სამაწვნეს რომ დავუბრუნდეთ, ეს იყო არა მხოლოდ სამაწვნე, არამედ ნამდვილი რესტორანი, ქართველთა და კავკასიელთა თავშესაფარი. ყველა ქართველს და მონათესავეს, როცა მოეპრიანებოდათ, შეეძლო იქ შესვლა და დაპურება. სამაწვნეს ხშირი სტუმარი იყო კაჯარი, სპარსი კაჯარიდების გადმოკარგული მთავარი. აგრეთვე ვაჩნაძე, რომელიც ერეკლე ბაგრატიონმა პარიზიდან ჩამოიყვანა და ერთი მდიდარი ესპანელის გემის კაპიტნად(?) დანიშნა, თუმცა ის ზღვაზე იშვიათად მიდიოდა. არ უნდა დავივიწყო აგრეთვე დაბალი ტანის, ჩაფსკვნილი გოგი ჯაყელი, რომელიც ნამდვილი ყაჩაღი იყო და სამაწვნის სალაროდან ფულსაც კი იღებდა. ამ დღენაკლულ, მაგრამ დასაწყისში წარმატებულ სამაწვნეში, თანდათანობით გასავალი შემოსავალს ჭარბობდა, რის გამოც სამაწვნემ ორიოდ წლის შემდეგ ჭირი მოგვჭამა. მაგრამ პავლეს, ფრანგმა საყვარელმა, ფრანკოს გამზირზე (სიბელესთან), კარგ სავაჭრო ადგილზე, მამაკაცების ძვირფასი ტანისამოსის მაღაზია გაუხსნა. ეს იყო უაღრესად დახვეწილი გემოვნების სანიმუშო მაღაზია, სადაც მაწონს არ მიირთმევდნენ, მაგრამ მაღაზიის სარდაფში კაჯარი გემრიელ სპარსულ ფლავს აკეთებდა. სხვათა შორის მსურს დავძინო, რომ ახალთახალ სამაწვნის შენობის მთელი მესამე სართულის დიდი ბინა ირაკლი ზალდასტანიშვილს ეჭირა. ეს იყო პარიზიდან ჩამოსული მშვენიერი შესახედავი, „ვაჟკაცური" იერის მქონე, ხმელი, 40-ოდე წლის ყმაწვილი, სათნო, თვალწარმტაცი ჩერქეზი ცოლით, რომელსაც ერეკლე ბარბაროსულად ექცეოდა და ცემა-ტყეპასაც არ აკლებდა. ეს ჩერქეზი ქალი საქმიანობდა: ყიდულობდა იაპონურ მძიმე აბრეშუმს, მისგან კერავდა თავსახვევებს (ხილაბანდი?), „იუბკებს", კაცების ყელსახვევებსაც კი. ანილინის საღებავებით მასზე ხატავდა გეომეტრიულ ან ფიგურალურ მოტივებს და ძვირფას მაღაზიებში ყიდდა (ჩემს მეუღლეს - ირინეს ვუყიდე რამდენიმე თავსაფარი და ქვედატანი, რომელზეც გოდრებგადაკიდებული შავი ვირები და გოდრებში მოთავსებული მრავალფეროვანი ყვავილები იყო დახატული). საქმე კარგად მიუდიოდათ, მაგრამ მერე როგორღაც გაკოტრდნენ და ბრაზილიაში სან-პაულუში გადაიხვეწნენ.

მადრიდში ნაწილობრივ ცხოვრობდა შალვა ბერიძე და მისი მშვენიერი ქალიშვილი თუ ძმიშვილი. ბერიძე იყო მეტად შეძლებული კაცი, განათლებით გეოლოგი და აფრიკაში ჰქონდა სამთამადნო წარმოება... არ შეიძლება გვერდი ავუარო თავად ფრიდონ წულუკიძეს და მის შვილს თეიმურაზს, რომელნიც უნიკალურ, საშუალო საუკუნეებში მცხოვრებ პირებს მოგაგონებდნენ

(თეიმურაზი პარიზში დაიბადა დედა ადრე გარდაეცვალა (ამირაჯიბი?). ერთხელ თურმე ატირდა: ,,ძუძუ მინდა, ძუძუ მინდა”-ო; ფრიდონმა თავში წამოარტყა და უთხრა: ,, ნუ ტირი, ძუძუ მეც მინდა, მაგრამ ვერ ვშოულობ”-ო). ფრიდონი საკმაოდ დაბალი და შეიძლება ითქვას ჩაფსკვნილი კაცი იყო, მაგრამ ჰქონდა მშვენივრად გამოკვეთილი არწივისებური სახე, შემართებული ბუნების გახლდათ; ამბობდა, რომ გენერალი იყო, რასაც სხვები ეჭვობდნენ, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს სამხედრო სამსახურში იყო; ქართველთა ლეგიონში და ბერლინის ე.წ. Verbindung Schtab-ში, თავმოყრილი იყვნენ გერმანიის სახელმწიფოსთან მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსები და სხვადასხვა სახით თანამშრომელნი. ფრიდონს კარგად ვიცნობდი, რადგან ის ხშირად თავს იპატიჟებდა და ჩემთან ლობიოს ან შემწვარი ხორცის საჭმელად მოდიოდა. რასაკვირველია, ვსაუბრობდით ხოლმე. მეკამათებოდა რაღაც „ქვის ხანის“ არგუმენტებით, რომ საქართველოში პირველი ღამის პრივილეგია უნდა შემოვიღოთო. ერთხელ გულუბრყვილოდ ვკითხე, თუ რა თანამდებობა ან ხელობა ჰქონდა, რას აკეთებდა. ამ შეკითხვის გამო გამიბრაზდა და მომახალა: „მე ვირი ხომ არა ვარ ვიმუშავო, თავადიშვილი ვარ“-ო. ამაზე მივუგე: „თუ ასეა, იცოდე, რომ მე ვმუშაობ და ლობიოს საჭმელად ნუღარ მესტუმრები“. მაინც არ მომეშვა, ალბათ ჩემი გემრიელი ლობიო იზიდავდა. მიუხედავად ჩემი პატივისცემისა, ცუდი – ვიტყოდი ბოროტი – საქმე გამიკეთა: პარიზში თეოსთან რომანის ჩაფლავების შემდეგ, ვიქტორ ნოზაძემ განაგრძო თავისი „მაჭანკლობა“; მას ბუენოს აირესში (არგენტინა) ყავდა კარგი მეგობარი, მეცენატი ავთანდილ მერაბიშვილი, რომელმაც პოლიტიკური უთანხმოების გამო მოკლა ვინმე ვეშაპელი და ამის გამო არგენტინაში გადაიკარგა. იქ მან საქმეები წამოიწყო და გამდიდრდა. მას ჰყოლია სამი(?) ქალიშვილი და ესპანური ენის მცოდნე ქართველი სასიძოს ძებნაში მომადგნენ მე. ჯერ უნდა წავსულიყავი ბუენოს აირესში, ალბათ „გასასინჯად“ და მერე თუ მომიწონებდნენ სამუდამოდ უნდა გადავსახლებულიყავი. ავთანდილის წერილები ფრიდონს ჩემთან წაუკითხავს და ჩემს შესახებ ავთანდილისთვის ბოროტებით აღსავსე წერილები მიუწერია. ამის გამო არგენტინაში გამგზავრების გეგმა ჩაიშალა, თუმცა, იქ გამგზავრებას მართლაც არ ვაპირობდი. ფრიდონს ჰყავდა ერთი წირპლიანი უშნო მოსამსა-ხურე, რომელიც დააორსულა; ეყოლა ქალიშვილი, მართლაც მშვენიერი გოგონა მამამისის გამომეტყველებით. ახლა ეს გოგონა ორმოც წელს არის გადაცილე-ბული და როგორც „პრინცესა“ დიდ ამბავშია.... ფრიდონის შვილი - თეიმურაზი საშუალო საუკუნეების ე.წ. რაინდული იდეალების მოძღვრებაში, მამას არ ჩამორჩებოდა და თანაც ღვინის მოყვარული იყო. რეპუტაციის ასამაღლებლად სამხრეთ ამერიკის მდიდარი მემამულეები და ,,ინდუსტრიალისტები” ხშირად ჩამოდიოდნენ მადრიდში ტიტულოვანი სიძეების მოსაპოვებლად. ესპანელები იყვნენ გაღარიბებულნი, მაგრამ ტიტულების მქონენი. სამხრეთ ამერიკელები კი პირიქით: გამდიდრებულნი, მაგრამ უტიტულონი. ერეკლე ბაგრატიონი ამ ტიტულების მაძებრებს კარგად იცნობდა და ერთ მათგანს უთხრა, რომ მას ერთი ქართველი „პრინცი“ ეგულება, რომლის შეუღლებაც ამ სამხრეთ ამერიკელის ქალიშვილთან კარგ შედეგს მოიტანსო. მართლაც ამ ჩაპუტკუნებულმა, ფრანგულის და ესპანურის ჩინებულად მცოდნე, ნაკითხმა თეიმურაზმა ეს გოგო როგორღაც გააბრუა, რის გამოც მამამისმა თეიმურაზს ცუდი სიტყვებით მიმართა. დროთა სრბოლაში ეს უხამსობა თითქოს დავიწყებას მიეცა, თუმცა, თეიმურაზს ეს დამცირება გულში ღრმად ჩაჰყოლოდა და როდესაც დადგა

„ნიშნობის“ დღე, ამ კოპწია პატარძლის მამამ, მადრიდის საუკეთესო ოტელ „რიც“-ში გამართა ვახშამი, რომელსაც დაესწრნენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ ესპანეთის არისტოკრატია. სახეგაბრწყინებული ერეკლე უაღრესად მხიარული იყო თავისი მაჭანკლობის წარმატებით, რომ თეიმურაზი როგორც იქნა გაასაღა. წვეულებაზე გამოცხადდა აგრეთვე თვით თეიმურაზი, რომელიც ნათხოვარ სმოკინგში იყო გამოწყობილი. ბარბაცით მივიდა მაგიდასთან, აიღო დიდი დანა, მოიჭრა ნეკი თითის ნაწილი, შეახვია აბრეშუმის ცხვირსახოცში და მიართვა გაოცებულ „პატარძალს“ სიტყვებით: „შენ ჩემი ნეკის ღირსიც არა ხარ“. ეს ექსცენტრული, ირაციონალური მოქმედება მართლაც დაუჯერებელია, მაგრამ ტიპიური და შესაფერისი წულუკიძის მამა-შვილისათვის. ამის შემხედვარე გაფითრებულ ერეკლეს კინაღამ გული წაუვიდა. ვახშამი ჩაიშალა. ამ ამბავს თეიმურაზი არ შეუწუხებია, დაუბრკოლებლად განაგრძო ლოთობა. დაუახლოვდა ტიტე მარგველიშვილის ქალიშვილს და მას დაუწყო ნერვების მოშლა (ბატონი ტიტე ბერლინში ცხოვრობდა და როგორც ყველა ქართველი ემიგრანტი, პოლიტიკურ საქმეებში იყო გაბმული. მას დოქტორის ხარისხი ჰქონდა და შალვა ნუცუბიძის ძველი მეგობარი იყო. შალვამ ტიტე და მისი ვაჟი საქართველოში ჩაიყვანა, მაგრამ ტიტე ,,გააქრეს", ხოლო მისი შვილი, რომელსაც თბილისში შევხვდი, ფილოსოფიას მისდევდა წარმატებით და ნიჭიერიც იყო. სხვათა შორის, ტიტესთან დაკავშირებით ერთი საოცარი ამბავი შემემთხვა - მადრიდის ბუკინისტებში წავაწყდი ტიტეს ნაქონ ორიოდე წიგნს და... ვიყიდე).

შოთა საღირაშვილი მომიყვა ერთ საინტერესო ამბავს, რაც ესპანეთში ჩემს ჩასვლამდე მომხდარა თურმე. „ერთხელ იეზუიტებმა, განათლების საქმეში ჩაბმული ემიგრანტები, მათი განმანათლებლის, მოციქულ იაკობის დღესასწაულზე, იაკობის საპატივცემულოდ აშენებულ მონასტერში სან-დიეგოს კომპოსტელაში წაგვიყვანეს. ამ წვეულების მიზეზი იყო არა „სმა-ჭამა დიდად შესარგი“, არამედ დღე-ღამე ლოცვა და გვემა და იმ აგონიის ფიზიკურად განცდა, რაც ქრისტეს და მიმდევარ მოციქულებს გადახდათ თავს. ამ მიზნის მისაღწევად, ბერების მიერ მორთმული ტაბლა უაღრესად მჭლე იყო და ღვინოც შესატყვისად, მეტისმეტად მოზომილი. არც ერთი და არც მეორე, ქართველების ბუნებას არ ეგუებოდა. ამიტომ კომპოსტელაში თან წავიღეთ ჭადრაკი და როდესაც სხვები ცრემლმორეულნი ლოცვის ექსტაზში იყვნენ გაბმულნი, მე და ჩემზე ათიოდ წლით უმცროსი თეიმურაზი ჭადრაკის აზარტში ვიყავით. ერთ დღეს ბერებმა მკითხეს თუ სად არის „პრინციპე თეიმურაზიო“, ის არც ჩემთან მოვიდა ჭადრაკის სათამაშოდ. ვგრძნობდი, რომ რაღაც უსიამოვნება დაგვატყდა თავს. დავუწყეთ „თეიმურაზიოს“ ძებნა. შეშფოთებული ბერები აქეთ-იქით ჩქარი, საქმიანი ნაბიჯით მიდი-მოდიან და ეძებენ უეცრად დაკარგულ „პრინციპე თეიმურაზიოს“. დიდი ალიაქოთის შემდეგ, ბერებმა მიაგნეს ღორის ქონში ამოსვრილ-ამყრალებულ თეიმურაზს. მათივე თქმით, მან ყნოსვით სარდაფში მიაგნო მარანს, ღვინის კასრებს; შიგ შეძვრა და დაიწყო ღვინის სმა დათრობამდის. მიმზიდველი ხერესის ღვინით გაბუჟული, როდესაც სარდაფიდან გარეთ გამოდიოდა, სიბნელეში ფეხი რაღაცას წამოკრა, წაიბორძიკა და გამდნარი ღორის ქონის გობში ჩავარდა და იქვე ჩაეძინა მეორე დღემდე, როდესაც ის ბერებმა აღმოაჩინეს.”

აქ ბევრი ამბები მომაგონდა თეიმურაზის შესახებ, მაგრამ ობიექტური სურათი არ გამოჩნდება თუ არ აღვნიშნავ მის მრავალ დადებით მხარეს. ის ღვინოზე არანაკლებ ეტანებოდა სწავლა-განათლებას, თითქმის გამუდმებით

პოპულარულ რომანებსაც კითხულობდა. როცა არ სვამდა, იყო უაღრესად გონებამახვილი და მეტისმეტად ხელგაშლილი, ძალიან კარგი საამხანაგო. ფიზიკურად ლამაზი გამომეტყველების, თუმცა ოდნავ დაბალი და მსხვილი აგებულების. მისი უბედურება ის იყო, რომ აღიზარდა უდედოდ და შეითვისა მამამისის ფანტასტიკური მსოფლმხედველობა, რომელიც დრომოჭმული, კუთხური, საშუალო საუკუნეების უარყოფითი მხარეებით იყო გაჟღენთილი.

ჩემი და ჩემი ოჯახის შეერთებულ შტატებში გადმოსახლების შემდეგ, ბატონი ფრიდონი გარდაიცვალა; თეიმურაზმა მიატოვა მადრიდი და ჰავაის რომელიღაც კუნძულის კოლეჯში ფრანგულს ასწავლიდა. ოციოდე წლის წინათ ჩამოვიდა სან-ფრანცისკოში, ჩამოიყვანა არასრულწლოვანი გოგონა, რომ მასზე დაქორწინებულიყო, რადგან ბავშვის მცირეწლოვანების გამო ჰავაიში დაქორწინება ვერ შესძლო. სან-ფრანცისკოში მიაკვლია ვიღაც ,,პიანიცა" რუს მღვდელს, რომელმაც მათ ჯვარი დასწერა და „ნეფე-დედოფალი" ჰავაიში გაისტუმრა. მას შემდეგ თეიმურაზი გადაიკარგა.

ჩემი პირადი და აკადემიური საქმიანობა

ვცხოვრობდი „გალილეო"-ს ქუჩაზე და ყოველდღე დავდიოდი მედინასელის ქუჩის მეოთხე ნომერში, სადაც მოთავსებული იყო დიეგო ველასკესის სახელობის ხელოვნებისა და არქეოლოგიის ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტები იყვნენ „Consejo Superior investigations Sientificas"-შემავალნი, რაც დაახლოებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და მასში შემავალ ინსტიტუტებს წაგავს. ეს უწყება მუდმივ ხლაფორთში იყო, რადგან ინსტიტუტის თანამშრომლებს მხოლოდ კვლევა-ძიება ეკისრებოდა, რითაც ისინი პროფესიულად იზრდებოდნენ, ანუ განუწყვეტლივ ცოდნას იძენდნენ. უნივერსიტეტის ლექციებით დატვირთული პროფესორები იყვნენ ცოდნის მთესველნი, აკადემიური დატვირთვის გამო კი არ შეეძლოთ ცოდნის გაღრმავება. - რამდენი ხანი უნდა თესო? თესლი რომ გამოგელევა მერე ვის არგებ?

ინსტიტუტში ჩამრიცხეს უფროს მეცნიერ მუშაკად, ალბათ იმიტომ რომ სხვა თანამდებობა არ იყო ვაკანტური. დიდი ხნის განმავლობაში არ ვიცოდი თუ რა იყო ჩემი ფუნქცია. ამიტომაც დროს ვატარებდი პრადოს მუზეუმში და სხვა მცირე, მაგრამ მეტად ინსტრუქციულ მუზეუმებში, არაბების ხანის მცირე ხელოვნების მუზეუმში, სადაც დაგროვილი იყო არქიტექტურული Stuco, სპილოს ძვლის ჭურჭლეულობა (მოჭიქული), ხისა და ლითონების მცირე საგნები. მეორე მუზეუმში, რომელიც მდებარეობდა ერეკლე ბაგრატიონის ქუჩაზე, მისი სახლის მახლობლად, ეწოდებოდა Museo Lazaro Galdeano. ეს იყო პატარა, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი სკულპტურებისა და მინანქრების მცველი მუზეუმი. იქაურ მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში თანდათან ხელი მივყავი ვისიგოთების ხუროთმოძღვრებაზე მუშაობას, გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორთან ჰელმუტ შლუნკთან ერთად წამოვიწყეთ აგრეთვე იუსტინიანის ხანის ეკლესიების ნაშთების ძიება. ამის შესახებაც გამოვაქვეყნე წერილები. სულ მოკლე ხანში – ჩემდა გასაოცრად – ესპანურ ენაში ისე გავიწაფე, რომ „ხატები და ქრისტიანული იდეოლოგია"-ს შესახებ იქ გამართულ კონგრესზე ლექცია წავიკითხე. ესპანეთი არ არის მდიდარი ქვეყანა, მაგრამ მშვენიერია. ესპანელებში უკონფლიქტოდ, ჰარმონიულად არის შეზავებული ქრისტიანული და არაბული კულტურა (განსაკუთრებით სამხრეთში - სევილიაში). სიმშრალის

გამო, ბევრი საძოვრები არა აქვთ, მაგრამ თავსაყარია ფორთოხალი და ყურძენი. ამიტომ ერთ წელს, მადრიდში, ღვინო წყალზე უფრო იაფი იყო. კაცები ცოტა ყოყლოჩინა, მაგრამ კარგი საამხანაგონი არიან. თუ სადმე კარგი პურმარილი იყო, შუაღამესაც კი მომადგებოდნენ და დროს გასატარებლად წამიყვანდნენ ხოლმე. აუარებელი ,,საკუჭმაჭოები", სადაც ხალხი წამდაუწუმ შედიოდა ე.წ. „ერთი ჭიქის" დასალევად და „კალამარეს", „ბოკერენეს", „პულპოს" და ამისთანებით დასანაყრებლად. ხშირად, ერთი ჭიქა (Chato) მაგარ პურმარილში გადადის, მოკლედ: ესპანელები სამოთხეში წასასვლელად საიქიოს არ უცდიან და ისწრაფიან სამოთხე ამქვეყნიურ სიტკბოებაში განიცადონ. ქალები შავთვალწარბა, ეშხიანი, ნაკვთიანი და ჯიგრიანი, მოკლედ ყოველმხრივ რომანტიული გრძნობების აღმძვრელნი, მაგრამ ბატონ შოთას (საღირაშვილი) ნათქვამი რომ ვისესხო - კაცს ვარდი უეკლოდ არ მოუკრეფია, ეს ითქმის ესპანეთის თვალ-და გონებაწამრტაც სენიორიტებზე (მოდით ისიც ვთქვათ, რომ რომანტიკული ექსპლუატაციის შემდეგ, როდესაც ყოველგვარი აკრძალული ხილი დაძლეულ-განცდილია, მალე ჭკნებიან და ყოველდღიური ცხოვრების და გაწამაწიის მძიმე დაღი ემჩნევათ). ყველაფერი ეს, ახალგაზრდა (და მოხუცსა) კაცს იმდენად იზიდავს, რომ მეცნიერულ მუშაობაზე გულის დადება თითქმის შეუძლებელია... გერმანელები წესიერი ხალხია და ოჯახისადმი ერთგული, მაგრამ ჰელმუტ შლუნკს, დამატებით, როგორც გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორს მადრიდში, თავისი სახელმწიფოს წარმომადგენლის მოვალეობა ეკისრებოდა, ამისდა მიუხედავად, წიხლი ჰკრა თავის ცოლშვილს, გაეყარა მართლაც სანიმუშო მეუღლეს და მიუდგა ესპანელ ბარიშნას. აი, ასეთი მიმზიდველები არიან ესპანელი სენიორიტები, გადაგჩეხავენ.

„კაცის გული ისეთია
ვით მორევი შავი ზღვისა,
რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს,
მაინც ურჩევნია სხვისა."

მაგრამ, გოგი ტოროშელიძისა (სუზანას ძმისა) არ იყოს, „ღმერთმა დაგვიფაროს რომანტიზმისაგან". გვეყო. არც მე ვიყავი მამააბრამის ბატკანი. უფრო მეტიც, ურთიერთობა მქონდა ბასკ გოგონასთან, რომელიც ხელოვნების ისტორიას სწავლობდა შვეიცარელ იანცი შტანცთან, რომლის მამა გენერალი იყო. იანცისთან დუეტებსაც ვუკრავდი, რამეთუ ჩინებული მუსიკოსი იყო და საუკეთესო ვიოლინო (Bergonzi) ჰქონდა.

ირინეს ჩამოსვლა მადრიდში და დაქორწინება

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ომის შემდეგ, გერმანიაში ცხოვრება თითქმის შიმშილობაში გავატარე. კვების მხრივ ჩემი მხსნელი იყო უნივერსიტეტის მეგობარი ბოგდან ფედენკო, აგრეთვე ირინე ბიბერი, რომელსაც სახლიდან ჩემთვის (ცხოვრობდა გერმანიის რენესანსის მხატვრის, ფერმწერისა და გრაფიკოსის ლუკას კრანახის სამშობლოში ქ. კრონახში, რომლის სახლი დღესაც შემონახულია) დიდი პორტფელით საკვები მოჰქონდა.

ირინეს ჩემთან ურთიერთობამ როგორღაც სერიოზული ხასიათი მიიღო, ამიტომ ცალი ყბით მადრიდში დავპატიჟე. მალე მართლაც ჩამოვიდა, კარზე მომადგა და მითხრა რომ უკან გერმანიაში დაბრუნება აზრადაც არ ჰქონდა. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ საჭირო იყო ოფიციალურად შეუღლება. ამის

შესახებ მიხეილ წერეთელი მაფრთხილებდა, რომ უსათუოდ ქართველი ქალი შემერთო და არა სხვა. მწერდა: „იფიქრე ვინ იქნებიან შენი შვილები, ან ვის გამოადგებიან ისინი“. ჯვარი დავიწერეთ ერთ უცნაურ, - იეზუიტების მიერ შეკოწიწებულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში, რომლის დეკანიც იყო, ესპანეთის ავტოკრატ ფრანცისკო ფრანკოს მოძღვარი და აღმსარებელი, სახელად მურელიო. ეს მოხდა იმიტომ, რომ ეს ეკლესია იყო ნაწილი ე.წ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა, რომლის დირექტორიც იგივე მურელიო იყო. ეს ინსტიტუტი მიზნად ისახავდა რუსეთში და სლავურ ქვეყნებში კათოლიციზმის შეპარებას. ჩვენი ჯვრისწერაც არაჩვეულებრივი იყო. მე და ირინე კარგა ნასვამი ვიყავით და ასევე ჩვენი მღვდელი და სტუმრებიც. მღვდელმა ირინეს რამდენიმე ძველი სლავური წინადადება შეასწავლა, რაც ირინეს დროდადრო უნდა წარმოეთქვა ლოცვის დროს. დაიწყო ცერემონია და ირინე ბუტბუტებს რაღაც წინადადებებს არა სლავურ, არამედ გაუგებარ ენაზე, მაგრამ ამას არავინ შეუწუხებია, რადგან მღვდლის გარდა არავინ იცოდა სლავური ენა და შესაძლოა, არც მან იცოდა. შემდეგ მე და ირინეს მღვდლის ანაფორაზე ორივე მხარეს ხელი უნდა მოგვეკიდა და წრიულად აბსიდსა და საკურთხეველს შორის ლოცვით შემოგვევლო, მაგრამ აბსიდსა და საკურთხეველს შორის ადგილი ისე ვიწრო იყო, რომ სქელი მღვდელი და ჩვენ ერთად ვერ ვეტეოდით. რის ვაი ვაგლახით ესეც მოთავდა, შემდეგ საჭირო გახდა ჩემსა და ირინეს თავზე გვირგვინების დაჭერა. ირინეს გვირგვინი ექიმ ანტონიო კულებრას ეჭირა, ჩემი კი მის ცოლს, რომელიც ვერ შემწვდა და ამიტომ სკამი მოუტანეს. ცერემონიის შემდეგ ვიღაც დიაკვანმა ჯვრის წერის დოკუმენტი შეადგინა, მაგრამ ისიც ალბათ ისე გაჭყეპილი იყო, რომ მრავალი რამ ყალბად ჩაუწერია. ეს შეცდომა ჩვენ შევიტყვეთ მაშინ, როდესაც უკვე ამერიკაში, ჯვრის წერის დოკუმენტის ჩვენება დაგვჭირდა... ქორწინების შემდეგ ოტელ „რიც“-ში გავმართეთ სადილი, რომელზეც დავპატიჟეთ თოთხმეტი სტუმარი. წვეულებაზე მოგვართვეს შალვა ბერიძის გამოგზავნილი უზარმაზარი და მშვენიერი თაიგული. წვეულებამ სასიამოვნოდ ჩაიარა. მეორე თუ მესამე დღეს, თაფლობის თვის გასატარებლად, მე და ირინე გავემგზავრეთ ყვავილებით და შადრევნებით გამშვენებულ არანღუესში, რაც თავიდან საამო იყო, მაგრამ ხუთიოდე დღის შემდეგ, ჩვენმა მეგობრებმა გაიგეს სადაც ვიყავით, დაგვედევნენ და დაიწყო ისევ ღრეობა. ისე რომ, თაფლობის თვისთვის დრო აღარ რჩებოდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენი თაფლობის თვე მათ თაფლობად იქცა და პურმარილით ისე დავიქანცეთ, რომ ჩვენი თაფლობა ტყემლობად იქცა. არანღუესში ჩვენთან იყვნენ კირსტენი – ბელგიელი ცნობილი ოჯახიშვილი, რომლის პაპამაც რუსებს აუშენა ციმბირის რკინიგზა, მშვენიერი ელზა და ერთი გერმანელი ქიმიკოსი, რომელმაც გერმანიაში (ჰამბურგში) თავისი ცოლი ისე მოიძულა, რომ „დასასვენებლად“ ესპანეთში მორბოდა ხოლმე.

ქორწინებამ ჩემი ცხოვრება საფუძვლიანად შეცვალა, რადგან შვილსაც ველოდით. ჩემი ერთი ოთახიდან გადავედით ახლად აშენებული შვიდსართულიანი სახლის ბოლო სართულზე, ბინაში, რომელსაც ყრუდ შემოზღუდული აივანი და მოჭიქული აგურის იატაკი ჰქონდა. აქედან, თოვლით დაფარული Siera Guadarama-ს მთებისაკენ და ფიჭვნარი ტყისაკენ თვალწარმტაცი გადასახედი გვქონდა. ეს სახლი თითქმის ქალაქგარეთ მდებარეობდა. უნივერსიტეტის მიდამოებში ბინის ქირა მაღალი იყო, ჩემი შემოსავალი კი მცირე. ამიტომ საჭირო გახდა ქართული ენის გაკვეთილების გარდა, რუსული გაკვეთილების მიცემა, რადგან ჩემი ჯამაგირი ინსტიტუტში, ისევე როგორც პროფესორების და სხვათა შორის, სამხედროსიც (ფაქტზე მოგახსენებთ -

ერთხელ ფეხსაცმელი წავიღე შესაკეთებლად მეწაღესთან, რომელიც მოქმედი ჯარის მაიორი იყო) მცირე იყო. არც ეს იყო საკმარისი, რის გამოც ირინეს დედა გულუხვად გვეხმარებოდა და გერმანიიდან ფულს გვიგზავნიდა.

ზაფხულობა არესში

ზაფხული მადრიდში დიდი სიცხის გამო ძნელი ასატანია, ამიტომ ხალხი გასაგრილებლად ჩრდილოეთით, უმეტესად ბასკების ქვეყანაში მიემგზავრება. ორსულად მყოფი საბრალო ირინე ოფლში იღვრებოდა, მით უფრო რომ ამგვარი სიცხე მისთვის უჩვეულო იყო. ამის გამო ვწუხდი, მაგრამ უსახსრობის გამო სიცხეს თავი ვერ დავაღწიეთ. სწორედ ამ დროს, ექიმმა ანტონიო კულებრამ (რომელიც დაბალი სოციალური ფენიდან იყო გამოსული, შრომითა და გარჯით დაამთავრა სამედიცინო ფაკულტეტი, კერძო პრაქტიკა დაიწყო და მოკლე ხანში გაითქვა სახელი. ფრანკოს დიდი მოწინააღმდეგე და დოლორეს იბარურუს მიმდევარი, პიროვნულად მეტად ხელგაშლილი, კარგი საამხანაგო, ყველას დამხმარე და მრავალი სიკეთის მთესველი იყო.), რომლის შვილებსაც რუსულს ვასწავლიდი, შემომთავაზა მის ოჯახთან ერთად ბისკაიას ყურეში, გალიციის ძველ რომაულ სოფელ არესში წავსულიყავით მთელი ზაფხულით. სიამოვნებით დავთანხმდი და მათთან ერთად ჩავედით მეთევზეების პატარა სოფელ არესში. სახლები ერთ-ორ სართულიანი, პატარა ბოსტან-ბაღებით, მოუკირწყლავ ქუჩებში არავინ დადის, თითქოს გაუკაცრიელებულია. ყველას სძინავს ნაშუადღევს, რადგან „სიესტის“ ანუ დასვენების დროა – მეუბნება ანტონიო. მე და ირინე დავსახლდით ერთ პატარა სახლის მეორე სართულზე, პაწაწკინა ოთახებში. ღარიბი სახლის პატრონი ხშირად ამაყად გვეუბნება, რომ ამ ოთახებში ავეჯი კუბიდან არის ჩამოტანილი. მოსახლეობა ძალიან სტუმართმოყვარე და მეგობრულად განწყობილია. სოფლის ბოლოში არის ერთი ნახევრად დანგრეული ფანჩატური, სადაც ჩვენ - ანტონიო და მისი მეგობრები ყოველ ღამე ვქეიფობთ. ღვინო მოაქვთ კასრებით, ჩვენი ამფსონები არიან მეთევზეები, რომლებიც ცოცხალით გვამარაგებენ. დღე კი გვძინავს. ერთხელ, ანტონიომ ირინეს დაავალა მეთევზეებისათვის ეთქვა, რომ მათ „ცენტოია“ ანუ ოქტიპუსი დაეჭირათ და საღამოსათვის მოეხარშათ ან მოეხრაკათ. ირინე დავალებისამებრ მივიდა მეთევზეებთან და ენის უვიცობის გამო, დაავალა „ცებოლია“, მართლაც, მეთევზეებმა ოქტიპუსის მაგიერ ხახვით სავსე კალათა მოიტანეს. ბევრი ვიცინეთ.

მადრიდში რომ დავბრუნდით, გოგონა შეგვეძინა; მშობიარობის ტვირთი ჩვენმა ანტონიომ იკისრა, რომელსაც მეც „ვეხმარებოდი“. მშობიარობამ ადვილად ჩაიარა, გოგონაც სავსებით ჯანმრთელი და მშვენიერი გამომეტყველებისა იყო. საწოლი რბილად ნაქსოვ კალათში მოვუწყეთ, ჩავაწვინეთ, დავდეთ კალათა ყრუდ შემოზღუდულ აივანზე, ღია ცის ქვეშ, სადაც მის მეტი არავინ და არაფერი იყო, გარდა ერთი სკამისა. სიცხეში, ქარში და სხვათა შორის წვიმაშიც, ეთერის აივანზე ვტოვებდით. გასაოცრად, არასოდეს უტირია. პირიქით, მხიარულად იცინოდა ხოლმე და ღაჟღაჟა ლოყები მზისაგან გაწითლებულ-გაყავისფერებული ჰქონდა. მოკლედ არავის აწუხებდა და ყველას ამხიარულებდა. მადაც კარგი ჰქონდა; ერთხელ გაზეთიც კი შეჭამა, ამით ყველა გაგვაკვირვა და შეგვაშინა. ორი წლის განმავლობაში მე ვუვლიდი: ვწმენდდი და ვაბანავებდი. დადგა ბავშვის ნათლობის დრო. მურელიო თავისკენ იწევდა,

მაგრამ ჩვენ მართლმადიდებლურ ეკლესიაში გვსურდა მოგვენათლა. ამ დროს, რუსეთის დიდ მთავარ ვლადიმირს, თავისი ეკლესია ჰქონდა, სადაც მღვდლობდა ცარისტული ხანის ,,ღენერალი". ორიოდე ქართველმა - ერეკლემ და მისმა მშობლებმა წავიყვანეთ და მოვნათლეთ ბავშვი ვლადიმირის ეკლესიაში. ნათლია იყო ერეკლე ბაგრატიონი, რომელმაც ეთერს კისერზე ოქროს ჯვარი ჩამოჰკიდა ქართული წარწერით „დაგვიხსენ და დაგვიფარე". ნათლობის დროს ეთერი მღვდელს წამდაუწუმ წვერს წიწკნიდა, მღვდელი იღიმებოდა და ამბობდა: „Боевая, боевая".

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი გვყავდა და ხელმოკლედაც ვიყავით, სიამოვნებას არ ვიკლებდით. ჩვენი მეგობრის - დონ კრისპინის ფორდის ძველი მოდელის, 6-7 კაცით გატენილი ორადგილიანი ავტომობილით, ანტონიო მანოლიტა და მეგობრები, გავდიოდით ხოლმე ქალაქში და ქალაქ გარეთ Villa Rosa, Casa del Campo, Ranchero, Cuevas de las Luis Candelas, La Galera და მშვენიერ დროს ვატარებდით გაცხოველებული საუბრებით, პურ-მარილით და ცეკვით. ჩვენი „ბეიბი სიტერები" იყვნენ შოთა საღირაშვილი და კოწია ერისთავი - მშვენიერი გამომეტყველების ჩუმი, გულკეთილი რაჭველი. ერთხელ კოწია ჩვენთან მოვიდა, ეთერისთვის რომ „ბეიბი სიტერობა" გაეწია, შემოვიდა სახლში თუ არა კინაღამ გული წამივიდა; თმები ისე ჰქონდა დახუჭუჭებული და გამომეტყველება შეცვლილი, რომ ძნელად ვიცანით. ვკითხე:

- რა მოგივიდა ბიჭო კოწია, რატომ დაიხუჭუჭე თმები?
- თმების გასაკრეჭად დალაქთან წავედი; დალაქი წინადადებებს მაძლევდა რომელი ვარცხნილობის გაკეთება მსურდა. ვერ გავიგე რას მთავაზობდა და ამის გამო ყოველ წინადადებაზე ვპასუხობდი „No". „შემრცხვა ამდენი „No"-ს თქმა და როდესაც კიდევ ერთხელ წინადადება მომცა ვუპასუხე,- „Si". რა ვიცოდი, რომ ეს წინადადება თმის დახუჭუჭებას გულისხმობდა.
- მერე დახუჭუჭება რომ დაიწყო, რატომ არ შეაჩერე?
- შემრცხვა ბატონო.

მსგავსი შემთხვევები მრავალი იყო და ამაზე საუბარს არ გავაგრძელებ. გარდა ორიოდ ქართველისა, ჩვენთან მოდიოდნენ ბელგიელი, გერმანელი და სხვა ჩვენი მსგავსი ლტოლვილები, რასაკვირველია, ესპანელებიც. ხშირად მოგვაკითხავდა ხოლმე ერთი მათხოვარი, რომელსაც ფულს ან საზრდოს ვაძლევდით. თანდათან ეს მათხოვარი ისე გაგვითამამდა, რომ ამოსვლის მაგიერ ჩვენ უნდა ჩაგვეტანა პირველ სართულზე. ერთხელ მირეკავს პირველი სართულიდან და მეუბნება:

- ჩამოდი, რაღაც უნდა გითხრა! - ჩავედი და მათხოვარი მეუბნება:
- ჩამომიტანე საზრდო და სამოსი ჩემი ბავშვებისათვის, გავბრაზდი, ავედი და მეშვიდე სართულიდან ქვემოთ ჩავძახე მათხოვარს
- ამოდი ზევით! - ამოვიდა მეშვიდე სართულზე, ვეუბნები:
- არც საზრდო მაქვს და არც ფული, რომ მოგცე - გაოცებული გაბრაზდა:
- ქვევით ვერ მეტყოდი, რომ არც საზრდო და არც სამოსი არა გაქვს? რატომ ამომიყვანე მეშვიდე სართულზე?
- იმიტომ, რომ სათხოვარისათვის ჩამომიყვანე პირველ სართულზე" – მივუგე მე.

მადრიდში ხშირად ვხვდებოდი ერეკლე ბაგრატიონს, თუნდაც იმიტომ, რომ მის ანც შვილ გოგის, რომელსაც პაპის სახელი ერქვა, ქართულს ვასწავლიდი. რაც უფრო თამაშს წააგავდა ვიდრე სწავლებას (ინფანტასთან დაბადებული

ორი შვილი: ბაგრატი და ნინო, პატარები იყვნენ). ერეკლეს სხვა მხრივაც ვეხმარებოდი, ის იყო ჩაბმული ბამბის ექსპორტ-იმპორტის საქმეში, რაც გერმანულ ენაზე წერილების წერას მოითხოვდა. ეს ერეკლეს არ ეხერხებოდა და ჩვენ ვუწერდით კორესპონდენციებს. მასთან ვახშამზე გავიცანი და შემდეგ რამდენიმეჯერ შევხვდი ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მარტინ არტახოს. ვსაუბრობდით აგრეთვე ბასკებისა და ქართველების ურთიერთობაზე, რის შესახებაც მე მხოლოდ ცოტა რამ ვიცოდი გერმანიაში კარლ ბუდდასთან ურთიერთობის გამო (პროფესორი ბუდდა ქართულ-ბასკურ ურთიერთობებზე მუშაობდა და მისგან ბევრს ვსწავლობდი. შემდეგ თავისი ექვსთითიანი ასისტენტი გოგონა ,,შემოეფერა", რის გამოც მისი კვლევები შეწყდა).

ერთხელ რელიგიურ დღესასწაულ Semana Santa-ს პროცესიაზე მონაწილეებს შორის დავინახე მარტინ არტახო, სხვების მსგავსად, გრძელი თეთრი პერანგით, ფეხშიშველა და ბორკილებით მავალი, რაც იეზუიტების ძლიერების საზომია. გლოვით განიცდიდნენ ქრისტეს ჯვრის ტვირთვას ჯვარცმამდე. ისინი აღნიშნავენ ქრისტიანული რელიგიის ტრაგიკულ ასპექტებს, მართლმადიდებლები კი სასიხარულოს, მაგალითად, აღდგომას...

მთელს ევროპაშია ცნობილი ბუხჰოლტის წიგნის მაღაზიები. ერთი მადრიდშიცაა. ეს კულტურის მეცენატი, მაღაზიის გალერეაში ზეიმობდა გოეთეს დაბადების 200 წლისთავს. ზეიმზე ერეკლეც დაპატიჟეს. მან მე წამიყვანა. იქ გამაცნო წარმატებული ხალხი, მათ შორის ფილოსოფოსი ორტეგა ოგასეტი, რომელიც ჩემით დაინტერესდა, აუარებელს მეკითხებოდა გერმანიაში სად ვსწავლობდი. ვუთხარი, რომ ერლანგენში, გოტინგენში და ფრაიბურგში. ამ დაბალ, ჩაფსკვნილ გენიოსს სახე გაუბრწყინდა და სახის ძლიერი კუნთები უკრთოდა. ჩამაცივდა, სად ვცხოვრობდი ფრაიბურგში. საძრახი ბინა იყო და განგებ, ზოგადად ვპასუხობდი: „am Schtorchen". ბოლოს და ბოლოს უნდა მეთქვა: „Schtorchen Toor", რომლის კოშკების ოთახებს არ გააჩნდათ არავითარი კომფორტი, არც წყალი, არც საპირფარეშო. შუა საუკუნეების ალაყაფისკარიან ოთახებში უსახსრო სტუდენტები ბინადრობდნენ. ვუთხარი თუ არა Schtorchen Toor ბევრი იცინა: რატომ ამდენი ხანი მაცდევინეთ და პირდაპირ არ მითხარით, სტუდენტობის დროს მეც იქ ვბინადრობდიო. გულზე მომეშვა და რაღაც „ნათესაური" გრძნობა დამეუფლა.

ამერიკაში გადასახლების გადაწყვეტილების მიზეზი

ესპანეთს შევეგუე. ჩემმა ესპანელმა კოლეგებმაც შემითვისეს, რის გამოც, ერთი წლის მაგიერ, მადრიდში შვიდ წლამდე დავრჩი, მაგრამ ყოველ დასაწყისს აქვს დაბოლოებაც. ჯერ ერთი, იოლი და მიმზიდველი ცხოვრების გამო, იქ ძნელი იყო სამეცნიერო მუშაობის წარმოება და საამისო საშუალებები (მაგ. ბიბლიოთეკები) არ იყო. გარდა ამისა, ეთერის კათოლიკური ეკლესიის მაგიერ, მართლმადიდებლურ ეკლესიაში მონათვლის გამო, მურელიო ისე ძლიერ განაწყენდა, რომ მტრობაც კი დამიწყო. მადრიდში ცხოვრებას საფუძველი ეთხრებოდა, თანაც, იმ დროს, შეერთებული შტატებისკენ სწრაფვა, საერთოდ, მოდაში იყო. ამიტომ ვთხოვე ამერიკაში მყოფ ნაცნობებს, ჩემთვის მოსაწვევი დოკუმენტი გამოეგზანათ. მალე მივიღე მოსაწვევი ბარათი და აფიდევიტი ნიუ-იორკში მყოფ თავად გურიელისაგან, რომელსაც ცოლად ჰყავდა პეტერბურგიდან ნიუ-იორკში ჩამოსული ებრაელი ქალი (ეს ქალბატონი ნელსაცხებლებით და

სუნამოების პროდუქციით უაღრესად გამდიდრდა). ამასთანავე, მიუნხენიდან მწერდა მიხაკო წერეთელი, რომ ჰარვარდში მოღვაწე ქართველოლოგი ბლეიკი, რომელიც წინასწარმეტყველების ქართულ რედაქციაზე მუშაობდა და ეპატიჟებოდა მიხაკო წერეთელს ამ მუშაობაში დასახმარებლად, მაგრამ ,,მე ბერი კაცი ვარ, არც ჯანმრთელი და თანაც ამერიკა სრულებითაც არ მიზიდავს, შენ კი ახალგაზრდა ხარ, უნდა წახვიდე და ჩემს მაგიერ დაეხმარო"-ო, რაზედაც დავთანხმდი და საქმეც გაიჩარხა. ნიუ-იორკში მოპატიჟების წერილის გამო, დამიბარეს ამერიკის საკონსულოში და ერთმა ახალგაზრდა თანამშრომელმა უცნაურად დამიწყო დაკითხვა:

- თუ ერთ დროს საქართველოში დაბრუნდით, რა იდეებით ჩახვალთ? - არ მოველოდი.

- ჩავალ იმ იდეებით, რომლებიც ჩემს მოქალაქეობრივ ეთიკას ესატყვისება, თანაც არც ვიცი ჩავალ თუ არა, ან რა შუაშია საქართველო, თქვენ უნდა შემეკითხოთ რა იდეებით ჩავალ შეერთებულ შტატებში.ჩემი პასუხი არ ესიამოვნა გამოუცდელ ახალგაზრდას. მეორე შეკითხვა:

- შეერთებულ შტატებში რომ ჩახვალთ გსურთ ავნოთ ჩვენ პრეზიდენტს?"

- არავითარი სურვილი არ მაქვს ვავნო პრეზიდენტს ან ვინმე სხვას. ვნება რომ მინდოდეს თქვენ გეტყვით?

- ყოფილი საბჭოთა მოქალაქეები კომუნისტები არიან და სურთ ამერიკაში შეიპარონ - რაზედაც მივუგე:

- ჩემისთანა საბჭოთა მოქალაქეები ყოველთვის მტრულად იყვენენ განწყობილი კომუნიზმისადმი, რაც არ ითქმის ამერიკელებზე, რომლებიც ხან მტრულად იყვნენ განწყობილნი, ხან მეგობრულად კომუნიზმისადმი, როგორც დელანო რუზველტი.

დანაღვლიანებული წამოვედი საკონსულოდან, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი უკმეხი პასუხების გამო ამერიკის ვიზას არავინ მომცემდა, მაგრამ მოხდა სასწაული და ორიოდ კვირაში, მოულოდნელად მივიღე ამერიკის ვიზა.

ამ დროს ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ე.წ. სკელიძის ილუსტრირებულ ხელნაწერზე ვმუშაობდი. ბერძნული ხელნაწერების განყოფილების - სადაც სკელიძის მანუსკრიპტიც ინახებოდა, ერთი იეზუიტი მღვდელი Pater Torro იყო, რომელიც შეთავსებით აგრეთვე უნივერსიტეტის პროფესორი იყო და რომაული ლიტერატურის ისტორიას ასწავლიდა. მდიდარი იყო და ჰყავდა სამი საყვარელი, მის ხარჯზე სხვადასხვა ბინაში დაბინავებული. მე Torro-სთან ხშირად ვსაუზმობდი და ერთმანეთთან ძალიან კარგ განწყობილებაში ვიყავით. მივიღე თუ არა შეერთებულ შტატებში გასამგზავრებელი ვიზები - მივახარე. ვფიქრობდი, ისიც გაიხარებდა. ამის მაგიერ, ტორომ კინაღამ იტირა. მითხრა: ეს არის ყველაზე სამწუხარო, რაც შენ დაგემართაო. ამერიკაში უვარგისები მიდიან, ისინი ვინც აქ არ გამოდგნენ. შენ წაიღებ ამერიკაში შენს სხეულს, მაგრამ შენი გული აქ ესპანეთში დარჩებაო.

ნაწილი მეხუთე

ამერიკა

შეერთებულ შტატებში გადასახლება

ჩვენ, „არ გვაცია, არც გვაცხელა“, გამოვემშვიდობეთ ჩვენს აცრემლებულ ნაცნობ-მეგობრებს, მატარებლით ალხესირასისკენ გავსწიეთ და გიბრალტარში მომლოდინე გემ ,,ლეონარდო და ვინჩი”-ში ავედით. ძალიან ზრდილობიანად მიგვიღეს და მესამე კლასის მაგიერ მეორე კლასის კაიუტაში მოგვათავსეს. კარგი მოგონებებით მგონი ხუთი დღე ვიმგზავრეთ და ნიუ-იორკში 1953 წლის მაისში ჩამოვედით. გემის ცხვირიდან შევსცქერი ამ სანაქებო ქალაქს და გაბრუებული ვარ ცათამბჯენი თვალუწვდენი შენობებით, „Liberty“- ს ფიზიკური განსახიერებით, ჩირაღდანიანი უზარმაზარშარავანდედიანი ძეგლით. მომადგა პორტის ვიღაც მუშა, რომელიც ცდილობდა მსხვილი თოკებით გემის პორტზე მიბმას. ეს პირველი ამერიკელი, რომელიც ამერიკაში შემხვდა, მეკითხება:

- როგორ მოგწონს ამერიკა? - ნანახ-განცდილით გაბრუებულმა ვეღარ მოვახერხე პასუხის გაცემა. მაშინ თვითონვე მიპასუხა:

- კარგი ქვეყანაა, არავინ გკითხავს თუ ვინ არის მამაშენი. მაშინვე თავში დამკრა და ავტომატურად მიუგე:

- მე არ მეშინია მკითხონ თუ ვინ არის მამაჩემი - და მივხვდი პადრე ტორროს ნათქვამს. ეგებ ამ მეზღვაურის მამა ისეთი საძრახი პიროვნებაა, რომ მას არ სურს ვინმემ მამამისი გაიცნოს და მისი საძრახი საქმეები გამოაშკარავდეს. რის ვაი ვაგლახით გამოვედი ქუჩაში, ვუყურებ ხალხს და მეუცნაურება: უხეშები, საშინლად ულაზათოდ ჩაცმულნი, არც ქალებია კოპწია, ეშხიანი, არამედ მამაკაცური. რუსეთის თევზის ბაზარზე თუ შეხვდები ასეთ საშინელებას, ერთი რომ გითაქოს - გაგაგორებს. ძაღლი ვნახე სამოსელი ემოსა, ძეხვივით ჩამრგვალებული, ძლივს დარბის და საბრალოდ ქშინავს, შეტევა აზრადაც არა აქვს. ვიფიქრე, ჩვენში ძაღლს რომ დაინახავდი ასი მეტრით გვერდი უნდა აგეხვია, თორემ გაგფატრავდნენ, გაგგლეჯდნენ. ირინე მაჩვენებს ჩაჩაჩულ ქალებს ფლოსტებით და ვარდისფერ, პლასტიურ მილებზე გადაგრეხილი თმებით. ელდა გვეცა. ქუჩები? ქუჩები სანაგვე ყუთების მსგავსი, მტვრიანი ან მინგრეული, მოუვლელი. ევროპასთან, დანგრეულ ევროპასთანაც კი ეს იყო მწუხარე კონტრასტი, თეთრი და შავი. დავკარგეთ მშვენივრად ზრდილი, თვალწარმტაცად და სუფთად ჩაცმული ქალები და კაცები, სანდომიანი თვალებით რომ მოგებებიან და სიხარულს შეგასხურებენ. მაგრამ ეს მწუხარება გაიფანტა, როდესაც ნიუ-იორკის ქართველები შეგვხვდნენ. როგორც ჩანს, მათ აკლიმატიზაცია ჯერ არ განუცდიათ. სიხარულით წაგვიყვანეს ოტელში და ფულიც მოგვცეს. შემდეგ გადავედით ცარისტული ხანის პოლკოვნიკ თუ გენერალ სიკო ერისთავის სახლში, რადგან თვითონ ოჯახით ხანგრძლივ არდადეგებზე მიემგზავრებოდა. გავიცანით მისი სათნო მეუღლეც და მისი მშვენიერი – ჩემი ტოლი – ქალიშვილი და მისი ძმა, რომელიც კორეაში ჯარში მსახურობდა და შვებულებით სახლში იყო ჩამოსული. სიკოს სულგრძელობამ ძალიან გამახარა, რადგან მაშინ არც სამსახური მქონდა და არც ფული, სიკო კი Hause Sitter-ს ეძებდა. ისე რომ, ორივე კმაყოფილი დავრჩით. ბლეიკთან

თანამშრომლობა სავსებით ჩაიფუშა, რადგან მას გულის შეტევა მოუვიდა და მაშინვე გარდაიცვალა, ხოლო წინასწარმეტყველების საქმე არავის გაუგრძელებია, რადგან მას თანამშრომელი ან მოწაფე არ დაუტოვებია. ეს ტექსტი შეცდომებით დატვირთული გვიან გამოსცეს და მეც მიბოძეს. საჭირო იყო ფულის შოვნა, რაშიც ჩვენ, ორივენი გამოუცდელნი ვიყავით. ამიტომ ირინემ დაიწყო მუშაობა ოფისების დამლაგებლად, რამაც უაღრესად დამწყვიტა გული, რადგან ირინე საუკეთესო ოჯახიდან იყო ერთადერთი ქალიშვილი და ფუფუნებაში გაზრდილ-განებივრებულს, კარგი განათლების მქონეს, არც გაჭირვება განუცდია. ახლა კი ჩემი გულისათვის სხვების „ნასუფრალს“ წმენდდა. ისევ მაგონდება ბატონ დავით გურამიშვილის სიტყვები, როდესაც ის ლეკების ტყვედ იყო: „არა ღირსთა ღირსეულად მიმსახურეს“-ო. ამას ისიც დაერთო, რომ სიკო არდადეგებიდან ბრუნდებოდა და საჭირო იყო მისი ბინის დატოვება. ამიტომ, კერძო ბინა ავიღეთ და მეც დავიწყე მუშაობა ქარხანაში. პატარა ეთერის ,,ბები სიტერი” იყო ერთი მშვენიერი იერის, უაღრესად პატიოსანი და ქცევითა და სიტყვა-პასუხით ნამდვილი რაჭველი სერგო გოგრიჭიანი, ცოტა ბრტყელი პირისახე მოზრდილი ცხვირით, მის ვაჟკაცურ იერს არა მხოლოდ ესატყვისებოდა, არამედ უფრო მეტ სიმხნევეს ჰმატებდა. საუბარში დინჯი, ხშირად ხმარობდა გამოთქმას „ჩემო ბატონისშვიიილ“-ო. ეცვა კოსტუმი და ეკიდა „გალუსტუკი“. ხშირად, ცქრიალა ეთერი მახლობელ ბაღში სასეირნოდ დაჰყავდა. ერთხელ მოგვადგა სერგო. შევხედეთ და კინაღამ გული წაგვივიდა. ეს ვაჟკაცური, კეხიანი ცხვირი თითქმის ნახევრად დამოკლებოდა, რის გამოც მთელი იერი შეცვლოდა და არც მისი რიხიანი მეტყველება ესატყვისებოდა მის ცხვირს.

- ჩემი ცოლი ჩამაცივდა, რად გინდა ამხელა ცხვირი, ოპერაცია გაიკეთეო და აი, ეს არის შედეგი, რასაც თქვენ ხედავთო (მისი ცოლი ბელგიელი იყო, რომელსაც საკონდიტრო მაღაზია ჰქონდა და ნამცხვრებსაც თვითონ აცხობდა. იგი ჩააცივდა ქმარს ჩემს სამშობლოში დავბრუნდეთო. დაბრუნდნენ და ცოლი იქაც ნამცხვრების საქმეს მისდევდა, საიდანაც ისეთი დიდი შემოსავალი ჰქონდა, რომ სერგოს მუშაობა არ დასჭირვებია. ამ ათი წლის წინათ მომწერა: ,,გერმანული ავჩარკები მყავს და მხიარულად ტყეში დავეხეტებიო). მართლაც ძალზე გვეწყინა, მაგრამ პირველყოფილ ცხვირს რა დააბრუნებდა?

ნიუ-იორკის ქართველები

ნიუ-იორკში მაშინ ბევრი ქართველი იყო. ზოგიერთ მათთაგანთან ურთიერთობა გვქონდა. როდესაც ქვეყანას კატაკლიზმური ომები მოევლინება ხოლმე, სხვა ერების მსგავსად, ქართველებიც წიწილებივით გაიფანტ-გამოიფანტებიან ხოლმე. ზოგი საკუთარი ცხოვრების ღარიდან ამოვარდნილი, უცხო ქვეყანას შეუგუებული, აქეთ-იქით, თითქოს უმიზნოდ და უმისამართოდ, კომეტის მსგავსად დაეხეტება, სხვანი კი როგორღაც ეგუებიან და ახალ საზოგადოებას შერწყმულნი, ნორმალურის მსგავს ცხოვრებას იწყებენ. ასეთი იყო „კნიაზ“ სიკო ერისთავი, რომელმაც – როგორც ზემოთ ვთქვით – ითხოვა მდიდარი ამერიკელი ქალი. სხვები იყვნენ მარტოხელანი, როგორც ვანო ამილახვარი, რომელიც ფეხში იყო დაჭრილი და წაიკოჭლებდა. ესეც, სიკოს მსგავსად, ცარისტული არმიის მაღალი ოფიცერი იყო, სასიამოვნო პიროვნება. მესამე იყო, გულჩათხრობილი, მოკრძალებული და განმარტოებული (აგრეთვე

თავადი) ემხუარი, რომელიც უსახსრობის გამო ზანგების კვარტალში ცხოვრობდა. ორიოდ გროშს რომ იშოვნიდა, ტკბილეულს ყიდულობდა და ზანგის ბავშვებს ურიგებდა. თავისი გულკეთილობის გამო, ზანგები დიდ პატივს ცემდენ და როდესაც გარდაიცვალა, მისი ნეშტი არავის დაანებეს და მართლაც მეფურად, ზანგური გალობით თვითონ დაასაფლავეს. ემხუარის ურთიერთობა მართლაც დიდმნიშვნელოვანია, რადგან ის ხდებოდა იმ ხანაში, როდესაც ზანგები თეთრებისაგან სავსებით განკერძოებული და უფლებებს მოკლებულნი იყვნენ (ზანგები, ცუდი ეთნიკური ტერმინების მოშორებას თავგამოდებით ცდილობენ. მას შემდეგ, რაც ,,ზანგი”-ს თქმა აიკრძალა, შემოიღეს ,,შავი ამერიკელი”, მაგრამ ამით ღირსება მაინც შეილახა და ახლა ვხმარობთ ,,აფრიკელი ამერიკელი”. ამასაც რომ უარყოფითი ხავსი მოეკიდება, ესეც შეიცვლება). დღეს, ზანგების მდგომარეობა რადიკალურადაა გამოსწორებული, ძველ დროსთან შედარებაც არ შეიძლება. სიტყვა „ზანგი“-ს თქმაც კი აკრძალულია. უნდა მიმართო „აფრიკელი ამერიკელი“, რაც აბსურდია, რადგან ამ ზანგების მრავალი თაობა ამერიკაში ცხოვრობს და ამერიკას შეესისხლხორცენ. თუ ამდაგვარად ვიმსჯელებთ, მაშინ უნდა ვიხმაროთ: „აზიელი ამერიკელი“, „ევროპელი ამერიკელი“, „ავსტრალიელი ამერიკელი“? მაშ სად არის ამერიკა? ვინ არის ამერიკელი? მაგრამ უაზრობაზე ლაპარაკს თავი დავანებოთ, რადგან იმათთან კამათი, რომელთაც ჭეშმარიტების დანახვა განგებ არა სურთ, ან ვერ ხედავენ, დროის ამაოდ დაკარგვაა. სიტყვა გამიგრძელდა.

ნიუ-იორკში ცხოვრობდა აგრეთვე ირაკლი ორბელიანი, ჩინებული პიანისტი, უაღრესად განათლებული და ენამახვილი პიროვნება, რომელიც ერთ ხანს ჩელისტ პიატიგორსკისთან ერთად საგასტროლოდ დადიოდა და კონცერტებს მართავდა არა მხოლოდ შეერთებულ შტატებში, არამედ ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში. ირაკლი, დაახლოებული იყო ამერიკელ პოლიტიკოსებთან, განსაკუთრებით რუზველტის საგარეო საქმეთა მინისტრ აჩესონთან. როდესაც ნახევრად საიდუმლოდ „ამერიკის ხმა“ გაიხსნა, ირაკლი მის უფროსად დანიშნეს. ირაკლი დიპლომატობას მოკლებული იყო და მოურიდებლად ამბობდა იმას, რაც სწამდა, ამიტომ „ხათაბალა“ თან სდევდა. ერთხელ, როდესაც პრეზიდენტ რუზველტის საყვარელი ძაღლი გარდაიცვალა, რუზველტის ანდერძის მიხედვით, მისი სამარის გვერდით დაასაფლავეს. პოლიტიკოსების და დიპლომატების შეხვედრაზე ირაკლიმ მწუხარებით თქვა: „საბრალო ძაღლი, რა შეურაცხყოფა მიაყენეს პრეზიდენტ რუზველტის გვერდით დასაფლავებით“-ო. ეს იმიტომ მოხდა, რომ რუზველტი სტალინს ეკურკურებოდა და მეგობრობდა. ამბობდა „Our dear Joe“, რაც ირაკლის არ მოსწონდა. ამბობდა: „რუზველტის ტვინი ლაყეა, კომუნიზმის არსს არ იცნობსო”.

კოლეჯ პოინტში იყო გარუსებული თევდორე გაბელია - ქაღალდის ფინჯნების ქარხნის დირექტორი, რომელიც აგრეთვე ცარისტული ჯარის სამსახურში იყო და პირველი მსოფლიო ომის შედეგად ამერიკაში ამოჰყო თავი. ამ პიროვნების შესახებ შემდეგ მოგითხრობთ...

ნიუ-იორკში იყო ჩინეთიდან ჩამოსული ორი მარტოხელა ქართველი: ლეჩხუმელი ყრუაშვილი და გურული ლეო დუმბაძე. ორივე ჩინებული, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავებული. ორივეს ქართული ენა თითქმის დავიწყებული ჰქონდა, მაგრამ გვალვის დროს ჩამჭკნარ მცენარეს რომ წყალს დაასხამ და გამოაცოცხლებ, ამის მსგავსად ორივემ არა მხოლოდ ენა ამოიდგა, არამედ ყრუაშვილმა სვანური გამოთქმით და ლეომ გურული კილო-კავით

დაიწყო ლაპარაკი, თითქოს გუშინ ჩამოვიდა გურიიდან. ყრუაშვილი წამდაუწუმ ამბობდა ხოლმე: „წლებში ვართ ბატონო, წლებში“(ალბათ რუსულიდან „Влетах мы, влетах“). იყოჩაღა, გახსნა სამოსელის ქიმწმენდის დუქანი და საქმეც კარგად მიუდიოდა. ლეო კი ქართველების სათვისტომის თავმჯდომარე იყო, ხელობით „კარტის თამაშის პროფესორი“. ამერიკელების მაღალ საზოგადოებას კარტს ეთამაშებოდა, რითაც ბევრ ფულს შოულობდა. მგონი კარტის თამაშსაც ასწავლიდა, იცვამდა საუკეთესოდ და გემოვნებით, იყო უაღრესად ხელგაშლილი.

თავად გურიელის შესახებ ზემოთ მოკლედ მოგახსნეთ. მე კი მას პირადად არ ვიცნობდი. მისი ხშირი მეინახე იყო, ჩემი თაობის დათა ჩხატარაიშვილი.

მოკლედ მოვიხსენიებ თავად ჯონდი (ჯონჯი) დადიანს, ალექსანდრე სულხანიშვილს (შუშუს), და ვაჩნაძეს, რომელნიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში იყვნენ. ერთ ხანს წარმატებით იბრძოდნენ კომუნისტური რეჟიმის და საბჭოთა წითელი არმიის წინააღმდეგ. ბოლოს და ბოლოს, უთანასწორო ბრძოლებში მზარდ წითელ არმიას ვეღარ გაუძლეს და 1924 წ. 300 კაცისაგან შემდგარი რაზმი გადავიდა თურქეთში, იქიდან დაიქსაქსნენ და შეუსისხლხორცდნენ სხვადასხვა ქვეყნებს, უმეტესად საფრანგეთს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სამივე რაზმელი ჩამოვიდა შეერთებულ შტატებში. ჯონდიმ (რომელიც ყელის ოპერაციის გამო ძლივს ლაპარაკობდა) შეირთო ერთი მდიდარი ებრაელის ქალი (ისეთი დრო იყო, რომ ამერიკელი სუპერ მილიონერი ,,ბარიშნები” გაფაციცებით ეძებდნენ თავადებს, რითაც ,,პრინცესები” ხდებოდნენ. აქედან გამომდინარე, მილიონობით დოლარის გარდა, მათ უმაღლესი სოციალური სტატუსი ეძლეოდათ, რითაც გვირგვინდებოდა მათი იდეალი).

შუშუ ლონგ-აილენდში, გემთმშენებლობაზე მუშაობდა, უზარმაზარი ტანისა და ძალღონის ვაჩნაძე კი (სახელი დამავიწყდა) ქართველების ხარჯზე ცხოვრობდა. მან დააორსულა დიასამიძის ერთადერთი, თუმცა ხანში შესული ქალიშვილი, რომელსაც მამის გამომეტყველების (და არა მისი ბრგეობის) ქალიშვილი შეეძინა, რითიც ისედაც გაჭირვებულ დიასამიძეებს ცხოვრება უფრო აურია (90 წელს მიტანებული ბატონი გიორგი (?) დიასამიძე, 50-იან წლებში, უხუცესი ქართველი იყო ნიუ-იორკში. იგი, ძველი ცნობილი მოღვაწე, ილია ჭავჭავაზის მეგობარი და თანამოაზრე იყო, რომელიც არ ვიცი როგორ მოხვდა ნიუ-იორკში. კარგად იცნობდა გივი კობახიძე, რომელმაც წერილიც დაწერა მის შესახებ).

ამით დასრულდა ყველა იმ „ძველი ემიგრანტი“-ს ჩამოთვლა და ნაწილობრივი დახასიათება, რომლებთანაც მე მქონდა ურთიერთობა. ამათ უნდა დაემატოს რამდენიმე პირი, რომლებიც ძველი ემიგრანტები იყვნენ, მაგრამ ამერიკაში ჩამოვიდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როგორც დუმბაძე, ყრუაშვილი, ვაჩნაძე, სულხანიშვილი და დიასამიძე. ესენი არიან: მიშა დადიანი, მერაბ კვიტაშვილი, გუგული გამყრელიძე, სიკო კობიაშვილი და (დიმა) დიმიტრი შალიკაშვილი (მამა შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსის ივანე (ჯონ) შალიკაშვილისა), აკაკი ჩხენკელი, სიკო ერისთავი. მათ შესახებ შემდეგ მოგახსენებთ.

ახალი, მეორე მსოფლიო ომის შედეგად ჩამოსული ემიგრანტებიდან მახსოვს გოგი (ფსიშკა) ვაჩნაძე, ერთ დროს ჩინებული ფეხბურთელი, ხელობით ინჟინერი, ქმარი ლიზიკო ბარნაბიშვილისა, რომელიც მუშაობდა მხაზველად.

პავლიკა რომანიშვილი, რომელიც სიკო ერისთავის მამულის მოურავი იყო,

ხოლო თბილისში ცნობილი „გიმნასტი“, წითელი არმიის ხაზით, ტანვარჯიშში რუსეთის ჩემპიონი.

ჩემი ამხანაგი, ჯუნა ახმეტელი, რეჟისორ სანდრო ახმეტელის შვილი აგრეთვე მუშაობდა მხაზველად და დამატებით ფულს შოულობდა ჭადრაკის თამაშით.

გივი ფორაქიშვილი, რომელიც ჩემი სტუდენტობის დროს გერმანიაში იყო დადეშქელიანის (შურკა ბეზრუკის ძმა) თანამშრომელი. ეს დადეშქელიანი კი ამერიკელების დაზვერვის სამსახურში იყო. ორივენი ცხოვრობდნენ ფურტში. გივიმ ითხოვა მშვენიერი გერმანელი ქალი, ჩამოვიდა ამერიკაში და მსახურობდა კოკი პიტავას „პაკრიშკების“ მაღაზიაში. ახლა პენსიაშია და ფლორიდაში განისვენებს.

კოკი პიტავა, რომელიც ბოლო ხანებში ქართული სათვისტომოს პრეზიდენტი იყო, ძალიან კარგი ღირსებების პიროვნება, სამწუხაროდ ჭარბი სმისა და თამბაქოს წევის გამო ადრე გარდაიცვალა. (კოკი პიტავა – იგივე სანდრო ბარათელი).

კოლეჯ პოინტში, რის შესახებაც შემდეგ მოგახსენებთ, ცხოვრობდა სამი-ოთხი ოჯახი: გოგია ღოღობერიძე, მამია ზაქრაძე – ორივე დაოჯახებული, ალექსანდრე (შუშუ) სულხანიშვილი და ვანო ნანუაშვილი – ორივე უცოლო კახელი. იქ ცხოვრობდა აგრეთვე ერთი ხაშურელი ბიჭი, რომელსაც ყავდა რუსის ცოლი. ეს ყმაწვილი, რომლის გვარ-სახელი არ მახსოვს ცუდი ყოფაქცევისა იყო.

სათვისტომოს შემდეგი თავმჯდომარე იყო გულკეთილი და საქმიანი თოფურია. განსაკუთრებულ გარემოცვაში იყო ორი ქართველი – დავით მდივანი და პროფესორი კირილე თუმანიშვილი.

სამი ძმა მდივანი ამერიკაში ჩამოვიდნენ 30–იანი წლების დასაწყისში, ან გაცილებით უფრო ადრე, რადგან ცნობილი იყვნენ, როგორც „პრინცები“. მათ თავიანთი დის - ნინოს წყალობით ფეხი მოიკიდეს ამერიკელთა მაღალ წრეებში, დაქორწინდნენ მრავალი მილიონის მქონე ქალებზე და ცხოვრობდნენ განცხრომაში. ორი ახალგაზრდა ძმა ადრე გარდაიცვალა, უხუცეს დავითს კი კარგად ვიცნობდი. მან სრულებით არ იცოდა ქართული და ჩემთან რუსულად მეტყველებდა. მისი პირველი ცოლი იყო კინოვარსკვლავი პოლა ნეგრი, ბოლო ცოლი კი უმდიდრესი მენავთობე ქალი. ამის შესახებ სხვა ადგილზე ვილაპარაკე და აქ აღარ გავაგრძელებ.

კირილე თუმანიშვილი (Toumanoff), რომელსაც ჯორჯ ტაუნის უნივერსიტეტში, ვაშინგტონში სრული პროფესორის თანამდებობა ჰქონდა. კირილე ლამაზი, კარგად მორგებულ ტრადიციულ ტანსაცმელში გამოწყობილი, კეთილმოუბარი, მართლაც არისტოკრატიული ყოფა-ქცევის პიროვნება, ამასთანავე, ღრმად მორწმუნე, თავმდაბალი, სასიამოვნო მასპინძელი და ჩინებული მზარეულიც იყო. მისი პოლონელი მეგობრის თქმით, რომელთანაც ცხოვრობდა, „დილის ხუთ საათზე ეკლესიაში მიდის ხოლმე სალოცავად“. მან დაგვიტოვა მაღალი ხარისხის მეცნიერული ნაშრომები. ამერიკაში გადმოსახლებულ მეცნიერთაგან ვიცნობდი მხოლოდ ორს, რომელნიც წერის არაჩვეულებრივი მანერით გამოირჩეოდნენ - კირილე მანგოს და კირილე თუმანიშვილს. ერთხელ კირილეს ვკითხე – სად ისწავლე ასეთი მშვენიეი წერა? მან მაგიდიდან აიღო დიდი დაძონძილი სიტყვარი (ლექსიკონი) და მითხრა: „აი ეს არის ჩემი მასწავლებელიო“.

საბრალო კირილეს გარდაეცვალა თავისი პოლონელი მეგობარი, რის გამოც

დიდად იმწუხარა. მერე თვითონაც გავიდა პენსიაში, გადავიდა იტალიაში, ვატიკანში (რომის პაპს იცნობდა და მისი მრჩეველიც იყო) და იქ გარდაიცვალა.

კოლეჯ პოინტში გადასვლა

სრული სამსახური ვიშოვე კოლეჯ პოინტში, რის გამოც ნიუ-იორკიდან ავიბარგეთ და გადავედით იქ, სადაც ერთი ბებრუხანა ირლანდიელი ემიგრანტის ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე დავბინავდით. ირინე ორსულად იყო, მე კი დავიწყე მუშაობა ე.წ. Lily Tulip-ის კომპანიის ერთერთ ქარხანაში, რომელიც პარაფინით გასანთლულ ქაღალიდის ჭიქებს ამზადებდა. ეს ქარხანა, რომლის დირექტორიც - როგორც ზემო ვთქვი, ცარისტული არმიის ყოფილი ოფიცერი იყო, არსებითად ქართველთა თავშესაფრად იქცა. ჩემი მოვალეობა იყო ჭიქების ცხელ პარაფინში ამოვლება, მათი ცივ წყალში გაცივება და ყუთებში ჩალაგება. უნდა ვთქვა, რომ პირადად მე და ყველა იქ მომსახურე ქართველი, გულდასმით და პატიოსნად ვასრულებდით ჩვენს მოვალეობას, სხვები კი ცუღლუტობდნენ. ამის გამო ჩვენ მოწონება გვქონდა, რაც სხვა ერის წარმომადგენლებს აბრაზებდა. ქარხნის დირექტორი ხშირად გვითვალთვალებდა და ჩვენ ღირსებასაც ხედავდა. ამის მიუხედავად, ერთხელაც არ მოსულა ჩვენთან და ნუგეში არ მოუცია. ამასობაში მოახლოვდა ირინეს მშობიარობა, მოსალოგინებლად წავიყვანე საუკეთესო ჰოსპიტალში, დაგვებადა ბიჭი (Blue Baby), რის გამოც საჭირო გახდა სისხლის გადასხმა და მკურნალობა.

დაოსებული ირინე გამოვიყვანე ჰოსპიტლიდან, მაგრამ ბავშვს კი არ მაძლევენ. მეუბნებიან: უნდა გადაიხადო 4300 დოლარი, თორემ ბავშვს არ მოგცემთო. მე არც ფული გამაჩნია, არც სახლი, არც კარი, უამისოდ კი ბავშვის დახსნა შეუძლებელია, თანაც ჩემს ვალს ყოველდღე ემატება 48 დოლარი. სასოწარკვეთილებაში ვართ. ჩემი უბედურება გაეგო ჯონდი დადიანს, რომელსაც არ ვიცნობდი. მან ქართველთა სათვისტომოში, ნინოობის დღეს, ჩეკი მომცა ჩემი ვალის გადასახდელად, შოკოლადები და ყვავილები კი - „თქვენი ძვირფასი მეუღლისათვის“. შევკრთი და ვეუბნები:

- დიდი მადლობა მომიხსენებია თქვენი რაინდული სიკეთისათვის, მაგრამ მე თქვენ არ გიცნობთ, არც თქვენ მიცნობთ, არც ის ვიცი როგორ გადაგიხადოთ ან შევძლებ ვალის გადახდას თუ ვერა. დამამშვიდა და მითხრა, რომ არ ვიდარდო.

- თუ გექნებათ ფული დამიბრუნეთ ვალი, თუ არ გექნებათ, ნურც ამაზე იდარდებთ, ახლა მთავარია თქვენი შვილი საავადმყოფოდან გამოიყვანოთ და დამშვიდდეთ.

ცრემლები მომერია. დიდი მადლობა მოვახსენე. გამოვიყვანე ჩემი ბიჭი საავადმყოფოდან და ორიოდე დღეში დავიწყე მუშაობა იმავე კომპანიის მეორე ქარხანაშიც, რომ ვალი გადამეხადა. ყოველ ქარხანაში ვმუშაობდი რვა საათს და ვსაუზმობდით ერთ საათს. ე.ი. ორივე ქარხანა მოითხოვდა 18 საათის ყოფნას, რასაც ემატებოდა ჩემი ბინიდან პირველ ქარხანაში მისვლის, აქედან მეორე ქარხანაში მისვლის და იქიდან ჩემს ბინაზე დაბრუნების დრო. ისე რომ, 18 თვის განმავლობაში, სახლში სადილისა და დაძინებისათვის მრჩებოდა 3-4 საათი. ამ სიძნელეებს ჩემი ჯანმრთელობის გამო გავუძელი, მაგრამ ფსიქოლოგიურად ისე დავიქანცე, რომ ძილი თითქმის არ შემეძლო. ამ გასაჭირში ვარ და ერთხელ, შუა ღამისას, ჭამის დროს, ქარხანაში, ვიღაც ბიჭ-ბუჭები შემომიჩნდნენ და

სულელური ხუმრობით ღუტუნი დამიწყეს. გავაფრთხილე ორჯერ, მაგრამ ამაოდ, ხარხარი და მასხრობა უფრო გაძლიერდა. ჩემმა ბოღმამაც ამოხეთქა. კრივის გამოცდილებამაც მიშველა და ორი სამი კაცი ისე მივბეგვე, რომ ხუთიოდ კბილი დაკარგეს. ამის გამო სამსახურიდან დამითხოვეს და მითხრეს, რომ დაზარალებულები არ გიჩივლებენ, რადგან ამერიკაში არალეგალურად არიან მოსული, მაგრამ თუ გიხელთეს მოგკლავენო. ფული უკვე დაგროვილი მქონდა, დიდი მადლობით ჯონდის ვალი დავუბრუნე, რაზედაც „რა გეჩქარებოდა“-ო - მითხრა. ამასობაში, ირაკლი ორბელიანმა, „ამერიკის ხმა“-ში თანამშრომლობა შემომთავაზა კარგი ჯამაგირით, რაზედაც დავთანხმდი. ამ იოლი სამუშაოს გამო, სული მოვითქვი, ოჯახიც განთავისუფლდა საშიშროებისაგან. მაგრამ დამემართა ერთი ფიასკო. ერთ მშვენიერ დღეს, Voice of America-ს ოფისში მომადგა ერთი უაღრესად სახელოვანი პიროვნება, კოლუმბიის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის პროფესორი მაიერ შაპირო. წამიყვანა სასაუზმოდ, ბევრი მელაპარაკა დიდი ინტერესით, მაგრამ ჩემი თავგადასავლით და ინგლისურის უვიცობით ისე ვიყავი შეძრწუნებული, რომ გაოგნებულმა, ერთი სიტყვის თქმა ვერ შევძელი. მისი დიდი იმედები, ჩემი უნივერსიტეტში მიწვევისა ჩავაფლავე, რაც მრავალი წლის განმავლობაში სადარდებლად გამიხდა.

„ვოის ოფ ამერიკა“-ში მოღვაწეობდნენ: მიშა დადიანი, სიკო კობიაშვილი, გივი კობახიძე, საშა ცომაია, მანამ მოხსნიდნენ - გუგული გამყრელიძე და დათა ჩხატარაშვილი. ქართული სექციის მეთაური იყო ირაკლი ორბელიანი. ნათქვამია: ,,ხუთი ქართველი, რომ თავს მოიყრის, ათი პარტია დაიბადებაო”. ეს გამოჩნდა ნიუ-იორკშიც. დაიწყო ერთმანეთის დაბეზღება, ენატანიობა, ხშირი, ყვირილში გადაზრდილი კამათი. ერთმანეთს არავინ ყურს არ უგდებდა და გაუჩერებლად თავისას გაიძახოდნენ. მართლაც სამარცხვინო მდგომარეობა მძვინვარებდა, ხსნა კი არ ჩანდა. ისეთ დიდი გავლენის მქონე პიროვნებასაც კი, როგორიც ირაკლი ორბელიანი იყო, არ შეეძლო მშვიდობის მიღწევა. ჟივილ-ღრიალის გამო დათა ჩხატარაშვილი იმდენად იყო შეძრწუნებული, რომ ერთხელ, რადიო გადაცემის დროს, თავისი წასაკითხი ტექსტი იმდენად აურ-და-ურია, რომ აბდა-უბდა გამოვიდა და ბოლოს ხმა ჩაიკმინდა, ვეღარაფერი სთქვა. მაგალითად, უნდა ეთქვა:„არგენტინის ამბოხების მონაწილენი დაპატიმრებული არიან და პასუხისგებაში მიცემულნი“. ამის მაგიერ თქვა: „არგენტინის მეამბოხეები დაპატიჟებული არიან და პასუხს არავინ აგებს“. რადგან მე არცერთ პარტიას არ ვეკუთვნოდი, აყალ-მაყალისაგან დაზღვეული ვიყავი.... კოლეჯ პოინტში, ერთი ოთახი შუშუს მივაქირავე, მეგონა ფინანსური მდგომარეობა გამიუმჯობესდებოდა, შუშუც კმაყოფილი იყო ჩვენი სახლის პატრონობით და ხშირი პურ-მარილით, მაგრამ როგორც მიუნხენის ქართველებზე ლაპარაკის დროს მოგახსენეთ, შუშუ ქირას მე კი არა გოგია ღოღობერიძეს აძლევდა. მაინც შუშუ ძალიან კარგი თვისებებით იყო აღჭურვილი და ქაქუცასთან ერთად ბრძოლების და ტყეში ცხოვრების შესახებ საინტერესო ეპიზოდებს მიყვებოდა. კოლეჯ პოინტში, ზღვის პირას, გაშენებული იყო პატარა პარკი, სადაც მე და შუშუს გარდა, მგონი, არავინ დადიოდა. ხშირად დავდიოდით და საქართველოს ავ-კარგის შესახებ ბევრს ვსაუბრობდით. ერთხელ, ხის ქვეშ, მერხზე დავსხედით სამასლაათოდ. როცა ავდექით, შუშუ მეუბნება:

- ბიჭო ეს რა მოგსვლია, საჯდომი (თავისი სიტყვებით) გაგსისხლიანებიაო. მართლაც ჩემი თეთრი შარვალი, წითლად იყო შეღებილი. მიზეზი გამოვარკვიეთ -შინდის ხის ძირას ვმსხდარვართ. ისე გავიხარეთ, თითქოს დაკარგული ძმა

გვეპოვნოს. საქართველოს შემდეგ ხიზნობაში უსამშობლობით დამწუხრებული, ხშირად ვეწვეოდი ხოლმე ამ შინდის ხეს, ფიქრებში სიამოვნებით ვერთობოდი, თითქოს ეს შინდის ხე დაკარგულ სამშობლოს ენაცვლებოდა, მანუგეშებდა და საიდუმლოდაც ვესაუბრებოდი. მის ნაყოფსაც სიამოვნებით გეახლებოდით, სხვანი კი არ ეკარებოდნენ. ამაზე ითქმის: „ვირმა რა იცის ხურმა რა ხილია“. შინდის ხე, ამერიკაში, სხვაგან არსად მინახავს. ზოგჯერ ვფიქრობდი, ნეტა ვინ ან რამ მოიტანა ეს ჩემსავით მიუსაფარი მარტოხელა შინდის ხე. ბედის ტრიალმა ესეც სამშობლოდან გამოგლიჯა და ამ პარკში მიუსაჯა მარტოხელ-ხიზნობა.

ერთ მშვენიერ დღეს, ესპანეთიდან კოლეჯ პოინტში გვეწვია ჩვენი ესპანელი სულიერი მამა პადრე მურელიო. სახლში, ჩვენ, ქრისტიანული რელიგიის ნიშან-წყალიც კი არ გვქონდა, ამიტომ მანამ მურელიოს სახლში ამოვიყვანდით, მე სახლის შემოგარენი დავათვალიერებინე. ამასობაში ირინემ, ჩვენი სახლის პატრონთან ჩაირბინა - ირლანდიელი, სუპერ კათოლიკე იყო, მისგან ითხოვა უზარმაზარი ხის გაპრიალებული ჯვარი, ზედ გაკრული ქრისტეს სხეულით და ერთი სურათის მაგიერ კედელზე ჩამოკიდა. ამის შემდეგ ჩვენი სტუმარი სახლში შევიწვიეთ, გულიანად ვისაუბრეთ, ვიპურმარილეთ და ჩემი ავტომობილით უკან ოტელში მივიყვანეთ...

სიტყვამ მოიტანა და ავტომობილი ვახსენე. თუმცა ირინეს ბავშვობაშიც ჰქონდა ავტომობილი, რადგან მამამისი და ძმებიც არა მხოლოდ „გონშჩიკები“ იყვნენ, არამედ ავტომობილებით ვაჭრობდნენ. ჩემთვის კი ეს იყო პირველი ავტომობილი, ისიც ნახმარი, ამიტომ მას შეკეთებაც დასჭირდა და ახალი მუხრუჭების დაყენებაც. რის გამოც, დამუხრუჭების დროს ჭრიალებდა. არც მაცია, არც მაცხელა და სადაც ჭრიალებდა, იმ ადგილებში ზეთი ჩავასხი. ერთხელ, კინაღამ დიდი ავარია მომივიდა. მექანიკოსმა მუხრუჭები გასინჯა და არ დაჯერა, ვინმე იმდენად ჩერჩეტი იქნებოდა, რომ მუხრუჭებში ზეთს ჩაასხამდა. ახალი მუხრუჭები დამიყენა და მე დაცინვის საგნად ვიქეცი.

ვაშინგტონში გადაადგილება და იქაური ავან-ხლება

1955 თუ 1956 წელს Voice of America ლეგალურ უწყებად აქციეს - ვაშინგტონში გადაიტანეს და საგარეო საქმეთა სამინისტროს შეუერთეს. ჩვენც მასთან ერთად გადავედით არლინგტონში. სახლების ერთ ახალ კომპლექსში ვიქირავეთ ორ ოთახიანი ბინა, რომელსაც გააჩნდა ბავშვების სათამაშო ტერიტორია. ამ კომპლექსის ჩრდილოეთით იყო საავტომობილო გზა, სხვა მხარეები კი ფოთლოვანი ტყით იყო გარშემორტყმული. მოკლედ, სუფთა და შესაფერი ადგილი იყო ბავშვების აღსაზრდელად. ამ ორსართულიან სახლებში ცხოვრობდნენ პენტაგონში მომუშავე სამხედროები და სახელმწიფო უწყებებში მოღვაწენი, Voice of America-ში ჩვენი განყოფილების უფროსი იყო გვარად კვიატკოვსკი, პოლონელი ყოფილი ოფიცერი, რომლის წინააღმდეგაც მიშა დადიანი განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდა. კვიატკოვსკი მალე შეცვალა ამერიკელმა ახალგაზრდა ბიჭმა გვარად „პურტლი“. ძალზე გულკეთილი, პატიოსანი, მაგრამ ამავე დროს გულგრილი თითქმის ყველაფრის მიმართ. ცოტა გადაჭარბებით შეიძლება ითქვას, რომ მას საქმე ფეხებზე ეკიდა, მაგრამ ყველას ასიამოვნებდა, ეხმარებოდა, მტრობას და ენატანიობას არ ეწეოდა, მაშინ როდესაც სხვები პირიქით - ხშირად ენატანიობდნენ ჩემი გონებისათვის მიუწვდომელი მიზეზების გამო, ცდილობდნენ არარსებულის მიღწევასა და იერარქიულ

კიბეებზე ახოხებას. პურტლი, სხვათა შორის, ქართულად მეტყველებდა... სამწუხაროდ, რატომღაც ეს პურტლი სხვა უწყებაში გადაიყვანეს და უფროსად დაგვინიშნეს ისევ კვიატკოვსკი, რომელსაც ქართული ენის ან მისი ისტორიის ცოდნა სავსებით არ გააჩნდა. ამიტომ რადიოში, ქართულ ენაზე გადაცემული პროგრამისა არა იცოდა რა, რის გამოც მისი ქართული სექციის უფროსად დანიშვნა იდიოტობა იყო, მაგრამ მას ვიღაც ბობოლა მფარველობდა და მიშას გამუდმებულმა და გაძლიერებულმა ღრიალმა, ნაყოფი ვერ გამოიღო. ბოლოს და ბოლოს, თავდაცვითი ბრძოლით დაოსებულმა და მუცლის წყლულით დაავადებულმა კვიატკოვსკიმ ქართველებს თავი დაანება და მისი ადგილი დაიკავა მერაბ კვიტაშვილმა, შემდეგ გივი კობახიძემ, რითაც გაცხოველებული ბრძოლები არ შეწყვეტილა. ჩემი ვაშინგტონში ყოფნის დროს, საკმარისი თავისუფალი დრო მქონდა რომ მემუშავა Dumbarton Oaks-ში, რაც პროფ. ბლეიკის და ორიოდ სხვათა მიერ დაარსებული ბიზანტიისა და ქართულ–სომხური ხელოვნებისა და ისტორიის შესწავლის ცენტრი იყო (ეს ცენტრი დაარსდა 1940 წელს, როდესაც მისმა მფლობელმა Robert Woods Bliss-მა შენობა მშვენიერი პარკითა და თავისივე შეძენილი ხელოვნების ნივთებით გადასცა ჰარვარდის უნივერსიტეტს. Dumbarton Oaks-ის დირექტორი ჩემი ვაშინგტონში ყოფნის დროს იყო John Thacher, მანიკურებითა და პუდრით ,,მოპირკეთებული", ინდაურივით გაბღენძილი, მეტისმეტად ცხვირაწეული და უკარება კაცი. ,,ბოროტი ენები" ამტკიცებდნენ, რომ იგი მამათმავალი იყო. ბევრი ეცადნენ, მაგრამ ვერ გააძევეს. აკადემიური დირექტორი იყო გერმანიიდან გამოხიზნული ებრაელი ერნსტ კიცინგერი). დავდიოდი კონგრესის ბიბლიოთეკაში, სადაც უფლება მქონდა მთელი ღამე მემუშავა. რამდენჯერმე შუა ღამემდე, დილის 4 საათამდის დავრჩი, ვიდრე ერთი დაუმსახურებელი უბედურება არ დამატყდა თავს: შუა ღამისას გამოვედი ბიბლიოთეკიდან, გარეთ საშინელი შხაპუნა წვიმაა, ირგვლივ არავინაა გარდა ერთი გალუმპული, მოკუზული, მიუსაფარი დედაბრისა. შემეცოდა და ზრდილობამ, ქართულმა ადათმა მიკარნახა, რომ ჩემი დიდი ზომის ინგლისური ქოლგა შემეთავაზებინა. მადლობის მაგიერ ამ ქალმა ისეთი ყვირილი მორთო, რომ შევშინდი და აღარ ვიცოდი რა მექნა. დაშოშმინების მაგიერ გავეცალე და სული მოვითქვი. ამის შემდეგ, არც ავტობუსში არც სხვა ადგილებში „ზრდილობას" არ მივმართავდი, თუ ვიჯექი ფეხზე მდგომ მანდილოსნებს ადგილს არ ვუთმობდი. ამგვარი ქცევით მივაღწიე ბარბაროსულ დონეს... ძალიან ხშირად დავდიოდი Dumbarton Oaks-ში, სადაც არა მხოლოდ საუკეთესო ბიბლიოთეკა იყო, არამედ იქ არ არსებულ ლიტერატურას გამოგიწერდნენ ან მის ასლს მოგართმევდნენ. საუკეთესო მომსახურება იყო და არა მხოლოდ ეს. იქ თავს იყრიდნენ საუკეთესო ბიზანტინისტები და მძიმე წონის სწავლულები, როგორც ოტტო დემუსი, რიხარდ კრაუტჰემერი, დიდი ვასილიევი, რომელიც სამწუხაროდ მალე გარდაიცვალა, გრაბარი, ტერ ნერსესიანი, ანდრეას ალფოლდი, გიორგი ოსტროგორსკი, გაი მორავშჩიკი და სხვანი. ნასაუზმევს იმართებოდა ინგლისური ჩაი და დისკუსიები ხელოვნების სხვადასხვა საკითხების ირგვლივ, სადაც ჩემი ცოდნა დიდად გავაღრმავე. სამწუხაროდ და მართლაც სავალალოდ, ჩემი ე.წ. ინგლისური მეტისმეტად რუდიმენტული იყო, რის გამოც, იმდენად ვიყავი დარცხვენილი, ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი, რაც ენის გაუმჯობესებას არ ეხმარებოდა. ენებს, საერთოდ, ადვილად ვსწავლობდი, მაგრამ ამ ინგლისურს ვერაფერი მოვუხერხე. მე რომ ინგლისური ენა მცოდნოდა, ეჭვსგარეშეა, ჩემს პროფესიულ, ჩამოსკინტლულ კიბეზე, გაცილებით სწრაფად და უფრო მაღლა ავფოფხდებოდი.

Dumbarton Oaks-ში სტუმრად მოსული ზოგიერთი მეცნიერის მოკლე აღწერა-დახასიათება

Dumbarton Oaks-ში, განსაზღვრული დროით, ბევრი თვალსაჩინო სწავლული მოდიოდა სტუმრად. საფრანგეთიდან ლასსუსი, რომელიც უმთავრესად სირიის ხუროთმოძღვრებაზე მუშაობდა, კაცი უაღრესად უკარება, ცხვირაწეული, მასთან საერთო არაფერი მქონდა. ტერ ნერსესიანი, სერიოზული მეცნიერი, ყოველთვის თავის დის თანამშრომლობით იღწვოდა. ხშირად ვსაუბრობდით. თავის შეხედულებებს ბერთის ოთხთავის შესახებ არ იცვლიდა, ქართულ წყაროებს უნდოთ მიიჩნევდა და ჯიუტად იმეორებდა, რომ მეცხრე საუკუნიდან მოყოლებული, ოშკი სომეხი კათოლიკოსის რეზიდენცია იყო, ამის საბუთი კი არ გააჩნდა. ზოგადად იმეორებდა „ტაიკის ტერიტორია სომხეთს ეკუთვნოდა და სხვანაირად შეუძლებელია, იქაური ეკლესიებიც სომხურიაო“. ეს და სხვა მრავალი მცნება, ისეა გაყალბებული და ე.წ. დასავლეთის მეცნიერების ტვინში ჩაბეჭდილი, რომ მის გამოსწორებას დიდი დრო და უსიამოვნო დისკუსიები დასჭირდება. ეს ადვილი გასაგებია, რადგან ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში არაერთი სომეხი მოღვაწეობს. მათ მატერიალურად ეხმარებიან მდიდარი თანამემამულეები. ისინი ფულით იზიდავენ უცხოელებს, რომლებსაც სომხეთის საქმეებს აკეთებინებენ (მეც მომცეს წინადადება, რომ ქართული საქმეებისთვის თავი დამენებებინა და სომხურ პრობლემებზე მემუშავა. მრავალმხრივ დახმარებას მპირდებოდნენ და ფულიც შემომთავაზეს. გაკვირვებულები დარჩნენ, რომ მათი წინადადება არ მივიღე). ქართველები კი „საამო ცხოვრებას“ ეტანებიან და რუსთველის გამზირზე „შორის გზიიდან სატრფოს ვეეელი...“ ღიღინებენ. ამგვარი მოქმედებით სამშობლოს პატივის დაცვა შეუძლებელია... როდესაც ღმერთი სამშობლოს სიყვარულსა და სხვა ამგვარ მცნებებს ზეციდან მოკვდავებისათვის აფრქვევდა, ჩვენ – ქართველებს – „ზონტიკი“ გვეჭირა და ახლაც ვერ მოვსულვართ გონზე... ანდრეას ალფოლდი მომცრო ტანის კარგად შებერებული პიროვნება იყო, თითქოს ძლივს დაბაჯბაჯებდა და მძიმედაც ლაპარაკობდა, მაგრამ ყველასათვის გასაოცრად, ითხოვა ერთი გერმანელი, მძიმე წონის მეცნიერი ,,ბარიშნა” - როზენბაუმი, რომელიც 45 წლისა თუ იქნებოდა, მშვენიერი, ღაჟღაჟანაკვთებიანი, მიმზიდველი ,,მატრონა”. ნუთუ ისე იყო ეს ქალბატონი მეცნიერებით გატაცებული, რომ ფიზიკური მოთხოვნილებები ტოტალურად სულიერს დაუმორჩილა? მას ერთი შემძლე ტლუ ბიჭი ნამდვილად უფრო გაახარებდა. როზენბაუმს ვიცნობდი არა მხოლოდ ვაშინგტონიდან, არამედ თურქეთიდანაც. რამდენიმე მნიშვნელოვანი შრომა აქვს გამოქვეყნებული, უმეტესად თვით ალფოლდთან თანამშრომლობით, ან სხვა მეცნიერებთან ერთად. თვით ალფოლდი, კეთილი, უნგრული წარმოშობის, ენციკლოპედიური ცოდნის მეცნიერი იყო, უმეტესად რომის იმპერიის დარგში. მრავალი გზის გამკვლევი ნაშრომი აქვს უმთავრესად რომის იმპერატორების იკონოგრაფიაში. იგი, ხშირად მონაწილეობდა Dumbarton Oaks-ის სიმპოზიუმებში, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი ბიზანტისტები ესწრებოდნენ ხოლმე. ეს პატარა კაცუნა განუყრელად დაათრევდა ერთ ტომსიკას, რომელშიც რაღაც ნელსაცხებლები, აბები და ოფლის მოსაწმენდად დიდი, ჩვენებური „ხილაბანდი“ ეწყო. მიუხედავად მისი უნგრული წარმოშობისა, ჩვენთან საუბარში ის უფრო მელანქოლიურ ხასიათს ამჟღავნებდა, ვიდრე ტემპერამენტული უნგრელისას. როგორც

უკვე ვთქვი, ალფოლდი იყო უნივერსალური, ენციკლოპედიური განათლების კაცი, ისევე როგორც, მაგალითად, ვასილიევი, რომელსაც შეეძლო საათობით ესაუბრა არა მხოლოდ ბიზანტიური ისტორიის შესახებ, არამედ იმის შესახებაც თუ როგორი მეთოდით აკეთებენ იაპონელები ლუდს, ან ჩინელები თოჯინებს... მორავჩიკიც უნგრელი იყო და დაახლოებით ისეთივე ბუნების, როგორც ალფოლდი. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სამი წელი რუსეთის ტყვეობაში იმყოფებოდა, რის გამოც რუსულ ენაზეც გვარიანად შეეძლო მეტყველება. ცოტა ნაშრომები აქვს. ერთი მათგანია კონსტანტინე პორფიროგენეტის „Administrando Imperio“, რომელიც მან თარგმნა და ერთი ეგზემპლარი მე მიბოძა; Dumbarton Oaks-ს სტუმრობდა აგრეთვე ჩეხი მთავარეპისკოპოსი დვორნიკი

ლასსუსის და ნერსესიანის გარდა, საფრანგეთიდან ხშირად ჩამოდიოდა ანდრე გრაბარი, რომელთანაც კარგ განწყობილებაში ვიყავი და როდესაც სოლტ ლეიკ სიტიში გადავედი, მისი ერთი ვაჟიშვილი ჩემთან ცხოვრობდა...

ძალზე სიმპათიური და თავმდაბალი იყო პროფ. ანატოლი ფლოროვი, რომელიც ვაშინგტონში ხშირად მესტუმრებოდა და პარიზიდანაც მწერდა ხოლმე, შვილის განუკურნებელი სენის გამო დათრგუნული. საბრალო ადრე გარდაიცვალა. პირადად უბედური იყო. მუშაობდა მცირე ხელოვნების დარგებში, იკონოგრაფიულ საკითხებზე და სერბიის ეკლესიების კედლის მხატვრობაზე.

ამერიკელებიდან იყვნენ გლანვილ დაუნი – კლასიკური ხანის ლიტერატურისა და ისტორიის ექსპერტი. მისი მთავარი ნაშრომი ეხება ანტიოქიას – ორონთისზე.

მარვინ როსი (დაუნის დოსტი) ბიზანტიის მცირე ხელოვნების ობიექტებზე მუშაობდა და კატალოგებს სწერდა. მდარე წონის ინტელექტი იყო.

ფორსაიტი და მისი მშვენიერი ცოლი ბიზანტიის და კაპადოკია-სირიის არქიტექტურას მისდევდნენ, მაგრამ Dumbarton Oaks-ში ფეხი ვერ მოიკიდეს.

კეთილშობილი ჯონ მაიენდორფი მღვდელი იყო და თეოლოგიურ-ლიტერატურულ საკითხებზე მუშაობდა.

ადრე გარდაცვლილმა პოლ ანდერვუდმა, მთელი თავისი ცხოვრება წ. სოფიის ტაძრის არქიტექტურას და კახრეიჯამის მოზაიკებს მოანდომა და სამი ტომიც გამოსცა...

ხშირად მოდიოდა ჩემი კარგი მეგობარი ვაიცმანიც, რომლის მთავარი მოღვაწეობა ეხებოდა ხატებსა და უფრო ხელნაწერებს.

ახალგაზრდა სწავლულებს შორის აღსანიშნავია სპეროს ვრიონი, კირილე მანგო, იგორ შევჩენკო და ალის-მერი ტალბოქე. ბიზანტიის ფილოლოგიის – უკეთ პატრისტიკის, „სპეცი“. ორმოცდაათიან-სამოციან წლებში Dumbarton Oaks-ი იყო ნამდვილი მექა ბიზანტიოლოგებისა და მისი მონათესავე მეცნიერებისა. თავიდან ეს შენობა იყო ბინა Bliss-ისა, შეერთებული შტატების ელჩისა რუსეთში (ის და უმეტესად მისი მეუღლე, მატერიალურად უაღრესად შემლებული პიროვნება) დაინტერესებული იყვნენ სიძველეებით – ასე ვთქვათ, ანტიკვარიატით – იძენდა ადრე ქრისტიანული და ბიზანტიური ხანის მცირე ხელოვნების ნივთებს.

ქართული პატრისტიკის მეცნიერის ბლეიკის თაოსნობით, ეს შენობა და ხელოვნების მთელი კოლექცია გადაეცა ჰარვარდის უნივერსიტეტს პირობით, რომ ის იქნებოდა ბიზანტიისა და ქართულ-სომხური კულტურის კვლევის მთავარი ცენტრი (ჰარვარდს გადაეცა აგრეთვე ადუღებული ვაშინგტონის

გრიალსა და ავტომობილების რახრახს მოცილებული, თვალწარმტაცი, მყუდრო, მრავალგვარი ყვავილებითა და ხეივნებით დამშვენებული, ტბებში მცურავი მრავალი სახეობის თევზით მდიდარი უზარმაზარი წალკოტი). მართლაც სულ მოკლე ხანში, დომბარტონ ოქსში შეიქმნა მეცნიერული მუშაობისათვის აუცილებელი სანიმუშო ბიბლიოთეკა, არა მხოლოდ წიგნებით გამდიდრებული, არამედ ევროპიული სისტემით დალაგებული, თითქმის ყველა სახის პერიოდული გამოცემით. შეიქმნა აგრეთვე ჩინებული მომცრო მუზეუმი, რომლის ნუკლეო თვით ბლისის მიერ მოგროვილი ექსპონატები იყო, რასაც დაემატა მრავალი შეწირულებები. მისი ღირსების ასაწევად, სახსარს არ იშურებდნენ. სხვებთან ერთად, მეც სიამოვნებით ვიღწოდი ამ საქმეში. დუმბარტონ ოქსში, თითქმის ყოველ მეორე, მესამე წელს იმართებოდა ე.წ. სიმპოზიუმები, რომელშიც ადგილობრივი და ევროპიდან მოწვეული მეცნიერები მონაწილეობდნენ. სტუმრობის დროს, მათთვის განკუთვნილი იყო „სასტუმრო სახლი“, სადაც მიერთმეოდათ საუზმე და სადილ-ვახშამი. როდესაც იუტას უნივერსიტეტში გადმოვედი და მოხსენებისათვის მიმწვიეს, იქ სამი დღე დავყავი. დუმბარტონ ოქსის ადმინისტრაცია სამი-ოთხი კაცისაგან შედგებოდა (მოსამსახურენი და მებაღენი კი აურაცხელი), ჩემსობას, აკადემიური დირექტორი იყო ერნსტ კიცინგერი, რომელმაც განათლება გერმანიაში მიიღო, მაგრამ ებრაელების დევნის ხანაში ინგლისში და შემდეგ ამერიკაში გადმოსახლდა. ადმინისტრაციული დირექტორი ჯონ ტაჩერი (Thacher) იყო, რომელიც აკადემიური ღირსებით კი არა, თავისი ამაყი კოპწიაობით, არშიყობითა და რომანტიკული საღამოებით იყო ცნობილი. იყო დაუოკებელი მამათმავალი, ამიტომ კიცინგერის და ტაჩერის იდეალები ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებოდა, რის გამოც წარმოებდა განუწყვეტელი ცეზარო – პაპისტული ომი. აქ უნდა მოვიხსენიო გიორგი გალავარი, რომელმაც სადოქტორო ნაშრომი პრინსტონში, ვაიცმანთან გააკეთა, ამიტომაც მისი კვლევის მთავარი თემა, ილუმინირებული ხელნაწერები იყო. ეს იყო მშვენიერი ხასიათის ყმაწვილი, თანდათანობით მეტისმეტად აგრესიული, ბოლოს დომბარტონ ოქსიდანაც გაირიყა. დომბარტონ ოქსი დაარსდა როგორც მსოფლიოს ადრე ქრისტიანული, ბიზანტიური და მისი გარემომცველი ქვეყნების ცივილიზაციის მოწინავე ცენტრი. უფრო მეტიც - სწორუპოვარი უწყება, შესაფერისად პრივილეგირებული, რაც იქიდანაც დასტურდება, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის მთავრობის მეთაურთა შესახვედრად და მოსალაპარაკებლად, ამერიკის მთავრობამ უკეთესი ადგილი ვერ გამონახა, ვიდრე დუმბარტონ ოქსი.

რა თქმა უნდა, იქ მოღვაწე და მოპატიჟებულ მეცნიერებს, ცხვირები ზევით ჰქონდათ აწეული, მათზე დაბალ აკადემიურ საფეხურზე მდგომთათვის არ ეცალათ და თვითონ კი ლიქნით ეტმასნებოდნენ ურთიერთს. ერთხელ, ფრანგი ბიზანტინისტი ჟან ლასსუსი, სირიის ხუროთმოძღვრების მკვლევარი, დომბარტონ ოქსში მოიპატიჟეს და მის შესახვედრად ისეთი სერიოზული სამზადისი დაიწყეს, თითქოს რომის პაპს ელიანო. მოკლედ, ეს იყო ბიზნატიის იმპერიული ქვეგამხედვარობის ნიმუში, რის გამოც ზოგმა მეცნიერმა ფეხაკრეფით უჩუმრად მიატოვა ეს უწყება, როგორც გლანველ დაუნიმ. აღსანიშნავია, რომ დუმბარტონ ოქსში მოწვეულთა შორის გერმანელი არ ერია. ჩემთვის გაუგებარი მიზეზის გამო, სირიის ხელოვნების სიმპოზიუმზეც კი არ მოუწვევიათ გიორგი ჩალენკო - უკრაინელი, რომელმაც განათლება გერმანიაში მიიღო, შემდეგ საფრანგეთში გადასახლდა, მთელი თავისი ცხოვრება ჩრდილო სირიის ხუროთმოძღვრებას

შესწირა და ამის შედეგად სამი ჩინებული ტომიც გამოაქვეყნა...

ამ უწყების გადაჭარბებები იმითიც აიხსნება, რომ ეს იყო ახალი მიზნების, ახალი იდეოლოგიის პრეტენზიული მეცნიერული კერა, რომელსაც შეუძლია იამაყოს უთვლელი წარმატებებით და მიღწევებით წმინდა მეცნიერულ სფეროში. ის აქვეყნებდა ყოველწლიურ ან ორწლიურ ჟურნალს Dumbarton Oaks Papers და მონოგრაფიის სერიას ე.წ. Dumbarton Oaks Studies, ორივე მართლაც უმწიკვლოდ გამოცემული, შინაარსის და ფორმის მხრივაც. რამდენიმე თვით სიმპოზიუმზე ან სხვა მიზეზით მოწვეული მეცნიერები და მეც, ხუთი წლის განმავლობაში კვლევა-ძიებას აწარმოებდნენ არა მხოლოდ თავისთვის, არამედ თითქმის ყოველდღე, როგორც ვთქვი, იმართებოდა ჩაის სმა ნამცხვრებით, სადაც მეცნიერები საუბრობდნენ, ან კამათობდნენ რაიმე საკითხის ირგვლივ. ამ საუბრების დროს მონაწილეებს შეეძლოთ თავის გამოჩენა. ერთხელ, საუბარი ჩამოვარდა ვენეციის სან მარკოს ეკლესიაში შენახული ტრიპტიხის - „პალა დორო“-ს შესახებ. ეს თემა დამსწრეთათვის ნაკლებ ცნობილი აღმოჩნდა. ერთი - გრაბარი იყო მხოლოდ, რომელსაც მინანქრების შესახებ შეეძლო ცოტაოდენ ლაპარაკი. მე კი ეს „პალა დორო“ მართლაც გადაღეჭილი მქონდა, თუნდაც იმიტომ, რომ გერმანიაში, ხახულის ხატზე მუშაობის დროს, ეს ძეგლი კარგად უნდა შემესწავლა, მაგრამ ინგლისურის უცოდინარობის გამო ხმა ვერ ამოვიღე, რითაც სხვათა დაჩრდილვის და „თავის გამოჩენის“ შესაძლებლობა დავკარგე. პირადად მე დომბარტონ ოქსის მიმართ არაფერი მაქვს სასაყვედურო, თითქმის ყველა ხელს მიწყობდა, განსაკუთრებით კიცინგერი, ვაიცმანი და მისი ცოლიც (აქ ისიც უნდა დავურთო, რომ ბიბლიოთეკაში, სადაც განსაკუთრებული ადგილი მქონდა დათმობილი და ჩემი ლიტერატურის აპარატი მეწყო, თუ ისეთ ლიტერატურას წავაწყდებოდი, რომელიც ბიბლიოთეკაში არ იყო, შემეძლო ეს ლიტერატურა რამდენიმე საათში მიმეღო სპეციალური პირის მეშვეობით, რომელსაც ახლო-მახლო, უფრო კი კონგრესის წიგნთსაცავის ბიბლიოთეკაში უნდა მოეძებნა და ჩემთვის მოეტანა წიგნები ან სურათები). სხვათა შორის დომბარტონ ოქსში იმართებოდა ხოლმე შესანიშნავი ინსტრუმენტალისტებისა და კამერული კონცერტები უფრო კვარტეტებისა, რადგან მშვენიერი დარბაზი, სადაც სიმპოზიუმები და კონცერტები იმართებოდა, მომცრო იყო... იქ იყო აგრეთვე დიდი საცურაო აუზი, სადაც ხშირად ვცურავდი და თვალწარმტაცი ყვავილნარი პარკი – წალკოტი, სადაც მიმყავდა ეთერი, მიხო და ირინე სასეირნოდ. დავრწმუნდი, რომ ასეთ მშვენიერ, წესრიგიან, მოვლილ და გემოვნებით დაგეგმილ ყვავილნარს, ბავშვების აღზრდის პროცესში დიდი წვლილი მიუძღვის, ბავშვები ეჩვევიან წესრიგს და უღვივდებათ ესთეტიური გრძნობა.

სოლტ ლეიკ სიტის უნივერსიტეტში მიწვევა და იუტაში გადასახლება

ვაშინგტონში, თუმცა ამერიკის ხმაში ვმუშაობდი, უმეტეს დროს დუმბარტონ ოქსში მოღვაწეობას ვანდომებდი და ვცდილობდი აკადემიურ საქმიანობაში გადასვლას. მით უმეტეს, რომ ამერიკის ხმაში ჭორიკნობის, მლიქვნელობისა და ღრიალის მეტი არაფერი არ კეთდებოდა; იქაურობა ამყრალებულ საგიჟეთს დაემსგავსა... რადგან მე ხელოვნების ისტორიკოსთა ასოციაციას ვეკუთვნოდი, მათი საშუალებით მივიღე მიპატიჟება ხუთ

უნივერსიტეტში. ერთი მათგანი იყო იუტას უნივერსიტეტი, რომლის კუთრი აკადემიური წონისა არა ვიცოდი რა, მაგრამ ეს იყო მშვიდი, ტყეებით მოცული, მთაგორიანი, მშვენიერი ადგილი, რაც ბავშვების აღსაზრდელად მიმზიდველი იყო და ტიპოგრაფიულ-კლიმატურადაც საქართველოს მაგონებდა. დრო არ დამიკარგავს. გავგზავნე სოლტ ლეიკ სიტის უნივერსიტეტში ჩვენი ავეჯი, გამოვეთხოვე ვაშინგტონს და გუდა–ნაბადით, ირინესთან და ჩვენ ორ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად, ჩემი ნახმარი „შევროლეტ“ ავტომობილით, გავსწიე იუტას მიმართულებით. დაღლილ-დაქანცულებმა სამი დღის მოგზაურობისა და ოთხი ათასი კილომეტრის გადალახვის შემდეგ მივაღწიეთ სანატრელ იუტას 1958 წლის მაისში (მგზავრობა მეტად საინტერესო, მაგრამ უაღრესად ამაღელვებელი იყო ჩემი სწრაფი სვლის გამო. ჩემზე წინ არავის ვუშვებდი და ავტომობილის ამ ,,ჯიგიტური” მართვის გამო არაერთ ხიფათს გადავურჩი. მართლაც ღმერთმა დამიფარა, რომ ჩემიანად მთელი ოჯახი არ დავღუპე). უნივერსიტეტში ძალიან კარგად მიგვიღეს და დროებით სასტუმროში მოგვათავსეს. ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტის უფროსი იყო ინგლისელი ალვინ გიტინსი. ის სადღაც მორმონების რელიგიას შეეკედლა და ბოლოს სოლტ ლეიკ სიტიში ამოყო თავი. ჰყავდა მშვენიერი მეუღლე და სამი შვილი. ცოლის მსგავსად, ისიც კარგი მოსაუბრე იყო და რენესანსის სტილის უაღრესად გაწაფულ მხატვარს ორატორის ნიჭიც ჰქონდა. დასაწყისში, გასაცნობად აქეთ-იქით გვპატიჟებდნენ და ამ დროს შევიტყვეთ რაში მდგომარეობს მორმონების რელიგია, როგორ მჟღავნდება ის პრაქტიკულ ცხოვრებაში. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ჩრდილო ევროპიდან არის ჩამოსული, ამიტომაც უაღრესად სუფთანი, წესიერები და სანდონი, მაგრამ საკმაოდ პროვინციულნი არიან, რაც ჩვენ არ გვაწუხებდა. გავიცანით და ხშირი ურთიერთობა გვქონდა აზიზ ატიასთან (ეგვიპტელი მონოფიზიტი, ქრისტიანი კოპტი, მართლაც საინტერესო პიროვნება იყო), რომელიც უნივერსალურად განთქმული მეცნიერი იყო და უმთავრესად ჯვაროსნების საკითხებზე მუშაობდა. მალე ჩვენ პროფესიული თანამშრომლობაც გავაბით, რადგან ის იყო აგრეთვე შუა აღმოსავლეთის შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორი. ერთი წლის შემდეგ მოვაწყეთ სიმპოზიუმი, რომელსაც მრავალი წარჩინებული ესწრებოდა და მოხსენებებიც წავიკითხეთ. ლექციებს ვკითხულობდი ბერძნულ-რომაულ და საშუალო საუკუნის (ბიზანტია) ხელოვნებაზე, მაგრამ მქონდა აგრეთვე სემინარები ადრექრისტიანული ხელოვნების სხვადასხვა საკითხებზე: სკულპტურა, ძვლის ნაკეთობები, რავენის მოზაიკები, იატაკის მოზაიკური თემები, იკონოგრაფია. ჩემი ინგლისურის მიუხედავად, სტუდენტები და პროფესორები მაღალ კვარცხელბეკზე მაყენებდნენ. ალბათ იმიტომ, რომ კალამი უკეთესად მიჭრიდა ვიდრე ენა და თანაც „ეგზოტიკური ცხოველი“ ვიყავი ადამიანთა ზოოპარკში... ჩემი წლიური შემოსავალი ჯამაგირის სახით, იყო ექვსი ათასი, იმის ნახევარზე ნაკლები, რაც „ამერიკის ხმა“-ში მეძლეოდა, თუმცა მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ვაშინგტონი იუტაზე ძვირი ქალაქი იყო. მალე ირინემაც დაიწყო ლექციების კითხვა თანამედროვე გერმანული ლიტერატურის ისტორიაში, რამაც ჩვენი მატერიალური მდგომარეობა გამოასწორა. თანდათანობით შევეგუეთ გარემოებას და გარემოცვას. ხშირად დავდიოდით მახლობელ მთებზე. ავტომობილით 20-30 წუთში უკვე მთებში ვიყავით და ვიწყებდით სხვადასხვა ბილიკებზე ფეხით სიარულს. ხშირად ვაღწევდით ალპური საძოვრების დონეს. დროდადრო მეგობრებთან ერთად

ვაწყობდით „პიკნიკებს“. სამ-ოთხჯერ, ორიოდე კვირა გავატარეთ ჩვენი მეგობრის - არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორ კროულისა და მისი სტუდენტების მიერ მთაზე აშენებულ ნოვატორულ პოლიგონალურ სახლში. წიწვიან ტყეებში სულიერ სიმშვიდეს ვპოვებდით. მოგვწონდა ტრადიციული გაურთულებელი ამერიკული ცხოვრება. შაბათ-კვირას გვეწვეოდნენ ხოლმე ფაკულტეტის წევრები, სტუდენტები და ჩვენი ხელოვნების ისტორიის ბიბლიოთეკის მომსახურეები. ვხუხავდით ღვინოს, გეახლებოდით ირმის მწვადებს. (იუტას მთებში აურაცხელი გარეული ცხოველი და ფრინველი ბინადრობს. ტყეში, მოჭიკჭიკე ფრინველების ნამდვილი პოლიფონიური კონცერტის მოსმენა შეიძლება. ნადირის სიმრავლის გამო, ნადირობა ადვილი იყო. ფაკულტეტის ზოგიერთი წევრი ირმებზე ნადირობდა და მის ხორცს არ გვაკლებდა). ხანდახან ხორცი პროფესორ კროულის მოჰქონდა. ავტომობილით ავიდოდა მთაზე, ჩაუსაფრდებოდა წყაროს მახლობლად, წყლის დასალევად მისულ ირემს ბუთქავდა და წამოიღებდა. შევარცხვინე: შენ მონადირე კი არა ყასაბი ხარ, ცხოველს თავდაცვის საშუალებას არ აძლევ და არ სდევ-მეთქი. ამგვარი რამ საქართველოშიც იყო: როდესაც ყურძენს დაწურავდნენ, ჭაჭას მინდორში გაიტანდნენ და მიწის გასანოყიერებლად მოაფრქვევდნენ. მისი სუ-ნი და გემო იზიდავდა გარეულ ფრინველებს: დურაჯებს, ხოხბებს, რომლებიც ფაციფუცით შეექცეოდნენ მდუღარე ჭაჭას, რის შედეგადაც თვრებოდნენ და ფრენა კი არა, სასაცილოდ, უსწორმასწოროდ, ტაატით ძლივს დადიოდნენ. ბავშვები ამით სარგებლობდნენ და მათზე „ნადირობდნენ“ (მეც სამწუხაროდ), რაც სამარცხვინოდ ითვლებოდა და იკიცხებოდა.

სოლტ ლეიკ სიტი-ში თავს გადამხდა ორიოდ ამბავი, რის შინაარსსაც მოგითხრობთ, რადგან დამახასიათებელია იქაური საზოგადოებისთვის. მე მხიარულ ხასიათზედ ვიყავი ხოლმე, თუნდაც იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს აკადემიურ გზას დავუბრუნდი. ეს ენთუზიაზმი შემატყო ჩემმა მეზობელმა, რომელიც ხშირად აივანზე იჯდა ხოლმე დავრდომილი. ერთ მშვენიერ დღეს გამაჩერა და მკითხა, თუ შეიძლება ერთი შეკითხვა მოგცეო. კი ბატონო, ვუპასუ-ხე გაკვირვებით. მეკითხება: რატომა ხართ გამუდმებით ასე მხიარულად? წუთით დავიბენი, მოულოდნელ შეკითხვაზე ვერ მოვისაზრე პასუხი და ანაზდეულად ვუპასუხე: ეს არის ჩემი ბუნება, მაგრამ შეიძლება გკითხოთ თუ რატომ ბრძანდებით ასე დაღვრემილი? მან მიპასუხა, რომ „კოკა-კოლა“-ს კომპანიის რეგიონალური დირექტორი იყო, მრავალი წლის განმავლობაში ის და მისი ცოლი დღე და ღამე მუშაობდნენ, ახლა ორივე პენსიაშია გასული, სავსებით მარტონი არიან, რადგან სამი შვილიდან არცერთს არა აქვს მასთან ურთიერთობა: საღდგომოდ მოკითხვის ბარათსაც კი არ მიგზავნიან და აბა როგორ უნდა ვიყო გახარებულიო. სამწუხაროდ, ხანგძლივი მუშაობის გამო არც ბავშვობის დროს ვიყავით შვილებთან ახლოს და ახლა სულ დაგვივიწყესო. ვწუხვარ თქვენი მარტოობის გამო, მაგრამ გეტყვით, რომ ბავშვების ყოლას აზრი აქვს, მათთან ხშირად რომ იყოთ, მოეხვიოთ, გადაკოცნოთ, შეიყვაროთ, ეთამაშოთ, ესაუბროთ, სულიერად შეისისხლხორცოთ, თქვენი ღირსებები ჩაუნერგოთ, რათა სიბერის დროს თქვენი პიროვნება მათში დაინახოთ. როგორც ჩანს, სკოლის შემდეგ თქვენი შვილები სხვათა ოჯახებში ატარებდნენ დროს და თქვენსას კი არა, მათ ზნე-ჩვეულებას ითვისებდნენ. ამიტომაც სხვებთან უფრო ახლო გრძნობენ თავს, ვიდრე თქვენთან... სავალალოდ, ამგვარი შემთხვევები იშვიათი არ არის, რადგან აქ ფული მეფობს, ფულით იზომება ადამიანის

ღირსება, ამიტომ, მრავალი წელებზე ფეხს იდგამს, რაც შეიძლება მეტი ფული რომ მოაგროვოს, რასაც ხშირად მაინც ვერ გამოიყენებს - კვდება და ფული ოხრად რჩება ან მთავრობას მიაქვს. საბრალო მეზობელი ფულის დაგროვებაში ისე იყო გაბმული, რომ შერგებოდა, გემრიელად პურიც კი არ უჭამია....

ერთხელ, მორმონ ,,მატრონების" ასოციაციამ დამპატიჟა საუზმეზე, სადაც საქართველოს შესახებ მოხსენება წავიკითხე. მომდევნო კითხვა-პასუხი და საუბარიც თბილ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მანამ, ვიდრე ბებრუხანების ერთი ჯგუფი არ ჩამაცივდა, სადღეგრძელო გვითხარი, გვსურს გავიგოთ როგორ ჟღერსო. აქ მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ მორმონები არავითარ ალკოჰოლურ სასმელს არ სვამენ, რასაკვირველია, ღვინის ჩათვლით. ამიტომ-აც, ამ საუზმეზე, ჩვეულებისამებრ, ღვინის მაგიერ შეფერადებულ წყალსა ვსვამდით. სამწუხაროდ, მე სადღეგრძელოების „სპეცი" არასდროს ვყოფილვარ, მითუმეტეს, შეფერადებული წყლით. ბებრუხანა ბარიშნები ჟივილ-ხივილით ჩამაცივდნენ და არ მომეშვნენ, მეც ცოტა გათამამებულ-აღვირახსნილმა დავიწყე „სადღეგრძელო", ქათინაურებით მოვურბილე გულები დამსწრე საზოგადოებას, ხოტბა შევასხი მათ ადათსა და ღირსებებს და მერე... ენას მეტი უფლება მივეცი და წამოვაყრანტალე: „მაშ გაუმარჯოს ანტიქრისტიანულ საზოგადოებას". სიჩუმე ჩამოვარდა. მოულოდნელი კონტრასტის გამო არავინ იცოდა თუ რა ეთქვა. ნახევრად მრისხანებაში გარეული ღიმილით, მატრონების ასოციაციის პრეზიდენტმა მკითხა, „რატომ გგონიათ, რომ ჩვენ ანტიქრისტიანები ვართ?" „იმიტომ რომ ქრისტემ წყალი ღვინოდ აქცია და თქვენ კი პირიქით, ღვინიდან წყალს აკეთებთ"! ვიგრძენი რომ შევტოპე და კატასტროფის გამოსწორება ხუმრობით ვცადე, თითქოს წარმატებითაც, მაგრამ დამხსვრეული თასის აღდგენა მგონი ვერ მოვახერხე, ღმერთო შეგცოდე...

მესამე წაბორძიკება: ერთხელ, როდესაც უნივერსიტეტიდან დავბრუნდი, ორი სუფთად ჩაცმულ-გაკრეჭილი მოკრძალებული ყმაწვილი დამხვდა სახლში. გნოლების მსგავსად ჩუმად და გაუნძრევლად ისხდნენ და მაშტერდებოდნენ. ირინემ მითხრა, რომ ეს ყმაწვილები შენთან სალაპარაკოდ მოვიდნენო, მაგრამ ისინი ხმას არ იღებდნენ და სიჩუმეს მეც არ ვარღვევდი. არ ვიცოდი რა მექნა, ნაყინი მივართვი. მიირთვეს, მადლობა გვიბოძეს და წავიდნენ. მეორედ, ამგვარივე შემთხვევაში ცოტა ნასვამი მოვედი სახლში. ისევ იმ ბიჭებს ვხედავ გვრიტების მსგავსად ჩუმად მსხდარს. ვერ იქნა და ვერ ავამეტყველე. რომ არ მოვეშვი, მითხრეს მორმონების რელიგიის პროპაგანდისტები არიან და სურთ გაიგონ თუ როდის ვაპირებ ამ რელიგიის მიღებას. სიცილი წამსკდა და გაოცებულ ყმაწვილებს მივუგე, რომ დაიგვიანეს. ადრე რომ მოსულიყავით შემოგიერთდებოდით, მაგრამ ახლა მრავალცოლიანობა აკრძალეთ და ვერა-ვითარ მიზეზს ვერ ვხედავ რელიგიის გამოცვლისათვის-მეთქი. ტყვიანაკრა-ვივით ხმა ჩაიკმინდეს და ისე მომცილდნენ, რომ აღარც მოსულან. ამ სტრიქონე-ბის მკითხველმა მხედველობაში უნდა იქონიოს ის გარემოება, რომ მორმონები ინტენსიურად ავრცელებდნენ თავის რელიგიას და თუ მათ საზოგადოებაში ხარ, შენგან სრულ რელიგიურ შერწყმას მოელიან.

ნაწილი მეექვსე

აზია

ფულბრაიტის სტიპენდია და საველე სამუშაოებისათვის ანტიოქიაში გამგზავრება

მას შემდეგ რაც გერმანია დავტოვე, ამაოდ ვცდილობდი ანტიოქიაში წასვლას, ქართველების მიერ იქ დაფუძნებული მონასტრების მონახვას და შესწავლას. თუმცა მე და ირინე ვაშინგტონიდან თურქეთში ჩავედით და ანტიოქიასაც მივაკითხეთ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ხანმოკლე ტურისტული გასეირნება, რამაც იქ მუშაობის სურვილი კიდევ უფრო გაგვიცხოველა. ამის დრო დამიდგა 1962 წელს, როდესაც სენატორ ფულბრაიტის „ანტიოქიაში კვლევა ძიები“-ს პროგრამის თანახმად, ორწლიანი პენსია მარგუნეს. ამით დაიწყო ჩემი ცხოვრების ყველაზე შინაარსიანი და ბედნიერი ხანა, როდესაც მრავალწლიანი საქმიანობა სანატრელი, ხელშესახები სინამდვილით იწყებოდა. 1962 წლის მაისის თვეში, ავიკრიფე გუდა-ნაბადი და მთელი ოჯახით თურქეთისაკენ გავსწიე. ხეტიალს მიჩვეულებისათვის გადაბარგება არ იყო ძნელი. ჩავედით სტამბულში, სადაც ჩვენი მეგობრების საშუალებით, ერთ ახალ სახლში, რომელიც ბოსფორის პირას Kucur Bebek-ში მდებარეობდა, ჩავსახლდით. იქვე იყო ამერიკელების სკოლა (სტამბულში მოღვაწე ამერიკელების ბავშვებისათვის), სადაც ჩვენი ბავშვები ჩავრიცხეთ. აღმოსავლეთ რომის იმპერიის დედაქალაქი, სტამბული ანუ კონსტანტინეპოლი, დაარსებული კონსტანტინე დიდის მიერ 330 წელს, სხვადასხვა მიზეზების გამო, იზიდავდა უცხოელებს, რომელნიც იქ სამუდამოდ სახლდებოდნენ. აი, ამგვარი ევროპელები და ამერიკელები ასწავლიდნენ ამ სკოლაში. ერთი მათგანი იყო ცარისტული რუსეთის გენერალი ნადოლსკი, რომელიც ტანვარჯიშის ჩინებული მასწავლებელი იყო. მისი ,,მძიმე წონის”, მაგრამ მშვენიერი და მიმზიდველი ფრანგი მეუღლე, ფრანგულს ასწავლიდა აქ. ეს სკოლა მდებარეობდა მაჰმედ ფატი II-ის მიერ აშენებულ ციხე „რუმელი ჰისარ“-თან, რომელიც ბოსფორის პირას სტრატეგიულ ადგილზე მდებარეობდა. ბავშვები სწავლობდნენ თურქულ ენასაც და ერთხელ, როდესაც სკოლამ თურქულ ენაზე სპექტაკლი დადგა, მასში ჩემი შვილი ეთერიც მონაწილეობდა. გამაოცა მისმა თურქულმა მეტყველებამ.

ოჯახი დავაბინავე თუ არა, მაშინვე ანტიოქიისაკენ გავეშურე და დავიწყე ძველი ეკლესია-მონასტრების ძიება. ამისათვის ვიყენებდი არა მხოლოდ ევროპულ, არაბულ და ქართულ წყაროებს, არამედ ადგილობრივ მოსახლეობასაც, რომელთა დიდი ნაწილი იყვნენ არა თურქები, არამედ არაბი „ალევი“ ე.ი. მუჰამედის ძმის ალის მიმდევრები. ერთი მათგანი იყო მდიდარი მრავალცოლიანი „სოვდაგარი“ ალი, რომელიც თითქმის ყოველთვის საჩაიეში იჯდა, ნარგილეს აბოლებდა ან თავის თავგადასავალს ყვებოდა. ერთხელ, ჩაიხანაში მივაკითხე ალის, რომელიც რომელიღაც ბრძოლის ეპიზოდს ყვებოდა და სხვები გულდასმით უსმენდნენ. ამბობდა: „ჩვენ შევუტიეთ თავდამსხმელებს, რომლის დროსაც სასიკვდილოდ დამჭრეს, მაგრამ მეორე დღეს მეორედ შევუტიეთ და რაზმელები გავაქციეთ.“ გამიკვირდა მისი ლოგიკა და თხრობა რომ დაასრულა ვკითხე: ალი, როგორ შეიძლება კაცი სასიკვდილოდ იყოს

დაჭრილი და მეორე დღეს იომოს? ეს სწორი არ არის. მიპასუხა: შეიძლება გადაჭარბებულია, მაგრამ კარგი მოსასმენია (ჩემი პროფესორის - ბრაუნის ლექციის ხორცშესხმა). მაშინვე ვიგრძენი, რომ ამ ორიოდ სიტყვით მან გამოხატა თუ დაახასიათა ისლამური საზოგადოების ცხოვრების დედააზრი, რომელიც არა სინამდვილეს, არამედ ტკბილ სიზმარს უფრო ეტანება. ამგვარი გრძნობა შემექმნა, როდესაც უფრო გვიან, Resafe-ში წმ. სერგიუსის მონასტერს Sergiopolis-ის მხარეში მეორედ ვეწვიე (ალექსანდრე დიდი, რომელმაც ქრისტემდე IV საუკუნეში თითქმის მთელი მსოფლიო დაიპყრო, უშვილოდ გარდაიცვალა. მის მიერ დაპყრობილმა ქვეყნებმა, თავიანთი დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით ომები წამოიწყეს და განუწყვეტლივ მიიწევდნენ დასავლეთისაკენ. ამიტომ ბერძნები და შემდეგ რომაელები თავდაცვით ზღუდეებს აგებდნენ, როგორც დურა ევროპოს, სადაც იულიან აპოსტატა იბრძოდა. ზენობიე და სერგიოპოლისი იმპერატორ იუსტინიანეს მიერ იყო აშენებული თავდაცვისათვის). ეს შემოზღუდული ქალაქი მდებარეობს უდაბნოში, სადაც გარშემო ვერაფერს ხედავ გარდა დაუსრულებელი ერთფეროვანი უდაბნოს ოკეანისა, არც ბუჩქი, არც ცხოველ-ფრინველი, არამედ დამღალავი ერთფეროვნება. ასევეა ზეცა: ლურჯი უსასრულო ზღვა. ღრუბლის ერთ ნაჭერსაც ვერ დაინახავ. ჩიტუნიას ჭიკჭიკს ვერ მოისმენ. ამის შემყურე, იღლება და რადგან მის ყურადღებას არაფერი იზიდავს, იწყებს ოცნებას, ჰქმნის ათასერთი ღამის ზღაპარს, დიდ რელიგიებს: იუდაიზმი, ისლამი, ქრისტიანობა. ალბათ ამიტომ არის, რომ შუა აღმოსავლეთის საზოგადოებებმა დიდი ხნის განმავლობაში ვერ შექმნეს რაციონალური, ზუსტი მეცნიერებები. საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ ევროპაში, სადაც უდაბნოების მაგიერ მთებია, ტბები, ტყეები, ცაზე ღრუბლებია, ჩიტუნები ჟღურტულებენ. ერთი მთა უფრო ახლოა, მეორე უფრო შორს. ერთი მთა მაღალია, მეორე დაბალი, ამის გაზომვა და ზუსტად გადმოცემა შეიძლება, მრავალფეროვნების ზუსტად აღწერაც. ერთფეროვნების მაგიერ მრავალფეროვნება. ამ გარემოცვაში ბუნება გკარნახობს რაციონალურ აზროვნებას, რეალობას და არა აბსტრაქციას.

Dura-Europos-ის მონახულება

ჩემი ძველი ამხანაგი ჯორჯო ბუჩელატი სირიაში, დეირ ეზ ზოროს მახლობლად, მდინარე ევფრატის მარჯვენა ნაპირზე გათხრებს აწარმოებდა. თანამშრომლობისათვის ერთი სეზონი მეც მიმიწვია, რაზეც დავთანხმდი, რადგან არქეოლოგიურ საქმეს რომ თავი დავანებოთ, ამ მოპატიჟებით შესაძლებლობა მეძლეოდა მომენახულებინა გათხრის სანახებში არსებული ბიზანტიური და ისლამური ძეგლებიც. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის არის წმ. სერგიუსის მონასტერი რესაფეში. სირიის უდაბნოში რესაფეს სიძველეები ყველაზე დიდი ზომისა და ყველაზე მნიშვნელოვანია. იქ 305 წ. ეწამა რომის არმიის ქრისტიანი ოფიცერი სერგიუსი, რომლის საპატიოდ V-VI საუკუნეებში აშენდა ეკლესიები და სხვა დანიშნულების ნაგებობები. ამ შემოზღუდულ არეს დაერქვა სერგიოპოლისი, იუსტინიანეს ხანაში იქ იდგა ძლიერი სამხედრო გარნიზონი. არაბების ხანაში კი სერგიოპოლისი იყო ომაიად ხალიფების სადგომი (რეზიდენცია).

სერგიოპოლისი ოთხკუთხედი, დიდი თავდაცვითი კედლებით არის შემოზღუდული (557 x 432 მეტრი). მასში მოთავსებულია დიდი ზომის ტეტრაკონქი (ე.წ. მარტირიუმი). ჩემი იქ ყოფნის დროს, გათხრილი და იდენტი-

ფიცირებულია ჯვრის ეკლესია, სერგიუსის კათედრალი და სხვა რელიგიური და სამოქალაქო საჭიროების შენობები და დიდი ზომის ცისტერნები. დოქტორმა ულბერტმა, რომელიც იქ ჯვრის ეკლესიის გათხრაზე და რესტავრაციაზე მუშაობდა, გულთბილად მიმიღო, ამიხსნა თავისი მუშაობის გეგმა, გამაცნო გათხრის პროცესში იქ მოპოვებული მცირე ხელოვნების ნიმუშები. საღამოებს ხანგრძლივ საუბარში ვატარებდით, მით უფრო რომ ერთ დროს, მცირე ხნით იქ მუშაობდა ჩემი მასწავლებელი ალფონს–მარია შნაიდერი და ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარი ეკატერინე ოტტო–დორნი, ისლამის ხელოვნების პროფესორი.

ქალაქი დურა-ევროპო (ისევე როგორც ანტიოქია) გაშენებულია მდინარის მარჯვენა ნაპირზე სელევკოს ნიკატორის მიერ (312-280),. ეს ციხე სიმაგრე კულტურულ–რელიგიური, უფრო კი თავდაცვის საშუალება მგონია. ქრისტემდე 100 წლით ადრე, იგი, პართებმა დაიპყრეს 165 წელს კი დაიბრუნეს რომაელებმა, 256 წელს - რომაელებს სასანელებმა გამოსტაცეს, შემდეგ ისევ რომაელებმა დაიბრუნეს, მაგრამ ისე იყო გაპარტახებული, რომ 361 წელს სპარსეთის, ე.ი. სასანელების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, იულიუს განდგომილი (apostate) დურა ევროპოში ლომებზე ნადირობდა, რაც ჩემი ვიზიტის დროს ვიცოდი და იქ მომხდარი ეპოქალური მნიშვნელობის ამბებზე ვოცნებობდი. ამ დროს ჩამომიარა ორმა არაბმა მონადირემ. ერთი თოფით იყო, მეორე - უთოფოდ. ვილაპარაკეთ და დავცილდით ერთმანეთს. საღამოს ისევ ჩამომიარეს და ერთი ჩხიკვი მაჩვენეს, მეტი ვერაფერი მოეკლათ. ვუთხარი, წინათ აქ რომაელების იმპერატორები ლომებზე ნადირობდნენ და ისე მოინადირეს, ერთი ჩხიკვის მეტი არაფერი დაუტოვებიათ მეთქი. გაიკვირვეს და დასძინეს: ,, ჩვენ ნადირობის მაგიერ, შემდეგ სათევზაოდ მოვალთ, იმედით, რომ რომაელმა იმპერატორებმა თევზები მაინც ხელუხლებლად დატოვეს“-ო.

დურა ევროპოს, კარგა დიდი დასახლებული ტერიტორია ყოფილა: დაახლოებით ერთი კილომეტრის სიგრძე სიგანისა. ქუჩები კვადრატულად არის დაგეგმილი და მოკირწყლული. მთელი ქალაქი შემოზღუდულია სქელი (ზოგ ადგილებში 5 მეტრის სისქის) კედლებით და მასში მოქცეული კვადრატული სიმაგრეებით. მასალა ყველგან გამომწვარი და უმეტესად მზეზე გამომშრალი აგურია. მისი ტლაპო და გრძელფოთლებიანი მცენარეები თავსაყრელადაა ევფრატის ორივე მხარეს. სიმაგრისათვის ტლაპოსაგან გაკეთებულ აგურებში ჩართულია მოკლედ დაჭრილი მცენარეები. როგორც მოსალოდნელია, ქალაქს აქვს მხოლოდ ერთი უზარმაზარი ალაყაფის კარები მეკარეებისა და კარის მცველთა ბინებით. საცხოვრებლების, ტაძრებისა და სხვა დანიშნულების შენობათა კედლები და სვეტები მხოლოდ აგურისაა, მაგრამ თავის დროზე, იგი გაჯით იყო დაფარული, მარმარილოს ფილებით შემოსილი ან მარმარილოს სუროგატით შეღებილი. მრავალი კედლის მხატვრობაც ყოფილა. მათი შემორჩენილი ფრაგმენტები სირიისა და შეერთებული შტატების მუზეუმებშია. საკვირველია, რომ 1922 წ. დაწყებული გათხრების შედეგად უამრავი მასალა გამომზეურდა: ეპიგრაფიკა, ნუმიზმატიკა, სკულპტურები, ჭურჭელი, მხატვრობა და პაპირუსებიც კი, ყველაფერი საუკეთესოდ შენახული (დაუზიანებელი), ალბათ უდაბნოს მშრალი კლიმატის გამო. ეს მასალები იმითაცაა საინტერესო, რომ ჰელინისტურ-რომაული და აღმოსავლური კულტურის შერწყმის მაჩვენებელია. წარმართი ღმერთების ტაძრების გარდა ნაპოვნი იყო ერთი სინაგოგა მოხატულობით და ერთი Domus eclesial ანუ სახლი-ეკლესია სანათლავით, რომელსაც ჰქონდა მოხატულობა. ეს სახლი-

ეკლესია, გაჯის გაშრობამდე კედელზე გაკეთებული წარწერის მიხედვით, 231 წელს აშენდა. ვიყავი აგრეთვე „ზენობია“-ში და „მარი“-ში ევფრატის მარჯვენა ნაპირზე.

ტურ-აბდინისაკენ (ღმერთის მსახურთა მთა)

ტურ-აბდინი ჩრდილო მესოპოტამიაში მდებარეობს. აღმოსავლეთით ესაზღვრება სპარსეთს, სამხრეთით კი სირიას და უფრო ერაყს. ამ არეში უკვე მესამე საუკუნეში სირიის მართლმადიდებლური დიდი საეპისკოპოსოები არსებობდა და თეოლოგიური სკოლები ყვაოდა. ეკლესიები საქართველოს, სომხეთის და სირიის მსგავსად ქვისაგან შენდებოდა, რაც ჩემთვის მიმზიდველი იყო, მითუმეტეს, იქაური ადრექრისტიანული ეკლესიები ნაკლებად არის ცნობილი და უფრო ნაკლებად შესწავლილი. ამ მხარეს აქვს უაღრესად მდიდარი ისტორიული წარსული: რომში ყოფნის დროს, გერმანიის ხელოვნებისა და არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორთან - დაიხმანთან საუბარში ამ მიდამოების მონახულების სურვილი გამოვთქვი. ის უკვე ნამყოფი იყო იქ და მირჩია დიარბაკირში (ამიდა) ჩავსულიყავი და იქიდან დამეწყო ეკლესია–მონასტრების დათვალიერება. მომცა ერთი იქაური ოტელის მისამართი და დასძინა, რომ რამდენიმე დღე დაჰყო იქ და გაოცებული იყო არსებული სისუფთავით. თვით დიარბაკირი ერთი უძველეს ქალაქთაგანია, რომელიც ჯერ კიდევ ხეთების ხანაში თამაშობდა დიდ როლს. ეს ქალაქი იხსენიება ასირიელ-ების წარწერებში. აქ გათამაშდა მრავალი საბრძოლო ეპიზოდი, რომელსაც მო-ჰყვა ალექსანდრე დიდის მიერ დაპყრობილი მიწების განთავისუფლება მდინა-რე ინდიდან მოყოლებული ხმელთაშუა ზღვამდე. ეს ბრძოლები, რომლებიც ალექსანდრე დიდის სიკვდილის შემდეგ დაიწყო, საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. ყველაზე აქტიურად რომაელების წინააღმდეგ სასანელი მეფე-ები ომობდნენ.

სელევკიდების ბატონობის ხანაში და შემდეგ რომაელების დროს, ეს ქალაქი ცენტრი იყო პართების წინააღმდეგ ბრძოლებში. ისტორიკოსი ამიანუს მარსელ ლინური, რომელიც მეოთხე საუკუნეში ცხოვრობდა, გვეუბნება,რომ 349 წელს, იმპერატორმა კონსტანციუმმა, სასანიდებისაგან დასაცავად იქ სიმაგრეები ააშენა. იქვე, დიდი ბრძოლებში იყო ჩაბმული იმპერატორი იუ-ლიანუს განდგომილი, რომელიც 363 წელს ამ ბრძოლებს შეეწირა. დიდი სიმაგრეები და თვალსაჩინო ეკლესიები ააშენა იუსტინიანმა. მეშვიდე საუკუნის დასაწყისში, დიარბაკირს სპარსები ფლობდნენ, რომლებიც 628 წელს ბიზანტი-ის იმპერატორმა ჰერაკლიუსმა გარეკა, მაგრამ 639 წელს, ეს ქალაქი დაიპყრეს და მასში დიდი ხნით ფეხი მოიკიდეს არაბებმა, 1514 წელს კი ქალაქი სულთანმა სალიმ პირველმა დაიპყრო და ოსმალეთს შემოუერთა.

მე და ირინე ჩვენი ავტომობილით ანტიოქიიდან დიარბაკირში გავე-მგზავრეთ. კაპადოკიის თითქმის ყოველ სოფელში მოიპოვება ელინისტურ-რომაული ხანის რაიმე ნაშთი ან ეკლესიები, ამიტომ დიარბაკირში ათი დღის შემდეგ ჩავედით და დაღლილ-დაქანცულებმა მაშინვე ე.წ. დაიხმანის ოტელს მივაშურეთ. ირინემ, როგორც ყოველთვის, ჯერ ოთახის დათვალიერება ისურვა და ლოგინის ზეწრები გამოაცვლევინა, დავიბანეთ, სული მოვითქვით და ჩავედით ქვევით ,,საკუჭმაჭოში” საზრდოს მისაღებად. იქაური გარემო რაღაც უცნაურად გვეჩვენა. აქა-იქ სერიოზულ, გახევებულ, შიშის მომგვრელ, შუა

ხნის ასირიელ მამაკაცებს ვხედავთ, გრძელი, გაწკეპილი ულვაშებით. მეორე მხრიდან მაგიდას უცნაური ,,ბარიშნები" უსხდნენ, რაღაცაზე ხითხითებდნენ, „კრუჟავიანი" სამოსელი კი მათი სხეულის ნაკვთებს აჩენს. მიუჯდა ირინე ჩვენთვის საჭირო რაიმე პრაქტიკული ცნობის მოსაპოვებლად. ისინი ჩემზე ეკითხებიან:

- ვინ არის ის კაცი?

- ჩემი ქმარი - მიუგებს ირინე, ისინი კი ხარხარებენ, საჯდომზე უჩქმიტეს და შეაქეს - კარგი მასალა ხარო. ირინე ეკითხება ვინ არიან და რა პროფესიისანი.

- ჩვენ „აქტრისები" ვართ, აი საღამოს მუსიკა დაიწყება და ჩვენც სცენაზე ვიქნებით...

ბოლოს და ბოლოს მივხვდით რომ ეს ,,ოტელი" საროსკიპო ყოფილა. ვეჩხუბეთ ოტელის პატრონს, ის კი თავს იმართლებდა: - ,,მე მეგონა თქვენც საბოზაოდ მოხვედით"-ო.

მეტი გზა არ იყო, უნდა გავცლოდით აქაურობას. რის ვაი ვაგლახით ვიპოვეთ მეორე ე.წ. „ოტელი", მაგრამ მტრისას, ისეთი სიბინძურე იყო. მინარეთში ლოცვებმა და ხმის გამაძლიერებელმა მთელი ღამე არ დაგვაძინა. მეორე დღეს მედუქნემ მითხრა: - აქ ბოზები ხუთი დოლარი ღირსო.

გეოგრაფიული სახელწოდება – დიარ-ბაკრ – არაბულია. ის იყო არაბ-ბაკირის სამთავროს მთავარი სადგომი, საიდანაც შეიქმნა – დიარ-ბაკრ, ანუ ბაკ-რის სადგომი. აქედან მომდინარეობს თურქული სახელწოდება : "დიარბაკირ".

პირველ დღეს დავათვალიერეთ ქალაქის თავდაცვითი სიმაგრეები და კედლები, რომლის სიგრძე ხუთი კილომეტრია და კარგადაა შენახული. კედლების ნაწილზე არამეული წარწერები და ჯვრებია ამოკვეთილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს კედლები IV-VI საუკუნეში უნდა აეშენებინათ.

ქალაქს აქვს ოთხი მთავარი კარი, რომელთაგან ჰარფუტის კარი უფრო შთამბეჭდავია, რადგან მის შიგნით მერვანიდების ხანაში მოშე იყო მიშენებული. კარების ზემოთ კი რელიეფებია: ლომი დასცემია ხარს, აქ, ეს კომპოზიცია ავტოკრატის ძლიერების სიმბოლოა. ჯამეს წინ აივნიანი შენობები უხვად არის დამშვენებული მცენარეული რელიეფებით, ხოლო კაპიტელები, იუსტინიანის ხანას (ე.ი. VI საუკ.) განეკუთვნება. ქალაქი დამშვენებულია ოსმანების ხანის შთამბეჭდავი შენობებით და უმეტესად ჯამეებით, რომელთა აღწერა შორს წაგვიყვანდა. ჩვენთვის მთავარი იყო იქაური ადრე ქრისტიანული ხანის ეკლესიების ნაშთები: ღვთისმშობლის ანუ მარიამის ეკლესია და წმ. გიორგის ეკლესია.

მარიამის ეკლესია, ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშია და მრავალი წლის განმავლობაში წარმოადგენდა სირიის მართლმადიდებლობის (ე.ი. იაკობიტების) რელიგიურ ცენტრს. ეს ცენტრალურგუმბათოვანი ეკლესია ყოფილა. ახლა დანგრეულია, მაგრამ შემორჩენილია დასავლეთ კედლების იუსტინიანეს ან უფრო ადრინდელი,V-VI საუკუნეების მშვენიერი კაპიტელები და აფსიდის მაღალხარისხოვანი ნამუშევარი კორინთული ტრიუმფალური არხივოლტი. ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში კი მდებარეობს გვი-ანდელი დროის სომხების წმინდა გიორგის დარბაზული ტიპის ეკლესია.

ოთხი-ხუთი დღის შემდეგ გავუსწორდით ოტელის მფლობელს (დაუ-ჯერებელი სიმართლეა - სასტუმროს ქირა გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ჩვენს მიერ დალეული წყლისა. დიდი სიცხეების გამო, სასმელი წყალი ძალიან ძვირია. ასეთივე მდგომარეობაში ვიყავით მადრიდში 1950 წელს - წყალი მეტი

ღირდა, ვიდრე ღვინო ,,კორიანტი") და გამოვსწიეთ ჩვენი მთავარი მიზნის - ტურ აბდინისაკენ, რომელიც დიარ ბაკირის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დღევანდელი ერაყის საზღვართან, ეფრატის მარჯვნივ 120-ოდე კილომეტრში მდებარეობს. ტურაბდინის დედაქალაქი „მიდიატი"-ა, რომლის მოსახლეობა 50 ათასს აღწევს, თვით ქალაქი კი ზ.დ. 1325 მეტრის სიმაღლეზეა გაშენებული, საიდანაც მშვენივრად მოჩანს ჩრდილო მესოპოტამიის დაბლობი. ამიტომ, მეოთხე საუკუნის ისტორიკოსის ამიანუს მარცელინუსის თქმით, ეს ქალაქი მნიშვნელოვან სტრატეგიულ ცენტრად ითვლებოდა. 843 წლიდან იქ ბატონობდნენ არაბი ჰამდანიდები. X-XI საუკუნეებში კი საქართველოს ამწიოკებელი არაბ-ქურთული მერვანიდების დინასტია, შემდეგ კი სელჯუკები. დღემდის მარდინი, დასავლეთ სირიის მართლმადიდებელი ეკლესიის (იაკობიტების) საეპისკოპოსოა, თუმცა, მისი მრევლი, თურქეთის უწყებების შეუნელებელი დაწოლის გამო მცირდება. შენობები ქალაქში კირქვისაა, მათი უმეტესობა ჯამეები და მედრესეებია. მრავალი მათგანი (სულთან კასიმ მედრესე, სულთან ისა მედრესე, სერიფიე ჯამე) ისლამური ხუროთმოძღვრების სანიმუშო შენობებია. სტილისტურად ისინი (და სამოქალაქო შენობებიც) არა ოსმანური, არამედ უფრო არაბულ-მესოპოტამიური ხასიათისაა. ადრე-ქრისტიანული ხანის ეკლესია-მონასტრები მერდინის აღმოსავლეთით არიან განლაგებულნი, მათ შორის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი „დეირ აზ-საფარან"-ია, რომელიც მარდინის სამხრეთ-აღმოსავლეთით 8 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. მისი ქრონოლოგიური საწყისები უცნობია. დოკუმენტურად დამტკიცებულია, რომ ეს მონასტერი 792 წელს აღუდგენიათ.

ჩვენ, მონასტერში სამი დღე დავრჩით და მნიშვნელოვანი კვლევა ჩავატარეთ. მისი გეგმა, ოშკის მსგავსად, სამ აფსიდიანია (ტრიკონხოს, ისევე როგორც ედესის წმინდა სოფიის ეკლესიისა). მისი უმაღლესი ხარისხის კორინთული მარმარილოს კაპიტელები, კორნისები, არქივოლქები ნიშებისა, სათაურები და ეკლესიის გარეთა კედლებზე მცენარეულ ხლართების ზოლში მოთავსებული ცხოველები, ოშკის გუმბათის ყელის კორნისის ცხოველების მწკრივს ენათესავება. ტურაბდინის ეკლესია-მონასტრები, ქართველი მეცნიერი-ხელოვნებათმცოდნეებისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანი ხელნაწერები ინახება მონასტრის ბიბლიოთეკაში, აქვთ სკრიპტორიუმი და სკოლა ახალგაზრდა სულიერი მამებისათვის.

იმ მიდამოებში, მრავალი ნახევრად დანგრეული, მაგრამ უდიდესი არქეოლოგიური მნიშვნელობის ეკლესიებია, მათზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანდა. იქ სულ ორი კვირა დავყავით. დავიხრუკეთ სიცხისაგან, განსაკუთრებით „დარა"-ში (ანასტასიოპოლისი), სადაც ისეთი სიცხე იყო, რომ ცხვირის ნესტოების გამოშრობისა და ტკივილის გამო, სუნთქვა შეუძლებელი იყო. თანაც, ცხელი ქარი გაყრის სილას და ცოცხლად დამარხვას გიპირებს. წყალი ჭუჭყიანია, ამიტომ ყარფუზებით ვიოკებდით წყურვილს. ერთხელ, მონასტერ მარ გაბრიელ-თან ჩამომდინარე მდინარეში ყარფუზი გასაცივებლად ჩავდეთ, მაგრამ მდინარემ მოგვტაცა, ჩვენ ტანისამოსით შევცურეთ და ასიოდ მეტრის შემდეგ ,,ვიხსენით" ჩვენი სიცოცხლის წყარო.

დავუბრუნდეთ ანტიოქიას

ანტიოქია და მისი დასავლეთი სანახები, მართლაც არაჩვეულებრივად მიმზიდველია; ბალახ-ბუჩქებიდან და მინერალებით გამდიდრებული ნიადაგიდან აღმოცენებული მათრობელა სუნი და ხმელთაშუა ზღვიდან მონაბერი ჰაერი არაჩვეულებრივად მიმზიდველ გარემოს ქმნიან.

ერთხელ, საღამო ჟამს, მე და ირინე სჯმეონის მონასტრიდან დაქანცულები ქვევით მივდივართ, რომ ანტიოქიისაკენ მიმავალ უკანასკნელ(?) „დოლმუშ“-ს მივუსწროთ. იქვე, მომცრო გორაკზე ჩამოვჯექით, რომ სული მოვითქვათ და უფრო ღრმად განვიცადოთ იმ მიდამოების მომაჯადოებელი საიდუმლოება. ადრეულ ხანაში, იმ არემარეში, კულტურულ-ინტელექტუალურ და სამხედრო სფეროშიც დიდი ამბები ხდებოდა. პირველი საუკუნის დასაწყისში, აღმოსავლეთსა (სპარსეთი) და დასავლეთს (რომის იმპერია) შორის ომი, სწორედ ამ მიდამოში წარმოებდა. ახლა კი ის არე დაცარიელებულია. ყველა სადღაც წასულა და უკუნითი სიჩუმე სუფევს, მაგრამ სიჩუმე, რომელიც ბევრს მოგითხრობს...

ჩამოიარა ნახირმა. ჩამოძონძილ მენახირეს იღლიაში კომბალი ამოუჩრია და სალამურში დამამშვიდებელ ჰარმონიულ ჰანგს ისე აკვნესებს, თითქოს ეს მუსიკა იმ თვალწარმტაცი მიდამოების დამატებითი სამკაული ყოფილიყოს. მხოლოდ ერთ ხმაზე ,,ამღერებული” მოუთმენელი ჭრიჭინები ეჯიბრებიან სალამურის მუსიკას. ყოველი ელემენტი ამ არე-მარეში, ჰარმონიულად არის ერთმანეთში შერწყმული და შენივთებული, ამ ზღაპრულ სრულქმნილებას არც რაიმე მიემატება და არც გამოაკლდება. თითქოს ასე იყო უხსოვარი დროიდან ათასწლეულების განმავლობაში. მოდერნულმა პროგრესმა ისე ჩაიარა, რომ იქაურობას არ შეხებია. მადლობა ღმერთს, რომ ასე მოხდა, ნეტა მომავალშიც დაივიწყოს „პროგრეს“-მა ეს არე. გამოველაპარაკეთ თვითკმაყოფილ მენახირეს. გვიპასუხა:

- არაფერი მაკლია, ყველაფერი მაქვს, გარდა წყლის დოქისა, რომელიც კუნტრუშა მოზვერმა ტლინკით დამიმსხვრია.

გამახსენდა ძველი ფილოსოფოსების მიერ თქმული, რომ არსებობენ საგნები ჩვენში (რადგან ჩვენ ვიცით რომ ისინი არიან) და ჩვენს გარეშე (როდესაც არ ვიცით რომ ისინი არსებობენ); მენახირემ იცის, რომ არის პური, წიწაკა, ხახვი, ბარიშნები... და მას შეუძლია ადვილად ჰქონდეს ეს ყველაფერი, ამით ხარობს, კმაყოფილია, თანამედროვე დინამიურ ცხოვრებაში ჩაბმულმა ხარბმა ქალაქელებმა კი იციან გაცილებით მეტის არსებობა (სწრაფმავალი ავტომობილები, სპორტული თვითმფრინავები, იახტები...), მაგრამ ყველა ამის შეძენა არ ძალუძთ, რითაც იწყება უბედურება, უკმაყოფილება, სიგიჟე და თუ შევძლებთ ამ საგნების შეძენას, კიდევ უფრო უარესი, მას მოგპარავს ან გაიტაცებს ვინმე, რისთვისაც საჭიროა ათასგვარი დაზღვევა და ცხოვრების ამაო გართულება. აი, ამიტომ არის ბედნიერი, კმაყოფილი და გულიანად მომცინარე მეხრე. მივბაძოთ მეხრეს!

ანტიოქიაში ვიქირავე ჩირაღან ოტელის მეორე სართული. ოტელიდან ჩემი ავტომობილით დავდიოდი მის დასავლეთით მდებარე მიდამოებში, უმთავრესად წმინდა სჯმეონ მესვეტის მონასტრის სანახებში, სადაც, სხვათა შორის, მივაკვლიე გიორგი მთაწმინდელის მოძღვრის - გიორგი დაყუდებულის (+ 1068) კლდეში გამოკვეთილ „ოროთახიანი ბინას“, რომელიც წმ. სჯმეონის მონასტრის სამხრეთით (მონასტერსა და მდინარე ორონთეს შორის) მდებარეობს.

მას აქვს კლდეში გამოკვეთილი, წყლის გამტარი არხი და წყლის მოსაგროვებელი „ლაკუა“. აღმოსავლეთ „საკნის“ აღმოსავლეთ კედელზე კი გამოკვეთილია სამელნე და წერისათვის საჭირო ხელსაწყოების (კალმების და საფხეკი დანის) ბუდე. აი, ამ ნაპრალში გიორგი დაყუდებულმა (ან შეყენებულმა) გადაწერა დავით მტბევარის მიერ ნათარგმნი წმ. სჯმეონის დედის - მართასა და ბარლაამ სიროკავკასიელის ცხოვრება. შემდეგ, თვით სჯმეონ მესვეტის მონასტერში მუშაობის დროს, მივაკვლიე ქართველების მიერ აშენებული ეკლესიის ნაშთებს, რომელიც მდებარეობს მონასტრის ქვითკირით ნაშენი სამხრეთი ღობის შუაში და მიშენებულია თვით ღობეზე. ქვითკირის ღობის ჩრდილოეთით კი საქონლის ბაგებს და მონასტრის სასაფლაოს ებჯინება. თვით მონასტერში წარმოებულ სამუშაოს აქ არ აღვწერ, ის წიგნად არის გამოქვეყნებული...

ჩემმა საველე სამუშაოებმა ნაყოფი გამოიღო. შევადგინე არქეოლოგიური რუკა და დავიწყე გათხრების შესაძლებლობის ძიება, რაც ძნელი საქმე გამოდგა, რადგან თურქების აზრით, უცხოელები მონაპოვრის ანალიზში „იდეოლოგიურ შეცდომებს“ უშვებენ. იმ ფაქტმა, რომ მე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით ვიყავი ჩამოსული და თურქულ ენაზეც ვმეტყველებდი, შემაძლებინა გათხრების უფლების მიღება. ხუთი წლის განმავლობაში ვმუშაობდი იმ მხარეში 40 მუშით, ხუროთმოძღვრით, თურქეთის მთავრობის წარმომადგენლებით და სტუდენტებით. შემდეგაც, ზაფხულობით მივდიოდი ხოლმე დამატებითი სამუშაოებისათვის. დიდძალი მასალა მოვიპოვე „ძელი ცხოვრების“ ეკლესიის გათხრით, სადაც წარწერებიც ვიპოვე და დავამტკიცე, რომ ეს ეკლესია აშენებულია 1040 წ. ქართველი, კერძოდ სამთავნელი ეპისკოპოსის ხუროების ამქრის მიერ, ადგილობრივ ხუროებთან თანამშრომლობით. ე.ი. სამთავისის კათედრალის აშენებიდან ათიოდ წლის შემდეგ. ეს სწორუპოვარი ეკლესია, თვალსაჩინო ანარეკლია მეფე გიორგი I-ის შემდეგ, ბაგრატ IV-ის ხანაში, ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის მართლაც სწრაფი გამოსწორებისა. მოპოვებული მასალა, ააშკარავებს მესერიანის და მისი წყალობით ჰეტერსის და ბლეიკის ყალბ აზრს, თითქოს ეს ეკლესია ყოფილიყოს Armeno-Georgien, სადაც Armeno უფრო მძლევია და Georgien მხოლოდ უმნიშვნელო თანამგზავრი. მაგონდება ბატონ ილია ჭავჭავაძის ,,ქვათა ღაღადი”...

ქართველი ხუროები მუშაობდნენ აგრეთვე კასიუსის (ზევსის) მთაზე მეხუთე საუკუნის ბოლოს აღმართულ და ქართველების მითვისებულ (?) ბარლაამის მონასტერში, სადაც აგრეთვე მრავალ ქართულ წარწერას მივაკვლიე. მოვიპოვე სეფისკვერის ტვიფარი ვრცელი ქართული წარწერით. ამით აღბეჭდილი კვერი, ლიტურგიის მეორე ნაწილის ბოლოში პატარა ნაწილებად ტყდება და კონგრეგაციას ურიგდება ზიარების პროცესში. მეორე ტვიფარი, ბერძნული წარწერით და თვით ბარლაამის გამოსახულებით, რომელიც ქართულ წარწერიან ტვიფართან ერთად ვიპოვე, იხმარება ისეთი კვერის დასატვიფრად, რომელიც კი არ ტყდება ნაწილაკებად, არამედ წელიწადში ერთხელ, წმ. ბარლაამის აღსრულების დღეს, თვით ბარლაამის სახელობის ეკლესიაში, მთლიანად ურიგდება ბერებსა და პილიგრიმებს. დიდმნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ბოჰემონდ III-ის (1163-1202) ბეჭდის (Seal) პოვნა წარწერით, რაც ქართველი ბერების ურთიერთობაზე მიუთითებს ანტიოქიაში გაბატონებულ ლათინებთან. ეს ზურაბ ავალიშვილის მიერ წამოწყებული კვლევის - საშუალო საუკუნეებში ქართველთა და ლათინ ჯვაროსნების ურთიერთობის მნიშვნელოვანი დანამატია, რაც თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა შოთა

ბადრიძემ განაგრძო, რომელსაც ეს ინფორმაცია ვუბოძე, მაგრამ მან, საერთოდ, პასუხიც კი არ მაღირსა.

როგორ არა ვთქვა ჩემი გულისწყრომა: საქართველოში, სამშობლოს გარეთ არსებულ ქათველთა ეკლესია-მონასტრების შესასწავლად ინსტიტუტიც კი დააარსეს და მრავალტომიანი ნაშრომების გამოქვეყნებასაც დაგვპირდნენ, რაც დღემდე განუხორციელებელია - ერთი ბწკარიც კი არ გამოუციათ, მე კი იმავე საქმეს მარტოხელამ, უინსტიტუტოდ, მთელი ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება, ჯან-ღონე და სახსარი შევწირე, მუშაობის შედეგები კი სამ წიგნად და წერილების სახით გამოვაქვეყნე. ამ ნაშრომებს ვრცელი რეცენზიები უძღვნეს დასავლეთის მეცნიერებმა, ჩემს სამშობლოში - საქართველოში კი ამ ქართული მასალის გამოქვეყნებას ერთი ქეციანი რეცენზიაც კი არავინ უძღვნა, გარდა ელენე მეტრეველისა და დიმიტრი თუმანიშვილისა, რომელთა წერილი „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა (უნდა ითქვას, რომ ჩემი შრომა-მოღვაწეობის პროცესში, აქ, ამერიკაში, არც ერთ ქართველს, არავითარი, სიტყვიერი მხარდაჭერაც კი არ გაუწევია, თუმცა ზოგი მილიონებში იხრჩობოდა. მხოლოდ ერთმა, ჩემმა ძველმა მეგობარმა კოკი პიტავამ - იგივე სანდრო ბარათელმა - გამიმართა ხელი და 1700 დოლარით შემეწია, მაგრამ სათვისტომოს გამგეობის წევრმა პეტრე ხვედელიძემ ისეთი უჟმური ალიაქოთი ატეხა, რომ ეს თანხა სათვისტომოს უკან დავუბრუნე. თუმცა, ხვედელიძე ძალიან ეხმარებოდა საქართველოდან ჩამოსულ ქართველებს, მაგრამ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა). „თავი ვანებოთ კამათს და ნისვლას, ამაოდ ვავსებ საყვედურებით, ჩვენ საქართველოს ზრდასა და წინსვლას სულ სხვადასხვა მხრივ ვემსახურებით“ - ეს ბრძანა ბატონმა იოსებ გრიშაშვილმა, მანამდის, ვიდრე საბჭოთა სამოთხეს გულდამწვარი ჭიკჭიკ-გალობით შეამკობდა.

ზღვიდან თითქმის ვერტიკალურად აღმართული კასიუსის 1700 მეტრის სიმაღლის მთა, მდიდარი ნაირგვარი მითებით, კოსმიური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია. მისი წვერიდან ერთდროულად შეიძლება თვალწარმტაცი მზის ამოსვლისა და დღისა და ღამის განცდა, ისევე როგორც ჩვენში, ბაკურიანის ზემოთ, ცხრა წყაროზე, სადაც ჩემი სიჭაბუკის დროს ასვლა დავაპირე, მაგრამ ბორჯომ-ბაღს ვერ გავცილდი. მზის ამოსვლის განცდა კასიუსის მთის წვერიდან, ღრმად ჩამებეჭდა მეხსიერებაში. მთელი ცისფერი ჰორიზონტი, როგორც თვალუწვდენელი, ყოვლის მომცველი ზღვა, თანდათანობით წითელ ფერს იძენს. ეს სტატიური რამ კი არ არის, არამედ ნამდვილია, ცხოველი, რადგან სიცხის მატების გამო, უფრო და უფრო სწრაფად მოძრავი ღრუბლები ფილტრის მსგავსად ამ სინათლის ინტენსიურობას ნაირგვარად ცვლის. ამის შემდეგ ამოდის უზარმაზარი მზე, თითქოს მზარდი მცხუნვარებით გიახლოვდება, რომ შთანგთქას, გარემოს სინათლე ეფინება, მთის დასავლეთით კი ჯერ უკუნი და სიბნელეა. ამ კოსმიური ძალის სახილველად და განსაცდელად, კასიუსის მთაზე, სადაც ბერძნების უზენაესი ღმერთის ტაძარი და თვით ზევსის ქანდაკებაც იდგა, რომის იმპერატორებიც კი ადიოდნენ; ტრაიანი (98-117), ჰადრიანი (117-138), იულიუს განდგომილი – აპოსტატა – (361-363) და სხვანიც...

ბუნების ძალები მართლაც ხშირად ვლინდებიან კასიუსის მთაზე, იშვიათად, მაგრამ იქ რომ წვიმას იწყებს, წვიმა კი არა ნამდვილი წარღვნაა. ხანმოკლე წვიმის სეზონია გაზაფხული, ზოგჯერ შემოდგომაც. ძლიერი წვიმები დიდ ნიაღვრებს იწვევს, რომელიც ძირს უთხრის რომის ხანის ვილებს და სხვა შენობებს, აშიშვლებს სკულპტურებს, იატაკის მოზაიკებს და ხშირად, ქოთნებში

გადამალულ ფულს. წვიმების შემდეგ, მეზობელი სოფლების მცხოვრებნი დამშრალი მდინარის კალაპოტს აჰყვებიან და რომაული და ბიზანტიური ხანის ფულს, სამკაულებს და სხვა ძვირფასეულობას პოულობენ. ქარიც ისეთი ძლიერია, რომ კაცს წააქცევს. ერთხელ, ჩემთან მომავალი თურქი სასაზღვრო მეთაური ცხენიანად წააქცია.

ბუნების ზებუნებრივ ძალებზე და იქაური მოსახლეობის ღრმა ცრუმორწმუნეობაზე გავაგრძელებ საუბარს. უნდა გავიხსენო მაისის თვეში, კასიუსის მთაზე, ბარლაამის მონასტრის ძებნისა და იქ მუშაობის დროს მომხდარი და განცდილი ეპიზოდი, რამაც მართლაც შემაძრწუნა.

მონასტერი ძნელად სავალ ადგილზეა, სავსებით განმარტოებული და ბუჩქნარი მცენარეებით დაფარული. მიუხედავად იმისა, რომ სულ ახლოს ვიყავი, ვერ იქნა და ვერ მივაგენი. ბინდდება და ვხედავ იქვე მსხდომ ორ შეიარაღებულ თურქ მესაზღვრეს. მივედი, მივესალმე და ვკითხე სად მდებარეობს მონასტერი... რომლის კედელზეც ისინი ისხდნენ. მონასტერი კი ვიპოვნე, მაგრამ ამ დროს დამაპატიმრეს და უკუნეთ ღამეში, უგზო-უკვლოდ, უსწორმასწორო ქვებზე სიარულით, შვიდი კილომეტრის მოშორებით მდებარე სასაზღვრო პუნქტში მიმიყვანეს. ლეიტენანტმა დაიწყო ჩემი ჩხრეკა, მიძინებული სალდათები გამოცოცხლდენ, გააქტიურდნენ, ოფიცრებმა სერიოზული გამომეტყველება მიიღეს, თითქოს დიდი ჯაშუში დაეჭიროთ. იმ არემარეში ჭკვიანი კაცი არ დადის და დაუჯერებელი გამოდგა ჩემი რწმუნება, რომ მონასტერს ვეძებდი. სიცილად არ ეყოთ. დაიწყო ტელეფონის წკრიალი და ფაციფუცი, ჩემი ორმოცგირვანქიანი ზურგჩანთის ჩხრეკა. ამოალაგეს ობიექტივები, ფილმები, კამერები. გული მისკდება, რადგან ზურგჩანთის ქვეშ თურქეთის შეიარაღებული ძალების საიდუმლო რუკა მაქვს, მაგრამ როგორც ჯაშუშობის საბუთი, ჩემს რვეულში ხელით დახაზული რუკითა და აპარატებით დაკმაყოფილდნენ. გულზე მომეშვა. ოფიცერი მაინც ფაფხურობს. ვთხოვე მოეცათ ტელეფონი, რადგან ჩემს კარგ დოსტთან - იმ მაზრის გუბერნატორთან დარეკვა მინდა. თვითონ დარეკეს, ველაპარაკე მის ჩაფარსა და მთავარ მცველს, მან გააღვიძა გუბერნატორი (პენსიაში გასული გენერალი), ავუხსენი მდგომარეობა, რის შემდეგაც შუაღამისას, ჯარისკაცების თანხლებით, ჯიპებით, გუბერნატორი მოგვადგა, ეს ოფიცერი გაამათრახა, უკეთ: სილა გაარტყა და პანღური უთავაზა. ბოდიშებით „კუტუზკიდან“ გამომიყვანა და ანტიოქიაში ჩამიყვანა. ამის შემდეგ, ეს ოფიცერი ისეთ პატივს მცემდა, რომ მონასტერში საჩუქრებით მოდიოდა. ერთხელ ისეთი ქარი ქროდა, რომ ეს ამხედრებული ოფიცერი ცხენიდან ჩამოაგდო. ეს გუბერნატორი პატივს მცემდა, სადილად მეპატიჟებოდა, ანტიოქიაში როცა ვიყავი კინოში მივყავდი ჩაფრების თანხლებით – პირადი ლოჟა ეკუთვნოდა. ამის მიზეზი უფრო ის იყო, რომ მისი რწმენით მის შვილიშვილებს ამერიკაში წავიყვანდი, უნივერსიტეტში მოვაწყობდი და განათლებას მივცემდი, მაგრამ ეს არ განხორციელდა უფრო იმიტომ, რომ ეს გოგონები ვიღაცას ყვარობდნენ და მასთან ერთად ანტიოქიიდან გაიქცნენ. გუბერნატორმა (ფაშამ) ძელი ცხოვრების ეკლესიაში მუშაობის დროს მომაკითხა და მითხრა, რომ ამ ადგილს თურქები უწოდებენ „ყარადაღ“-ს (ე.ი. შავ მთას, ასე უწოდებდნენ ბერძნები და ჩვენი წინაპრებიც) და მის არემარეს კარგად იცნობს, რადგან როგორც დამწყები ოფიცერი, იქ მცხოვრები სომხების ხოცვა-ჟლეტაში მონაწილეობდა.

ცუდი ხალხიაო - ამბობდა. ერთხელ ჩემი ოცეული წავიყვანე მათ სოფელში,

სადაც სომხებს სასაფლაოზე იარაღი ჰქონიათ დამალული და რომ მივედით, ტყვია დაგვაყარეს, დაგვატყვევეს და ჩვენი ამოჟლეტა ინებეს, მაგრამ ერთმა მოხუცმა დაარწმუნა, რომ ეს ქრისტიანული საქციელი არ იქნებოდა. ამიტომ სხვა გზა ამჯობინეს: ჩამოგვართვეს თოფები, თოფის მაგიერ მოგვცეს სარები და უშარვლოდ, უნიფხვოდ, მწყობრით, ანტიოქიაში გამოგვისტუმრეს.

სომხები, დინამიური, რაციონალური, საქმოსანი ერია, რომელიც დიდი ხალისით და მონდომებით არსებულის გაუმჯობესებისაკენ ისწრაფის. ეს დინამიზმი უფრო აშკარად, კომერციის დარგში ვლინდება. მუსულმანები კი დროს ლაქლაქში და რელიგიურ ბოდვებში ატარებენ. მათი რელიგია დაგროვებას არ მოითხოვს. ღმერთი მოწყალეა და ხვალაც საზრდოს გვიბოძებსო. თუმცა მდიდარი არაბებიც თავსაყრელია. ამიტომაც – მე მგონია – სომხებმა დააგროვეს დიდძალი ქონება - მონეტარული ძალა. ამ ძალამ გააღვივა სურვილი თურქეთის მიერ მიტაცებული სომხეთის ტერიტორიების დაბრუნებისა, ამ მისწრაფების განხორციელებაში სომხებს მხარს უჭერდა და აქეზებდა რუსეთი (რუსების პოლიტიკის დედააზრი ნაციონალურ უმცირესობათა მიმართ, მათი შემცირება-შესისხლხორცება იყო. ქართველები რუსის ჯარის ,,დახმარებით" ირანს როცა ებრძოდა, რუსების სამხედრო მინისტრი თავის გენერალს სწერდა: Воюйте так, чтобы тело было грузинское а душа русская და როდესაც ქართველებმა ომი წააგეს, რუსი მოხელეები ქართველ მეფეებს სწერდნენ: ,,узнав, что кизилбаши покорили Грузию, горевал батюшка наш и до слез), რომელიც კრიტიკულ მომენტში სომხებს განუდგა, რის შედეგაც საბრალო სომხები თურქების პირისპირ აღმოჩნდნენ. ამას მოჰყვა უბედური ერის ხოცვა-ჟლეტა. ერთ ამგვარ ეპიზოდს ადგილი ჰქონდა სწორედ შავ მთაზე, სადაც სომხები დასახლდნენ მეჩვიდმეტე საუკუნიდან. ამ ხოცვა-ჟლეტის შედეგად, სომხები გაიხიზნენ სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ მე-20 საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან დაიწყეს დაბრუნება შავი მთის არეებში, სადაც ახლად შეძენილ მიწებზე ფორთოხლის გაშენება დაიწყეს და სამანდაღში კანტორებიც შეიძინეს. ეს მე თვითონ გამოვიძიე, ხოლო ჩემი ზემორე მოთხრობა სომეხთა დევნის შესახებ უფრო ზეპირსიტყვაობაზეა დამყარებული და არა საბუთებზე.

ანტიოქიის დასავლეთით მდებარე მიწა-წყალი, უაღრესად საინტერესოა არა მხოლოდ ფლორა-ფაუნის, არამედ წარსულში იქ წარმოებული ან მომხდარი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენების მხრივაც. თვით ანტიოქია იყო კულტურისა და განათლების დიდი ცენტრი, მთავარსადგომი მრავალი ფილოსოფოსისა და თეოლოგისა, მომავალი პატრიარქებისა. ის იყო მოდერნული ცხოვრების ქალაქი, კეთილმოწყობილი ქუჩებით, ბაღებით, ჩანჩქერებით, ადგილი მითოლოგიური წარმოდგენებისა, რომელიც იზიდავდა მრავალ სახელგანთქმულ, წარმატებულ მეცნიერს, აგრეთვე სამხედრო სტრატეგიული ცენტრი, რომლის მიზანი იყო ალექსანდრე მაკედონელის მიერ შესისხლხორცებული აღმოსავლეთ ქვეყნების მეთაურების მიერ, საკუთარი მიწების ბრძოლით დაბრუნების ცდების შეჩერება. ალექსანდრიის და იერუსალიმის გვერდით, ანტიოქია იბრძოდა უნივერსალური ღირსებისა და პირველობის მოპოვებისათვის. ეს იყო ქალაქი, სადაც პირველად შეიქმნა და წარმოითქვა სიტყვა „ქრისტიანი". ანტიოქიის დასავლეთ სანახებში კი იღვწოდნენ მონასტრები, რომელთა დიდი ნაწილი, მეექვსე საუკუნის ოციან წლებში, კატასტროფული მიწისძვრის შედეგად მიწასთან გასწორდა და მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში ქართველებმა აღადგინეს. უფრო ადრე, კასიუსისა

და შავ მთას შორის მოქცეულ მდინარე ორონთეს ხმელთაშუა ზღვასთან შეერთების ადგილას, ჯერ ბერძნებს, შემდეგ რომაელებს საზაფხულო ვილები ჰქონდათ. შესართავის ყურესთან გაჭრილი იყო, ზღვის ღელვისაგან დაზღვეული „ტბა“, სადაც იმპერატორ ავგუსტოსის ხანიდან მოყოლებული, დამალული იყო სამხედრო გემები. იქვე იყო ადრექრისტიანულ ხანაში აშენებული ტეტრაკონქი, აუარებელი სავაჭროები, საიდანაც ხმელთაშუა ზღვის საშუალებით სხვადასხვა ქვეყნებში იგზავნებოდა სირიიდან და კაპადოკიიდან მომავალი საქონელი. თვით მდ. ორონთე იმდენად ღრმა იყო, რომ ანტიოქიაში ზღვიდან შემოსული გემები აღწევდნენ. ზღვის შესართავთან იყო აგრეთვე ბერძნების კერამიკული სახელოსნოები, რომლის ნაწარმი ეფრატის ნაპირზე გაშენებულ მნიშვნელოვან ქალაქ რაკქას (სირია-ერაყის დღევანდელ საზღვართან) აღწევდა. ამჟამად მოტიტვლებული მთები, ფოთლოვანი და წიწვიანი ხეებით ისე იყო დაფარული, რომ მიწას მზის სხივები ძლივს სწვდებოდა, ველები – ახლაც კი – მრავალგვარი ყვავილებითაა დაფარული. ახლაც კი სურნელების ბუღი დგას და მათრობელა ბუჩქები თვალს აქეთ-იქით იტაცებს. ორონთეს ზღვის შესართავთან ქართველ ბერებსაც ჰქონდათ კრამიტის ქარხანა.

ჩემი მუშაობის დასაწყისში, ქართველთა ნაკვალევის ძიებაში და ზღა-პრული ბუნებით გატაცებული, ჩემი მძიმე ზურგჩანთით იმ მთებში ხშირად დავეხეტებოდი და მრავალი თავგადასავალიც გადამხდა, ზოგი სახიფათოც. ერთხელ, შავი მთის მწვერვალის მიდამოებში, რომელსაც არაბულად ეწოდება რაშ ელ-ხანძირ ანუ ღორის დინგი, ორი დღის ხეტიალის შემდეგ, დამშეული და დაღლილი ვეშვები დაღმართზე. ვისკუპე გორაკზე, რომლის ძირში წამოწოლილი ყოფილა უზარმაზარი, ჩვენებური ნაგაზის მსგავსი ბომბორა ძაღლი (ისლამის მიმდევარნი, ძაღლებს და საერთოდ, ცხოველებს – კატის გარდა - უსუფთაო ცხოველებად თვლიან, ამიტომ მტრობენ და არ უვლიან. ვირს, მართლაც უსაზღვრო ექსპლუატაციას უწევენ - აქლემის ხურჯინები ან გუდურები აქვს აკიდებული და ზედ კიდევ ორი კაცია წამოსკუპებული). ძაღლი ჯერ გვერდზე გახტა, მაგრამ მაშინვე გონს მოვიდა და მებდღვნა, მე კი თავდაცვისათვის არაფერი გამაჩნდა გარდა ჩემი „რუკზაკისა“, არც ქვა, არც რაიმე კეტი ახლო-მახლო. მეტი გზა არ იყო, ვიქნევ ამ ზურგჩანთას გაშმაგებული და შეშინებულიც, რამეთუ ძაღლებს ხალხი არ კვებავს, რის გამოც ისინი ტყე-ღრეში დათარეშობენ, კურდღელს, რაიმე ფრინველს ან უფრო გარეული ღორის გოჭს რომ გადაეყარონ (რაც იქ თავსაყარია, რადგან მუსულმანები არ მიირთმევენ). ეს ნაგაზი, როგორც ჩანს, ნასადილები არ იყო და არ მომეშვა, ჩემი შეხრამუნება სურდა. მართლაც შევშინდი ამ უკაცრიელ ადგილზე მარტოდმარტო გამხეცებულ ცხოველთან სასოწარკვეთილ ბრძოლაში. არ ვიცი ჩვენი ბრძოლა როგორ დამთავრდებოდა, ერთი დიდი ლოდისათვის რომ არ მომეკრა თვალი; დავსტაცე ხელი ლოდს, დავიღრიალე და ამ უსინდისო ქოფაკს მთელი ძალ-ღონით ვუთაქე გვერდში. უფრო ჩემი ხმის გამო, ვიდრე ტკივილის შიშით, მომშორდა. სული მოვითქვი, განვაგრძე გზა და თანაც თვალებს ვაცეცებ, ძაღლს აღარ შევეყარო. ვეძებ ქვებს. ეს სურვილიც ავისრულე - ქვებით გავივსე ჯიბეები და უბეები. მივდივარ ქვებით დატვირთული ოფლში გაღვარულ-დაქანცული. შორიდან მოჩანს სოფელი. გავჩერდი, ჩამეცინა ჩემს უგნურ საქციელზე. ვიფიქრე, აქ ძაღლს რა უნდა, რატომ ვიოფლები ლოდების ზიდვით. გადავყარე ქვები და გამსუბუქებულმა მხიარულად განვაგრძე გზა. უცებ ძაღლი შემეფეთა ღრენით და მე – განიარაღებულს - ელდა მეცა, მაგრამ საბედნიეროდ, ეს შეხვედრა

ღრენით დამთავრდა. განვაგრძე გზა და გვერდით ბილიკზე მიმავალ ერთ ჩემს მუშას ვხედავ. არხეინად მიაბიჯებს და არაბული შარვლის ჯიბიდან ალუჩას მიირთმევს. მეც მარგუნა. ვხედავ ამ კაცს ერთი ფეხი შიშველი აქვს, მეორე ფეხზე კი ახალთახალი ფეხსაცმელი აცვია. ვეკითხები:

- სად დაკარგე ფეხსაცმელი?

- არ დამიკარგავს, ვიპოვე ერთი ფეხსაცმელი.

ანტიოქიაში ჩემი ცხოვრება დაძაბული იყო; ვშიშობდი, ჩემი ჩიქორთული ინგლისურის ან სხვა ნიშნების გამო, ადგილობრივი მოხელეები შემატყობდნენ, რომ ნამდვილი ამერიკელი არ ვიყავი, რაც ჩემთვის ნაბოძები გათხრების მონოპოლიის ჩამორთმევას და ამგვარად ქართულ მონასტრების და ქართველთა ნაკვალევის დაკარგვას გამოიწვევდა, მით უფრო, რომ მოსახლეობის ზრდა ამ არეში (და სხვაგანაც) ეკლესია-მონასტრების ნგრევას და საშენი მასალის ქურდობას იწვევს. ამის საშიშროება კი მართლაც არსებობდა. მაგალითად, ანტიოქიის მუზეუმის დირექტორი - მშვენიერი ჩერქეზი ქალი მეუბნებოდა ხოლმე: „შენი ყოფაქცევა მაფიქრებინებს, რომ შენ ჩემი ნათესავი ხარ“-ო. მასთან და მუზეუმის წევრებთან ერთად, კასიუსის მთიდან დაბრუნების დროს, სიამოვნებით მოსაგონარ, არაჩვეულებრივ დროს ვატარებდი ანტიოქიის სამხრეთით მდებარე ზღაპრულ მითოლოგიური ამბებით გაჟღენთილ რომანტიულ (ეს იყო ანტიოქიის ორთაჭალა), ჩანჩქერებით დამშვენებულ, მცენარეების და ველური ყვავილების სურნელით გაჟღენთილ დაფნებში, იქ სადაც სიყვარულით გაბრუებული თუ გახელებული მზის ღმერთი აპოლონი დაედევნა თვალწარმტაც ნიმფა დაფნეს, დაეწია და იმ მომენტში, როდესაც მისი დაჭერა შესაძლებელი იყო, დაფნეს მამამ - მდინარის ღმერთმა პენეიოსმა თავისი ქალიშვილი დაფნის ხედ აქცია. ეს რომანტიული თემა მიმზიდველი იყო სკულპტორებისათვის, რომელთაგან ყველაზე უფრო მშვენიერია ბერნინის სკულპტურა. მგონი, რიჰარდ შტრაუსმაც დაწერა ოპერა ამ თემაზე... მას შემდეგ დაფნის ხე, აპოლონის უწმინდესი ხეა... დაფნეში ეხლა არის მშვენიერი რესტორანი, რომელიც მართლაც გემრიელ არაბულ-თურქულ სადილებს ამზადებს და ადგილობრივ (თურქულ) ღვინოს „კავაკლი დერე“-ს გთავაზობს. კარგი ღვინოა – ნატურალური.

ადგილობრივი მოსახლეობის შესახებ ცრუმორწმუნეობის ორიოდ ფაქტის მოტანა რომ არ დაგვავიწყდეს, უნდა გავიხსენოთ ბარლაამის მონასტერში მუშაობის ადრეული პერიოდი, როდესაც ჩვენი საქმიანობა, არსებითად მონასტრისა და მისი სანახების დედამიწის ზედაპირზე გაბნეული მასალის (კერამიკა, სკულპტურის ფრაგმენტები...) შეგროვება და მისი შესწავლა იყო. საჭირო გახდა წყლის ცისტერნაში თოკების საშუალებით ჩასვლა თუ ჩაშვება, რადგან ამგვარ საცავებში წინათ შენახვისა თუ დაცვისათვის იყრებოდა არქიტექტურული სკულპტურა ან ეპიგრაფიული მასალა. ჩემს ვაჟკაც მუშებს, იმ სიბნელეში ჩასვლა უაღრესად ეშინოდათ, რადგან მასში „ეშმაკები ბუდობენ“.

ერთხელ, შუაღამისას, ჩემმა მცველებმა გამაღვიძეს (მონასტერში ჩემთან მოვიდა წვეროსანი მოხუცი, რომელსაც მიხაკისფერი, სახლში ნაქსოვი, კალთებაკეცილი და ქამარში დამაგრებული შალის ჩოხა ემოსა. კომბალზე დაყრდნობილმა შემომჩივლა, რომ ჩემთან მომუშავე ყმაწვილმა, რომელსაც მოხუცის შვილი ჰყავდა ცოლად, მიატოვა ეს ქალი და პატარა შვილი. მომპარა ერთადერთი თხა, რომლის რძითაც ბავშვს ვზრდიდი და უსახსრო კაცი გაჭირვებაში ჩამაგდოო. მოვიხმე ეს ყმაწვილი, გავლანძღე და ერთი სილაც

ვსტკიცე. მუშები შიშით შემომცქეროდნენ: ეს რა ჰქენი, ეგ ბიჭი მკვლელია, ნამდვილად მოგკლავსო და ამიტომ ღამით მყარაულობდნენ) და მითხრეს, რომ ეკლესიის სამხრეთ ფერდობზე ვეფხვია, ღმუის კიდეცო (იმ არეში ვეფხვები მართლა დაძრწოდნენ. უკანასკნელი ვეფხვი, 1937 წელს, იქ მცხოვრებმა სომხებმა მოწამლეს და მოკლეს. ჩემ დროს იქ სომხების ნატამალიც აღარ იყო, მაგრამ სამხრეთით ორიოდ კილომეტრზე, თურქეთის საზღვარს მიღმა, სირიის ტერიტორიაზე, სოფელ ყასებში, თითქმის მთელი მოსახლეობა სომხებისაგან შედგებოდა და დიდი ეკლესიაც ჰქონდათ). არ დავიჯერე. შუა ღამისას, კეტებით, ბარ-ნიჩბებით და ერთი დაჟანგული თოფით, რომელიც არ ისროდა და უფრო ფსიქოლოგიურ იარაღს წარმოადგენდა, ვიდრე რეალურს, გავწიეთ იქით საიდანაც ღმუილი ისმოდა. შიშმა მოგვიცვა ყველა. იმ მიმართულებით მივიწევთ ერთადერთი ლიფლიფით. თანაც ვხედავ, ჩემი მუშები უფრო და უფრო უკან მრჩებიან... წინ შენ წადი, რადგან არ გჯეროდაო. მივიწევ წინ და ვხედავ, ვეფხვი კი არა, დაკარგული ძროხა იწვა პატარა მდელოზე და იცოხნებოდა, აი ნიშანი იმისა, რომ უმეცარება, ცრურწმენასა შობს...

კასიუსის მთის ქვემოთ, დასავლეთით, ძნელად მისადგომ ადგილზე, მონასტერთან, გაველურებული ვენახის ნაშთი შეინიშნებოდა. ჩემი მუშები ჩამაცივდენ იმ ვენახში მივსულიყავი, რათა მენახა დიდი გველი, რომელიც მათი თქმით, დღის ყოველ 12 საათზე მოდის, ყურძენს ჭამს და მიდის. ამ სისულელეს კაცი როგორ დაიჯერებს, მაგრამ დავთანხმდი, რადგან მსურდა იმ მონასტრის ნაშთების უფრო გულდასმით მოხილვა. თორმეტი საათისათვის მივაშურეთ იმ ადგილს, სადაც გველი უნდა მისულიყო და ყურძენი ეჭამა. დიდი ხნის ლოდინი არ დაგვჭირვებია, წითელი და შავი ფერის რგოლების მონაცვლეობით, ორმეტრიანი, მაგრამ შედარებით წვრილი გველი მოვიდა, ორიოდ ყურძნის მარცვალი შესანსლა და გაუჩინარდა. გაოცებული დავრჩი. თანაც კასიუსზე უამრავი გველებია: „ქორ ილან“, „ყარა ილან“, „ბოზ ილან“, მაგრამ არცერთ მათგანს არა აქვს წითელი და შავი ფერის რგოლები.

კასიუსის მთიდან, ხანდახან ანტიოქიაში ჩავდიოდი ცხელი წყლით ტანის დასაბანად, სხვადასხვა იარაღის საყიდლად ან გასალესად, ბანკიდან ფულის გამოსატანად, მუშებისათვის რომ ჯამაგირი დამერიგებინა და სხვა მრავალი წვრილმანი საქმეებისათვის. ხშირად, წამოვიყვანდი ხოლმე ჩემს მუშებს დედებითა თუ ცოლებით, რათა ანტიოქიის „დიდი ქალაქი“ დაეთვალიერებინათ და გაკვირვებული ყოფილიყვნენ. მრავალს თავისი სოფლის გარდა ქალაქი, მით უმეტეს ანტიოქია, არ ენახათ. საღამოს მათ ბაღში ვპატიჟებდი, სადაც მრავალგვარი წარმოდგენა თუ სანახაობა იყო, მსგავსად თბილისში, დიდუბეში არსებული მუშტაიდის ბაღისა. ამ მუშებს, რომელნიც ჩემი ერთგულნი იყვნენ, საუცხოო ანტიოქიის ნახვა და იქ განცდილი მეტისმეტად ახარებდა...

ერთხელ, დილით, ტანი დავიბანე და ჩემი ოტელის ოთახის პატარა აივანზე სხეულის გასაგრილებლად გავედი. ვუყურებ, ქუჩაში, ოტელის წინ, ტროტუარზე ზის ერთი ბერი - მათხოვარი. ვაკვირდები მის საქციელს. გამოჩნდა მისკენ მავალი მეორე დაძონძილი მათხოვარი. გაჩერდა მჯდომარე მათხოვართან, უბიდან ამოიღო ჭუჭყიანი ხილაბანდი, გახსნა თავისი ქისა, აიღო გარკვეული რაოდენობის ფული, მისცა მჯდომარე მათხოვარს, ხილაბანდი ქისიანად ისევ უბეში ჩაიდო და ტაატით განაგრძო გზა. ჩემზე ძალიან იმოქმედა და დამაფიქრა ამ არაჩვეულებრივმა ჰუმანურმა ქმედებამ, მით უმეტეს, რომ ერთხელ იუტაში ფული შემომაკლდა, ჩვენი ფაკულტეტის პროფესორს ვთხოვე სესხად მოეცა, რაც მან არა თუ არ ინება, არამედ რამდენიმე თვე არც მელაპარაკებოდა. ამ საქციელს

მაშინ ვერ მივხვდი, ახლა კი ვხედავ რომ ზოგიერთისთვის ფული პიროვნების ღირსების ნიშანია და თუ შენ სესხად თხოვ, ამით მათ ღირსებას ამცირებ.

ლაფონტენ დოსოგნის და გრაბარის გაიძვერობა

ანტიოქიაში სამუშაოდ წასვლის წინ, ვაშინგტონში, დუმბარტონ ოქსში, გრაბარმა მომინახულა, ენერგიულად წამახალისა და „გზა დამილოცა“ – თუმცა, მას, ჩემი გეგმის სრულქმნაში, ან რაიმე ფაქტიურ დახმარებაში წვლილი არ მიუძღვის. სტამბულშიც მწერდა და მეც ვპასუხობდი, მაგრამ ერთი წერილი სტამბულიდან ანტიოქიაში გაიგზავნა სადაც ვმუშაობდი. ამ დროს, სეზონის დამთავრების შემდეგ, სტამბულში ვბრუნდებოდი, რის გამოც წერილი უკან დამადევნეს. როდესაც წერილი მივიღე და წავიკითხე, გავოცდი, რადგან მწერდა: გამოგზავნე შენი მუშაობის ანგარიში ფრანგულ ან სხვა ენაზე (ჩვენ გადავთარგმნითო) და აქ „კოლეჯ დე ფრანს“-ში გამოვაქვეყნებთო. პარიზიდან ანტიოქიაში, სოფელ კასებში, სადაც ჩემი მთავარი სადგომი იყო და ანტიოქიიდან სტამბულში მისი წერილის ჩემთან მოღწევას დასჭირდა 3-4 თვე. ამასობაში, ჩემი გათხრების წინასწარი მოხსენება გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალში (სტამბულში) გამოვაქვეყნე, მით უფრო, რომ მე გრაბარისათვის არავითარი დაპირება არ მიმიცია და არც მას უთხოვია. ამაზე დაფუძნებულმა ჩემმა პასუხმა გრაბარი ისე გააბრაზა, რომ ანტიოქიაში გამოგზავნა ლაფონტენ დოსოგნი, საგანგებო დავალებით, ჩემი გათხრების შედეგები მოეკრიფა (უკეთ მოეპარა) და წიგნად გამოეცა, რაც მოხდა კიდეც. მადლობა ღმერთს, ხანმოკლე გასეირნებით მან ბევრი ვერაფერი შეკრიბა და ნაჩქარევი მუშაობის გამო ვერც სასურველი შედეგები მიიღო. ერთხელ, ანტიოქიაში, ლაფონტენი სადილზე დავპატიჟე, რომლის დროსაც მითხრა, რომ ჩემს მიერ ნაპოვნი, ჯვაროსნების ვერცხლის მონეტების ნახვა სურს. ანტიოქიის მუზეუმის დირექტორის თანაშემწეს ვთხოვე, ამ მონეტების ნაწილი დოსოგნისათვის ეჩვენებინა. ეს ქალი ასეც მოიქცა, მაგრამ ნაწილის მაგიერ მთელი კოლექცია გადასცა. როდესაც დოსოგნმა ეს კოლექცია დირექტორის თანაშემწეს დაუბრუნა, შვიდი მონეტა აკლდა, რის გამოც აყალ-მაყალი ატყდა, მაგრამ ეს საქმე მივაფუჩეჩე და დოსოგნი არ გაუჩხრეკიათ... გრაბარის საქციელი შეიძლება გერმანელებისა და კერძოდ დაიხმანის მტრობითაც იყო გამოწვეული... ანტიოქიის სანახებში მდებარე მონასტრებში მუშაობის შედეგად მოპოვებული მასალისა და ჩემი სხვა შედეგების შესახებ, გლახა ჭრიაშვილივით ლაპარაკს არ გავაბამ, ამ ცნობებს მსურველები ჩემს ნაშრომებში ამოიკითხავენ.

ქართული კათოლიკური მონასტერი სტამბულში

სტამბულში იყო XVIII საუკუნეში დაარსებული, ლურდის ღმრთის მშობლისადმი შეწირულ დედათა მოქმედი მონასტერი. ის შესდგებოდა ორსართულიანი წაგრძელებული შენობისაგან, რომელიც სკოლის დანიშნულებას ასრულებდა; მეორე შენობა, რომელშიც ბინები იყო განთავსებული, გამოყოფილი იყო თვით ეკლესიისა და სასაფლაოსაგან. ყველაფერი ეს შემოზღუდული იყო ორი მეტრის სიმაღლის ქვითკირის ღობით. არ გამიზომავს, მაგრამ მონასტრის ზომები დაახლოებით 50x50 მეტრს არ აღემატებოდა. მონასტერს ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა იმავე ზომისა და ფორმის (ოთხკუ-

თხა) მიწა, რომელსაც მონაზვნები საწყობად ან სახნავ სათესად აქირავებდნენ. ჩემს დროს მონასტერს განაგებდა ექვსი მონაზონი (აქ იყო კიდევ ერთი მონაზონი მარო ვაჩნაძე, რომელიც მიწიერი ცხოვრების სიტკბოებისაკენ ლტოლვისა და სამოთხის სიამოვნების უკვე ამ ქვეყანაში განცდის გამო, მონასტრიდან რამდენჯერმე გააძევეს. შემდეგ მარო, რომელიც ჩვენი ხშირი სტუმარი იყო, საქართველოში გადასახლდა და მგონი კახეთში გარდაიცვალა). ეკლესიის მღვდელი იყო ფრანგი კათოლიკე, ხოლო მისი დიაკვანი დაბალი, ჩასუქებული, ქართველი საქმოსანი პავლე, რომელიც ადმინისტრაციისა და ფინანსურ საქმეებშიც იყო ჩართული. პავლეს საქციელით მონაზვნები კმაყოფილი არ იყვნენ, მაგრამ თურქთა მიერ მონასტრის შევიწროების დროს, მაინც ის იყო ერთადერთი დამცველი. ეს მონასტერი, თავდაპირველად ქალაქგარეთ იყო. ქალაქის ზრდის შედეგად, ის გარემოიცვა ახალ-ახალი სახლებით. იმ ადგილზე მიწაც ძვირდებოდა, რასაც დაერთო მთავრობისა და კერძო პირთა ხშირი შეტაკებები და მონასტრის შევიწროების წარმატებითი ცდები. მაგალითად, მონასტერს ჰქონდა შვიდწლიანი სკოლა, სადაც მონაზვნებიც ასწავლიდნენ. მიზეზით, რომ მონაზვნებს არ ჰქონდათ თურქეთის განათლების მოწმობები, შვიდწლედი ოთხწლედამდის ჩამოუქვეითეს და ბოლოს ბაღად აქციეს. გაცილებით ადრე, ჩემი ესპანეთში ყოფნის დროს, მონაზვნებმა დახმარებისათვის მიმართეს ერეკლე ბაგრატიონს, რომელიც მონასტრის დაცვას დიდად ეცადა კარდინალ მიტერანის წყალობით და მონასტერი გადაარჩინა ანექსიისაგან. მონასტრის მდგომარეობის შესახებ მოხსენება ჩემს მიერ გადაღებული დიდი სურათებით, მათ შორის ყველა მონაზვნისა, გავუგზავნე საქართველოს პარტიარქს, მაგრამ მისგან პასუხი არ მიმიღია. როდესაც თბილისში ვიყავი, მივედი საპატრიარქოში მისი უწმინდესობის ილია მეორის სანახავად, მაგრამ მითხრეს, რომ ის თბილისში არ არის. ვთხოვე გამოეძიათ ჩემი ვრცელი წერილის ასავალ-დასავალი. შეკრთნენ, აქეთ-იქით ირბინეს და მითხრეს, რომ დანამდვილებით არ მიუღიათ.

ჩემი ჯალაბობა მცირე აზიაში გავასეირნე იქაური ანტიკური – გვიან ჰელინისტური და რომაული ძეგლების დასათვალიერებლად. დაახლოებით 12 დღე დავყავით გზაში და მრავალი ძეგლი დავათვალიერეთ, აგრეთვე მუზეუმები. დავიწყეთ ნიკეიდან, რომელიც ისტორიულად და არქეოლოგიურად უაღრესად საინტერესოა, მაგრამ მაინც ნაკლებად შესწავლილი. იქ არის ორი მეტად საინტერესო ეკლესია: ერთი ღმრთის მშობლის მიძინების სახელზე არის აგებული. ე.წ. კიმიზის ეკლესია საშინელ მდგომარეობაშია. არის საინტერესო მუზეუმი და ერთი ჯამე სელჯუკებისა, სადაც რამდენიმე ბიზანტიური ფრაგმენტია ჩატანებული. იქვეა აგორა და აკროპოლისიც, მაგრამ ჯერჯერობით გაუთხრელი და შეუსწავლელი. აქედან ბურსაში წავედით. აქ უმეტესად სელჯუკების ძეგლებია, ჯამეები და ერთი საინტერესო მუზეუმიც. ავედით ულუმბოს (ოლიმპის) მთაზეც, სადაც დიდძალი თოვლი იყო და ხალხი თხილამურებით სრიალებდა. აქედან ვესტუმრეთ პერგამონს, სადაც 3 დღე დავრჩით. ეს უზარმაზარი აკროპოლისია მრავალი ტაძრით, აგორათი, გიმნაზიით და სხვა. ქვემოთ კი უზარმაზარი ტაძარია, ეწოდება ასკლეპიაიონ (ასკლეპიოსი). სხვათა შორის, ეს ასკლეპიოსის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ტაძარია. იქ იყო დიდი სკოლა ექიმებისა, იქ მოღვაწეობდა ნაქები მკურნალი გალენიუსი. აქვე ავადმყოფებისათვის სხვადასხვა სახის შენობებია, ცივი და ცხელი აბაზანები, ტალახი... სხვათა შორის, დარჩენილია ბერძნული ტექსტი ზოგიერთი კეთილშობილი პაციენტისა, რომლებიც ამ მკურნალობის პროცესს

ნაწილობრივ აღწერენ. როგორც ჩანს, მკურნალობის განუყოფელი ნაწილი იყო ფიზიკური ვარჯიში, სიცივისა და სიცხის კონტრასტების გამოწვევა სისხლის მოძრაობის დასაჩქარებლად და სხვა. ბევრი ოხუნჯობაც სწერია შიგ.

სხვათა შორის, აქ ვნახე დიდებული საპირფარეშოც. ამგვარი გასაოცარი რამ ჯერ არსად მინახავს. ყველაფერი მარმარილოთია მოპირკეთებული, დიდებული სვეტისთავებით, მოზაიკით, განუწყვეტელი წყლით... სასახლეებზე უკეთესი. ეს არა მხოლოდ წარჩინებულთათვის, არამედ ყველა პაციენტისთვის იყო განკუთვნილი.

ამ ძეგლების აღწერას ბოლო არ ექნება, ამიტომ მსურდა მოკლედ მეთქვა, რომ ამ ხელოვნების ბადალი, ორიოდეს გარდა არ მეგულება. საინტერესოა კიდევ იმ მხრივაც, რომა ეს ანტიკური ძეგლები, არსებითად განსხვავდება საბერძნეთისა და სიცილიის ხუროთმოძღვრებისაგან. ვილების, ბიბლიოთეკების და სხვა დანიშნულების ბინების მიხედვით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იქ ერთ დროს მყოფთა მაღალ გემოვნებასა და ყოფა-ცხოვრების იერზე. ეფესოს, აფროდისიას მეგალოპოლის, სიდე, მილეთი, დიდიმა მურა სარდესი – კულტურის მრავალფეროვანი გამოვლინების უზარმაზარი ცენტრები იყო. სუფთად მოპირკეთებული უზარმაზარი ქვები, მრავალგან დღესაც კარგად არის შენახული და ერთმანეთზე ისეა მორგებული, რომა მათ შორის სამართებლის პირს ვერ გაატარებ.

კაცი რომ ამ დიდებულებას ხედავს, ძალაუნებურად რცხვენია, რომ დღეს მის მსგავსს კი არა, მის მცირე ნატამალსაც ვერა ჰქმნის. აშკარადა სჩანს, რომ იმ ერებს, უზარმაზარი და საუკუნეებით გამართლებული იდეებისა და ცოდნის გარდა, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა ამოძრავებდა... მე ამ იდეების განსჯა კი არ მსურს, თუ რამდენად სწორი ან უსწოროა, არამედ ფაქტი. აშკარად ჩანს, რომ მათ შექმნეს ხელოვნება და სულიერი კულტურა, რაც შემდგომი თაობებისათვის გონითაც კი მიუწვდომელი დარჩა...

სხვათა შორის, ამ არეებში მრავალი ეკლესია და მუზეუმებიც არის, აქვე იყო დიდებული თეოლოგიური სკოლები, დიდი სპორტული არენები, თეატრები, ოდეონები. შემოვიდა ქრისტიანობა და მილეწა ეს დიდებული ძეგლები, როგორც წარმართული და ბილწი. მას მოჰყვა ისლამი, მან ერთიც და მეორეც გააცამტვერა, მაგრამ ქრისტიანებმა ვერ შეჰქმნეს ჰელინისტური შედევრების მსგავსიც კი, ხოლო ისლამს კი არა აქვს შემოქმედება ამ სიტყვის ფართე გაგებით. ბერძნების ხელოვნება, რამდენიმე ასეული წლით განისაზღვრება. ამ ხნის განმავლობაში მათ ერთი წუთითაც არ დასჭირვებიათ სხვისგან სესხება. სხვანი კი საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ ისე, რომ უბერძნებოდ ერთი წუთითაც არ შეეძლოთ ყოფნა.

გათხრების დაწყებამდის და გათხრების დამთავრების შემდეგ, ირინესთან ერთად ან მარტო დავდიოდი კაპადოკიის, ტურაბდინის და ჩრდილო სირიის ეკლესია-მონასტრების შესასწავლად. რამდენიმეჯერ ვიყავით აგრეთვე საბერძნეთში, მაგრამ ჩემი დიდი სურვილი იყო ათონზე ჩვენი დაობლებული მონასტრის - ივირონის და მისი არემარის მონახულება. ამ მიზნით ვესტუმრეთ საბერძნეთის პატრიარქ ათანაგორას, რომელიც ბიზანტიის დაკარგვის მიუხედავად, კონსტანტინოპოლში – დღევანდელ ისტანბულში – ზის. დიაკვნები მოგვესალმენ, მოგვიკითხეს და მცირე ხნის შემდეგ ათანაგორას ოთახში შეგვიყვანეს. აქ მოხდა საინტერესო რამ: დიაკვანმა დე გოლის უზარმაზარი სურათი ჩამოხსნა კედლიდან, სხვა ორი დიაკვანი პრეზიდენტ

კენედის კიდევ უფრო დიდ სურათს მოარბენინებდა, რომელიც იმავე ადგილზე ჩამოკიდეს სადაც დე გოლის სურათი იყო. ამასობაში ათანაგორაც წამოდგა და დიდი სიყვარულით მოგვეგება, მოგვიკითხა. ეს იყო ჩვეულებრივზე გაცილებით მაღალი, გრძელ წვერულვაშიანი, წელში გამართული კაცი, რომელიც ფლობდა რამდენიმე უცხო ენას, მათ შორის რუსულსაც. მოგვიყვა რომ პირველი მსოფლიო ომის დროს ტყვედ იყო რუსეთში და რუსული ენაც იქ შეიწავლა. მოვახსენეთ, რომ ათონში გვინდა წასვლა და მისგან ადმინისტრაციაში გზის გასაკაფი წერილი გვსურდა მიგვეღო, რაც დიდი სიამოვნებით შეგვისრულა. მოგვცა ნახევარმეტრიანი სიგრძის უსტარი, რაც ახლაც მაქვს შენახული. ამრიგად, გზა გავიკაფეთ და ორიოდე დღეში გავემგზავრეთ თესალონიკში, სადაც დავათვალიერეთ ქალაქის ციხესიმაგრეები, რომის იმპერატორ გალერიუსის ფორუმი, სადაც გათხრებს აწარმოებდნენ. მისი ტრიუმფალური თაღი, რომელიც შინაარსით იკონოგრაფიულად და სტილისტურად დადმნიშვნელოვანია, აგრეთვე ფორუმთან სვეტებიანი გალერიით დაკავშირებული მისივე მა-ვზოლეუმი, რომელიც ახლა წმ. გიორგის სახელობის ეკლესიად არის ქცეული და პირველადი მოზაიკებით დამშვენებული.

ბერძნებთან ყველაფერი ნელი ტემპით მიდის: თესალონიკში, სიძველეთა დაცვის კომიტეტში ოთხჯერ მივედით, რომ ივირონში შესასვლელი ე.წ. ვიზა აგვეღო. თესალონიკიდან ზღვის პირზე მდებარე ქალაქ იერისოში გავე-მგზავრეთ, რადგან იქიდან ნავით ივირონში უნდა გავმგზავრებულიყავი. იერისშიც გამოვიკითხეთ მგზავრობის შესაძლებლობები. მივაკვლიე ერთ პატარა ნავს, რომელიც ივირონის მამულებიდან ხე-ტყეს ეზიდებოდა. ირინე და ბავშვები ოტელში დავტოვე და ერთ სისხამ დილას, ჩემი რვეულებით, საწერ-კალმებითა და ფოტომოწყობილობებით გავემგზავრე ივირონისაკენ. ზღვა იყო სუფთა, მშვიდი და გამჭვირვალე, ვზივარ ნავში, მენავე წამდაუწუმ მესაუბრება, მე კი მისთვის არ მცალია, აუარებელი აზრები მიტრიალებენ თავში. აგერ ათონის ნახევარკუნძულიც გამოჩნდა, ვეკითხები მენავეს თუ რომელ მხარეზეა კარეა ანუ იქაური ეკლესია-მონასტრების ადმინისტრაციული ცენტრი. ვსინჯავ ჩემს რუკებსაც. აი ივირონის „ნავთსაყუდიც“ მოჩანს, მივადექით. მენავეს ფული გადავუხადე და გავწიე კარიესაკენ, რომ იქაურ ადმინისტრაციაში ჩემი ათონში ყოფნის უფლება დავამტკიცო. ნაძალადევი ღიმილით მიმიღეს, როგორც ყველა უცხოელი „ბარბაროსი“. აქაც, ცოტაოდენი გაწამაწიის განცდის შემდეგ, წამოვედი ჩვენი მონასტრისაკენ. გზაში აქეთ-იქით ვენახები, ხეხილი და ჯორ-ვირებით მავალი ბერებია. მივადექი ივირონის უზარმაზარ ალაყაფის კარს, რომელიც დაკეტილი დამხვდა, რამეთუ მზე უკვე ჩასული იყო. ვიფიქრე, იქვე მერხზე გავათენებდი, მაგრამ ბერმა კედლიდან ჩამოუშვა ამწე, ამიყვანა, დამაპურა და ოთახიც მიბოძა. დილით ადრე ავდექი, თვალში მეცა უწესრიგობა, მივალაგ-მოვალაგე, ცოცხით დავგავე, იქვე დახროვილი შეშაც დავჭერი და შევედი კათოლიკონში ანუ მთავარ ეკლესიაში სალოცავად, იქ, სადაც ჩვენი ერის დიდი პიროვნებები, საუკუნეების განმავლობაში თავდადებულად მოღვაწეობდნენ. ლიტურგიის შემდეგაც, როდესაც ეკლესიაში არავინ იყო, შევდიოდი, მის ხუროთმოძღვრულ ნახაზებს ვაკეთებდი, სხვათა შორის გადავიღე კათოლი-კონის მოზაიკური იატაკის ასლი ზომებით. ეს იშვიათი თუ უნიკალური ნახაზი, ფერების წარწერით და ბრინჯაოს ცენტრალური ტონდო წარწერით, შვიდ დიდ ყუთთან ერთად, საქართველოში გამოვაგზავნე და შეცდომით ვახტანგ გურგენიძის სეიფში მოხვდა. არავითარი ცნობა მის შესახებ არა მაქვს, რადგან

ახლა იქ არქივებისათვის და მისი მოვლა-პატრონობისათვის არავის სცალია. სხვათა შორის, ამ მოზაიკის, მთელი მონასტრის, მისი ცალკეული ნაწილებისა და შენობების რამდენიმე ასეული სურათიც გადავიღე, მათ შორის იოანე ნათლისმცემლისაც. დადგა დრო მონასტრის წინამძღვრისათვის თხოვნისა, რომ კათოლიკონის ნართექსის ზემოთ შენახული ქართულ ხელნაწერებზე მუშაობის უფლება მიმეღო. ასეც მოვიქეცი. წავიღე მისი უწმინდესობის, პატრიარქ ათანაგორას უსტარ-გრაგნილი და ჩემი თხოვნაც მივაყოლე. მონასტრის წინამძღვარმა გამომცდელი თვალით შემხედა, ცოტა დააყოვნა და მერე მომიგო: "თქვენ უფრო პატივისაცემი ბრძანდებით ჩემთვის, ვიდრე პატრიარქი. მე თქვენი მოსვლიდან ყოველ დღე თვალყურს გადევნებდით და ვხედავდი თქვენი სურვილით მონასტრის მოვლას მაშინ, როდესაც სხვები მაიმუნებივით აქეთ-იქით დახტიან, ფოტოაპარატებს აჩხაკუნებენ და ეკლესიაში ერთხელაც არ შემოდიან. აი, ამიტომ, მე გაძლევთ ბიბლიოთეკის გასაღებს, როცა გენებოთ ადით და იმუშავეთ, გინდა ხელნაწერი თქვენს ოთახში წაიღეთ და იქ იკითხეთ". მოულოდნელი სიხარულისაგან გავშრი. დიდი მადლობა გადავუხადე და ნახევრად გაბრუებული გარეთ ჰაერზე გავედი. გაოცებული ვიყავი აგრეთვე პატრიარქის ცუდად მოხსენიების გამო, მხოლოდ ბოლოს შევიტყე, რომ თითქმის ყველა ბერი, პატრიარქზე იყო გაბრაზებული, რადგან ის რომის პაპთან თანამშრომლობდა და კათოლიკებთან შერიგების მომხრე იყო. მონასტერში გავიცანი ერთი ინგლისელი ახალგაზრდა წვეროსანი მოსამართლე, სახელად „მაიკ" ან მიხეილ. ამ საინტერესო, განათლებულ, ყმაწვილ კაცს ვუთხარი: „მაიკ ნუ დაივიწყებ, რომ შენ ამ მონასტრის სტუმარი ხარ. ბერების მთავარი საქმიანობა ეკლესიაში ლოცვაა, შენ კი ამ ფოტოაპარატს აჩხაკუნებ და ერთხელაც არ შედიხარ ეკლესიაში სალოცავად, რომ ამით ბერებს პატივი სცე". დიდი ენთუზიაზმით დამეთანხმა და საღამოს იოანე ხრიზოსტომის ლიტურგიის მოსასმენად კათოლიკონში შევიდა. ეს ლიტურგია არის ექვს საათიანი დამქანცავი ლოცვა-ღაღადისი. წმინდანებით მოხატული კედლები, უამრავი ხატები, საეკლესიო გალობა, საკმეველით გაჟღენთილი ჰაერი... ყოველივე ამას, რელიგიური სულისკვეთების ადამიანი რეალური ცხოვრებიდან გამოჰყავს და ზეციურ, ღვთიურ ძალებთან აახლოვებს. როგორც ყოველთვის, ბერების თხოვნით მეც ვგალობდი აღტაცებით, იმიტომაც, რომ ეს იყო ერთადერთი ადგილი, სადაც ჩემი გალობა მოსწონდათ. შუაღამე იყო გადასული, ღრმა რელიგიური განცდა ზენიტშია, მოულოდნელად ხმამაღალი ბრაგვანი გაისმა, მივიხედე უკან და ვხედავ იატაკზე გათხლაშულ მაიკს. მივედი, წამოვაყენე, გარეთ გავიყვანე და იაზმის კანთაროსიდან ცივი წყალი შევასხი სახეში, ვეკითხები:

- მაიკ რა დაგემართა?
- შიმშილისაგან გული წამივიდა.

მართლაც მონასტრის ულუფა ისე მცირეა, რომ არ მოგკლავს, მაგრამ არც გაცოცხლებს. შოკოლადი ბლომად მქონდა წაღებული, ვაჭამე და „გამოვაცოცხლე". მონასტრის ცხოვრება ერთფეროვანია, რის გამოც მაიკის წაქცევამ ბერებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მომაკითხეს და მეკითხებიან:

- თუ დაღლილი, მშიერი იყო და იმიტომ დაეცა, რატომ არაფერი არ ვნებია? ჩემი ნათქვამი არ დაიჯერეს.

- არა, მაიკი იმიტომ დაეცა, რომ ის იყო „ფრანკი", რაც „პორტაიტისამ" („პორტაიტისა" ალაყაფის კარზე ჩამოკიდებული ღვთისმშობლის ,,კარის მცველის" ხატია, ისევე როგორც V საუკუნის ათენას სკულპტურულ გამო-

სახულებებში ათენა ,,პრომახოს", ე.ი. ათენა ,,პოლის", ე.ი. ათენა ქალაქის მცველი ან ათენა ,,ნიკე" - ათენა როგორც გამარჯვების სიმბოლო) შეიტყო და დასაჯა. ვეცადე ეს ბერები სწორ გზაზე დამეყენებინა მაგრამ ისინი მაინც თავისას გაიძახოდნენ და მეუბნებოდნენ:

- შენ არ გესმის, რადგან ეს იყო ზებუნებრივი მოვლენა, ღმრთისმშობლის ძალის გამოვლენა.

ორიოდ დღეში ამ თემაზე საუბარში თავისი საკუთარი აზრი შეიმუშავეს. 1204 წელს რომ ბარბაროსი ჯვაროსნები კონსტანტინოპოლს შეესიენ, ქალაქი დაიპყრეს, ეკლესია მონასტრები გაძარცვეს და მრავალმხრივ შეურაცხყვეს, ბერებს არა თუ არ დავიწყებიათ, არამედ, ეს კატაკლიზმური ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა ისე ღრამად არის შთაბეჭდილი მათ მეხსიერებაში, თითქოს ლათინთა მხეცობა გუშინ მომხდარიყოს. ბერებთან მაიკის დაცემის შესახებ კამათი ჩემთვის იყო გაკვეთილი, რადგან მივხვდი, თუ როგორ ხდებოდა „საკვირველთ მოქმედებანი" წარსულში. მონასტერი მეცნიერული მუშაობისათვის არ არის დაფუძნებული, ამისდა მიუხედავად, ჩემი რუდიმენტალური მეთოდების გამოყენებით შევძელი წმ. ბარლაამისა და სჯმეონ მესვეტის დედის მართას ცხოვრების გადმოწერა და ფოტოგრაფირებაც. სამიოდე სხვა ხელნაწერის ფოტოებიც გადავიღე. ეს მასალა გავამჟღავნე და დავბეჭდე. მთელი ეს მასალა და ბარლაამის მონასტერში მოპოვებული ტვიფარის ასლი შევთავაზე ჩემს ძველ მოგობარს, დაუღალავ მშრომელს, დიდ მეცნიერს ელო მეტრეველს, როდესაც ის, საქართველოდან ჩამოსულ სხვა ქართველებთან ერთად, ბევერლი ჰილსში მესტუმრა. სტუმართა შორის იყო ბესო ჟღენტი, რომელიც ფუნაგორისტების ლექსებით გავაკვირვე, საიდან გახსოვსო. მე სიხარულისაგან გზააბნეული ვიყავი.

ერთ მშვენიერ დღეს გავეშურე მთებისაკენ ფიქრით, ეგებ ჩემი წინაპრების უცნობ რაიმე ნაკვალევს მივაკვლიო. ოთხი-ხუთი საათის სვლის შემდეგ მივადექი ერთ კლდეში გამოქვაბულ და წყლით ნახევრად სავსე ლაკუას. დავეწაფე ცივ წყალს, დავიბანე ხელ-პირი, დავჯექი სულის მოსათქმელად და ნახევრად გამდნარი შოკოლადების საჭმელად. უცებ, ვხედავ დაფლეთილსამოსიან, უხვ წვერულვაშიან, ჩემსკენ მავალ ბერს. წამოვდექი მივესალმე, მოვიკითხე ჩემი ჩიქორთული ბერძნულით. გაეხარდა ჩემი ნახვა, მითხრა, ღვთის გამოგზავნილი საჩუქარი ხარო. ისიც თქვა, რომ იგი ამ გამოქვაბულში განმარტოებით ცხოვრობს და ოციოდ წლის შემდეგ პირველი შემთხვევაა, როდესაც თავისი ბინა მიატოვა, შორს მცხოვრებ ძველი მეგობრის სანახავად წასულმა. შემებრალა ეს საცოდავი მწირი. შევთავაზე ფული, რაც არ აიღო.

- ეს ეშმაკის მოგონოლია არ მინდა და არც მჭირდება! მერე გავუწოდე ჩემი ნახევრად გამდნარი შოკოლადი. არც ეს ინება.

- ამას მე არ გეახლები, არამედ გამხმარი ბალახების წვენს. ეს რომ შევჭამო, ეშმაკი მომევლინება.

აი, ამ მინდორზე, ბევრი აძოვებს ცხვარს. ის ცხვრები, რომლებიც ნოყიერ ბალახს ჭამენ სუქდებიან და მგლის მსხვერპლი ხდებიან, რადგან სიმძიმით ვერ გაიქცევა, ასევეა ადამიანი, რომ გასუქდებიან ღმერთს ივიწყებენ და ეშმაკის მსხვერპლნი ხდებიან (ჩვენი საუბრის შედეგად გამოირკვა, რომ ეს სასიამოვნო, ფილოსოფიურად მოაზროვნე მწირი, ცარისტული რუსეთის ჯარის გენერალი ყოფილა. რევოლუციის შემდეგ სამშობლო და ოჯახი მიუტოვებია და ,,დროებით" ათონზე გახიზნულა, იმედით, რომ ღმერთი კომუნისტებს გაანადგურებს და სულ მალე შეეძლება უკან დაბრუნება. ,,მეორედ მოსვლა" სულ ახლო მომავალში

მოხდებაო - მეუბნებოდა).

ივირონში ჩემი მუშაობის დამთავრების შემდეგ ავიკრიფე გუდა-ნაბადი, კირიაკოსს ჩემთვის ნაჩუქარი ხატები დავუბრუნე, ყველა ბერს მადლობით გამოვემშვიდობე, ფიჩხით დატვირთულ მოტორიან ნავს დავაჯექი და კავალასაკენ გამოვსწიე. მივცურავდი ჩრდილოეთისაკენ, მაგრამ დაღონებული და ფიქრებში გართული, თვალს არ ვაშორებდი ჩვენს ამაოდ დაკარგულ მონასტერს, რომელსაც ამჯერად ვერ ვუპატრონეთ, დავკარგეთ და ახლა გულზე მუშტის ბრაგუნით ნიანგის ცრემლებსა ვღვრით. ორიოდ საათის მგზავრობის შემდეგ მივადექით კავალას, სადაც ირინე და ბავშვები მელოდებოდნენ. გავიხარეთ ურთიერთის ნახვით და თხრობით მოვიქანცეთ. საღამოს ზღვის პირზე არსებულ რესტორანში ვივახშმეთ უზარმაზარი, გემრიელად შეკმაზული, შემწვარი თევზით.

კავალიდან წავედით ფილიპიში, სადაც ალექსანდრე დიდის მამა ფილიპე მაკედონელი ბინადრობდა. გავეცანით იქ წარმოებულ გათხრებს, არქეოლოგიურ მონაპოვრებს და უკან დაბრუნებით გავწიეთ სალონიკისაკენ. ვხარობდით ერთმანეთთან ყოფნით და ზღვის პირზე მშვენიერი გარემოცვით.

თესალონიკში დავბინავდით და დავიწყეთ წინასწარ შემუშავებული გეგმით ამ მნიშვნელოვანი ქალაქის მართლაც უამრავი ძეგლის შესწავლა. ხუროთმოძღვრული ძეგლები რომაულ–ბიზანტიური ხანისაა.

სალონიკი, რომელიც ხუთასი წლის განმავლობაში თურქების ბატონობაში იყო და დღესაც აღმოსავლური იერი აქვს, ხორტიატის მთებში ამფითეატრალურად არის განლაგებული. იგი გარშემორტყმულია – დღესაც კარგად დაცული – თავდაცვითი ძლიერი კედლებით. ქალაქი დაარსდა 315 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მაკედონიის მეფის კასანდროსის მიერ, რომელმაც ქალაქს თავისი მეუღლის (ალექსანდრე დიდის დის) სახელი – თესალონიკი – მისცა, ისევე როგორც სელევკოსმა თავისი მამის – ანტიოხოს–ის სახელი დაარქვა ანტიოხს. ისტორიულად და კომერციის მხრივ, თესალონიკი ათენის შემდეგ საბერძნეთის ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქია. თუ ათონზე წასვლა გსურს, იქ უნდა აიღო „საშვები“ თუ „ვიზა“. როგორც ითქვა, ქალაქი მართლაც სავსეა რომაული და უფრო კი ბიზანტიური ხანის ძეგლებით (ეკლესია–მონასტრებით). იმპერატორ გალერიუსის ტრიუმფალური თაღი (დიდი მასშტაბის გათხრები იქ დღემდე წარმოებს და დიდმნიშვნელოვანი ძეგლებიცაა გამოვლენილი), ბიზანტიის ხანის ეკლესიები: ჰაგიოს დიმიტრიოს, პანთონ ხალკეონ, არხირო ჰოიეთოს, ჰაგიოს გიორგიოს თორმეტი მოციქულის ეკლესია და სხვები. ეს ძეგლები და განსაკუთრებით მათი სვეტის თავები შევისწავლე, ჩემს გათხრებში მოპოვებული საგნების დასათარიღებლად.

ჩრდილო სირიის ექსპედიცია

სირიაში პირველად წავედი გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის (თურქეთში) დირექტორის თანაშემწის პროფ. ვებერის და დოქტორ ვების თანხლებით. მათი მიზანი ემთხვეოდა ჩემ სურვილს: შემესწავლა წმ. სჯმეონ მესვეტის (ძველი მონოფიზიტის) მონასტერი ხალების ახლოს. შემდეგ კი, მე და ირინემ საჭიროდ დავინახეთ იმ არის ხუროთმოძღვრული ძეგლების უფრო გულდასმით და უფრო ხანგრძლივად შესწავლა, მით უმეტეს, რომ გვქონდა გერმანიიდან წამოღებული დიდი ავტომობილი, რომელშიც შეიძლებოდა

გაშლილი ფეხებით წოლა. ამჯერადაც ანტიოქიიდან გავემგზავრეთ საზღვრის მიღმა პირველი მონასტრისაკენ – Qasrel Benat – (ქალწულების ციხე-სიმაგრე?), რომელიც ხალებისაკენ (ალეპო) მიმავალი გზის მარცხენა მხარეზე განმარტოებით მდებარეობს. ეს არის ჩრდილო სირიის ერთ-ერთი ადრეული მონასტერი, რომელიც მეხუთე საუკუნით თარიღდება და მისი კაპიტელები, ბარლაამის მონასტრის კაპიტელებს ენათესავება. ჩავედით ხალებში და დავბინავდით Hotel Baron, ერთ დროს უაღრესად თვალსაჩინო, დიდ, კარგად ნაშენ სასტუმროში, რომელიც ერთ სომხის ოჯახს ეკუთვნოდა). ოტელის პატრონი, ყოველ ახალ მოსულ მუშტარს ესალმებოდა და ყავაზე ეპატიჟებოდა. არც ჩვენ ვიყავით გამონაკლისი. ვიმასლაათეთ, ყავა შევწრუპეთ და გამოკითხვის დროს რომ გაიგო, ამერიკელი და თანაც ქართველი ვარ, ძალიან გაიკვირვა და გაიხარა. არ მეგონა ამერიკაში ქართველები არიანო. მოიყვანა იქ მომსახურე თავისი ნათესავებიც და ისინიც გაკვირვებული გვესაუბრებოდნენ. შემდეგ, მეც ვერ მოვითმინე, წავიმეტიჩრე და სომხურ ენაზე დავუწყე ლაპარაკი, რითაც ისინი კიდევ უფრო გაოცდნენ. რახატლუხუმით დაგვატკბეს და მეც ვუბოძე სამი ტომი ანტიოქიის გზამკვლევი, რომელიც ანტიოქიაში ადრე მოქმედი ჯაშუშების გუნდის უფროსმა, კოლონელ Paul Jacquo-მ გამოაქვეყნა.

ხალებში დავრჩით ორიოდ კვირა და მოვიარეთ Djebel Siman (წმ. სჯმეონის მთა) მონასტრები წმ. სჯმეონ ძველისა, ფეფერტონი, ქატურა, და ტალანესოს კერძო ბინები. შემდეგ გამოვიკვლიეთ ჯებელბარიშას ეკლესიები (ყალბ ლოუზე, დარქიტა, ბაბისკა, ბამუქქა, დანა, სერმადა), ბოლოს მოკლე ხნით მივედით ჯებელა რიჰას არეში და მისი ორი ეკლესია ელ-ბარა და სერჯილია ვნახეთ, ამის შემდეგ გავემგზავრეთ სირიის დედაქალაქ დამასკოში. იქ არსებითად ჩვენი მიზანი იყო ომაიადების სალოცავისა და მისი მოზაიკების შესწავლა, რაც შევასრულეთ, მაგრამ შევხვდით იქ 1935 წლიდან მცხოვრებ ვაჟკაცს და მშვენიერ შესახედავ, წარმოსადეგ ქართველს ლევან საღარაძეს, რომელმაც სახლში დაგვპატიჟა, შეგვიტკბო და დიდი პატივი გვცა. მას სირიაში რაღაც სავაჭრო კომპანიები ჰქონდა, ერთი მათგანი იყო მიწიდან წყლის მოსანახი და წყლის საქაჩავი მოწყობილობათა კომპანია. ერთხელ წამიყვანა და მაჩვენა თავისი სამსახური, რომელიც ბინადრობდა დიდ, ახალ და გემოვნებით მოწყობილ შენობაში. ვიღაცეები მოადგნენ სალაპარაკოდ. ლევანმა მომაჩეჩა დიდი პარკი და მითხრა: წაიღე ეს პარკი ავტომობილში და მომიცადე, მალე მოვალო. პარკი სავსე და ამიტომაც ღია იყო. ჩავხედე შიგ და ვხედავ აუარებელ, დასტებად შეკრულ ას დოლარიანებს. როდესაც ლევანი დაბრუნდა ვკითხე:

- ვინ მოგცა ამდენი ფული? ან არ გეშინია ვინმემ მოგტაცოს?
- ნუთუ ისე გამოვიყურები, რომ ვინმე რამეს მომტაცებსო? ფული თავსაყარი მაქვს, მაგრამ ბედნიერება გვაკლია; ჩემი ახლად დაქორწინებული ქალიშვილის ქმარი ებრაელებმა მოკლეს და მას შემდეგ ჩემს ქალიშვილს და ჩემს ოჯახს თვალზე ცრემლი არ შეშრობია.

ლევანმა, მე და ირინე დაგვპატიჟა ერთ საუკეთესო ბაღ–რესტორნში საქეიფოდ, შევედით თუ არა, რამდენიმე მომსახურე და რესტორნის პატრონი დიდი პატივითა და მოკრძალებით მიეგება. ყვავილნარში დიდი სუფრა გაგვიშალა, მოაყვანინა არაბი მუსიკოსები და მომღერალი ,,ბარიშნა". შუა ღამემდის მართლაც ზღაპრული დრო გავატარეთ. ქეიფის დროს მოგვიყვა თავისი თავგადასავალი. სიჭაბუკეში უყვარდა ერთი გოგონა, იგივე გოგონა გატაცებით უყვარდა მასზე უმცროს ძმას. მამამ ლევანს უთხრა: შენ უფროსი ხარ და უმცროს ძმას უნდა დაუთმო ეს გოგონაო. შეწუხებულმა ლევანმა მამის

ბრძანება შეასრულა. ჯვრის წერის დროს იყო თავისი ძმის ხელის მომკიდე, მაგრამ მდგომარეობა ვერ აიტანა და სათათრეთში გადაიკარგა. ბოლოს დიდი განცდებისა და სიძნელეების გადატანის შემდეგ, დასახლდა სირიაში – „არავინ იცოდა სად ვიყავი, მაგრამ ორი წლის შემდეგ ვეწვიე ჩემს ოჯახს, ჩემი უმცროსი ძმა გარდაცვლილი იყო და ჩემი ძველი სატრფო განმარტოებული. ვიფიქრე ახლა მაინც ვითხოვ, მაგრამ ლაპარაკში გამოჩნდა, რომ ჩვენ სხვადასხვა გზით გვივლია და ერთმანეთს ვეღარ ვუგებდით. გავითიშეთ“.

მოგზაურობა ლიბანში

ლიბანიც ხომ სირიის მოსაზღვრეა და მდიდარია არქიტექტურული ძეგლებით. სამწუხაროდ დიდი დროის უქონლობის გამო მხოლოდ ნაჩქარევად მოვინახულეთ იქაური ძეგლები, იმედით, რომ შემდეგ უფრო მეტი ხნით ჩავიდოდით და დანაკლისს შევავსებდით.

ბეირუთში ორიოდე კარგი ნაცნობის გარდა, მოვინახულეთ უკრაინელი წარმოშობის ჯორჯ ჩალენკო, რომელიც სირიის ადრექრისტიანული ეკლესია-მონასტრებისა და სამოქალაქო შენობების ყველაზე უკეთესი მცოდნეა. ის თვითონ ბეირუთში ცხოვრობდა, იქ საფრანგეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელიც იყო და მრავალი წლის განმავლობაში სწავლობდა ამ ძეგლებს. თანაც ჩინებული მხაზველიც იყო და შეეძლო ძეგლების უფრო ინსტრუქციული გადმოცემა ვიდრე სხვებს. მე მაინტერესებდა ძველი სჯმეონის და ყალბ ლოუზეს მონასტრების შესახებ საკითხების გამორკვევა, რადგან ეს ორი თანადროული ძეგლი წმ. ბარლაამის მონასტრის აშენების თარიღისათვის სხვა ძეგლებზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. უფრო მეტიც: მათი ხუროები შეიძლება წმ. ბარლაამის ეკლესიაშიც საქმობდნენ.

ჩალენკომ უაღრესად გულთბილად მიგვიღო და სავახშმოდ დაგვპატიჟა San George-ის ოტელის რესტორანში (ახლა ისრაელის დაბომბვის გამო აღარ არსებობს), რომლის ღირსება საყოველთაოდ ცნობილია. ბეირუთიც მშვენიერი ქალაქი იყო, სუფთა და ლამაზი.

რესტორანში ჩალენკომ თავისი თავგადასავალი მოგვიყვა და სხვათა შორის მობოდიშებით გვითხრა, რომ სახლში ვერ დაგვპატიჟებდა, რადგან მისი ინგლისელი ცოლი სამშობლოშია დროებით წასულიო.

ნაწილი მეშვიდე

ისევ ამერიკა

სოლტ ლეიკში დაბრუნება

ხუთი კამპანიის მოთავების შემდეგ, რასაც მთლიანად შეეწირა ჩვენი ფული, გავასაჩუქრეთ ჩვენი უბრალო ავეჯი, რომლის დიდი ნაწილი ჩვენს მოსამსახურეს ვუბოძეთ და გუდანაბად-ჯალაბობით გამოვფრინდით სოლტ ლეიკ სიტიში, სადაც განვაგრძე ლექციების კითხვა.

სოლტ ლეიკ სიტიში რომ დავბრუნდით, საჭირო იყო ახალი ბინის დაქირავება: უნივერსიტეტიდან ხუთიოდ კილომეტრის მოშორებით ვიქირავეთ ორსართულიანი სახლი პატარა ეზოთი, რომლის მთელი სივრცე დაფარული იყო მშვენიერი მოლით, ხოლო მისი საზღვრები გამშვენებული გარეული ვარდის ბუჩქებით. ამით და იმის გამოც, რომ ეს სახლი დამრეც ფერდობზე მდებარეობდა, იგი მეტ ნაკლებად მოსაზღვრე შენობებისაგან იზოლირებული იყო. ბავშვები დადიოდნენ მახლობელ სკოლაში, სადაც მხიარული თამაში უფრო მიმზიდველი იყო ვიდრე აკადემიური საქმიანობა. ხანდახან, როდესაც ბავშვების სახლში წამოსაყვანად ამ სკოლაში მივიდოდი ხოლმე, საჭირო იყო ცდა, აი, ამ დროს ვაკვირდებოდი მათ მოქმედებას. ფიზიკური ვარჯიშის დროსაც კი ბავშვები (უფროსი კლასის ბავშვებიც) რაიმე სისტემით, მეთოდით და დისციპლინით კი არ ასრულებდნენ ამოცანას, არამედ ლაღად და თვითნებურად დახტოდნენ. ეს ამერიკის დემოკრატიული სისტემის ნაყოფია, რაც ევროპის დისციპლინითა და წვრთნით შეზღუდული მეთოდისაგან განსხვავდება.

ჩემს კოლეგებს ჩემი დაბრუნება დიახაც გაუხარდათ, მაგრამ დამახვედრეს მძიმე აკადემიური განრიგი, რის მიხედვითაც სამ საგანში უნდა მეკითხა ლექციები და ჩამეტარებინა სემინარი, რაც 12 საათს უდრის კვირაში. ამისათვის მომცეს ერთი დიდი დარბაზი ლექციებისათვის და ორი ოთახი პირადად ჩემთვის - ერთი ჩემი სამუშაო ოთახი, მეორე სლაიდების, ფოტოგრაფიების და ხუროთმოძღვრული მოდელების, აი, სწორედ აქ ვატარებდი სემინარებს. ჩემს განკარგულებაში იყო აგრეთვე ერთი ფოტოგრაფი, რომელიც საჭიროების დროს, ჩემი ლექციისათვის საჭირო სლაიდებს მიკეთებდა. დამინიშნეს აგრეთვე წლიური თანხა ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტის ბიბლიოთეკის გასამდიდრებლად. ჩემს გარდა, ამ ფაკულტეტზე მოღვაწეობდა ორი პროფესორი და ასისტენტების ჯგუფი, რომელთაგან ორი ასისტენტი მე მემსახურებოდა. ეს მდგომარეობა თითქოს მიმზიდველი იყო, მაგრამ მას ახლდა აგრეთვე უარყოფითი მხარეები, რომლის ჩამოთვლას მე აქ არ შევუდგები, ვიტყვი მხოლოდ, რომ ერთი მათგანი იყო მძიმე აკადემიური დატვირთვა, რაც ლექციების ღირსეულად მომზადებას აძნელებდა და თანაც ჩემი კერძო კვლევის და გათხრების პროცესში მოპოვებული მასალის დასამუშავებლად დროს არ მიტოვებდა. თანაც საჭირო იყო საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა, რაც მართალია არ მოითხოვდა განსაკუთრებულ აკადემიურ მომზადებას (რადგან არსებითად ეს იყო უნივერსიტეტის პრესტიჟის აკადემიური ფაფხური), მაგრამ დროს მაკარგვინებდა. ერთხელ შუა აღმოსავლეთის საკითხების შესახებ კონგრესის მოწყობა მომიხდა თვით მე და აზიზ ატიას, რომელიც სახელგანთქმული მოხუცი მკვლევარი იყო. აი, ამ კონგრესზე გვეწვია და მონაწილეობა მიიღო ირანის

საგარეო საქმეთა მინისტრმა არდაშირ ზაჰედიმ.

მიუხედავად დატვირთვისა, ვცდილობდი ჩემი მასალების დამუშავებას, რაშიც მეხმარებოდა ერთი ჩემი ასისტენტთაგანი რომელიც ანტიოქიაში ჩემთან მუშაობდა, ადრე გაკეთებულ წინასწარ ნახაზებსაც მასშტაბით ვადიდებდით და სუფთა ქაღალდზე (უკეთ ტილოზე) გადაგვქონდა.

აქ, ყოველ შტატს თავისი განსაკუთრებული ტრადიცია აქვს, რაც ძლიერდება მოდერნული რელიგიური რწმენით. იუტას შტატის მცხოვრებთა დიდი ნაწილი ადგილობრივი და ჩრდილო ევროპიდან (შვედეთი, ჰოლანდია და ინგლისიც კი) გადმოსახლებულთაგან შედგება და ე.წ. მორმონთა რელიგიის მიმდევრები არიან, რაც არსებითად ძველი და ახალი აღთქმის კონგლომერატია, ახალი ფანტაზიებით შეზავებული. მათი წინაპარია ვინმე შმიტი, რომელმაც ღმერთისაგან ოქროს ფირიფიტებზე დაწერილი მცნებები მიიღო (მოსეს მსგავსად). მორმონთა რიცხვის გასაზრდელად კი შემოიღეს მრავალცოლიანობა. თვით შმიტი თავის მოციქულებს ამ რელიგიის გასავრცელებლად აქეთ-იქით გზავნიდა, თვითონ კი მათ ცოლებთან სიამოვნებდა და ამით მორმონთა რიცხვს ზრდიდა. ახლა მთავრობამ მრავალცოლიანობა აკრძალა, მაგრამ არალეგალურად, აქა-იქ ამ მათრობელა მიმზიდველ ჩვევას მაინც მისდევენ. სხვათა შორის, მათ არა მხოლოდ მორმონთა მოქცევის თუ გამორმონების მეტად ინტენსიური მეთოდები, დადებითი მხარეებიც აქვთ: არიან უაღრესად შრომისმოყვარენი, დამხმარენი, ფიზიკურად სუფთანი, სანიმუშოდ წესიერ-პატიოსანნი და სანდომად მონაკვთულნი. მით უფრო, ჩრდილო ევროპიდან შემოხიზნულნი. ეს იყო დრო, როდესაც სახლის და ავტომობილის კარს არავინ კეტავდა რაგინდ ძვირფასი რამ ყოფილიყო შიგ. ახლა რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ, უმეტესად უცხოელთა (მექსიკელების?) შემოსევის გამო, ძველი ტრადიცია ირღვევა. ქურდობა, მკვლელობა, მოტყუება და სხვა საძრახი საქმიანობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. სოლტ ლეიკის მოსახლეობის შესახებ, მათთან ურთიერთობით, მრავალი დადებით და უფრო ნაკლებ უარყოფით ჩვევებს შევხვდი.

ერთხელ, წამლისათვის მივაკითხე ჩვენი უნივერსიტეტის მედიკალურ განყოფილების აფთიაქს. მის დირექტორს ვესაუბრე. როცა ვემშვიდობებოდი მითხრა – უკაცრავად, ცოტა რთული გვარი გაქვთ და საიდან ბრძანდებითო. ქართველი გახლავართ და თქვენც ქართული იერი გაქვთ-მეთქი... ეს იმიტომ ვუთხარი, რომ ცოტა ვიწრო და გრძელი ულვაშები ჰქონდა ქართულ ყაიდაზე შეკრეჭილი, ჩვენში ამისთანა ტიპს „ჟორჟიკა ბიჭს“ უხმობენ ხოლმე... იცინა და იხარა – გენაცვა, ამ ზამთარს თქვენ სამშობლოში ვიყავი სტუმრად სხვა ექიმებთან ერთად, ამისთანა პატივცემული, სათნოიანი, პურმარილიანი და მშვენიერი ხალხის მნახველი არა ვარო. საათზე მეტი მელაპარაკა, მერე სახლშიც დამპატიჟა. ერთს კი ვერ მიმხვდარიყო, ქართველი კაცები კაცებს კოცნიან და პირველად რომ მაკოცეს, გაოცებისაგან კინაღამ წავიქეციო... ბევრი ვიცინე იმიტომ, რომ აქ კაცის მიერ კაცის კოცნა პირდაპირ წარმოუდგენელია. ავუხსენი ყველაფერი, მანაც დასძინა – ეხლა კი ვიცი, მაგრამ მანამ ამას მივხდებოდი, მე ჩემი მემართებოდაო. ეს რა დიდებული ქეიფი და ცეკვა თამაში სცოდნიათ და მერე ტომატიო. ვერ მივხვდი რას ამბობდა, პამიდორს კი არა, თურმე ნუ იტყვით, თამადას გულისხმობდა, ამაზეც გულიანად ვიცინეთ.

მიუხედავად სიძნელეებისა მე და ჩემი ოჯახი მხიარულად ვცხოვრობდით. ხანდახან ვპატიჟებდი სტუდენტებს და ფაკულტეტის წევრებს. ჩემს

ბაღში მწვადებს ვწვავდი, კარგ ღვინოს ვსვამდით და ვმხიარულობდით. ჩვენს მეგობრებთან და კოლეგებთან ერთად დავდიოდით მშვენიერ მთებში, ზამთარში თხილამურებზე ვსრიალებდით და ასე გასინჯეთ, ფეხბურთის გუნდიც კი შევადგინეთ. მე ფეხბურთის „სპეცობას“ არა ვჩემულობ, მაგრამ თქმულა: „უძაღლო ქვეყანაში კატას აჩხავლებდნენო“. მით უმეტეს, რომ მაშინ ფეხბურთი ამერიკელებისათვის უცნობი ხილი იყო და თანაც ესპანეთის ლიტერატურის პროფესორი პოლიტო, რომელიც იძულებული იყო თავისი პოლიტიკური მრწამსის გამო არგენტინას გაყროდა და ჩვენი უნივერსიტეტისათვის შეეფარებინა თავი, ნამდვილი ფეხბურთელი იყო. შემოვიერთეთ ორი გერმანელი პროფესორიც, ირინე დავაყენეთ მეკარედ (ვაიმე დედაააა) და ჩვენი „თამაშით“ ამერიკელებს ვაკვირვებდით...

ჩვენთან სტუმრებიც ხშირად მოდიოდნენ. გვეწვია პროფესორი დევიდ ლანგი, რომელიც ერთი კვირა დარჩა. სხვათა შორის, ის ხშირად დადიოდა საქართველოში და მისი საშუალებით 1952 წელს დედაჩემმა, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, არ იცოდა ცოცხალი გადავრჩი თუ არა, პირველად დევიდის საშუალებით გაიგო რომ ცოცხალი ვიყავი. მაშინ დევიდს არ ვიცნობდი, მაგრამ ჩემს მიერ მადრიდში გამოქვეყნებული შრომების საშუალებით იცოდა თუ ვინ ვიყავი...

სამი კვირით გვესტუმრა აგრეთვე ანდრე გრაბარის უმცროსი ვაჟიშვილი, რომელსაც ამერიკაში ტურიზმის საქმის შესწავლა სურდა. ცოტა არ იყოს დოყლაპია იყო (მისი უფროსი ძმა ოლეგ გრაბარი კი ისლამის ხელოვნების ჩინებული მცოდნე, ჰარვარდშია), აქეთ-იქით იბოლთავა ვერაფერი შეისწავლა და ირინესთან დიდი ჩხუბიც მოუვიდა, რადგან გამუდმებით გერმანელების ლანძღვაში იყო. ირინემ ვერ მოითმინა (ფიცხია) და აჩვენა Где раки зимуют. სხვათა შორის, თვით ანდრე გრაბარიც ემტერებოდა და ლანძღავდა გერმანელებს, ალბათ იმიტომაც, რომ დაიხმანმა თავისი რეცენზიებით კუდით ქვა ასროლინა.

არც ჩვენ ვიკლებდით „სეირნობას“ და მგზავრობას... მე მქონდა რვაცილინდრიანი ძლიერი ავტომობილი. გადავწყვიტეთ ამით მექსიკაში წასვლა და იქაური ჯუნგლების ნახვა. დილაადრიან გავსწიეთ უდაბნოს სიცხე რომ აგვეცდინა. მივდიოდით 150 კილომეტრის სიჩქარით, რადგან უდაბნოს გზა თითქმის დაცარიელებული იყო. საღამოს 9 საათზე ჩავედით გუაიმასში, პატარა სოფელში, მშივრები, რადგან პირი კაქტუსის ხიჭვებით მქონდა სავსე. გზად ავტომობილი შევაჩერე და მოვინდომე კაქტუსის მიმზიდველი ნაყოფის გემოს გასინჯვა. თურმე მას უამრავი მიკროსკოპული ხიჭვი აქვს, რომელიც მომედო პირში და პირი გამისივა. ირინემ პინცეტისა და გამადიდებელი შუშის დახმარებით ეს ხიჭვები ამოიღო და მოვისვენე. მეორე დღეს ვიქირავეთ მოტორიანი ნავი, რომელმაც ტროპიკულ ჯუნგლებში წაგვიყვანა და ვიხილეთ მრავალი ეგზოტიკური მცენარე, ცხოველი და თევზი. პატარა ოტელში რომ დავბრუნდით, თუთიყუშებს დავუწყე თითით ნისკარტზე თამაში. თუთიყუშმა ნისკარტი გააღო, ჩემ თითს დააცხრა და ისე მოუჭირა, რომ კინაღამ ბღავილი დავიწყე. თანაც არ მიშვებდა, ვიდრე პატრონმა ნიგვზით არ მოხიბლა.

ჩვენს მენავეს დავუბრუნდეთ. უნდა ითქვას, რომ ეს საბრალო, ჩამოძენძილი, შუახნის კაცი, ბუნებრივი ნიჭით და დაკვირვების უნარით უხვად იყო დაჯილდოებული; საინტერესო ამბები მოგვითხრო არა მხოლოდ თევზების შესახებ, რომლებიც წყლიდან სამიოდ მეტრზე მაღლა ხტებიან, რათა ხეზე მიამიტად მსხდარი დიდი მწერები და ხვლიკ-სალამანდრები მოიტაცონ, არამედ

დიდი მტაცებელი ცხოველების ბუნებისა და ჩვევების შესახებაც გვიამბობდა, მაგალითად, ლეოპარდებზე, რომლებიც ვერ ვნახეთ, მაგრამ მხტომარე თევზები კი რამდენიმეჯერ ჩვენი თვალით დავინახეთ და გავოცდით მათი გონიერებისა და მოქნილობის გამო. ჩვენი მენავე, პოლიტიკურ აზროვნებაშიც უაღრესად გაწაფული იყო. ვკითხე რატომ იყო ასე დაძონძილი, თან დავამატე, რომ ჩვენ ამერიკიდან მექსიკაში აუარებელ ტანისამოსს და ფულს ვაგზავნით, შენ კი ეს არ გეტყობა-მეთქი. მომიგო: ეს ტანისამოსი და ფული ჩვენამდის არ აღწევს, მთავრობის მოხელეებისა და ძალმომრევი მემამულეების ხელში ვარდებაო. მართლაც, მექსიკაში შემდეგი მოგზაურობებიდან დავრწმუნდი, რომ მათი მუნიციპალური სამსახურის მოხელეები და მემამულე-ფაბრიკანტები საკუთარი კეთილდღეობის გარდა არაფერზე ფიქრობენ და უფრო რთული ხრიკებით, უწყალოდ ყვლეფენ მოსახლეობის დაბალ ფენებს (აი, სწორედ დღეს დოლით (10.09.1997 წ.), გაზეთში ამოვკითხე, რომ მექსიკის მთავრობას, მატყუარობისა და მყვლეფელობის გამო, იმდენად გაუტყდა სახელი, რომ მექსიკის მოსახლეობას მთავრობის ბანკებიდან მასობრივად გამოაქვთ შენახული ფული და კერძო ბანკებში შეაქვთ)...

მეორე დღეს, კარგად ვისადილეთ და შეგრილდა თუ არა სოლტ ლეიკ სიტისკენ გამოვსწიეთ. ეს მოგზაურობა, სიგრილის გამო, თუმცა ადვილი ასატანი იყო, მაგრამ ჩქარი სიარული ვერ შევძელით, წყვდიადში, გზაზე უთავბოლოდ მოსიარულე ოთხფეხა ცხოველების – განსაკუთრებით ძროხებისა და ჯიუტი ვირების გამო. მეტი გზა არ იყო, ვიშოვე გრძელი ჯოხი, ცალი ხელით ავტომობილს ვმართავდი და მეორე ხელში ჯოხით კი ამ ცხოველებს გზიდან ვერეკებოდი. ამგვარი მენახირეობით, მეორე დილას ჩამოვედით სოლტ ლეიკ სიტიში.

თინას სტუმრობა

ერთ დღეს, ჩემმა დამ - თინამ მაცნობა, რომ ჩვენს სანახავად მოემგზავრება. რადგან მას ბილეთი მხოლოდ ნიუ-იორკამდის ჰქონდა, საჭირო გახდა იქ ჩასვლა და სოლტ ლეიკ სიტიში ჩამოყვანა, რაც მე ჩინებულად (ქართული კუდაბზიკობით) შევასრულე აქეთ-იქით პირველი კლასის ბილეთის ყიდვით, რამაც წელში გამღუნა ჩემი მცირე ჯამაგირის გამო; მას შემდეგ, პირველი კლასით აღარ მიმგზავრია.

თინა ნიუ–იორკში გვიან საღამოს ჩამოფრინდა. ჩვენი შეხვედრა იმდენად ემოციური იყო, რომ მგზავრები ჩერდებოდნენ და გაკვირვებული გვიყურებდნენ (ხან ვტიროდით, ხან ვიცინოდით, ლაპარაკს კი ვერ ვახერხებდით). სასტუმროში ის ღამე საუბარში გავატარეთ. დილით მანქანით მოგვაკითხა სანდრო ბარათელმა და ნიუ–იორკი დაგვათვალიერებინა. მესამე დღეს გავფრინდით სოლტ ლეიკ სიტიში. აეროდრომზე დაგვხვდნენ ირინე და ბავშვები. დიდი სიხარულით, ჟივილ–ხივილით მოგვეგებნენ. მანქანაში თინას სიურპრიზი ელოდა: ირინემ, ეთერიმ და მიხომ უმღერეს „ჭრელო პეპელა“, რომელიც რის ვაი–ვაგლახით, სამი თვის მანძილზე შევასწავლე. არც ჩემი და ჩამორჩა, სახლში გადმოალაგა საქართველოდან ჩამოტანილი საჩუქრები. გაგვაკვირვა ჭრელმა, ხევსურული ორნამენტით გაწყობილმა ხურჯინმა, რომლის ერთ თვალში ღვინით სავსე ტიკი იდო, მეორეში ქართული მიწის ნობათი. თინას სტუმრობის დროს ჩამოგვივიდა ამანათი, რომელიც რამდენიმე თვის წინ გამოეგზავნა თბილისიდან. უაღრესად გამახარა ნაბადმა და ყაბალახმა. ვახშმის შემდეგ, შემოვიხვიე ყაბალახი, გავეხვიე

ნაბადში და ეზოს კუთხეში თავი მოგონებებს მივეცი.

თინა იყო პირველი, რომელიც კომუნისტებმა უცხოობაში მცხოვრები, ტყვედყოფილი ნათესავის მოსანახულებლად გამოუშვეს. იმ დღეებში, ჩვენთან მომსვლელი ყოველი ქართველი ითხოვდა, დაწვრილებით მოეთხრო საქართველოზე, თბილისზე, საერთო ნაცნობ–მეგობრებსა თუ ნათესავებზე; რა შეიცვალა და რა კეთდება, რა ხდება სამშობლოში და რა მოხდება.

თინასთან შესახვედრად მოსულ ემიგრანტებს შორის ზოგი მისი კოლეგა იყო, რომელთაც ის თბილისიდან იცნობდა: გედე ასათიანი, დათა ჩხატარაშვილი, გივი გაბლიანი, მირიან გალაშვილი. ერთ დღეს დათა მოგველაპარაკა, რომ განთავისუფლდებოდა ორი–სამი კვირით, ჩვენთან სტუმრად ჩამოვიდოდა, ხოლო შემდეგ ერთად გვემოგზაურა. ასეც მოიქცა; გვესტუმრა მეუღლით, ქეთი ალშიბაიათი და სამი შვილით. სამი დღე ჩვენთან დარჩნენ. გავემგზავრეთ კალიფორნიისაკენ. გავიარეთ მირიან გალაშვილთან, რომელიც სანტა–როზაში მოტელს ფლობდა. ორიოდ დღე მასთან ერთად ვიმოგზაურეთ. დავათვალიერეთ ლას-ვეგასი, თუმცა კაზინოში ვერაფერი მოვიგეთ. განვაგრძეთ გზა კალიფორნიისაკენ. თინა განაცვიფრა „გრანდ–კანიონის“ მონახულებამ, მისმა მასშტაბმა. რამდენიმე დღე დავყავით ლოს–ანჯელესში. თინამ, ბავშვებთან ერთად, ჰოლივუდისა და დისნეილენდის ნახვით დიდად ისიამოვნა.

ჩემი დის სტუმრობისას მოვინახულეთ ბოცო კორიშელი და გიორგი პაპაშვილი, რომელიც იმხანად ბოცოს მახლობლად ცხოვრობდა. პირველ მსოფლიო ომში, ჯავშნიანი ავტომობილის შოფრად მონაწილეობდა და ერთ მშვენიერ დღეს თავისი ჯავშნოსანით, გერმანელების ტყვეობაში მოხვდა. გოგი, მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში წერა-კითხვის უცოდინარი იყო, რის გამოც ხშირად კანონებს არღვევდა და არაჩვეულებრივ გარემოცვაში ხვდებოდა. ამის შესახებ სასაცილო ამბებს გვიყვებოდა არა მხოლოდ ჩვენ, არამედ თავის ამერიკელ ცოლსაც, რომელმაც გოგის მოთხრობები, წიგნად დაბეჭდა. წიგნმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა და კინო ფილმადაც გადაიღეს, რამაც გოგის დიდძალი ფული შესძინა. ამ ფულით მან იყიდა დიდი მიწა ტყითა და ტბებით, რომელიც უანდერძა მთავრობას, პირობით, რომ ამ მამულში მყოფი ცხოველები, დაცული იქნებიან და არც მოვლა-პატრონობა მოაკლდებათ. გიორგის რაც წერა-კითხვაში აკლდა, ემატებოდა თხრობაში; მაგისთანა კარგი მთხრობელი და ტკბილმოუბარი, მართლაც არ შემხვედრია. მისი სმენით კაცი არ დაიღლებოდა. მისმა თხრობამ და თხრობის იერმა გამახსენა (და უკეთ გამაგებინა) ბერძნების აზრი წერა - კითხვის შესახებ. მეექვსე საუკუნეში ქრისტემდე, ბერძნები წინ აღუდგენ წერა-კითხვის შემოღებას, რადგან მათი აზრით, წერას დოგმატიზმამდის მიჰყავს ადამიანი, იგი გზას უკეტავს აზროვნებას, ადამიანის ფანტაზიას და შემოქმედებას. ნაწერი ყოველთვის უცვლელად რჩება, ხოლო ზეპირსიტყვაობა შემოქმედებას ამდიდრებს. ნათქვამს შეიძლება რაიმე მიუმატო, გაამდიდრო, გამოაკლო ან არსებული გონის დონეს შეუფარდო, შეცვალო. ალბათ ამიტომ არის, რომ კლასიკური ხანის ბერძნებს არ ჰქონდათ რელიგია, რელიგია იმ სახით, როგორც ქრისტიანებს ბიბლია. ქრისტიანების (გინდა მაჰმადიანების და ებრაელების) რელიგია გახევებული და უცვლელია, არ შეიძლება მისი შეცვლა. ან უნდა იწამო როგორც დოგმა, ან უკუაგდო. ბერძნების ე.წ. რელიგია კი არის მითოლოგია, ზეპირსიტყვაობით გადმოცემული მონათხრობი კოსმოსის შექმნის, ღმერთების შესახებ და მრავალი სხვა, რაც დრო და დრო იცვლება შინაარსის შემოკლებით ან გამდიდრებით, სხვადასხვა შეფერადებით,

ნაირნაირი ელემენტების მიმატებით. ზეპირსიტყვაობა იმ ხანაში აუმჯობესებდა აზროვნებას. ჩვენს ხანაში, ტექნოლოგიურმა ხელსაწყოებმა ჩაკლეს ადამიანის აზროვნება. ასე თუ ისე, ყველა რელიგია ადამიანების მონაგონია და ღვთიურ აბსოლუტურ სიმართლეს არ წარმოადგენენ. დავუბრუნდეთ გიორგის!

გიორგი გაიწაფა აგრეთვე ზღვიდან ამოთრეული სერპენტინის ლოდების ქანდაკებაში. ყოველი ქვის ფორმა რაღაც ცხოველ-ფრინველის გამოსახულებას აგონებდა. მას უკორტნიდა თვალებს, ნისკარტს ან ტანის ანატომიის რომელიმე მთავარ ნაწილს (ესეც ისეთივე ფანტაზიის ნაყოფია, როგორც მისი თხრობა). დანარჩენ სხეულს აპრიალებდა და ამ სკულპტურებს ამერიკის დიდ მუზეუმებშიც კარგ ფასად ყიდდა. ეს ხელობა მან ბოცოს უანდერძა, რომელმაც სკულპტურის აკადემიაც კი დააფუძნა. ბოცო გამრჯე მუშაკია. ყავს ათიოდე შეგირდი და ამასთანავე კოლეჯში ლექციებს კითხულობს, დირიჟორობს კამერულ ორკესტრს და ჰყავს კერძო სტუდენტები ფორტეპიანოს კლასში.

კალიფორნიაში გადასახლება და კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიწვევა

უნივერსიტეტში ყოფნის დროს, მომდიოდა მოწვევები სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. ერთი მათგანი იყო კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარული მეცნიერებების სკოლის დეკანი მპირდებოდა კარგ ჯამაგირს და ხელოვნების ისტორიის განყოფილების კათედრის გამგეობას. ეს მოპატიჟება, მართლაც სასურველი იყო, რადგან ირინე მცივანაა, თანაც ზამთარში, სიცივისაგან სახსრები სტკიოდა, კალიფორნია კი თბილი ჰავის მქონეა. ბევრი არ გვიფიქრია; ავიკრიფეთ გუდა ნაბადი და გავსწიეთ კალიფორნიისაკენ; ვიქირავეთ ერთი მშვენიერი სახლი ვილშერის გამზირის პარალელურ ქუჩაზე, საუკეთესო ადგილზე და დავიწყე ჩემი მოღვაწეობა უნივერსიტეტში. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად მოაზროვნეთათვის, ჩემი საგნები მიმზიდველი არ უნდა ყოფილიყო, მაინც ბევრი სტუდენტი მყავდა და საერთოდაც, ჩემი საქმეები დამაკმაყოფილებლად წარიმართა, გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც ლექციის პროცესში ნახევრად ხუმრობით განვაცხადე, რომ ,,ზოგჯერ მტაცებელი ცხოველები ადამიანებს ჯობია". ამის გამო, ერთმა სტუდენტმა დეკანთან მიჩივლა, მერე უნივერსიტეტის აკადემიური განყოფილების პრეზიდენტის თანაშემწესთან, რომელმაც თავის კაბინეტში გამომიძახა; ვეახელი, ვიცე-პრეზიდენტი მეკითხება:

- ლექციაზე თქვი, რომ ზოგჯერ მხეცი ადამიანს ჯობია?

- დიახ ბატონო, დაუბრკოლებლად მივუგე. ის ალბათ მოელოდა, რომ მე თავის გამართლებას დავიწყებდი, რის გამოც ცოტა შეკრთა, ერთ ხანს თავი დაღუნა, დაფიქრდა და მერე ჩუმად მითხრა:

- მეც ასე მგონია, მაგრამ არავის გაუმხილოო.

უნივერსიტეტში მქონდა საკუთარი ოთახი ტელეფონით და ასისტენტიც მყავდა – 22 წლის მშვენიერი ბერძენი გოგონა. გარდა ლექციებისა და სემინარებისა, რაც კვირაში ცხრა საათს აღემატებოდა, ჩემს მოვალეობაში შედიოდა სტუდენტების რჩევა-დარიგება, რამაც შემაძლებინა ამერიკელთა ცხოვრების არსში უფრო ღრმად ჩახედვა. ვაჟებზე უფრო ხშირად, ქმართან გაყრილი გოგონები საჭიროებდნენ რჩევას. მათი მდგომარეობა და სიძნელეები არსებითად ერთი და იგივე იყო. ახურებული გოგო-ბიჭები ვერ ითმენენ,

უღლდებიან, გოგო სწავლას უგულებელჰყოფს ან აკადემიურად ნახევრად იტვირთება, რათა სადღაც მუშაობით ქმრის მაღალფასიან სწავლებას (მედიცინა, ფარმაკოლოგია, იურისპრუდენცია) ფინანსურად დაეხმაროს. ამ პროცესში, ქმარი, აკადემიურ და სოციალურ კიბეზე ზევით ზევით მიფოფხავს, ეს უბედური ცოლი კი მუშაობით ტყავს იძრობს და არსებითად იმავე საფეხურზეა გაყინული. ამგვარი ცოლქმრობის შედეგად სოციალურად ზევით ასული ქმარი, უნდილად უყურებს თავის ჩამომჭკნარ ცოლს და ლამაზ ,,ბარიშნაზე" გადაინაცვლებს, გულგატეხილი ცოლი კი ნიანგის ცრემლებს ღვრის. ამ მდგომარეობაში მყოფთათვის, მე შემეძლო უნივერსიტეტში, ბიბლიოთეკაში ან ადმინისტრაციაში, კარგჯამაგირიანი, ნახევარ დღიანი სამსახურის შოვნა, რათა მათ შესძლებოდათ სწავლის ენერგიულად გაგრძელება და ფეხზე წამოდგომა. ვუყვებოდი ერთ მორალურ ანეკდოტს: „ერთხელ ველზე კატა წააწყდა სასომიხდილ, დაობლებულ ლომის ბოკვერს. კატას შეეცოდა ეს ლომის ლეკვი, წაიყვანა სახლში მოუარა, გამოაჯანსაღა და ასწავლა ნადირობა. ერთ დღეს, ლომის ლეკვი ნადირობიდან ხელცარიელი დაბრუნდა. მშიერი იყურება აქეთ-იქით და ხედავს თავის დედობილ კატას, მოისურვა მისი გადასანსვლა და მიახტა დასაჭერად, მაგრამ კატამ ხეზე აირბინა. უყურებს ხახამშრალი ლომი კატას და ეუბნება: დედობილო, შენ მრავალი რამ მასწავლე ნადირობისათვის გამოსადეგი, მაგრამ ხეზე აცოცება რატომ არ მასწავლეო, კატამ მიუგო: ეს მე ჩემთვის შევინახეო." ამ საბრალო ნაცოლარებსაც უნდა ჰქონდეთ „საიდუმლო იარაღი", რაც არის ცოდნა. თუ ქმარი გაექცევა, ისინი შესძლებენ კარგი, შემოსავლიანი სამსახურის შოვნას და განდგომილ ქმარსაც დიდი ტკივილების გარეშე „გამოიტირებენ"... ხელოვნების ისტორიისა და არქეოლოგიური დარგების ასაღორძინებლად, დავაფუძნე „ხელოვნების ისტორიის მეგობრების სემინარი", სადაც ჩვენი „გრადუატ" სტუდენტები და პროფესორები მოხსენებებს კითხულობდნენ. სემინარის ოთახში შევკრიბე აგრეთვე გვარიანი ბიბლიოთეკა, სადაც სტუდენტებს შეეძლოთ დაუბრკოლებლად მუშაობა. სემინარში მონაწილეობდნენ აგრეთვე ახლო-მახლო მცხოვრები მოქალაქეები. ერთხელ, ვაიცმანმა მაცნობა, რომ პრინსტონის უნივერსიტეტში მიწვეული იყო ერთი იაპონელი მეცნიერი, რომელიც ჩინური აბრეშუმისა და ბიზანტიაში მისი იმპორტის კომერციული საქარავნო გზების ქსელის საკითხებზე მუშაობდა. მოვიწვიე ლექციის წასაკითხად ეს იაპონელი – მით უფრო, რომ ამ აბრეშუმით დასავლეთში შემოდიოდა ცხოველთა გამოსახულებები, რაც მე მაინტერესებდა. იაპონელმა ლექცია წაგვიკითხა, რის შემდეგ დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ერთმა ხანში შესულმა ,,მატრონამ" იაპონელს მიმართა: „ძალიან საინტერესო იყო თქვენი ლექცია და სლაიდები ფანტასტიური ცხოველების გამოსახულებით, მაგრამ ბედნიერი ვიქნებით თუ შემდეგ თქვენს ლექციას ინგლისურ ენაზე წაიკითხავთო". იაპონელი გაშრა, რადგან მან თავისი ლექცია არა იაპონურ ენაზე, არამედ ინგლისურ ენაზე ჩაატარა, მაგრამ ისეთი მძიმე იაპონური გამოთქმით, რომ ამ მატრონას და ორიოდ სხვასაც ეგონა, რომ ეს სწავლული იაპონურ ენაზე ლაპარაკობდა... მე წარმატებით ვიღწოდი ჩვენი ბიბლიოთეკის გასამდიდრებლად: ყოველ დეპარტამენტს, წლიურ ბიუჯეტში ეძლეოდა განსაკუთრებული თანხა ლიტერატურის შესაძენად. ბიბლიოთეკარებთან მეგობრული ურთიერთობის გამო, შემეძლო არა მხოლოდ ჩვენი დეპარტამენტისათვის, არამედ სხვა დეპარტამენტებისათვის განკუთვნილი თანხის გამოყენებაც, რადგან ზოგ ფაკულტეტს თავისი ბიბლიოთეკის გამდიდრება არ იზიდავდა და მათთვის

განკუთვნილ „წიგნების ფულს“ მთლიანად არ ხარჯავდა. სამწუხაროდ, ჩემი აქტიური, ხალისიანი მოღვაწეობა რამდენიმე წლის შემდეგ შენელდა, რადგან ის არ ესატყვისებოდა არსებულ ადმინისტრაციულ – ინტელექტუალურ ატმოსფეროს. გადაჭარბებული ზრუნვა და მოღვაწეობა, არა მხოლოდ ჩვენს უნივერსიტეტში, არამედ ყველა „სახელმწიფო უწყებაში“ არ ნაზღაურდება, არც მონეტალურად და არც მადლობით... პირიქით...

აქ დიდი სამანქანო გზები (თითო მხარეს ოთხი ხაზი) პიკის საათებში ავტომობილებით არის გაჭედილი, რაც იწვევს დაბრკოლებებს, ნელა სვლას ან ცდას. ამაში ამაოდ იკარგება აუარებელი დრო და ადამიანი ზარალდება ღელვის გამო, ამიტომ ადრე ვდგებოდი, დიდი სიჩქარის გამო დროს ვზოგავდი, ავტომობილს ვაჩერებდი უნივერსიტეტიდან მოშორებით და ჩემ დეპარტამენტამდის თავისუფალი ვარჯიშით, სირბილ-ჩანჩალით და კუნთების დაჭიმვით მივდიოდი, ცოტაოდენ ტენისს ვთამაშობდი, ლექციას ვამზადებდი, ვკითხულობდი და ასევე ადრე ვბრუნდებოდი სახლში. მრავალი წლის განმავლობაში ამ მეთოდით ცხოვრებამ ჯანმრთელობა შემინარჩუნა, მით უმეტეს, რომ პაპიროსის წევასაც თავი დავანებე (მართლაც საინტერესო და ტიპურია, რომ განებივრებული და ,,შთაგონებული” ამერიკელები აუარებელ წამლებს იღებენ, ექიმებთან დარბიან იმისათვის, რომ თამბაქოს წევისათვის თავის დანებება შესძლონ. ეს იმიტომ ხდება, რომ ჟურნალ-გაზეთებისა და ტელევიზიის საშუალებით, ექიმები და ფარმაკოლოგები, ცხვრის ჯოგივით გამოყეყეჩებულ მოსახლეობას არწმუნებენ, რომ თამბაქოს წევის თავის დანებება მხოლოდ მათი საშუალებითაა შესაძლებელი. მე, ამ მიზანს მივაღწიე მტკიცე ხასიათითა და ფილტვებში ჟანგბადის ჩაშვებით).

ვაშინგტონის შტატის სიეტლის უნივერსიტეტში მიწვევა

ხანდახან სხვადასხვა უნივერსიტეტში მპატიჟებდნენ ერთი აკადემიური წლით, მათ შორის იყო ვაშინგტონის შტატის სიეტლის უნივერსიტეტი. მათ მიმზიდველ კონტრაქტზე დავთანხმდი, მით უმეტეს, რომ ეს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი მხარე ნანახი არ გვქონდა. ერთი წლით მოგვცეს ერთ-ერთი ფაკულტეტის სხვა უნივერსიტეტში გადასული წევრის სახლი ყოველგვარი მოწყობილობით. ამიტომ წასაღები არაფერი გვქონდა: ჩავსხედით მანქანაში და გავსწიეთ, თან ადგილობრივ თვალსაჩინო ძეგლებსა და ადგილებს ვათვალიერებდით, რადგან საჩქარო არაფერი იყო. სიეტლისაკენ მივიწევდით ცოდნის გამდიდრებით მოწყურებულნი და მოვალეობებიდან განთავისუფლებულნი, ვიდრე კოკისპირულმა წვიმამ სიეტლის მახლობლად ორი დღით არ შეგვაჩერა.

სიეტლი მშვენიერი ქალაქია, ჩამოუდის სუფთა მდინარეები, დასავლეთით მრავალი კუნძული ერტყმის, სადაც ქალაქელები ზაფხულს ატარებენ. რადგან ზღვა მდორეა, ზოგან მხოლოდ პატარა ნავებით მიისვლება. ამიტომ ამ კუნძულებზე არც ავტომობილები, არც დიდი ბრახუნა მანქანებია და არც ქუჩებია მოკირწყლული, რის გამოც იქ ცხოვრება მშვიდი, იდეალური და პატრიარქალურია. სახლები წიწვიან და ფოთლოვან ტყეებშია დამალული. მსურველს შეუძლია ჰყავდეს საქონელი, ქათმები, თევზი თავსაყარია, ტყეები სავსეა სოკოებითა და მოცვის ბუჩქებით. ხშირად დავდიოდით ქალაქის ახლო-მახლო ტყეებში, ვკრეფდით სოკოს (ნიყვი?!) და გემრიელ მოცვს. ამ პერიოდში

ირინემ გაიკეთა დაღრეჯილი ფეხის თითების ოპერაცია. ირინეს ოპერაცია გაუკეთა უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე მოღვაწე, ამერიკაში საყოველთაოდ განთქმულმა ქირურგმა, მას შემდეგ რაც მას დავუახლოვდით. ირინეს ძვლების შეხორცებას თვეები დასჭირდა, რის გამოც ვიქირავეთ პატარა „კალიასკა“, ჩავსვით შიგ ირინე, რომელიც მოხარული იყო რომ ლოგინში წოლის მაგიერ შეეძლო თავისუფლად თუ იოლად მოძრაობა. ასე გასინჯეთ, ამ ეტლით ტყეში პატარა მთებზედაც კი მიგვყავდა, რითაც ჩვენ ყველანი ვხარობდით. ერთხელ, მთიდან დაგვიგორდა კიდეც. ბუჩქებს და ჩვენ სწრაფ მოქმედებას რომ არ შეეჩერებინა, ქვემოთ მდინარეში ამოჰყოფდა თავს. ირინეს მდგომარეობა ოხუნჯობის საგნად იქცა...

ხელოვნების ისტორიკოსების გარდა, ჩვენ დავუახლოვდით იურისპუ-დენციის ფაკულტეტის წევრებს, რომელთაც ეკონომიკის ფაკულტეტის ჯგუ-ფთან თანადგომით, შეიძინეს მამული, დარგეს ვაზი და წურავდენ საუკეთესო ღვინოს, სწორედ იმ ცივ ადგილზე, სადაც „სპეციალისტთა“ რწმუნებით ვაზის გახარება შეუძლებელი იყო...

ჩემი კონტრაქტის დამთავრებისთანავე, ხელოვნების ისტორიის ფაკუ-ლტეტის უფროსმა წინადადება მომცა მის ფაკულტეტზე დავრჩენილიყავი. ეს წინადადება მე და ირინემ ავწონ-დავწონეთ და უკუვაგდეთ, რადგან კონტრაქტი ფინანსურად დიდად მიმზიდველი არ იყო და უფრო იმიტომ, რომ სიეტლში წამდაუწუმ წვიმს. თუმცა, ეს წვიმები უმეტესად ხანმოკლეა, ირინეს ართრიტისათვის მაინც მავნეა. ფაკულტეტმა მოგვიწყო გამოსამშვიდობებელი „ფართი“ ანუ წვეულება, რის შემდეგაც დავბრუნდით კალიფორნიაში ჩემს ძველ ფაკულტეტზე.

ლოს-ანჯელესში დაბრუნება და ტაო-კლარჯეთ-შავშეთში არსებული ქართველთა ეკლესია-მონასტრების შესწავლის განახლება

ლოს ანჯელესში დაბრუნებისთანავე, განვაახლე ტაო-კლარჯეთის ქართველთა საშუალო საუკუნეების ეკლესია-მონასტრების შესწავლის საქმე. ზევით უკვე ვთქვი, თუმცა მოკლედ, რომ 1965 წლამდის, რუსეთის სამხედრო ძალით დაშინებული თურქები, საგანგებო კანონის ძალით, კავკასიის ქვეყნებთან საზღვრის გასწვრივ ასი კილომეტრის სიღრმეზე, არა მხოლოდ უცხოელებს, თვით თურქებსაც კი არ უშვებდნენ. ისე რომ, ეს მხარე, მთელი მსო-ფლიოსაგან განმხოლოებული იყო. ამას ემატებოდა რუსების მიერ თურქეთში გადმოთესლილი ჯაშუშების სიმრავლე. რუსეთ–თურქეთს შორის დადებული შეთამხმების გამო, საქართველო–თურქეთის მტკიცედ გამაგრებულ, ძაღლებითა და მოთვალთვალე „პაგრანიჩნიკებით“ დაცულ საზღვარზე გადასვლა ძალიან ძნელი იყო, ბევრი თავისუფლებას მოწყურებული ვერ აღწევდა მიზანს, თურქები თუ შეიპყრობდნენ არალეგალურად თურქეთში გადმოსულებს, მათ მაშინვე რუსებს უბრუნებდნენ, რუსები კი ამ „ხალხის მტრებს“ ან მოაშთობდნენ ან გზავნიდნენ ციმბირში, საიდანაც ბევრი უკან ვეღარ ბრუნდებოდა. ამ დაძაბულ, ფსიქოზურ გარემოცვაში, ტაო–კლარჯეთში შესვლა 1965 წლის შემდეგაც სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ძველი ადმინისტრაციული სიფხიზლე, უცხოელების შევიწროება და თვალთვალი, სოფლებში დასადგურებული ჯარის ნაწილებისა და საიდუმლო პოლიციის მიერ, ინერციულად გრძელდებოდა.

ამის მსხვერპლი შეიქმნა პროფ. ტიერი, რომელიც სამი დღით დილეგში ჩააყუდეს. აი, ამიტომაც, ტაო-კლარჯეთში შესვლა დავიწყე თანდათანობითი სიფრთხილით ტრაპიზონიდან, არდაბენიდან და ბოლოს ართვინიდან. იმ არეს მოსახლეობასთან და ადმინისტრაციასთან შეგუების მიზნით („სიფრთხილეს თავი არ სტკივა“), ჩემ შვილთან - მიხოსთან ერთად ვესტუმრე ტრაპიზონს, სადაც დავათვალიერე „პანაგია ხრიზოკეფალუს“-ის („ოქროსთავიანი ქალწულის“ ე.ი. ღმრთისმშობლის) ეკლესიის ნაშთები. ეკლესიაში შესვლა შეიძლება ორსვეტიანი პორტიკიდან, რომელიც თურქებმა ეკლესიას მიაშენეს, როცა იგი ჯამედ აქციეს (Gamii). ეკლესია ჯვრის ფორმისაა, სადაც დასავლეთ მკლავი სამნავიანია, მისი ნავი მთავრდება აფსიდით. ნავის ორივე მხარეს გალერეებია და ჯვრის გადაჭრის ზემოთ გუმბათი, რომელიც ყელზეა აშენებული. ისევე, როგორც საქართველოს (და ბიზანტიის) ეკლესიებში, გუმბათის ყელის ფუძეს შემოვლებული აქვს წრიული ვიწრო გალერეა. ეკლესიას დასავლეთით აქვს ნართექსი და მგონია, რომ ნავის გალერეებზე ასვლა თავდაპირველად ხის კიბით შეიძლებოდა. ახლა ეს კიბეები აღარ არის, რადგან მის ადგილზე მიჰრაბია ჩაშენებული. თავდაპირველად, გუმბათი გადახურული იყო მოოქროვებული სპილენძით (აქედან-ხრიზოკეფალოს). საინტერესოა მეორე – ესეც ჯამედ გადაკეთებული („იენიჯუმა ჯამიი“) გუმბათოვანი ეკლესიაა, რომელიც მეცამეტე საუკუნეში წმ. ევგენის სახელზეა აშენებული. ეს ეკლესია თავდაპირველად ბაზილიკური ტიპის უნდა ყოფილიყო და გუმბათი შემდეგ 1340 წ. (?) დაუდგამთ. წმ. ევგენიოსი ტრაპიზონის პატრონი იყო. საინტერესოა ტრაპიზონის ჩრდილო სანახებში მდებარე სუმლას მონასტერიც, რომლის კედლებიც გვიანდელი მოხატულია და შესრულებულია იმავე მხატვრის მიერ, რომელმაც მოხატა მამაწმინდის ეკლესიის კედლები. ტრაპიზონის ჩრდილო-დასავლეთ პერიფერიაში შემთხვევით ვიპოვე ერთი სავსებით დანგრეული ეკლესიის კედლის ნაწილი. ადგილობრივ მცხოვრებს გავათხრევინე იმ არემარის ნაწილი, რამაც გამოაჩინა მშვენივრად შესრულებული კედლის მხატვრობა, ალბათ მეთერთმეტე საუკუნისა. მხატვრობა, რომელიც წარმოადგენდა „დეესის“-ს ანუ ვედრებას, კარგად იყო შენახული, გადავიღე მხოლოდ მისი სურათი და მანამ მთავრობის უწყებას ამბავს მიუტანდნენ იქაურობას საჩქაროდ გავეცალე.

მივაკვლიე კიდევ ერთ ნახევრად დანგრეულ გუმბათოვან ეკლესიას, რომელიც თათრების მიერ საცხოვრებლად იყო გამოყენებული. გადავიღე მისი სურათები და აგრეთვე იატაკის გვარიანად შენახული მოზაიკა.

ტრაპიზონის დასავლეთით სამიოდ კილომეტრზე, ახჩააბადში კარგად შენახული ჰაგია სოფიას გუმბათოვანი ეკლესიაა. მის გარეთა კედლებზე თემატურად საინტერესო სკულპტურებია, შიგ კი მთელი ეკლესია მოხატული იყო, რომლის დიდი ნაწილი კარგ მდგომარეობაში შემორჩა. გადავიღე თითქმის ყველა კედლის მხატვრობა. იმ ეკლესიის აღდგენაზე მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ერთი ინგლისელი - დავიდ ვინფილდი და მისი საყვარელი. მათი შედეგები გამოქვეყნებულია .

ტრაპიზონი იმიტომაც მიზიდავდა, რომ რუსებისაგან დევნილი იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ მეორე ამ ქალაქში გადმოიხვეწა და 1810 წელს იქვე დალია განაწამები სული. მისი საფლავის მიკვლევა მსურდა, მაგრამ ამის თაობაზე აქ საუბარს არ გავაბამ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ცხონებული მეფე სოლომონის დროს, ტრაპიზონში ჯერ კიდევ იყვნენ მრავალრიცხოვანი, უმეტესად ვაჭარი ბერძნები და 1461 წლამდე იმპერატორებად აღიარებული თუ

სახელდებული კომნენების საქართველოს სამეფო კართან ნათესაური კავშირი, ეგებ, ასევ მიმზიდველი ჩანდა ჩვენი მეფისათვის? ჯერ კიდევ არ დაეკარგა თავისი კომერციული მნიშვნელობა სპარსეთის შავ ზღვასთან დამაკავშირებელ სავაჭრო გზასაც (ტრაპიზონი ბერძნების მიერ იყო დაკავებული. მითრიდატე ევპატორი პონტოს მეფეს კარგა ხანი ებრძოდა ამ მხარის კონტროლისათვის).

აქ ორიოდე ეპიზოდი იმის ცხადსაყოფად, რომ დღეს საქართველოსა და თურქეთს შორის საზღვრის გადალახვა, არც თუ ისე ძნელი ყოფილა, რადგან ბორჩხაში, ბაზრობის დროს მითხრეს, რომ საზღვრის გასწვრივ მდებარე საქართველოს სოფლების მაცხოვრებლებთან ახლო კავშირი აქვთ და კვერცხის სასესხებლადაც კი გადად-გადმოდიან. აგრეთვე ართვინში -„ოტელში“- ერთმა ქართულად ჩინებულად მეტყველმა იმერხეველმა მომითხრო, რომ ხარების ჯოგები საქართველოდან თურქეთში და პირუკუ - თურქეთიდან საქართველოში გადად-გადმოდიან. ამიტომ მოსკოვიდან ჩამოდის კომისია მეჯოგეების თანხლებით და იმართება ბჭობა ცხოველების დაბრუნების საშუალებების შესახებ. ეს მოლაპარეკებები თურმე თვეების განმავლობაში გრძელდება, რადგ-ან რუსების კომისიის წევრებმა თურქთა ყოველი წინადადება თუ პირობა, მოსკოვში უნდა გაგზავნოს დასამტკიცებლად ან უარსაყოფად. ამ მიმოწერას სჭირდება დრო, რადგან რუსების კომისიის წევრებს არ გააჩნიათ აღმასრულე-ბელი უფლება. ამასობაში კი ორივე მხარის ჯოგების პატრონები, რომლებიც ეთნიკურად ქართველები არიან სხედან და ბაასობენ, ხუმრობენ ან ჭიდაობენ და მეგობრობენ. ერთხელ ჭიდაობის დროს ქართველები მაქსიმალურ ძალას იჩენდნენ. „თურქი“ გაოცებულა, მოჭიდავეებმა შესჩივლეს, რაზეც ქართველებს უპასუხია: „ჭიდაობაში რომ დავმარცხდეთ რუსები გაგვაციმბირებენ“-ო. ამ კაცმა, რომელსაც ზემორე ჭიდაობაში მონაწილეობა მიუღია, ისიც მითხრა, რომ ისლამი კაი რელიგიაა „ჩაჩვი“ მოიჭერიო. გამიკვირდა, ამ კაცს ეს იშვიათი სიტყვა რომ არ დავიწყებია და ხუმრობით მივუგე: „ჩვენი მამაპაპანი ქრისტიანები იყვ-ნენ და ამ ტრადიციისათვის მე კი არა შენ გიღალატია და ისევ ქრისტიანობას უნდა დაუბრუნდე, გარდა ამისა, ამ საოხროს მეტი არაფერი მაქვს და ესეც რომ მოვიჭრა რაღა დამრჩება. ისლამი რაში მინდა თუ ღორის ცვრიან მწვადებს ვერ შევექცევი და ზედ წითელ ღვინოს ვერ დავაყოლებ“... იცინა და მომიგო: „ჩვენ გოჭის ხორცსაც გეახლებით და ღვინოსაც ვხუხავთ, მე თვითონ მაქვს ვენახი“-ო.

ართვინში ჩასვლა და იქაური მიდამოების მიმოხილვა

1968 წელს გავბედე და ავტომობილით მე და ირინე ჩავედით ართვინში. დავბინავდით ჩირაღან ოტელში რომლის პატრონიც არტანუჯელი იყო. საიდუმლოდ გამიმხილა, რომ ბაგრატიონების ჩამომავალი ვარო, რისთვისაც არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ გააჩნდა და ერთი ქართული სიტყვაც არ იცოდა. თუმცა, მისი გამომეტყველება ბაგრატიონებს მართლა წააგავდა. განათლებით იურისტი იყო (მოქმედი) და თურქეთის მთავრობის წევრი. დიდი პატივისცემით მეპყრობოდა და თავის მამულში - არტანუჯშიც დამპატიჟა, თუმცა ვერ ვიხელთე საამისო დრო, არც მიზიდავდა და არც მას ჰქონდა თავისუფალი დრო. იმ დროს რომ მეთქვა, ქართველი ვარ, იქიდან გამაძევებდნენ ან ციხეში ჩამსვამდნენ; ამიტომ ყველას ვპასუხობდი, რომ ამერიკელი ვარ (რაც სიმართლე იყო) და ჩემი ოჯახი დიდი ხნის წინათ გაიხიზნა ამერიკაში

(რაც ნახევრად მართალი იყო). მაინც, ჩემი ყოფა-ქცევის შემყურენი ხშირად მეუბნებოდნენ: „თუმც ამერიკელი ხარ, მაგრამ შენი წინაპრები ართვინიდან უნდა წასულიყვნენ ამერიკაში, რადგან შენ ჩვენ გვგავხარ ყოველ მხრივ“-ო. ალბათ ზოგი ღრმად იყო დარწმუნებული ჩემს ქართველობაში, რადგან ოთახის დამლაგებელმა ქალმა, ერთხელ ჩვენებური „ჭადი“ მომართვა თქმით: „ვიცი რომ ძღვენი შენ განსაკუთრებით გაგახარებს და იმიტომ მოგართვი“-ო. ამაზე საპასუხოდ მადლობის მეტი ვერ მოვახერხე და ფული გავუწოდე, დედაკაცმა ფული დამიბრუნა და მითხრა: „თქვენ ჩემზე უკეთ იცით, ამისათვის ფულს არ აძლევენ“-ო და თანაც ორაზროვანი ღიმილი შემომაფრქვია, რამაც თავბრუ დამასხა. ის კი წავიდა და თან ჭადის ბოძების ნამდვილი მიზეზი თან გაიყოლია...

ჩემი ფულები გადმოვგზავნე ართვინის ბანკში, სადაც მოსამსახურეებმა ისე შემიტკბეს და ისეთი ნდობით მემსახურებოდნენ, რომ ჩემს ტრანსაქციებს ყოველგვარი ქაღალდების გარეშე ორიოდ წუთში აკეთებდნენ. ასევე ფოსტა-ხანეში, სადაც ყველა თანამშრომელი, ქართულად მეტყველნი იყვნენ, იუსუფელის ფოსტაშიც ყველანი ქართულად მეტყველებდნენ.

წლების განმავლობაში გამოაშკარავდა აგრეთვე, რომ ტაო-კლარჯეთ-შავშეთში, მოლების და მეტყევეების უმეტესობა ქართველები იყვნენ. მი-კვირს, რომ საქართველოდან იმ არეებში მგზავრობა-მონახულების ან „მეცნიერული კვლევისთვის“ ჩამოსულნი, რომელნიც შემდეგ თავისი „მეცნიერული მოღვაწეობის“ შედეგებს აქვეყნებენ, ამის შესახებ არაფერს ამბობენ. მაგალითისათვის: როგორ შეიძლება კაცმა დოლისყანის ეკლესია ნახოს და ელაპარაკოს იქაურ მოლას, რომელმაც ჯამედ ქცეულ ეკლესიას სამხრეთ კედელზე თავისივე სახლი მიაშენა. არა მხოლოთ ეს მოლა, არამედ მისი ცოლი და უფროსი შვილი, ქართულ ენაზე ჩინებულად მეტყველებენ, თანაც, თუ არ ვცდები, მთელი ოჯახი საქართველოს მიმართ დიდი სიმპათიით იყო განწყობილი (დაკარგული სამშობლოს სიყვარული იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მან ჯამედ ქცეული ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთი კედელი, ჩრდილო-დასავლეთის უაღრესად ღრმა საოსტინგე, გუმბათის სართული და სხვა მრავალი ადგილი კარგად შეაკეთა. ეკლესიის ჩრდილოეთით, წყაროსთავის, ოპიზის და მერეს მსგავსად, სათვალთვალო კოშკებია, რომლებიც მონასტრებთან ვიწრო გზით იყვნენ დაკავშირებულნი. დღევანდელი შოსე გზა, რომელიც მდინარის გასწვრივ, ძველთან შედარებით, ორიოდე კილომეტრით ქვემოთ ანუ სამხრეთით არის გაჭრილი, ახალია. ძველი გზა, ახალი გზის ჩრდილოეთით მდებარეობს). მახსოვს სხვა ქართულ ენაზე მოუბარნიც, უფრო კი ერთი შუახნის ქალი (ნამდვილი ქართველი ტეტია, კარგი გაგებით), რომლის ქმარი და შვილი გერმანიაში მუშაობდნენ. შვილმა დედას საჩუქრად ჩამოუტანა ახალთახალი ავტომობილი, რომელიც დოლისყანის ახლად გაჭრილ, ოღრო-ჩოღრო, დაკლაკნილ გზაზე გადაჩეხეს, რის შედეგადაც დაიღუპა ეს სანატრელი დედა-კაცი და მისი შვილიც. დოლისყანელები, როგორც ყველა იმ მხარის მცხოვრებნი, ძალიან გულკეთილები არიან. მე და ირინე, პაპანაქება სიცხეში, ოფლის ღვრით, მოკლე გზით, დოლისყანაში რომ ავდიოდით, იქ მისვლამდის, ხეხილის ბაღებისა და ვენახების გასწვრივ, ყოველთვის გამოჩნდებოდა ხოლმე ვინმე და მაცოცხლებელი ყურძნითა და ხილით უხვათ გვასაჩუქრებდა. ბორჩხაში ყველა ქართულად მეტყველებს, ასევე შავშეთში, საიდანაც არდაგანზე გავლით და ერზერუმში, სამხრეთით, უამრავი ხე-ტყე გააქვთ. სხვათა შორის, მეტყევეებიც

უმეტესად ქართველები არიან. რესტორნები ქართველებისაა და ძალიან გემრიელ საჭმელებსაც აკეთებენ. ერთმა ადგილობრივმა მამაკაცმა თავსაყრელი ლექსების დეკლამაციით გამაკვირვა, საათობით ამბების მოყოლაც კარგად ეხერხებოდა და არც მისი ქართული მეტყველება დაიწუნებოდა. სამწუხაროდ, არც დრო და არც იარაღი მებადა მისი ლექსების და ნათხრობის ჩასაწერად... ოტელი, სადაც ყოველთვის ვჩერდებოდი ხოლმე, ქართველს ეკუთვნოდა. მან მითხრა, რომ შორეულ განმხოლოებულ სოფლებში ყველანი ქართულად მეტყველებენ და ქართველებთან უღლდებიანო. აქ კი, ჩვენ, ერთადერთი სომეხი მეჩაიე გვყავსო. დავუძახე ამ მეჩაიეს და დავუწყე სომხურად ლაპარაკი, ის საცოდავი შეკრთა და ძალიან შეშინდა. მითხრა: - სომხურად ნუ მელაპარაკები, აქ არავინ იცის რომ სომეხი ვარ, ქართველები მფარველობენო. მეორე სომეხი – ბერი ქალი – ვნახე იენი რაბატში, მითხრა, რომ სომხეთიდან ახალი ჩამოსულია და აქ ნათესავებთან ვრჩებიო. იმის გამოკვლევა თუ რამდენი სომეხია იქ და როგორ გადაურჩნენ თათრების რეპრესიებს – ან ეგებ გათათრებული არიან – ვერცერთხელ ვერ შევძელი უდროობის და ამ საჭოჭმანო საკითხის გვერდის ახვევის გამოც. მითხრა რომ აქ ბევრი დათვებია, მოდიან ხილეულის საჭმელად და ადამიანებსაც ერჩიანო. მართლაც, ეკლესიის მახლობლად იმისთანა დიდი, გემრიელი პანტით დახუნძლული ხე და სხვა მცენარეები იდგა, რომ დათვს ქურდობა არ დაეძრახებოდა... ისევ ართვინს რომ დავუბრუნდეთ, ორიოდე არაჩვეულებრივი ეპიზოდი უნდა გავიხსენო: ერთხელ მოსამსახურე ქალი ოტელის სხვენზე (უკეთ ღია სხვენზე) ჩვენს სამოსელს აუთოვებდა. მე და ირინემ მასთან საუბარი გავაბით. ირინე დიდი ცნობისმოყვარეობით ეკითხება ამ ქალს:

- სად არის თქვენი ქმარი? ქალმა მიუგო:

- ჰაპისხანეში. ირინემ ამ სიტყვის მნიშვნელობა არ იცოდა, და წარმოიდგინა რომ, ეს შეიძლება იყო კომპოზიტი სახელი არსებითი „ჰეპი“, რაც ინგლისურად ნიშნავს მხიარულს თუ ბედნიერს და „ხანე“ - უწყება თუ ადგილი. მაშ, დაასკვნა ირინემ, რომ მისი ქმარი რაღაც მხიარულ თუ ბედნიერ უწყებაში მსახურობს და თავისი „გონივრული“ დასკვნით აღტაცებულმა, ამ ქალს მხიარულად მიულოცა: - რა ბედნიერი ხართო. ამის გაგონებაზე საბრალო ქალმა გულამოსკვნილი ტირილი მორთო, რადგან „ჰაპისხანე“ თურქულად ციხეს ნიშნავს. დიდხანს ველოლიავეთ, მოვასულიერეთ და მერე შოკოლადით მოვთაფლეთ...

ართვინის ზემოთ ე.ი. სამხრეთით, ფეხბურთის მოედანია სადაც თურქების ფეხბურთელთა გუნდი ქართველ-ლაზ ფეხბურთელებს მეტოქეობდა. ჩემმა დოსტებმა მე და ირინე წაგვიყვანეს. ვიხილე ქართველების გონივრული და ტექნიკურად მაღალი კლასის თამაში, წლოვანებით და წონითაც თურქები მეტნი იყვნენ, მათ უხეშ თამაშს „ჩვენებურნი“ ჩინებულად უმკლავდებოდნენ, ტანში ჟრუანტელი მივლიდა, ქართველი მაყურებელი მათ ბრწყინვალე თამაშს წამახალისებელი ქართული შეძახილებით აჯილდოებდა. ჩემში ამას დაერთო ჩვენი დაობლებული მხარის ტრაგიკული ისტორია, რის გამოც ცრემლებს ძლივს ვიკავებდი. მიუხედავად თურქების უხეში თამაშისა, ქართველებმა შეჯიბრება მოიგეს...

ერთხელ ოტელში გავიცანი განსწავლული და საქმიანი კინოოპერატორი ნიუ-იორკიდან, რომელიც ჩვენი მონასტრების და ციხეების შესახებ კინოფილმის გაკეთებას აპირებდა და საქმის დასაზვერად ჩამოსულიყო. ჩვენ გვთხოვა, ხანძთაში წაგვეყვანა. დავთანხმდით. ვიყიდეთ ორი კილო ხორცი და წავედით

(ხორცი ერთი ჩამომხმარი ნაგაზისთვის მიმქონდა ხოლმე, რომელსაც თავისი ლეკვებისათვის საკმაო რძე არ გააჩნდა. ის ეკუთვნოდა იმერხევსა და ხანძთას შორის არსებულ ძველ გზაზე განმარტოებით, ღარიბულად მცხოვრებ კაცს, რომელიც სიღარიბისა და რელიგის გამო ძაღლს ყურადღებას არ აქცევდა და თავის მჭლე საზრდოს, საბრალო ძაღლი თვითონ მოინადირებდა. ესეც, იქაურებივით, ჩვენი ჯიშისა იყო და უმეტესად, ამად მეცოდებოდა). ცოტა ძაღლის პატრონს მივეცი, მეტი ძაღლს. წყაროს წყალი დავლიეთ და დავიწყეთ ეკლესიისაკენ სვლა ოღრო-ჩოღრო უხიაკი ბილიკით, სადაც უნდა გადაგვეჭრა დამრეცი ქვიშიანი ფერდობი. ირინე წინ გავუშვი, მას მისდევდა რეჟისორი თუ კინოოპერატორი, მე კი ოპერატორის უკან, ხიფათის დასაზღვევად. ჩემი „ლექციის“ უგულებელყოფით, ეს კაცი, თითქოს რუსთველის გამზირზე დადისო, მიდის სარივით ამართული და მთამსვლელის ახალთახალი ძვირფასი ფეხსამოსით ბრტყლად ეხება ფშვნად ქვას. პირი გავაღე, რომ მისთვის დარიგება გამემეორებინა, მაგრამ მანამ ხმას ამოვიღებდი, ძირს მოადინა ბრაგვანი. რის ვაი-ვაგლახით წამოვაყენეთ. კიდევ გავუმეორეთ, რომ ტერფი ბრტყლად არ დადგას, ალმაცერად, ფეხსამოსის ძირის კონტური ქვას მოარგოს, მაგრამ არა, კიდევ რამდენჯერმე დავარდა, ცხვირ-პირი და ხელის გულები გაუსისხლიანდა, ქვევით დაგორებული ჩვენ რომ არ შეგვეჩერებინა და იქიდან დიდი წვალებით უკან არ ამოგვეყვანა, ორასიოდე მეტრის ქვემოთ გადაიჩეხებოდა და სულიც გაძვრებოდა... მის პროტესტს ყური არ დავუგდეთ, ღამის გასათევად ძაღლის პატრონთან ჩავიყვანეთ, მე და ირინე კი ავედით მონასტრის მახლობლად პაწაწკინტელა სამლოცველოს ძირიდან ამომჩუხჩუხე გემრიელი წყლის დასალევად, შევხვდით ხუთ დაღლილ-დაქანცულ ქართველ ახალგაზრდას. ერთი მათგანი იაღლი კოიდან იყო, ზემო სოფელში მოლა ვარ მობრძანდითო. ჩვენ სამუშაო გველოდა, მათაც ეჩქარებოდათ, რის გამოც გავიყარენით. ორი დღე ვიმუშავეთ და ძაღლის პატრონთან ჩავედით, ვნახეთ ჩვენი მკვნესარე ნიუ-იორკელი გასიებული სახით, ჩავსვით ავტომობილში და კუს ნაბიჯით ართვინისაკენ გამოვსწიეთ. ამ ძველ გზაზე ავტომობილით არავინ დადის, რადგან ძალიან ვიწროა, მიხვეულ-მოხვეულია, თანაც ღორღითა და დიდი ქვებით სავსე, ან წვიმების შედეგად ჩამორეცხილი. პატარა შეცდომა და ნამდვილად გადაიჩეხები. ხანძთაში მერე ავტომობილით აღარ ავსულვართ (არც არავის უვლია ავტომობილით ჩვენს გარდა). ახალი გზიდან პირდაპირ, ერთ კილომეტრზე თითქმის ხოხვით ავდიოდით ხოლმე...

ყველგან, სადაც საშუალო საუკუნეებში მონასტრები იყო დაარსებული, ახლა სოფლებია გაშენებული, რადგან ის პირობები, რომლებიც აუცილებელი იყო მონასტრების არსებობისათვის (წყალი, ხე-ტყე, ნოყიერი მიწა, ჯანმრთელი ჰაერი, სტრატეგიული ტოპოგრაფია), მიმზიდველი იყო მოსახლეობისათვის. XVI-XVII საუკუნეებში, როდესაც ტაო-კლარჯეთ-შავშეთის და მიმდებარე ტერიტორიების ინტენსიური გათურქება დაიწყო, ბერ-მონაზვნები მონასტრებს სტოვებდნენ და თავშესაფარს სხვა მხარეში ეძებდნენ, აქ დაიწყო სამოქალაქო ოჯახების დასახლება. მაგრამ რაც მონასტრის ძმობისათვის საკმარისი იყო, მზარდი მოსახლეობისათვის უკმარია. ეს იწვევს წყლის, მიწის, ხე-ტყის მეტ ექსპლოატაციას, დასახლებული არეების გაპარტახებას და ეკლესია-მონასტრების ნგრევას, რასაც გასაგები მიზეზების გამო, ხელს უწყობს არა მხოლოდ რელიგია, არამედ თვით ადგილობრივი მთავრობაც, რომელიც მოსახლეობას აქეზებს, რომ მონასტრის ნაგებობის მასალის გამოყენებით სახლები აიშენონ. ამით

მთავრობა თავიდან იცილებს არა მხოლოდ სოციალ-ეკონომიკურ კრიზისს, არამედ თავისი პრიმიტიული აზროვნებით, სპობენ იმის მატერიალურ საბუთს, რომ ეს არე საუკუნეების განმავლობაში, ქართველების საკუთრება იყო. მონასტრებისადმი ამ მტრულ განწყობილებას შეეწირა ეკეკი, ტბეთი და ოპიზა. ამ დამანგრეველი ტენდენციის შეჩერება ჩივილით არ შეწყდება (გარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძეგლთა დაცვის განყოფილების ძლიერი ზემოქმედებისა, თუმცა მას აღმასრულებელი ძალა არ გააჩნია). მე ვცადე ერზერუმის პროფესორ-მასწავლებლებთან და მუზეუმის თანამშრომლებთან საუბრებით, ასევე თვით მოსახლეობისათვის იმის შთაგონება, რომ თუ ეკლესიებს არ დაანგრევენ და პირიქით, უპატრონებენ, დასათვალიერებლად მოვლენ ტურისტები, თქვენ გახსნით პატარა სასადილოს და დუქანს, ტურისტები ისადილებენ, თქვენ დუქნებში სუვენირს იყიდიან და ფულს დატოვებენ. ეს წინადადება უფრო რეალური, მომგებიანი და უფრო მიმზიდველი გამოდგა, მაგრამ მომთაბარე, პარაზიტული ტრადიციის მიმდევართა შორის, არც ამან გამოიღო დიდი ნაყოფი: ოთხთა ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ბოძის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეს, ყოველ წელს, მეტად და მეტად ძირს უთხრის მისი „მესაკუთრე“ (საჰიბი) და ამ მზიდავი ბოძის დანგრევით დაიწყება ჩვენი დიდებული ეკლესიის შეუჩერებელი ნგრევა... ოშკის სამხრეთ გალერეის კაკლის ხის ბოძის სანაცვლოდ აგურითა და ცემენტით შეცვლისათვის, იქაურ კალატოზს ორჯერ მივეცი ფული და ორჯერვე შემიჭამა.

ამ დასახლებულ მონასტრებში ან მის სანახებში არიან აგრეთვე ჯარისკაცთა ათეულები ან ოცეულები, რომლებიც არსებითად პოლიციის ფუნქციას ასრულებენ. ყოველ მათგანს, მონასტრის მნახველთა მიმართ აქვს თავისი აზრი ან ზემდგომთა ბრძანების თავისებური ინტერპრეტაცია. თუ მათ ეტყვი, რომ მთავრობის ბრძანების ძალით შენ ეკლესიის დათვალიერების უფლება გაქვს – რაც სინამდვილეა – შენი საქმე წაგებულია. პირუკუ, თუ ზემდგომებისაგან ნაბრძანები აქვთ, რომ მონასტერთან არავინ მიუშვან, ხუმრობით და ტკბილი ენით, მიზანს მიაღწევ. ერთხელ, ერთ ლაზთან ერთად, რომელიც გამომეტყველებით და სხეულის მოძრაობით ჩემს თბილისელ მეგობარ რეზო გოგიტიძეს ისე წააგავდა, როგორც წყლის ორი წვეთი, დავგეგმეთ ენირაბატში წასვლა, რომ იქ ეკლესიაში მუშაობის გარდა, თევზები დაგვეჭირა. არტანუჯის მდინარეში მართლაც საკმაო კალმახი დაცურავდა, მაგრამ ვერც მე და ვერც ჩემმა მეინახემ ვერ შევძელით მათი ანკესზე შემოტყუება. მგონია ჩვენი წარუმატებლობა იმით აიხსნება, რომ ორ აყლაყუდა არიფ მეთევზეს კალმახები ხედავდნენ და გაურბოდნენ... ცხრა საათზე უკვე ენირაბატის მახლობლად ვიყავით, მაგრამ ჩვენი წინსვლა შეაჩერა ორმა „ჟანდარმ“-მა, რომლებიც იმ არეში დასადგურებულ გუშაგთა თუ „ჟანდარმთა“ ოცეულის წევრები იყვნენ. მიგვიყვანეს საგუშაგოს უფროსთან. შევედით ერთ ბინძურ ოთახში, სადაც ორიოდ დანჯღრეული სკამია, ერთი საწოლი, ოთახის შუაში კი ერთი ძველი, უსუფთაო მაგიდა, მასზე ერთადერთი საგანი: პატარა ზარი. მაგიდის უკან ზის უფროსი müdürü. ეს უფროსი, პრიმიტიული გამომეტყველების ათეულის მეთაური, მეტისმეტი სერიოზულობით ცდილობს ეს დროებითი უფროსება შეიფეროს (უფროსი მაშინ იქ არ იყო). მის უკან, კედელზე, ათათურქის გახუნებული დიდი სურათია. „უფროსმა“ არ იცის როგორ მოგვმართოს, გვეკითხება:

- რა მოხდა?

- არაფერი. პასუხობს ლაზი.
- მაშ რად მოგიყვანეს ჩაუშებმა აქ?
- კითხეთ ჩაუშებს. უფროსი ჩაუშებს ეკითხება:
- რატომ მოიყვანეთ ეს ხალხი აქ?
- იმიტომ რომ სოფელში იყვნენ.
- ეს ხომ დაპატიმრების მიზეზი არ არის? გაუბრაზდა უფროსი ჩაუშებს. ყველამ სიცილი დავიწყეთ. ამასობაში ლაზმა ,,უფროსს" გააგებინა, რომ თვითონ ჯარშია ნამყოფი ლეიტენანტის ჩინით, რამაც მთელი ატმოსფერო შეცვალა. უფროსი გვეკითხება:
- ყავას მიირთმევთ?
- კი ბატონო! - ვპასუხობთ. ზარი დააწკარუნა, შემოვიდა ერთი ჩაჩა-ჩული სალდათი, რომელსაც უბრძანა ყავის მოტანა.
- ეს შეუძლებელია – პასუხობს სალდათი – „რადგან ყავა კარადაშია და კარადის გასაღები კი ლეიტენანტის ჯიბეში." ირინე უფროსს ეუბნება:
- ნუ სწუხართ, ჩვენ თვითონ მოვიტანეთ თქვენთვის აუარებელი ჩაი, გალეტები, ძეხვი და უწვდის ძღვენს. კარგად „ვიპურმარილეთ", ბევრი ვიცინეთ და ენირაბატის დახშული გზაც სიცილ-ხარხარით და კეთილი მგზავრობის სურვილით გაგვიხსნეს... ართვინში რომ დავბრუნდით, წავაწყდით დაქანცულ გერმანელ ტურისტებს, რომელთა უფროსი იყო ჩვენი ძველი ნაცნობი, ბამბერგის უნივერსიტეტის მორალური თეოლოგიის პროფესორი ფოლკერაიდი. მან გვითხრა, რომ სამი დღის წინათ მთელი თავისი ჯგუფით ენირაბატის ნახვა სურდათ, მაგრამ იმავე გუშაგებმა არ მიუშვეს და რისხვით უკან გამოაბრუნეს...

თურქებისათვის ძნელი გასაგებია, პროფესორის თანამდებობის კაცი, რატომ უნდა კარგავდეს დროს თურქეთში ჩამოსვლით და იქ დანგრეული ეკლესიების შესწავლით. გვეუბნებოდნენ:

- ჩვენ ამ ეკლესიების გვერდზე დღეში ორჯერ ჩავივლით და ერთხელ არ შევხედავთ და შენ ეკლესიების სანახავად ამერიკიდან ჩამოხვედიო. ამას მათი აზრით არავითარი ლოგიკა არა აქვს; ამიტომ ჩვეულებისამებრ ჰგონებენ, შენ ან ეკლესიებში დამალული ოქროს მოსატაცებლად ხარ ჩამოსული, ან რუსეთიდან შემოპარული კომუნისტი ჯაშუში.

თურქების საიდუმლო პოლიციის ხრიკი

ალბათ ამ რწმენით აიხსნება ერთი ვახშამი ჩვენს ოტელში, რომელშიც შემოგვიერთდა 15-ოდე (თუ მეტი) თურქი. სვამენ ანისს, გარეულ არაყს, ჩვენ კი - ღვინოს - „კავაკლი დერეს". ვხუმრობთ. ჩვენ გვერდით ჩვენი დოსტი ორი ხუროთმოძღვარ-მშენებელი ლაზია. როდესაც შევნაყრდით, ერთმა თურქმა, წარმოგვიდგინა ერთი კომუნისტი თურქი, რომელიც მისი თქმით, მრავალი წლის განმავლობაში ციხეში იყო გამოკეტილი. განიცადა სხვადასხვაგვარი წამება, ორიოდე დღის წინათ გაანთავისუფლეს და გვსურს მან კავშირი გააბას ამერიკის კომუნისტებთანო. ეს იყო უხეშათ დაგებული ხაფანგი. ჩვენ მივუგეთ, რომ კომუნისტურ პარტიასთან არავითარი ურთიერთობა არა გვაქვს და ვერც მათთან დაკავშირებაში დაგეხმარებით. ამისდა მიუხედავათ, მეორე დღეს, ოტელში ხუთიოდ აგენტი მოვიდა. ჩვენ მაინც სტამბულში მივემგზავრებოდით ლაზ ახმედის ავტომობილით და მისივე თანხლებით ერზერუმში ჩავედით, იქიდან კი ანკარაში. მაგრამ არც ერზერუმში გველოდა სიმშვიდე. ოტელიდან

აეროდრომის ავტობუსით რომ მივემგზავრებოდით, გზაში ჯარის ნაწილებმა გაგვაჩერეს. ავტობუსიდან გადმოგვსხეს ქალები და კაცები, გაგვაცალკევეს, გაჩხრიკეს ჩვენი ბარგი და ჩვენც. ზოგს ტანისამოსიც კი გახადეს... ამ უხეში ჩხრეკა-ძიებიდან სული ძლივს მოვითქვით (რადგან გვეგონა ართვინის საიდუმლო პოლიციის ღონისძიებით მოხდა ჩხრეკა), რომ თვით აეროდრომზე მსგავსი ,,კვლევა-ძიება" მოაწყეს. ყველაფერი ეს ჩატარდა უხეშად და უმეცრად. ბოლოს და ბოლოს, დაღლილ-დაშინებულ-ბრაზმორეულებმა მოვაღწიეთ ანგორასა და შემდეგ სტამბულს, სადაც ჩვენ ძველ მეგობრებთან გემრიელად ვისადილეთ საყოველთაოდ განთქმულ ბერძნულ რესტორან ,,პუნტელი"-ში.

ერთი მოკლე მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი შენიშვნა: თურქეთში დაუწერელი(?) კანონია, რომ რაიმე ინციდენტის შემთხვევაში თურქი ყოველთვის მართალია. ეს ეროვნული და ისლამური მოვალეობაა. მაგალითად, გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის თანაშემწე, პროფესორი ვებერი, რომელთანაც მე ერთხელ ჩრდილოეთ სირიაში ვიმგზავრე ძეგლების შესასწავლად და ვცანი როგორც ჩინებული მძღოლი, ერთ თურქის ბიჭს დაეჯახა. ბიჭს შუბლზე კანი სანტიმეტრ ნახევრის სიგრძეზე გაუსკდა. იმისდა მიუხედავად, რომ ის ბიჭი მთვრალი იყო და თვითონ იყო დამნაშავე, ვებერი ციხეში ჩააგდეს 1 ½ წელი და მეტიც, გამოსძალეს ათიათასობით მარკა. ერთხელ, ანტიოქიიდან ჩემი გათხრების ადგილზე - კასიუსზე მივდივარ. პატარა სოფელ იაილადაგში გავჩერდი პურის საჭმელად (კარგ სადილებს აკეთებდნენ). რესტორანში შემოვიდა ადგილობრივი პოლიციის უფროსი, რომელსაც კარგად ვიცნობდი. მითხრა, რომ ერთმა უცხოელმა ქალმა, ჩვენ ბავშვს ავტომობილი დააჯახა და კინაღამ მოკლაო. ახლა ის ქალი დილეგშია დამწყვდეული და ვერაფერს ვაგებინებთ, მოდი დაგვეხმარეო. შევედი ჭუჭყიან, ამყრალებულ დილეგში და ვხედავ მტირალ, მშვენიერ, ახალგაზრდა ფრანგ გოგონას. გამოვიძიე საქმე. პოლიციელი მეუბნება, რომ ეს ქალი დაეჯახა ერთ პატარა ბიჭს, რომელიც ქუჩაში გაგორებულ ბურთს გამოუდგა, გვერდები დაუმტვრია და თავიც დაუსისხლიანაო. ,,მოდი ვნახოთ ეს ცოცხალმკვდარი ბიჭი" - ვეუბნები პოლიციელს. მივედით ვნახეთ ეს ბიჭი, რომელიც საავადმყოფოს მაგიერ ისევ ბურთს თამაშობს თავის ტოლებში. დავიხსენი ეს ფრანგი ბარიშნა, რომელიც სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი იყო, მისი სურვილისამებრ ავიყვანე ჩემ „ლაგერში", ავუხსენი ჩემი გათხრების არსი, მოვატარე ისტორიული მნიშვნელობის სანახები. ის ჩემთან დარჩა, ორიოდ დღე გაიხარა და მეც გამახარა. ეს სტუდენტკა – ჟანეტ – კარგად იცნობდა ცხონებული დიდი მეცნიერის, დიდი პატრიოტის და უწმინდესი პიროვნების ლენკო მუსხელიშვილის ძმას, რომელიც საფრანგეთში დარჩა, შტრასბურგის უნივერსიტეტში იურისპრუდენციის ლექციებს კითხულობდა. მეც გავიცანი ის ნიუ–ორკში და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის იყო ლენკოს ანტიპოდი. ცხვირაწეული, უკარება. გვარიანი შესახედი და გემოვნებით ჩაცმული კი იყო. იტაცებდა მთამსვლელობა და თავისი სიამაყით მას გადაჰყვა. შვეიცარიის თუ საფრანგეთის მთებში გადაიჩეხა. საუბარმა გამიტაცა. ისე ამ მოკლე შენიშვნის მიზანი იყო ჩემი თანამემამულეების და საერთოდ ამის მკითხველების გაფრთხილება, რომ თურქეთში ავტომობილი არ მართონ. იქირაონ ტაქსი, იმოგზაურონ ავტობუსით ან მატარებლით ან ე.წ. „დოლმუში"-თ...

მოგზაურობა მანასკერტში და ბიტლისში

თურქეთში გამომგზავრების წინ, მე და ირინეს პროფესორმა დაიხმანმა რომში გვითხრა, რომ ვანის ტბის აღმოსავლეთით 120 კმ. მანძილზე, სოფელ ზორადირში, ერთი საინტერესო და ნაკლებად ცნობილი სომხების ეკლესია არის და მოინახულეთო. ჩვენ, ვანის სამხრეთით მდებარე სომხების მონასტრების და ახტამარის ეკლესიის, აგრეთვე ვანის ტბის ჩრდილოეთით, მანასკერტის (ეს ისტორიული მნიშვნელობის დაბაა, სადაც 1071 წლის ბრძოლაში დამარცხდნენ ბიზანტიის ჯარები და იმპერატორი რომანოს მეოთხე დიოგენოსი ტყვედ აიყვანა სელჯუკთა სულთანმა არპ არსლანმა. ეს ფაქტი ცხადჰყოფს ბიზანტიელთა პოლიტიკურ სიბეცეს და გაუმაძღრობას. იმის მაგიერ, რომ ეს ტერიტორიები დაეთმოთ ქრისტიანი მოკავშირე ქართველებისათვის, რომლებიც დაიცავდნენ ამ საზღვრებს, პირიქით, მათ დაანგრიეს და დააკნინეს საქართველო) მონახულებაც გვინდოდა, რის გამოც დავპირდით, რომ ზორადირის ეკლესიას შევისწავლიდით და ჩვენ შედეგებს მოვახსენებდით. ამისათვის პაემანიც კი დავნიშნეთ. ჩავედით თურქეთში, ხანმოკლედ მოვინახულეთ სომხური ეკლესიები და ახტამარიც; კარგად შენახული, მდიდრულად გაფორმებული სხვადასხვა ხანის სკულპტურებით ეკლესიის გარეთა სხეულზე და თვით კედლის მხატვრობაც. გადავიღეთ ფოტოები, ჩავიწერეთ შენიშვნები და ამ ძეგლების უფრო ახლო შესწავლა მომავლისათვის გადავდეთ. ზაფხულის ბოლოს, დილაადრიანად ვემზადებოდით გასამგზავრებლად, ასირიელების ოტელიდან ბიტლისში. ჩავედი ქვევით, რომ ოტელის წინ მდგარ ახალთახალ ავტომობილში, რომელიც ირინეს ძმამ მოგვცა, იშხანში და ხახულის ეკლესიების გარშემო მოგროვილი გლაზირებული სახურავის (უკეთ გუმბათის სახურავის) ჩამოვარდნილი კრამიტები საბარგულში დამელაგებინა და გზას გავდგომოდით. ჩემი ავტომობილის წინ იდგა დიდი ზომის ავტო, უკან კი იტალიელების მიერ თურქეთში აწყობილი პატარა ავტომობილი, რომელსაც დაეჯახა ქვებით, ადამიანებით და ცხოველებით დატვირთული ზევიდან დაგორებული საბარგო ავტომობილი. მოვიჭყლიტე ორ ავტომობილს შორის, რომლებიც ისე იყვნენ დაჭეჭყილი, რომ ჩემ განთავისუფლებას 40-60 წუთი დასჭირდა. წამიყვანეს ე.წ. საავადმყოფოში, რომელიც სამი ბინძური ოთახისაგან შესდგებოდა. გამიკეთეს რენტგენის სურათი მოძველებული მოწყობილობით, რომელსაც საღებავიც კი გადაცლილი ჰქონდა. საშინელი ტკივილები მქონდა, მარცხენა ფეხი შვიდ ადგილზე იყო მოტეხილი, საავდმყოფოს შველა არ შეეძლო, ვერც ფეხის თაბაშირში ჩასმა მოახერხეს, ყავარის მაგვარი ფიცრები შემომარტყეს და ფეხი შემიხვიეს. აფთიაქიდან კოდეინი მომიტანეს და ირინემ წამომიყვანა ოტელში. აუტანელი ტკივილები მაქვს, ლოგინში გახევებული უნდა ვყოფილიყავი, რადგან ხელის თითის განძრევაც კი ფეხში ტკივილს მმატებდა, თანაც ლოგინში აუარებელი რწყილებია და უწყალოდ იკბინებიან, მე კი განძრევაც არ ძალმიძს (იმ საბარგო ავტომობილის შოფერი კი მთავრობამ არაფრით არ დასაჯა. არც მე ამინაზღაურეს დანაკარგი), ვერც ირინე იძინებს ჩემი მოვლისა და რწყილების გამო. საშველი არ ჩანს. ირინემ რწყილების დასახოცად იყიდა რაღაც ქიმიური ფხვნილი. ჩაყარა იგი თავის და ჩემს ლოგინში, რის შედეგადაც ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ სხეულის ფხანამ იმატა, მეც თითქოს მეტი რწყილები დამესია, დაიწყო გამოძიება, ირინემ დაადგინა რომ რწყილები კი დაიხოცნენ, მაგრამ ფხვნილმა სხეულის კანი დაგვიზიანა. ირინე ეუბნება მოსამსახურეს ოთახი კარგად გაწმინდოს. მოსამსახურეს მოაქვს წყალი

კასრით და ხელით აქა-იქ ასხურებს. ირინე გაბრაზდა, რწყილების საბუდარი ძველი ხალიჩები ქუჩაში გადაყარა და მოსამსახურეს უბრძანა ორი დიდი კასრით ცხელი წყლის და საპნის ფხვნილის მოტანა. მოიტანეს დიდი ცოცხიც, ირინემ ცხელი წყალი იატაკზე უხვად დაასხა და საპნის ფხვნილითა და ცოცხით დაიწყო ხეხვა. წყალი იღვრება, ქაფი მუხლებამდის აღწევს. მეტი წყალი და მეტი საპონი. ქაფიანი წყალი ნიაღვარის მსგავსად ოთახიდან ტალანში, ტალანიდან კიბეებზე ჩადის, იწყება წივილ-კივილი. ირინემ ოტელის უფროსს აჩვენა როგორ უნდა ოთახის გაწმენდა და რწყილების დახოცვა. ირინემ პროფესორ დაიხმანს გაუგზავნა ტელეგრამა, რომ მარცხის გამო პაემანზე ვერ მოვალთ. დაიხმანს ეს ტელეგრამა არ მიუღია, რაზედაც გაბრაზებულა. სამი თვის ვაი-ვაგლახის შემდეგ, ავტომობილი შევაკეთებინეთ, სკამი ჰორიზონტულ პოზიციაზე გადავაწვინეთ და ირინემ სპარსეთსა და ტრაპიზონს შორის არსებული ძველი ისტორიული სავაჭრო გზით თოვლიან მთებზე და საშიშ სოფლებზე გავლით (მეტად სახიფათო გზა, ყაჩაღებით სავსე. მიწურებში მცხოვრები სოფლელების ქვებით შეიარაღებული ბავშვები გთხოვენ ფულს ან კამფეტებს, თუ არ მისცემ ქვებს დაგიშენენ. ჩქარა სიარული შეუძლებელია ცუდი გზის გამო. ორმოში ჩავარდნით გატეხავ ავტოს ღერძს და შეგჭამენ) მათრობელა წამლით გაბრუებული მომიყვანა ტრაპიზონში, სადაც ავტომობილთან ერთად ამწიეს და დამასკუპეს სტამბულში მიმავალ გემზე. ჩამოვედით სტამბულში, სადაც დაგვეხმარნენ მეგობრები და იქიდან გავსწიეთ იტალიაში La Specia-ში ირინეს ნათესავებთან. სული მოვითქვით.

ტაო-კლარჯეთში დაბრუნება ერთი წლით და საკვირველმოქმედი თავგადასავალი

ყოველ მეხუთე წელს, ჩვენი უნივერსიტეტი, ფაკულტეტის წევრებს აძლევდა ე.წ. “Sabatical“-ს წლით, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი წლის (სინამდვილეში ეს იყო 16 თვე, რადგან ყოველ წელს სამთვენახევარი არდადეგებისთვის იყო განკუთვნილი) განმავლობაში ლექციების კითხვის მაგიერ მეცნიერული კვლევა-ძიება უნდა გვეწარმოებინა. 1978 წ. როდესაც მე ეს „საბატიკური“ მივიღე, თურქეთში გავემგზავრე და იქ ერთ წელზე მეტი დრო გავატარე. დავბინავდი თორთუმში და იქიდან ვაწარმოებდი „სიძველეების“ მონახულებასა და შესწავლას. ერთხელ, შემოდგომის მიწურულს, განვიზრახე ოთხთა ეკლესიის კედევ ერთხელ მონახულება. ერთი ქართველი ყმაწვილის სავსებით დანჯღრეულ მორახრახე საბარგო ავტომობილს მოვაჯექი და გავსწიე იუსუფელისაკენ, საიდანაც ოთხთა ეკლესიაში (დორთ კილისე) ფეხით ჩავედი (ოთხიოდე კილომეტრია) და იქიდან მონასტრისაკენ წავედი...

45 გირვანქიანი „რუკზაკით“ ზურგზე, სოფელ დორთ კილისედან დასავლეთით, მძიმედ მივაბიჯებ ჩვენი მონასტრისაკენ. თითქმის რვა კილომეტრზე უნდა ვათრიო ეს მძიმე ზურგჩანთა. გვიანი შემოდგომაა, თითქმის ნახევარი გზა მაქვს გავლილი, ბილიკი ვიწროა და არე კლდოვანი, თუ ფეხი აგიცდა, ქვევით გადაიჩეხები 40 მეტრზე გიჟივით მომდინარე ოთხთა ეკლესიის წყალში, სადაც ისე განუტევებ სულს, რომ კაცს არ ეცოდინება რა მოგივიდა. დაიწყო თოვა. სათვალეები თოვლით იფარება, ბილიკს გარკვევით ვერ ვხედავ, გავდივარ გვირაბში, რომლის ჩრდილოეთი მხარე მდინარისაკენ ღიაა. გავჩერდი სულის მოსათქმელად და ვფიქრობ: „ასეთ ცუდ ამინდში ამ სახიფათო

არეში სიარული მართლაც სისულელეა, დაბრუნდი და სხვა დროს ამოდი“. ავიკიდე ჩემი გუდა-ნაბადი და უკან ვბრუნდები. უცბად რაღაც ძალა ყურში ჩამძახის: „არა გრცხვენია? შენი წინაპრების ნაოფლარს სტოვებ და მხდალი, კუდამოძუებული უკან ბრუნდები?“ გავჩერდი და დარცხვენილმა ეკლესიისკენ გზა განვაგრძე. თოვა არ შეწყვეტილა, მაგრამ გზა უკეთესია, არც ქარაფოვანი და ნაკლებ სახიფათო. ჭაპანწყვეტით მივაღწიე ჩვენს დაობლებულ ეკლესიას, გაბრწყინებულს, განათლებულს და მომღიმარეს, თითქოს გეპატიჟებაო. შავი ღრუბლები ჩემს დაბლაა, აქ კი გამჭვირვალე მზის სხივებით აჩახჩახებული მიდამო, ნაწილობრივ თოვლით დახურული მთები, სუფთა ცა. ასეთი სუფთა, უმანკო, ცისფერი მე მხოლოდ იშხანის სამხრეთ კარიბჭის ტიმპანის დღემდე უმწიკვლოდ შენახული წარწერის ფერში მახსოვს. ამჯერად, ეკლესიის დასავლეთ ნაწილზე ვმუშაობ ხალისიანად და მხიარულად, ჩემი მოგზაურობა უხიფათოდ დამთავრდა და აქაც არავინ მაწუხებს. მეორე დღესაც, ქვემოთ შავი ღრუბლები, ეკლესიის გარშემო კი ჩინებული დარი იყო, თითქოს თვით ეკლესიას და მის გარემოს ღმრთის ხელი აფარიაო. ალბათ ასეთ გარემოცვაში იქმნებოდა აურაცხელი „საკვირველთმოქმედება“-ნი... სოფელში რომ დავბრუნდი, თოვლ-ჭყაპის გამო გაწუწული ვიყავი. შუა ღამეა. უმთვარო, უკუნეთი ღამე: მხოლოდ ერთ ადგილზეა პატარა კოცონი გაჩაღებული. ახალგაზრდა კაცი კოცონს უზის, წაბლსა წვავს და შემწვარ წაბლებს კაკლის ფოთლებზე ალაგებს. ვეკითხები: „შეიძლება ცეცხლთან დავჯდე და ტანისამოსი გავიშრო?“ სიამოვნებით მომეგება და წაბლზე დამპატიჟა. მასთან საუბარმა დამღალა, სხვა გზა კი არ არის. ანაზდეულად მეკითხება: „ერთი საიდუმლო უნდა გაგიმხილოთ და თქვენ დახმარებას ველი, დაახლოებით წლინახევრის წინ ცოლი მოვიყვანე. ყველაფერი სასიამოვნოდ მიმდინარეობდა, ახლა კი ორი-სამი თვეა აღარაფერი მშველის, ცოლი კი ახურებულია, უნდა მიშველოთ“. მეხი დამეცა, ვარწმუნებ, რომ ამ საქმისა არაფერი გამეგება, არ მეშვება. „თქვენ გიცნობთ, პროფესორი ხართ, ამიტომ ყველაფრის მცოდნე“. უარისგან ძალ-ღონე გამომელია და მივმართე ანაზდეულად გონებაში გაელვებულ ხრიკს. ვეუბნები: „ხედავ ამ კაკლის ფოთლებს? ყოველ მეორე დღეს მოხარშე და ცხელ-ცხელი საოხრეზე შემოიხვიე. ერთ თვეში გეშველება“. უაღრესად გაიხარა, მე კი შევნიშნე ტრაქტორი, რომელიც მორებს მიათრევდა, გავიქეცი, შევახტი და ამით თავს ვუშველე. ეს ამბავი მალე გადამავიწყდა. ორი წლის შემდეგ ვარ იუსუფელში (სადაც ჩემი „მთავარსადგომი“ იყო) და ბაზარში ვყიდულობ თხელკანა ჩვენებურ ყურძენს. უცბად ვიღაც გადამეხვია, მკოცნის და მეუბნება: „ჩემო მხსნელო, ჩემო მხსნელო“. სიხარულის მაგიერ შიშმა ამიტანა, ვერ ვიცანი ის კაცი. მერე მეუბნება: „ვერ მიცანი? მე ის კაცი ვარ, რომლის საოხროსაც შენ უშველე; ახლა ყველაფერი რიგზეა და ჩემი ცოლიც სიხარულით აღვავსე.“ მე უფრო მეტად შევშინდი, ეგებ ეს კაცი ხუმრობს და „ჩემი ექიმობით“ გაბოროტებული, ხანჯალს მბუთქავს მუცელში? მაგრამ თანდათან მივხვდი, რომ ყველაფერი სინამდვილე იყო; მოულოდნელი „საკვირველთმოქმედებაა“... ამერიკაში დაბრუნებისას ჩემს ნაცნობ ექიმებს მოვუყევი ეს ამბავი და განმარტება ვთხოვე. მითხრეს შენმა „ექიმობამ“ მართლა განკურნა ის კაცი, რომელსაც მოაშორე „ფსიქიური დაბრკოლების ფაქტორი“-ო.

ამით ვამთავრებ ტაო-კლარჯეთ-შავშეთში განცდილი ჩემი თავგადასავლის ორიოდ მოკლედ მოთხრობილ ეპიზოდს. განგებ არაფერი მითქვამს იქაური ძეგლების ავ-კარგის შესახებ, რადგან მათი აღწერა და სტილისტურ-ფორმალური ანალიზი ჩემს წიგნშია მოთხრობილი და აქ მათი განმეორება ამაო იქნებოდა და მკითხველსაც ამაოდ შეაწუხებდა.

კალიფორნიაში დაბრუნება და ჩვენი ურთიერთობა ნაცნობ-მეგობრებთან ბევერლი ჰილსში დასახლების შემდეგ

ამერიკაში ის კი არ არის მთავარი როგორ სახლში ცხოვრობ, არამედ, რა ადგილზე ცხოვრობ. გარდა ამისა, მნიშვნელობა აქვს არა იმას, სად ან როგორ ცხოვრობ, არამედ იმას, რა ღირებულების ავტომობილი გაქვს. რადგან არავინ იცის თუ მიწურში ცხოვრობ, მაგრამ ყველა გხედავს რაგვარ ავტომობილში ზიხარ. ავტომობილი სტატუსის სიმბოლოა. ასეთი ცხოვრების ტრადიციას უფრო შავები მისდევენ (ზანგები ან ე.წ. აფრიკელი ამერიკელები). ჩვენ, ოცი წელიწადი, თითქმის ყოველ მეორე ან მესამე წელს დავდიოდით თურქეთში. ხელმოკლეობის გამო დასავლეთ ლოს-ანჯელესში, დაქირავებულ ბინებში ვცხოვრობდით, რის გამოც ჩვენი მეგობრები „ბეჟენცებს“ გვიწოდებდნენ. ამგვარი ცხოვრება დიახაც რომ დამღალავი და გამაღიზიანებელი იყო. ამიტომაც, სავაჭრო და პრესტიჟულ ადგილზე ბევერლი ჰილსში, სადაც „კინოვარსკვლავები“ ცხოვრობენ, ნაკლებად პრესტიჟული ხის სახლი შევიძინეთ. ეს იყო ბენედიქტ კანიონ დრაივზე, სადაც ქუჩის გასწვრივ (უმეტესად ერთ მხარეზე) სიგრძეზე სახლებია ჩამწკრივებული, ქუჩის მეორე მხარეს კი ტყით შემოსილი დაქანებული მაღალი ფერდობებია. ამ ტყეებში ბინადრობენ კოიოტები, ხარ-ირმები, მელებიც კი, ენოტები (racoon) და პასუმი (passum). ირმები ისე იყვნენ გათავხედებულნი, ჩვენს ეზოში გადმოხტებოდნენ, ვარდის კოკრებით გაძღებოდნენ, მერე ჩრდილში მოლზე წამოწვებოდნენ, უდარდელად იცოხნებოდნენ და ირინეს ცდებს, რომ ისინი ცოცხით გაერეკა, ყურადღებას არც აქცევდნენ. მშვენიერი, მშვიდი ადგილი იყო ბუნების წიაღში ჩაძირული. ირინემ ბაღიც წალკოტად აქცია და თვალწარმტაცი საცურაო აუზიც ავაშენეთ.

ჩვენი სახლი ბევერლი ჰილსში ჩვენი მეგობრების თავშესაყარად იქცა. განსაკუთრებით ხშირად მოდიოდნენ ევროპიდან ჩამოსულები: კატერინა ოტო-დორნი - ისლამის ხელოვნების პროფესორი UCLA-ს უნივერსიტეტის პროფესორი, რომელმაც თანდათანობით, ჩვენი ოჯახის წევრობა დაიმსახურა, ჰანს პეტერ შმიტი - სპარსულ-ინდური, განსაკუთრებით „ვედების“ სპეციალისტი, UCLA-ს უნივერსიტეტის პროფესორი ჯიორჯიო ბუჩელლატტი და მისი მეუღლე – რომელიც მე ჩვენი უნივერსიტეტის ფაკულტეტზე მოვიწვიე – აგრეთვე ჩვენი ექიმი და მისი მშვენიერი ბასკი ცოლი კონჩიტა. ირინე მეტად ცხოველი გონებით, მზარეულობით და ენების ცოდნით ბევრ მეგობარს იზიდავდა, ვპურმარილობდით, ვწრუპავდით კალიფორნიის ან იტალიურ ღვინოს, ვკამათობდით აკადემიურ საკითხებზე და არც ხუმრობა-ოხუნჯობას ვიკლებდით. დავდიოდით მთებში და კალიფორნიის უდაბნოში იქაური ფლორა-ფაუნის გასაცნობად. უფრო ხშირად, სადაც არ უნდა წავსულიყავით მე და ირინე, კატერინა უთუოდ აგვეკიდებოდა ხოლმე. ერთხელ გადავწყვიტეთ მექსიკის სოფელ სან-ფილიპეში წასვლა და კატერინას გაყოლიება, გავუარეთ ჩვენი მშვენიერი ავტომობილით. ვხედავ, როგორც ყოველთვის, კატერინა გამოპრანჭულია მშვენიერ სამოსელში და მაღალქუსლებიან ფეხსაცმელებში. ვეკამათები, გაიხადე ეს ზიზილ-პიპილოები, ჩვენ ოპერაში კი არა, ნახევრად ველურ სოფელში მივდივართ, ქალებზე დამშეული მეთევზეები დაგიჭერენ დაგბდღვნიან და შენი გულისათვის მეც ხათაბალაში გავეხვევი: არ ქნა, უფრო მეტიც, წამოიღო შლაპებით გატენილი სამი დიდი მრგვალი ყუთი და ორიოდ გირვანქა შოკოლადი. კამათით და საყვედურებით გავსწიეთ სან-ფილიპესკენ.

პაპანაქება სიცხეა, ცხვირის ნესტოები შრება, გადავწყვიტეთ შესვენება, გადავხედე ჩემი კოპწია ავტომობილის უკანა საჯდომს და ვხედავ გამდნარი შოკოლადის ტბას. სიბრაზით, იმ ცუდ სიტყვებს, რომლებიც კატერინას მივაყარე, აქ არ გავიმეორებ... დადგა სადილობის დრო, მივაკითხეთ ერთ მონჯღრეულ რესტორანს, სადაც ცოცხალ თევზეულობას მაინც გეახლებოდით. მე და ირინე ესპანურად ველაპარაკებით მზარეულს იმის გასაგებად, თუ რომელი თევზი უფრო გემრიელია და გვსურს ეს თევზი კატერინასათვის შევუკვეთოთ. რადგან კატერინა – აშკარა მიზეზის გამო – ამ საუბარში ვერ მონაწილეობდა, გაბრაზდა და თქვა, რომ ჩვენი შეკვეთილი არ უნდა და საჭმელს თვითონ შეუკვეთავს, აიღო სადილების ესპანურად დაწერილი მენიუ და რადგან ვერ წაიკითხა, ერთ სადილს თითი დაადო და კმაყოფილებით გაიღიმა თითქო გვეუბნებოდა: „თქვენი დახმარება არა მჭირდება, მე თვითონ ხომ შეუკვეთეო“. მოკლე ხნის შემდეგ, ჩვენ მოგვართვეს ცეცხლზე შებრაწული თევზი ლიმონით, კატერინას კი რაღაც ამღვრეული წვენი, რომელშიც ზღვის კუს ქონიანი ნაჭერი ცურავდა. მოვრთეთ ხარხარი და კიდევ ერთი უთანხმოება კატერინასთვისაც თევზის შეკვეთით, თავიდან ავიცილეთ. თითქოს მხიარულების ატმოსფერო დამყარდა, მაგრამ ამ მხიარულებას გრძელი ვადა არ ეწერა; სადილის შემდეგ გვსურს რაიმეს დალევა. კატერინამ აქაც იმეტიჩრა და უმეცარ მზარეულს გერმანულად ეუბნება „აის ტეე“ (ე.ი. ყინულიანი ჩაი). იმ მზარეულმა, რასაკვირველია გერმანული არ იცოდა, არამედ ცოტაოდენი ინგლისური და შეკვეთა შეიცნო როგორც (ჰოტ ტიი) ე.ი. ცხელი ჩაი, რაც მოართვეს, რამაც კამათის გუდას კიდევ ერთხელ მოხადა თავი და ხელახლა დაიწყო შეხლა-შემოხლა და ხარხარი.

რადგან ირინე UCLA-ში ლექციებს კითხულობდა, მას ყავდა ფილოლოგი კოლეგები, რომლებიც ხშირად გვნახულობდნენ... ჩვენ გვყავდა ორიოდ ქართველი ნაცნობიც: შოთა მარგველაშვილი (1907-1991), არჩილ გომართელი (საქართველოში ექიმ გომართელის და მეცენატის შვილი), რომლის და თინა, დადიანზე იყო გათხოვილი, ჰყავთ ქალვაჟი; ალიოშა ფუტკარიძე (მოცეკვავე), რომელიც მარგველაშვილთან „ტანკშტელე“-ში ბენზინის გამყიდველად მუშაობდა, მოდერნულ გიჟურ რელიგიას გადაეკიდა და ახლა საქართველოში როგორც მღვდელი, ორ ეკლესიას უძღვება, ვილიამ ყაუხჩიშვილი (1901-1996) - ერთი იმ სამას კაცთაგანი, რომლებიც ჟორდანიას მთავრობამ დასავლეთში ცოდნის მისაღებად გამოგზავნა. ეს იყო უწმინდესი, უპატიოსნესი პიროვნება, რომლის არსიც გერმანიაში ჩამოყალიბდა. მის შესახებ მგონი უკვე მოგითხრეთ ორიოდ ეპიზოდი, შოთა დუმბაძე, ნამდვილი გურული. ისე სწრაფად ლაპარაკობდა, რომ არავის ესმოდა მისი ნათქვამი. რომ დამიჭერდა აღარ მიშვებდა, მიყვებოდა ჩემი გონებისათვის მიუწვდომელ ამბებს. მე რასაკვირველია მის ნალაპარაკებს არ ვუსმენდი, ხოლო მსმენელის შთაბეჭდილება რომ შემექმნა, ზოგჯერ გავიღიმებდი ან მწუხარე სახეს მივიღებდი. ის კი გაწიწმატდებოდა და მომახლიდა:

- ძამა, შენ რა პრაფისორი ხარ, ჩემი ბიძაშვილი გააციმბირეს და შენ გეცინება?

- მეგონა ციმბირიდან გაიქცა და იმიტომ ვიღიმები - მივუგე.

- გურულ კაც ციმბირში რა გააჩერებს? გეიქცა, გეიქცა, მარა ჯერ არ გაქცეულა - მიპასუხა.

კარგი ფეხბურთელი იყო, ლამაზი, ფიცხი და შემართებული. მისი ამხანაგები მეუბნებოდნენ, რომ რუსის და სომხის ბარიშნებში დაძრწოდა და

მათ მოტრფიალეებს ცხვირს უმტვრევდა. იყო აგრეთვე (და ახლაც წარმატებით მიუდის საქმე) ბაბრიკი, რწმენით ებრაელი, ძალიან კარგი დამხმარე ბიჭი. ცოლი რუსი ყავდა...

შირო ბეი-ში(?) ცხოვრობს ბოცო კორიშელი, უაღრესად საქმიანი, მაგარი მშრომელი, უნივერსალური ხელობის. პატარა ეპიზოდი: ერთ დღეს მოვიწვიე ყველა კალიფორნიელი ქართველი. გავაკეთე მწვადები და ხინკლები. ყველა გახარებული მიირთმევდა. არჩილ გომართელმა მოწუწნის მაგიერ ხინკალს უკბინა, რის შედეგადაც, როგორც მოსალოდნელია, წვენმა აქეთ-იქით გაასხა. გაკვირვებულმა არჩილმა მითხრა: „ბატონო თუ ამისთანა ცვრიან საჭმელზე მპატიჟობდი გეთქვა და ზონტიკს მოვიტანდი“-ო. არჩილს ხინკალი არასოდეს ეჭამა. სხვათა შორის, არჩილს დასავლეთის ქვეყნებში ცხოვრებამ, არავითარი დაღი არ დაამჩნია. მეტყველებით, სხეულის მოძრაობით და თავისი კილოთი, ეს კეთილად ზრდილი, მომცრო ტანის ბატონი, იმერეთიდან გუშინ ჩამოსულს ჰგავდა... სანტა ბარბარაში იყვნენ ორნი: მიშა ჭელიძე და ვახტანგ სიხარულიძე, პირველი იმერელი, მეორე კახელი. მიშამ – რომლის ნამდვილი სახელი იყო იაფეტი, არჩილის მსგავსად თავისი დასავლური კილო შეინარჩუნა. მას ჰყავდა მშვენიერი დობერმან პინჩერი, რომელსაც წვრთნიდა შემტევად, რადგან მის არეში ქურდები მომრავლდნენ. მოახვევდა სამოსელს ფორთოხალის ხეს და უბრძანებდა ძაღლს: „ატაკე“. დაგეშილი ძაღლიც მივარდებოდა ხეზე შემოხვეულ ჩვრებს და ნაკუწ-ნაკუწად აქცევდა. ერთხელ მის გარაჟში, რომელიც მისი სახელოსნო იყო, ორი ქურდი შეძვრა, მიშამ მოიხმო თავისი ძაღლი და უბრძანა: „ატაკეე“. ძაღლი მივარდა არა ქურდებს, არამედ ხეზე შემოხვეულ ჩვრებს და გლეჯა დაუწყო. ამის შემყურე ქურდები კი ხარხარებდნენ. ახლა ყველა ეს ქართველი, გარდა ბოცო კორიშელისა, საიქიოს გაემგზავრენ. ჩემი ძველი თბილისელი მეგობრებიდან და შეიძლება ითქვას, მეორე მსოფლიო ომის დროინდელი „ემიგრანტებიდან“, დასავლეთში დარჩა მხოლოდ ეს ბოცო და ჩემი თბილისელი მეგობარი რეზო გოგიტიძე, რომელმაც ითხოვა ნელი მდივანი და პარიზში განისვენებს. მან შექმნა მშვენიერი ოჯახი. ჰყავს ქალ-ვაჟი. ვაჟმა, რომელიც ჩინებულ ქართულს მეტყველებს, შეირთო ფრანგი ქალი, ეყოლათ ორი მშვენიერი ბიჭუნა. შურიანი რომ ვიყო, მისი იდეალური ოჯახი შემშურდებოდა და რადგან შური ჩემში არ არსებობს, აღტაცებული და გახარებული ვარ... უნდა მოვიხსენიო ლოს-ანჯელსში მცხოვრები ნინო ჯავახიშვილი, რომელიც არის შვილი გოგი ჯავახიშვილისა, პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ემიგრანტისა (სიკო კობიაშვილის, მიშა დადიანისა და სხვა მრავალთა მსგავსად, იუნკერისა, რომელიც ჩვენი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ტაბახმელასა და სარიყამიშში იბრძოდა. დამარცხების შემდეგ პოლონეთში გაიხიზნა და მათ ჯარში ჩაირიცხა). ნინა მართლაც უაღრესად გულკეთილი ქალია და სტუმართმოყვარეც. ხშირად ლონდონიდან მასთან ჩამოდიან ძველი მეგობრები, რომლებსაც პატიჟებს ხოლმე მექსიკაში. იქ პოლონურად მაგარ სასმელებს ხუხავენ, პურმარილობენ, დროს ატარებენ და უკან დაბრუნებისას ყოველთვის ჩვენთან ჩერდებიან, რადგან მექსიკაში დამაკავშირებელი გზა ჩვენ სოფელზე გადის, ვახშმობენ და შემდეგ გზას განაგრძობენ ლოს-ანჯელესისაკენ. ამას წინათაც, ჩვეულებისამებრ, მექსიკიდან ჩვენთან უნდა მოსულიყო ნინა, მისი ქმარი, ინჟინერი ანდრიუ და მისი სტუმრები, მაგრამ არ მოვიდნენ. დავურეკეთ ნინოს, ვკითხეთ მოუსვლელობის მიზეზი, მან დაიკვნესა და გვითხრა: ენსენადას რესტორანში (მექსიკაში) მარცხი მომივიდა, ფეხსადგილზე

დავჯექი, ფეხსადგილი ჩაიმტვრა და იქით გადავარდა, მე კი აქეთ გადმოვარდი და თეძო გავიტეხე, ექიმებმა ლურსმნების ჩარჭობით შემაკეთეს და ძლივს ვბანცალებო. ნინო სქელი ქალია და თქმა არ უნდა, ერთი ზედმეტი ჭიქაც გადაუხუხია, თორემ ეს მარცხი არ მოხდებოდა. ამგვარი ინციდენტი მისთვის უჩვეულო არ არის. ერთხელ, იმავე ენსენადას პოპულარულ რესტორანში ვიპურმარმარილეთ და რასაკვირველია დიდი „მარგარიტები“ ვხუხეთ. მერე რესტორნიდან გამოვედით, გზა გადავჭერით და ერთმეტრიანი სიმაღლის გრძელ სქელ კედელზე, რომელიც გზას ზღვის ტალღებიდან იცავდა, დავჯექით და „მარგარიტა“-ს სმა განვაგრძეთ. ნინომ „სადღეგრძელო“ დაამთავრა, მისებრ მსუქანი ჭიქა ასწია, თითქმის გამოცალა, წონასწორობა ვეღარ შეიკავა, ფეხები ჰაერში აასავსავა, უკან გადავარდა და სილაში ჩაეფლო. მაშინ მარცხი არ მოსვლია. მისი ქონიანი სხეული ამორტიზაციისათვის იყო გამოსადეგი. ნინოს დოქტორის ხარისხი აქვს, UCLA-ს უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა მიკრობიოლოგიაში და თანადროულად ლაბორატორიაში რაღაც პროექტებზე მუშაობდა. ნინას სხვადასხვაგვარი ხიფათი გამუდმებით თან სდევდა. აი კიდევ ერთი სასაცილო–სატირალი ეპიზოდი რომელიც აგრეთვე მექსიკაში განვიცადეთ. რესტორანში ვისადილეთ, რის შემდეგაც გადავწყიტეთ გასეირნება. მე და ანდრიუ მივდივართ წინ, ნინა და ირინე კი ჩამოგვრჩნენ, რადგან ნინა, პერპეტუმობილე თხრობის გამო, დიდხანს ჩერდებოდა ხოლმე. ანაზდეულად მოგვესმა ყვირილი, ბინდი იყო და ვერაფერი გავარჩიეთ. გავქანდით ჩვენი კნეინებისაკენ და რას ვხედავთ: ნინა ნახევარი ტანით ჩავარდნილა წყლის საზომ ორმოში, ირინე კი ნინას ზედ დასცემია, იქვეა ვიღაც ბებერი ფოკუზნიკი, დიდი თუთიყუშებით მხარზე და ამაოდ ცდილობს ბარიშნების ორმოდან ამოყვანას. „ბარიშნების“ ოხვრა-კვნესა და ხმამაღალი შეძახილები ვერ ჩრდილავენ შეშინებული თუთიყუშების საშინელ კივილს, ხალხი მორბის საშველად. ეს ჩვენი ბარიშნები ამოვათრიეთ შიშით, რომ შეიძლება სხეული მძიმედ დაუზიანდათ, მაგრამ ზეციერმა ბატონმა აქაც გვიშველა: ნინას დაბეჟილ-დალურჯებული ხორცისა და განცდილი შიშის მეტი სერიოზული ზიანი არ მოსვლია, ირინე კი სავსებით უვნებლად გადარჩა. მითხრა „ნინამ ჩამიყოლია და მასზედ დავეცი, როგორც რბილ ბალიშზე“-ო.

ვინც კი მექსიკაში წასვლას მოინდომებდა, მე და ირინეც უნდა შევერთებოდით, რადგან სხვა თუ არაფერი, ჩვენ ვიყავით ესპანური ენის ერთადერთი მცოდნენი. უცნაური ეპიზოდების სიმრავლე კი იმითი აიხსნება, რომ ხალხი იქ სალოცავად კი არა, დროს გასატარებლად მიდის, რაც მათ უცხო და შეუცნობ ქვეყანაში არაჩვეულებრივ მდგომარეობაში აყენებს.

ერთხელ, დათა ჩხატარაშვილი და მისი ცოლი ქეთი გვესტუმრა. ვზივართ ზღვისპირზე და ვხუმრობთ. დათას გაახსენდა სასაცილო ამბავი, რომელსაც ირინეს უყვება: ნიუ-იორკიდან ძველი მეგობრები გვესტუმრა, ერთი მათგანი არგენტინიდან ჩამოსული ქართველი, ცოლით. მომცრო ტანის, თხელი და ჩამომხმარი სხეულით, ეს 96 წლის კაცი აქეთ-იქით დადის და სილაზე გართხმულ ტიტლიკანა ბარიშნებს აშტერდება. დათა ეუბნება:

- გაიხადე ეს გრძელი შარვალი და ბარიშნებს უფრო მეტად მოეწონები.
- საბანაო ნიფხავი რომ არა მაქვს?
- არა უშავს ლეღვის ფოთოლს მოგართმევთ. ამის გამგონე მისი ცოლი აიმრიზა და უკმაყოფილოდ თქვა:
- მაგას ლიმონის ფოთოლიც ეყოფა“...

დათას ვუთხარი: „თავის დროზე შენ ბარიშნების მუსუსი იყავი“, არაო – თავი მოიკატუნა. მე კი მგონია, რომ თუ შენ ეკლესიაში ცოდვების მოსანანიებლად შეხვალ, მღვდელმა შვებულება უნდა აიღოს...

ტრივიალური ამბების თხრობით თავი მოგაწყინეთ, მაგრამ იმედი მაქვს, ჩვენი ყოველდღიური მოქალაქური, ავ-კარგიანი ცხოვრების სურათი ნაწილობრივ მაინც შევქმენი.

ყურუმსაღ როლფის მეტიჩრობანი

ჩვენ გვყავს ოჯახის ძველი მეგობარი: გერმანელი ცოლ-ქმარი. მეტისმეტად გულსხმიერი და პატიოსანი ადამიანები. ქმრის სახელია როლფი, პროფესიით სახელოვანი ფიზიკოსი, პიროვნულად ერთგული მეგობარი, მაგრამ შეპყრობილია აუტანელი სენით: თუ მოგიხელთა შეგიკლავს განუწყვეტელი ლაპარაკით. არ გაცდის, რომ ერთი სიტყვა ჩაურთო. ამის გამო, მას აღარ ვეკარები. მისი თხელი, გამხმარი ცოლი, ბარბალეც ვერ უძლებს მის „ავტორიტეტულ“ ქაქანს, რის გამოც იშოვა ტურისტული სამსახური – ექსკურსიამძღოლობა. გერმანიიდან ჩამოსულ ტურისტებს დიდი ავტობუსით ატარებს კალიფორნიაში, უხსნის და აჩვენებს სხვადასხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს. ამგვარად, სამიოდე კვირა ქმარს თავს აღწევს და ფულსაც შოულობს. როცა ტურისტები არ არიან, სტუმრობს მეგობრებთან. ამას წინათ, ახალ ზელანდიაშიც კი წავიდა იქაური არაჩვეულებრივი ცხოველ-ფრინველების, მცენარეებისა და ადგილობრივი ველურების შესასწავლად. ქმართან ყოფნას ველურებთან ყოფნა მირჩევნიაო (თუ არ შეჭამენ?). სხვაფრივ მათ მჭიდრო ცოლ–ქმრობა აქვთ: როგორღაც ორივე თავისთვის სასიამოვნო გარემოცვასა ქმნის.

უკაცრაული პასუხია; ეს როლფი ცოტა მეტიჩარაც არის დონ კიხოტივით შეაკოწიწებს ხოლმე რაღაც ფანტასტიურ გეგმებს, რომლის განხორციელებაც არ ძალუძს. ამას წინათ დაიჩემა კატმანდუში წასვლა, რომ იქ მაღალ მთებზე ასულიყო. დიდი ხნით გეგმავდა ამ აკვიატებულ პროექტს, შემოიკრიბა ბელგიელი, ფრანგი და გერმანელი ენთუზიასტები და ერთ მშვენიერ დღეს დაიძრა კატმანდუსაკენ, სადაც შეხვდა თავისი ექსპედიციის სხვა წევრებს. კლიმატიური შეგუების შემდეგ დაიძრენ მთებისაკენ, რომლის დროსაც გამოაშკარავდა რომ მას მთებში სიარული არ ძალუძდა და სოფელში უნდა დარჩენილიყო. სხვებმა მისი ცოლის ჩათვლით, განახორციელეს როლფის გეგმა უმისოდ. დაიჩემა: სვანეთში უნდა წავიდე და ვნახო რა საქმეს აკეთებს ბატონი შრადე (ჩვენი საერთო ნაცნობი). როლფს ჩავჩიჩინე, რომ თბილისში და იქიდან სვანეთში წასვლა სისულელეა, მით უფრო რომ მას არ ჰქონდა საამისო მაიძულებელი მიზეზი. ის კი შეჯდა ვირზე და გადმოსვლა არ ინება. წავიდა თბილისში და გაჩერდა პროფ. ოთარ ჯაფარიძესთან, წაიმეტიჩრა, აქეთ-იქით მიმოიარა, საელჩოებში და სხვა ოფიციალურ უწყებებში ცხვირი შეყო, რის შედეგადაც გერმანიის საელჩომ(?) ვახშმად დაპატიჟა. საამისოდ გამოიწკიპა და ლიფტით ქვემოთ რომ ჩადიოდა ლიფტი გაჩერდა ქვემოთ, მაგრამ კაბინისა და კიბის იატაკი ერთ დონეზე არ იყო, რის გამოც როლფმა წაიბორძიკა და იატაკზე დაეცა. ეს თითქოს უბრალო შემთხვევა იყო, მაგრამ მალე დაეწყო მაგარი ტკივილები და გამოირკვა, რომ მას თეძო ჰქონდა მოტეხილი თუ გაბზარული. საჭირო გახდა მკურნალობა, მეგობრებმა ურჩიეს უკან კალიფორნიაში დაბრუნება, მაგრამ აქაც დაბრკოლება - აეროდრომზე მისაყვანად ვერ იშოვეს შესაფერი ტრანსპორტი. დიდი ბჭობის

შემდეგ მოიყვანეს კატაფალკა და ასე მიაგორეს აეროდრომამდის. თვითმფრინავში ასვლაც იოლი არ გამოდგა. ტკივილების გამო კიბეზე მუხლებით და ხოხვით უნდა ასულიყო. „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი".

ჰავაის კუნძულ კავაიზე გამგზავრება

რადგან მოგზაურობაზე ჩამოვარდა სიტყვა, უადგილო არ იქნება გავიხსენო ჩემი და ირინეს პირველი სტუმრობა ჰავაის კუნძულებზე; როდესაც ადამიანი კლიმატიურად, სოციალურად და ფლორა-ფაუნით უცხო – უკეთ საუცხოო – გარემოცვაში მოხვდება, მის სანახებში გარემოს დაკვირვება-გაცნობის სურვილი მატულობს. ამიტომ იყო, რომ მე და ირინემ ბავშვებთან - ეთერთან და მიხოსთან ერთად, კალიფორნიის სანახებში და მის გარეთ მოგზაურობა გავააქტიურეთ. ერთხელ გადავწყვიტეთ ჰავაის კუნძულების მონახულებაც. მით უფრო, რომ ჩემი მოწიფული (49 წლის) მოწაფის ქმარს კავაის კუნძულზე ბინები ჰქონდა (კავაი არის ერთი შვიდ კუნძულთაგან ჰავაიში. ცოლ-ქმარი ებრაელები იყვნენ, დასაწყისში უაღრესად ღარიბები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს ძალიან გამდიდრდნენ. ქმარმა დაამთავრა საექიმო, შეიძინა საკუთარი ჰოსპიტალი, იყიდა მიწები, ბინები. ცხოვრობდნენ ბევერლი ჰილსში დიდ სახლში, საცურაო აუზით, კორტებითა და სასტუმროთი), რომლებსაც აქირავებდა, ჩვენ ნახევარ ფასად მოგვაქირავა. ავიბარგეთ და გავსწიეთ კავაისაკენ, სადაც ორი კვირით უნდა დავრჩენილიყავით. ხუთსაათიანი ფრენის შემდეგ მივაღწიეთ კუნძულს; იქვე აეროდრომზე ვიქირავეთ ავტომობილი და მივედით ჩვენთვის გამზადებულ ბინაში, მშვენიერი ავეჯით, სამზარეულოთი და აბაზანით. მას ჰქონდა ჩინებული მოზრდილი აივანი, საიდანაც იშლებოდა ცხოველხატული ეგზოტიკური მანზარა და ზღვა - უშუალოდ ჩვენი ბინის წინ. მეორე დღეს გავედით ზღვის პირთან ნაშენ დიდ საცურაო აუზთან, მე ჩვეულებისამებრ წამოღებული მქონდა წიგნების დასტა, რომ დასვენება-გართობასთან ერთად ცოტაც მეშრომა. წამოვწექი შეზლონგზე და დავიწყე კითხვა, რაც უნაყოფო იყო, მეტი კონცენტრაციისათვის თავს ძალა დავატანე, მეორე დღეს კი ისე ვიყავი გარინდებული, რომ წიგნი ყირამალა მეჭირა. მალე მივხვდი, რომ ჰავაი სწავლებისათვის გამოუსადეგარია; ყვავილების ისეთი მათრობელა სუნია, ისეთი სასიამოვნო სითბო და თვალწარმტაცი გარემოცვა ტიტლიკანა წაბლისფერი ბარიშნების, ეშხიანი, პროვოკაციული გამომწვევი თვალებით და ველური სიმშვენიერის ატყორცნილი სხეულით, რომ იმ გარემოცვაში, ორსტრიქონიანი მოკითხვის ბარათის წერაც დაგეზარება. მოკლე დროში შევიცანი, რომ ჰავაი არის უნიკალური ადგილი, სადაც კაცს აბსოლუტური სიზარმაცისა არ გცხვენია, რამეთუ „ტკბილი სიზარმაცეა და მდინარეც სავსეა თითქოს თეთრი გედებით" (პაოლო იაშვილისაა?). ამგვარად, ტოტალურად ისვენებ და უსირცხვილოდ, პარაზიტულად ნებივრობ. განმარტოების მიზნით, ჩვენ დავდიოდით ე.წ. გველების უბესთან (კავაიში გველები არ არის. ეს სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ ტურისტები შეეშინებინათ იქ არ მისულიყვნენ და მშვენიერი სანაპირო არ გაეფუჭებინათ), რომელიც ტროპიკული მცენარეებით და ყვავილებით არის გარშემორტყმული. თვალუწვდენი ზღვა სუფთა და მშვიდია („ზღვა იყო წყნარი და ისე მშვიდი რომ აღარ მახსოვს იყო თუ არა" ვისია?). ზღვაში ჩაყვინთავ და ხედავ საუცხოო სამყაროს, კლაკნილი მცენარეებით და ნაირფერი თევზებით დამშვენებულს; ვხედავ ორ ადგილობრივ მატრონას, უბრალო ჯოხებზე

წამოცმული ანკესებით. სათევზაოდ მოვიდნენ, ნახევარ საათში დაიჭირეს თევზები და ნელი დარბაისლური ნაბიჯებით უკან ბრუნდებიან. ჩამომიარეს მე ვეღარ მოვითმინე და ვეკითხები: „რატომ ბრუნდებით ასე მალე, რატომ მეტ თევზს არ იჭერთ?“ „აი ეს ერთი თევზი დავიჭირე, რომელიც სადილად მეყოფა, მეტი არ მჭირდება.“ „მაშ შენ მეგობარს რატომა აქვს ორი თევზი?“ „ერთი თავისთვის უნდა და მეორე მეზობლისთვის დაიჭირა“ მპასუხობს. მისმა პასუხმა გამაოცა, რადგან მსგავს შემთხვევებს ბაზარშიც გადავეყარე. მალე მივხვდი, რომ კავაის ადგილობრივ მოსახლეობას სიმდიდრის დახროვება არ ახასიათებს, არ არიან გაუმაძღარნი. დღევანდელი საზრდოს შოვნით კმაყოფილდებიან, ხვალ ბუნება კიდევ მისცემს საჭირო საზრდოს. „ათი თევზი რომ დავიჭირო რა ვუყო მათ? მე ერთის მეტი არა მჭირდება“, მეუბნებოდა ეს ფეხშიშველა დედაბერი. ასეთი მსოფლმეხდველობა, არაბების ფილოსოფიას მაგონებს. „იყავი მადლიერი დღევანდელით და ხვალინდელს ღმერთი ხვალ გიბოძებს“. ეს ფილოსოფია დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ევროპის და უფრო მეტად ამერიკელების პრაგმატული გაუმაძღრობის ფილოსოფიას; აქ ადამიანის ღირსება მისი მატერიალური სიმდიდრით იზომება, ამიტომ შემოსავლის ზრდის განუწყვეტელ საქმეში არიან გაბმული და ნორმალური ცხოვრების სიტკბოებას ნაკლებად გრძნობენ...

კავაიზე არის ერთი ისტორიული მნიშვნელობის ყურე (მუზეუმით), სადაც გემებით მეთვრამეტე საუკუნეში ციმბირიდან გასაყიდად ბეწვეულობა მოჰქონდათ. იქ იპოვება ლითონზე რუსულ ენაზე ჩამოსხმული წარწერები.

ამას წინათ, ჩემმა კარგმა ამხანაგმა აკადემიკოსმა გიორგი მელიქიშვილმა, რომელსაც 23-ე შრომის სკოლის პირველი კლასიდან ვიცნობ, გამახარა დათა ჩხატარაშვილის ძმის კოკოშას მოთხრობის გამოგზავნით, რომელიც თბილისის გაზეთში გაგრძელებებით იყო გამოქვეყნებული. ის რაც დათას აკლია – თხრობა და მართლწერა – კოკოშას განუსაზღვრელი სიუხვითა აქვს ბოძებული. მან დიდი დამაჯერებლობით და ადამიანური სითბოთი აღწერა ის წარმოუდგენელი ტრაგედია, რომელიც განიცადეს მათმა მშობლებმა და ნათესავებმა, რომელთა შვილებმა თუ ქმრებმა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნების მაგიერ, უცხოეთში დარჩენა ამჯობინეს. კოკოშა მკითხველს დეტალურად მოუთხრობს ქართველების, მისი ოჯახისა და თვით კოკოშას გადასახლების პროცესს. ზამთარში, ცხოველებისათვის განკუთვნილი ვაგონებით იძულებითი მგზავრობის დროს, თბილისიდან ტაჯიკისტან-ყირგისტანის მხარეში გადასახლებულები, ზოგი ჩვილი ბავშვით, როგორ ტანჯვა-წამებას და წარმოუდგენელ სიძნელეებს განიცდიდნენ. მოთხრობაში აღწერილია ერთი არაჩვეულებრივი ეპიზოდი: ნახევრად გაყინულ, მშიერ-მწყურვალ ქართველებს სახეზე ცრემლი არ უშრებათ და ოხვრა-კვნესას მოუცავს არე. უცბად, კოკოშა, ჩვენი ბავშვობის ამხანაგის გედე ასათიანის მამას ხედავს, რომელიც მხართეძოზე იყო წამოწოლილი და სიამოვნებით ღიღინებდა. კოკოშამ გაიკვირვა ეს საქციელი და მიზეზი ჰკითხა. „გავიგე ჩემი შვილი გედე ცოცხალი ყოფილა, რაც მახარებს და რაც სიძნელეებს ფარავს“-ო. შემდეგ კოკოშა აღწერს გედეს თვითმკვლელობას განუკურნებელი პანკრეასის კიბოს გამო. აქ მსურს დავუმატო ჩემთვის დათას ნათქვამი, დათას გარდაცვალებამდე ორიოდე კვირის წინ, ჩემთან სტუმრობის დროს. გედეს მისთვის უთხოვია საწამლავი, დათას საწამლავი გაუგზანია. ეს საწამლავი გედემ მიიღო, მაგრამ უშედეგოდ. „გედემ დამირეკა და მითხრა: თუ ჩემი ოდნავი პატივისცემა გაქვს, ორმაგი

დოზის საწამლავი გამომიგზავნეო“. დათამ გედეს თხოვნა აუსრულა. ამჯერად საწამლავმა თავისი ფუნქცია შეასრულა, ხოლო გულდამწვარმა დედამისმა - ქეთომ, რომელიც მაშინ თბილისიდან გედესთან ამერიკაში იყო ჩამოსული, ეს უბედურება ვერ აიტანა და ორი დღის შემდეგ შვილს მიჰყვა. დედაშვილის ფერფლი თბილისში ჩაიტანეს და იქ დაკრძალეს.

მგზავრობა კარლსბადიდან გერმანიისკენ, საშუალო საუკუნეების ხუროთმოძღვრების გამოფენის მოწყობის მიზნით

პენსიაში გასვლისა და ბევერლი ჰილსიდან კარლსბადში გადმოსახლების შედეგად, მდიდარ აკადემიურ ბიბლიოთეკებში მუშაობის შესაძლებლობა დავკარგე. ამით შეიზღუდა ჩემი პროფესიული კვლევა-ძიება. 1992-1996 წლებში გამოვაქვეყნე ორიოდ წერილი, მაგრამ ვრცელი მონოგრაფიის დამთავრება ვერ მოვახერხე (მონოგრაფია, რომელიც ეხება საქართველოს ეკლესიების კედლებზე გამოქანდაკებული მხეცებისა და ფრინველების გამოსახულებებს (970-1020 წლები) დავიწყე 1970-იან წლებში). ამიტომაც გადავწყვიტე, 1962 წლიდან მოყოლებული ჩემს მიერ გადაღებული და გამჟღავნებული სურათების გადიდება, მუყაოზე დაკვრა და ამ მასალის გამოფენისათვის მომზადება. ამ გეგმის განხორციელებაში გვერდში ამომიდგნენ გერმანიისა და ავსტრიის უნივერსიტეტები. გერმანულ ენაზე დავწერე გამოფენისათვის გამზადებული სურათების (50X60 სმ.) კატალოგი, გავგზავნე მაინცის უნივერსიტეტში, სადაც მას პროფ. პეშლოვმა დაურთო წინასიტყვაობა. ივლისის დასაწყისში შევკონეთ ეს სურათები, წონით 50 გირვანქა და სან-დიეგოდან მე და ირინე გადმოვფრინდით ფრანკფურტში, სადაც დაგვხვდა პროფ. პეშლოვი, რომელმაც ეს სურათები ჩაიბარა. გერმანელებს ფრანკფურტში ახალი აეროდრომი აქვთ, რომელიც სანიმუშოდ არის მოწყობილი. აი, აქაც ჩანს გერმანიის რაციონალური აზროვნება და ამ აზროვნების საქმედ ქცევა. თუ აეროდრომიდან სხვა ქალაქში გამგზავრება გსურს, ელექტრომატარებელი შიგ შენობაში შემოდის მოსახერხებლად. არც ჭაპანწყვეტა არც მუჯლუგუნები, უაღრესი სისუფთავე და ის რასაც სხვათა ენაზე უწოდებენ „კომფორტს“. ჩავჯექით იქვე მატარებელში, ჩამოვგორდით ფრანკონიის პატარა სოფელ ლიხტენფელცში, სადაც ირინეს ბავშვობის მეგობარი მარგიტი დაგვხვდა და თავისთან წაგვიყვანა, ჩვენთვის სპეციალურად გაკრიალებულ ბინაში. იქიდან კრონახში მობინადრე ირინეს ნათესავებს და მეგობრებს ვესტუმრეთ და უსაზღვროდ ვისიამოვნეთ. ორი კვირის შემდეგ, ავტომობილით, რომელიც ირინეს ძმის შვილმა მოგვცა, გავემგზავრეთ შვეიცარიისკენ ეთერის სანახავად. სოფლებში რომ გავიარეთ, ძველებურად გამაოცა სისუფთავემ და გემოვნებამ, რაც არა მხოლოდ სახლებში და ბაღებში ჩანს, არამედ ყოველ წვრილმანში. დაბომბვით მიწასთან გასწორებული სოფლები და მათი შენობები „აღდგენილი“ კი არა, მოთხოვნილების მიხედვით არის აშენებული (მაგონდება ჩემი თანამემამულის მიერ გამოგზავნილი გაზეთისა და ჟურნალის ამონაჭრები, რომელშიც აღფრთოვანებით აცხადებს ახალი კათედრალური ტაძრის აშენების გადაწყვეტილებას. ეს გადაწყვეტილება გონივრულობის ნუმუში არ არის. ჩვენ უკვე გვაქვს კათედრალური ტაძარი მცხეთაში. ამ პატარა ერს რად უნდა მეორე, ერი დამშეულია და ამ კათედრალის გეგმა-ნახაზები ოშკისა და ბაგრატის ტაძრის შერწყმაა და არა ახალი ამოცანების შესაბამისი). ყველგან გამოსჭვივის

წესრიგი და სისუფთავე. მახსენდება ჩემი უბედური სამშობლო, ვირთხებისა და ნაგვის გარემოცვაში მსხდომი ახალგაზრდების ჯგუფი. მახსენდება აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთი მოუთმენელი ენტუზიასტი ბატონი, რომელმაც გაზეთში გამოქვეყნებული წერილებითა და „გამარჯვებული სამშობლოს სახელით“, თავისი ,,პატრიოტული ვალი” მოიხადა - გერმანელი ერი ლაფში ამოსვარა და მათ დასამცირებლად ბინძური სიტყვები არ დაიშურა. უმეცრებითა ვართ დაბრმავებულნი. ეს ვაჟბატონი, რომელსაც კალამი მართლა უჭრის, ვერ ხედავს რომ თეორიულად უაღრესად მიმზიდველი კომუნისტური დოქტრინა, საქმით ვერ განხორციელდა. წინასწარმეტყველ ისაიას ($11_{,6,7}$), იდეალური საზოგადოების შექმნისათვის („თხა და მგელი ერთად სძოვდეს“....), ადამიანები მოუმზადებელნი შეხვდნენ. ხალხს არ სურს სოციალურ სამოთხეს უცადოს, სურს, ეს სამოთხე აქვე, თავისი არსებობის ხანაში განიცადოს... მეტისმეტად მძიმეა ჩემი ერისათვის ამ გარდამავალი ხანის მონელება, მაგრამ, მწამს, რომ ორი თაობის შემდეგ საქართველო მყარად წამოდგება ფეხზე, აყვავდება და ერთა საერთაშორისო ოჯახში, მაღალ კვარცხლბეკზე, საპატიო ადგილს დაიჭერს. ეს რწმენა დამყარებულია ქართველი ერის ცნობიერებაზე და სხვადასხვა ქვეყნებში ჩემს ხანგრძლივ ხეტიალზე, როდესაც გავეცანი სხვადასხვა ერების ცხოვრების ელემენტებს და მათ ინტელექტუალურ კაპიტალს.

ორი კვირის შემდეგ, დროებით გამოვეთხოვეთ მარგიტს და წავედით ირინეს ძმის მეორე შვილთან, რომელიც გათხოვილია პენსიონერ ქირურგზე, ერთ კოპწია პატარა სოფელ ბეცენშტაინში, სადაც დაგეგმილი იყო ყველა ნათესავის შეხვედრა. იქ ვნახე დიდი ხნის უნახავი, ირინეს მამიდაშვილი, რომელიც ცნობილი „პიანისტკა“ იყო, ახლა ერთ ვირტუოზ ვიოლინისტს აკომპანირებას უწევს... იქ კარგად ვიპურმარილეთ, საუბარით გული მოვიჯერეთ და სამახსოვრო სურათებიც გადავიღეთ, რადგან სიბერეში ყოველი ჩვენთაგანი, „ხვალ“ „მოგონებად“ შეიძლება გადაიქცეს. ირინეს ძმის მეორე ქალიშვილის - მარგოსტის პენსიონერ ქმარს გოტლიბს წინათაც მოვწონდი, ამჯერადაც მეხვეოდა და ხარობდა. მეუბნებოდა: „აი აქ შეკრებილთა შორის შენზე ახლობელი არავინა მყავს და ეს სიმპათია მოდის საქართველოდან, სადაც მე რუსთავის მახლობლად მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვეობაში ვიყავი და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დიდი პატივისცემა განვიცადე“-ო. მომითხრო ერთი ეპიზოდი: ორი თვის წინათ ჩემი დაბადების დღე იყო. ყველა ნათესავ-მეგობარმა თავისებურად მომილოცა. ჩემი ხუთი წლის შვილიშვილი, თეთრ კაბაში ლამაზად გამოწყობილი, ვარდების თაიგულით ხელში, მეტად აღელვებული მომიახლოვდა, გამომიწოდა ვარდები და ბაბუა გოტლიბის მაგიერ (რაც ღმერთის საყვარელს ნიშნავს: Gott – ღმერთი, Lieb - საყვარელი) მოკრძალებით მითხრა: ბაბუა, საყვარელო ღმერთო! (Liebergott, Gotlieb-ის მაგიერ) სიყვარულით მოგილოცავ დაბადების დღეს. ბევრი ვიცინეთ...

შვეიცარიაში ეთერისთან სტუმრობა

მეორე დღეს გამოვემშვიდობეთ ჩვენს ნათესავებს და გავსწიეთ შვეიცარიისაკენ, ეთერის სანახავად და გასამხნევებლად. ჩვენი მოგზაურობა ალპების მთებზე გადასვლით, ძველი მოგონებების განმაცხოველებელი და ისედაც მრავალმხრივ საინტერესო იყო. ირინე მიდიოდა 180-200 კილომეტრის სისწრაფით, რაც თავდაპირველად თავბრუდამხვევი იყო, მაგრამ სულ მალე

შევეჩვიე, ზოგნი უფრო მეტი სიჩქარით დადიოდნენ, რამეთუ გერმანიის ავტომობილები, სწრაფი სრბოლისათვის არის შექმნილი. ბენზინი მართლაც ძვირია, მაგრამ მიუხედავად სწრაფი სიარულისა, მოტორები ამერიკულზე უფრო ნაკლები საწვავით კმაყოფილდებიან. თავდაპირველი გეგმით, ჩვენ შვეიცარიამდის ნელა უნდა გვევლო და ორ დღეში, შაბათს ჩავსულიყავით. ამის მიხედვით დავნიშნეთ პაემანი ეთერისთან, მაგრამ სწრაფი სრბოლის გამო პარასკევს ჩავედით ხუთიოდ საათში. გავიხარეთ – ეთერი სახლში დაგვხვდა. ეთერი ცხოვრობს ტბა ლაგო მაჟორეს ჩრდილოეთით ასკონაში ტბის პირას Via Borgo-ს ქუჩაზე (რომელიც ბევერლი ჰილსის ექვივალენტად არის ცნობილი), პაწაწკინტელა ბინაში, რომელიც უჩვეულო აღნაგობის მიუხედავად, დახვეწილი გემოვნებით არის მოწყობილი: ქვემოთ მისაღები ოთახი, სამზარეულო და საპირფარეშო, ტალანით, ზემო სართულში კი არის საძილე ოთახი და დიდი საპირფარეშო, შხეფით და აბაზანით. რა თქმა უნდა, ერთმანეთის ნახვით უაღრესად გავიხარეთ, მით უმეტეს, რომ ეთერი ასკონაში არა მხოლოდ მარტოა, გაყრასთან დაკავშირებული ჩახლაფორთებული მდგომარეობისა და ფინანსური სიძნელეების გამო შეწუხებულია. არ წუხს პოლთან გაყრას, გემს, თვითმფრინავს და გოდრით ფულს, რასაც ეთერი თავის ნებაზე ხარჯავდა, არც ფეოდალურ ცხოვრებას საუკეთესო მამულში, წუხდა თავის ძაღლებს: გერმანულ „ავჩარკებს“, რომლებიც თვითონ გაზარდა. მე და ირინესაც ძალიან გვიყვარდა ეს ძაღლები, ღამე ძილის დროს სახლის ყველა კარი ღია იყო, რომ ძაღლებს შესძლებოდათ თავისი საყარაულო ფუნქციის შესრულება. მოვიდოდენ ღამე, თათით მოგეალერსებოდენ, გაიგებდნენ რომ ყველაფერი წესრიგშია და გადიოდნენ გარეთ საყარაულოდ. პირველად რომ ვიყავით პოლთან და ეთერისთან სტუმრად, ჩვეულებისამებრ ძაღლი ღამე ჩვენს ოთახში შემოვიდა და მძინარე ირინეს ორივე თათი ნაზად დაადო, მოულოდნელობისაგან ირინემ ისე დაიყვირა, რომ ნაწყენი ძაღლი კუდამოძუებული გარეთ გავიდა და შემდეგ ორი დღე ,,გაბუტული“ იყო, ირინეს არ „ელაპარაკებოდა“...

ეთერის ბინის სიმცირის გამო, გავჩერდით ერთ საფუნდუკეში, რაც დღიურად საუზმითურთ 230 შვეიცარული ფრანკი ღირდა (თითქმის 180 დოლარი). ასკონას შვეიცარიელები მონოტონური, ეშხმოკლებული, უმარილო ხალხია. მაგრამ კარგად იციან თუ როგორ მოხიბლონ - თავისი მშვენიერი მთებით, თვალწარმტაცი მდელოებით, სუფთა, წესრიგიანი გარემოცვით - უცხოელები და განუკითხავად გაატყაონ. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ შვეიცარიაში ჩასულ ადამიანს, „ადრეკილა“ უნდა ჰქონდეს რვალისა და ჯიბე ოქროსი...

ერთხელ, ეთერი და ირინე გარეთ გავიდენ სურსათის საყიდლად და მარტო დავრჩი ეთერის ბინაში. მშვიდად და გულდასმით დავათვალიერე ეს პატარა კოპწია ბინა. ზემო ოთახში, ლოგინზე გადაფარებული იყო დიდი ოსტატობით და მოთმინებით შესრულებული წყლისფერი, საწოლის საფარი, რომელიც ჩემმა ძვირფასმა დამ თინამ ეთერის აჩუქა. დავყურებ ამ რთულ, მშვენიერ, თითქმის სამგანზომილებიან, სპირალური ბურთულებით და სხვა სახეებით გემოვნებით გამდიდრებულ საფარს, რის ქარგვაშიც თინამ სიყვარულით, ოცნებებითა და კეთილი სურვილებით მრავალი დღე დააღამა, რათა ეთერი გაეხარებინა. რამდენი ღრმად განცდილი სიყვარულია ჩაქსოვილი ამ მართლაც „ხელთუქმნელ“ ლოგინის საფარში. ეთერის მეგობარს უნახავს, ძალიან მოსწონებია და ეთერისათვის უთქვამს, თუ შენი მამიდა ამის მსგავს

საფარს გამიკეთებს, ბევრ ფულს მივცემო. ეს თხოვნა თინასთვის არც კი გადამიცია, რადგან ეთერის ლოგინის საფარი მოქსოვა სიყვარულმა და არა ფულმა. ქვემო ოთახში, მეთვრამეტე საუკუნის ძვირფას „სეკრეტერზე“, ნაირგვარ ჩარჩოებში ჩასმული ეთერის ნათესავების სურათები: ირინეს მამა-პაპა სანადირო თოფებით მხარზე, ირინე, როდესაც ის ხუთიოდე წლისა თუ იქნებოდა. მშვენიერ სამოსში გამოწყობილი დგას და უჭირავს ყვავილებით სავსე კალათა, ჩემი სურათი კასიუსის მთის წვერზე და სხვა კიდევ, მათ შორის მამაჩემის და დედაჩემის სურათები, გადაღებული დაახლოებით 1914 წ. მამაჩემი მშვენიერი, კლასიკური გამომეტყველებით: მაშინდელი მოდის მიხედვით, ხშირი თმები შუაში აქვს გაყოფილი, ცხვირი თხელი და სწორხაზოვანი, თითქოს საგანგებოდ გამოქანდაკებული, ორივე მხარეს გადაგრეხილი სქელი მოგრძო ულვაშები და ნიკაპზე ვიწრო თხელი წვერი. ერთი ხელი უცნობ ავეჯს ეყრდნობა და თითები ფაქიზად ლოყაზე აქვს მიდებული (სერიოზული მეოცნების პოზით, ფოტოგრაფის „რეცეპტით“?), ყელზე კი რაღაც რთული ჯვრის ფორმის ბაფთა, ისეთი, რომელსაც არ იკრავენ, არამედ თავის ადგილზე მიამაგრებენ ხოლმე. ამას ადასტურებს ბანტის სირთულე. გაოცებული ვარ, რომ მაჯაზე არ ჩანს პერანგის „მანჟეტები“. მშვიდად იმზირება მამა გვერდზე, თითქოს სივრცეს გასცქერის. მისი მზერა მიმართულია არა რაიმე საგნისაკენ, არამედ უსასრულო სივრცეზე. დავშტერებივარ მამაჩემის გამომეტყველებას და ვცდილობ შევიტყო რას განიცდიდა მამა ამ მომენტში? ცდილობდა გადმოეცა რაიმე სათქმელი ან ჩაექსოვა რაიმე ემოცია? ამას ვერ მივხვდი, ვერ ჩავწვდი, რადგან ეს სურათი არ იყო ბუნებრივი მოქმედების აღმრიცხავი, არც სიცილი, არც მწუხარება, არც კონკრეტული ეპიზოდის ანარეკლი, არამედ წარმავალი ადამიანის მარადიული ღირსების აღმნუსხავი. ყოველი წამიერი განცდა უგულებელყოფილია, რადგან იგი წარმავალია, ემოციის ნატამალიც არ აირეკლება იმავე მიზეზით. მასში ჩაქსოვილია ღირსეული, პატიოსანი, სრულქმნილი ადამიანის მუდმივი, არსებითი თვისებები და ღირსებები. ის რაც ადამიანს ადამიანად ხდის და მარად მაღალხარისხოვანია. მე მგონია ეს სურათი გადაღებული იყო მაშინ, როდესაც ახალგაზრდა მამაჩემის ნანატრი იდეები, ხანმოკლედ მაინც, რეალობად იყო ქცეული. ამ იდეალებმა ზენიტს მიაღწია, როდესაც მამაჩემმა შესძლო სურამისათვის რამდენიმე კეთილი, სარგო საქმის სრულქმნა: საზაფხულო თეატრის აშენება, ფეხბურთის სტადიონის შექმნა და სადგურის ზემოთ, სამხრეთით, გორის მიღმა, ათასობით წიწვიანი ხის დარგვა, რაც ათიოდ წელში დიდ ტყედ იქცა. მაგრამ ჟამთა სიავის გამო მისი მოღვაწეობა ხანმოკლე გამოდგა. მართლაც არაჩვეულებრივია, რომ თბილისში გადაღებულ მამაჩემის სურათს, მისი უცხოეთში გახიზნული შვილი, შვეიცარიაში მისჩერებია და მასთან საუბარს ცდილობს. ეს და დედაჩემის სურათი, ჩემმა დამ - თინამ, თბილისიდან გამოიგზავნა. სურათი მამას თინასათვის უჩუქებია და ზედ ეს ლექსი მიუწერია:

,,ნიშნად ხსოვნისა, მიიღე სახე,
განშორების დროს მით დამინახე,
არ დამივიწყო, მალ-მალე მნახე,
სამარადისოდ მით შეინახე”.

მამამ ცხოვრება (თუ ამას ცხოვრება ეწოდება) დაბრკოლებების, სიძნელეების (ე.წ.,,ეკლიან გზაზე”) გადალახვაში გაატარა და ამ სოფლიდან გაუხარელი გავიდა. ვერ დაიკმაყოფილა უბრალო საწადელიც კი - სცოდნოდა

თავისი ერთადერთი ვაჟიშვილი მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა თუ ცოცხალია. მამა წავიდა 1946 წ. და თან გაიყოლია ჩემი ღრმა მწუხარება, რომ გასაგები მიზეზების გამო ვერ დავეხმარე, გვერდში ვერ ამოვუდექი, როცა მას ჩემი დახმარება ჭირდებოდა. 82 წლისა ვარ, მეც მალე გავუდგები მოუსავლის გზას და თან წავიღებ წლების განმავლობაში ზიდულ სავალალო ტვირთს, რომ ჩემი მშობლებისათვის ბერწი გამოვდექი. წავალ და ჩემი მშობლების მსგავსად, მეც დავიწყების ,,ობლივიონში" მოვექცევი. მხოლოდ ჩემი შვილები, შვილიშვილები და მათი ნაშიერები დააშტერდებიან ჩემი მშობლების, ჩემი და ჩემი ერთგული მეუღლის - ირინეს სურათებს და ამაოდ შეეცდებიან ამოიკითხონ ჩვენი ცხოვრების არსი.

მცხუნვარე ასკონადან ეთერი წავიყვანეთ ტიროლის მაღალმთიან სოფელ სენაში, რომელიც თავისი ციცაბო მთებით სვანეთს მოგაგონებს, თუმცა მისი სიმაღლე ნაკლებია. დავბინავდით ყვავილებში ჩაფლულ ერთ მშვენიერ პანსიონში. მას აქვს თვალწარმტაცი გადასახადი ქვემო სოფლებისაკენ და თოვლით დაფარული მთის მწვერვალებისაკენ. პანსიონს ორი საცურაო აუზი აქვს: ერთი გარეთ, ყვავილების ბაღში, მეორე თბილი წყლით თვით შენობაში. დილით განუსაზღვრელი საუზმე, საღამოს ხუთი თეფშის გემრიელი ვახშამი, დილა-საღამოს შორის კი დავსეირნობთ წიწვიან ტყეში სპეციალურ ბილიკებზე, რომელთა გასწვრივ, ყოველ ორ კილომეტრზე სკამებია დასვენებისათვის, ბაგირით ავდივართ მთებში ან დავდივართ მუზეუმებისა და ეკლესიების დასათვალიერებლად. იქაურ საფეოდალოებში თუ სათავადოებში, კარგ მდგომარეობაში დღემდე შემორჩა ციხე-სიმაგრეები, რომლებიც დღემდე ,,ცოცხლობენ", შიგ ხალხი ცხოვრობს, მუზეუმებად არის ქცეული, ან კონცერტებს მართავენ ეგზოტიკურ გარემოცვაში. ყველაფერს მზრუნველი ხელი ატყვია. ამ მხარეში განვითარებულია ტურიზმი და მოსახლეობის უმთავრესი შემოსავალი სწორედ ეს არის, არა მხოლოდ ზაფხულში, ზამთარშიც უამრავი მოთხილამურე ჩამოდის... ვერ გამიგია, რატომ არ აწყობენ ჩემი თანამემამულეები ამგვარ პანსიონებს საქართველოში, სვანეთში ან სხვა მიმზიდველ ადგილებში. წესრიგი, მასლაათის მაგიერ საქმე, ფეხზე წამოგვაყენებს ჩვენივე შრომა და არა სხვათა ნასუფრალით კვება. ძირს ნაცარქექაობა, გაუმარჯოს თოხსა და ბარს... ათი დღის შემდეგ გავიყარენით. ეთერი დაუბრუნდა ასკონას, ჩვენ კი მოვაღწიეთ კრონახს მარგიტთან, იქიდან ვესტუმრეთ ბამბერგის უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც ჩვენი სურათების გამოფენას ამზადებდა. სამი დღის შემდეგ ისევ ფრანკფურტს დავუბრუნდით, სადაც პროფ. პეშლოვი გაგვიმასპინძლდა. მოლაპარაკებების შემდეგ გამოვეთხოვეთ და გამოვფრინდით სან-დიეგოსაკენ, იქიდან კი შუაღამისას მოგვიყვანეს კარლსბადში, შევედით ჩვენს სახლში, გავიშხლართეთ სავარძელზე და შვებით ამოვისუნთქეთ. სახლში ყოფნით მართლაც შვებით ამოვისუნთქეთ, მაგრამ მეორე ღამეს შემეკრა სუნთქვა, კინაღამ სული განუტევე. ირინემ საჩქაროდ ჰოსპიტალში წამიყვანა, სადაც გველოდნენ და მომზადებულნი იყვნენ. სხვადასხვა წამლების ჩასუნთქვით მომასულიერეს, მაგრამ საავადმყოფოში დავრჩი 3-4 დღე, გამუდმებული თვალყურის ქვეშ. დიაგნოზი: ბრონქიალური ასთმა და ფილტვების ანთება. ეს ბაცილები თურმე თვითმფრინავში მივიღე, რადგან თვითმფრინავში ჰაერს არ წმენდენ სათანადო ფილტრებით, მხოლოდ აცივებენ და მის ცირკულაციას აწარმოებენ. ფილტრაციას ბევრი საწვავი სჭირდებაო...

ერთი კვირის შემდეგ, ბამბერგის უნივერსიტეტის რექტორმა გამოგვიგზავნა E-mail და გვამცნო, რომ საქართველოს საშუალო საუკუნეების

ხუროთმოძღვრების სურათების გამოფენა დიდი წარმატებით მიმდინარეობსო... ჩემი ავადმყოფობის და დიდი სიცხის გამო, ტენისის თამაში არ შეიძლებოდა, რამაც გადამაწყვეტინა მარჯვენა ფეხის კოტოტის მოჭრა. ოპერაცია გამიკეთეს ლოკალური ანესთეზიით. ოპერაციამ კარგად ჩაიარა, როგორც მოსალოდნელი იყო, მაგრამ ორი-სამი კვირა უნდა ვიკოჭლო და ფეხის გული ზემოთ უნდა მქონდეს, ამითი აიხსნება ჩემი ,,ბატი-ფეხური" წერა... ჩემს მეზობელ მერის ველაპარაკებოდი, შემდეგ ეთერის დავურეკე და შეცდომით ვკითხე ,,მერი როგორ ხარ?" და დაუყოვნებლივ ვცადე შეცდომის გამოსწორება. ეთერიმ კი მითხრა, ნუ გამოასწორებ, მესიამოვნა, მეგონა რომ წმინდანების შარავანდედით შემმოსეო...

ამის შემდეგ, ორიოდ თვე გავიდა, ირინე ჩამაცივდა, ავტომატური სარწყავი სისტემა უნდა გამოასწორო, უწესოდ მუშაობსო. სისხამ დილას, მზის ამოსვლამდე, ხუთ საათზე, როდესაც სარწყავი სისტემა მუშაობდა, გავედი გარეთ რომ ზოგიერთი შხეფი გამესწორებინა, ჩვენი ფანჩატურის ფაქიზად მოცემენტებულ იატაკზე, რომელიც აგურის ჩარჩოებშია ჩასმული, გამისხლტა ფეხი, დავეცი მუცელზე და სწრაფი სრიალის დროს თავი (რომელიც აღარ მჭირდება) მივარტყი ყვავილის ქოთანს და გავიტეხე, ხოლო მარცხენა მხარი, პერგოლას კუთხოვან ბოძს, რის შედეგადაც ამომივარდა მკლავის ძვალი, რომელიც 20 სანტიმეტრით ქვევით ჩამოეკიდა და გამიწყდა მხარის ორი ძარღვი. რა თქმა უნდა საშინელი ტკივილები მქონდა. ჩამოკიდებული მკლავის შემხედვარე ირინე უაღრესად შეშინდა, მაინც გონება არ დაუკარგავს, შარვალი ჩამაცვა და წამიყვანა სასწრაფო დახმარების ჰოსპიტალში. რის ვაი-ვაგლახით მკლავის ძვალი მხარის ძვლის საბუდარში ჩააგდეს, ტკივილის გამაყუჩებელი წამალი მომცეს კიდევ უფრო გამაბრუეს, და სახლში გამომისტუმრეს. მეორე დღეს გადამიღეს სურათები ფენებად. ტკივილის დაყუჩების მიუხედავად, ათი დღე თითქმის არ მიძინია. დღეს პარასკევია (20 ნოემბერი), ორშაბათს დავიწყებ ფიზიო–თერაპიულ მკურნალობას... ნათქვამია: „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო". უკანასკნელ ექვს თვეში სამი საშიში კატასტროფა გადავიტანე: ბრონქიალური ასთმა ფილტვების ანთებით, ფეხის ოპერაცია (რაც საშიში არ ყოფილა) და ახლა ეს დაფლეთილი მხარ-მკლავი... ამ კატასტროფული მოვლენების გამო, ჩემი სხეული შეძრწუნებულია. რაღაც უშნო, შავი ყორანი დამჩხავის და არც მაინცის უნივერსიტეტში ჩემი გამოფენის შესახებ მწერენ. უსიამოვნება თუ მომელის?.. ეთერისაც ველაპარაკეთ. ისიც დამწუხრებულია სასამართლოში ალიმენტის მიღების საქმის გართულების გამო.

დაკვირვება ჩემს დასთან - თინასთან მიმოწერის თემაზე

გამაკვირვა ერთმა მოვლენამ; ჩემი დის - თინას წერილები წინათ ისეთი ერთფეროვანი იყო, რომ სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებში მიღებულ წერილებს ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევდი. როგორც ტყუპი ბავშვები ყოველმხრივ ერთმანეთს ემსგავსებოდნენ. როგორც ჩანს, ეს წერილები ანარეკლი იყო იმ ბრალდების საშიშროებისა, რომლის გამო ყველა ძრწოდა. თვით გულუბრყვილო ტრაფარეტული წერილის გაგზავნას საზღვარგარეთ, უკვე საეჭვო ჯაშუშობის სუნი ასდიოდა, რის გამოც, ყველა მოქმედებდა ჩვენი წინაპრების რჩევით - ,,სიფრთხილეს თავი არ სტკივა". ხშირად ვწერდი თინას, რომ ჩვენი ნათესავ-მეგობრებისა და საქართველოში მიმდინარე ამბები მოეწერა,

მაგრამ ამაოდ. თინა თავისას არ იშლიდა და არც იმაზე მპასუხობდა თუ რატომ არ ასრულებდა ჩემს თხოვნას. ახლა კი, კომუნიზმის ტრანსფორმაციისა და სუროგატული დემოკრატიის დამყარების შემდეგ, საყვარელმა თინამ ენა ამოიდგა, მწერს არა მხოლოდ ვრცელ, არამედ მრავალი მოვლენის შესახებ და თავისი საკუთარი აზრის გამოთქმასაც არ ერიდება. მოკლედ, თინას კომუნიზმისდროინდელი წერილები დღევანდელ წერილებს რომ შეადარო, ერთიმეორისაგან განსხვავდება, როგორც დღე და ღამე.

მე კი პირიქით - წინათ თინას ვუგზავნიდი მრავალი ამბების შემცველ წერილებს: ჩვენ ოჯახში მომხდარ ავან-ჩავანს, ლოს ანჯელესის ქართული კოლონიის საქმიანობის ეპიზოდებს, აკადემიურ სარბიელზე მომხდარი მოვლენების ანალიზს, ლოს-ანჯელესის მდუღარე ცხოვრების შესახებ და სხვა მრავალს. ახლა კი პირუკუ ხდება; ლოს-ანჯელესის ჩემი თაობის ყველა ქართველი საიქიოს გზას გაუდგა, მე უნივერსიტეტიდან პენსიაში გავედი, კარლსბადის მყუდრო სოფელში მოვიკალათე, მეგობრების რიცხვიც შემცირდა და დიდი წვეულებებისათვის აღარც ჩვენ გვაქვს ძალ-ღონე. ამიტომ, ჩვენი ცხოვრება ერთფეროვნდება და ბევრი არაფერი მაქვს სათქმელი.

ამას წინათ, თინამ გამომიგზავნა პირველ კლასის მოწაფეებთან და ჩვენს მასწავლებელთან ერთად 23-ე შრომის სკოლაში გადაღებული ჯგუფური სურათი. ამ ანაზდეულმა ძღვენმა ჩემს წარსულს ფარდა ახადა, მოვიგონე არა მხოლოდ მოწაფეთა ნახევარზე მეტის გვარები, არამედ მათთან გატარებული დრო, უკეთ, მათთან ურთიერთობა, მათი ჩართვით, რომელთა გვარები აღარ მახსოვს, მაგრამ მათი ხასიათი და თვისებები დიახაც რომ მეხსიერებაში თანდათანობით აღდგა. თითქმის ოთხმოცი წლის წინათ გადაღებულმა ამ სურათმა მთელი სიკაშკაშით მომაგონა აგრეთვე ჩვენი სკოლის არქიტექტურული ელემენტები, სკოლაში მოღვაწე მასწავლებლები და სხვანიც. სურათის შუა მწკრივში, მარცხნიდან მარჯვნივ სხედან ჩვენზე უფროსი და ჩვენზე დიდი ლუბა აბუსერიძე, შემდეგ მე მოღუნული ტანით, ჩემს გვერდზე ჩვენი მასწავლებელი ქალი, რომელსაც ხელი აქვს ჩემს ზურგზე გადახვეული და ჩემი ხელი თავის ხელში უჭირავს, შემდეგ რუხაძე, ცოტაძე, გალდავა და სხვანი. ამ სურათს დიდხანს ვაშტერდები.

სიბერეში, რომ დაჯდები და ადგომა გეზარება, უფრო ხშირად, ვიდრე წინათ, ოცნება იტაცებს ადამიანს, გსურს ცხოვრების ადრეული ეპიზოდების აღდგენა. ამიტომ არის რომ სურათები, ბავშობის ხანის რეკონსტრუქცია, შენი საკუთარი არსებობის აღდგენაში გეხმარება. მიხაროდა, რომ საბჭოთა კავშირში მომხდარი დიდი გარდატეხის შედეგად, შევძლებდი სურამში, ლენინის ქუჩაზე ბებიაჩემის სახლში და მის მიდამოებში, ჩვენ სახლში კომკავშირის ქუჩაზე და თბილისში, კლარა ცეტკინის ქუჩაზე ჩვენს ბინაში ყოფნას, რათა განვლილი უფრო დამაჯერებლად აღმედგინა, მაგრამ ამ სიამოვნებას ვერ ვეღირსე, რადგან ერთგულმა ნათესავებმა თუ მთავრობამ, ეს ყველაფერი მიყიდ-მოყიდეს, გაიტაც-გამოიტაცეს. ასეთი უწესობა ნეთუ ჩვენი – ქართველების – თვისებაა? უწესობა, რაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პირადად ჩემს მიმართ აშკარად გამომჟღავნდა; განიხილეთ თუ გნებავთ, ჩემი ომში გაწვევის ვერაგული მაგალითი: ორი მიზეზის გამო (დედისერთა ვაჟი და მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი ვიყავი) ომში არ უნდა წავსულიყავი. ამის მიუხედავად, პანღური მკრეს და უიარაღოდ, დაფლეთილი ფეხსამოსით, ომში მიკრეს თავი. ამით შეასრულეს დაკისრებული „კვოტა". ისინი კი, რომლებიც ორ-სამ ვაჟიშვილიანები, არც

ასპირანტები და არც რაიმე სხვა ლეგალური მიზეზით ე.წ. ,,ბრონი”-ს მქონენი ანუ ჯარში გაგზავნისაგან არ იყვნენ დაზღვეულნი, რუსთაველის გამზირზე ჭიკჭიკებდნენ. ეს კორუფცია დღესაც გრძელდება საქართველოს მთავრობაში მოკალათებულ კომუნისტების (და ალბათ უპარტიოთა) მიერ. სოციალისტური მთავრობის ხანაში, ქართველები, თავის ,,დიდ ძმას” რუსეთს წინ და უკან ფულს თუ ქონებას ცინცლავდნენ, რაც მორალურად თითქოს მართლდებოდა, რადგან ჩვენ რუსების მიერ ვიყავით დაპყრობილნი და გვემილნი, მაგრამ დღეს, როდესაც რუსების უღელი გადავაგდეთ (უფრო მართებული იქნებოდა მეთქვა ,,გადაგვიგდეს”, რადგან რუსების უღელი სხვებმა გადაგვიგდეს და თავისუ-ფლება ხონჩით მოგვართვეს), დამოუკიდებელნი და დემოკრატიით ძლევა-მოსილნი ვართ და მთელი ძალ-ღონე–შემლებით ჩვენი ტანჯული სამშობლო უნდა წამოვაყენოთ ფეხზე, ეს საზიზღარი კორუფცია, ნაირგვარი ვერაგობა და სიხარბე კიდევ უფრო მძაფრად გრძელდება. უაღრესად პატიოსანი ქართველი ხალხი კი მართლაც შიმშილობს. ეს არის ანარეკლი კომუნისტების დევიზისა, რომელიც მასებს შთააგონებს: ყოველდღიურ საქმეებზე ფიქრი და საქმიანობა ჩვენი საქმეა, თქვენ კი გააკეთეთ ის, რასაც ჩვენ გეუბნებით და გიბრძანებთ. დღევანდელ პასიურ, პატიოსან ქართველებს არავინ არაფერს ეუბნება, არც იციან თუ როგორ გამოიყენონ ეს ,,ღმრთის მიერ ბოძებული” დემოკრატია. გაიძვერა, დემოკრატიული საღებავებით დამშვენებული კომუნისტები და მათი დამქაშები კი ძველებურად განაგრძობენ ქურდ-ბაცაცობას და მტაცებლობას, რი-თაც სამშობლოს ძირს უთხრიან. საქართველოში დღეს არსებული სავალალო (ვიტყვი: კატასტროფული) მდგომარეობის ღრმად დახასიათება მე არ ძალმიძს, რადგან იქაურ საქმეებში მხოლოდ ზერელედ ვარ ჩახედული და არც პოლიტიკის ისტორიის სპეციალისტი გახლავართ. ჩემი ზემორე ნათქვამი თუ საჩივარი, უფრო საყავეში ზერელე ჭორაობას წააგავს, მაგრამ ჭკუის კოლოფი არ გინდა იყო, დაინახო, რომ საქართველოს დღევანდელი მთავრობა თავის მოვალეობას არ, ან ვერ ასრულებს. ნამდვილი ქაოსი მძვინვარებს და მეზობელი სახელმწიფოები ძერასავით დაგვცქერიან, რომ ხელსაყრელი მდგომარეობის დროს შეგვიხორცონ. ბატონი შევარდნაძე მგონია პატიოსანი პიროვნებაა და მეცოდება, რომ ამ სიბერის დროს მოსვენების მაგიერ ჩახლაფორთებულ საქმეებშია გაჩხირული. უკვე მოღონიერებულ, ქვეგამხედვარე მტაცებელთათვის, მას, ადრევე უნდა ამოედო ლაგამი, ალბათ ახლა აღარ ძალუძს. ჩემი ზერელე წარმოდგენით, დღეს საქართველოში სამი ფენაა: ამ ფენების მწვერვალზეა გაურკვეველი რაოდენო-ბის ქურდ-ბაცაცობით გამდიდრებულნი და მთავრობის მოხელეები. მეორე ფენა ისინია, რომელთაც სამშობლოს თავი დააღწიეს, დროებით უცხოეთში გაიხიზნენ და თავისი შრომით მოპოვებული სახსრებით, საქართველოში თავის ჩაგრულ ნათესავ-მეგობრებს მატერიალურად ეხმარებიან. უმდაბლეს მესამე ფენაში კი მოქცეულია გაძვალტყავებული, ჩაგრული, დამშეული ერის ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, რომელსაც მთავრობისა აღარაფერი არა სწამს და შვებას განრთხმით ლოცვაში იმედოვნებს. მათი ღაღადისა კი ღმერთს არ წვდება ან მათთვის არ ცალია. წარმოდგენა არა მაქვს, თუ რომელ სოციალურ ფენას უნდა მიეკუთვნონ მღვდლები.

ჩემმა მეგობარმა სპეროს ვრიონისმა გამომიგზავნა პროფესორ კონსტა-ნტინოპულოსის სამტომიანი ნაშრომი, რომელიც ბიზანტიის სოციალურ-ეკონომიურ საკითხებს ეხება. იქ, XIV-XV საუკუნეებში არსებული უაღრესად მძიმე ეკონომიური მდგომარეობა და მისი გავლენა ფრთამოტეხილ ბიზანტიის

იმპერიაში, სადაც მდიდარი უფრო მდიდრდებოდა და ღარიბი კი მის შესატყვისად ღარიბდებოდა, დღევანდელ საქართველოსათვის ზედგამოჭრილია. თურქებმა რომ ბიზანტიის მიწების დაპყრობა დაიწყეს, ერმა მის წინააღმდეგ ბრძოლა არ ისურვა: მდიდრებმა იომონო. ზოგ შემთხვევებში გაღატაკებული ერი, არა თუ არ იბრძოდა შემოსეული თურქების წინააღმდეგ, არამედ მას ეხმარებოდა კიდეც .

რეზოს წერილი

ორიოდე სიტყვას დავურთავ, 2001 წლის მაისში, ჩემთვის გამოგზავნილი საყვედურით აღსავსე წერილის შესახებ: რეზო მძრახავს, თითქოს, კომუნისტებს ვუჭერ მხარს. რეზოს აგერ სამოცდაათი წელია ვიცნობ, ის არის მრავალი ღირსებით შემკული, პატიოსანი, ჩინებული საამხანაგო ბიჭი. მაგრამ, როგორც გურული, ფიცხია და ენა მისივე გონებას უსწრებს. აწუხებს საქართველოში მძვინვარე კორუფცია და პატიოსანი მოსახლეობის დაჯაბნა. ერის დამღუპველების უმეტესობაა გაიძვერა კომუნისტები. მე მგონია, სამართლიანობის აღდგენა შეიძლება თუ წესიერი მოსახლეობა სახელმწიფო პროცესში ჩაებმება, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში, დემოკრატიული საშუალებებით მთავრობის უწყებებიდან გამოაძევებს კორუმპირებულ პიროვნებებს და მათ ადგილს დაიჭერს. ძალის გამოყენება არც დასაშვებია და არც არავის ძალუძს... რეზო კი აბრახუნებს, მამტყუნებს, პოლიტიკური ჭორაობით ერთობა, ეკლესიაში დადის, ლოცულობს, ნიანგის ცრემლებს ღვრის და გამსახურდიას მისტირის. გამსახურდია შეიძლება ჩინებული მეცნიერი იყო, მაგრამ პოლიტიკაში ნამდვილად ვერ გამოდგა და ამერიკაც გადაიმტერა. ასეა თუ ისე, ის დამარცხდა. ამიტომ ძველის თუ გარდასული ხანის გამოტირება არავის უშველის, ამის მაგიერ უნდა ვაწარმოოთ ,,რეალ პოლიტიკ". რეალურად შევხედოთ დღეს არსებულ მდგომარეობას და მოვიქცეთ ისე, როგორც ზემოთ ვთქვი, ან სხვა რაიმე საშუალებას მივმართოთ და არა ,,კბილთა ღრჭენანი" და ,,ცრემლთა დენანი". უნდა დავინახოთ არა მხოლოდ უარყოფითი, არამედ გამოვნახოთ ამ უარყოფითის გამოსწორების ან გადალახვის გზები და ლაქლაქის მაგიერ ვაკეთოთ საქმე. რეზოს ეს გზა ჯერჯერობით ვერ უპოვია.

ჩვენი ვაჟიშვილი და მისი ოჯახი

წინათაც აღვნიშნე, რომ ჩემი თავგადასავალის ტექსტი, რაკრაკა მდინარესავით კი არ მიედინება, არამედ ეპიზოდთა შორის ორგანულობა, თუ ქრონოლოგიურობა არის დარღვეული და განმეორებებიც თავსაყარი იქნება. ეს ნაკლი იმითი აიხსნება, რომ ამ ტექსტს ჟამითი-ჟამად, დიდი ხნის განმავლობაში ვწერდი და თანაც ბერიკაცის გულმავიწყობა მაფერხებდა. ეს ირინესაც შევჩივლე, მან კი დამამშვიდა, მითხრა: ,,ნუ სწუხ, არავინ არის სრულქმნილი"-ო. ვუპასუხე: ,,მართალი ხარ, მაგრამ ჩვენ ყველა სრულქმნილებისაკენ უნდა ვისწრაფოდეთ".

ჩემმა შვილმა - ოთარმა (მიხომ), ლოს-ანჯელესში ათწლედი რომ დაასრულა, სან-დიეგოს უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა ბიოლოგიურ ფაკულტეტზე. ამერიკაში უნივერსიტეტში სწავლა მართლაც ძვირია, მაგრამ ბავშობის ხანის მსგავსად, როდესაც ის შუაღამისას დგებოდა და გაზეთებს

არიგებდა, უნივერსიტეტშიც ოთხი საათი ლაბორატორიაში მუშაობდა, ამ თანხით და მთავრობიდან აღებული სესხით თავს ირჩენდა და სწავლობდა. დანარჩენ დროს კი ,,სერფინგ”-ს უთმობდა. ეს სპორტი, ზღვის ტალღებზე გრძელ ფიცარზე დგომით ცურვა არის. ყველგან, სადაც ზღვაა, ,,სერფინგი” მოდაშია. მე და ირინე ხშირად ჩავდიოდით ოთარის სანახავად სან-დიეგოში, რაც სამხრეთით, დაახლოებით 150 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს ზღვის პირას, მექსიკის საზღვართან ახლოს. ვრჩებოდით ორი-სამი დღე და მასთან ყოფნით დიდად ვხარობდით. მიუხედავად დროის ნაკლებობისა, ოთარმა უნივერსიტეტი დაამთავრა და შეიცნო, რომ ბიოლოგიით თავის ცხოვრებას ვერ ააშენებდა. ამიტომ განაგრძო სწავლა ქიმიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა და ლოს-ანჯელესის დიდ ინდუსტრიალურ კომპანიაში ინჟინრის თანამდებობა იშოვა. სომხების რაიონში – გლანდეილში – ერთი უწესო, ბინძური მღვდლისაგან, ასეთივე ბინძური, მინგრეული სახლ-კარი იყიდა. ამ კნინი წამოწყების მიუხედავად, გაოცებული მე და ირინე ვხარობდით, რომ ბარიშნებთან ოხვრა-ხვნეშანი და ,,ფიცრით” ტალღებზე სრიალი წარსულს ჩაბარდა. მეც და ირინეც აღტაცებით ვეხმარებოდით ოთარს სასიამოვნო წამოწყებაში, გავასუფთავეთ ახლად შეძენილი სახლი, აღვადგინეთ, მივაშენეთ კიდევ ერთი ოთახი, გავწმინდეთ სახლის ბაღი, დავრგეთ ყვავილები, ხეხილ-მტელნარი, გავამშვენიერეთ საამოდ მყნოსავი ვარდებით და აღვადგინეთ უწყლოდ ჩამოქინდრული უკვე არსებული ხეები, უმეტესად, უხვად მსხმოიარე თაფლივით ტკბილი ჭერამი.

ამ სასიამოვნო ტრანსფორმაციით ვხარობდით, როდესაც მიხომ, ინდონეზიელი შვილიანი გოგო ცოლად შეირთო და მოკლე ხანში ბავშვიც – ნიკოლი – შეეძინა. ადრეულ ხანაში, აქ, ვაშინგტონში და ნიუ-იორკში, ბავშვ-ბიანი ორიოდე ქართული ოჯახი იყო. ჩემი ბავშვები მათთან თამაშობდნენ და ვოცნებობდით, რომ მომავალში მათ ქართული ოჯახები შეექმნათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ეროტიკის ნაკვერჩხალი არ გაღვივებულა და მათი ურთიერთობა ,,ძმაო”-ს და ,,დაო”-ს არ გასცილებია. დიდი ხნის სიღრმისეული უთანხმოების შემდეგ, საჭირო გახდა შერიგების და თანაცხოვრების წამოწყება, მით უმეტეს, ამ მხრივ, აქ, ამერიკაში ტრადიციები არ არსებობს. ამერიკა, ბაბილონის გოდოლია, ათასობით სხვადასხვა ჯურის ხალხის კრებული, ამიტომაც ქართველი საცოლეს შოვნა შეუძლებელია. მეც მსურდა ქართველი ქალის შერთვა, მაგრამ არც ეს განხორციელდა. ჩვენი რძალი სუფთაა, უვლის და კეთილად ზრდის თავის ოჯახს, მაგრამ ამერიკაში ქალს, მეტს, მაინცდამაინც ვერ მოსთხოვ. ახლა ხშირად ვნახულობთ ერთმანეთს და შეხმატკბილებულნი ვართ, მით უფრო, რომ ნიკოლს და მეორე შვილს - მარტინს ძალიან ვუყვარვართ. ისინი ჩვენთან რჩებიან ხოლმე, აქეთ-იქითაც დაგვყავს, ვასწავლით იმას, რაც მათ მშობლებს არ გააჩნიათ. ეს მათ მოსწონთ.

ორივე ბავშვი თვალსაჩინო მოწაფეა, რისი ექვივალენტიც ჩვენში ,,ფრიადოსანია”. კარგი სპორტსმენებიც არიან: ნიკოლი, რომელიც 15 წლისაა, თავისი მაზრის მაშტაბით ტენისსა და კალათბურთში ჩემპიონია, ბიჭი – მარტინი – კი ჩინებული ფეხბურთელი (11 წლისაა), ამას წინათ გამართულ ბავშვების ოლიმპიურ შეჯიბრებაში თავისი მაზრის ,,ოლიმპიური ჩემპიონი”-ს ტიტული მიიღო სიმაღლეში ხტომაში, თუმცა მას ამისი წვართი არასოდეს ჰქონია, რაც ჩვენ გვაოცებს. ანჯელას პირველი შვილი, რომელსაც მიხეილ – მაიკ – ქვია, მაღალი ლამაზი და აგრეთვე ნიჭიერი ბიჭია, უნივერსიტეტში სწავლობს და

თავის სარჩენად დღეში ოთხ საათს რესტორანში მუშაობს, როგორც ,,მენეჯერი". უნივერსიტეტს წელიწადნახევარში დაამთავრებს.

ახლა მიხოს (ოთარის) ადრეულ ხანას უნდა დავუბრუნდეთ: ერთხელ, ლოს-ანჯელესში თავისმა კომპანიამ დაავალა, რომ მათი საქმიანობის შესახებ, სან-დიეგოში გამართულ კონგრესზე მოხსენება წაეკითხა. მიხო ასეც მოიქცა და როდესაც მოხსენების კითხვა დაასრულა, ადგილობრივი კომპანიის პრეზიდენტმა შესთავაზა მასთან სან-დიეგოში გადასვლა. მიხომ წინადადება მიიღო, თავისი სახლი კიდევ უფრო შეაკეთა, შეალამაზა, კარგ ფასში გაყიდა, სან-დიეგოს მახლობლად ახალი სახლი (ოთხოთახიანი) იყიდა და უკვე თერთმეტი წელია ამ ახალ უწყებაში, რომელიც თანამგზავრების ანტენებს აშენებს, წარმატებით მოღვაწეობს. ამას წინათ, საფრანგეთის კომპანიასთან ოც მილიონიანი კონტრაქტი შეკრა და მათთვის რთულ, ახლებურ ანტენებს აშენებს. ერთი კონტრაქტი, 2005 წელს, მარსზე გასაგზავნ საჰაერო ხომალდისათვის ანტენის აშენებაა. ეს იქნება უაღრესად მსუბუქი, ფოლადზე უფრო გამძლე, ხმასა და ფერად სურათსაც უფრო მკვეთრად გადმოსცემს პლანეტა მარსიდან დედამიწაზე (რომელსაც ჩვენ ასე ვწამლავთ და ვაბინძურებთ, რომ ერთი საუკუნის შემდეგ ცხოვრებაც აღარ იქნება შესაძლებელი). ასეა თუ ისე, მას კომპანიის ადმინისტრაცია ძალიან აფასებს, რამეთუ ნამდვილი გერმანელია: სანდო, საქმეში ზუსტი და ხარისხიანი. მაშინ როდესაც, ჩვენი ეთერი ნამდვილი, პირწავარდნილი ქართველია...

ჩემი დაბადების 80 წლის თავზე არავითარი ზეიმის და ღრეობის მოწყობა არ მსურდა. მიხო გვესტუმრა თავისი ჯალაბით, რამაც მართლაც დიდად გამახარა, იმიტომაც, რომ ნიკოლმა და მარტინმა მომილოცეს არა მხოლოდ თავიანთი ნახატებით, არამედ სკოლის აკადემიური ნიშნებითაც, ორივეს ყოველ საგანში ფრიადები აქვს და მშვენივრად გაფორმებული ქების ფურცლებიც. თანაც სპორტში, ორივე ჩინებულია.

ცოტაოდენ რომ შევზარხოშდით, მოხდა სენსაცია: ანაზდეულად, სახლში შემოვიდა პოლიციის ფორმაში გამოწკეპილი თვალწარმტაცი „ბლონდინკა". მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ მე გარეთ ტიტლიკანა დავდივარ, რის გამოც ჩემი მეზობლები ჩივიან. შევკრთი, რადგან ამ სიცხეში (34 ცელსიუსია) ხშირად, მხოლოდ გაცრეცილი ტრუსიკით დავდივარ, მაგრამ ასე დადის მრავალი. მივუგე ,,მე ტიტლიკანა არ დავდივარ, მაგრამ თუ ჩემი დაპატიმრება გინდა და ერთად ვიქნებით, საწინააღმდეგო არა მაქვს. მაინც რანაირ სიტიტვლეზე ლაპარაკობ?" ამ ბარიშნამ მომიგო: ,,ამ სიტიტვლის სიტყვებით აღწერა ძნელია, მაგრამ გაჩვენებთ". დაიწყო სამოსელის განძარცვა და თანაც მის მიერ მოტანილი გრამაფონი აამღერა, იხდის და იხდის ეს ბარიშნა, თანაც იგრიხება-იკლაკნება და მეხახუნება, სულ ყველაფერი რომ განიძარცვა და მომეხახუნა, კინაღამ გული წამივიდა. ეს ქალი, მიხოს საგანგებოდ ჩემთვის დაექირავებინა სახუმროდ, მაგრამ მე ჩემი დამემართა, სახლში რომ მის გარდა არავინ ყოფილიყო, იცოცხლე ვებდღვნებოდი, მაგრამ სხვების დასწრების გამო, უმოქმედოდ მყოფი ცეცხლში ვიწვოდი.

გნაცი გამომელია, მაჯაც ამტკივდა, წერას მივატოვებ და ერთ საათს ვივლი, ჩემ გულს ჭირდება.